



რუსთაველის სახელობის
ლიტერატურის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი



ვისკოპიანი



მეორე გამოცემა




სახელგამი

ძველი ქართული მხატვრული მწერლობა



ვისრამიანი



აღ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას ზ. კეკელიძის

რედაქციით და შესავალი წერილით

აღ

ლექსიკონი

ი. აბულაძისა



ტფილისი 1938

ილუსტრაციები, ფორზაცი და ყდა მხატვარ კ. შანგვეტაძისა
თავფურცელი მხატვარ ნ. ჩერნიშკოვისა

რედაქციისაგან

ძველი ქართული რომანი „ვისრამიანი“ რუსთველის ეპოქის შესანიშნავი მხატვრული ძეგლია.

სამიჯნურო ამბავი ვისისა და რამინისა ლიტერატურულად პირველად დამუშავებულ იქნა ფაჰლაურ (საშუალო ირანულ) ენაზე, პროზაული მოთხრობის სახით, არაუგვიანეს ჩვენი წელთაღრიცხვის VII საუკუნისა. ეს ფაჰლაური მოთხრობა XI საუკუნის შუა წლებში (ზოგიერთი ცნობით 1048 წელს, ზოგიერთით კი 1054 წ.) ახალ ირანულ ენაზე გადააკეთა ჰოემის სახით ფახრ-უდდინ გორგანელმა, ანუ, როგორც მას „ვისრამიანის“ ქართული რედაქცია უწოდებს ფახფურ გორგანელმა.

„ვისრამიანის“ ქართული ტექსტი მომდინარეობს გორგანელის პოემიდან. ირანულ დედანში პოემას ეწოდება „ვის-ო-რამინ“, ე. ი. ვისი და რამინი. ქართული ტექსტი წარმოადგენს ირანული დედნის საკმაოდ თავისუფალს მხატვრულ თარგმანს. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი მწერალი, რომელსაც ეკუთვნის „ვისრამიანის“ ქართული რედაქცია, დიდი ხელოვანია; იგი ტექსტს დიდის ოსტატობით ხან ამოკლებს, ხან ავრცობს, შეაქვს მასში ქართული სინამდვილის დამახასიათებელი მხატვრული სახეები, ქართული ყოფა-ცხოვრების ამსახველი ელემენტები, გამოთქმები და სხვა.

თუ ვინ იყო ეს ქართველი მწერალი, რომელსაც ეკუთვნის „ვისრამიანის“ ქართული რედაქცია, — გამორკვეული არაა. ნაგვიანვეი ლიტერატურული გადმოცემა მას მიაწვდის სარგის თმოგველს, მაგრამ ამისი დამადასტურებელი რაიმე ჩვენება არ მოღწეულა.

რაც შეეხება დროს, რომელსაც ეკუთვნის „ვისრამიანის“ ქართული რედაქცია, მისი დადგენა საკმაო მიხალოვებით შეიძლება. ვისრამიანს კარგად იცნობენ კლასიკური ეპოქის ქართველი მწერლები: გე-12 საუკუნის მეხოტბეები: შავთელი, ჩახრუსაძე (იხ. ნ. მარის გამოცემა 32, და V, 22, 1—3), შოთა რუსთველი (იხ. ავეფხისტყაოსანი,“ დ. ჩუბინაშვილის 1850 წლის გამოცემა, სტროფები 182,; 1074,; 1536,;) და თამარ მეფის ისტორიკოსი (იხ. „ქართლის ცხოვრება“, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 414, 426). ყოველივე აღნიშ-

ნული საბუთის გვაძლევს დავასკვნათ, რომ „ვისრამიანის“ ქართული ტექსტი ეკუთვნის დროს არა უადრეს XI საუკუნის მეორე ნახევრისა და არა უგვიანეს XII საუკუნის გასულისა. ასეთ დათარიღებას ეთანხმება აგრეთვე ქართული ტექსტის ენობრივი ნიშნები.

„ვისრამიანის“ ქართული ტექსტი პირველად გამოიცა 1884 წელს და მას შემდეგ აღარ დაბეჭდილა. აღნიშნული გამოცემა გამოვიდა ილია ჭავჭავაძის, ალ. სარაჯიშვილის და პ. უმიკაშვილის რედაქციით; ილია ჭავჭავაძეს და ალ. სარაჯიშვილს, ჩანს, ეკუთვნოდა ზოგადი ხელმძღვანელობა გამოცემისა; კერძოდ ილიას მიერ არის დამუშავებული პირველი, სალიტერატურო ნაწილი გამოცემის წინასიტყვაობით; ხოლო, რაც შეეხება თვით ვისრამიანის ტექსტს, ხელნაწერების განხილვიდან ირკვევა, რომ „ვისრამიანის“ ტექსტის შემოწმება-რედაქტირება უწარმოებია და ტექსტი დასაბეჭდად დაუმზადებია. უმიკაშვილს.

ანრიგად, პასუხისმგებლობა ამ გამოცემის ტექსტის ღირსება-საკლულებანებისა ძირითადად განსვენებულს პ. უმიკაშვილს ეკისრება.

აკადემიკოსი ნ. მარია „ვისრამიანის“ ამ პირველ გამოცემას შემდეგ შეფასებას აძლევს: „Грузинское издание 1884 года..... отнюдь не заслуживало бы даже скромных похвал, если бы не та всетаки громадная заслуга, что и читающая публика, и ученые без них не располагали бы вовсе печатным текстом одного из важнейших памятников древне-грузинской светской литературы“.¹

არ შეიძლება ეს მკაცრი შეფასება ნ. მარიისა ჩაითვალოს საბართლიანად. ვისრამიანის 1884 წლის გამოცემა თავისი დროისათვის სანიმუშოდ არის შესრულებული. ტექსტის ფაქტიურ რედაქტორს პ. უმიკაშვილს დიდი შრომა ჩაუტარებია ტექსტის რიგიანად გამოცემისთვის. რედაქტორის სწორ ალლოს სარედაქციო მუშაობაში უჩვენებს კერძოდ ის გარემოება, რომ მას გამოცემისათვის საფუძვლად დაუდგია ხელნაწერი № 27, რომელიც „ვისრამიანის“ მოღწეულ ხელნაწერთა შორის, შედარებით, უფრო ძველ ტექსტს შეიცავს.

მართალია, 1884 წლის გამოცემაში არას მნიშვნელოვანი დეფექტები და შეცდომები, მთელი რიგი ადგილები, რომლებიც ხელნაწერებში დამახინჯებულად არის მოცემული, გამოცემაში გასწორებული არაა. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ხელნაწერებ-

¹ Из грузино-персидских литературных связей (Записки Коллегии Восточных ведомств,), Ленинград, 1955, стр. 119).

ში დაცული სწორი წაკითხვა რედაქტორს ვერ გაუგია, შეუსწორებია და გადაკეთებული დაუბეჭდავს. მაგრამ ამგვარი შეცდომების თავიდან აცილება არც იყო იმ დროს შესაძლებელი, რადგან წიგნი ჯერ კიდევ იმ დროს გამოიცა, როცა ძველი ქართულის შესწავლის საქმე ახლად იწყებოდა.

1884 წლის გამოცემის გამოქვეყნების შემდეგ „ვისრამიანის“ ტექსტის საკითხებს ეხებოდა აკად. ნ. შარი.

ტექსტის კრიტიკული ანალიზის ნიადაგზე აკად. ნ. მარმა ვისრამიანის რანდენიზე გაუგებარი ადგილი შეასწორა¹. მნიშვნელოვანი მუშაობა ტექსტის საკითხებზე გასწია პროფ. აბულაძემაც, რომელმაც აგრეთვე მოგვცა ზოგიერთი დამახინჯებული ადგილების გასწორება². ორივე მკვლევარის შესწორებანი, ზოგიერთი მთლიანად, ზოგიერთი კი ნაწილობრივ, მიღებულია ამ გამოცემაში. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ვისრამიანის ტექსტის დადგენისათვის ჩატარებული მუშაობა სრულებით საკმაო არ აღმოჩნდა. თქმა არ უნდა, ამ მხრივ ბევრი რამ რჩება გამოსაკვლევად ჩვენი გამოცემის შემდეგაც.

1. იხ. ნ. შარის დასახელებული შრომა, აგრეთვე მისივე—К вопросу о елнянии персидский литературы на грузинскую (ж. м н. п, 1897, III, 273—277)

2. იხ. ი უ ს ტ. ა ბ უ ლ ა ძ ე, XII საუკუნის ქართული საერო მწერლობა და ვეფხისტყაოსანი. 1923. მისივე საპეციალური წერილი „ვისრამიანის“ ტექსტისათვის („ლიტერატურული მემკვიდრეობა“ I, 1935 წ. გვ. 270—297) რედაქცია იხიარებს პროფ. აბულაძის შემდეგ გასწორებებს:

1. „ძმისა გუერდით“ ნაცვლად „ძიძისა გუერდით“ (გვ. 276 იხ. „ვისრამიანი“ 40=31).

2. „ამით უფრო არ დამწუარვარ... თუ უიმედო ვიქმნა“ (გვ. 285 იხ. „ვისრამიანი“ 300=216).

იხიარებს აგრეთვე მე-16 და მე-40 მაგალითებში მოცემულ გასწორებებსაც. (სრ. cit., გვ. 278, და 284).

რაც შეეხება „აფხაზი“-ს გასწორებას: „აფხაზი“-ს სახით (გვ. 276—277). ეს მიუღებლად მიგვაჩნია: ჯერ ერთი, სიტყვა „აფხაზი“ აქ ჩინებულად უდგება კონტრექსტს, და არაერთარ „უცნაურობას“ არ აქვს ადგილი; მეორეც, ქართულ „ვისრამიანში“ აჭ ვ ა ზ ი სხვაგანაც ვხვდებით (2, 7—3, 11, 452, 18—19) და უფრო სწორი ფორმით, ვიდრე ეს ი. აბულაძეს აქვს ნაყარაუდგევი (ირანულშია აჭ ვ ა ზ ი და არა ა ვ ხ ა ზ ი). მესამეც, „ვის-ო-რამიანის“ ახალ თეირანულ გამოცემაში ყოველგვარი ცილობის გარეშე იკითხება ქართულის მსგავსად „აბხაზ“ (317, 116). ამრიგად, მოსაზრება თითქო „აფხაზი“ დამახინჯებას წარმოადგენდა საბოლოოდ უნდა მოიხსნას.

„ვისრამიანის“ ქართული ტექსტის გვერდები ნაჩვენებია ორივე გამოცემის მიხედვით. ირანული ტექსტი ჩვეულებრივად კალკუტურ გამოცემას გულისხმობს; ცალკე შემთხვევაში დამოწმებულია თეირანული გამოცემაც, მაგრამ უკანასკნელი საგანგებოდ აღინიშნება.

„ვისრამიანის“ ტექსტის წინამდებარე გამოცემა დამყარებულია ხელნაწერების კრიტიკულ შესწავლაზე. გათვალისწინებულია ყველა დღეს დღეობათ ცნობილი ხელნაწერი, მათი ღირსება-ნაკლულეობა და ვარიანტული სახე. სულ ჩვენამდე მოღწეულა 14 ხელნაწერი, რომელთა აღწერილობაც ქვემოთ ცალკე მოგვყავს. გარდა ქართული ხელნაწერებისა ტექსტის დადგენისას ეხელმძღვანელობდით „ვისრამიანის“ ირანული ორიგინალის ჩვენებით.

ხელნაწერების შესწავლის შედეგად „ვისრამიანის“ ტექსტი შევსებულ იქნა ორი საკმაოდ მოზრდილი ნაწყვეტით, რომლებიც დღემდე უცნობი იყო; ეს ნაწყვეტებია: 1) ტექსტი, რომელიც მოთავსებულია ჩვენი გამოცემის 96—97 გვერდებზე, დაწყებული სიტყვებით: „საყუარელი (96, 28) და გათავებული სიტყვებზე „თუ აღარ მიჩნდეს“ (97, 6). 2) მოთავსებული 129 გვერდზე, დაწყებული „არაკით“ და გათავებული „ძრავალფერად ქცევასა“. ეს ორი ნაწყვეტი აკლია იმ ხელნაწერებს, რომლებიც საფუძვლად დაედო 1884 წლის გამოცემას და აღმოჩნდა C ხელნაწერში. რომ ეს ორი ახალი ტექსტი არ არის შექმნილი დროის დანართი, არამედ წარმოადგენს ვისრამიანის ძირითადს ნაწილს, დასტურდება იმის მიხედვით, რომ ისინი ორივე მოიპოვება აგრეთვე ვისრამიანის ირანულ დედანშიაც.

გადავდივართ „ვისრამიანის“ დამახინჯებული ადგილების გასწორებათა განხილვაზე. ეს გასწორებანი სამგვარი ხასიათისაა: 1) გასწორებულია 1884 წლის გამოცემის შეცთომები; როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, 1884 წლის გამოცემაში არის შემთხვევები, როდესაც ტექსტის ფაქტიურ რედაქტორს (პ. უმიკაშვილს) ზოგჯერ ვერ გაუგია ხელნაწერებში დაცული სწორი წაკითხვა და ტექსტი შეცთომით გაუსწორებია. 2) იმ შემთხვევაში, როდესაც ხელნაწერი დედნები ვარიანტულ ნაირიპას შეიცავენ, რედაქციას უხდებოდა უფრო სწორი და მართებული წაკითხვის შერჩევა. პრიორიტეტი ამა თუ იმ წაკითხვას ეძლეოდა ირანული დედნის მითითებათა კვალობაზე. 3) ხშირია აგრეთვე შემთხვევები, როდესაც ყველა ხელნაწერის ტექსტი დამახინჯებულია და ვარიანტული განსხვავებანი საქმეს ვერ შევლის. ასეთ შემთხვევებში რედაქცია წაკითხვას ადგენდა კონტექსტისა და ირანული დედნის გათვალისწინების მიხედვით.

აქვე მოგვყავს სამივე ტიპის გასწორებათა ზოგიერთი მაგალითი. 270 რამდენიმე ნიშნში პირველი ჯგუფიდან.

1. „ვისრამიანის“ ტექსტში ერთ ადგილას ვკითხულობთ: „მოზრუნავთებრ ექენებოდიან და ამოდ ეუბნებოდიან“ (გვ. 55=43.) ასეთა წარმოდგენილი ტექსტი ყველა ხელნაწერში. ხოლო პ. უმიკა-

შვილს სიტყვა „ექენებოდიან“ A - ხელნაწერში წაუშლია და მის მაგივრ ფანქრით ჩაუწერია „იქნებოდიან“. 1884 წლის გამოცემაში ეს აღდილი პ. უმიკაშვილას ამ შესწორების თანახმად დაიბეჭდა. რედაქტორის ეს შესწორება სრულებით უადვილოა. („ექენებოდიან“ ძველ ქართულში ნიშნავს „ეხვეწებოდენ“, „ემუდარებოდენ“, რაც უდგება კონტექსტს).

2. ვისის ჯიუტობით უკმაყოფილო ძიძა ისედაც შეწუხებულ ქალს ეუბნება: „მარავის ქუეყანა და შაჰი მოაბად ღმერთმან შენ გიბედნიეროს და მის ქუეყანასა და შაჰროს წინაშე ყოფა ღმერთმან მე მომცეს“ (110 = 80).

„მის ქუეყანასა“ კონტექსტის თანახმად აქ მოაბადის ქვეყანას უნდა ნიშნავდეს, მაგრამ ეს უაზრობა გამოდის. ფრაზაში ჩვენ გვაქვს გარკვეული პარალელიზმი: მარავის ქვეყანა და შაჰი შენა, ხოლო... ქვეყანას და შაჰროსთან ყოფნა ღმერთმა მე მომცესო. მართლაც და, საუკეთესო AB ხელნაწერებში ნაცულად „მის ქუეყანასა“ იკითხვის: „მაისა (მაჰისა) ქუეყანასა“. მაჰი, ან მაი შაჰროს საცხოვრებელ ქვეყანას ერქვა (ეს სწორი წაკითხვა „მაისა=მაჰისა“ შესწორებულია A-ხელნაწერში პ. უმიკაშვილის ხელით როგორც „მის“). ირანული დედანიც ადასტურებს ხელნაწერების სწორ წაკითხვას: „ზემინე მაჰ“ ე. ი. მაჰისა მიწა. მთელი ფრაზა ასეა აღდგენილი ახალ გამოცემაში: „მარავის ქუეყანა და შაჰი მოაბად ღმერთმან შენ გიბედნიეროს, და მაჰისა ქუეყანასა და შაჰროს წინაშე ყოფნა ღმერთმან მე მომცეს“.

3. ასევე „მაჰისა ქუეყანად“ იქნა შესწორებული ძველი გამოცემის „მისა ქუეყანასა“ (გვ. 119), „მისისა ქუეყანისა“ (გვ. 277).

4. სხვაგან, სადაც საჭიროა „მისი ქუეყანა“ (გვ. 129₆=93₆), რედაქციას ხელნაწერის ამ შემთხვევაში სწორია წაკითხვა გალაჟიკეთებია როგორც „მაჰისა ქუეყანა“.

5. ძველ გამოცემაში დაბეჭდილია: „აწ სამი გზა წინა გიც, სადაცა გწადიან, მიხუილოდე: ერთი გურჯანისა, ერთი დევმანდისა. და შესამე იამანისა და ნიავანდისა (130₁₆=94₃₁). ნაცულად „იამანისა“ უნდა იყოს „ამიანისა“, როგორც ეს დამოწმებულია A ხელნაწერში და ირანულ დედანშიაც. შესწორება პ. უმიკაშვილს ეკუთვნის (ფანქრით ჩანიშნულია მისი ხელით A ხელნაწერში).

6. A ხელნაწერის „შეკოდებისა უნახავი“, რაც დედნის აზრსაც ზუსტად გამოხატავს („გონაჰ ნადიდე“, 106₁₁), პ. უმიკაშვილს ასე შეუსწორებია: „შეკოდებისა მნახავი“ (112=81); ამით ფრაზას სრულიად საწინააღმდეგო აზრი ეძლევა.

7. რედაქტორს ვერ გაუგია მნიშვნელობა ფრაზისა: „მაგალითობა და ბიჰობა“, და ხელნაწერის სწორი წაკითხვა შეუცვლია ამრიგად: „მაგალითობა, ბჰობა“ (გვ. 115=83).

8. ძველ გამოცემაში ვკითხულობთ: „მისსა სახელსა ზედა გუ-
ლისა ზარი უკუდავებად მერგებისო“ (196), გახაზული სიტყვების
ნაცვლად საუკეთესო A ხელნაწერშია: „გუელისა ზარი“, ე. ი. გვე-
ლის შხამი (ზაპრი), რაც შეესაბამება ირანული დედნის „ზაპრე
ჰალაჰილს (182, 11). სპარსული ზარი ან ზაპრი შხამს ნიშნავს;
რედაქტორს ტექსტი ვერ გაუგია და ამის წყალობით „გუელი“ „გუ-
ლად“ ქცეულა.

9. „ვეფხსა ჰგუანდა სიფიცხითა და მიქირვება არად უჩნდა,
კლდესა შიგან ქორისაებრ აღმა-ჩაღმა რბოდა-(199=144). ტექ-
სტი აქ დაძახინჯებულთა: მართლაც, უცნაურია ეს გამოთქმა:
ქორის კლდეებში რბენა. ნაცვლად სიტყვისა „ქორი“ აქ, ცხა-
დია, უნდა იყოს „ქოში“, როგორც ამას სწორად კითხულობს A
ხელნაწერი. „ქოში“ გარეულ თხასა ჰქვია. რედაქტორს ეს სიტყვა
„ქოში“ ვერ გაუგია და „ქორად“ გადაუკეთებია.

10. ძველ გამოცემაში იკითხვის: „მუნამდისი ქუთშათა ზედა
არა პაშტა წყალი დაედიწების“ (გვ: 278). გახაზული „არა“ არც-
ერთ ხელნაწერში არ მოიპოვება. A ხელნაწერში ის ჩაუწერია
პ. უმიკაშვილს. ცხადია, რედაქტორს არ ესმოდა პაშტას მნიშვნე-
ლობა: პაშტა პატარად არის გაგებული, ნამდვილად კი. პაშტა ბევრს,
ან საკმაოდ ბევრს ნიშნავს. „პაშტა წყალის“ შესაფარდად ირანულ
დედანშია „ბესა აბა“ (209, 19), ბევრი წყალი. სიტყვა პაშტას
სწორ გაგებას მნიშვნელობა აქვს ვეფხისტყაოსნის ერთი ადგილის
განმარტებისათვის („მევლო პაშტაი ხანია“), რომელიც ზოგიერთ
მკვლევარს ახლაც კი მცდარად ესმის.

11. „მაშინ ლუინისა სუმა გიამებოდა და აწ მასმურობი-
თა ლუინო აღარ გინდა. მაგრამ რა ლუინო ნახო, იგივე მოგინდების;
და მასმუროისა წამალი ლუინისა კიდე აღარა არის.“ (306). აქაც
მასმურობითა და მასმუროისა გაკეთებულია რედაქტორის
მიერ; საუკეთესო ხელნაწერებში ამის ნაცვლად იკითხვის მახმუ-
რობითა და მახმუროისა. შეიძლებოდა ეს შესწორება კორექ-
ტორულ შეტომამდაც კი მიგვეჩნია, რომ A ხელნაწერში პ. უმიკა-
შვილის ხელით არ იყოს საგანგებოდ ჩანიშნული ეს შესწორება.
სხვათა შორის ეს სიტყვაც „მახმური“ გვხვდება „ვეფხისტყაოსან-
შიც“ (812, 3):

არ მთვრალ ვარ და არ მახმურად.

ჩვენ აქ აღარ შევჩერდებით პირველი გამოცემის შემცთარი შე-
სწორების სხვა მაგალითებზე, რომლებიც აღდგენილია ახალ გამო-
ცემაში, დავასახელებთ მხოლოდ პირველი გამოცემის ორს, ვგონებთ,
კორექტორულ შეტომას, რომლებიც ტექსტის აზრს სრულიად
სცვლის

12. „შენ დახსენ სული ჩემი პირთაგან“. (312), უნდა „შენ დაკენ სული ჩემი პირთაგან“.

13. „ნეტამცა მიწყით საღმრთოსა და სასჯელსა საქმესა იქმოდო“ (433), უნდა „ნეტამცა მიწყით საღმრთოსა და სასჯელსა საქმესა იქმოდო“.

14. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საუკეთესო AB ხელნაწერებში აქა-იქ შეცთომებია ქარაგმიან სიტყვათა მცთარად ახსნის ნიდაგზე. მაგალითად:

„სოფელი და საწყუთრო (ღმერთს) მბობითა დაუბადებია“ (90=67), უნდა ყოფილიყო: „სოფელი და საწყუთრო (ღმერთს) ბრძანებლობითა (ბრძანებითა) დაუბადებია“.

„ეგრე უთხრა რამინ: ჰე, გასადიდებლო ძიძო, გუშინდიდგან ვითა მბობა“ (91=68), სრული უაზრობაა. გასაზული სიტყვა უნდა შეიცვალოს C ხელნაწერის წაკითხვით „...გუშინდითგან ვითა ბრძანდები“. დასახელებული ტიპის გასწორებანი ახალ გამოცემაში მრავალია.

როგორც ზემოთ მოვიხსენეთ, ხშირად ძალზე დამახინჯებულ ტექსტს იძლევა თვითონ ხელნაწერები. ზოგან გასწორება მოხერხდა ვარიანტულ ჩვენებათა მეოხებით, მაგრამ ზოგან არც ვარიანტები შეელის საქმეს და ერთადერთ წყაროდ რჩება ირანული დედანი. აქვე ვაჩვენებთ ამ კატეგორიის გასწორებათა რამდენსამე მაგალითს.

15. პირთაგან შაპრომა (6,22=6,26) იკითხება ყველა ხელნაწერში. გასწორებთ „პირშუენვარემან შაპრომან“.

16. ხელნაწერებში ძალზეა წარყვნილი მოაბადის წვეულეგანზე მყოფ კეკლუცთა საკუთარი, თუ შერქმეული სახელები. ზოგი რამ ამ მხრით ნ. მარმა ვაასწორა. აქ ვეხებთ სახელს „მანოშ ასფურგანელი“ (6,3), ანუ ირანულის დედნით: „ზე გორგან აბნუშ მაჰთაიქარ“ (6,1) ე.ი. აბნუშ მაჰთაიქარ (მთვარის სახისა) გურგანელი (გორგანელი). ქართული მანოშ უნდა წარმოადგენდეს ირანული აბნუშის გადმოკეთებას; რთული ასფურგანელის მეორე ნაწილი ბურგანელი გურგანელის დამახინჯებულ სახელ მივიჩნიეთ (ძველ დამწერლობაში, როგორც ხუცურში, ისე მხედრულში, ასოები ბ და გ ერთმანეთს ჰგვანან), ხოლო ძალზე დამახინჯებულ ასფ-ი ფაიქარის გადანაშთს უნდა წარმოადგენდეს. ყოველივე თქმულის გამო ტექსტი ასეა აღდგენილი: „მანოშ მაჰთაიქარ გურგანელი“ (6,18).

17. „ზოგჯერ ჯაქუსა შიგან კრმალი შევიდის, ვითა წყალი, ზოგსა თუალთა შიგან ისარი შეეპარის ვითა ძილი, ზოგსა გულსა შიგან შუბი შეეპარის, ვითა სიყუარული... თუ სთქუა, მხიარულმან იცოდა, თუ ღმერთმან სული კაცისა ტანსა შიგან სადა დაამკუიდრა“ (30=24).

თუ მოტანილ ნაწყევტს ჩაეუკვირდებოთ, შევაძინევთ, რომ გახაზული სიტყვა „მხიარულმან- უაზრობას ჰქმნის. შესატყვის ადგილას ირანულ დედანში იკითხება (40,4):

ჰემი დანისტ გოფტი თიღე ხუნნარ

ქე ჯან დარტან ქოჯა ბენჭად დადარ.

ასე იტყობი, თუ სისხლის მღვრელმა (მსმელმა) ხმაღმა იცოდა,

სად მოათავსა გამჩენმა სული სხეულში.

აქიდან ცხადი ხდება, რომ წარყენილი მხიარულმან უნდა გასწორდეს სიტყვად კრმაღმან: „თუ სთქუა, კრმაღმან იცოდა, თუ ღმერთმან სული კაცისა ტანსა შიგან სადა დაამკუიღრა“.

18. „უქველუცე იყო ნარგისსა ნადიშიანსა (83=62) გასწორდა: „უქველუცე იყო ნარგისსა ნამიანს“ (შდრ. ირ. დედნის 82,6).

19. „ღიაცი... სიუჟარულსა შიგან ვითა ნადირი დაკლული იქნების: არცა დადგების და არცა გაქცევა შეუძლია. ზოგჯერ სასმელთაგან შეშინდების, ზოგჯერ ქმრისაგან“ (88=66).

აქ ორგვარ გაუგებრობას აქვს ადგილი: ჯერ ერთი უცნაურია შეყვარებული ქალის შედარება დაკლულ ნადირთან; დაკლულის სანაცვლოდ თავდაპირველად უნდა ყოფილიყო დაკოდილიც, როგორც ეს ირანულ დედანშია. უფრო მძიმეა მეორე შეცთობა: „ზოგჯერ სასმელთაგან შეშინდების, ზოგჯერ ქმრისაგან“, სრული უაზრობაა. „სასმელთაგან“ დამახინჯებული სახეა სიტყვისა სახლეულთაგან. ასეა ირანულ დედანშიც. (87,2):

გაპი თერსედ ზე შუი ო გაპ ზე ხიშან. „ხიშან“ სიტყვა-სიტყვით ნიშნავს თვისიანს, ნათესავს, მახლობელს: ამის მიხედვით ტექსტი აღდგენილია ამრიგად: „ზოგჯერ სახლეულთაგან შეშინდების, ზოგჯერ ქმრისაგან“.

20. „და შაპროს ღმერთმან შენებრი ავის შემნდობელი და ეზომ უბედურისა საქმისა მაწვეველიო“, — იკითხება ერთგან (99=73). ჯერ ერთი, წინადადებას აკლია შემასმენელი; მეორეც, კონტექსტის მიხედვით სრულიად უადგილოა შაპროს ხსენება. ზოგიერთ ხელნაწერს (საპელდობრ C.F.K.L.) შემოუნახავს დაკარგული შემასმენელი: „(და შაპროს) ნუ მისცეს“. მაგრამ სახელი შაპრო ასეთ კონტექსტშიაც უადგილოა. ეს სიტყვა „შაპროს“, როგორც ირკვევა, წარმოადგენს დამახინჯებას სიტყვისა „შაგირდს“. ირანულ დედანში სათანადო ადგილას (97,5) დამოწმებულია ეს სიტყვა სწორედ ამავე ფორმით — შაგირდი. ამრიგად, ფრაზის საბოლოოდ აღდგენილი სახე შემდეგია: „და შაგირდს ნუ მისცეს ღმერთმან შენებრი ავის შემნდობელი და ეგზომ უბედურისა საქმისა მაწვეველიო“.

21. „მფრინველი კანჯარი ბადესა შეაბა“ (104=76) ასწორებს შედარებით მეორეხარისხოვანი ხელნაწერი F: „დამფრთხალი კანჯარი ბადესა შეაბა“ (მძრ. ირანული დედნის iCO₁₁₇).

22. „ნახე, თუ საწუთრომან ვისსა ზედან. რა ქმნა: გაზარდა ნებიერად, აუგსა აკრძალა, სხეული მისი ნაკეთრად ნაძვისა მგავსი იყო“ (57=51). გახაზულის სანაცვლოდ საუკეთესო ხელნაწერები ABCDF უფრო აზრიან წაკითხვას იძლევიან: სახელი მისი. ამასთან დაკავშირებით საჭირო ხდება სასვენი ნიშნების გადანაცვლება: „ნახე, თუ საწუთრომან ვისსა ზედან რა ქმნა: გაზარდა ნებიერად, აუგსა აკრძალა სახელი მისი, ნაკეთრად ნაძვისა მგავსი იყო“. (შეაჯარე ირანული დედნის 67₁₄ და შმდ.)

23. „არცა ოდეს შენსა ბედსა დავებმი“ (96=71). ასწორებს L ხელნაწერი (გასწორებას ადასტურებს ირანული დედანი); „არცა ოდეს შენსა ბადესა დავებმი“.

24. „ესე ძიძამან არ იცოდა, თუ ვისის გული ექცა და მოსძულდა მიჯნურობაო (გვ. 107=78)—ეკითხულობთ იმ კარის ბოლოს, რომელსაც ჰქვია: „ვისიზაგან რამინის ნახვა მოაბადის დარბაზთა შიგან და მისთვის გამიჯნურება“. ამ კარში მოთხრობილია ვისის მოღმობიერებისა და გამიჯნურების ამბავი. მაშასადამე, ვისს კი არ „მოსძულდა მიჯნურობა“ (როგორც ყველა ხელნაწერსა და ძველ ბეჭდურ გამოცემაშია), არამედ მიჯნურობამ დასძალა ანუ „მოსძალდა მიჯნურობა“.

25. „ჩემი მაცხონებელი და პატროსანი ხარ“ (108=78) იკითხება ძველს გამოცემაში და საუკეთესო ხელნაწერებში (AB); უნდა: — „ჩემი მაცხონებელი და პატრონი ხარ“. გასწორებას ადასტურებს ირანული დედანი (103₁₃).

26. მოაბადი ერთხელ სწერს ვიროს: „თუცა ვისი ჩემი და შენი ცოლია და ეგრე მექცევი, გუერდით რად გიზის“-ო (141=103). ეს წარყვნილი ადგილი შემდეგნაირად შესწორდა: „თუცა ვისი შენი დაი არს, ჩემი ცოლია; და ეგრე მექცევი: გუერდით რად გიზის“.

27. „რა შაჰინშა ლეინო შესუა და ტუინსა ვაუტადა, ცნობას აშორია ლეინომან“. (166) შესწორებულია ასე:

„რა შაჰინშა ლეინო შესუა და ტუინსა ვაუტადა, ცნობასა მორია ლეინომან“ (შეად. „სიყუარულმან და ცნობამან მორია“ (94_{10, 11})).

28. „თუცა უფულოთა დათმობისაგან საუბრისა ცა ქამა უფრო ვადვილებს“ (188). ძალზე წარყვნილი ადგილია. დედანში ამის შესაჯარდია (i74₁₅):

თუცა მიჯნურთათვის დათმენა (საბრკერდე) უფრო საძნელოა, ვიდრე საბრის მყარალი წვენის გემება (საბრხოდე). საბრი ნიშნავს უდს, მყარალ სამკურნალო ბალანსს. ეს სიტყვა უვიც გადამწერს მიუღია „საუბრად“ (ბგერობრივი მსგავსების ნიადაგზე), ხოლო L ხელნაწერს საბოლოოდ გაუაზრებია „საუბრის სმენა“. ჩვენ გამოცემაში ფრაზა ასეა აღდგენილი: „თუცა უგულოთა დათმობისაგან საბრისაცა ქამა უფრო ეადვილების“.

29. რამინისაგან იძულებით განშორების გამო ვისი იტანჯებოდა, ძიძა მას ურჩევდა მოთმინებას; აღმფოთებულმა ვისმა ძიძას. სხვათა შორის, შემდეგი უთხრა (189): „გპირსამცა ჩემებრ შენცა ესრე თავუწევრქმნით ხელობა? რამინ უფრო უამინოდ იყო“. ამ ფრაზაში რამინი სრულად უადგილოდ არის მოხსენებული, უმართებულოდაა დასმული კითხვის ნიშანიც. ტექსტი ასე გასწორდა: „გპირსამცა ჩემებრ შენცა ესრე თავუწევრქმნით ხელობა, რაძინ უფრო უთმინოდ იყო!“

30. „მზისა სიგრძე მოკლე და კუშტი ლომი მელად უჩანს“ (194); ასე იკითხება ეს ფრაზა ყველა ხელნაწერშიაც, მაგრამ მისი სრული უაზრობა ნათელია. „მზისა სიგრძეს“ სანაცვლოდ თავდაპირველად, ცხადია, უნდა ყოფილიყო „გზისა სიგრძე“, როგორც ეს ირანულ დედანშიაც არის (180,6).

31. „მიჯნურობამან სიკეკლუცე და სიდუხჭირე არ იცის მით, რომელ ცნობა მიჯნურობასა ბრმობით უყუავის“ (194); ასე იკითხება „ვისრამიანის“ პირველ გამოცემაში, ხოლო ხელნაწერებში აგრეთვე შემცთარი წაკითხვაა: „უყუვის“ და „ეჭყვისთ“. გახაზული სიტყვა ჩვენ შევცვალეთ ფორმით „ეყვის“.

32. ვისრამიანის ძველ გამოცემაში დაბეჭდილია: „თუმცა ამა ციხისა ზღუდე რკინისა იყო ჩემისა გულისაებრ გახურვებული, მიდამო ყუელა მოწამლული, კაცისა თუალნი ასპიტისა გუელისაებრნი, მეციხოვნენი მათნი დევთაებრნი, ვერცა ეგრე შემაქცევენ“ (192). მოტანილი ნაწყვეტის გახაზული ფრაზა ხელნაწერებში ასე იკითხება: „კაცი სათოანნი ასპიტისა“ (ABE), „კაცი სათოანნი ასპიტისა“ (CDa); ერთი მეორეზე უფრო ცუდია. ტექსტი ძალზეა წარყენილი. ირანულში შესაფერადგილას (178,16) ვკითხულობთ: „სერე დივარე უ ფორ მარე შიბა“.

„მისი კედლის თავი სავსეა შხამიან გველით“. ოღონდ აღსანიშნავია, რომ, თუმცა ირანულ დივარ ჩვეულებრივად ჰნიშნავს

1. 26, 28 და 42 მაგალითები გასწორებული იყო აღ. ბარამიძის მიერ თავის „ნარკვევებში“ (ფტ). 1 932, გვ. 125—126 და 96).

კედელს (ასეა ნათარგმნი აქაც), მაგრამ „ვისრამიანის“ ქართულ ტექსტში სწორედ ჩვენს ეპიზოდში ის მეორეგან გადმოცემულია სიტყვით კლდე: „რამინ რა ახლოს მივიდა კლდესა ზედან, ვისმან დაინახა ზეიდალმან“ (194=ირ. დედნის 180₁₁). ყოველივე ამის გათვალისწინებით საცილობელი ტექსტი შემდეგნაირადაა გასწორებული: „კლდისა თავნი—ასპიტისა გუელისაებრნი“.

33. „მიჯნურობა მტერი არის“, იკითხვის ძველს გამოცემაში (196) და ყველა ხელნაწერში. ეს დებულება სრულიად არ ეგუება გორგანელის შეხედულებას. ტექსტი ასეა აღდგენილი (ადასტურებს ირანული დედანიც, შდრ. 183₄): „მიჯნურობა მტუერი არის“.

34. „ჰე მარაო ქალაქო, ხორასნისა თავადო, ნუ იადვილებ ეზომსა უსამართლოსა. წულსა წყაროსა ნაცულად თათერაკი მოვა შენსა მიწასა ზედა“ (213). წულსა წარყენის შედეგია, უნდა წელსა. ასეა ირანულ დედანშიც (197₁₀). სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ ამ აღვილას თავის მხრით ქართული ტექსტი ასწორებს ირანული ტექსტის კალკუტური გამოცემის შეცთომას: არის „სერვ“ უნდა „მერვ“ (ე.ი. მარავი)—იხ. 197₈.

ახალი თეირანული გამოცემა ქართულის კორექტივს ადასტურებს.

35. შაპრომ გაიგო რომ მოაბადს ვისისთვის უწყალოდ უცემია, დედა მოსთქვამს:

„ამა ღორისა უზენაროსა ნუცამცა ციხე დარჩების და ნუცა მთა, რომელ ჩემისა ბედისა თუალი მუნ დაბრმოზილა“ (213).

კონტექსტით ისე გამოდის, თითქოს გამწარებული დედა მოაბადს ღორს უწოდებდეს, ნამდვილად კი ღური, ან ღორი დედნის მიხედვით ციხისა და მთის სახელია (197₂):

ნა ქუჰე ღურ ბად ო ნა დოზე ღურ
ქე ონჯა გეშტ ჩაშმე ბახტე მენ გურ.
ნურც მთა ღორი (ღური) დარჩება და ნურც
ციხე ღორი (ღური),

რადგან იქ დავესებულა ჩემი საბედო თვალი.

ამრიგად, ტექსტს ასე ვასწორებთ: „ამა უზენაროისა (ე. ი. მოაბადის) ნუცამცა ღორისა ციხე დარჩების“...

36. რამინი ერთხელ ასე მოთქვამდა ვისის განშორების გამო (205): „მე მახესა დაბმულსა კაკაბსაცა ვებრალეზი შენისა სიშორისათვის შეჭირვებული. თუ რა ქირი გინახავს, მოაბად, შენ ლზინი გმართებს და სიხარული“. ასეა ძველ გამოცემაში; ბელნაწე-

რები წაკითხვის მხრით ახალს არაფერს იძლევა, ოღონდ ნაცვლად ჟორმისა „გინახავს“ სწერია „მინახავს“ — ორსავე შემთხვევაში ცხადი შეუსაბამობაა. მოაბადმა რამენს მიჯნური მოსტაცა, რამინი სასოწარკვეთილებას მისცემია. ასეთ პირობებში, მეტი რომ არ ვთქვათ, უცნაური იქნებოდა რამინის მხრით რაყიფის სიბრაღული და მისთვის სიხარულის ნატვრა. ირანული დედნის თანახმად რამინი ამბობს (190₁):

მერა შაჲედ ქე ბაშედ დარდ ო აზარ

თორა ჰერგიზ მე ბადა ჰიჩ თიმარ.

მე უნდა მქონდეს დარდი და მწუხარება,

შენ ნუოღეს გექნება რაიმე შექირვება.

„ნუ გექნება“ ირანულში გამოთქმულია ფორმით „მებადა“, რაც ბგერულადაც და დაწერილობითაც ძლიერ მიაგავს სიტყვა „მოაბადს“ წოდებითს ბრუნვაში „მობედა“. ანტიკომ, შესაძლებელია, კაცმა იფიქროს, რომ იქნებ თვითონ ირანულ დედანში იყო სიტყვა წარყვნილი, ანდა მთარგმნელს შეცთომით ამოეკითხოს. მაინცა-დამაინც ქართულს სჭირდება გასწორება და ჩვენც შემდეგს წაკითხვას დავადექით: „თუ რა ჰირი გინახავს, — ნუ იყოფინ, — შენ ლხინი გმართებს და სიხარული!“

37. „მოაბად ცოტათა დღეთა დასაშემვლად გურგანს წავიდა, მუნით სრად (მუნით და სრით AB) მხიარული შემოვიდა მარავს“ (217). „სრად“ და „სრით“ წარმოადგენს ცნობილი გეოგრაფიული სახელის დამახინჯებას. თავდაპირველად უნდა ყოფილიყო „სარით“: ამის მიხედვით ტექსტი ასე გასწორდა: ...„გურგანს წავიდა, მუნით და სარით მხიარული შემოვიდა მარავს“.

38. „ვისი მასვე ადგილსა მიწვა და თავი მოიშინარა. ხელი თავსა შემოიგდო, გულსა სისხლი თუალთა უწვიმებდეს“ (228). ასე იკითხვის ტექსტი ხელააწერში, რომელსაც ამ შემთხვევაში ემკარება 1884 წლას გამოცემა. სხვაგან ერთი მეორეზე უარესი წაკითხვებია: „გულო სისხლისა თუალნი უმწუდებოდეს“ (უმწუდებოდეს EFK) ABEFK; „გულსისხლიანი და თვალცრემლიანი“ G. ტექსტის ანალიზიდან ჩანს, რომ უწვიმებდეს მაგიერად თავდაპირველად უნდა ყოფილიყო უმწუდეობდეს (რაც ნიშნავს „ღვინოს აწოდებდეს“. მეჩიქიფობდეს). ამ აღდგენილი სიტყვის საშუალებით და ირანული დედნის დახმარებით შესაძლებელი ხდება მთელი ფრაზის გამართვა „გული სისხლსა თუალთა უმწუდეობდეს“, ე. ი. გული იყო მერჩიფე, რომელიც თვალებს სისხლის ცრემლს აწვდიდაო. ანალოგიურ ტექსტს შეიცავს ირანული დედანიც (212, 16):

დიღემ საყი ო დუ ჩაშემეშ ფიაღე
მისი გული მწდე იყო, მისი ორი თვალი (კი)
ფიაღა.

39. „ძოწე ულისა ყუავილი“ (257) გასწორდა ვარიანტების
დანხარებით „ბროწეულისა ყუავილი“.

40. „მოძისა წყლითა გული გავირეცხე“ (268) იკითხება
საუკეთესო A და B ხელნაწერებში.

ამისი უარსია: „ძოწისა წყლითა“ EGI., გობისა წყლითა I,
გონებისა წყლითა K, უშენობისა C. კონტექსტისა და ირანული
დედნის (250,12) თანახმად, გასწორება „თმობისა წყლითა“ ნ. აქვე,
გვ. III, შენ. 2.

41. „შენ ჰაერსა ჰგავ, მრავალფერად იქცევი; ოქრო ხარ,
ავთა და კარგთა მიზიდები“. (286). ერთი შეხედვით თითქოს სრულ-
ლიად დამაკმაყოფილებელ და აზრიან ნაწყვეტთან გვაქვს საქმე.
მაგრამ უთუოდ უუერჯულია ჰაერისა და ოქროს ანალოგია. ირანულ
დედანშიც ჰაერის ნაცვლად იკითხება სონდოსი (267,4) რაც
ნიშნავს: „ნაზი აბრეშუმი“ ანუ ძველ ქართულად „პარირი“.

პარირის ჰაერად ქცევა დამწერლობითს ნიადაგზე ადვილი
ასახსნელია. ამიტომაც რედაქციის აზრით ამ ფრაზის თავდაპირვე-
ლი სახე უნდა ყოფილიყო: „შენ პარირსა ჰგავ, მრავალფერად იქ-
ცევი“; სასურადადღერა, რომ პარირი, ან პარილი „ეისრაშიანში“
სხვაგანაც გვხვდება (12,2=10,22, 173,118=126,29).

42. „ვითამცა კიდევანობა შენი ცეცხლი იყო, რომელ თმობისა-
გან კიდე [არასა] დასწუაეს“ (289). კვადრატულ ფრაზილებში ჩასმუ-
ლი სიტყვა მოტანილია ირანული დედნის გაავალისწინებით (269,19).

43. „რომელსაცა ღვიძლსა გუელმან უცეს, მას ტაბარაზისა
თერიაყი უფრო დაშუენდეს (დაშენდეს)“—იკითხება ძველ გამოცემა-
სა (295) და ხელნაწერებში; ხოლო ირანულში ამისი შესათარღლია
(274,9):

ქესი ქემ მარე შიბა ბარ ჯიგარ შად

ყრა თერიაქ სახედი ნა ტაბარზად.

ის, ვისაც გესლიანმა გველმა ღვიძლში უკბინა,

თერიაქს საქიროებს და არა მარილს (ტაბარზადს)!

„ტაბარაზისა თერიაყი“ ან მთარგმნელის შეცდომია. ან ვალდ-
წერთა წყალობით სიტყვებია უხეიროდ გადასმული და ამ ნიადაგზე
აზრიც დამახინჯებულია. ირანული დედნის შესაბამისად ტექსტი ასე
უნდა გასწორდეს:

1. ტაბარზადი კიდევ ნიშნავს თეთრ შაქარს, ყურძენს და სხვ.

„რომელსაცა ღვიძლსა გუელმან უცეს, მას ტაბარაზისა უფრო თერიაყი დაშუენდეს“. ასეთი წაკითხვა გვაქვს მიღებული ჩვენს გამოცემაში.

44. „ზამთრისა წამლითა შემდგომად მიწყით ზაფხულია“ (299). „წამლითა“ სიტყვა ცხადლივ წარყენილია, გასწორებაც შედარებით მარტივია: „ზამთრისა წაღლისა შემდგომად მიწყით ზაფხულია“ (შდრ. ირ. ღედნის 276,20).

45. „გულითა სიყუარული თუალითა პატიოსანი. თუალი რაზომცა ძუელი იყოს, ეგრეცა სჯობს“ (306). ნაწყვეტის პირველი დამახინჯებული ნაწილი რედაქციამ შეასწორა: „გულითა სიყუარული თუალია პატიოსანი“ (შდრ. ღედნის 283,1).

46. „შენი კიდევანობა მაგრა კლდე არის და შენისავე ნახვისაგან კიდე არა დაღეწს“ (307). ვასწორებთ: „შენი კიდევანობა მაგარი კლდე არის“.

47. „ეზომ კარგი და გამწირავი იყო“ (310); კარგი და გამწირავი შეუთავსებელია; კონტრექსტით ირკვევა, რომ უნდა ყოფილიყო: „ეზომ კარგი და გაუწირავი იყო“.

48. „ბროწუელი სისავსითა დაღების“ (318), უაზრო აფორიზმი; დაღებების, ცხადია, წარყენილია; თავდაპირველად იქნებოდა: „დაიბობის“, რასაც ადასტურებს СХ ხელნაწერი და ირანული ღედანი (296,19). ამ სახით შეგვასწორეთ.

49. „არავინა სიყუარულისაებრ მპარავი, რომელ გულისაგან თმობასა წაუღებს და ლაწუთაგან ფერსა ასრე ადგილად, ვითა მთურალისაგან ოქროსა ტრიალი“ (359). ასეა ყველა ხელნაწერში, გარდა L-სა, სადაც გახაზულის ნაცვლად იკითხება „ტროფიალი“; არც ერთი წაკითხვა აზრს არ შეიცავს. ტექსტის აღდგენა შესაძლო ხდება ღედნის მეშვეობით (329,10): „ტრიალი“ ჩანს, არის დამახინჯებული სახე თავდაპირველი სიტყვისა ტარალი, რაც ნიშნავს ქურდს, ჯიბიერს, მპარავს. ჩვენი გასწორების სიზუსტეს, სხვათაშორის, ისიც ადასტურებს, რომ ტერმინი ტარალი „ვისრამიანში“ სხვაგანაც გვხვდება დაუმახინჯებელი ფორმით: „მძინარეთაგან ოქროსა ტარალი ესრე ვერ წაიღებს, ვითა მე მღუიძარეთაგან გულსა“ (387).

50. „აწ კოცნისა სიმრავლითა და წილთა მიყოლითა ჰქურნებდეს ერთმანერთისა გულსა“ (410); გახაზულ სიტყვებს ვასწორებთ С ხელნაწერის მიხედვით; „წადილთა მიყოლითა“.

51. „გული ჩემი გამხიარულებულა და ერთი სული ჩემი გაათასებულა სიხარულითა, გუირგუინი ჩემი ცამდი მიმწუღარა. სამსა კიქასა ლუინოსა მხიარული ვსუამ. თქუენსა ბოძებულსა ქუეყანასა წავედე თუარა, რაცა მიბრძანოთ,

ი გ ი ვ ქ ნ ა " (412—413). დაყოფილი ნაწყვეტი ძალზე წარყენილია. რედაქციამ ტექსტი დაადგინა ირანული დედნის დახმარებით (შდრ. 365, 18—19): „სამსა [თუესა თქუენსა წინაშე] კიქითა ლუინოსა მხიარული ვსუამ, [მის უკანით] თქუენსა ბოძებულსა ქუეყანასა წავიდე; თუ არა, რაცა მიბრძანოთ, იგი ვქმნა“.

52. „რე ქალაქი ბეგოს უბოძა“ (449). ბეგოს ნაცვლად უნდა იყოს „შეჭროზ“ (შდრ. ირანული დედნის 393, 4 და ქართული ტექსტის 151).

53. „ზოგსა [დროშასა] ზედან ლომი ზის, ზოგსა ფარშამანგი, ზოგსა არწივი, ზოგსა დეორბი (29, 18—24, 4). ნაცვლად სიტყვისა „დეორბი“ ზოგ ხელნაწერში იკითხვის „ორბი“ (იხ. ხელნაწერები C I F). ირანულ დედანში (39, 8) ფრინველთაგან დასახელებულია: არწივი (ოყაბ), შვეარდენი (ბაზ), ფარშავანგი (ტაუს) და სიმურლი (სიმორლ, ან სიმურლ). ამის მიხედვით ისე გამოდის, თითქო „დეორბი“ შეესატყვისება „სიმურლს“, მაგრამ სიტყვა „სიმურლი“ კარგად არის ცნობილი ძველ ქართულ მწერლობაში და ძნელი საფიქრებელია, რომ ეს ნაცნობი სიტყვა დაემახინჯებიათ „დეორბი“-ს სახით. შესაძლებელია აგრეთვე ისიც დავუშვათ, რომ „დეორბი“ არის დამახინჯებული დამწერლობა ორი სიტყვისა: „და ორბი;“ ასეთ შემთხვევაში მთელ ფრაზას ასეთი სახე უნდა ჰქონოდა: „ზოგსა [დროშასა] ზედან ლომი ზის, ზოგსა ფარშამანგი, ზოგსა არწივი და ზოგსა ორბი“. მაგრამ ასეთ შემთხვევაში უნდა დაგვეშვა, რომ სიტყვები „არწივი“ და „ორბი“ არ წარმოადგენდნენ სინონიმს, არამედ აღნიშნავდნენ ერთი და იმავე ფრინველის ჯიშის სხვადასხვა სახეობას. ხოლო ამისი გადაჭრით თქმა ძნელია, ჩვენს გამოცემაში პირობითად დაეტოვებჯერ კიდევ საექვოდ მისაჩნევი წაკითხვა „...და ზოგსა ორბი“.

54. „(საწუთრო) შიგნით სხუაა და გარეთ სხუაა; თუალთმაქციერსა ჰგავს. მრავალფერნი მეკეცებანი მივლენ, მაგრა შიგან დიდხან ვერაგინ დაჰყოფს“ (445). ნაწყვეტში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გაუგებარი სიტყვა მეკეცებანი; უეჭვოა, რომ ის დამახინჯებას წარმოადგენს. ირანული დედნით სოფელი შედარებულია ქარავანთსადგომთან (ქარვანგაჰ); ამ სადგომში შედის—კალკუტური ვარიანტით (387, 19—20) მრავალფერა, ან ყოველმხრითი ქრისტიანი (მასიჰი), თეირანულით (498, 4) ხრწნადი, წარმავალი ანუ მოკვდავი (სიფენჯი)—მაგრამ იქ დიდხანს არ ისადგურებს. ამრიგად, მეკეცებანის პირდაპირი შესატყვისია ქრისტიანი (მასიჰი) ან წარმავალი, მოკვდავი (სიფენჯი). კონტექსტის მიხედვით აქ შესაძლოა აგრეთვე ყოფილიყო სიტყვა „მექარაენნი“. რედაქცია უკანასკნელზე შეჩერდა, თუმცა გამოითქვა აზრი, რომ შესაძლებელია ქრისტიანის

საპირისპიროდ ქართულ რედაქციაში ყოფილიყო მეკერპენი (არაა გამორიცხული არც მომავლადენი). საცილიბელი ადგილი ახალ გამოცემაში ასე დაიბეჭდა: „მრავალფერნი მოქარავენნი მივლენ, მაგრა შიგან დიდხან ვერავენ დაჰყოფს“. შეადარე ამას მეორე პარალელური ადგილი (გვ. 84=63): „საწუთრო, ვითა მოგზაურთა სადგომი, ფუნდუკაა, და ჩუენ მოქარავენნი ვართ. მოქარავენთა ფუნდუკსა შიგან ცოტა ხანი მიუხუდების“.

55. 80=60 გვერდზე რედაქციამ აღადგინა ცენზორის მიერ ამოგდებული ნაწყვეტი, რის შესახებაც A ხელნაწერში პ. უშიკაშვილის მიერ შენიშნულია „დაბეჭდვის დროს 1884 წელს, ცენზურამ ამოშალა ეს სიტყვები“-ო.

დასასრულ მოგვყავს მოკლე აღწერილობა ხელნაწერებისა, რომელთა კრიტიკულ შესწავლაზე არის დამყარებული ჩვენი გამოცემა.

A (=ხელნაწერი საქართველოს მუზეუმისა № 27—S); ხელნაწერი ეკუთვნის მე-17 საუკუნეს, გადაწერილია, ხელის მხედვით, ცნობილი კალიგრაფის სალაროს ზუსტიბის აღმურაანთ ბაღდასარას-შვილის გასპარას მიერ, რომელსაც 1699 წელს გადაუწერია ამირან-დარეჯანიანი (ხელნაწერი ლენინგრადის საჯარო წიგნთსაცავისა № 29, იოანე ბატონიშვილის კოლექციიდან), ხოლო ამაზე ადრე 1671 წელს—ერთი ცალი „ვეფხისტყაოსნისა“ (ხელნაწერი საქართველოს მუზეუმისა № 757—H). ხელნაწერი სრული პირია „ვისრამიანისა“ და 496 გვერდს შეიცავს (იხ. E. Такашвили, Описание I, 276). „ვისრამიანის“ პირველი გამომცემლები უმთავრესად ამ ხელნაწერს ემყარებოდნენ.

B. (=ხელნაწერი საქართველოს მუზეუმისა № 17—S). პალეოგრაფიული ნიშნებით ეს ხელნაწერი მე-18 საუკუნეს ეკუთვნის. იგი ზუსტი პირია A ხელნაწერისა. ხელნაწერი დაზიანებულია; ის გადაწერილია სხვადასხვა ხელით (E. Такашвили, Описание I, 122—123). პირველ გამომცემლებს, როგორც ირკვევა, ხელთა ჰქონიათ ეს ნუსხაც: ხელნაწერზე მიწერილია პ. უშიკაშვილის ხელით „ეს ეგზემპლარი აღმოჩნდა შეურყენელი და უფრო მცირედ შეცვლილი გადაწერისაგან (რეეული 25, ფურ. 6 გვ. 2).

C (=ხელნაწერი საქართველოს მუზეუმისა № 3702—S). გადაწერილია „ქორონიკონსა უიზ. ივლისსა იმ“-ისე იგი 1729 წელს (გვ. 274). ხელნაწერში სულ 274 გვერდია; 205 გვერდამდე შემკულია 45 მინიატურით, 205 გვერდიდან ბოლომდე სხვადასხვა ადგილას დატოვებულია ცარიელი ადგილები სურათების ჩასახატავად (სულ 31 ადგილია დატოვებული). ახლად აკინძვის დროს ხელნაწერში ჩაუყვარებიათ თეთრი ქაღალდის ფურცლები, ალბათ, ნაკ-

ლული ადგილების ჩასაწერად, მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოუყვანიათ და დღეს შექმდევი ცარიელი ადგილები გვაქვს:

19—26, 61—62, 134—137, 259—262.

ნუსხა, შედარებით A ხელნაწერთან, იძლევა ორ ზედმეტ ადგილს, რომლებიც პირველ გამოცემაში არ შესულა, სახელდობრ: 1. გვ. 96—97 (ჩვენი გამოცემისა) „მოყუარე საყუარელი... აღარ მიჩანდეს“. 2. გვ. 129: „არაკი... მრავალფერად ქცევასა.“ ამ ხელნაწერში არის აგრეთვე 317—320 გვერდები პირველი გამოცემისა: („რა გულისა წამლებელმან ვისმან ადინა...“—), რომელიც ყველა ხელნაწერში არ მოიპოვება. პირველ ნაწილში ხელნაწერი, თუ მსედველობაში არ მივიღებთ ფონეტიკურ, გრამატიკულ და ლექსიკური ხასიათის ვარიანტებს, მისდევს A ნუსხას, მეორე ნაწილში კი იძლევა შემოკლებულსა და გადაკეთებულს შთხრობას, ასე რომ ტექსტს ზის აღდგენისა და კრიტიკისათვის ამ ნაწილს იმდენი მნიშვნელობა არ აქვს.

D (=ხელნაწერი საქართველოს მუზეუმისა № 716—H). პატარა ფორმატისაა, დარღვეული, გატეხილ ყდაში. უკანასკნელ ფურცელზე მიწერილია: „დასრულდა წიგნი ესე ქორონიკონაა შამლ (1736 წ.), იანვარსა ოცსა, კელითა მხატვრის გრიგოლის ძის ალექსისითა. ვინცა იხილოთ, ამგვარი ცუდის შრომისთვის ნუ გამეიცხავთ... რომელიმე დიდებულთა მიბრძანეს და ურჩება არ ეგებოდა ჩვენგან მათთვის, და აღგვაწერინეს“. გადაწერილია ის მეტად წერილი ხელით. ხშირად სათაურების გამოუყოფლად. ხელნაწერი მისდევს C ნუსხას (მისი ზედმეტი ადგილებით), მაგრამ მეორე ნაწილში, სტრიქონებს შუა თუ აშიაზე, ვილაცას სისტემატურად შეუსწორებია ის AB ხელნაწერების მიხედვით; ჩაწერილია უკანასკნელთა ზედმეტი ადგილები და განსხვავებანი.

E (=ხელნაწერი საქ. მუზეუმისა № 1211—H) in quarto, პალეოგრაფიული ნიშნებით მე-18 საუკუნის მეორე ნახევრისაა, ბოლო აქლია. გადაწერილია ლამაზი მრგვალი ხელით, სათაურები და აბზაცები სინგურითაა გაკეთებული. რედაქციულად მისდევს AB-ს ზოგიერთი ვარიაციით.

F (=ხელნაწერი საქ. მუზეუმისა № 218—H) in 8, გატეხილ ხის ყდაში, გადაწერილია მომრგვალო ლამაზი ხელით, თავში დაკარგულია ერთი რვეული, იწყება სიტყვებით; „თავს ბრუ დაესხა, თავი ჩამოაგდო“ (გვ. 16, 24). თავდება 254 გვერდზე. ხელნაწერი, რომელიც პალეოგრაფიული ნიშნებით გადაწერილია მე-18 საუკუნის მიწურულში, ჰკუთვნებია „აილახერის ასულს კნინა ერისთვის თინათის“. თავში მიჰყვება C-ს, ხოლო უკანასკნელი მესამედიდან შორდება და AB-ს უახლოვდება.

G (=საქართველოს მუზეუმისა № 96—G) გადაწერილია მოლურჯო ქალაღდზე „მამისა 19, წელსა 1811-სა, კელითა თავადის იესე თუშანოვისაგან“ (გვ. 1), რომელიც შენიშნავს: „ესე ვისრამიანი არის ისტორია ყრმათა კაცთა და ქალთა საკითხავი, აშოკთათვის კელოვნად მიმზიდი, ხოლო მოხუცთათვის აუგია ამის მოსმენა“. ეს ხელნაწერი ჰქონიათ „ვისრამიანის“ პირველ გამომცემლებსაც; თავიდან დაწყებული 34 გვერდამდე ის აქრელებულია ჩანაწერებით და შესწორებებით (პ. უმიკაშვილის ხელით) იმ სახით, რა სახითაც ტექსტი დაიბეჭდა 1884 წელს. 34 გვერდიდან ასეთი შესწორებები აღარ გვხვდება, მხოლოდ აქა-იქ სიტყვები და წინადადებები გახზულია. ეს რამდენადმე უღგება A რედაქციას, მაგრამ არის შიგ რამდენიმე ზედმეტი ამბავიც, ასე, მაგალითად, ორი სტროფი რუსთველური შაირისა, რაც სხვა ხელნაწერებმა არ იცის, აგრეთვე 317—320 გვერდები ძველი გამოცემისა.

H (=ხელნაწერი საქ. მუზეუმისა № 295—H) in folio, ლურჯ ქალაღდზე; გადაწერილია ვინმე აბაშიძის მიერ 1820 წელს. ვისრამიანის ტექსტი მთლიანად შენახული, რედაქციულად არაუფერს საყურადღებოს არ იძლევა.

J (=ხელნაწერი საქ. მუზეუმისა № 1728—H) in folio, 223 გვერდზე, გადაწერილია კნინა ანსა ავთანდილ ამილახერის ასულის მიერ თვეს ივნისსა იე, წელსა ჩუკე“ (1825); რედაქციულად საყურადღებოს არას შეიცავს.

K (=ხელნაწერი საქართველოს მუზეუმისა № 2216—H) წინათ ეკუთვნოდა ლენინგრადის საჯარო წიგნთსაცავს). უკდო, რვეულეზად შეწყობილი, მაგრამ აუკინძავი, შეიცავს სულ 24 რვაფურცლიან რვეულს, ანუ 747 გვერდს. გადაწერილია არაუადრეს მე-19 საუკუნის შოროე ნახევრის დასაწყისისა. რედაქციულად მიჭყეება CF-ს. განსვენებულის ნ. მარის სტატიები „ვისრამიანის“ შესახებ წარმოებულია ამ ხელნაწერის მიხედვით.

L (=ხელნაწერი საქ. მუზეუმისა № 102—S) ხელნაწერს პ. უმიკაშვილის ხელით მიწერილი აქვს: „ეს ეგზემპლარი დაბეჭდვიან დროს 1884 წელს რედაქციას ხელში ჰქონდა, შეცვლილი და შერყვნილი აღმოჩნდა“ (გვ. 1 და 304); გადაწერილია მე-19 საუკუნეში, შეიცავს 306 გვერდს; ტექსტი თავისებურია, ვილაციის მიერ გააზრებულა და გადაკეთებული. ზოგიერთი ბუნდოვანი ადვილი თხზულებისა კარგადაა გაგებული.

a (=ხელნაწერი საქართველოს მუზეუმისა №...Q) შეიცავს ვისრამიანის ფრაგმენტს, შედგება ორი რვაფურცლიანი (5,6) და ერთი (7) ექვსფურცლიანი რვეულისაგან. იწყება სიტყვებით „არცა ესე,

რომელ ყინცა მიჯნური იყოს“ (108,₂), თავდება: „თუალთა ცრემლი სდიოდა და ფერკთა სისხლი“ (160). გადაწერილია ლამაზი მრგვალი და წერილი ხელით მე-18 საუკუნეში. რედაქციულად C-ს მისდევს.

II (=ხელნაწერი საქართველოს მუზეუმისა № 2698) ფრაგნეტი „ვისრამიანისა“, ხუთი ფურკლისაგან შემდგარი, იწუება სიტყვებით: „მის ქუეყნისა დიდენულნი“ (256), თავდება: „ვამოსუნებმა ესე მქონდა“ (267=).

C (=№ 80, in folio), გადაწერილია თეთრ ქაღალდზე — მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, შეიცავს ვის/ამიანის დასაწყისს.

ამრიგად, დღესდღეობით ცნობილია სულ 14 ხელნაწერი, ჩვენს გამოცემას საფუძვლად უდევს AB ხელნაწერი, მაგრამ მათთან ერთად გამოყენებულია CDEFGHIKLa ხელნაწერებიც (პირველი გამოცემის ტექსტები იცნობდნენ მხოლოდ ABCI. ხელნაწერებს). არსებული ხელნაწერები იძლევა სამ რედაქციას:

I ABE, ნაწილობრივ GID; II—CFKHa, III—L. ამ რედაქციასა გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ დიფერენციატია ერთისა და იმავე ტექსტისა შედარებით ადრე დაწყებულია. არის ნიშანი იმისა, რომ თავდაპირველი ტექსტი, საიდანაც არსებული რედაქციები მომდინარეობს, გადაწერილი ყოფილა ნუსხა-ხუცურიით; არეულია ტ—ხ, ღ—ჰ, ბ—შ, რაც ხუცური დამწერლობის ნიადაგზეა მისალოდნელი (ტარასა—ხარასა, ღელო—ჰელო, ბეგოს—შეროხს).

ზოგიერთი სიტყვის დაწერაში ერთი და იგივე ხელნაწერიც კი ვერ მისდევს ერთ წესს და სხედასხვაობას იჩენს, მაგალითად ანასდა—ან.ზდა—ანასდად—ანაზდად; ზედან—ზედა, ფიცხლა—ფიცხლად, ყოელი—ყოელი, ზეარასანი—ხორასანი, ვარსკულაგი—მასკულაგი, მოველოდე—მოველოდდე, ნომამორვა—მომამორა, ეზომი—ეგზომი, შაჰინშაჰ—შაჰინშა—შაჰინშა, ჩემმაგიერ—ჩემაგიერ, შეიქნა—შეიქმნა, შიძს—შიც, რომე—რონელ, ვირემდის—ვირემძი—ვირემდინ (დი-დის-დინ), თუარე—თუარა, საკე—საკენ, ნანა—ნანვა, კელმწიფეობა—კელმწიფობა, ჩემთუი—ჩემთუინ—ჩემთუის, კულაოზი—ყოლაოზი—ყოლაოზი, ზუასრო—ზუასროგ—ზუასრაგ და სხვა.

ჩვენს განოცემაში ასეთ შემოხვევებში მივსდევთ იმ ფორმას, რომელიც მეტადაა წარმოდგენილი, ხოლო თანაბარ პირობებში ორსავე ფორმას ვიცავთ, ვარიანტების აღწინშნავად.



გისრამიანი



დასაწყისი ვისისა და რამინისა

ყო დიდი და მაღალი სულტანი ტულურბეგ ქუეყანასა ხორასნისასა და აღრაბადაგანისა, ლაშქარ-მრავალი, მოვლენილი, მორკმული და აღსრულებული ყოველსა სპარსეთსა ზედა. აკლდა სამეფოსა მისსა ქალაქი ასპაანისა.

შეიყარნეს ყოველნი დიდებულნი და წარჩინებულნი მისნი, მოაკსენეს: „ვინათგან მაღალი და დიდად განთქმული სულტანი ტახტსა და სამეფოსა თქუენსა ზედა მოვლენით და მორკმით დაუძკუიდრებიხარ [ღმერთსა] და ნება და გამორჩევა მისი ესე არს, რომელ ყოველი მუსულმანობა ბრძანებასა თქუენსა მორჩილობდეს და მზესა თქუენსა ფიცედეს,—აწ ჩუენ ამას ვჰკადრებთ მეფობასა თქუენსა, რომელ შეიყარნეთ თქუენითა ლაშქართა და მიჰმართოთ ასპაანისა ქალაქსა. ვინ-მე იყო არამორჩილი მბრძანებლობისა თქუენისა, რომელმცა არა ძებნეს მშუიდობა თავისა და არამცა წამისყოფით დაამონნეს თავნი მათნი მბრძანებლობასა თქუენსა?! და უკუეთუ ვინმე იკადროს მბრძანებლობისა თქუენისა ურჩობა, შეუწდობელი რასხვა მივიდეს თქუენგან მას ზედა და აგრეცა იქმნას ნება და წადილი თქუენი“.

მოუსმინა მეფემან, უკმო სამსავე სამეფოსა. მერმე განყო ლაშქარი და გაგზავნა ერთი ქირმანს, ერთი მუსლის, ერთი აჰვაზს, ერთნი თემნი სომხითს, ერთნი საბერძნეთს. და ყოველნი ყოვლგნით შემოიქცნეს და მოვიდეს ძლევა-შემოყრილნი და გამარჯუებულნი.

მერმე მოვიდა მოციქული არსლან-ხანისა მზახალათუისი და მოილო ურიცხუი ძლეუნი. და მასვე ჟამსა მოვიდა ბერძენთა მეფისა მოციქული და მოართო ძლეუნი,—ტურფა შესამოსელი. და მას ძლეუნსა შიგან იყო თუალი ერთი, წითელი იაგუნდი, წონა დრამისა

ოკდაექუსისა. იგი შესამოსელი, ბერძენთა მეფისა გამოგზავნილი, ტანსა შეიმოსა ასპანს, და თაყუანისცა ყოველმან მუსულმანმან, კელმწიფეთა უცხოთა და თუით მისთა წარჩინებულთა; და ქება შეასხეს ყოველთა ესრე ყოველთა კელმწიფეთაგან შეპოვნებისა, ძლუნობისა და დარბაზობისათვის.

და თუით სულტნისა მსახურნი და მონანი ესეთნი იყვნეს, რომელ ყოველსა პირსა მიწისასა ეგეთნი არა იყვნეს. და მათგანი იყო ერთი სახელოანი, უხუი, გონება-ბრძენი, კაცობა-სრული, გულლოანი, ფრთხილი, მხიარული, სიტყუა-მიუმცდარი, მკნე და სიმკნისა მოძებარი, ყოვლითა სიკეთითა სრული, ნატიფი; აქიმობისა კარგად მცოდნელი იყო, ყოვლისა კაცისა მოყუარე, ღმრთის კაცი და დიდისა ქუეყანისა პატრონი იყო. და ამა ზნეთა თანა განალამცა მძებნელი იყო უცხოთა ამბავთა და შაირთა.

რა სულტანმან ქალაქი ასპანნი აიღო, აიყარა ლაშქრითა, წარმოვიდა და იბდალ-მელიქ-ვაზირი ასპანს დააგდო. მგზავრად მივიდა და ჯორჯანელი ნახა და მოეწონა კაცი და ამბავთა ნახულთა დაუწყო თქუმა. მას ღამესა მის გუერდით იყო და სუმასა შიგან ჰკითხა:

— „არა იცია ამბავი ვისისი და რამინისი? დია მინდა ამბვისა მათისა შეტყობა და აღრითგან ვეძებ; მასმია სიკეთე მათი“.

ფახფურ პასუხი მიუგო:

„მე ყუელა ვიცი და მასმია სიკეთე და სეფისპირობა მათი, რომელ კარგი ჰამო ამბავი ბრძანეთ, მეცნიერთაგან თქუმული და შეწყობილი ფალაურითა ენითა; და ფალაური თუ დიდად არვინ იცის, ვერავინ თარგმნის. აწ თუ შენ მიბრძანო, მე გამოვაცხადო ამბავი მათი და ვთარგმნო სპარსულად“.

ესე დაიმადლა მისგან იბდალ-მელიქ-აბუნასარ და იმედი წყალობისა უთხრა. მერმე ფახფურ ეგრე თქუა: „ვინათგან ესრეთ არს და ამბავი მათი ბუნებად უყუარს და მონდომია, მოგაკსენო, სიტყუაშეწყობით ვთქუა და ვთარგმნო. თუცა სახელი მათი დიდია ქუეყანათა ზედა, ჩემიცა სახელი დარჩეს ამისთა მიზეზითა ქუეყანასა“.

ამბავი ვისისა და რამინისა და



უხუცესისა მძისა მისისა შაჰი მოაბადისი

ყო დიდი და მალალი კელმწიფე ადრაბადაგანისა და ყოველთა თემთა და ქუეყანათა მპყრობელი და დიდთა საქურქლეთა პატრონი. ჰქონდა ხორასანი, თურქისტანი, ერაყი, ადრაბადაგანი, ქოისტანი, ხუარაზმი; კმელთა და ზღუათა პატრონი იყო და ყოველსა სპარსეთსა ზედა მორკმული. და მრავალნი კელმწიფენი ჰყვეს სუიანნი და შეუფრობელნი და მას ეამსა შიგან მისი სიტყუისა უმორჩილო არვინ იყო. და ცეცხლისა მსახური იყო თუით მეფე და საკელმწიფო სრული. ესე კელმწიფე ქრისტეს მოსლვასა წინათ იყო და სახელი მისი შაჰი მოაბად. ესუა ძმა ერთი, ერქუა სახელად ზარდი, და ვაზირი იყო შაჰი მოაბადისი.

ვითა წესია სპარსთა, შექმნეს ვაზირობა დიდი და ეგზომ დიდი ნაეროზი გარდაიკადიან, რომელ კაცთა გონებისაგან არ მიიწოთმვის. ჩუენ ზოგი რამე ვაკსენეთ მათისა ბაირამ-ნაეროზობისა ზარი. მას დღესა შოვიდეს მეფენი, რომელნი მისსა მბრძანებლობასა ქუეშე იყვნეს, და დიდებულნი დედა-წულითუთ მათითა სიხარულად და სამსახურად; შირაზელნი, ასპანელნი, ერაყით, ჯორჯანით, გელანით, არდაველით და ბარდაველითა; შაფურ გელანელი და თუით ზარდი, ძმა-ვაზირი შაჰი მოაბადისი, ყოვლისა ქუეყანისა დიდებულნი დედაობითა მივიდეს შაჰი მოაბადისასა ხორასანს, მარავეს ქალაქსა. გამოვიდეს და უბრძანეს თავის-თავისთა ფარეშთა მისთა ველსა დადგმა კარავთა და ოთაღთა: მოკაზმეთ მინდორიო! ამის ყოვლისა სიკეთისა გონება მიუმხუდომარე არს. გამოვიდეს მინდორად, შემოივლნეს სარა-ფარდანი, შეკაზმნეს ფარეშთა და სხუათა მსახურთა წალკოტნი და აავსნეს საქონლითა და ხაქურქლითა. დააშურეს სპილო-

ნი და აქლემნი საქურკლეთა ზიდვითა. ვითა თუით მისსა კელმწიფობასა ჰხედებოდა, ეგეთნი გაემართნეს.

უკმნა კელმწიფენი და დიდებულნი მისნი; ვინცა ქუე-სხდომასა ღირს იყვნეს, ქუე დასხნეს, და სხუანი რომელნიმე—ზეადგნეს თავსა, კელთა არგნისა მქონებელნი. დედოფალნი და ხათუნნი აწუვიენეს, საპატიოდ დასხნეს. მოასხნეს მრავალფერნი და კარგნი მუტრიბნი, ცალკერდ და ცალკერდ იმღერდიან, ვარდისა მიჯნურნი ვარდსა ზედან დასქიკიკებდიან და მუტრიბთა შეუკმობდიან. დასხდეს მზისა და მთუარისა მსგავსნი კელმწიფეთა ცოლნი და ხათუნნი. და ჰქონდა დედათა ორი, ლალისა მსგავსი, ფერი, შუენიერი: ერთი—პირისა და ერთი ღუინისა. დააკუმვიეს ალვა, მუშკი და ამბარი და მათ სურნელთა ეგზომ დიდი კუამლი შეიქმნა, ვითა ღრუბელი, და ფერი—ვითა მათ ხათუნთა თმა. დავლა და ბედი, ლარი და საქურკლე მათი მთისაგან უმძიმესი იყო, და შექირავება ბზისაგან უსუბუქე. და ყოვლისა ქუეყანისა დედანი ქურეთად მოვიდეს, მათადლა სძლისა ქურეთად. ახალ სძლისაგანცა უკეკლუცენიცა იყვნეს, მათისა შოვინისათუისცა მრავალი სისხლი დაღურდილ იყო. იყო შაპრო მაძდუხტ ადრაბადაგანელი, მანოშ მაძფაიქარ გურგანელი, ნასლაქით დეჰისტანელი, დინირგეს და ზარნიგეს მთის-ძირელნი; შირინი და გურგესი ასპანელი, ორნი მზისებრნი კეკლუცნი; აბანოზი და აბანოედ—ორნი კეკლუცნი ქალნი მწიგნობართა ასულნი; ჯულაბი და იასამან—ვაზირისა ასულნი; შაქარლაბ და აბანოშ ერაცელი; მონაზი, ადრაგუნი და გულგუნი შირაზელნი, შაინამ და საიბლა — შაჰი მოაბადის ცოლნი. იყვნეს: ჩინელნი, თურქნი, ბარბარელნი, ბერძენნი, აზნაურისა ასულნი. ამა დედოფალთა [თანა] ხათუნ-ხუარაზმი იყო. ყუელა ერთმანერთისაგან უკეკლუცე იყო. მათი ქება არავისგან მიიწთომვის, პირად და ტანად ყოვლითურთ სრულნი და უკლებნი იყვნეს და ყუელა სხდა შაჰი მოაბადის წინაშე.

იყო კელმწიფე შაჰი მოაბად დედათა მოყუარული, უჭურეტდა, იხარებდა და გასცემდა, და მუტრიბთა ამღერებდა; ზოგთა ასპარეზთა აცემინებდა, ზოგთა შუბითა ამღერებდა და კეკლუცთა ქალთა შუშპართა აქნედა.

კუირასა ერთსა გაიხარნა დიდითა სიხარულითა. რაცა მის სუმისა და სიხარულისა მეჯლიშში თუალი, მარგალიტი და საქურკლე იყო, ყუელა გასცა. აავსო დიდი და პატარა, არავინ დარჩა იქ უშოვარი. ამაზედა პირშუენვარემან შაპრომ მოციინარის პირითა ზმა უთხრა შაჰი მოაბადს. რა ესე ესმა შაპროსაგან შაჰი მოაბადს, ეგრე არქუა:

„ჰე ვარდო, მოცინარედ მოუბარო! მიწყითმცა მზიარულად გნახე! რათგან სიბერისა ჟამსა ასეთი გულისა წამლებელი ხარ, ნეტარ სიყრმისა ჟამსა ვითარი ყოფილ ხარ? რათგან ვარდისაებრ ნახევარ-დამქნარი ესეთი ხარ, წინას მნახველთა შენთა სიცოცხლე ანუ გონება ვით ჰქონებია! აწ რათგან გული დამიბნელე და უიმედო მყავ, ბარე შენისა გუარისაგან ნუ კიდევან-მიქმ; ასული შენი შემრთე, რომელ ნაყოფი თესლისაებრ იქმნას, და ასული შენი შენებრვე არს. ბელი ჩემი და წალმართი მაშინ უფრო სანატრელი იქმნების, რა შენისა გუარისა, შენებრივე მზე, ჩემსა სრასა შინა ნათობდეს, და თუ ეპპოვებ მიწისა მზესა, არ ვეძებ ცისა მზესა!“

პასუხად ეგრე არქუა შაპრო შეუენვარემან:

„ჰე კელმწიფეთა უკელმწიფესო! შენისა სიძობისაგან უკეთესი ჩუნ არა წაგუეკიდების, თუმცა ღმერთი მწყალობდა და ასული შესუა; გარნა, შენმან მზემან, მე ასული არა მივის, და თუმცა მესუა, მოგაკსენებდი. აქამდინ მე ქალი არა მიშობია და თუ აწ მომეცეს, უღონიოდ თქუენ მოგაკსენებ“.

ბერმე შაპი მოაბად აფიცა:

„შემომფიცე, რომელ თუ ასული მოგეცეს, ჩემგან კიდე არავის შერთო!“

მათითა საფიცითა ყარანის ცოლმან და ვიროს დედამან მტკიცედ ესე შეჰფიცა:

„თუ ქალი-შვილი მომეცეს, შენ შეგროთ და შენი ცოლი არი!“

შაპროს ქაბოი ყარან იყო. მაგრა შაპრო უფრო გუარიანი იყო ყარანისაგან. ჯიმშედ მეფე, რომელ ადამს აქათ მეხუთე კელმწიფე ყოფილა, შაპრო მისი ნატამალი იყო.

მუშკი ვარდისა წყლითა შეზილეს და მით საფიცი წიგნი დაწერეს და პაემანი შეუქმნეს ერთმანერთსა: „შაპროს ასული მიეცეს, — შაპი მოაბადის ცოლი იყოს“.

ნახელა თუ რა კირი ნახეს ორთავე: მან უშობელი შეირთო, და დედამან უშობელი გაათხოვა.

ჰუ ქუ მათი — განგება ღმრთისა და შეგონება:

საწუთროისა საქმე და მუხთლობა დაუთუალავია; საწუთრო ასრე ნასკუითა შეჰკრავს, რომელ ათასი ცნობა და გონება იყოს, ველარ გაქსნის. აგრე გამიჯნურდა შაპი მოაბად, რომელ უშობელსა შეირთვიდა.

შეგონება: ცნობამან ესე ხუაშიადი მისისა გულისაგან [არ] გამოაცხადა, რომელ დედისაგან მისი ფათერაკი იშობებოდა.



ა ორთავე დაასკუნეს, საფიცი წიგნი და სიმტკიცე მზახობისათვის მისცეს, საწუთრომან დაიწყო მისებურად ზღათვა, საკუირველებსა ზედა საკუირველებისა მომატება.

მათსა პაემანსა ზედა გარდაიარა მრავალი წელიწადი და ყოველსა კაცსა დაავიწყდა; მათი ამბავი დაძულდა, მათი საქმე აღარავის მოეგონებოდა. ამაზედა მოესმა შაჰი მოაბადს დაორსულება მეოცდაათესა წელსა შაჰროსი მის ძეირფასითა მარგალიტითა. რა ცხრა თუე გარდავიდა, მისგან გამოვიდა ელვარე მთუარე. არ მუტეული იყო, გარნა აღმოსავლეთი იყო, და მისგან გამოვიდა მნათობი მზე. ესეთი ასული შობა შაჰრომან, რომელ მისითა შობითა ბნელი ღამე ნათლად შეიქმნა. გარდაიკადეს ქეობა და დაარქუეს მას მნათობსა სახელი ვის. და მაშინვე მიაბარეს კაი გუარიანს გამდელსა გასაზრდელად.

ესუა მოაბად კელმწიფესა ძმა, სახელად რამინ, ვისისავე ჟამთა შიგან დაბადებული. უყუარდა მოაბად მეფესა შვილად და წალმართად მას ჰხედვიდა. და საზრდელად ხუზისტანსავე გამოგზავნა ჰაერისა და ქუეყანისა სიკეთისათვის. ვისი და იგი ერთსა ქუეყანასა შიგან იზრდებოდეს, ვითა ერთსა ბალსა შიგან ორნი ყუაილნი—ადრაგუნი და ნასრანი.

ვინ იცოდა, თუ ამათი საქმე სად მიაწევს! რა არს ესე, ანუ ჟამი წინა, ანუ რას მიუღებს!? ვინ მოისმინნეს ესე ამბავნი, ცნეს სოფლისა ამის აუგნი, უხანობა და მუხთლობა, რომელ არცა ჰირსა, არცა ლხინსა არავის გაუსრულებს. მისი ჰირი და ლხინი წამ-ერთ არის. ცოტასა ყმასა ჰგავს, სხუითა გაიცინებს და მოგუტეგმს რასმე; ატირდების, და რაცა მოეცეს კელთავე, მოგთხოვს. ვის-რამინს ყუედრება არ უნდა, მით რომელ ღმრთისა განგებისა გზა სიბრძნითა არ შეიკრვის.

ესე რამინ იზრდებოდა და, რა მოიწიფა, ამას იტყოდეს: არა არს პირსა ქუეყანისასა რამინისებრიო. ქება გაგაგონო, რომელ ენაგონება კეთილ-მთქუმელი უკლებობათა თანა ცოტა რამე გამოეჩინო: სახე უმსგავსოდ ტურფა ჰქონდა ყოვლისა თანა საკამსოდ; პირად მზესა ჰგუნდა, თულ-წარბ შავი, თმანი მდიდარნი და გრუზნი, შავნი წუერნი—მერცხლის ბოლო; ტანად საზომიერი, ერთი მისებრი არცა მხატვართაგან დაისახოდა; ძალად და გულად ვითა ლომი, სიფიცხედ ვეფხისაგანცა უფიცხესი; ცხენოსანი, მონადირე, მონავარდე, მოქადრაკე, მზიარული, საწადისი, ძალისა კმისა ყუელასი უებროდ მცოდნელი იყო; მშუილდა მისსა ვერვინ მოჰზიდვიდა, შუბითა და ასპარეზითა მისებრ ვერავინ იმღერდის, ესრე რომელ ქურეტასა მისსა შეექციან; მის გუერდით მომღერალნი და მსუმელნი არად გამოჩნდიან; ანას ყუელასა ზედა, წყალ-ჯავარი თუ სთქუა, იმასა აქუს ყოვლისა სოფლისაო. არცა ვინ მათ ეამთა შიგა მისი შემბმელი კაცი იპოვებოდა. მისისა მნახველისა ჯალაბი ესეთი შეიქმნის, რომელ იგი მიდამო ველი და ფოლორცნი ველარ იტევდიან და ყუელა კელ-აპყრობით მისსა მზეგრძელობასა ღმრთისაგან ითხოვდიან. რა რამინის ესეთი მოწიფება ესმა შაჰი მოაბადს, ვითა მართალი იყო, იგრე გაეხარნეს, ღმერთსა მადლი მისცა და გლახათა ზედა დია გასცა. გამოგზავნა საპატრიონი დიდებულნი ხუზისტანს და წაიყვანეს შაჰი მოაბადის ძმა რამინ, და მას წინაშე მარაეს მივიდეს.

აქა ვისის ძიძისა წიგნი შაჰროს, ვისის



დედას თანა, მიწეწილი

იუწერა, ვითა: „ესე მიკუირს, მუცლითგან რომელ რა გიშობია და ჩემდა საზრდოდ მოგიცემია, არცა გინახავს, არცა გიკითხავს და არცა ჩემად რა გიბოძებია. არცა ძიძისა მისსა მოიგონებ, არცა საყუარელსა შეილსა ექცევი და არცა უებროისა პირისა მისისაგან იქადიო? ვითა ეგების ესეთი გულ-ქვიანობა, რომელ ესე დაივიწყეო

რა გიშობია და ჩემად მოგიცემია, მისსა შესაფერსა აღარას ღირსსა ქცეულ ხარ. აწ გაზრდილა მრავლითა ნებიერობითა და შავარდნისა მართუესა ამაღლება დაუწყია. აწ ამისა მეშინიან, ესრე ამაღლდეს, რომელ ესე ბუდე აღარა მოეწონოს, ანუ წავიდეს სადმე და თავისაებრი ძებნოს. უებრობა და სიმარტოე ძნელია.

მრავლითა ნაზობითა გამიზრდია და აწ ჩუენი აღარცა ტანისამოსი მოეწონების, არცა სასუმიდ-საქამადი, თუმცა ყუელა თანაშეწევნითა ღმრთისაითა ჩუენ გუაქუს, გარნა ამის ნებიარობასა ჩუენი ძალი ვერ გასძლებს. რაზომცა უსწორო ტანისამოსი შეუეკერო, სამოცსა ფერსა აუგსა დასდებს: ყუითელი თუ მივართო, ამას იტყუის, ეგე სნეულთა სამოსია; თუ წითელი მოვილო, ესე საბოზოაო; ლურჯი — მგლოვიარეთა ჰვერობსო; თეთრსა — ბერთა სამოსად იტყუის და ორფერსა — მწიგნობართად. | რა ღილასა გაილუიძოს, მონათა და მკეველთა ითხოვს სამსახურად და ჰარირისა ტანისამოსსა; რა შუადლე იქმნას, ოქროქსოვილსა ითხოვს და საღამოდ ოქსინოსა, წამსა და წამსა თუითოფერსა ითხოვს და ათასსა მანავსა ხარასა. პურისა ჰამისა ჟამი იყოს, ჟამსა და უჟამოსა ოქროისა ჯამ-ტაბაკითა მოითხოვს მკეველთა კეკლუტთა და მონათა სამსახურად, ორმოცდაათ-ორმოც-

დაათსა ოქროისა სარტყლითა და ატლას-ოქსინოითა მოსილსა; ნადიმად ოთხმოცი ქალი გუარიანი კეკლუცი მოუნდების, ამის უმცროსნი არ მინდაო.

მე ამის მეტად ველარ გავსძლებ მისსა ნებიარობასა და ვერცა სით შოვართომ, რასაცა მთხოვს. მე ვინ ვარ, რომელ კელმწიფისა ასულსა ვზრდიდე, ვითა მას უნდეს? აწე რა ესე წიგნი წაიკითხო, ადრე თათბირი ქენ და ქუეყანისა დამაშუენებელი შენი ასული წაიყვანე“.

არაკი: „ათისა თითისაგან ერთისა თავისა ოდენი საკპრობა არა გამოვა, არცა ათასისა მასკულავისაგან ერთისა მზისა სინათლეო“.

მისცა წიგნი თაიქსა ფარანდასა და გაგზავნა შაჰროს თანა. რა წიგნი ძიძისა მივიდა ვისისა დედას თანა და ცნა ასულისა ქება და გაზრდა, მწიგნობარსა ოქროისა თაჯი მისცა და სხუა საქონელი დიადი და ესრე გაამდიდრა, რომელ საქონელი შვილი-შვილთამდე ეყოფოდა. მერმე გაუგზავნა შაჰრო ასულსა, ვითა კელმწიფეთა წესია, ეგრე ზარიანად, მაჰრანით კუბო ოქროითა, თუალითა და მარგალიტითა შეკაზმული, მრავალნი ხოჯანი, მკეველნი, მსახურნი. ეგზომნი საქონელი და ოქრო გაუგზავნა ძიძასაცა, რომელ აქლემნი და ჯორნი საქურქლესა ქუეშე დაშურეს. და ხუზისტანისა ქუეყანიტ საყუარლად და ნებიერად ეგრე მოიყვანეს ჰამიანის ქალაქს.

აქა ხუზისტანით მოიყვანეს ვისი

ჰამიანის ქალაქისა



ა მოიყვანეს და შაჰრომან ნახა, შეილობისაგანცა უფრო საყუარელი პირი და ტანი მისი ასულისა გაიცადა. კელ-პყრობით მადლი მისცა ღმერთსა და მისითავე სახელითა შეულოცა და პირსა შეჰბერა, რომელ თუალი არ ეცესო. მგრმე გლახათა ზედაუ რიცხუი ოქრო და საქონელი გასცა და თავისა წინა ტახტსა ზედა დასუა. შაჰრო უჭურეტდა, მზესა და მას შუა საცილობელი შეექმნა, თუ რომელ რომელიაო, და ვითა მოყუარულისა მშობლისა წესია, ეგრე დაუწყო კახმა: სცხო მუშკი-ამბარი და მრავალფერი სურნელი, და შემოსნა ოქრო-ქსოვილიანნი შესამოსელნი, ალვა და მუშკი უკუმვია და ესრე შეკაზმა, ვითა მანი ჩინელისა სახე; რაზომცა უაუგო, სრული და კეკლუცი იყოს და ვინცა ნახოს, ყუელასა მოეწონოს და, რა კახნა დაუწყონ ოქროითა და მარგალიტითა, დაშუენდებისო, და ვისის ფერის მიცემისაგან ოქრო გაწითლდების.

რა დედამან ესრე შუენება-მოქარბებული ნახა ასული, ეგრე არქუა:

„ჰე ყოვლისა ქუეყანისა მაშუენებელო! შენი მამა—კელმწიფე ზუასროვი, და შენი დედა—კელმწიფე დედოფალი გუარიანი,—შენ ესეთი უებრო იყო, და მე შენი შესაფერი ქმარი მიწასა ზედა არა ვიცი; და რათგან შენი სწორი შესაფერი ქუეყანასა ზედა არავინ არის, ჩემგან უფეროსა ზედან შენი ვაცემა არ ეგების. არა რომელსა ქუეყანასა არის შენი ჯუფთი და სწორი ჩემისა ძისა ვიროსაგან კიდე. შენ ეცოლე მას და ნატამალი გაგუიმრავლე და ამა მზახობისაგან მე გამახარენ. ვიროს ცოლი იყავ—საქებარი დაი მისი,

სძალი ჩემი იყავ —შუენიერი ასული ჩემი. ჩემსა საწუთროსა ჩემთუის სისრულე და სიამე მაშინ აქუს, რა ჩემისა გულისა სანდო სანდომსა შევრთო და შევკვედრო“.

რა ესე სიტყუა ესმა ვისისა, დიდისა სირცხუილისაგან გაწითლდა და გულსა ცეცხლი ჩაეგზნა ძმისა სიყუარულისათუის და პასუხი აღარა გასცა, მინდა თუ არაო. უგრძნეს სხუათა დედათა და ვისის დედასა არქუეს, შაპროს, ვითა: სულისა დაღება ქალისაგან ნდომისანიშანი არისო. დედაძანცა შეუტყო მით, რომელ ბერი მონახული დიაცი იყო და სიყმესა მისსა იგივე საქმე წაჰკიდებოდა ქმრისა შერთვისა ეამსა.

რა დაუდასტურდა ქალისაგან ნდომა ვიროსი, მასვე წამსა უკმნა რაცა მისსა ბრძანებასა და ფარმანსა ქუეშე მუნეჯიმი და მეცნიერნი იყვნეს ჰამიანი, გორაბით და ყოველგნით, მათისა ეტლისა და საწუთროსათუის, თუ რა წაეკიდების, ანუ ვით გაიხარებენ ასული ჩემი და ძე ჩემი ვირო მათისა ქორწილისაგანო? გამოარჩივეს მუნეჯიმთა კარგი დღე და ყოველნი ერთგან დასხდეს. ძებნეს და გამოარჩივეს, ნახეს ბედი და ეტლი მისისა ასულისა ვისისა და ძისა მისისა ვიროსი და სუიანი დღე უპაემნეს. და მათსა ეტლსა და პაემანსა ზედა მივიდა შაპრო, და უკმო ქე თუისი ვირო და ასული ვისი. დარბაზსო მისსა ზედა კოშკი იყო აგებული და მას კოშკსა შიგან სხდეს სამნივე: დედა—სიდედრი, ძე—სიძე, ასული—სძალი. დედამან-დედამთილმან გამოულო ვისის კელი და ძმასა მისსა ვიროს კელსა ჩაუდვა და შეკვედრა, ვითა მათი წესი იყო, დალოცნა და ცოლად შერთო, და ეგრე არქუა:

„თქუენ არცა უცხონი ხართ და არცა უმეცარნი ერთმანერთისანი. არცა სძალსა შეკაზმა უნდა—თუით ღმერთსა შეუკაზმავს; არცა ზითევი უნდა. თქუენ ორნი ერთნი ხართ, არცა ვინ მოწამე გინდა, არცა შუამდგომელი, —ღმერთი კმა თქუენად მოწმად და ანგილოზნი მისნი“.

შეკვედრნა მან მარტომან ერთმანერთსა, დალოცნა და ეგრე უთხრა:

„ღმერთმან დაძმადებელმან განგახარნეს ერთმანერთისაგან და მრავალი თქუენი შვილი მიჩუენოს და გამაზრდევისოს, ვითა მე მინდაო“!

აქა ქორწილი ვისისა და ძმისა მისისა ვიროსი

და მოაბადის ძმისა ზარდის მოციქულად

მოსლვა



ე რა მართლად არა დანერგულ იყოს, სიმრულე მაშინვე აჩნია. ბოლოსა ჟამსა საქმე რა გაირყუნებოდეს, თავსავე ზედა გამოჩნდების.

ა რა კი: „რა ავი წელიწადი გულგვისა მოვიდოდეს, ზამთარსა შეეტყობის და დააჩნდების“.

შეგონება: „ისარი რა არმართლად მივიდოდეს, მშუილდისა მოზიდვასა შეეტყუების. რა ხესა ზედა ნაყოფი ცოტა გამოვიდოდეს, გაზაფხულ მისსა აყუავენბასა ზედა გამოჩნდების“.

აგრეთვე ვისის საქმე მასვე დღესა გამოჩნდა, სიმწარე და არსუიანობა; ამად რომელ, რა დედამან მათმან შაჰრომან კელი ერთმანერთსა ჩაუდვა და საქორწილოდ კაზმა დაუწყო და შეყრილ იყვნეს ყოვლის ქუეყანისა დიდებულნი და ლაშქარნი, და ჰურისა ჰამასა ჰლამოდეს და სუმასა და სიხარულსა, — ანაზდად მასვე წამსა ზღუისაგან შავი ღრუბელი გამოვიდა. ნათელი დღე იყო, მზიანი, ჰამო და მაშინვე, თუ სთქუა, შელამდა, ასრე დაბნელდა ქუეყანა, და ქარი დიდი ადგა და მტუერი დიდი შეიქმნა, რომელ ერთმანერთსა ველარ ჰხედვიდეს. მექორწილენი აიშალნეს და აიყარნეს.

მასვე ჟამსა გზასა ზედა მოვიდოდა კაცი შავითა შეკაზმული, შავსა ცხენსა ზედა მჯდომი, უნაგირი და აბჯარი მისნი შავივე იყო, და სახელი ზარდი იყო. და კუბო მოეტანა ისფრითა შეკაზმული და შაჰი მოაბადის წიგნი. თუცა მოციქული იყო, მაგრა ძმა და ვაზირი იყო მოაბადისა. წამოუდგა ვიროს ზედა და შაჰროს ცხენიდალმა

მისცა წიგნი დაბეჭდულ, ოქრო-ბეჭდითა. და მოციქულმან შენდობა ითხოვა ცხენითა მოდგომისათვის და ეგრე მოაკსენა:

„მე ბრძანება შაჰი მოაბადისაგან ასრე მაქუს, დღე და ღამე მივლია, არ მძინებია, მრავალი ცხენი დამიყენებია მოსწრაფებისათვისო, და სხუა წიგნმან მოვაკსენოსო“.

რა ბეჭედი აიღეს, გაკსნეს წიგნი. თუცა ჰამონი სიტყუანი ეწერნეს. შაჰრო ეგრეცა, ვითა მოკართული ვირი ტალახსა შიგან, აგრე სირცხუილისა და შეკირვებისაგან თავისა გზა-გაუღებელი დარჩა, ამით რომელ მისგან დაწერილი საფიცი მოაბადის წიგნსა შიგან იცნა, თავისა დაწერილი, და ეგზომი ფიცი, რომელ პირველ სახელი ღმრთისა, სამართლისა მოქმედისა, ეწერა, რომელ მიწყით სამართალსა იქმს და სამართალსა უბრძანებს კაცთა. ცა და ქუეყანა დაბადა სიმართლედ, ერთისა თმისოდენიცა სიმრუდე არა დაგუატანა. ვითა ქუეყანა სიმართლითა შეამყო, კაცთაგან ეგრევე მართლისა ქმნა და თქუმა ითხოვა. ვინცა სიმართლით მატებასა ეძებს, გამარჯუება მიწყით წინამძღუარ ექმნების. სიმართლისებრი ქუეყანასა ზედა არა არის, მით რომელ სიმართლისა მატებასა დაკლება არა აქუს.

„შაჰრო, მე შენგან სიმართლესა ვეძებ, რომელ მიწყით სიმართლესა იქმოდე და მართალსა ეძებდე. ჩუენ ორნივე სიყუარულისა პირსა ზედა და მზახობასა ზედა ვიფიცენით. ღმერთი და ანგელოზნი მისანი შუამდგომლად დაგუიყენებინან, და გუიფიცავს, წიგნი დაგუიწირია საფიცი,—ან რად დაივიწყე ღმერთი, აღთქუმა გამიტებე? მე შენი ასული მაშინ შემირთავს, რომელ მეოცდაათესა წელსა გიშობია. ასული ღმერთმან თუით ჩემსა ბედსა ზედა მოგცა, თუარა შენ კულა ასული არა გიშობია. აწ მე დია მზიარულად ვარ, რომელ შენ ქალი შობე. დია საქონელი გამიცემია გლახათათუის, ამით რომელ ღმერთმან შეგიწყალა და ჩემი იმედი, რომელ მისითა მოწყალეებითა გქონდა, გაასრულა.

აწე რათგან ღმერთმან ეგე მთუარე მე მიბოძა, თუ ჩემი არის, მე მანდა ყოფა აღარ მწადიან, ამით რომელ თქუენსა ქუეყანასა უფროსნი ბერნი და ყრმანი ყუელანი დედათ-მოყუარულნია; თავსა და სულსა გასწირვენ მათ ზედა; მიწყით თქუენებურნი კაცნი დედათა მალორებელნია და უკანა უდგებიან; ლამაზად კელად უჩსვე ამის ქმნა. ღმერთმან ნუ რომელსა დიაცსა უჩუენოს მაგათი პირი, რომელ მათივე ავი ზნე არ ასწავლონ. დედანი გულ-ნაზუქნი და გულ-ჩუილნი არიან და ვითაცა ვინ გაზარდოს და დააჩუიოს, აგრე დაეჩუევის, გაიზრდებიან დედანი გულ-მართლობითა, მამათა საუბარსა დაიჯერებენ და

ჰამოითა სიტყუითა თავსა მათ მისცემენ. დიაცი რაზომცა ფრთხილი და გონიერი იყოს, ეგრეცა ჰამოისა კაცისა ენითა ძაბუნი იქმნების. დედათა ფათერაკი ამით არის, რომელ ეგრე შეენვარე და კეკლუტი ვიშოვოო: „მიჯნურობისა და სიყუარულისაგან ვკუდები, დლე და ლამე ვტირი დაღრეჯილი, ვითა შმაგი და მტერიანი ვცურავ შენისა გონებისაგან. თუ არ შეგებრალეები, მოგუდები და მას საუკუნესა კალთასა მოგეიკიდები. რად არ შეგებრალეები? შენებრევე ყმა კაცი და ადამის შვილი ვარ“. ამაზედა დიაცი რაზომცა მოღმრთე და პატიოსანი იყოს, ამით, ამა სიტყუითა მოღორდების და ვერ გაიგონებს, თუ უკანის მოვიყინოო. აწე, რაზომცა ღირსი, წმიდა და პატიოსანი იყოს, ამა საქმისათუის მოშიშ ვარ, ნუ დაიჭირავ მაგას მანდა და მარავს გამომიგზავნე დაუყოვნებლად და მხიარულად.

ნუ შეიჭირვებ ზითევისა, ოქროსა, თულსა პატიოსანსა და მარგალიტსა, მით რომელ მე ეგე მინდა არ ზითვითა. მაგას ურცხუნენებურად გავზრდი და დავიჭირავ. და ყუელასა ჩემისა საჭურკლისა კლიტესა კელთა შევჰედრებ და შენცა ეგზომსა თულსა, ოქროსა და მარგალიტსა გამოგვიგზავნი, რომელ, თუ გწადდეს, ერთი ქალაქი ოქროსა ააგო და ზღუდენი თუალისანი. შენ თუით ვანალამცა საპატიოდ დავიჭირავ და თქუნს ქუეყანასა მამულობით, მორკმით და აზატად დავიწერ. ვიროს ძმისაებრ დავიჭირავ და ჩემის გუარისა ცოლსა მივსცემ და მას ეგრე ვემზახები, რომელ საუკუნემდი თქუნისა სახელისა საესენებელი იყოს“.

შაჰრომ რა ესე წაიკითხა და მისი ცოლისა ძებნა ცნა, ათროლდა და თავს ბრუ დაესხა, თავი ჩამოაგდო და ზე აღარა აიხე და სირცხუილისაგან და ყელსა იგრეხდა, ვითა დაკოდილი გუელი. შეშინდა ღმრთისაგან და მოაბადისაგანცა და გულსა შიგან ეგრე თქუა: „მე ვითა რა მიქნია? პირველ ღმერთი გამიწირავს და ფიცი გამიტეხია, და მერმე ასეთისა დიდისა კელმწიფისათუის ცოლი წამირთმევი და გამითხოვებია! ზენაარისა გამტეხი კაცი ყუელა ასრე გაწბილებული და ენადაბმული იქმნების, ვითა აწ მე ვარ დაღრეჯილი და უქკუო!“

რა ვისმან შემოხედა და თავისა დედა ნახა ათროლდებული და გაყუითლებული, გაუწყრა დედასა და ეგრე უთხრა:

„ნეტარ აგეთი რა წაგეკიდა, რომელ ფერი წაგსლვია და გული აღარ გიცს, ან ღმერთმან ეგრე ცნობა ვითა წარგილო, რომელ წახუედ და უშობელი ასული გაათხოვე? ცნობილსა კაცსა შენი ნაქმარი არ მოეწონების. კამს, რომელ ყოველი კაცი შენ ზედა იციწოდეს“.

მერმე ზარდის, მოციქულსა, ძმასა და ვაზირსა შაჰი მოაბადისასა, ეგრე არქუა ვითა: „შენ სით მოხუალ, სახელი და გუარი შენი რა არსო?“

ზარდმან ეგრე უთხრა:

„მე ნატამალი ვარ შაჰი მოაბადისი, მას წინაშე საპატიო ვარ და, სადაცა მივიდოდეს, წინამძღუარი მე ვარ მისთა ლაშქართა; სახელად ზარდი მქუიანო“.

რა ვისმან მოისმინა მისგან პასუხი, გული გაუფიცხდა და ეგრე არქუა:

„ყუთიელმცა არის, ვის გამოუგზავნიხარო, ეგ ზოჲ საკუირველი და მაგალითი. ეგე თქუენი წესი არის საძაგელი და მოსაყინებელი, რომელ გათხოვილსა ცოლსა შეირთავთ. ბრმა ხარ, ვერ ჰხედავ მაემანსა და სმასა ქორწილისასა, რომელ მუტრიბთა მღერა და კმა ცად გაიწევის და ყოვლისა ქუეყანისა დიდებულნი, აზნაურნი და ლაშქარნი აჲა შეყრილან? დარბაზი ასრე შეკაზმულია, და ყოველი კაცი ამას გუილოცავს: სუიანმცა არის ესე ქორწილი, რომელ სძალი ასული არის და სიძე—ძე. აწ რა ესე ჩუენი ქორწილი ნახე და მუტრიბთა კმა გესმა, და სიძისა და სძლისა ქება მუტრიბთაგან მოისმინე,—რად არა შეიქეც? აწ სით წამოსულ ხარ, მუნევე წაედ და ჩემითა იმედითა კულა ნუ მოხუალ, მით რომელ შენისა იმედისა კელი ჩემისა წაყუენებისათუის დია მოკლე არის. ნუცა წიგნითა და ქადილითა გუაშინებთ; თქუენი ქადილი, წიგნი და ქარი ჩუენ სწორად გუიხს. აჲა რალასა სდგახარ? ასრეა. ჩემი ძმა და ქმარი ვირო აწვე ნადირობით მოვა, გნახავს და მე დამემღურეების და შენ დაგემტერების. აღრე წადი, რომელ არცა მღურვა იყოს და არცა მტერობა. მაგრა ჩემაგიერ ეგრე მოაკსენე მოაბადს, ვითა შენებრ ფრთხილი არავინ ეგების, სიბერისაგან ტუინი წაგსლვია და შენისა დარჩომისა დღე გარდასრულა. დამპალო ბერო! თუმცა ყოლა ცნობა გქონდა, სიბერისა ჟამსა არ ესე გმარაეებს, რომელ შენ ბერი გარდასრული ყრმასა ცოლსა ეცილებოდე. თუმცა კაცი იყავ, საუკუნოსა საგზალსამცა იურვოდი სიბერესა, არა ყრმასა ცოლსა. ჩემი ქმარი ვირო არის ლომი ახალმოწიფული და შაჰრო დედა ჩემი. მე ვირე აჲა ამას თანა ვიყო, მარაგი და მოაბადი გუიანად მომაგონდების. ვირემდი ვირო ჩემი გუერცა მწოლია, ჩემი თავი და პატრონია, მოაბადს და მარავს გუიანად დავჰნატრდები“.

ჰუ ქუ მათი: „ვირე მაქუს ნაძუი ნაყოფიანი, არ ვეძებ ანწლსა მყრალსა, დამპალსა და დამჰნარსა“.

„ლარიზობისა დამთმო მისი გული არის, ვისიცა საქნე შინათ გაუმართავ-მორკმული იყოს. მე, ვითა ჩემი სიცოცხლე, მიყუარს ჩემი ვირო, და ვითა თუალი, არ გამეშუების ჩემი შაჰრო. ამათ დავემორჩილები, ვითა შაჰარი შევეტკობი, არ მომინდების ლარიზობასა შიგან ბერი მოაბადლო“.

რა ესე სიტყუა მოისმინა ზარდმან ვისისაგან, მასვე წამსა პირი მარავისაჲენ ქმნა და ცხენსა მათრაჲი ჰკრა. ასრე ფიცხლად წავიდა, რომელ მტურესა მისსა ნიაჲი ვერ მიეწევოდა. დღე და ღამე იარა. მოაბად მიელოდა და აგრე თქუის: „ნეტარ აწ ჩემი ზარდის საღ არის, ნეტარ აწ რა უქმნიაო?“ ჰქონდა თუალი და ყური ზარდის გზისაჲენ. ანაზღად მტურერი გამოჩნდა, გამოვიდა ზარდი მტურისაგან აღშფოთებული და მაშურალი. გახელებულ იყო, რომელ სიკუშტითა ავსა კარგისაგან ვერ გამოარჩევდა. მასვე წამსა მოვიდა და მოეგება მოაბად ზარდსა. ეგრე არქუა:

„ზარდო, ლომი ხარ ანუ მელიო?“

„ზარდი ცხენიდაღმა გარდაკდა, თაყუანისცა და მას წინაშე მიწასა აკოცა; ეგრე მოაკუნა:“

„ღმერთმან ბევრ-წელ გყოს, ღმრთისაგან და ბედისაგანცა მხიარულნი ხართო და თქუენი მტერნი თქუენითა კრმლითა მოკლულნი და დამონებულნი! და მიწყვიცა მათსა ქუეყანასა პურ-ძუირობა და სეტყუა, მათიმც ქარი ჰირისა, და მთუარე ბოროტისა, და მზე მათი სიკუდილისა, და ღრუბელი უწუიმო, და მათი მიწა უნაყოფო! მივედ და ვნახე მათი ქუეყანა შემკობილი და შეკაზმული, ვითა სამოთხე, და ყოვლისა ქუეყანისა დიდებულნი ლომნი ქაბუქნი და მათი ცოლები, ვითა მზე და მთუარე; და სიკეკლუცითა მათი დარბაზი ესრე შეკაზმული იყო, ვითა ცა მასკულავითა, და ვისი მათ შუა ჯდა დედოფალი, ვითა მასკულავთა შუა მთუარე გავსილი. ჰქონდა ქორწილი და სიხარული, რომელ ერთიცა კაცი მათსა ქუეყანასა შიგან არა იყო დაღრეჯილი, ყუელა მხიარული და მოცინარე. ამღერებდეს მუტრიბთა და მგოსანთა კმა-მალლად ჰამოითა კმითა. და მე, თქუენმან კეთილმან მზემან, მათი ქორწილი ზრუნვად მიჩნდა და მათი სიმღერა მოთქუმად და ტირილად. მისისა სიძობისაგან თქუენი სახელი და ნატრა ოდენ დაგრჩომია. და ვისის გუერდით სხუა ვინმე ზის და მისგან სხუა ვინმე გაიხარებს. რუ სთხარეთ, კირი თქუენ ნახეთ, მაგრა წყალს სხუანი ვინმე სმენო“.

არაკი: „ღიდი და მცირე სწორად უჩს უმეცარსა, ვითა ბრმისა თუალსა დღე და ღამე სწორი არის“.

„ამად უქმნია მათ ესე შეუწონელი საქმე, რომელ თქუენგანცა მათ არა შინებოდა. მაგრა ვირემდინ მათ თქუენგან ავი არ წაეკი-

დების და არ გარდააკდევთ, ჩუენ მათგან აუგსა და მოყიენებასა შიგან ვართ, რომელთაცა უხუცესი და უფროსი ვიროა სირეგუნითა და ამპარტაენობითა. ეგრე ჰგონია, თუ წურილნი მთანი მე დამიბადე-ბიანო, და მუნ თავისა სახელი შაჰი უკმია, და შაჰი კელმწიფესა ჰქუიანო. ზოგნი მუნებურნი თუით თქუენ არ გიცნობენ და ყოვლი-სა ქუეყანისა პატრონი ვირო ჰგონია, და არცა თუით სხუა კელმწი-ფე ჰგონია. თქუენ ზოგნი დამპალობით გიყვიან, ზოგნი მოაბად-ყოფილობით“.

რა ესე ამბავი მოაკსენა შაჰი მოაბადს ზარდმან, გაყუითლდა პირი მეფისა და გაწყრა. პირსა მისსა, ძოწისა მსგავსსა, ზაფრანის ფერი დაედვა წყრომისა და სიმძიმისაგან; მტერობისა და ჯავრი-საგან ათრთოლდა, ვითა ქარისაგან ძეწნი და ვითა წყლისაგან მზისა შუქი. ჰკითხა ძმისა:

„ესე რომელ მიამბობ, შენ გინახავს შენისა თუალითა ანუ ყუ-რითა მოგისმენია სხუაგან? იგი მითხარ, რაცა გენახოს, და არ იგი, რაცა გასმიოდესო“.

ჰუქუ მათი: „ამბავი დასტურს არა ჰგავს და არცა ნახვა—საეჭუსა“.

„ნასმენსა ნურას მითხრობ და რაცა ცხადად გინახავს, იგი მიამბეო“.

ძმამან ეგრე მოაკსენა:

„მაღალო კელმწიფეო! მე არა იგი ვარ, რომელ რაცა არ მენახოს, მოგაკსენებდე და მეტსა ემოუბარობდე. ჩემითა თუა-ლითა მინახავს, რაცა მომიკსენებია, და ყურითა ჩემითა ნასმენი თქუენგან დია დამიმაღავსო. აქამდი შაჰრო ჩემად დედად მიჩნდა, და აგრეთვე ვირო ჩემად ძმად. და თუალნი არ მისხენ მათნი შესა-ხედავნი, მით რომელ თქუენითა გზითა ემტერები. თავსა და ტანსა ჩემსა სული არ მოუენდების, თუ გულსა ჩემსა თქუენი სიყუარული და მონობა მოაკლდეს. თუ მიბრძანებ და გწადიან, შემოგფიციავ ღმრთი-თა და მზითა თქუენითა, რომელ ქორწილი თავისა თუალითა მინა-ხავს; მაგრა მუნ არცა მიჰამია და არცა მისუამს, მით რომელ მათი აწინდელი სუმა, სიხარული და სიმღერა მე ჩემად ომად მიჩნდა; და მათი სამოთხისაებრი შეკაზმული დარბაზი მე, თქუენმან მზემან და კეთილმან, ბნელად საკნად მიჩნდა; მუტრიბთა კმა წყენისაგან გინე-ბად შემესმოდა. და მე რაცა მინახავს, იგი მომიკსენებია და თქუენ ვითალა ბრძანოთ და გამოარჩიოთ. ჩუენ მონანი და მიწანი ვართ, მბრძანებლობისა თქუენისა მომსმენელნი და მიმყოლნიო“.

რა მეორედ მოდასტურებით ესე ამბავი ესმა შაჰი მოაბადს, მოემატა ზურგსა შეკირვებისა ტუირთი ტუირთსა ზედა. ზოგჯერ,

ვითა გუელი თავ-დანაყოლი, იღულაქნებოდა და ზოგჯერ ტკბილისა ქურისაებრ გული აუღულდებოდა.

დიდებულნი, ვინცა მას წინაშე იყენეს, შექორევებითა ყუელანი კბილითა იღრქენდეს და იტყოდეს: „შაპრომან ვით იკადრა ესე, რომელ ეგ ზომ დიდისა კელმწიფისა ცოლი სხუასა კაცსა შერთო, ანუ თუით ვირო შემართა შერთვაო?!“ სჩურჩუნიდეს ერთმანერთსა დიდებულნი.

შეიქმნა ლაშქართა შიგან საუბრად ვითა: „აქათგან აოკრდების შაპროს, ყარანის და ვიროს სახლი, აქათგან აღარ ნათობს მათსა ქუეყანასა მზე და მთუარე. აწ ასრე მოსძულდეს შაპროს ვირო, რომელ მესისხლედ უჩნდეს, აღარა შეილადო. დაეცა თუალი ყარანისი და შაპროს სახლისა და საყოფელისაო“. და ჰქონდაყე ხუაშიადი მოაბადისი დიდებულთა და იტყოდეს: „არ მათი ოდენ აოკრდებოდენ სახლი და საცხოვრებელი, მაგრა მრავალი დიაცი სხუაცა დაქურიდების. შაპი მოაბადის წყრომა მათ ესრე დასწუავს, რომელ ბტუერი და ნაცარიცა აღარა დარჩეს მათიო. აგეთი ღრუბელი დადგეს მათსა ქუეყანასა ზედა, რომელ მისისა წუიმისა ლუარი სიკუდილი იყოს. მუნ ეტიკმან იყივლა ღმრთისა განგებისაგან მათ ზედა, ვითა „ვაამანის საქონელი—ვაამანისა არისო“. ფათერაკისა წუიმა მივა მათსა ქუეყანასა. ნეტარძი ვინცა არ ახლავს მათ! მრავალი სისხლი დულს მათთა ასოთა შიგან და მრავალსა უფეთქს გულიო“.

ესეგუარსა რასმე უბნობდეს ერთმანერთსა თანა მოაბადის დიდებულნი და ლაშქარნი. და მოაბადის გული საგონებელისა ცეცხლითა იწოდა და ვერ დაიდგმიდა ადგილსა. და უკმნა მასვე წამსა მწიგნობარნი და გულისაგან ნავლისაებრი სიტყუა ამოყარა. და მიუწერა ყოვლგან ყოველთა კელმწიფეთა და დიდებულთა წიგნი, და შესჩივლა შაპროსაგან, ვითა რჯული დაადგო შაპრომან და ზენაარი გატეხაო.

და გაგზავნილნი წავიდეს ქარისაგან უფიცხესად ყოველგან [და იტყოდეს] ვითა: „შევიყრებით, შევეკაზმებით მათ ზედა მისავლადო ტაბარისტანით, ჯორჯანით, დეისტანით, ხუარაზმით, ხორასანით, ქოისტანით, სინდით, ჰინდოეთით, თობითიო, ჩინით, მაჩინით, სულდით და თურანითაო“. ამაზედა მარავის მინდორი ესრე გაკლა ლაშქრისაგან, რომელ საუკუნოისა განკითხვისა დღესა ჰკუნდა კაცი-სა სიმრავლითა და ზარითა.

აქა შაჰი მოაბადისაგან საომრად

კამართვა ვიროსედა



ნა ვირომან ამბავი შაჰი მოაბადისი, ვითა მასცა ემტერების და შაპროსაცა, და ყოვლისა ქუეყანისა დიდებულნი და ლაშქარი მივიდეს მისსა და შეყრილნი; ვიროსასცა მრავალნი სახელოანნი აზნაურნი საქორწილოდ მისრულ იყვნეს: აღრაბადაგანელნი, რაელნი, გელანელნი, ხუზისტანელნი, ასტაბახრელნი, ასპანელნი. ესე ყოველნი დიდებულნი ამა ქუეყანათა პატრონნი ვიროსასა იყვნეს სტუმრად და ამათი ცოლები შაპროსასა იყვნეს. ჰქონდა სიხარული და სუმა.

რა მოაბადისა ამბავი მიესმა და შეყრა ცნეს, დიდებულთა ყუელამან წიგნები გაგზავნეს და თავის-თავისი ლაშქარი უკმეს. და ეგზომი ლაშქარი შეიყარა ვირომან სხუა, რომელ მინდორი და ველი ვერ იტევდეს. ყოვლისა ქუეყანისა კაბუკნი მივიდეს ქუეითი; დელამი და არაბი ცხენოსანი ეგზომი შეიყარა მისსა, რომელ ქუიშისაგანცა უმრავლეს იყვნეს; და ყოვლით ქუეყნით ბერი-კაცები, მონახულნი და მეცნიერნი ომისანი, მოიყვანნა. შეიკაზმნა ლაშქარნი, წინამავალნი ლაშქართა მისთანი გააჩინნა ვირომან.

მუნით აგრევე შაჰი მოაბად შეკაზმნა ლაშქარნი და გამოემართა მარავით. რა მისთა ლაშქართა სიარული დაიწყეს, მიწამან ძრვა დაიწყო მათ ქუეშე სიმძიმითა მათითა და სიმრავლითა; მათი მტუერი ასრე ამალდა, რომელ ჰგუნდა თუ მთვარე და მტუერი ხუაშიადასა იტყუიან; ერთგან ლაშქარნი მისნი მტურესა შიგან ასრე ჩნდეს, ვითა თხელსა ღრუბელსა ზედათ მასკულავნი; ესეთი ლუარი

მოვიდოდა ხორასნით, რომელ შზე და მთუარე მისითა შიშითა ცასა ზედან დამალულ იყვნეს. ეგზომ ჯავრით მოდიოდეს მოაბადის ლაშქარნი, რომელ მთა მინდორად შეეკმნა და მინდორი მთად. ასრე ძოდოდეს ლაშქარნი აღშფოთებულნი და კელმწიფე გულ-მწყრალი. ორნივე ლაშქარნი დაეპირისპირნეს ერთმანერთსა და კაბუკნი გულოანნი აღშფოთებულ იყვნეს, ვითა დიდისა და ძლიერისა ქარისაგან ზღუა.

აქა ომი მახვი მოაბადისი და ვიროსი

ღიაღი



ა აღმოსავლეთით გამოვიდა მზე, რომლისა ვაზირია მთუარე და საჯდომი ცა, დილასა ადრე ორთავე ლაშქართა რაზმი აწყუეს და ორთა კელმწიფეთა წინაშე ორთავე ლაშქართა მოდენა დაიწყეს ომად და გასაჩუენებელად. ორგნითვე დაიწყეს ცემა ქოსთა და ყუირილი ბუკთა და ყუიროსტუირთა; კმა იყო, თუ სთქუა, ეშმათა კმა არისო, რომელ ვისცა იგი კმა ესმა, ყუელა ერთმანერთსა დაემტერა მისითა მოსმენითა. იყო ეგეთი ზარი, რომელ ძუელნი მკუდარნი, მიწა-ქმნილნიცა, ათრთოლდებოდეს მიწასა შიგან მათითა შიშითა.

შეუტევეს ერთმანერთსა და მათი შეტევება ჰგუანდა შემოდგონათა ქართა, რომელ ხეთაგან ფურცელთა ჩამოჰყრის. ორი ეგზომი მათისა შეტევებისაგან შეკაზმული კაცი ჩამოიჭრა და ორგნითვე ქოსი და ბუკი ამას ყუიროდა: „ისწრაფეთო, ჰე სულისა წამლებელნო!“ იცოდა თურე ბუკმან მათი სიკუდილი, წინასვე მათ ზედა მით ტიროდა. და მეომართა კელთა შიგან მახუილი კრმლები იცინოდა ელვისაებრ, მათსავე სულსა ზედა. გულოანნი მინდორთა შიგან ლომთაებრ იყენეს და მათთა შიგან ფიცხელისა ვეფხისაებრ იყენეს, და რომელიცა მათ შუა ცნობილი კაცები იყო, ომსა შიგან იგინიცა გახელებულ იყენეს, უცილოდ შმაგნი და მტერიანნი იყენეს, რომელ არცა ცეცხლისაგან ეშინოდა და არცა წყლისაგან; არცა კრმლისა, შუბისა, ლახტისა და ისრისაგან, არცა ლომთა და პილოთაგან. მას ომსა შიგან ეგეთი ჰაბუკები იყენეს, რომელ სახელისათუის ტკბილნი სულნი გაეწირნეს და სიკუდილისაგან არ ეშინოდა. აუგსა და გაქცევას ეკრძალოდეს. ჰაერი ტყესა ჰგუანდა შუბისა და

დროშისა სიმრავლითა, ქუეყანა ნაძვისა ტყესა ჰგუნდა მრავალფერისა დროშისაგან; ზოგსა ზედან ლომი ზის, ზოგსა ფარშამანგი, ზოგსა არწივი და ზოგსა ორბი. მიწა ერთობითა მტუერ-ქმნილ იყო, ცად გასრულ იყო და ლაშქარსავე თავსა ჩამოსდიოდა. მრავალი ყრმა კაცი დაბერებულ იყვის და შავი ცხენი გაქარმაგებულ იყვის. ჯაბანი და გულთანნი ამით გამოჩნდებოდა, რომელ ჯაბანი დაღრეჯილ იყვის და გულთანნი მხიარულ. გულთანსა პირი ბროწეულისა ყუავილსა უგუნდის და ჯაბანსა სიყუითლითა—ლრიანკალსა.

ორთავე ლაშქართა ერთმანერთსა შეუტევეს, თუ სთქუა, ორნი მთანი ბასრისანი ერთმანერთსა შეეტაკენსო. მათ შუა მოციქულად ქორათისა ისრები არწივისა ფრთოსანი, პირ-ბასრნი, მიდიოდეს და მოდიოდეს; ეგზომ საყუარელნი მოციქულნი იყენიან, რომელ გულსა შიგან დაესობოდიან და თუალთა ზედან, სხუა ადგილი არ მოეწონებოდა, და რომელსაცა სახლსა შიგან მის თანა მოციქული მივიდოდის, მის სახლისა პატრონსა და მასპინძელსა კიდე წაიყვანდის. ასრე გაძნელდა ომი, რომელ საუკუნო თუალად ნახეს ცხადად. ძმა ძმისაგან აბეზარ იქმნა და მას ჟამსა თავისა მკლავისაგან კიდე მწე და მეშუელი არავინ იყო. ვისცა მკლავი ძლიერი ჰქონდა, მოიკმარა კრმალი თავისა წადილისაებრ. მეომარნი უენოთა ჰგუნდეს, ომისა ქოსისა და ბუკისა კმისაგან სხუა არა ისმოდა. ზოგჯერ ჯაქვსა შიგან კრმალი შევიდის, ვითა წყალი, ზოგსა თუალთა შიგან ისარი შეეპარის, ვითა ძილი, ზოგსა გულსა შიგან შუბი შეეპარის, ვითა სიყუარული; ზოგსა თავსა აფთი შევიდის, ვითა ტუინი, თუ სთქუა, კრმალმან იცოდა, თუ ღმერთმან სული კაცისა ტანსა შიგან სადა დაამკუიდრა; მასვე კუალსა მახუილი შევიდის და მის კუალისაგანვე სული გამოვიდის. ღრუბელსა ჰგუნდა ლურჯსა ბასრის კრმალი, მაგრა წუიშდა და ლუარი მისი წითელი იყვის. ომსა შიგან ისარი მკერვალსა ჰგუნდა, მკერვალისაებრ შეაკერის კორცი უნაგირსა.

სალამომდინ გაუგრძელდა ორთავე ლაშქართა ომი. მას ომისა სიკვირესა შიგან ერთი ავაზად იქმნა, და ერთი ველურ თხად. საყუარელისა ვისის მამა ყარან მოკლეს მტერთა მისთა და ყარანის მიდამოსა მოკლეს სხუა დიდებული კაბუკი ასოცდაათი ვიროსი. თუ სთქუა, წუიშდა, წუიშისა ცუარი სიკუდილი იყო. ეგზომი კაცი მოკლეს, რომელ მკუდრისა გორი გორსა ზედა იდვა და მას გარეშემო დღოდეს სისხლისა ლუარნი.

-ილცრა ვირომან ნახა მამა მისი ყარან მოკლული და ეგზომი დიდებული მისსა მიდამოსა სულ-განწირული, არქუა თავისა დიდებულეჲ;

„ძმანო! გულოანთაგან ომსა შიგან სიხანტე, დუხჭირობა და აუგი არის. თქუენ არა გრცხუენიან ეგზომთა ნატამალთა თქუენთაგან, რომელ დაკოცილან და მტერთა გახარებია? ყარანისაგან არა გრცხუენიან, რომელ თეთრი წუერი მისი გაწითლებულა სისხლისაგან? და ასეთი კელმწიფე ბედითად მოკლული ძეს! ეგზომთა ლაშქართა მისთაგან სისხლისა მძებნელი არვინ არის. ჩაივსო მზე კაბუკობისა და სახელისა ძებნისა, რომელ აღარვინ სახელსა და არცავენი კაბუკობასა ეძებთ! მე ჯერეთ მისი სისხლი არ მიძებნია და მტერთა მისთა ზედა არა გამიხარებია. აწვე ზედა შელამებულა და დაბნელდების. ლაშქარნი უკუიყრებიან. თქუენ დილანდლითგან ღია კაბუკობა და ომი გარდაგიხდია და აწ მე შეუტრევებ და თქუენი გოლიათობა აწ მოიკმარეთ და მიშუელეთ მამისა ჩემისა სისხლისა ძებნასა. და ყუელა ვეშაპთა დაემსგავსენით სისხლისა ძებნითა და სიგულოვნითა. ამით რომელ ჩემსა გუარსა მე არ მოვაყიენებ. აწვე ჩემისა კრმლისაგან სიკუდილისა დღენია. თულად უჩუენებ საწუთროსა და ქუეყანასა. აუგისაგან და მოაბადის დამპალისაგან დაექსნი და ჩემისა მამისა სულსა გავახარებ მისითა სიკუდილითაო!“

რა ესე თქუა, ერთობით მისითა დიდებულითა, მონითა და ზასაგიანითა შეუტრევა, ვითა ცეცხლი მოედვა და თავ-უწვევარ ქმნა. მოაბადის ლაშქარნი მთისაგან მიმავალსა ლუარსა ჰგუანდა ჩაღმართსა შიგან, რომელ არღარაით ღონითა არ შეიფარვოდა. მათი ალერსი შუბი, კრმალი და ისარი იყო. ერთმანერათისა მოკლვისათუის მოყუარე მტერსა უარე იყო, მამა ძისაგან აბეზარ იქმნა, და ძე მამისაგან და მოყუარე მოყურისაგან. ვინცა ვის მიჰხუდის, საკლავად არ შეიწყალის. ასრე დაბნელდა, რომელ თულთა წინა აღარა ჩნდა. ძმამან ძმა მოკლა და ძამამან შვილი. შუბები შანღურსა ჰგუანდა, მწუადისა ნაცულად კაცი ვგის და მიწა სისხლისა მდინარეობითა საწნებელსა. თუ სთქუა, სიკუდილი ძლიერი ქარი იყო, რომელ კაცისა თავსა, ვითა ხისა ფურცელსა, ჩამოჰყრიდა; და მეომართა თავი ბურთსა ჰგუანდის მოედანსა შინა და მათი ტანი ტვერთა შიგან წაქცეულთა ხეთა. რა მზე ერთობ ჩაივსო, თუ სთქუა, მოაბადის ბედი ჩაივსო მზესავე თანა და საწუთრომან იმედი გარდასწყუიტა მოაბადის კელმწიფეობისაგან.

გაიქცა მოაბად ისპანისა და ხორასნისაკენ. და რა მისთა ლაშქართა იგი გაქცეული ნახეს, ყუელა გაიქცა. უფროსი მისთა ლაშქართა დაიკოცა და, თუცა არა შელამებულ იყო, ვერცა მოაბად დაექსნებოდა. მაგრა ვირო და მისთა დიდებულთა არღარა სდიევს. ეგრე ეგონა, თუ მოაბად გაიქცა და ვირე ცოცხალ იყოს, მათ ზედა არღარა ილაშქრებსო.

მისი საეკუთხე სხუაებრი იყო და ღმრთისა განგება სხუაებრი.

რა ვირომან მოაბად გაქცეული ნახა, გაიხარნა. და ჯერეთ ცხენისაგან არ გარდასულ იყო, დაესხნეს ვიროს დელამნი და გელანნი და ქიამანნი უთუალავნი, ვითა ქუიშანი, და პირუტყუთა თმა, და წუიმა და ხეთა ფურცელნი. ვიროს ლაშქარნი და თუ გარეგანნი ვინ ჰყვა უცხო, ყუელანი გაიქცნეს გელანთა და დელამთა შეუბმელნი, მით რომელ იგინი საკუირველად მრავალნი იყვნეს და მათნი პატრონნი ქაბუკობითა გამოჩენილნი. რა ვირომან ცნა მათი მოსლვა და თავისა ლაშქართა გაქცევა, ვაუკუირდა საწუთროისა საქმე, რომელ უხანო არის, მისი სიმძიმელი და სინარული ჯუფთნია, ვითა დღისა სინათლე და ლამისა სიბნელე. საწუთროსა შიგან შეჭირვება ლხინთაგან უფრო არის და ბრძენ-გონიერთა გული მისთა კელთა შიგან ძაბუნი არის. რა მოაბადს ზედა გაახარნა საწუთრომან, სხუითა მტურითა მანვე საწუთრომან დაღრიჯნა. ჯერეთ პირი ოფლიანი და მტურერიანი ედგა, და კრმალი მისი სისხლიანი ქარქაშსა არა ჩაეგო, ჩაუგებელითავე კრმლითა დელამთა მეფისა ომად მიჰმართა ცოტაითა ლაშქრითა.

რა მოაბადს ესე ამბავი ესმა, ვითა ვირო მიჰმართა დელამთა და გელანთა, მასვე წამსა გარეშემოიქცა, და რომელ სიმაშურალითა ვერ იძრვოდა, ასდენ ფიცხლად შემოიქცა, რომელ ქარი მისსა მტურერსა ვერა მიეწვოდა. და გორაბს მოვიდა ლაშქრითა, სადა ვისის სახლი და სადგომი იყო.



აქა მოაბადისაგან ვიროს ცხისის

კარქემოდგომა და ვისის საუბარი

ა ვისმან, ყოველთა კეკლუცთა პატრონმან, თავისი თავი ნახა ბადითა დაბმული, მამა მოკლული, ძმა სხუაგან ომად წარსული, დარჩა ლუიძლ-დამწუარი და გულწყლული. ფრჩხილითა პირსა იგლეჯდა, და ტირილი და ზახილი დაიწყო და მტირალი ძიძასა ეუბნებოდა:

„დღეს ლურჯსა ცასა ქუეშე და შავსა ქუეყანასა ზედა ჩემგან უფრო საბრალო და გულწყლული არავინ არისო და არ ვიცი, თუ ჩემი ჭირი ვის მოვაკენო, ანუ ჩემი ღონე ვისგან ვძებნოო; ასეთსა ჟამსა სამართალი ვის ვსთხოვო და უსამართლოს მოქმედის საწუთროსაგან ვის შევსჩივლო? თავი ჩემი ვიროს თანა ვით მივაწიო და ბერისა დამპალისა მოაბადისაგან ვით ვიკნა? რას დღესა და რაითა ეტლითა მშობა დედამან, რომელ, რა დაბადებულ ვარ, ჭირსა შიგან ყოფილ ვარ!... რად არ მოვკუედ მამისა ჩემისაგან წინათ, რომელ იგი მტერისა კელითა მოკლული ვნახე? მამა მომიკლეს, ძმა მომშორდა და დაერჩი მე ესეთი უღონო-ქმნილი, სნეული გულ-მტკივნეული. თუ ავტირდე და ვიკუნესნე, კუნესასა და ტირილსა ჩემსა არავინ მომისმენს, არცა ვინ მეშუელი-მწე და მარგებელი მიჩანს. რა შობილ ვარ, ჭირი და ფათერაკი ბოროტი დია მინახავს და წალმართისა თუით არა ვიცი რა, თუ რას ვჰნახავ. ამის უარესი არა წამეკიდების, რომელ უნებლიე კელთა მივჰხუდე ჩემსა მტერსა და მესისხლესა. თუ მოაბადს მივჰხუდები და ყოვლისა გულის ნებისაგან კიდევან ვიქმნები, მტერთა მივჰხუდები და მოყუარეთა მოვშორდებიო“.

ესეგუარსა ეუბნებოდა ვისი, კეკლუცთა დედოფალი, ძიძასა და წითელთა დაწუთა მარგალიტისებრთა ცრემლთა ლუარულებრ ადენდა.

მივიდა მას თანა მოციქული შაჰი მოაბადისი და შეთულილობა ესე ჰქონდა: „ დადევ გული, ჰე მზეთა მზეო და ყოველთა ცისა მნათობთაგან უნათლესო! ღმრთისა განგებასა ვერსით აჰკდები და რაცა ეტლსა გიწერია, მას ვერ, დაეკსნებიო. ნუ თუ გულსა საეჭუი ჩივდო, რომელ მოვერევი ღმრთისა განგებასა? თუ ღმერთმან და ბედმან ჩემმან შენი თავი მომცეს, შენ ღმრთისა განგებასა ბრძოლა არას მოგეკერძების. ღმრთისა განგება იქმნა ესე და დაიწერა შენსა თავსა ზედა. და აწ შენი ღონე დათმობისაგან კიდე არა არსო. მე შენითა გზითა მოსრულ ვარ აჰ, ამით რომელ შენისა სიყუარულისაგან თმობა არა მაქუს. თუ მემორჩილო და უნებელი ჩემი არ იყო, მე მრავალი გულის-ნება აღვისრულო, ასრე აღგავსო თუალითა პატიოსნითა და სამკაულითა ფას-დაუღებელითა, რომელ მზესა და მთუარესა ჰშურდეს შენი შუენება. ჩემისა სულისა და გულისა წამალი შენ იყავ და ჩემისა დარბაზისა და ქუეყანისა დედოფალი ნებიერი. მე შენგან ნება ამისრულდეს და ჩემგან შენ სახელი და დადება ჰქოო. ვირე ტანსა შიგან სული მედგას, შენ და სული ჩემი სწორად მიჩნდეთო.“

რა გულისა-წამლებელმან ვისმან ესე გაიგონა მოაბადისაგან შეთულილობა, — ვითამცა ყუელა თრევად და გინებად სმენოდა, — თავსა მიწა და ნაცარი ისხა, ორისავე ჯილუითა პირი და მკერდი ლილის ფერად გაიკადა, საყელონი გარდიხინა, მკერდი ბროლისა გამოუჩნდა და ასრე აშფოთდა და გახელდა, რომელ არცა მოციქულისაგან შერცხუნდა და ბაგითა, შაქრისაებრ ტკბილითა, ნავლისაებრ მწარე პასუხი შეუთულა და სიყუარულისა ნაცულად მტერობისა ლახუარი ჰკრა, და ეგრე უთხრა მოციქულსა:

„აწე ასე ავი შეთულილობა მოვისმინე, გემოდ გუელისა ზარსა ჰგავს. შენ წაედ და დამპალს მოაბადს, უტუინოსა, ეგრე უთხარ ჩემბაგიერ თუ: ფათერაკისა მოედანსა შიგან ნუ ჩაიდებ ბურთსა ჩემითა იმედითა. უსარგებლოსა ჰირსა ნუ ნახავ და შენსა საჭურკლესა ცულსა საქმესა უკანა ნუ წააგებ. შენისა საქმისაგან შენი კაცობა მიცნია და შენი ნივთიანობა შემიგნია და ნუთუ შენ ესე გეგონოს, თუ ვისის ამა ციხისაგან ცოცხალსა ჩამოვიყვანო, ანუ მოვიკელებ? ანუ დღეთა შენთა შიგან ჩემგან რას გაიხარებ? თუ ყოველთა გრძნეულთა ოსტატი შენ ხარ, ვირო ჩემი პატრონი და ქმარი არის, ნაკუთად ნაძუი და პირად მთუარე. ამა საწუთროსა შიგან შენ ჩემგან ვერას გაიხარებ და ვერცა რას მისებრსა მე ვჰნახავ. მის უკეთესი სხუა ვინ გამოვირჩიო? დღეთა შენთა შიგან შენ ჩემგან ვერას გაიხარებ, თუ უკუნისამდისცა აჰა დასდებო, მით რომელ რა ჩემისა ძმისა

ვიროსდა შეყრილ ვარ, ყოვლისა კაცისა სიყუარულისაგან აბეზარ-
 კმნილ ვარო. მე ვირე მქონდეს ნაძუი მართალი, არ ვეძებ ტირიფ-
 სა მრუდსა და თუმცა ვირო ჩემი ქმარი არ იყო და გაუთხოველი
 ვიყავ, შენი ცოლობა და სიყუარული არცა მაშინ ეგების ჩემგან,
 ამით რომელ მამა ჩემი ყარან მოჰკალ უწყალოდ და არ შეგებრალა-
 საპატიობისა და სიბერისათუის. ჩემი პატრონი, ჩემი მამა შენ მო-
 ჰკალ და აწ ჩემი ცოლად ძებნა შენგან ხელური არის. შენი ქმრობა-
 ვით მინდეს მე, რომელ ვირე სულნი მედგნენ, შენისა ნახვისაგან შე-
 კირვებული ვარ; ვიროსებრი მე არავინ მივის საწუთროსა შინა და
 შენთა საქმეთაგან და ჩემისა მგლოვიარობისაგან არცა თავი მისდა-
 მიმიცემია, აწ შენ ვით მოგცე თავი ჩემი, სიბერითა დამპალსა და
 საპყარსა? მე ამა ჩემითა სიყმაწუილითა ღმრთისაგან საუკუნოსათუის
 მეშინიან. შენ შენითა სიბერითა ღმერთსა რად დაივიწყებ? მე ტანი-
 სამოსი, თუალი, მარგალიტი, ქალაქი და ქუეყანა დია მაქუს; ღმერთ-
 სა ჩემთუის უამრავი უბოძებია ყუელას თანა. შენი არა მინდა და
 თუით, ვირე მამისა ჩემისა ყარანისა სიკუდილი მომაგონდების, მე
 თუალსა მარგალიტსა და სამკაულსა ველარას კელსა ვჰყრი და არცა
 რად მოვიკმარებ. მერმე დედოფლობა თუით სიდაღმა მშუენის, თუ
 შენი სტავრა, თუალი და მარგალიტი მომლორებს? ანუ ესე რად
 მიჩანს, რომელ მაქუს და მიკუირს რად? არამცა ჩემისა გუარისა
 შვილი ვარ? აწ ნუ ხარ ჩემგან იმედიანი, ამით რომელ შენი იმედი
 ჩემგან ნაყოფსა არ გამოიღებს. თუ სხუისა საქონელისა იმედითა სძებ-
 ნი, უიმედობისაგან დიდი უპატიობა წაგეკიდების. ჩემისა ნახვისა-
 თუის ნურად ისწრაფი, შენ ერთობ გუიანად მომიკელთებ. და თუ
 საწუთრომანცა მიმუხთლოს და უნებლივ ჩემი თავი შენ მოგცეს, ნა-
 ყოფსა ვერცა ვგრე აიღებ და არცა წამსაცა ერთსა ჩემს გუერდით
 მხიარული დასჯდები. გამორჩეული ძმა და ქმარი ჩემი რომელ არის,
 ჯერ მას ჩემგან გულის-ნება არ უპოვნია, შენ ნებასა ვით ეძებ? თუ
 მზეცა ხარ, ტანი ჩემი უზადო ძმისად არ მიმიცემია, რომელ მე და
 იგი ერთსა დედასა უშობივარ. შენ ბერსა და მოღრეკელსა ვით მოგ-
 ცემ, რომლისა კელითა ჩემი სახლი აოკრებულა? რა შენსა სახელსა
 მოვიგონებ, ავთრთოლდები. ამა სიყუარულითა შენ ჩემგან თავისა
 ნებასა ვით ეძებ? რაზომცა კელმწიფე და ნებასა ზედა მოვლენილი
 ვარ, მტერისაგან მოყურისა შექმნა არა შემიძლიაო“.

ა რ ა კ ი: „მწარისა ხისაგან მწარე ნაყოფი გამოეა.“

„თუ ჩუენცა შაქრისა წყლითა ვრწყევდეთ, მოყურობა ერთმა-
 ნეთსა არ გაერევის, მით რომელ ერთი ჭიქა არის და ერთი რკინა. სი-
 ყუარულითა მე მაშინ დაგემორჩილები, რა ქორნი და კაკაბნი ერთმან-

ერთსა დაემორჩილნენ. ამა გულითა სიყუარულისა ძებნა ნავლ-
ლისა ჰამისა სწორია, ესე შეგონება შენ გემწარების და თუ მოისმი-
ნო, მისი ნაყოფი შაქრისებრია. თუ ბრძენი ხარ, გაიგონე და დაის-
წავლე, რომელ ჩემი ნათქუამი აგრე მოგეგონოს; რა შენმან აცნო-
ბობამან ავი გიყოს, უკანის ნანვა არას გარგებსო“.

რა შაჰინშას კაცმან ესე მოისმინა, ვისისგან სიყუარულისა ნიშა-
ნი არა პოვა მას თანა. მივიდა, მისი ამბავი და გულ-გრილობა წური-
ლად მოაკსენა მოაბადს, რაცა მისგან ასმიოდა. და მოაბად კულა
უფრო გახელდა მისისა სიყუარულისაგან და შეთუღილობა მისი ყუე-
ლა უკუდავებად მოისმინა და ყოელისა საქმისაგან ესე უფრო იამა,
რომელ ვისის ეგრე ეთქუა, თუ ჯერეთ ჩემგან ძმასა გულის-ნება ვერ
უპოვნიო, და გაეხარნეს, რომელ ჩემი ცოლი ქალწულიაო.

და მათი საქმე ეგრე იქმნა, რომელ მას ლამესა, რომელსა მათი
ქორწილი იქმნა, ვირო იყო მხიარულად; ერთგან დაწოლისა ჟამსა
ღმრთისა განგებისაგან, რა ვისმან საწოლსა მიჰმართა, მასვე წამსა
ღიაცობისა საქმესა ზედა დადგა. დანალულდა ვიროს ახალ-სიძობა.
მაგრა ღონე არა ჰქონდა, მით რომელ წესი არის ცეცხლის-მსახურ-
თა, რა ღიაცი არა-წმიდა იყოს, ქმარი მისგან აბეზარ იქმნების
ჟამამდი და ურჩისებრ თანა არა დაეკარების, და თუ ღიაცმან დაუ-
მალოს, ცოლ-ქმრობისაგან გაიყრებიან. ამის მიზეზითა ერთმანერთი-
საგან კიდევან დარჩნეს. და მერმე მოაბადის ლაშქარნიცა მოვიდეს
გილანელნი და დელამნი.

რა ცნა მოაბად მისი ქალწულობა, უკუოდ შეიქმნა და ისწრაფ-
და დაუთმობლად მისისა მოკელებისათუის და ეძებდა ყოველსა ღო-
ნესა, თუ ვით გამოიყვანოს ვისი. თუცა სძალი მეტისმეტად კეკლუ-
ცი იყო, ქორწილი მოაბადისი ღია მწარე იყო, და ეგრეთვე ვიროს-
თუის მწარე იყო, რომელ გულის-ნება ვერ ეპოვნა. და საწუთრომან
ომი ომსა, ბრძოლა ბრძოლასა და ქირი ქირსა მოუმატა. ვერ გაისუ-
ენა წამი ერთი. მისსა ახალ-მოწიფულობასა შინა ეგზომი დაეკირა,
რომელ მეფობაცა დაავიწყდა. ვიროს და ეგრეთვე მისთა ლაშქართა
მისკირდა. ყუელამან თავისა სიხარული დაავიწყა, თუ სთქუა, ვი-
როს სიხარული ანთებული სანთელი იყო და ანაზღად ქარმან დაავსო.

რა დაუდასტურდა მოაბადს ვისის ქალწულობა, თავისა გზა ვე-
ლარა შეიგნა მიჯნურობისაგან.

ძმანი უსხენ მოაბადს: ერთსა რამინ ერქუა და ერთსა ზარდი-
ორნივე უკმნა, თავისა წინა დაისხნა და უამბო მათ ვისის საქმე.

რამინ სიყმაწუილითგან მიჯნური იყო-ვისისი: ოდეს ორნივე
ხუზისტანს იზრდებოდეს ძიძისასა, მაშინ ყმაწუილსავე შეყუარებო-

და ვისი, მაგრა ვერ გამოეცხადა და გულსა შინა ჰქონდა. სიყუარული მისი და სურვილი გუალვისაგან გამკმარსა ყანასა ჰგუანდა, ნაყოფისა არმოსლვისათვის იმედ-გარდაწყვეტილსა. რა მეორედ ძმისა გუერდით გორაბს მოვიდა რამინ და ვისის სახელი ესმა. კულა მოირწყო მისი მიჯნურობა, და ვითა გამკმარი ყანა წყლისაგან, გამწუნდა და რამინ იმედოვნად შეიქმნა ნაყოფისა კამისათვის. დია გაუყმა გული და დაბერებული სიყუარული ვისისათვის, გაუახლდა მიჯნურობა რამინს. ვერცალა ენამან დაუთმო უთქუმელობა და ფიცხელი სიტყუა მოაკსენა ძმასა მისსა შაპი მოაბადს.

არაკი: „ვისსცა გულსა შინა სიყუარულისა ცეცხლი ეგზბოდეს, ველარცა ენასა დააბამს, წასძლევს სათქუმელად. გამოუცხადა ენამან საპატიმრობისაგან ხუაშიადი. პატრონისა უნებლიე ღმერთმან ნუენ გახადოს, ამით რომელ დიდი აუგი ჰრთავს ამას. ენისა შემნახავი გული და საწუნელი სიტყუა უგულოდ არ ითქუმის“.

რა რამინს გული აუღუღდა ვისის სიყუარულისაგან, კუშტად ეგრე მოაკსენა ძმასა მოაბადს:

„ჰე კელმწიფეო! რად იჭირვი ეგზომსა ვისის ძებნისათვის? ნუ წააგებ საჭურჭლესა უსაქმოდ ცუდისა საქმისათვის, ამით რომელ დიდსა ჰირსა ჰნახავ და პაშტასა საჭურჭლესა უსაქმოდ გაანქრევო“.

არაკი: „რაცა მლაშესა ადგილსა დასთესო, თესლისაგანცა უნაწილო დარჩე და ნაყოფისაგანცა“.

„ვერცა ოდეს ვისის შენ შეუყუარდე და არცა შენსა საქმესა წალმართი ჰქონდესო“.

შეგონება: „თუალსა პატიოსანსა ეძებდე, რაზომცა დიდად სძებნო, ვერ ჰპოებ, თუ ადგილსა მისსა არ მიხუიდე“.

„აწ ვითა ეძებ სიყუარულსა და მზახობასა მისისა შეილისაგან, რომლისა მამა შენ მოგიკლავს? არცა შეშინდების ვისი ლაშქრისა სიმრავლისაგან და არცა მოლორდების თუალითა და მარგალიტითა და სამკაულითა. დიდითა ჰირითა ჰპოო ვისი შენ. მაგრა, მისგან ჰირი რომელ შენ ნახო, ვერ გასძლო. რა თავისა სახლსა შიგან მტერი გიჯდეს, ვითამცა საკელსა შიგან გუელი ვიზის. წყალი თუ გარეთ შემოგვივიდეს, მისი რგება ეგების; მაგრა თუ შინათ აღმოჰყდეს, მისი რგება აღარ არის. უარესი საქმე შენი და ვისისი ესე არის, რომელ შენ ბერი ხარ, და იგი ყრმა. თუ ცოლსა შეირთავ, სხუა ვინმე შეირთე. ყრმისათვის ყრმა თქუმულა და ბერისათვის ბერი. ვითა ბერსა ყრმა მოუნდების, აგრევე ყრმასა ყრმა მოუნდების“.

არაკი: „შენ სთუელი ხარ და ვისი გაზაფხული, და თქუენი ერთგან შეყრა ძნელი საქმეა. თუ მისად უნებლად მის გუერდით

სჯდე, გულსა ჩაითხარ, რომელ მისგან სიხარულსა ვერა ჰნახავ, მიწყვი თავისა საქმისაგან ინანდე. თუ გახლდიდეს, ჰირსა და ბოროტსა მისსა ვერ გაუძლებდე, და თუ გშორვიდეს და კიდევნად იყო, არცა მისი ღონე და გაძლება გქონდესო“.

შეგონება: „სიყუარულისა ასაკი ზღუისა მსგავსია. მისი ძირი და ნაპირი არა ჩანს. თუ გწადდეს, ზღუასა ადვილად შეხუალ. მაგრა თუ აღარა გწადდეს. ძნელად დაეკსნები“.

ჰქუქუმათი-შეგონება: „აწ შენისა თავისათუის შენ აგეთსა სიყუარულსა ეძებ დღეს, რომელ ხვალე შენთუის ფათერაკად მოჰხდების. და თუ იცი, რომელ მე მართალსა ვიტყუი. ამა ჩემისა ნათქუამისაგან შენსა სარგებელსა ვეძებ,—მოისმინე ჩემგან ესე შეგონება. და თუ არა მოისმენ, შენ შენთუის იქმ ზიანსა“:

მოაბადმან რა რამინისაგან ესე სიტყუა მოისმინა და შეგონება, ემწარა სნეულებისაებრ. იყო ხელი მიჯნურობისაგან, რომელ ჰირსა შიგან შაქარი ემწარებოდა. თუცა რამინის მცნება სიყუარულისა წამალი იყო, შაჰინშას მისისა შეგონებისაგან სიყუარული მოემატა. „მიჯნურობითა გატენილი გული შეგონებასა არა მოისმენს, ფათერაკი ლხინად უჩს ნებისა ძებნასა შინა. რა კაცსა უყუარდეს ვინმე, რაზომცა ვინ აძულევბდეს, უფრო და უფრო შეუყუარდების. ვითა დაბერებითა გუელი ვეშად შეიქმნების, აგრევე მიჯნურობა რა გახანიერდეს, გაძნელდების. კაცთა ყუედრება თუ მახვილიცა კრმალი იყოს, კაცი მიჯნური თარად ღუიძლსა მიუჰპრობს; თუ მიჯნურობასა ზედა შავი ღრუბელი დგეს, თავსა მისსა ყუედრებით ქვა წუიმდეს. არცა მაშინ შეშინდების მიჯნური. ყოველსა საქმესა შიგან კაცსა ზიანი დაუმიძიდების, მაგრა მიჯნურობისაგან გაეხარების. რაზომცა აუგი უთხრან მიჯნურსა მიჯნურისა, მიჯნურობასა მისისა გულისაგან ვერცა ეგრე აღმოიღებენ. არ უნდა მიჯნურსა კაცსა ყუედრება. ვინცა მიჯნური არაა, არცა კაცია“.

მოაბადის გული ასრე აესილ იყო ვისის სიყუარულითა, რომელ რამინის შეგონება შაშრად უჩდა. მალვით მეორესა ძმასა ზარდსა ჰკითხა:

„ძებნე, თუ ღონე ჩემი რა არის ვისის მოკვლებისათუის, რა ექმნა, რომელ ჩემი გულის-ნება ვბოო და სახელიცა ჩემი არ წაკდეს, თუ უვისოდ ამა ციხისაგან გარეშევიქცევი, მოვეყინდები ამა ქუეყანასა შიგან და საარაკოდ გავხდებიო“.

ძმამან ზარდმან ეგრე მოაკსენა:

„ჰე კელმწიფეო, ღონე ესეა, რომელ დიადი საქონელი ოქრო. სამკაული და ყუელასთანა შაპროს გაუგზავნე და საქონლითა მო-

აღორე და სხუაცა ურიცხუი უქადე და ენითა ჰამოითა მით საუკუნოი-
თაცა შეაშინე და ეგრე უთხარ: შაჰრო, იცოდი, რომელ საუკუნო
არის სამკუიდრო კაცისა და მას საუკუნოსა განკითხუა იქმნების,
რაცა ვის აქა ავი ექმნას. შენ ღმერთსა რას პასუხს გასცემ, თუ შე-
ცოდებული იყო და ზენაარისა გამტეხელი? თუ ღმერთმან გკითხოს
თუ: ჩემი ღმრთეება შეჰფიცე მოაბადს და გაუტეხე ფიცო,—რას
პასუხს გასცემ? მაშინ არ გაწბილებული დარჩები ღმრთისა წინაშე?
არცალა შეილი მოგვეკარების და არცაეინ სხუა. თქუა: ესეგუარი
სიტყუა შეუთუალე! ფრთხილნიცა მოლორდებიან ოქროითა და ტკბი-
ლისა სიტყუითა“.

იამა საუბარი ზარდისი შაჰინშასა და მასეე წამსა უკმო მწიგ-
ნობარი და მიუწერა შაჰროს წიგნი, მრავალფერი ქება შეასხა და
საღორებელი სიტყუა მიუწერა.



მოახადის წიგნი შაჰროს თანა

მა უხანოისა ნათხოვისა საწუთროსათუის ნუ ჩაიგდებ შენსა თავსა აუგსა, ამა საქმისათუის ღმრთისაკე ზურგსაწუნუ იქმ და პირსა დევისა საწადლისაკე. ნუ ხარ ზენაარისა გამტეხელთა თანა, რათგან ღმერთი ზენაარისა შემნახავია. თუით შენ იცი, ვითა სიყუარულისა პირსა ზედა ვიმზახენით, ვითა ვიფიცენით ღმრთითა და ანგელოზითა. შენ შენი ასული განალა მაშინ შემრთე, რომელ აცდაათი წელიწადი გამოვიდა და მაშინ შობე. ღმერთმან იცის, არა სააუგო სიძე ვარ, სასახელო ვარ და ესრე ჩემგან რად აბეზარ იქმნები, ჩემთა მტერთა რად მიერთვი? თუით ჩემსა ბედსა ზედა გიშობია, რად შერთე სხუასა ვისმე? ასრე ჩემისა ბედისაგან ქმნილა, რომელ სიძემან მაგისგან გულისა ნება ვერ პოვა; ღმრთისა მოსამართლეობისაგან არ საკამსო იქმნებოდა, თუცა სხუასა ვისმე აეგონება. თუ კარგად გაიგონებ, შეიგებ, რომელ ესე ყოფილა განგება ღმრთისა, და შემრთე შენი მზისა მსგავსი ასული და დაკსენ მტერობისაგან შენი ქუეყანა. რაზომიცა სისხლი ქმნილა, მას საუკუნოსა ყუელა შენ გეკითხუის, და თუ, რა უჩს, ეშმა შენდა არ მორეულა და ყოლა ღმრთისაგან შიში გაქუსლა, ესე სჯობს, რომელ მტერობა დაადგო და ერთი დიდი სამეფო ერთითა დიაციითა იყიდო. თუ არა და მაპისა ქუეყანა ჩემითა მტერობითა აოკრდების, და ღმრთისა პასუხისა გაცემა შენ გინდა. სირეგუნითა ჩემი მტერობა ცოტა ნუ გგონია, აწ მტერობისაგან სიყუარულად მოიქეც; და შენს შვილს ვიროს დიდსა კელმწიფობასა მივსცემ, და ქოისტანისა სრულისა დედოფალი შენ იქმნები და ხორასანისა სრულისა დედოფალი შენი ასული ვისი. და ყოლა რაზომნიცა დღენი გისხენ, ესე საწუთრო ჰამოითა და სიყუარულითა გარდავიკადოთ. ყოველნი ქუეყანანი ჩუენგან მორკმით იყოს და ლაშქარნი და ქუეყანანი დაწყნარდესო,

რათგან ქუეყანა ამოითა იკმების, უმეცრობა არის ყოვლისა კაცისა-
გან მტერობაო“.

რა შაჰინშა ამის წიგნისაგან მოიცალა, საქურკლე ლარისა და
ოქროსაგან დაცალა. ეგზომი საქონელი გაუგზავნა შაჰროს, რომელ
თუით კაცისა ენისაგან არ ითქუმის. ასი აქლემი კუბოითა შეკაზმუ-
ლი, სამასი აქლემი ლარ-კიდებული, ასი ტაიკი ცხენი და სამასი
თუხარიგი, ყუელა სრულითა აკაზმულობითა შეკაზმული. ხუთასი
ჯორი კიდებული, ყუელა თუალითა და მარგალიტითა და გურიგუი-
ნითა შეკაზმული იყო. ძლუნსავე თანა თავსაბურავი ოქროქსოვილი,
ორასი ზანდუკი და დიდი ერთი ზანდუკი ოქროისა ფას-დაუდებელი-
თა სამკაულითა გატენილი იყო. ჯამი ბროლისა შუიდასი, ყუელა
ეგზომ შუენეარე, ვითა ცათა შიგან მასკულავი იყო. ბერძულისა
სტავრისა თუითოფერისა სხუა საპალნე ორმოცი, ამისგან კიდე
სხუა მრავალი ფერი რამე იყო საკელმწიფო, რომელ სიუცხოითა
კაცთაგან არ ითქუმოდა. ჰგუანდა თუ ყოვლისა ქუეყანისა თუალი
და მარგალიტი ყუელა მოაბადს შაჰროსათუის გაუგზავნია და სხუა-
გან აღარსად არისო.

რა შაჰრო ნახა ეგზომი თუალ-მარგალიტი, ოქრო და ყუელას-
თანა საკელმწიფო ძლუნენი, და ეგზომ მრავლად კიდებულნი აქლემ-
ნი და ჯორნი ლარითა, მთრვალისაებრ ცნობა წაუვიდა და დაავიწ-
ყდა ძეცა და ასულიცა. რა შელამდა, ციხისა კარი გააღო და ელ-
ვარე მთუარე მოაბადს კელთა მისცა, ღმრთისაგანცა შეეშინდა და
მოაბადისა წიგნისაგანცა ბუნება მოექცა. მას ციხესა ზედა დაიწყო
საწუთროულად ქცევა ჰაერმან. შაჰროს ესწავლა ეტლთაგან წამსა და
წამსა სხუაებრად ქცევა. რა კარი გააღო ციხისა, მოაბადს ქალი
კელთა მისცა, სიბნელითა წეროის ფერად შავი იყო. მოყუარულთა
გაყრა დია მწარეა. ცასა ზედა მთუარე და მასკულავნი აღარა ჩნდეს,
ქუეყანა ლილის ფერად ქმნილ იყო, ცა შავსა ფარდაგსა ჰგუანდა,
მთუარისა საფარად ამოკრულსა; ჰაერმან, თუ სთქუა, საგლოელი
შეიმოსა მისისა საქმისათუის; მზემან და მთუარემან თავისა ლაშქრი-
თა დასაველეთისაკე ილაშქრეს და მუნვე დაიმაღლნეს და უჩინო იქმნეს;
ლაშქარნი თავის თავისთა ადგილთა განიბადდეს; ეტლნი რკინისა
კლდეთა ჰგუანდეს და მასკულავნი მათგან აბეზარ ქმნილთა; ვერძნი და
მოზუერნი, დაღრეჯით დამალულნი, თრთოდეს ლომისა შიშითა და
თუისი ადგილი დაეგდო; თუ სთქუა, ლომი უსულო დგას და მეტ-
ყუბარი ორთა მოყუარეთაებრ მწოლთა დაქედით უძრავ ქმნილ იყ-
ვნეს; კირჩხიბი გამწყრალი, კუღ-ამობზეკილი, ლომისა ქანგთა ქუე-
შე იყო; ქალწული დიაცისაებრ დგა, კელთა ტევანნი დაეკირნეს;

სასწორი დაშლილი და დახლართული უკმარ ქმნილ იყო; ღრიან-კალი ერთგან მოდრეკილ იყო, ვითა გუელი გაციეებული; მშუილ-დოსანსა, ვითა კერპსა, მშუილდითა ომი არ შეეძლო; თხა ისრისა-გან უშიშრად ქუე დაწოლილ იყო; წყლის-საქანელი ქასა შიგან ჩაჭრი-ლი და მისი მზიდავი ბედით-მომცდარი; თევზი, ბადისაგან დაბმუ-ლი და ვითა კმელთა ზედა გაჭრილი, დაჩომისაგან უიმედო ქმნილ იყო. ასეთითა ავითა ეტლითა და უბედურითა ნახა შაჰინშა თავისა ცოლი. ღმერთმან სხუასა ნუვის ზედა მოიღოს ესეთი ეტლი.

რა ციხესა შიკან შევიდა მოაბად და ამა ეტლითა ნახა, ღამი-სა სიბნელისაგან თუალთა წინა არა ჩნდა, მაგრა ვისის პირისა სი-ნათლემან და სულნელებამან აპოვნინა უებროდ მოსაწონელი ცოლი. მივიდა და მოეკიდა კელთა ბროლისა მსგავსთა და ციხისაგან თრე-ვითა ჩამოიყვანა, ამით რომელ ნებით არ მოჰყუებოდა და იგი ქუე აღარ დააგდებდა. ჩამოიყვანა და შეჰვედრა თავისა მისანდოთა კარგ-თა მეაბჯრეთა და ხოჯათა. მასვე წამსა შესუა კუბოსა და გამო-ემართა ესრე ფიცხლა, რომელ ვერცა ქარი ეწეოდა. კუბოსა მიდა-მო ეჭირა ხასაგიანთა ხოჯათა. სცემდეს ბუკთა და ქოსთა და მიჰ-ჰმართეს ხორასანს, მარავს ქალაქსა, სამყოფსა შაჰი მოაბადისასა. ესრე მხიარულად იყო მოაბად, ვითარ მშოიერმან ლომმან კანჯრისა ჯოგი დაინახოს, ანუ ვითარ გლახამან კაცმან საჭურჭლე პოს და სიხარულსა მართალ იყოს; რათგან მისი ნანადირები ქუეყანასა ზედა ცისა მზისაგან უკეკლუცე იყო, კამდა მისთუის დიდის ქირის ნახვა, ამით რომელ ანაზდად შუენებისა საჭურჭლე პოვა და მაშიგან მოცი-ნარე იაგუნდი.

ცნობა ვიროსაგან ცოლის წაკურისა

და ტირილი



ა ვირომან ცნა მოაბადის საქმე და ცოლისა მისისა მისგან წაკურა, საყელონი გარდაიგლიჯნა, თავსა კელნი იკრნა და უცნობო იქმნა. რა ბუნებად მოვიდა, მასვე წამსა შემოიქცა თერამით. რა შინ მოვიდა, შაჰინშა წარსულ იყო და ღონითა ცოლი მისი მას წაეყვანა, ასი ათასი თუალი პატიოსანი დაეგდო და მისად ნაცულად ფას-დაუდებელი თუალი წაეყვანა; შაჰროს ზენაარი გაეტეხა და არა შებრალებოდა ვიროის საქმე. და ვიროს მგზებარე ცეცხლი მოედვა გულსა, და, თუცა ვერას ჰკადრებდა დედასა, უწყრებოდა, და ემდურვოდა დასცა. ნაყოფისა იმედი მისისა ხისაგან გარდასრულ იყო, საწოლისა მისისაგან მზე მიწისა წარსულ იყო. ციხისა კარი დაკლიტული ნახა და ციხისა მამუენებელი მგზავრ-ქმნილი. თუცა სადაფი მისი მარგალიტისაგან ცარიელი იყო, თავისა თუალისაგან ათასი გრივი მარგალიტი გარდმოყარის; ზოგჯერ სისხლი გარდმოსდიოდის თუალთა მისთაგან და ზოგჯერ გული მისი შეჭირვებითა დაიწუის. ასრე გაყუთლდა და ფერი წაუვიდა, რომელ უსულოსა ჰგუანდის. დასწყია საწუთრო და მისი მუხთლობა, რომელ წამსაცა ვერ გაიხარნა თავისა სიყმრისაგან.

თუცა მას დაამძიმა საწუთრომან, შაჰი მოიბადს დია გაახარნა: ერთსა წაულო გულისა წამლები და მეორესა მისცა, და აღარცა მას შეარჩინა, სხუასა ვისმე მისცა და გაახარნა; ერთსა დარბაზი შეუმკო-სიხარულითა და მეორესა ბალი გაუკმო უვარდობითა; ერთმან ქვა აილო და მკერდსა იცემდა, და მეორემან ქიქა აილო და ნებისაებრ სუმიდა.

და გაუნათლდეს მოაბადს თუალნი ვისის წაყვანითა და ხორასანს მიჰყვანდა მზე; გზა-გზა მიმავალი მოაბად მხიარულობდა და ყოველი ქირი, რაცა ენახა, დაავიწყდა. მივიდოდის და, რა ნიავეი შეიძრის, ვისის კუბოსაგან ქუეყანა გასურნელდის, თუ სთქუა, კუბო ვისისი კოშკი იყო, ოქროისა მუშკითა და ამბრითა გატენილი; და შიგან მზე ჯდა, ოქრო-ქსოილი ოქსინო ჩამოყბურა. ზოგჯერ ვისის პირისაგან ვარდი ჩაცუივდის, ზოგჯერ მუშკი და ამბარი. კუბო მისი სამოთხესა ჰგუნდა და ყოვლისა კაცისაგან აგრევე სანატრელი იყო. მოეწია რამინს განგება ღმრთისა, რომელ დაელიოს ლხინი და სიხარული და მოემართოს ქირი.



რამინისაგან ვისისთუის გამიჯნურება

ივილოდეს მოაბად და მისნი ძმანი და ლაშქარნი და ვისის კუბოსა ხოჯანი მიჰყუებოდეს. ანაზღად ღმრთისა განგებისაგან აღგა დიდი ქარი და მოჰგლიჯა კუბოსა ქსახურაფი თარდაგი. თუ სთქუა, ღრუბლისაგან ელვა განოჩნდა ანუ ანაზღად მზე ამოვიდა: გამოჩნდა ვისის პირი; და მისისა გამო-

ჩენისაგან დატყუევდა რამინის გული. თუ სთქუა, გრძნეულმან მოწამლა რამინ, რომელ ერთითა ნახვითა სული წაუღო.

რა რამინ ვისის პირი ნახა, ვითამცა გულსა უტევანი ისარი სცემოდა, ცხენისაგან ფურცელის ოდნად სუბუქად ჩამოიქრა, მოედვა მიჯნურობისა ცეცხლი გულსა, დაუწუა ტუინი და გონება წაუღო, წამსა თუალისასა დაუმკუიდრა მიჯნურობა, წაუღო სიყუარულმან სული, გული. მისისა მიჯნურობისაგან ხე ესეთი გამოვიდა, რომლისა ნაყოფი ველად გაქრა და გახელება იყო. და რა ცხენისაგან ჩამოიქრა, დაბნდა და დიდხან უჭკუოდ იდგა. პირი მისი, ვარდისა მსგავსი, ზაფრანად გარდაექცა და ბაგე, წითლისა იაგუნდისა მსგავსი, ცის-ფერად შეექმნა; სიცოცხლისაგან უიმედო იქმნა. ვინცა დიდებულნი და მოყმენი იახლნეს, ქუეითნი და ცხენოსანნი, მოგზუივნეს რამინს, ზედაუქურეტდეს და ვერავინ შეატყუა, თუ ესრე უგრძნეულოდ რა წაეკიდაო. მისისა ასრე გასლვისათუის ყოველი კაცი ტიროდა და მისისა ქირისათუის ყუელა მისგან უძნელე იყო.

რა დიდხან აგრე უსულო-ქმნილი იდგა, არცა ყივილი შეესმოდა, არცა სურნელთა კუმევა და ვარდის წყლის სხმა ერგებოდა. მერმე შეიწყალა ღმერთმან და ცოტად ცნობად მოვიდა, და ენისა კმარებისა ძალი არა ჰქონდა და ცრემლნი სდიოდეს. მერმე კელი უკუივლო და კაცთა სირცხუილითა კუნესა დაიწყო. მოახლე-მნახავსა ყუელასა ასრე ეგონა, უღონოდ მტერიანი იყო რამინ და აწ მტერმან დასცაო. რა კულა რამინ ცხენსა შეჯდა, მეტისა გონებისაგან ებნელე-

ბოდა ნათელი დღე. გზა-გზა მივიდოდა, ხელი ვითა, გული მისი ეშ-
მაკსა ეხუთა და თუალნი მისნი ვისის კუბოსაკენ დარჩომილ იყვნეს,
ვითა მპარავი, რომელ მიწყითა უკეთესსა ლარსა უმზერდეს. სულთ-
ქნით ცრემლიანი ამას იტყოდა: „ნეტარძი ჩემიჟის, თუმცა ერთხელ
კულა ვნახე მისი პირი, და ანუმცა ღონე იყო, მეკუბოობა მისი ამა-
სა გზასა მე მომხუდებოდა; აჰა იქმნებოდამცა და ერთხელ ჩემი
კუნესა ესმა და წამსა შემომკრნა თუალნი და შემომხედნამცა; აჰა
იქმნებოდამცა და მწე ვინ შემექმნებოდა მადლისა მძებნელი, და
წურილად ჩემი საქმე ვისსა გააგონა და სალამი ჩემი მას მოაკესნა;
აჰა იქმნებოდამცა და სიზმრად ვეჩუენე და კალთა ჩემი, ჩემისა სის-
ხლისაგან შეღებული, ნახა, ნუთუმცა მაგარი გული მისი ჩემთვის
მორეღბა და ჩემისა მიჯნურობისა ცეცხლსა ზედა მორეტყა; აჰა
იქმნებოდამცა და იგიცა ჩემებრ გამიჯნურდებოდა და მე, ვითა მი-
სისა სიყუარულისაგან ვარ, იგიცა ნახევრად ჩემთვის იყოს. ნუთუ
რა მიჯნურობისა ქაშნიგი ნახოს, არ უწყალოდ ამპარტავან მექ-
მნასო“.

ზოგჯერ რამინ ესრეგუარსა იგონებდის და ზოგჯერ სულ-
დაღებული დაღრეჯით იყვის თავ-ჩამოგდებით, და დათმობა გამო-
არჩივის და ეგრე თქუის: „ვაი გულო ჩემო, რა წაგეკიდა, რასა მო-
ედები და უსარგებლოსა ნატრისაგან პატიჟსა იმატებ? რასა მოელი
ანუ ეგზომსა რას იჭირვი მის მთუარისა სიყუარულისათვის, რო-
მელსა ყოლა შენ არ მოეგონები? რად მოელი ვისის შეყრასა? მუნით
აქამდინ კორციელი მზესა თანა ვინ შეყრილაო? რად უმეცრულად
იმედლიანი ხარ მისგან, რომლისაგან ლხინის საეკუეი ყოლა არა
გაქუს?“

არაკი: „შენ გწყურიან და წყლისა მძებნელი ხარ, მაგრა რას
გერგების, რათგან კმელსა მინდორსა შიგან ხარ. შემცაებრალეები შენ-
სა დამბადებელსა, მით რომელ დიდად ძნელად არის შენი საქმეო“.

რა კარგად მაგრად დაება რამინ მიჯნურობისა ბადესა და ვა-
კდა უიმედოდ გულგატეხილი და გულწყლული, არცა თავისა ნები-
სა ძებნა შეეძლო და არცა დათმობისაგან კიდე სხუა ღონე იცოდა.
უნდოდა თუ არა, გული დადვა და მგზავრობა დაიწყო მათვე თანა
უნებლივ, და მუნ ყოფისაგან ამის მეტი სარგებელი არ მიჰხუდის,
რომელ ხანდახან ვისის კუბოსაგან სულნელი სული ეცემოდის, თუცა
სული და გული მისი ვისის პირი იყო, და იგი მისისა კუბოსა ქუ-
რეტითა დაჯერებულ იყო. მიჯნურობისაგან უარესი არა არს საქმე,
მიჯნურისაგან უფრო საბრალო არავინ არის!

შეგონება: „თუ კაცსა გააცხრობებს, მისად ნახვად მივლენ
და გააცხრობისაგან მისსა სიკუდილისა იშიშვიან, და მიჯნურისა

გული წელიწადითა წელიწადამდის ცეცხლსა შიგან იწუის და მისად კითხვად არცავენ [მივა და არც არავენ] გაიკუირვის. ჰე ცნობილო! ამის უკრო უსამართლო რა ეგების, რომელ მიჯნურსა კაცსა მიჯნურობისაგან წაეკიდების? სჯობს თუ ყოველსა კაცსა მიჯნური ებრალებოდეს, მით რომელ დაუშრეტელი ცეცხლი ეგზების გულსა“.

არაკი: „მიჯნურსა ჰირად ესე ეყოფის, რომელ მიწყით ჰირსა შიგან არის და მოყუარისა ნატრასა; ნიადაგ ხუაშიადსა გულსა შიგან შენახეა უნდა, ვერვის გლახ მიანდობს თავის გულისა სიტყუასა“.

ეთა იყო სიყუარულისა მომმატებელი რამინ, ეგრე ჰგუანდა ქორის ჰანგთა შიგან მყოფსა ზურგ-დაკოდილსა კაკაბსა, არცა ცოცხალი იყო და არცა მკუდარი. სახე ოდენ იყო, უსულოდ მიმავალი, მთისა ოდენისა ტანისაგან ნიშანი ოდენლა დარჩომილ იყო დი ნაძუისა ნაკუთიანობისაგან—მშუილდი. ამა ულხინობითა და შექირვებითა, რომელ მითქუამს, მოიმგზავრა და ერთობით გზა მისი საკნად უჩნდა.



აქა ქორწილი მოახადისი და ვისისი

ა. მოაბად მარავს შევიდა, იყო მას თანა დედოფალი, მზე ვითა, ვისი; მარავი ქალაქი შეეკაზმა ერთობით და ცისა მნათობთა მსგავსნი მქურეტელნი ბანთა ზედა წამოდგომილ იყვნეს; დიდებულთა მათთა ოქრო, თუალი და მარგალიტი თავსა გარდააყარეს და უმცროსთა ვეცხლი; საწუთრო სიხარულითა სრულ ქმნეს და მიწისა ნაცულად ყუელა ოქროსა ზედა იარებოდეს. სამოთხე მას დღესა მარავი ქალაქი იყო, რომელ შიგა თუალსა და მარგალიტსა წუიშდა წუიშა. ყოველთა ბანთაგან ეგზომთა კეკლუტთა პირი ელვიდა, რომელ ამას ვერ შეატყობდეს, თუ არ ცისაგან მასკულავენი ელვენო, მუტრიბთა მრავალფერთა სიმრავლითა და კეკლუტთა ქურეტითა კაცი გამხიარულდის და ქურეტითა თუალთა ბრუ დაესხის. რა ლაშქარსა შიგან ესეთი ნიშანი იყო, შაჰინშას დარბაზისა თუით იცი, ვით იქმნების: სიდიდითა მინდორსა ჰგუანდა დარბაზი, სიმალლითა ცასა კოშკი მისი, რომელ მქურეტელად მასკულავენი სხდეს მისსა ბანსა ზედა, კარი და კედელნი ყუელა ოქროითა მოხატული იყო. სიამოვნითა, ვითა ბედნიერთა ბედი, და სიშუენვართა — ვითა ვისის პირი; შაჰინშა ჯდა ტახტსა ზედა მხიარული, გულ-დაღრეჯილობისაგან გამოწმედილი, ვითა გამოწურვილი ვეცხლი. მისნი დიდებულნი აზნაურნი და ხასავიანნი ნებისა ღრუბლისაგან ოქროსა და მარგალიტსა აწუიშებდეს. ეგზომი ოქრო და მარგალიტი შემოეყარა, რომელ მარგალიტისა აკოში მათთა ოდენი შექმნილ იყო. იხარებდა მოაბად, სუმიდა და გასცემდა.

შეგონება: „გაიხარენ, სუი და ჭამე, გაეც, რომელ სახელი დაგრჩეს!“.

ჯდა დედოფალი ვისი სადედოფლოსა შინა და იგი დარბაზი წალკოტ-ქმნილ იყო მისისა პირისაგან. თუცა შაჰინშა მხიარულობ-

და, ვისი დედოფალი დია დაღრეჯილი ჯდა ზრუნვად, დღე და ღამე ღრუბლისაებრ მტირალი იყო, რომელ ვინცა ეგეთსა ნახვიდის, მის-
ოდნადვე იტირის მის თანა. იგი ზოგჯერ დედისა სიშორისათუის
ტიროდის და ზოგჯერ ვიროის სიყუარულისათუის, და წილნი ყარ-
ნის: ზოგჯერ სულღებით თუალისაგან სისხლისა ცრემლსა იდენდის,
ზოგჯერ ხელთაებრ ზახილი დაიწყის. არცა სიტყუა თუით თქუის
და არცა პასუხი გასცის, ვინცა რას ეუბნებოდის. თუ სთქუა, წამსა
გულსა მისსა შიგან შექირვებისა ქარავეანი მოვიდის. სიმკლითა
ნემსისაებრ გაწულილდა და შექირვებითა ზაფრანისაებრ გაყუითლ-
და. კელმწიფეთა და დიდებულთა ცოლნი ყუელანი მისდა ნახვად
მოდიოდეს და მას გუერდით სხდიან, მოზრუნავთაებრ ექენებოდიან
და ჰამოდ ეუბნებოდიან ვითა: ზენაარ, დაწყნარდი, ცოტად გამოი-
სუენე და ნუ სტირო! მან არათ ღონითა სული არ დაიღის, არცა
პასუხი გასცის და, ოდეს მოაბად შორით დაინახის, საყელოს დახე-
ვისა ნაცულად პირი დაიხოკის. არცა მისი საუბარი მოისმინის, არ-
ცა პირი მისი მას უჩუენის, მიწყით პირი კედლისაკენ ქმნის და სის-
ხლიანისა ცრემლისაგან ტბა დააყენის. ესრე იყო ვისი გზა-გზა და
მარავსაცა, რომელ ერთსაც დღესა შაჰინშა მისგან ვერ გაიხარა. ვე-
ნაკსა ჰგუნდა ვისის პირი, მაგრა ვენაკისა კარი მაგრად კშულ იყო-



მიძისაგან მოთქუმა და ტირილი ვისის

წაუყანისათუის

ა. ძიძამან ცნა ვისის ამბავი, ვითა მოაბად მოვიდა და ესრე უნებლიე წაიყვანა, ქუეყანა დაუბნელდა და, თუ სთქუა, სული კუამლად შეექმნა მისსა ტანსა შიგან. ტირილისა და მოთქუმისაგან კიდე აღარა საქმე ჰქონდა. ტირილითა მინდორი მტკურად შექმნა და მოთქუმითა შთა გაავაკა.

ეგრე თქუის: „გავსებულო მთუარეო ელვარეო, კეკლუცთა კელმწიფეთა სანატრელო, რად დაგემტერა საწუთრო, რომელ ქუეყანასა შიგან საარაკოდ გაგკადა? ჯერეთ სძისა და ძუძუისა სული ამოვა პირისა შენისაგან, რად აივსო ყოვლისა კაცისა პირი შენის კსენებისაგან? ჯერეთ ბროწეულისაებრ კოკობი და არა დამწიფებული — და შენი სიყუარული აღმოსავლეთით დასავლეთამდის რად დამწიფდა? შენ ცოტა, და შენი სახელი დიდია; შენ ველური თხა, შენი მიჯნური ავაზა არს, მისებრვე უნებელი. შენ ყოვლისა შეუცოდებელი და საწუთრო გარდამკდეველი. ღმერთმან შენი ნახვა ჩემად სულად დაბადა, და მე უსულო ვითაღა ცოცხალ ვიყო? და ჩემიცა ნიშანი ნუ დარჩების ქუეყანასა ზედა, თუ მე წამსაცა უშენოდ სიცოცხლე მინდოდესო“.

მაშინვე ოცდაათი ჯამა შეკაზმა ფიცხლა-მავალი და მრავალფერი საკელმწიფო ლარი და ძლუენი აპკიდა; რაცა საკამსო იყო, და თან წაიტანა ვისისთუის. დლისით და ღამით იარა და ერთ კუირამდინ მარავს მივიდა და ვითამცა უსულოსა სული—ეპოვნა. რა გულდაწყლულებული ვისი ნახა ძიძამან, მისისა ნახვითა სიხარულითა აივსო. თუცა ვისი ესეთი ნახა ნაცარსა ზედა მჯდომი, პირ-დახო-

ქილი, თბა-დაგლეჯილი, ნიადაგ მტირალი, ავსა ყოფასა შინა, თავისა სახლისა და სიყმისა ვერ გამახარებელი, ზოგჯერ თავსა ნაცარსა ისხმიდის, ზოგჯერ სისხლისა ცრემლითა კალთანი დაისოვლნის. პირი, ვითა დაჟანგებული სარკე, შექმნოდის, ზოქითა დაწყლულებული; გული მისისა პირისაებრ დავიწრებოდა და ტანი მისისა თმისაებრ დასწლობოდა.

რა ძიძამან ესრე გასრული ნახა. გული შექირვებისა ცეცხლითა დაეწუა და ეგრე არქუა:

„ჰე სანატრელო ყოვლისა კაცისაო! რად მოიკლავ თავსა. რად ეგრე უწყალოდ ქმნილ ხარ თავისა ულხინობითა?“

შეგონება: „რად დაიცლები სულისაგან? რად დაღუბი მას, რომლისაგან სულთა ენების? შენ ხარ ჩემთა თუალთა ჩენა და შენ ხარ ჩემისა ბედნიერებისა ბედი და იმედი! ნუ იქმ მაგას, რასაცა შინა ხარ. ნუ ებრძვი ბედსა ესრე ძნელად, ამით რომელ დიდისა შექირვებისაგან სარგებელი და ლხინი არა იქმნების; დამკლდები და შეაგდები, დაჰყუთლდები. შენ შენმან დედამან მიგცა რობადს. აწ დიდისა კელმწიფისა ცოლი ხარ და მას სულისაებრ უყუარ, მას თანა ჰამოდ იყავ, ნუ შესცოდებ და დაამძიმებ ამას, ამით რომელ კელმწიფეთა ბრძენი და გონიერი არეინ შესცოდებს. რაზომცა კელმწიფე და კელმწიფის შეილი ხარ, ვირო მორკმულობითა, კელმწიფობითა და სიმდიდრითა ამისებრი ვერ არის.“

არაკი: „თუ ერთი დრამა დაგიკარგავს, ნაცულად ღმერთსა თუალსა პატიოსანი მოუცემია. და თუ ვიროსაგან მოწყუეტელ ხარ, ესეთისა დიდისა კელმწიფისად შეერთებულ ხარ. ძიძამან თუ ვერ გიშუელა, ღმერთი მემულად გეყოფის და ბედი ძმად. თუ საწუთრომან ერთი ვეცხლისა ვაშლი წაგილო, ნაცულად ოქროისა თურინჯი მოგცა. ცოტა კარი დაგიკმა ღმერთმან, დიდი ვაგილო; და ზეთისა ბაზმა თუ წაგილო, კუილისა სანთელი მოგცა. რა უქმნია შენთვის საწუთროსა ესეთი, რომლისათვის ეგზომი ტირილი გინდეს? ღმრთისაგან უმადლობა არა გკამს, ამით რომელ ვინცა ღმერთსა არ ჰმადლობს, სინანულად შეექმნების. დღესა ჟამი შენისა სინარულისა არს, არა ტირილისა და გლოისა. აწ თუ მოისმენ, მიწისაგან ზე ადევ და სადედოფლო ტანისამოსი შეიმოსე, და შენი შესაფერი ოქროისა გუირგუინი დაიდგი თავსა და შეკაზმე მზისა მსგავსი პირი შენი და შეამკევე დარბაზი შენითა პირითა და სადედოფლო წალკოტად შექმენ; შაქრისა მსგავსითა ენითა საუბარი დაიწყე და ვარდისა ფერიითა ბაგითა ნადიმი გარდაიკადე; გიშრისა ფერიითა თუალითა გული წაუღე მხიდავთა და მოაბადს ჰამოითა კოცნითა ვული გაუმხიარულე.“

ელვართა პირითა შენითა ღამე დღედ შექმენ და გრძნეულნი თავისა შენისა თმითა შექარან; მზე მოშურნედ გაკადე, შენისა სიცილითა შაქრისა სიტკბო გააბედითე და თმითა შენითა ამბარი უპატიოდ გაკადე; მამათა გული დედათათუის გააგრილე და ღომთა პირი შენისა მიჯნურობისათუის გააყუითლე! თავისი ტანისამოსი თუ ტანსა შეიმოსო, ასრე იქმნები, ვითა მომიკსენებია და უქეთეცა. შენ ყოველთა კეკლუცთა გააწბილებ, ყოველთა დაღრეჯილთა გაამხარულე, რა შეეკაზმო. სიყრმე გაქუს, სიკეთე, სიკეკლუცე და გუარიაზობა. ამის მეტი, რომელ ღმერთსა მოუცემია, რასალა ეძებ?“

შეგონება: „ღმრთისა განგებასა ნუვინ ეძკლავების, ამით რომელ მოწვევანდა ვერვინ შეაქცევს“.

„არცა შენისა ზახილისაგან შეშინდების განგება და არცა მოწვევანდი აგკდების. აწ ეგზომისა ბედითსა რას იზახი და თუალთაგან ცუდად შეუშრობელსა ცრემლსა იღენო?“

ძიძამან ესე მრავალ-გუარად რამე შეაგონა და ექენა ვისის. გარნა მას ძიძისა შეგონება და ქარი სწორად ესმოდა. ეგრე არქუა ვისმან:

„ჰე ძიძაო, შენი საუბარი ხესა ჰგავს უნაყოფოსა; ჩემი გული გამძღარა ამა საწუთროისა სიციოცხლითა; არად მინდა, არ ჩავიციამ ტანისამოსსა, არცა დავჯდები ტახტსა ზედა. ჩემი ტანისამოსი ფლასია და ტახტი მიწაა, და ნადიმი ჩემი—მოთქუმა, და მეზუაშიადე—სიმარტოე! ვერც მოაბად რა გაიხარნეს ჩემგან და არცა მე ოდეს ვპოო მისგან კარგი და სახელი. მე ოდეს ვიროს ვეახლე, ვარდი ვიყავ უეკლო და აწ ეკალი ვარ უვარდო. ყოველსა კაცსა თავისა ნება იამების და მე უნებლობა უფრო მიაშების; რათგან ვირო ჩემგან გულის-ნება ვერ პოვა, სხუასა ნუვის აპოენინოს ჩემგან მისი ნებაო“.

ძიძა ენად კარგი იყო და კულა დაუწყო საუბარი, წურთა და შეგონება. და ეგრე თქუა:

„ჰე თუალთა სინათლეო დედისაო! არ უკამსია თუ ძმისათუის შევირვებული იყო, ამით რომელ ძმაცა იყო შენი და საყუარელი ქმარიცა; და თქუენ ერთმანერთისა მოახლეობასა შიგან თავისა ნებისა ეამი ვერ მოგხუდა. გარნა დია იქმნების ესე, რომელ მოყუარულნი ორ წლამდინ ერთგან იყვნენ, და ერთმანერთისაგან ნება ვერ პოვონ, და ეგეთნი გაიყარნენ, რომელთა შეყრა აღარ ეგონებოდეს; მაშინ ინანდეს უკუნისამდე აღარა მომლოდენი“.

არაკი: „ვითა გლახა კაცი, რომელ ანაზდად მაჯანსა საჭურჭელსა შეჰკდეს, იზანტოს, მუნით არ აილოს, ყუელა თავისი ეგონოს, და რა მუნით სხუაგან მივიდეს, მუნ ვერ პოვოს და უკუნისამდის ინანოს, --ესრევე შენთან ვიროს საქმე ყოფილა და დია ძნელია მისი საქმე“.

არაკი: „წავიდა იგი ქამი და დღე, ოდეს ერთმან კუმან ორი შარუხი დასცეს“.

შეგონება: „წარსრული მოყუარე გარდასრულსა დღესა ჰგავს.“

„თუ ფრთხილი ხარ, გარდასრულსა ნუ ინანი. აწ უმეცრულად ნუ კუშტობ და ნუ იბრძვი. ჩემი მოისმინე. მიწასა ზედა ნულარ ჰხი, აბანოსა შედი, ვარდის წყლითა მუშკის-ფერი თმა დაიბანე; საქურკლითა სათქუენო ტანისამოსი გამოიღე, ტანსა ჩაიმოსე და შუენებითა შენებურად ტახტსა ზედა დაჯედ და თავსა გუირგუინი შენი დაიდგი. ამით რომელ აქ დია კარგნი და გუარიაინი დედოფალნი, ზოგნი დიდებულთა ცოლნი, მოვლენ, ზოგნი თუით მზისაებრ კეკლუცნი და მთუარისაებრ ელვარენი, და ყოველნი საკელმწიფოითა შეკაზმულნია. მე არა მწადიან მათგან შენი ეგრე ნახვა, შენითა სათხოითა იგინიცა შენსა გუერდით ნაცართა ზედან დასხდებიან. ეგ ზომ უმეცარი და რეგუენი არა ხარ; აწ ესე იცი, რომელ უცხოთა შიგან ხარ და არა თავისა სახლსა. კაცსა თუ არ ჰქონდის, ნათხოითა შეკაზმის უცხოთა გასაჩუენებლად“.

შეგონება: „კაცისათუის უკეთესი საქმე არის სახელისა ძებნა და უცხოთა კაცთა ენისა დაბმა“.

„და ვინცა შენ ესრე გნახოს, არას გზრახავს უკანის ავისაგან კიდე. ზოგნი ამას იტყუიან: არა პატივი დაგუდვა და არ მოვეწონენითო. სხუანი ამას იტყუიან: თუით იგი ვინ არის, რომელ გავაკუირებთო! საკამსო ესე არის, თუ ყოლა ცნობა გაქუს, რომელ მათი ენა სათავისოდ შეინახო. ვინცა კაცთა უპატიოდ ნახავს, იცოდნი, რომელ მას კაცნი დაემტერებიან. და რომელიცა დიდი საგემოა, რა ზომცა კეკლუცი და კარგია, მოახლენი მას გუერდით, ჰამოდ ვერ გაიხარებენ. ამას შეგაგონებ. დააგდე ესე საძულველი და ავი ზნე ამა კაცთა გზითა და აღარ მოაბადისთა, თუ არა—შაპი მოაბადს შენი დუხჭირება სიკეკლუცედვე უჩს, ამით რომელ შენი მიჯნური არისო“.

რა ესე საუბარი ძიძისაგან მოისმინა, ვისის იამა და მოეწონა გოლსა შიგან, და აღარცა ძიძასა დაამძიმა მოუსმენლობითა. მაშინვე ნაცრისაგან ზე აღგა, აბანოსა შევიდა. ძიძამან კაზმა დაუწყო, დაბანა თავი და ტანი; პირსა ზედა შეკაზმა, სათმენი შეუყარნა ფას-დაუდებელნი, საძკაულითა თუალითა პატიოსნითა შეკაზმული სამისო შესამოსელი შეჰმოსა ტანსა, სურნელნი უკუმი, შეულოცა სათუალენი სიტყუანი და შეჰბერა. ძიძა ვითარცა ჰკაზმიდა, ვისი ამაშიგან ტიროდის, მოსთქუმიდის, ეგრე იტყოდის:

„ჰე თავჩალმართო და უკულმართო ბედო ჩემო! რად გამწირე

და აბეზარ იქვენ ჩემგან? ცისა მფრინველნი, ჰაერი და ქარი ჩენსა უბედურობასა ზედა მოწმობენ!“

რა ამა ტირილითა დაშურა და მორეწყნარდა, სული დაილო, ესრე დაშუენდა, რომელ რაზომცა ვინ ბრძენი და გონიერი იყო, ნასასლაცა ქებასა მისსა ვერ მიჰხედების. ესრე კეკლუცი იყო, რომელ, თუ მლაშითა წყლითა პირი დაიბანის, მასვე წამსა მას მიდამოსა მიწისაგან საშაქრე ლერწამი ამოვიდის. და თუ ამარტა დაწეთა და ბაგეთა მოსდვის ვინ, მაშინვე წითლად იაგუნდად შექმნის. და თუ მკუდარსა, მიწა-ქმნილსა საშარესა ზედა დაჰყვილის, მანცაპასუხი გასცის. რაზომცა კეკლუცი და საქებარნი მისად ნახვად მოვიდიან, მთუარესა ჰკუანდის იგი და მოსულნი მას თანა—მასკულაეთა. ჰშუენოდა ყელ-ყური სამკაულიანი და თუით შუენოდა ერთობით უბროდ, ვითა ჩინური სახე ოქსინოსა შიგან.

მოაბად მას დღესა ეგზომი გაუგზავნა, თუითო-თუითო ვინ აკსენოს: მრავალი ზანდუკი ოქროისა თუალითა და მარგალიტითა სავსე; მრავალი შესამოსელი დიდფასისა, ყუელასთანა ურიცხუი სტავრა, კიდის-კიდე შეკრული; მრავალი ბროლისა ჯამი, ტაბაკნი და ოქროისა კურკელი, ყუელა თუალითა შეკაზმული და მრავალფერი სურნელი და ყუელასთანა ტყავი და მრავალნი მონა-მკეველნი: ბერძენი, ჩინელი, [პირ-მთუარენი] ყუელანი კეკლუცი, ვითა ველურნი თხანი სიქსუითა და ჯერეთ სიქალითა და სიშუენიერითა, ვითა ფარშამანგნი, ლამაზნი.

ჯდა ვისი დედოფალი ტახტსა ზედა და მისისა შუენიერებისა მკაზმავი ბედნიერობა. ყოველი ქუეყანა მისგან მხიარულ იყო და იგი დაღრეჯილი ჯდა, კაცთა ლოცვა და ქენება მას სევდად და მოთქუმად უჩნდა. ერთსა კუირასა ამის საქმისა სიხარულითა მოაბად ზოგჯერ სუმიდის და გასცემდის, ზოგჯერ ასპარეზობდის. მერმე კუირასა ერთსა ნადირობად გავიდა; ერთიცა ისარი არ დააცდუნვა და არცა სუმასა შიგან ოქრო და ლარი დარჩის, არცა ნადირობასა შიგან სულიერი ნადირი წაუვიდის; რა ყუანქი ბურთსა ჰკრის, მის ყუანქისაგან ბურთი ცად გავიდის; რა დიდებულთა მისთა თანა ლუინო სუის, ერთსა დღესა ყოვლისა ქუეყანისა მოსავალი სადოსტაქნოდ არა ჰკუირდის, ღრუბელი მისისა ნებისა იყო და მისგან ოქრო წუიმდა. რა ძიძამან შეკაზმა ვისი, ტირილისაგან არ გამოიხუენებდის, თუ სთქუა, წამსა და წამსა კირი მოემატებოდა.

ვისისა და პიძისაგან მოაბადისა

მამაცობისა შეკრვა.



ერმე ვისი საწუთრო-მოწყენილმან მალეით კაცთა-
გან ძიძასა უთხრა და შეეხუეწა:

„ჩემი ბედი მებრძვის დღე და ღამე; გაძღა გული ჩემი სიცოცხლისაგან და გამკმარა ძირი ჩემისა სიხარულისა. არა ვიცი, თუ ჩემი ღონე რაღაა თავისა მოკლეისაგან კიდე, რომელ ნუთუმცა სიკუდილითა დავეკსენ ჩემსაყოფასა! აწ თუ შენ ჩემსა ღონესა არ ეძებ და ამა კირისაგან არ მიკსნი, ნე, ვითა მითქუამს, აგრე აღრე თავსა მოვიკლავ, ამით რომელ, რა მოაბადს დავინახავ, ვითამცა ცეცხლსა შევსდგებოდი. სიკუდილისა დანახვა და მისი—სწორად მიჩს. ღმერთმან მოაბადის საწუთრო ასრე მწარე ქმნას, ვითა ჩემი. თუცა ჯერეთ დათმობისა წყლითა გული დაუბანია და გულის-ნება ჩემგან არ უძებნია, ამის მეშინიან, რომელ ვერ გასძლოს და ხუაშიადი დამალული გამოაცხადოს. აწე ვირე იგი ჩემგან ნებასა ეძებდეს, შენ გზასა ზედა მახე დაუგე. ესე იცოდე, რომელ მე ერთ წლამდის თავსა არ მივსცემ და მე თუით სიკუდილისათუის თავგანწირული ვარ. მამისა ჩემისა ტკივილი ამისაგან უმცრო არ ეგების. მუნამდი მე ესრე ვიქმნები, ერთ წლამდის მოაბად არ დამსთმობს და არცა მიმიშეებს, ამით რომელ მას ჩემგან არცა რცხუენიან და არცა ეშინიან. აწ შემიწყალე, შენებურად დაიურვე, მისი მამაცობა შეკარ ჩემზედა. რა წელიწადი ერთი გარდაჰკდეს, მაშინ ნუთუმცა გონება მომექცა, გული დარევდევ და უკანის, რა მოაბად გაჰკსნა, იგი შენად მონად იქმნების, რა მის საქმისაგან დაეკსნას. და იგი რომელ მითქუამს, თუ არ იქმ, ვერცარა შენ გაიხარნე ჩემისა ბედისაგან, ამით რომელ მე სიცოცხლე უნებელი არ მინდა, არცა სიხარული აუგითა. მოაბა-

დის ნებისა გასრულებასა სულისა ჩემისა ამოსლვა მირჩევნია, მისგან უნებლიე ამისა თხრობასა თუ „ნება ჩემი ქენო“.

რა ესე სიტყუა ესმა ბერსა ძიძასა, თუ სთქუა, ისარი ეცა გულსა. თუალნი გამოაჰყირნა ძიძამან, დაუწყო ჭურჭეტა კუშტად და ეგრე უთხრა:

„ჰე სინათლეო და თუალო დედისაო! ცნობისა და სიმართლისა ნაწილი აღარ არის შენშიგან. საძულველი ეშმა შემოგდგომია, და სიმართლისა და სიყუარულისა გზა შეუკრავს. შენ მეტისა შეჭირვებისაგან გაგულშავებულ ხარ და სათსა სიშავე არა წაეღების. მაგრა რა დაუთმობელად მისრულ ხარ, ერთობით თავსა ცნობა დაგიკცია. აწ რათგან ესრე არს, აღარა ღონე ვიცი შენისა ნებისა ძებნისა შენზედა შეკრვისაგან კიდე, ამით რომელ ეგე დევი, რომელ შიგა შემოგდგომია, ყოვლისა სიხარულისა გზა შეუკრავს შენისა გულისათვისო“.

მერმე ძიძამან სპილენძი და რვალი მოილო და გრძნებითა რაითმე ტილისში შექმნა: ორი მოაბადის სახე და ერთი ვისისი; შეულოცა რაჲმე და რკინითა ერთმანერთსა ზედა მაგრად შეაჭედნა. ძიძა მაგალითად გრძნეული იყო და ესე ორი ჩხიბი ასრე ვითამე შექმნილი იყო, რომელ ვირემცა იგი ერთგან დაქედილი იყენენ, მობად ვისსა ზედან შეკრული იყოს და, თუ ვინ გავსნიდა, მასვე წამსა გაისკნებოდა.

რა ძიძამან ესე საქმე დაიურვა, წავიდა დილასა ადრე ცისკრისა ჟამსა და წყლისა პირსა ჩაფლა. შემოიქცა, და ვისის უჩუნენა იგი ადგილი და ასწავლა, თუ სად დაეფლა და ეგრე უთხრა:

„თუცა შენი მბრძანებლობა არ მომწონებია, რაცა მიბრძანე, მე ეგრეცა მიქმნია შენისა გულისა ჰამოვნობისათვის. შენისა საწადლისა ასრულებისა ღონე მიძებნია, ესეთი უსწორო კელმწიფე შემიკრავს. და აწ რა ესე თუე გარდაკდეს, მაშინ შენ ესე ზნე დაიგდო და გამაკსნევიო. მაშინ აღარ მითხრა, თუ ესრევე იყოსო. რა გული დასდვა და მოაბადს თანა ჰამოდ იყო და სიყუარულით, მე მას ტილისმსა მუნით გამოვიღებ, დავპლევწ, გავკსნი და ცეცხლითა დავსწუთვ და თქუენ ორთავე გაიხარნეთ. ვირემდის იგი ნამსა შიგან არის, მობად შეკრული იქმნების. წყალი სიგრილისა კერძო არის და სიგრილითა შეიკრვის მამაცი. და კულა რა მას ცეცხლითა დავსწუთვ. გაკურდების მობად და გაიკსნებისო“.

ესე რა ძიძამან დააჯერა ვისის, ვითა ერთ თუემდის იქმნების, მერმე შენცა გული მოგექცევის და გავკსნიო,—დრო აიღეს ერთმანერთისაგან. დასჯერდა ვისი.

აწ ნახე, ღმრთისა განგებამან რა ქმნა, შაქარსა ზედა სამსალა ვითა მოაყარა. ამა მათა პაემანამდის ერთსა დღესა ამოვიდა

ზღუდისაგან შავი ღრუბელი და ესეთი წუთმა მოვიდა, რომელ ყოველი მინდორი ღუარითა აივსო და მარავისა წყალსა ჯვონისა წყლისა ოდენი მოემატა. და არ დარჩა ერთი ბალი-ვენახი, არცა სხუა ნაშენები წაუღებელი; და ქალაქისა ნახევარი წაიღო, ააოკრა და ოგი აღგილი, რომელ ძიძასა დაესწავლა, დათხარა და წაიღო ტილისში მოაბადისა. და დარჩა გლახ უკუნისამდის მოაბად შეკრული!

ა რ ა კ ი: დარჩა მოაბადის თუალთა შიგან ვისი, ვითა მდიდრისა ღრაპკანი გლახასაგან სანახავად, ვითა მშვიერსა ლომსა, ტოილოითა დაბმულსა, წინა კანჯარი წყნარად მავალი.

ჯერეთ მოაბად ცოცხალ იყო და მკუდართა ჰნატრიდა, სიხარულისა გზისაგან მოსცდა და სიმწარესა მიჰხუდა. მტერთა გაეხარებოდა და მოყუარეთა დაემძიმებოდა. მისგან საეკუთ საწოლი საკნისებრ საჭირო იყო მისთვის: ღამით გუერდით უწვის, მაგრა ასრე აშორვიდა, ვითა თუისა სავალსა. ორნი ქმარნი შეერთნა ვისმან, ორთაგანვე ქალწული დარჩა. ვერცა ვირო მიჰხუდა მისსა ნებასა და ვერცა აწ მოაბად.

ნახე, თუ საწუთრომან ვისსა ზედა რა ქმნა: გაზარდა ნებიერად, აუგსა აკრძალა სახელი მისი. ნაკუთად ნაძუისა მსგავსი [იყო], გაესებული მთუარე მისი მსახური იყო, აუყუაედა პირსა ზედა ვარდი, მოიწიფა სრულად და უკლებლად; გარნა ბოლოსა რა წაეკიდა შაპი მოაბადს, ძიძასა და რამინს თანა, რომელ, რა მიჯნურმან მისი ამბავი ცნას, თუალთაგან სისხლისა ცრემლსა იდენს! არავის ასმია მიჯნურისა ეგზომი ქირი და სხუადასხუა მიზეზი.



სამბავი ივ

სამბავი რამინის მიჯნურობისა

ა გულ-წარსრულსა რამინს გაუძნელდა საქმე და უღონო იქმნა, გაუბედითდა მიჯნურობისაგან ბედი, მიწყით უკაცურსა ადგილსა ეძებდის და მარტოდ დაჯდის; ტიროდის შეუსუნებელად და ღამით ძილი არცა ჰქონდის. არცა თავი სასთაულსა ზედა მიდვის. მასკულავთა უქუტურტდის და ფილაქთა სამისოდ მოჰქცევისათუის ღმერთსა ეაჯუბოდის. არა ჰქონდის მოსუნება არც დღისით და არცა ღამით. ვითა ხელი, ცურვიდის; ვითა კანჯარი და ვითა ველური თხა, კაცთა ფრთხებოდის. ვისის ნაკუთისა მიმსგავსებითა სადაცა ნაძუი ნახის, თუალნი ვერ მოსწყუიტნის; სადაცა წალკოტსა შიგან წითელი ვარდი პოვის, მისისა პირისა მიმსგავსებისათუის მას კოცნიდის; და ყოველთა დილათა ია კრიფის და მისისა თმისა ნაცულად გულსა ზედან დაიდვის. მიწყვივ მისი არიფი, რა ტირილისაგან მოიცალის, ორძალი იყვის და ნადიმი.

სადაცა დასწავლებული მიჯნური იყვის, მრავლითა და უცხოფერითა რაითმე კმითა კეკლუცად სიმღერა თქუის, ყუელა მოყურისა სიშორისათუის. და რა სულთქნის, ზაფხულსა ზამთრეული ქარი ააქროლის. მისითა კუნესითა კაცსა გული ეგრე გაუკდის, რომელ იადონსაცა შტოსაგან ჩამოაგდებდის, ეგზომისა სისხლისა ცრემლითა ტიროდის, რომელ მუკლთამდის ტალახსა შიგან ჩაეფლის. მისსა თუალსა დღე ნათელი ბნელ იყვის, და მას ქუეშე სტაერისა ჰამო საგებელი, ვითა გუელი, იყვის. ასრე საბრალო იყო და მოუსუნებელი მიჯნურობისაგან; ღუინოსა ყოლა არა დაიახლებდა ამისითა შიშითა, რომელ, რა სუის, სრულად თმობა წაულის ღუინომან. ესე ვერავინ ჰკითხის, თუ რაის ქირისაგან ხარ ეგრეო? სანთლისებრ იწყუებოდა, დნებოდა და წყლული გული მოყურისათუის შეეწირა. მისთუის სიცოცხლე გაბედიტებულ იყო და სინარული მისსა გულსა ერთობით გაეწირა.

ტირილისაგან ტანისამოსი მისი სისხლითა დასურული იყვის და კუნესისაგან პირი მისი ოქროის ფერი. და მიჯნურობისაგან და ქირისაგან სულნი ბაგემდის მოსლეოდეს და მიწყით თავისა სიცოცხლისა და მოყურისაგან იმედ-გარდაწყვეტილი იყვის. მოყურისა მისისა სახე თუალთა შიგან გამოესახა და თუალთა მისთაგან ძილი კიდე-ქმნილ იყო. სიდიდე ქუეყანისა მტკავლითა გასაზომლად უჩნდა. მეტისა გონებისაგან დამთრვალთა და ხელთაებრ უცნობო იყვის. საწუთროისა საქმისა ზოგჯერ ღონედ მოიგონის და წილნი ყარნის მოყურისა სახელსა, თუ ბოლოსა ჟამსა ჩემი და მისი საქმე ვით ერთგან იქმნებინო? ზოგჯერ შაჰინშას ბაღსა შევიდის, ბრუნვიდის, და ყოველნი ხენი მოწამედ დაიყენის და ეგრე უთხრის: „ვე ყოველნო ხენო! მოწამენი იყავით ჩემნი, ასრე მტირალი მნახეთ. რა მზიარული ვისი აქ იყოს, მას მოაკსენეთ, ნუთუ გული მისი უსამართლოისა ქმნისაგან განწმიდოთ!“ ზოგჯერ იადონთა ეუბნებოდის და ერჩოდის მრავლითა საყუდლურითა და ეგრე უთხრის: „თქუენზედა რა მოსრულა ქუეყანასა ზედა ეგ ზომი ავი, რომლისათუის თქუენ ეგ ზომსა იზახით? რა წაგკიდებია, თქუენთა მოყუარეთა გუერდით შტოთა ზედა სხედთ, არ ჩემებრ აშორაეთ და გაშტერებულ ხართ საბრალოდ!“

არა კი: „თუ ათას-ფერი წალკოტი და სიმზიარულე გაქუს. მე გულსა ზედა ათასფერი დაღი მაქუს. რათგან. თქუენ მოყუარეთა გუერდით ასრე იზახით და კუნესით საბრალოდ, მე რალა ვქმნა, რომელ არცა ნახვისა მოლოდნა მაქუს! მე მშუენის ჟამსა-და უჟამოსა კუნესა და ზახილი, ამით რომელ ჩემმან სულისა წამლებელმან ჩემი პირი არ იცისო“.

ესეგუარსა რასმე ეუბნებოდის და იარებოდის მას ვენახსა შიგან თუალ-ცრემლიანი და გულ-დადაღული. დღესა ერთსა მოარებად ჩამოსრული ძიძა ემთხუია წინა და ნახა ეგრე მბრუნავი. და რა რამინ დაინახა ძიძა, სულისაებრ საქმარი და თუალთაებრ სანდომი, სიხარულისაგან სისხლი აუღლდა და ღაწუმან მისმან, თუ სთქუა, ყაყაჩოსა პერანგი ჩაიცუა. ძიძისა სირცხუილისაგან ოფლი სდიოდა. გაზაფხულ წალკოტი თუცა კეკლეუცია, რამინის პირა ათასჯერ მას უტურფე იყო. ყურისა ძირნი წმიდასა ვეცხლსა უგუანდეს; სუმბულით ჯერთ შავი არ ჩაეცვა და მუშა-ვაზნი მუშკისა ყუანჯად შექმნოდა. ნიკაპსა ჯერეთ ცოტა ქაჟურისა ფერობა ჰქონდა, ბაგენი ლალსა უგუანდეს და კბილნი მარგალიტსა; ნაკუთი და სიგრძე მარულსა ნაძოსა უგუანდა; მაგრა ამა ნაძუისა ნაყოფი წითელი ვარდი იყვის, სახედ მთუარე გავსილი ქუეყანასა ზედა მნახავთა მოსაწონებელი. კაბა და ქუდი უნებროდ ჰშუენოდა. თუით გუარად ადა-

მისითგან სახელოანი კელმწიფე იყო, სახედ მიწასა ზედა სულიერი მზე, ყოვლითა ფერითა საქაბუკოითაცა სრული.

ვისცა რამინის ქურცტა განცლით მოუნდის, მასვე წამსა საკუთრად გული შემოსწირის. გუარიანობითა და ქაბუკობითა ორგუარად იყო ქუეყანასა ზედა. მეფე ძმა იყო და შვილი მოაბადისი და მაპისა ქუეყანისა პატრონი იყო. რა თუალი მისი გრძნეულმან ნახის, დასჯერდის და შეიწამის, თუ ესე უფრო კაცის წამღებიაო ჩემგანო, და რა ქაჯმან მისი პირი ნახის, ეგრე თქუის: კელმწიფობითა შენ უკეკლუცე ხარ ყოველთა კეკლუცთა ზედაო.

რამინ ასეთითა და შუენიერთა პირითა ვისის პირისაგან უსულლო, უგულო და გაშტერებული ბრუნვიდის. ყოველთა ფილოსოფოსთა წაჯობინებული თავისა გზასა უმეცარ ქმნილ იყო, და რა მარტოდ ნახა წალკოტსა შიგან ძიძა, ვითამცა ყოვლისა სოფლისა სიხარულსა მიმხუდარ იყო, ასრე გაეხარნეს. თაყუანისცა და ქება შეასხა. და ძიძამან განლაშცა აგრევე ქმნა, მოიკითხეს ერთმანერთი და მოგხუივნეს, ვით ძუელითგანცა მოყუარენი. მერმე ერთმანერთსა კელნი დაუქირნეს და უჩინარეს ადგილსა მივიდეს. იუბნეს მრავალფერად რამე და ესე საუბარი მათი რამინის წყლულსა გულსა ემაღმებოდა. და რამინ სირცხუილისა ფარდაგი დახია, ამით რომელ გული მისა სირცხუილსა დაეტყუევა და ძიძასა ეგრე უთხრა:

„ჰე ჩემო სულთაგანცა უფრო საკმარო! აჰა თავი ჩემი შენსა წინაშე მონისაგან უმონესია, შენი საუბარი და ნახვა ჩემი მაიციცხლებელი! ბედნიერობასა ვითხოვ, ამით რომელ შენ ჩემი დედა ხარ და ვისი პატრონი. მიწყით ჩემი საფიცი მისი მზე არის. მისად ოდნად, მზისა მსგავსად შუენიერი და კელმწიფე გუარიანი დედოფალი სხუა არ დაბადებულა და არცაღა დაიბადების. ვისიცა ჯუფთი ვისი არის, მისი შესაქირეებელი არაა. თუ სთქუა, ამად შობილა დედისაგან, რომელ ყოველსა გულსა ცეცხლად მოედვას და მეტად გლახ ჩემსა, რომელ ცეცხლისა მსახურთა სალოცავად გაუკლია გზნობითა. თუცა მე მისისა უსამართლობისაგან ვენთები, მისიმცა გული ასეთსა ცეცხლსა ზედა ნუოდეს ენთების. და თუცა ბედმან ჩემმან მე გამწირა, ბედნიერობისა ბედი მასმცა ნუ მოეშორების. მე ნიადაგ მისისა სიყუარულისა და მიჯნურობისაგან ვკუდები და ვიწუი. და ეგრეცა ამას ვიტყუი: მისიმცა ყოფა-დღე ჩემებრსა ნუმცაოდეს მიეცემის. რაზომსაცა მისისა სიყუარულისათუის კირსა ვჰნახავ, ეგზომჯერცა ღმრთისაგან მისსა უქირველობასა ვითხოვ. თუცა მე მისგან დაღრეჯილ ვარ, იგიმცა მიწყით მხიარულიაო!“

იამა ესე ძიძასა. რა მისგან საუბარი და პასუხი მოისმინა, მახცა სირცხულითა ვერე არქუა:

„რამინ, მიწყითმცა მრთელი მივი! ღმერთმან შენი უბედურობა და ჭირი ნუოდეს მასმინოს. შენითა ბედითა კარგთა შინა ვართ მეცა და ჩემიცა გაზრდილი, რომელ სინათლითა მთუარესა ჰგავს და მისითა სიკეთითა ყოველთა ახარებს. მისისა პირისაებრ შეუენვარე არის მისი ბედი და საქმე. და მისთა თმათაებრმცა დაგრებილია მისისა მტერისა ზურგი. მე საუბარი შენი ყუელა მესმა და გამიგონია უაუგო შენისა ნახვისაებრ სანდომი. ნუ უზრახავ მას უსამართლობისა ქმნასა; არ დავიჯერებ, რომელ შენ არცა მისი მცოდნე ხარ და არცაღა მნახავიო“.

კულაცა დაუწყო რამინ საუბარი და ვერე არქუა:

„ყოველთა უბედურთაგან მიჯნური უურო საბრალო არის, რომელ მისი გული შინაური მტერი არის და ყოველთა დღეთა მისსა აუგსა ეძებს. ზოგჯერ კუნესის მოყურისა სიშორისათუის, ზოგჯერ იწყუის გაყურისათუის. რაზომცა მისისა მიჯნურობისაგან ჭირი ნახოს, ლხინად უჩს; და სულისაგან აბეზარ იქმნა მოყურისათუის, არა ეჭირებდის“.

ა რ ა კ ი: „რაზომიცა მიჯნურობასა შიგან ფათერაკი დაემართოს, ვერეცა ყუელასა თავის ნებითა მას გამოირჩევეს. და კაცისა თუალსა მოყუარისა გონებისა ცრემლი გააკმობს და ძილსა გააკრთობს; მიჯნურობისა ტუირთისა ზიდვასა დაიწყებს და ჭირსა ლხინად დასთუალავს. მაგრა მისი სიამოვნე სიმწარისა ჯუფთია და მისი სიმზიარულე ქინოსაებრ ბედითა. მიჯნური მიჯნურობისაგან მთრვალსა ჰგავს, ამით რომელ დუხჭირი მოყუარე კეკლუცადვე უჩს; მთრვალისებრვე შფოთითა მლუიძარე მძინარესა ჰგავს. და ამით გამოირჩევის ავი კარგისაგან, რომელ, რა მოყურისა სიყუარული მოვა, ცნობა წაევა. მძლე ეშმა სძლევეს მიწყით და თუალთა დაუბრძობს. ცნობა და სიყუარული ერთმანერთსა ვერ ჰმორჩილობენ, ამით რომელ ცნობას სიყუარული მოერევის, აღარა მიუშვებს გამორჩევად საქმისად და ყოველი ხუაშიადი მისგან გამოცხადდების“.

„მე მიჯნურობისაგან ამეკადა საფარველი, და გულისაგან თმობა და სულისაგან ცნობა წამივიდა. მაშინ ერთსა დღესა ადგა ანაზღდეულად ქარი და მიჩუნა ანაზღდეულად ქაჯისაგან უტურფესი პირი. ოდითგან ჩემმან თულმან სამოთხისებრი სანდომი ნახა, მუნითგან მზიარული გული ჩემი ჯოჯოხეთისა მსგავსითა ჭირითა აესილა. იგი არა ქარი იყო, ფათერაკი იყო ჩემი და უგრძნეულოდ ჩამაგდო ფათერაკსა. სიყმაწვილესა შიგან შენ გავიზრდივარ და მას

აქეთაცა გინახავ, მაგრა ესრე დასაწყლებული არაოდეს გინახავ. აწ არცა მკუდარი ვარ და არცა ცოცხალი. ლომისა მსგავსი ძალი ჩემი გამელებულა და შექირვებისაგან მთა ჩემი გაეკეტულა; და ტანი ჩემი თმისაებრ დაწლობილა და პირი ოქროსაებრ გაყუთილებულა; წაწმინი თუალთა ზედა ლურსმად შემქმნიან და თმანი ტანსა ზედა გუელად. რა ერთსა დღესა არიფთა თანა სუმად ვჯდე, ვითამცა მტერთა ვეომოდე, და თუ თამაშად წალკოტსა შინა ვიარებოდე, მინდორსა შიგან გზა-დაკარგულსა ვჭავე, ღამით საგებელსა ზედა მწოლი—ზღუასა შიგან მომრჩეულსა. რა კაცთა ჩემთა მოყუარეთა ვეახლო, უთაოსა ბურთსა ვჭავე, უცნობობითა ცხენოსანთა ყუანქსა შესწრობილსა. სიხარულისა ჟამსა ასრე დაღრეჯილი ვარ, რომელ მტერთაგანცა შესაბრალებელად. ნიადაგ ესრე ვტირ, ვითა ცისკრისა ჟამსა ვარდსა ზედან იადონი და ვითა დილასა მთათა ზედა გაზაფხულისა ღრუბელი. მე მისთა ღამაზთა თუალთაგან გულსა ასი ათასი ისარი მარჭუთა და ფერკთა დაუკსნელი ემუდა მიყრია; დაკოდისა კანჯარსა მივჭავე, მინდორთა შიგან რა სასისხლესა წამლიანი ისარი სცემოდეს; ცოტასა ყმასა ვჭავე ობოლსა, საწყალსა, ძიძისა და მშობელთაგან მოწყუეტილსა. აწ შენგან ზენაარსა ვითხოვ და შენსა მოწყალეებასა ღონედ ვეძებ. მგზებარისა ცეცხლისაგან გამომიყვანე, კაცისა მკამელისა ღომისა ჰანგისაგან მიკსენ. ჯომარდობა და უსწორობა შენი აწ გამოაჩინე ჩემზედა. ესე უგულო და ყმა-კაცი შემბირალე. უცხოთა შეიწყალე მსოფალე გული შენი და შმაგნი გებრალედიან, ერთად მათ თანად მე დამიქირე. აგეთივე შმაგი მე ვარ და ყოვლითა საქმითა საბრალო, ამით რომელ წითლისა გუელეეშაპისა, კაცისა სისხლისა მსმელისათუის, დაპყრობილ ვარ. ვიცი, კაცი ხარ კარგი, და შეგონებითა შენითა მომიმატე საჩემო სიბრალულთი. და მოაკსენე ჩემვაგიერ ნაძუსა ღამაზ-მოარულსა, ბუთსა მოუბარსა, მთუარესა სულიერსა, ქაჯსა, — მიწისა მზესა, სიტყუა-ტკბილსა კაცთაგან ულევსა, უკლებად ტურფასა, თმა-მუშკსა, ბაგე-იაგუნდსა, აყუავებულსა სიხარულისა წალკოტსა, ესე მოაკსენე: „ჰე კეკლუტთა დასაბამო, რომელ შენსა წინაშე ყოველთა კეკლუტთა და მნათობთა შუენება უჩინო ქმნილა, ორისა კუირისა მთუარე შენგან მეშურნეობს და მისი სიელვარე შენდა შემოუწირავს. და გრძნეულთა ღაშქარი შენისა უებრობისაგან გაქცეულა, ჩინელნი კეკლუტნი შენგან ამფოთებულან, ბარბარული ბუთი შენგან გაწბილებულა და მისი მთელნი მისგან აბეზარ ქმნილა. შენნი ბაგენი კელმწიფეთა მონად გაყოსიან და შენი პირი მკუდართა გააცოცხლებს. დადნა გული და ტანი ჩემი შენითა გონებითა, ვითა მთისა თოვლი მზისა სიცხისაგან, ჩაი-

კრა გული ჩემი შენისა სიყუარულისაგან უნებლიე, ვითა ნადირი ბადესა; ცნობა და სიწყნარე წამსლვია: გული ტანსა შიგან იაყარ მქმნია; არცა მძინარესა და არცა მლუიძარესა ჳირი ჳირად არა მიჩს და ლხინი ლხინად; არცა კელმწიფობა რად ჩემი მიხარის, არცა სა-ჳურჳლე დიდებად; აღარა მაჳუს სიხარული, არცაღა დიდებულთა თანა მოედანსა ასპარეზითა ვიმღერი; არცა მინდორთა შიგან აყაზითა ვნადირობ და არცა მთაერთითა ჳორითა—კაკაბსა; არცა ნადიმთა თანა ლუინისა სუმითა გავიხარებ და არცა კეკლუტთა თანა დავჯდები მათსა სიახლესა; და ვერცავის ჳუეყანათა ზედა შენგან კიდე საჳურეტელსა გამოვირჩევე და არცა ჳირისაგან წამსაცა აზატი ვარ; ვერცა შენისა გონებისაგან კიდე სხუითა რით გავიხარებ, არცაეინ მოყუარე და გულს პასუხის შემწე მივის. თავისა სახლსა შიგან მყოფი ტყუჯა ვჳგავ, შეღამებით გათენებამდის ვკუნესი და ვილულარჳუნები, ვითა დაკოდილი გუელი. ტანისა ჩემისა წამალი შენი საუბარი არის და გულისა ჩემისა მაცოცხლებელი შენი ნახეა. მე მაშინღა ვჳპოვებ ჩემისა ცნობისა ჳეჳასა, ოდესაცა შენი ჳამო კმა მესმის. თუცა წელიწადია შენგან ჳირსა შიგან ვარ და სიხარულად გარდაჳცევისაგან ცრემლი დაწწითლებია, პირი გამყუითლებია, და ეგრეცა შენი მიჯნურობა სულთა მიჩეგია. და სულთა მებრძვის შენისა სიყუარულისაგან, არ ვეძებ უშენოდ სიცოცხლესა და არცა უშენოდ სიხარულსა, ოდესცა ჩემი გული შენისა სიყუარულისაგან გაძღეს, თავსაცა ზედან თმა კრმლად შემეჳმნების. დღისა სინათლე შენისა პირისაგან მაჳუს და ლამისა სიბნელე შენისა თმისაგან. ესე იკოდი, ვირე ცოცხალ ვარ, შენტა მოხათაგან უფრო საკუთარი ვიჳმნები და შენი მონა ვარ. და შენი თეთრფეროვანი პირი ჩემი სიხარულისა მომცემი და ჳირისა მაჳარეველი. ჩემი მზე შენისა პირისაგან ნათობს და ჩემი მუჳკი შენისა თმისაგან სურნელობს, შენისა ტანისაგან ჩემი ბროლი უტალაო და შენისა საუბრისაგან ჩემი სამოთხისა შუენება, და მუნ შიგან მჳუიდრ-ჳმნა ჩემი იგია, ოდესცა შენი პირი, ჩემი მაცოცხლებელი, ვნახო. დავლა და წალმართი ჩემი მაშინღა იჳმნების. ოდესცა შენისა პირისა ჳურეტა მომხედეს; მე ლმრთისაგან დღე და ლამე ამას ვითხოვ, რომელ ერთხელ შენსა შემოხედვასა მალირსოს. მაგას მაგარსა გულსა შენსა თუ შევეწყალო და სიბრალული ჩემი მოიღოს, წაზიდვად ამჳარტავნობა არ დაიწყოს, და თუ მემტერებოდეს, სიშორესა ეძებდეს, და თუ გამწიროს, უცილოდ დალუაროს სისხლა ჩემი. მაგრა არა კამს, შენმან მზემან, არა კამს, ესეთისა ყმისა კაცისა სისხლთა დალურა და მოკლეა. რომელსა დღეთა მისთა

შიგა შენდა არა შეუცოდებია. ასრე უყუარ მას გულთა მართლი-
თა, რომელ სიცოცხლისაგან ათასჯერ შენ ურჩევინხარ, და თავისა
სულსა გასწირავს შენთვის და შენისა ფერკისა მტუერსა თუალითა
იყიდის, ამით რომელ შენ გული ჩემი ესრე გიხუთავს, რომელ მე
მისგან ნაწილი არა დაპრჩომია. მოწყალე იქმენ ჩემ ზედა, ტანიცა
შენვე შემოგწირო და გაისაკუთრე, თუარა სულსა თანა ტანიცა გა-
ვწირო“.

რა ესე საუბარი ესმა ბერსა ძიძასა, ვითამცა გულსა მოწამ-
ლული ისარი სცემოდა, შეებრაღა ღია გულსა შინა რამინ, მაგრა
მას არა გამოუცხადა და ეგრე არქუა:

„რამინ, ჰამოო სახელო, ვისი, ვითა შენი სახელი, არ დაამდე-
ბისო. ნუთუ შენ გულსა შიგან მისგან იმედი გაქუნდეს? იგი მზე შენ-
ზედა ვეროდეს ნათობს. არა გავა მას თანა ეგე შენი მალორებლობა
და ბიჭობა, ამით რომელ ერთსახე ქსუ და არავისი დამზედავია. და
ნუცა აზრი ამისა გაქუს, თუ ძალითა რაითმე და ღონითა შეეყარო
შაპროს ასულსაო. იცოდი, შენ, ესე გიჯობს, რომელ გულისაგან კი-
დეგან-ჰქმნა ეგე საქმე, ამით რომელ ცული ოდენ ნატრა. დაგრჩე-
ბის. კაცსა გონებისა სისრულე, ცნობა და სირცხუილისა უფლობა
ასეთსა ჟამსა მოგემარების, ღუხჭირი კეკლუციისაგან და ავი კარგი-
საგან გამოარჩიოს და გულსა შიგან ესეთი რამე საქმე გამოარჩიოს,
რომელ მიჰხუდებოდეს, თუ შენ ცა ერთგან შეჰკეცო და ზღუა ქაბუ-
კობითა შენითა ამოაშრო, მინდორთა შიგან მტკუარი აღინო, ქვისა-
გან ნაყოფი ამოიყვანო, ერთი ქუეყანა ახალი დააგლო და მცწა მისი
თმასა ზედა დააყენო გრძნეულობითა ესეთითა და კელმწიფობითა,
—ვისის საქმესა ვერცა ეგრე შეჰმართებ. შენ მას მაშინ შეუყუარდე
და მისი გული მაშინღა ჰპოო, ოდესცა ფიჭუისა ხისა შტოსა ხურმა
გამოეხსას. ვინ შეჰმართებს მას წინაშე ესეგუარსა კადრებასა, ანუ
ვინ შეიწამებს მას თანა? არ იცნობ მისსა-გუნება-საკუთრეულობასა,
რომლისაგან თუით იგივე მიწყით იჭირვის. თუ ათასისა ღონისა გუ-
ლოვნობაცა მაქუს, ვერცა ეგრე შევიწამებ. რასაცა ჟამსა ამას სცნობს
და მოვაკენებ, გამიწყურების და პირის წყალი წამეღების. და თუით
შენ არ გეკადრების და არცა გეკამსოების, რომელ სიბერისა ჟამსა
მე მოყიენებული დავრჩე. ჩემი გაზრდილი დიდის გემოობითა თავ-
სა ცასა მოუსუამს და ადამის ტომსა ამპარტაენობითა სიტყუასა
არავის ბიუგებს. არცა დიდისა საქმისაგან შეშინდების და არცა
დიდისა საქონლისაგან მოლორდების. აწ თუით ძნელად დაღორეჯი-
ლია, სიმარტოისა და ღარიბობისაგან მოწყუედილი და თავისა ქუე-
ყანისაგან მოშორებული, კაცთა სიხარულისა ყუელასაგან დამ-

ფრთხალი და მკრთალია. ზოგჯერ თულთაგან ცრემლსა იდენს და ლაწუთაგან სისხლსა, ზოგჯერ ეტლსა და ბედსა უჩივის. რა ძმა და მშობელნი მოიგონნის, ვითა ალაფა, ცეცხლსა ზედა დაიწუების. დასწყევს დაბადებისა მისისა დღესა და შობისა მისისა—თუ ეგზომ უბედური რად დავიბადეო. ღმრთისაგან ქიწებით ეთხოვა შაპროს და ათასითა ნებიერობითა გაეზარდა. აწ შეუსუენებლად კუნესის და ტირს ლარიბობისა და მისისა ყუელაისა კიდე-ქმნისათვის. მას წინაშე ვინ იკადრებს შენსა კსენებასა და ამა შენსა ბედითად შეთულილობასა? თუმცა წუიმიზაგან უმრავლესი ენა მედგა, ერთსაცა ამა შეთულილობისათვის ვერ გავსწირავ და ესეთსა სამსახურსა ნუ მიბრძანებ; მით რომელ თავმან ფერკულად სიარული არ იცისო“.

რა უგულო-ქმნილსა რამინს ესეთი საუბარი ესმა, ცრემლისაგან მიწა დაატალახა, სიყუარულისა ცეცხლი ფერკათათ ტუინამდინ გაუკდა, საყელონი გარდაიხიენა, ძოწეულისა მსგავსი ფერი ზაფრანად გარდაექცა, ათრთოლდა, ვითა თავ-მოკუთელი მფრინველი, ენისა მომორჩილებისა ღონე არა ჰქონდა, არცა საუბარი შეეძლო. ასრე დაღონებული მიჯნურია საბრალო. რა დიდხან ესრე იყო სულღებითად, გული მორეუწყუნარდა.

მერმე ძიძასა კულაცა დაუწყო საუბარი, დიდისა ტკივილისა და უთმობლობისაგან ექენებოდა და ეხუეწებოდა. და ძიძა ჭკრეცა უწყალოდ იყვის სამისოდ. რაზომსაცა თავსა აბრალებდის და ეხუეწებოდის, ძიძამან ეგრეცა უიმედო ყვის. მერმე ბოლოსა ეამსა რამინ მოეხუია, და დასვარა ძიძა სისხლიანითა ცრემლითა და ეუბნებოდა საბრალოდ. ეგრე უთხრა:

„ჰე ძიძაო! ზენაარ, ზენაარ, სრულად სულისაგან იმედსა ნუ გარდმიწყუეტ, სიყმისა სიცოცხლისაგან ნუ მომწყუედ, ნავლისაგან საწუთროსა ნუ გამიხდი. რა გაგვა, თუ შემობრალო და უბედურობისა ქანგისაგან დამკსნა, წყალობისა კარი გამილო და ვისის პირი მიჩუენო მადლისათვის? მე თუ შენგან უიმედოდ გავკდები, უსაექოითა სიკუდილითა აქა შენსა წინა მოვკუდები. აწ შენად მონად შექმნილ ვარ, მიმიწე და ამა ქირისაგან ჩემისა კსნისა ღონე ძებნე. შენ ხარ ჩემი წამალი. ქუეყანასა ზედა არავინ ვიცი ჩემი მლხენელი. ჩემი გულისა პასუხი მას თან გამოაცხადე, ჩემი ნოკსენება ჰკადრე მას ტურთად ანაგებსა. მეტად ნურას მიზეზობ. ღონითა რა [არ] ერგების, რომელ ქარსა ზედა წისქვილსა აგებენ, ჰაერთაგან მფრინველსა ჩამოიყვანებენ, კურელითგან გუელსა გამოიყვანებენ, შელოცვითა დაამშუიდებენ! და შენ თუით შელოცვა უკეჟე იცი ყოვლისა კაცისაგან, ღონისა აგება მიწყით შენი კელია. საუბრისა ეამსა ენად შენე-

ბრი არავენ არის და არცავენ საქმიან ქმნისა ჟამსა გასწორავს. აწ საუბარი და ღონე ერთგან შეყარენ და ორითავე ვისი მოიმორჩილე. მე თუცა ბედნიერი არ ვიყავ, ესდენ უაზროსა ადგილსა შენ ვერ გპოებდიო“.

ესე უთხრა, ატირდა და მოეხუთა, კოცნა დაუწყო. და მასვე წამსა თანადაიწვინა და გულისა-ნება ქმნა. ვითამცა სიყუარულისა რაიმე წამალი ექმნა, ასრე შეუყუარდა ძიძასა.

ა რ ა კ ი: „რა ერთხელ დიაცისაგან ნებასა აიღებ, პირს ავშარა ამოდებულსა დაამსგავსებ“.

რა ძიძისაგან მოიცალა და რამინ ზე ადგა, ძიძასა მაშინვე გული რამინისკე მოექცა, და დახია სირცხუილისა ფარდაგი. და მისი კუშტი საუბარი მოაღმობიარა და ეგრე უთხრა:

„ჰე მალორებელო, რომელ ყოველსა კაცსა შენითა ენა-მაგალითობითა აჯობებ! აქამდინცა მიყუარდი, მაგრა დღეისითგან წაღმა გაწყდა ჩუენ შუა მიზეზი აქაითგან, ამით რომელ ჩემი საქმე გააადვილე. აწ რაცა გწოდდეს, მიბრძანებდი და მე შენისა მიბრძანებლობისა სიტყუასა არ გარდავალ. აღვასრულებ შენსა ნებასა ვისისგან და მოვაველენ, ვითა შენ გინდა, ეგრეო“.

რა ესე ესმა გულწყლულსა რამინს, ეგრე უთხრა:

„ჰე თუალთა ჩემთა სარჩეო! თუით ნახე დღეისითგან წაღმა როგორ გამსახურო სულის ჩემის ამოსლვამდინ. თუით შენ იცი, რაშინგან ვარ: შეღამებით გათენებამდის არა მგონია სიცოცხლე და გათენებით შეღამებამდის არ ვეჭუ დარჩომასა. მას ვჭავე, ზღუასა შიგან მარტო კაცი დიდსა ქარსა და ზუირთსა ჰხედვიდეს და წამსა და წამსა მორჩობასა მოელოდეს. მე ვისის შეჭირვებისაგან აგრე ვარ და დღესა და ღამესა კილის-კილე ვერ შევიგებ. აწ ჩემი იმედი და ღონე შენ ხარ, ამა კირისაგან მიშუელე და შენი ჯომარლობა საქმიანთა ცა გამოაჩინე, თუარა თქუმბა და არაქმნა ბედითია. ესე მიბრძანე, კულა ოდეს მიჩუენებ შენსა სუიანსა პირსა, ჩემად ნახვად ოდეს მოხუალ? მე აწ წამსა ვიანგარიშებ და თუალნი შენსა გზასა ზედა მაქუს, ვირემდიცა მხიარულად მეორედ არ გნახავ, მუნამდის ცეცხლსა ზედა ვიწუებდიო“.

ძიძამან გრძნეულმან სიცილით ეგრე უთხრა:

„შენ ენა-დიდად-მაგალითი ხარ; ამა ეგზომითა ქენებითა და ჰამოითა საუბრითა შენთა მტერთა ცა შენკე გარდაიყენებ. ჩემი გული დაგიწყლულებია ეგზომითა მუდარითა, ზენაარითა და ანდერძობითა, შენთა ფერკთაგან ბორკილი გამოვიღია და ჩემდა შეგიგდია, აწ ნულარას შეიჭირვებ, მოვიდა ჟამი კირთაგან შენისა ესნისა. შენ

თუით ნახო. შენი საწადელი ვითა აღგისრულო და შენი დაღრეჯი-
ლობა სიხარულად მოგიქციო და ვისის სადავენი ვითა კელთა მოგ-
ცნი, რომელ, ვითაცა გწადდეს, შენსა ფარმანსა ქუეშე იყოს. შენ
ყოველთა დღეთა აქა მოხუილოდი ამა-ჟამ, აქა მომელოდდი: მე თუით
გაცნობებ, რასაცალა ვიქმოდე“.

რა ორთავე პაემანი შექმნეს, ერთმანერთსა შეჰფიცნეს, კელი გა-
მოუღეს, აკოცეს ერთმანერთსა და გაიყარნეს.



ძიძისაგან რამინის გაცურა და ყისის

წინაშე მისლვა

ა ძიძამან ვისი ნახა, გრძნეულობითა და ორგულობითა სალორებელნი სიტყუანი შეეკაზმნა და ბიჭობისა სიამოვნობითა შეამკუნა. და რა გულწყლული ვისი ესრე დაღრეჯილი ნახა, რომელ ცრემლთაგან სასთაული დაესოვლა, დედისა და ძმისა სიშორისათუის საშკაული კიდე-შეექმნა, ეგრე უთხრა ძიძამან: „ჰე სულთა ჩემთაგან სარჩეო! არ სნეული ხარ, ნიადაგ ქუე რასა სწევ? შენი ტანი ისრისაებრი მშუილდად შეგიქმნია. რა ეგრე ხარ, ვითამცა საკანსა შიგან ჰზი, არა მარაგს ქალაქსა. მორეისუბუქე შეჭირვებისა ტუირთი. კაცთა დღეთა დაულევს ღიადი შეჭირვება და დაღრეჯილობა. შეჭირვებისაგან უარესი ჳირი არ არის და დათმობისაებრი სამისო ღონე არავე არს. მე თუ მომისმინო, მხიარული დასჯდე; თავისა და ბედისაგან იქადოდე. კაცისათუის ღმრთისა მინდობა კარგი ზურგია და მისი მიუნდობელობა და შეჭირვება მესისხლეა კაცისაო“.

რა ესე საუბარი მოისმინა, ვისი ცოტად დარგისწყნარდა, შეჭირვებისაგან თავი მუკლთაგან აიღო, პირი გამოუჩნდა, ვითა ამოშავალი მზე. მისთა თმათაგან ქუეყანა ასურნელდა და ჰაერი ამბრად შეიქმნა, და მიწა მისისა პირისაგან—სამოთხედ, და დარბაზი დაშუენდა. პირი მისი გაზაფხულისა ღრუბელსა ჰგუჟანდა, რომელ მისთავე თულთაგან ზედა სწუიმდის; თუალთა უძილოთა და მტირალთაგან უკეკლუცე იყო ნარგისსა ნამიანსა. ძიძასა ტირილით ეგრე უთხრა:

„ესე როგორი ჟამი და დღე არის, რომელ, თუ სთქუა, ცეცხლი არს დათმობისა დამწუელი? ყოველთა დღეთა, ვითაცა ახალი დღე

მოვა, ჩემთუნი ეტლთაგან ახალიცა ჭირი მოვა, ბრალი ამა მარავისა, ანუ მასკულაფთა, ანუ თუით უსამართლოსა მოქმედისა ეტლისა. ესე ქუეყანა არა მარავია, ტანისა გამადნობელია, ესე არა ქალაქია, მაგარი, ღრმა და ბნელი ჭაა, ესე დარბაზოანი მოკაზმული და მოხატული, ვითა სამოთხე, ჰამოა, მაგრა მე, ვითა ჯოჯოხეთი, მებნელების და მეძნელების. დღისით ჭირი მომემატების და ღამით ფათერაკი. წამსა და წამსა უარე და უარე ვარ. საწუთრო ასრე მომძულეებია, რომელ თავი ცოცხლად არა მჩანს და თუით იმედიცა გარდამიწყუედია სიცოცხლისაგან. მე, ვითა სიზმრიე, ვიროს პირი მინახავს, ესრე იყო, რომელ ცხენსა ზედა ჯდა, ნადირობით შემოსულ იყო, წელთა კრმალი ერტყაო, და კელთა შუბი ჰქონდაო და ღია ფნადირაო. მხიარულად ცხენითა მომიდგა, ღია ქება შემასხა და ჰამოდ ეგრე მითხრა: „ვითა ხარ, ძმისა მოყუარეო და სულო უტხოთა ქუეყანათა შიგან? როგორად ხარ უჩემობითა მტერისა კელთა შიგანო?“ მერმეე ნახე ვითამცა ჩემსა გუერდით მწოლად, და მომეხუია, მაკოცებდა პირსა და თუალთა, და გული ჩემი წყლული გამიმრთელა. მე რომელ წუხელის მეუბნებოდა, თუ სთქუა, აწუა მესმის მისი კმა, ჯერეთ მისი სურნელი სული მეცემის და, რათგან ჩემი ეტლი ეგზომსა ჭირსა მიჩუენებს, აღარცა ჩემი სულთა დგმა მინდა. მე ვირე ცოცხალ ვიყო, ესე ჭირად მეყოფა, რომელ სული ჩემი მკუდარღ და ულხინოა და ასონი ცოცხალნი. თუით შენ გინახავს, ძიძაო, თუ ამა მარავსა ქალაქსა სხუა ღმრთის დაბადებული ვიროსებრი კეკლუცი ვით არავინაო“.

ესეგუარსა ეუბნებოდა და თუალთა სისხლის. ცრემლსა აღენდა. ძიძისა კელი მისსა თავსა ზედა დაიდვა, და [ძიძა] ეგრე ეტყოდა:

„ჰე დედისა თუალთა სინათლეო, შენს წინათამცა მოკუდების შენი ძიძა და შენსამცა ჭირსა ღმერთი ნუ მიჩუენებს. მესმის ეგე შენი ბრძანება და, ვითა რკინა და რვალი, მემძიძა. ნუ შეიჭირეებ ეგზომსა, ცუდად ნუ დაიმწარებ ამა ტკბილსა საწუთროსა. გული მხიარულად დაიჭირე, რაზომცა შეგეძლოს, მით რომელ სიხარულისაგან დღენი მოემატებიან კაცსა“.

არაკი: „საწუთრო, ვითა მოგზაურთა სადგომი, ფუნდუქია და ჩუენ მოქარავენნი ვართ. მოქარავენეთა ფუნდუქსა შიგან ცოტა ხანი მიუხუდების. მისი სიმძიმელი სიხარულსა გარეული არის. და წამსა ვერ დაზმენ ერთგან, ვითა ღრუბლისა აჩრდილი“.

„თუ ერთი სიხარული და ნება წაგილო საწუთრომან, ათასი უკეთესი გაგისრულა. შენ ყმა-კეკლუცი და კელმწიფე ხარ და კელმწიფობითა ყოველსა ქუეყანასა ზედა ბრძანება გაგივა. ნუ გასწირავ

ერთობით სიხარულსა და ნუ ჩაიგდებ ცუდსა ქირსა შიგან გონება-სა. რაცა ქუეყანასა შიგან ყმა კაცია, ყუელა თავის თავისა ნებისა და გამოსუენებისა მძებნელია: ზოგისა სხუა ფერია და ზოგსა სხუა საქმე სჭირს; ამით გაიხარებდენ. ზოგსა ვისმე ლაშქარი უყუარს, ზოგსა ცოლი და სახლი და ზოგსა მონები დაკაზმულები, ზოგსა მოწიფებული ქალი. აგრევე რანიცა ფარდაგსა შიგან მყოფნია, კელმწიფეთა ცოლნი და ასულნი და აგრეთვე დიდებულთანი, მრავალფერითა საქმითა იხარებენ. რაზომცა კეკლუცი და კელმწიფე ქმრები უვის, მალვით ეგრეცა მიჯნურობენ და სხუანი შეუყუარდებიან. შენ ოდენ დღე და ღამე იჭირვი და თავსა მოიკლავ ცუდად, ვიროსგან კიდე არცავენ მოგეგონების და არცა მოგინდების. იგი თუცა კელმწიფე და კელმწიფისა შეილია, ანგელოზი არაა, სამოთხესა შიგან გაზრდილი. წედან ეგრე მკითხე, თუ მარავს ქალაქსა შიგან სხუა ვიროსებრი კეკლუცი არსცა და ანუ გინახავსცაო? ღმერთმან იცის, მარავს შიგან კეკლუცი მოყმე კაცები, მზისა მსგავსი, დიდად მინახავს, რომელ კაცისა თუალი მათისა ჭურეცისაგან ვერ გაძღების. ნაკუთად ყუელა საროსა ჰგავს, და სახედ უქლებნი და კეკლუცი და გულოვნობითა ყოვლისა ქუეყანისაგან გამო-რჩეულნი და ქებულნი. რა შემტყუე კაცი ამით ნახავს, ვიროსაგან ყუელა უფრო მოეწონების, და მათ შუა თუით რომელი ერთი არის ლომი ჭაბუკი, რომელ კაცისა გონება მისსა ქებასა, ვითა მართებს, ეგრე ვერ მიიღნებს. ვითამცა იგი სხუანი მასკულაენია, და იგი მთუარე; და იგი სხუანი ვითამცა კენჭნია, და იგი იაგუნდი. ესრე ჩანს მათ თანა გუარად ადამისითგან კელმწიფე მოაზადის საყუარელი ძმა, სუიანი და ბედნიერი. სახელად რამინ ჰქვიან, მიწასა ზედა ანგელოზი და ომსა შიგან დევი. სახედ ვიროს დია ჰგავს. ყოველი კაცი და აქუორნი დედანი მისნი მიჯნურნი არიან, ყოველი გულოანი ჭაბუკი მას აქებს და მოედანსა შიგან მას ვერავენ აჯობებს. ერანსა შიგან მისებრი ცხენოსანი არ არის შუენებითა. შუბითა თმასა გააპობს. თურქეთს და ხორასანს მისებრი შშუილდოსანი არ არის, მისითა მბრძანებლობითა მრავალი მფრინველი უსულო იქმნების, ბრძოლითა, ვითა ლომი, გამწყურალი და გაცემითა, ვითა მაისისა წუიმა, ეგზომითა კარგითა ზნითა, რომელ მას სჭირს, გულსა ზედა იგივე დალი აზის, რომელ გულწილობით შენვე გგავს. ჰე სანატრელო, საყუარელო ყოვლისა კაცისაო, თუ სთქუა, ერთი ვაშლი ორად გაყოფილნი ხართ. ნახე, თუ შენ ვითა ხარ, იგიცა აგრეა. შეჭირვებისაგან თმასა ჰგავს, ოქროითა შეღებულსა. მას შენი პირი უნახავს და გამიჯნურებულა შენთუის და შენისა სიყუარულისა იმედსა იგო-

ნებს. მისნი შუენიერნი ნარგისისა მსგავსნი თუალნი დღე და ღამე ღრუბლისაებრ წუთიან, პირი მისი, რომელ მთუარისაებრ ელვარე არის, უგულობისა და ჭირისაგან ბზის-ფერად შეჰქმნია. გულსა მისსა მიჯნურობისა ჭირი დიდად უნახავს და სამსალისაებრ სიყუარულისა სასუმელი დიდად უსუამს. შენ მებრალეები მიჯნურობისაგან და იგი მით, რომელ კეკლუცი პირი ჭირსა შიგან ყოველსა კაცსა ეწყალვის. თქვენ ორნივე მინახავთ მიჯნურნი, ნებისაგან მოშორებულნი, ორნივე უგულონი და ორნივე ულხინონი“.

რა ვისმან მოისმინა ძიძისაგან ესე ბედითი საუბარი, დიდხან პასუხი არ გამოსცა და საშინელითა ცრემლითა ატირდა. ძიძისა სირცხუილისაგან თავი მოიდრიკა. ბაგე პასუხისა და სირცხუილისათვის შეკრა. მერმე თავი აიღო, ეგრე არქუა:

„კაცისა უკეთესი სათავენო სირცხუილია“.

არაკი: „რა კარგი არქუა ხუასრომან მოლაშქრესა: რათგან სირცხუილი არა გაქუს, რაცა გწადიან, იტყოდით“.

„აწ თუცა შენ ცნობა და სირცხუილი შეგწვედა, არ ესრე საუბარი გმართებს. ჩემგანცა და ვიროსაგანცა დია გრცხუენოდეს, რათგან ჩუენ დაგუივიწყენ და რამინ მოგვეგონა. თუცა ჩემსა ფრჩხილზედა თმა გამოსულ იყო, ეგრეცა მასვე ვიგონებ. ამას შენგან არ მოვლოდნივარ. თუ შენ ჩემი დედა ხარ და მე შენი ასული, და შენ უხუცესი ხარ და მე უმრწემესი, მე ლამაზობასა და უსირცხუილობასა ნუ მასწავლი, მით რომელ დედათა უწრფელობა მოაყიენებს. ჩემი გული თუით ვით არილა მხიარული და წყნარი, რომელ შენ კულა მოსალორებელსა ჟამსა ეძებდე. მაგაშიგან აუგითა საუკუნოითა დავისურები და შენდობისა და სამოთხისაგან კიდევან ვიქნები. თუ რამინ სიგრძითა ნაძუსა ჰგავს და ჰაბუკობითა როსტომს უფროა, მე არად მომინდების, რაზომცა კეკლუცია. ძმა ჩემი არ არის, თუცა ვიროს ჰგავსო. ვერცა იგი დრაჰკნითა მომალორებს და ვერცა შენ შენითა საუბრითა. შენ თუით რად მოისმინე მისი საუბარი და, თუ მოისმინე, მე რასთუის მკადრე? იგი რად არ ავად გაჰკადრე? ვითა მართებდა მისსა ბედითსა საუბარსა, ეგრე პასუხი რად არ გაეც?“

არაკი: კარგი არქუა მოაბადმან ოშანგს: „დედანი ნებისავენ უფრო იზიდვენ, ვირე სახელისავენო; დედანი უსრულად დაბადებულნია, მით მიწყევ თავისა წადილი მორეგს, საწუთროსა და საუკუნოსა გასწირვენ ერთისა წადილისა გასრულებისათვის და ამას აღარ გაიგონებენ, თუ ბოლოსა ჟამსა მოვეყიენდებითო“.

„მე ათასისა ზნისა და უხანობისა მცოდნელმან რად მივსცე გული? მამაციისა ნადირი მიწყით დიაცია. ერთსახე აღრე შეიპყრობს

და ადვილად ათასითა ქენებითა და სიტყუითა მოალორვებს; შეჰფიცავს დიაცსა და, რა გულისა ნებასა აისრულებს მისგან, მოირქუეპს, აღარად გაიკუირვებს, სხუა მოუნდების. რაცა წინას ექმნას, უკანის ნებიერობს და კმა-მაღალ იქმნების. შეუპოვრობისაგან დიაცი გლახ უკანის გაუბედურდების და მამაცი მისგან ერთობ აბეზარ იქმნების. გლახ მაშინ დიაცი ბადესა დაბმული იქმნების, აილებს ნებასა, გასცემს პატიოსნებასა, არცაღა მერმე პატივსცემს მამაცი და არცა მისგან შერცხუნდების. აღარ ემოყურების, ეკიცხვეს, არა აქებს და აუგსა მოუთუალავს. დიაცი გლახ იმედის მოლოდნითა დნების, ვითა თოვლი მზისაგან. სიყუარულსა შიგან, ვითა ნადირო, დაკოდლი იქმნების: არცა დადგების და არცა გაქცევა შეუძლია. ზოგჯერ სახლეულთაგან შეშინდების, ზოგჯერ ქმრისაგან, ზოგჯერ დნების მათისა შიშისა და სირცხუილისაგან. ამა საწუთროსა—შიში და მოყინება, და საუკუნოსა—რისხვა ღმრთისა! და სადაცამე ოდეს ვიქმ მე ეგეთსა საქმესა, რომელ კაცთაგან ვირცხუოდი და ღმრთისაგან ვიშიშოდი? თუ ეშმას წადილითა აქა მოვსცდე, საუკუნესა ღმერთი დამწუჟავს და, თუ ჩემი ხუაშიადი კაცთა ცნან, ყოველსა კაცსა წინა გაგებდითდე. მერმე ზოგნი ჩემსა ძებნასა ეცდებიან, მათისა წადილისა გასრულებისათუის თავსა გასწირვენ, ზოგნი ჩემისა მოყინებისათუის იკირვიან და ავისა ზრახვისაგან კიდე არას მიდგებიან და რა ყოველსა კაცსა ნება ჩემგან აუსრულდეს, მე ჯოჯოხეთისაგან კიდე აღარა რომელი ადგილი მემართების. ჩემიმცა მიწყით ღმერთი არის, რომელმან მართალსა გზასა ზედა დამიფაროს, ჩემიმცა იმედი მიწყით ღმრთისაგან აღსრულდების, მით რომელ მისგან კიდე არავისგან კამს წყალობისა მოლოდნა“.

რა ესე სიტყუა ესმა ძიძასა ვისისაგან, რამინისა იმედისა კელი მოკლე ნახა მისგან; სხუისა კარისა პასუხი გამოსცა, ეგრე უთხრა:

„ყოველი კაცი ეტლისაგან იქმნების ბედნიერი და უბედური, ღმრთისა განგებისაგან მოვა კაცისა თავსა, ზედა, რაცა მოვა, მით რომელ კაცთა სახელად მონა ჰქვიან“.

შეგონება: „შენ ეგრე გგონია, თუ ძალითა და ქაბუკობითა ლომსა ლომისა ბუნებასა დააგდებინებს ვინმეო, ანუ დიდებითა და კელმწიფებითა კაკაბსა ქორისა ბუნება მიეცემისო. ღმრთისაგან ყუელა ჩუენსა თავსა ზედა განგება დაწერილი და სიცოცხლესა შიგა ვერ ავჰედებით ღმრთისა განგებასა და ჩუენგან არ იქცევის წერილი, თუ ვტირთ და თუ ვიცინით. აწ შენცა იგი წაგეკიდების, რაცა ღმერთსა გაუგია, არ მოგემატების და არცა დაგაკლდებისო“.

ეგრე უთხრა ვისმან:

„ყოველი საქმე ბედისაგან მოვა კაცსა ზედა, მაგრა ვინცა ავი ქმნა, ავი წაეკიდა! მრავალი არის, რომელ ერთსა ავსა იქმს და ასსა უარესსა ნახავს. პირველ ავი საქმე შაჰრომან ქმნა, რომელ მოაბადის ცოლი ვიროს მისცა. ავი მან ქმნა, ჩუენ არა გუიქმნია, და ნახე თუ რაზომი ჭირი ჩუენცა გუინახავს: მეცა მოყვივნებული ვარ და ქმარიცა ჩემი, მეცა უიმედო ვარ და მოყუარეცა ჩემი. თუით მე რასათუის ვიქმ ავსა და მერმე ბედსა ვაბრალობ? და მე უბედურისა ბედისაგან განალა ბედითი ვიყო, რა ავისა საქმისა მიმდგომი ვიყო?“.

კულა ძიძამან ეგრე არქუა:

„ჰე ნათელო ჩემო, არ ჩემი შეილია უსწორო რამინ, რომელ მე ჩემისა შეილობისათუის უშუელდე და ჭირისაგან ვიქსნა. თუ ღმერთი და ბედი მას უშუელის, ეტლთა და საწუთროსაგან ავი აღარა წაეკიდების“.

შეგონება: „განალა გასმია მეცნიერთა სიტყუათაგან თუ: ღმრთისაგან წადილი მისი ყოველივე შესაძლებელ არს, სოფელი და საწუთრო მბრძანებლობითა დაუბადებია და ყოველი მაშიგან მოძრავი და მათი საკმარი კამსისაებრ გაუგია: ველნი და მოედანნი ვენახად და ნაშენებად შეიქმნებიან და დია დაზაზოანნი გაველდების, მრავალი დიდი დამცირდების და ცოტა გადიდდების. თუ მიჯნურობისაგან ჭირი და სიმწარე გაქუს, შენ ჩაუქობითა შენითა ვერ დაეკსნები. თუ ღმრთისა განგებაა, გაგიმარჯლებს, იცოდი, ვერ აჰკლები მისსა საქმესა. არცა კუშტობა გერგების, არცა სიდიდე, არცა მკლავი, არცა საჭურჭლე, არცა გონებიანობა, არცა კელმწიფება, არცა კრძალვა და პატიოსნება. რა სიყუარულისა საქმენი მოვლენ, უნებლიე ემორჩილებიან კაცნი ავთა და კარგთაგან. მაშინ საყუედურისა მოსმენისაგან კიდე ღონე აღარაა. აწ გამოჩნდეს ჩემი სიტყუა დია აღრე, რომელ ამა ცეცხლისაგან კუამლი ამოვიდეს. რა უჩს, — თუ რაზომცა ვინ შეგიყუარდეს, ჩემსა სიტყუასა მაშინლა აქებ. ცხადად შენცა ნახავ და მეცა, თუ შენი მოყუარე ვარ ანუ მტერიო“.



იწ

ძიძისაგან მეორედ რამინის თან მისლვა

ეორესა დილასა სადა პაემანი დაედვა, მივიდა. დასხდეს იგი და რამინ. ნახა, რომელ ძიძა მხიარულობდა და ნიშტიანად იყო, ეგრე უთხრა რამინ:

„ჰე გასადიდებელი ძიძაო, გუშინდითგან ვითა ბრძანდები? შენ მართლად მხიარული ხარ, რომელ ვისისა პირი გინახავს და მისგან ჰამო სიტყუა გასმია“.

ჰკითხა რამინე: „ვით არის იგი მზე, რომელ რამინის ღღენი მას წინათამცა დაიღვევიანო? განალა მოაკსენე მას ჩემი მოციქულობა-შეთულობა და საბრალობა და გააგონე მიჯნურობისაგან ჩემი უბედურობა?“

ძიძამან საქმიანმან ეგრე უთხრა რამინს:

„მივივდ მას შუენვარესა და მოვაკსენე შენი შეთულობა. მე ავად გამკადა, მაგინა და პასუხი ესე შემოუთულავეს და ამას მოვაკსენებს: რამინ, მართალსა მრუდი ნუ გირჩევია, რომელ არ გამრუდდეს შენი საქმე. შენ რასათუის ექენები, მშუილობით ქუე დაჯედ. მეტის მოურაობა არავისათუის არის სუიანი; ნუოდეს პოელი ჩემგან შეყრასა, ნურცარას ამისითა იმედითა იჭირვი. წადი, შენი საქმე იურვე. თუ მიჯნურობა გწადიან, ქუეყანასა ზედა ღია ღიაცსა ჰპოებ; ვითომცა თუით ჩემი სახელიცა არ გასმია, ნუ ხარ ეშმასა მიმდგომი და ნუ შესცოდებ პირველ ღმერთსა და მერმე ძმასა შენსა. შენ ნუთუ ერთხელ ჩემგან შენი სება ჰპოო, ვიცო, რომელ ესრე მოგძულდები, რომელ ჩემისა სახელისა მოსმენაცა გეაუგებოდეს და დამეკსენო. მე თუით ესრე მიბრძანა: ზე აღდეგ, ძიძაო, შენთამცა ღღეთა შიგან ნუ გიკადრებია მაგისი შეწამება; და თუ კულა შენგან ძესმისლა ეგეთი სიტყუა, ვირე ცოცხალ იყო, ჩემსა პირსა ვერა ნახავო. მე რა მისგან ესე მესმა, მე აღარა შემიწამებია, ველარცარას ვჰკადრებ; ამისათუის შეგშინდი, ნუთუ ჩემგან აბეზარ იქმნას, და მე ველღვიო“.

რა ძიძისაგან რამინ ესე მოისმინა, მიჯნურობისაგან ესრე ათრთოლდა, ვითა ტირიფი ქარისაგან. გული აუძგერდა და მეტისა სიმძიმლისაგან დაყოვნითრე უთხრა პასუხი; ეგრე არქუა ძიძასა:

„შემიწყალე კულადაც და მეორედცა მოაქსენე ჩემავიერ ვითა: ჰე ელვარეო მთუარეო და მზისაებრ ნათელო! მამაცი ყულეა არა სწორია. ნუ ხარ ჩემთუის უწყალო. ზენაარ, თუ მიბრძანო, მე ათასითა პაემნითა შეგოგფიცო, რომელ, ვირე ცოცხალ ვიყო, შენი მიწა ვიყო, შენი მიწისაგანცა უფრო. შენი სიყუარული არაოდეს დავივიწყო, სულთაგან უფრო მიყუარდე და ჩემისა ტანისაგან შენი სიყუარული და ჩემი სული სწორად გამოვიდენ. არაოდეს მოვიცილოვო მონობა შენი, არა ლხინსა და არა ქირსა შიგანო“.

ესე თქუა და სისხლისა ცრემლნი ლუარულად ადინნა. თულანი მისნი მაისისა ღრუბელსა ჰგუანდეს წუიმისა დაულევენლობითა.

შეებრალა ძიძასა უგულო რამინ, მით რომელ დაღონებულობისაგან დია საბრალოდ იყო. ეგრე არქუა რამინს:

— „ჰე ჩემთა თულთა სინათლეო, მიჯნურობასა შიგან თმობისა იალმაგი ჩაიკუთი ტანსა. მიჯნურსა ტირილი გამოაცხადებს და ავად მოუქდების, ცხადსა მიჯნურსა დია ფათერაკი სდევს. ვისის ნაკულად, თუ გწადდეს, ჩემი სული გიძლუნა. წავიდე, მოვავლინო და ვისსა კულაცა შევება; ტანსა უსირცხუილობისა ჯაჰუი ჩავიციო. მე, ვიდრე სულნი მიდგან, შენ ვერ გაგწირავ. ჩემი სული და სიცოცხლე შენდა შემომიწირავს. ამისგან უფრო გული მართალი არ ვიცი, რომელ ჩუენია. და ნება ასრულდების, რა გული მართალი უც კაცსაო“.

მივიდა ძიძა ვისსა წინაშე, ათასფერი სიტყუა ზეპირ დაესწავლა. ნახა, რომელ თავ-ჩამოგდებულზე ჯდა. შექირვებისაგან გული მწუადასა უგუანდა, თორენსა შიგან შემწუარსა; თულთაგან დაუწყუედელად ცრემლისა დენა ნოეს რლუნობისა ღრუბელსა უგუანდის; დღე და ღამე მოუსუენებელსა ქირსა შიგან იყო. ძიძა ერთობ ენად მარჯუე იყო და კულაცა დაუწყო საუბარი; ეგრე არქუა:

„ღმრთისაგანმცა მიწყით დაღრეჯით იგი ზის, ვინცა შენ აგრე დაგლრიჯა! ღმერთმან მისი ქირი და ბოროტი ქმნას, ვისგანცა შენ აგრე შექირვებული და დამძიმებული ხარ! თავის სახლისა ნატამალთაგან მოგიშორა და კიდევანდ ტყუეურად დაგება; შეუენერთა დედისა და ძმისაგან მოგაშორა, რომელ ერთი სულსა გიგუანდა და ერთი გულსა. მაგრა აწ ამა უცხოთა შიგან შენცა მიწყით შმაგსა რასა ჰმბაძე? რასათა გერგების ეგ ცნობა, რომელ ღმერთსა მოუცემია? რათგან შენითა ცნობითა თავსა ვერას ირგებ, მე შენითა ქურეტითა ვიწუი და დაღრეჯილი ვარ შენისა დაღრეჯილობისაგან.“

ბუნებიანი კაცი ცნობილობითა ეძებს თავისა წამალსა და ამით გააქარებებს შექირვებასა“.

არაკი: „შენ ღმერთმან გონება და ცნობა მოგცა, მაგრა ცნობისა და გონებისაგან სიხარული არა გინაწილა. ვირსა ჰგავ, რომელ ზურგსა კრმალი ეკიდოს და, რა ლომი ემთხუიოს, ვერად მოიკმაროს“.

„აწ ეგზომსა ვირემდინ შეიქირვებ და ასრე ბეჯედსა ოქროსა ზედა ჩამოჰყრი?“

შეგონება: „ნუ იქმ, შეიბრაღე სიყმე შენი. ჰირსა ჰირსა ზედა ნუ მოიმატებ. უცხოთა შიგან ნიადაგ ნუ იზახი, ბედსა და დიდებასა ნუ სწყევ; მოისმინე, ანგელოზი შენი მიწყით გახლავს დღე და ღამე და ესმის შენგან ღმრთისა უარის-ქმნა და წყვეა დღისა დაბადებისა შენისა. შენ ერავისა და ხორასნისა დედოფალი ხარ, ყოველთა კეკულუტთა მზე და უხუცესი. სიყმესა ზღუასა შიგან ნუ ჩაადებ და მაგა ტანსა ჰირსა შიგან ნუ დაადნობ. იცი, რომელ დღენი ჩუენნი ნათხოვნია და გარდასრულნი გარე აღარა შემოიქცევის. სული დია საყუარელი და აზიზია, შენსა წინა რად ეგზომ უპატიო და საძულველია? სიყუარულსა შენებრ არავინ დააბამს ჰირსა შინა და მიწყით არავინ დაღრეჯს და დააწყლულებს. შენ თუ მიწყით ესე ზნედ გჰირს, რომელ საყუარელთა ამძიმებ, შენსა სულსა შენ დია უყუარ. შენ იგი რასთუის გძულს? რამინ შენსა სულსა ჰგავს, მას შენ უყუარ და იგი შენ გძულს. ნუ იქმ, მკუყარეთა თანა უამე იყავ; ვენაკისაებრ ნაკოფიერი ხე იყავ, შეიბრაღე იგი გლახ ყმა-კაცი, ნუცა მას. დაადნობ და ნუცა შენსა ტანსა უზამ მიწყით გაუხარებლობასა. ნუ უწყალო ექმნები ამას უსწოროსა ჰაბუკსა. გაზარღე მისი სიყუარული, ვინცა შენსა სიყუარულსა ზრდის. თუ შენგან არავინ გაიხარებს, შენი ჰირი დია კუპრისა სწორიაო“.

რა ესე სიტყუა ესმა ვისსა, აშფოთდა, აგინა, კუშტად ავი სიტყუა მიუგო ძიძასა და ეგრე არქუა:

„ჰე საძაგელო და ღმრთისაგან დაწყეულო! ნუმცა შენ, ნუ ვისი და ნუ რამინ. ამცაოკრდების ხუზისტანი, სადაურც ხარ; ნუმცა შენი არჯალი ჰირი და უბედური; შენისა ქუეყნისაგან მაჰკალის მეტი არა გამოვა და შენისა გუარისაგან გრძნეულისაგან კიდე არა იშობების. თუ შენისა გუარისაგან ათასი შეილი გამოვა, ყუელა ბოზი, გრძნეული და მატყუებლობასა უკანა-მდგომი იქმნების. ნურავის არწმუნოს ღმერთმან, რომელ თავისა ასული საზრდელად მისცეს ძიძასა, რომელ ავითა და არაწმიდითა ძუძუითა გაზარდოს, მით რომელ მას წმიდასა გუარსა და პატიოსანსა შეილსა აუგით დასუ-

რის, ვითა თავისა შვილსა გარყუნის. თუ შენი ძუძუ მზისაცა შეილ-
მან წოოს, მისისა სინათლისა მოლოდნა ბრალი არის. ღმერთმან
ჩემსა დედასა გარდაკდევისოს, რომელ ჩემი წმიდა გუარი დასუარა
შენითა ძიძობითა და შენებრივისა გრძნეულისა და უსირცხუილოსა
კელსა მიმცა, რომელ არცა ცნობა გაქუს და არცა სირცხუილი! შენ
ძტერი ხარ ჩემი,—არ ძიძა. აწ ულონიოდ წაგილია და წაცილებ
ჩემსა პირის წყალსა. ჰე ღმერთმან მისი საფარველი დამდვას და შე-
ნებრივისა უწრფელობისაგან მიკსნას. შენ არა იგი ხარ, რომელ
თავისა თავი გეჟურთილების მიწყით და პატიოსნობასა აქებ. აწ ამას
შმაგურითა საუბრითა და უსირცხუილობითა შენითა ყუელა შენი
სახელი გააქარვე და შენისა სიყუარულისა ქირი ჩემისა გულისაგან
ამოგივლია. შენ აქათგან აღარაეინა გდებს პატივსა, მისგანვე კიდე,
რომელ შენებრ ბოზი და გრძნეული იყოს. შენი საუბარი და სიყუ-
ლილი სწორად მიჩს“.

ა რ ა კ ი: „ვითა შემოდგომათა ხისა ფურცელი ჩაეიქრები და
ეგრე მასწავლი, მოკლეთა დღეთა რად არ გაიხარებ სიძვითაო? ნე-
ტარ თუ სიკოცხლესა ჩემსა ყუელა მადლი ექმნა, უარეა სიძვასა?
სამოთხე და ღმრთისა ნახვა მაგა აგრე ქცევითა არ მიჰხუდების კაცსა.
საწუთრო და ლალობა მეცნიერთა სწორად უჩს: ლალობა არსად
გრძლად არ იხარებს“.

„შენ ძიძაო, სულითა შენითა ნუ იბრძუი მით, რომელ მე შენსა
საუბარსა არ მოვისმენ და არცა ოდენ შენსა ბადესა დაეებმი! არ
ცოტა ყმა ვარ, რომელ ჭრელითა რაითმე მოვლორდე, ანუ ფრინველი
რამე—ქვითა დავგორდე. რეგუენისა რამინის რომელ შეთულილობა
მოგილია, ჩემსა ყურსა ზღაპარია ცუდი. თუ კულა ოდესცა შეიწამო
ჩემ თანა, ანუ ოდესცა ეშმაკთა წადილისავე შიმზიდო, არ თურე ჩემის
გუარისა ვარ და შენგან ეგე საუბარი მიაშეიის. მე ამა საწუთროი-
საგან აბეზარ ქმნილ ვარ და ჩემსა სულსა ზედა მკუელად გონება და-
მიყენებია. ესე კაცმან ყუელამან იცის, რომელ ღმერთი და რჯული
სჯობს ხუზისტანელსა ეშმასა და რამინსაო“.

რა ძიძამან წყრომა ნახა ვისისი და საუბარი ღმრთისა და
სჯულისაგან მოისმინა, გულსა შიგან იგონებდა, თუ აწ რა ტკბილად
დაეწყო ლაპარაკი და საუბარიო. ეგრე თქვა: „მე ამა ქალსა ვე-
რათ მოვლორებ და ვერცა მოვერევი მისსა გულშაგრობასაო. აწე
ჩემი ღონე გრძნეულობა არის, რომელ შელოცვითა ნუთუ რამე ექმნაო“.
დაუწყო კულაცა საუბარი ძიძამან, და მოიკმარა თავისა მაგალითო-
ბა ენითა და ეგრე მოაკსენა:

„ჰე ჩემთა სულთაგან უფრო საყუარელო და ყოველთა შუენი-
ერთაგან უშუენიერესო! მიწყითმცა სიმართლისა მთქუმელი და სა-
მართლისა მოქმედი ხარ და მიწყითმცა მოკრძალი და პატროსანი.
მე რა დამეჭირების ეგეთი, რომელ შენებრსა გუარიანსა და წმი-
დასა მოვაცთუნებდემ? რასათუის გეუბნები ილათითა სხუათათუის,
არ ულონო ვინმე დაქირვებულ ვარ! რამინ არცა ჩემი შვილია,
არცა ნატამალი, არცა მზახალი, არცა პატრონი. ამას არ მიბ-
რძანებ, თუ მან კარგი რა მიყო, რომელ მისად მოყურად შექქემ
და შენად მტერად? მე საწუთროსა შიგან შენი წადილი მო-
მინდების და რაცა შენ ვიამების, მე იგი მიაამების. აწ ხუაშიადსა
ბუკითა შენთანა გამოვაცხადებ, რათგან ღონე არა მათქმევს. რა-
ზომცა სიდიდესა გემოობდემ, ეგრეცა ადამის შვილი ხარ, არცა ანგე-
ლოზი, არცა ქაჯი და არცა დევი. ასეთსა ქმარსა მოსწყუდი, ვითა
ვირო არის მაგალითობითა. ესეთი კელმწიფე შეგირთავს, ვითა
მოაბად არის. შენგან აქამდის არვის გახარებია, ამით რომელ საგე-
ბელთა შიგან არავისდა შეყრილ ხარ; და არცა ვისაგან გაგიხარებია
და არცა ნივთი იცი.“

არაკი: „ორი ქმარი შეგირთავს და ორთაგანვე მოწყუდილ
ხარ. შენ და დიდსა წყალსა ზედა კიდი სწორნი ხართ.

თუ ყოლა გაგიგიალა კაცთა გუერდის წოლა, ამა საწუთროსა
შიგან რამინისებრსა ვერა ჰპოებ. რა სარგებელია, თუ შენ მზისაებრ
კეკლუცი იყო და შენგან ნაცოფი არ გამოიქმოს? შენ ესე არ იცი,
რომელ მიჯნურისა უმოყუროდ საწუთრო არ ჰამოა? ღმერთს ფრინ-
ველიცა დედალი მამალისათუის დაუბადებია, არ შენ დედალი მამალ-
სა ჰშუენი? მამაკაცი ცოლსა მით შეირთავს, რომელ ერთმანერთი-
საგან გაიხარენ. თუ ერთმანერთისაგან, არ გაიხარებენ, საწუთროსა
ნივთთა უკანა რას უდგებიან? აწ თუ ესე იცი, რომელ მე მართალი
მითქუამს, მაშ შენგან ჩემი წყევა და გინება არა პირიანია. მე ესე
მითქუამს ამით, რომელ მიყუარ. შენი დედა და ძიძა ვარ. რამინ შე-
ნი შესაფერია და შენ მისი; მას შენ უყუარ და იგი შენ გიყუარდეს;
შენ მზე ხარ და იგი უსწორო მოყმე. სიყუარულსა შიგან ერთმან-
ერთსა ნუ გასწირავთ. რა მე ორთავე ესრე ერთად გნახავ, ქუეყანასა
შიგან ჩემი შესაქირვებელი აღარა არისო“.

რა ძიძამან ესე ყუელა მოიუბნა და მოაკენა, ვისის მოსაცთუნ-
ებლად ეშმაცა ეშუელა, მისითა ლაშქრითა ათასი ბადე დაუვო,
ძიძამან ვისსა ათასი ქა უთხარა გზასა ზედა. ეგრე უთხრა:

„ესე კელმწიფეთა და დიდებულთა ცოლები ნახე, ყუელა მხია-
რულობს და ყუელასა მალვითა მოყუარე უვის, ყუელა ცხადად და

მალვით გაიხარებს, და შენ მიწყით სტირ და ბედსა უჩივი. ანაზ-
დეულად სიბერე მოგესწრების და სიყმისა სიხარულისაგან უწილო
დარჩები. არცა ქვა ხარ და არცა რკინა, ეგზომსა ქირსა ვით გას-
ძლებ?*

რა ესე საუბარი ესმა ვისის ძიძასაგან, მეტიისა ძიძისა საქმობი-
საგან აუღულდა სიყუარული, და მორელება გულქვაობა მისი, დაება
ბაზესა ყოველი ასო მისი ენისაგან კიდე და ენა შეუნახვიდა ხუაშიადსა.
და მერმე ჰამოითა სიტყუითა ეგრე უთხრა ძიძასა:

„აჰა, მართალ ხარ, რომელ დიაცი მამაციისათუის დაბადებულია.
რაცა ვითქუამს, ყუელა მართალი ვითქუამს და არა გიხლათავს სიჭ-
რელითა. დედანი რაზომცა უსუსურნი და ჯაბანნი არიან, მაგრა
ლომთა ჰაბუთა გულისა და ძალისა წამლებნია. ათასი ავი ზნე
სჭირს დედათა სიყუარულითა, ესე სჯობს თუით არავინ დაებას
მათსა სიყუარულსა. მე ესეცა რაცა ვთქუი ამად, რომელ დედათა აღ-
რე გაწყრომა ზნედ სდევს. ესე შენი სიტყუანი ძოლან ვითა მოწამ-
ლული ისრის პირი მეცა გოლსა, ამით გაკუშტდი, რომელ დასამძი-
მებელი სიტყუა მესმა, ენა გამრყუნია ავის თქუითა და ამით დია
მინანია. არა მიკმდა შენი ავად გაკდომა: თუმცა დანეთმო, ჩემთვის
უფრო სახელი იყო. თუ მე სიტყუასა არავისსა მოვისმენდე და პა-
სუხსა არ გავსცემდე, მას ქირად ეყოფის. აწ მე ქენებით ღმრთისა-
გან მშუილობით დაცუასა ჩემსა ვითხოვ და ავისა თქუმისაგან ენისა
ჩემისა შენახვასა, და ვირე ცოცხალ ვიყო, ჩემსა სიწმიდით დაცუასა,
ვითა მოყუარეთა გაუხარდებოდეს და მტერთა დაუძმძიმდებოდეს; და
შაგირდს ნუ მისცეს ღმერთმან შენებრი ავის შემნდობელი და ეგზომ
უბედურისა საქმისა მაწუეველიო“.

ძიძისაგან ვისის გაურა და მესამედ



რამინის ნახვა

ა მეორესა დღესა დილისა ჟამსა მზე ამოვიდა, მივიდა მუნვე ძიძა, სადა ვისის პასუხსა მოელოდა რამინ. ძიძა დაღრეჯით იყო და ეგრე უთხრა:

„რა ცუდად იქირვი? ცეცხლსა შიგან წყალსა ვირემდინ ეძებ? არ ეგების ქარისა შეპყრობა, არცა ზღუისა ერთითა კელითა ამოშრობა, არცა ვისის ქვიანისა გულისა მოღობა, ვითა მას გუერდით საგებელსა შიგან წოლა. ტინისა კლდისაგან სიყუარულისა წყალი გამოედინების და მისგან არა-სიყუარულსა შიგან მთაცა აჯობებს. თუ კლდესა შეჭყვიელოს, იგი პასუხსა გამოსცემს კაცსა, და ესე ავცნობითა პასუხსა არ გამოსცემს და არ იტყუის, ღრიანკალსა ჰგავს. შენი მოციქულობა მოვაკსენე, შენთუის პასუხი არ მასმია. ძაგრა მე დია მაგინა. და ესე უფრო მიკუირს მისგან, რომელ არცა გრძნეულობითა, არცა შელოცვითა, არც არაითა კელოვნებითა იქმნების. მას თანა ჩემი მადორებლობა ასრე გავა მას გუერდით, ვითა მთრვალსა თანა აქიმობა. ვითა წყალი ქვითა არ დაიკოდების, აგრე ჩემი ხუაიშანი და შელოცვა მას არა დაეკარების“.

რა ესე სიტყუა ესმა უგულოსა რამინს, ვითა შავარდნისა ქანგთა შიგან მყოფი დაკოდელი კაკაბი, თავსა უწევარ იქმნა, საწუთრო დაუბნელდა და იმედი გარდაუწყდა; სიკუდილი მიეახლა და ფათერაკისა ღრუბელსა დაემსგავსა, თუალთა ნამი ჰქონდა და გულსა ელვა; უიმედობისაგან გული უმციოდებოდა, ათასი ისრის პირი გულსა უმსკუთავდიდა, კმამალა იზახდა და ყიოდა:

„ჰე ძიძაო! ზენაარ, ზენაარ! ერთხელ კულა მეწიე, ქუეყანასა ზედა შენს მეტი არავინ მივის. შენსა კალთასა და კისერსა მოკიდებულ ვარ; მე და ჩემი სიხარული შენი ზენაარი ვართ. თუ შენგან უიმედო ვიქმნები, აწვე სიციოცხლე დამეღვევის. ველარა ვსთმობ, სრულად გავხვლდები, და გულისა ჩემისა ხუაშიადსა გამოავაცხადებ; და საარაკო და მოყინებული დაერჩები ქუეყანასა შიგან. თუ ერთხელ

კულა მოიქირავო, შემწყვალო და ჩემი უბედურობა მას მზესა გააგონო, ვირე ცოცხალ ვიყო, სულნი შენად მონაცემად მქონდენ. აროდეს დაევიწყყო შენი მონობა: რა უჩს,—ნუთუ მოლბეს მავარი გული მისი ჩემზედა და მოილოს მოწყალეობა და ანთოს სიყუარულისა სანთელი. ნუთუ ინანდეს აცნობობასა და მაშინდელსა შენთვის გაწყრომასა, და არა დალუაროს მისთვის შეუცოდებელი სისხლი და არა წამილოს მისთა დედათათუის ჩემგან უშურველად შესამატებელი სული. ჩემადგიერ დია თაყუანისცემა ჰკადრე და ეგრე მოაქსენე: „ჰე იმედო ბერთა და ყრმათაო! გული ჩემი, ვითა ცუილი, სახელად გაქუს და შენვე გმართებს მისი ქონება, მით რომელ გულისა შენახვა იცი. ჩემსა თავსა და ტანსა ზედა კელმწიფე ხარ და ესეთი კელმწიფობა შენვე გშუენის და გფერობს. და თუ მე ერთხელ გულსა მიჩუენებ, დღეთა ჩემთა შენსა საძსახურსა შიგან დავლევ. შენცა იცი განაღა, რომელ მონობასა მივაგებ, თუ მალირსებ და მონად შეიწირავ თავსა ჩემსა. და თუ ერთხელ შემეყუარო სიყუარულითა, მაშინ შეიგებ, თუ სიყუარული ვით ჰამოა. თუ ასი ათასი მოყუარე გესუას, ერთი ჩემებრ შენთვის სულგანწირული ვერ ჰპოვო მათ თანა. შენ მზე ხარ და თუ ჩემზედა ნათობ, სიყუარულსა იავუნდად შემეიქმ. ნუ გინდა ჩემი შენთვის არმონობა, ნუ გიჩა აუგად ჩემი მოყურობა, დამქსენ ნიდაგისა ჰირისა და უბედურობისაგან; მაიცოცხლე, რომელ დღენი ჩემნი შენსა სამსახურსა და ნების-ყოფლობასა შინაგან დავლიენე. და თუ ჩემი სულთა ამოხმა გწადიან, მაშინ ასრე ადვილად ეგების ვითა? და თუ უწყალობასა მოიღებ ჩემზედა, მე აწვე ულონო ქმნილ ვარ. ვერ გავსძლებ შენისა ჯავრისაგან: ანუ დიდსა კლდესა, ანუ დიდსა წყალსა თავსა ჩავიგდებ, რომელ დავეკსნა ჩემსა ყოფნასა. მას საუკუნოსა ჩემთა ბრალთა შენ გთხოვ და იგი შენ გკითხავს, რომელ მე მას ღმერთსა, ყოველთა დამბადებელსა და მოსამართლესა წინაშე მითქუამს და მოწმად იგი დამიყენებია“.

ამა საუბარსა ზედა მეტის ტირილისაგან ცნობასა მიჰკდა, ძიძასა ექენებოდა და ძიძასა კულაცა შეებრაღა. მივიდა ვისისა წინაშე, რომელ რამინისაგან გული კულა მას უფრო სტკიოდა. მივიდა, დაჯდა გულითა მღუღორითა სულ-დაღებით და გულსა შიგან შეკაზმა სიტყუა რამინის საქმისათუის; ეგრე მოაქსენა:

„ჰე კეკლუცთა ყოველთა კელმწიფეო! შენთვის კულებიან, ვინ გახლევრ და ვინ გაშორევენ ივინიცა. მე ერთი ხუაშიადი მიც შენს წინაშე და შენისა სირცხუილისაგან დაბმულია ჩემი ენა. და მეშინიაცა შაჰა მოაბადისაგან, ამით რომელ ავთაგან ყუელასა ეშინიან. ყუედრებისა და აუგისაგან ვიკრძალვი, ამით რომელ ნუთუ რა ავი წამეკიდოს. ჯოჯობეთისაგანცა მაქუს შიში, რომელ შეცოდებული ვიწუებოდღე მას შინა, მაგრა რა ექმნა? რა რამინის საქმესა მოვიგო-

ნებ და მისსა პირსა ზოგჯერ გაყუთილბეულსა და ზოგჯერ გაწით-
ლებულსა, ნიადაგ ცრემლითა ბანილსა, მისთუის ნიადაგ ცნობისა
ჩეანისა თუალი შეიკურის და გული ჩემი აენტების. ეგზომისა ზენაა-
რისა თხოვნა ჩემთუის შიშსა მიმაცილებს, და საწუთრო მომძულ-
ვებია მისისა ბრალისაგან. მე იგი ასრე მებრალების, რომელ არცა
სულნი მშურან მისად სარგებლად. დია მინახავს საწყალი მიჯნური
გულ-ცეცხლიანი და თუალთაგან სისხლ-ცრემლიანი, მაგრა ამისად
არაკად საბრალო მიჯნური არვინ მინახავს. ათასსა მიჯნურსა მისი
ოდენ სულთქნა დასწუავს. სიტყუა მისი მკუეთია და თუალნი მიწ-
ყით ცრემლიანი. ჩემი თმობა მისისა კრმლისაგან მოკუეთილია და
მისთა ცრემლთა ღურისაგან სახლი ჩემი დაქცეულა. თუით დია მე-
შინიან, ნუთუ ანახლად მოკუდეს და ღმერთმან მე მკითხნეს მისნი
ბრალნი. არა სარგებელია მისთუის უწყალობასა შინა ყოფნა. ნუ იქმ,
ნათელო ჩემო, შეიბრალე მისი უღონო-ქმნილობა; შენსა კალთასა
ნუ დაისური მისითა სისხლითა. რა დაგაკლდების, თუ იმა ქირითა
არ დაელიენენ დღენი? და რა გაგვა, თუ მისგან არ გაიქცე, რათგან
საშენოა: ღმერთი სხუასა მისებრსა არ დაბადებს და არცა დაუბა-
დებია. ესე ყოვლითურთ უკლები კეკლუცი მისთუის დაბადა, რო-
მელ იგი შენი შესაფერი და უებროა. ღმერთმან მით მისსა საფარ-
ველსა ქუეშე დაგიცუა ქალწულად, რომელ შენი თავი რამინს
მისცეს; იგი და შენ ჩუენი კელმწიფენი იყუნეთ და მან აილოს შენი
ბეჭედი. ამისგან კიდე არა იქმნების, რომელ შენი უხუცესი იგი
იყოს, და სიყუარული ცოლობისა მისთუის გამოსცადო და ერთმა-
ნერთისაგან იხარებდეთო.

ამას ვითა ძიძა უბნობდა და ფიცვიდა, ვისი გულსა შიგან იდას-
ტურებდა, და შეუყუარდა გულსა შიგან ვისის რამინ. და დაუწყო
წყალობა და დაუგლო მტერობა. სიყუარული გამოაჩინდა და მოიმატა
მისისა ცეცხლისა კუამლიცა. მოვიდა ჟამი რაჰინის სიხარულისა და
დაუბლაგულა მახული ენა საპასუხოდ. სულისა დაღება ნიშანი იყო
ძიძისა სიტყუისა დაჯერებისა და მიზეზსა ეძებდა დაუჩენლობისასა.
მიდამოიხედვიდა სირცხუილისაგან, პირისა ჰაერი მრავალფერად
ექცეოდა, ზოგჯერ გაყუთილდის და ზოგჯერ გაწითლდის; ვითა
წყაროსთუალი—ცრემლი სდიოდა და ოფლი. აუგისა შიშითა იწოდა.

არაკი: „მოყუარულისა გული ტანისაგან გულსა ესრე გამოს-
ტაცებს, ვითა მალნიტი-ქვა რკინასა. ცალკერძი სიყუარული ასრე არ
გაიზრდების, ვითა ცალსა ტურიტსა ვირი არ დაიკიდებს“.

იკოდა გრძნელმან ძიძამან, რომელ ისარი მართლად შესტყორ-
ცა, დამფრთხალი კანჯარი. ბადესა შეაბა და გრძნებითა და შელო-
ცვითა ქარი დაებორკილა.

ვისისაგან რამინის ნასვა მოაბადის



დარბაზთა შიგან და მისთუის გამიჯნურება

ამინის ბედისაგან შაჰი მოაბად დარბაზნი შეაკაზმინა. რამინ უკმო და სრულად დიდებულნი და აზნაურნი, ყუელანი ერთობით სუმად და სიხარულად დასხდეს. მუტრიბთა ამღერებდეს, ცისებრ ავისილ იყო დარბაზი მზისა, მთუარისა და მასკულავთაგან.

სიხარული ჰქონდა დიდი.

მოაბადის ამირსპასალართა შიგან რამინ ესრე ჩნდა, ვითა მასკულავთა შიგან მთუარე. გაზრახვით მოქარბებით შეკაზმულ იყოცა. მუშკი და ქაფური ვარდრეული აშუენებდა. მიწყითისა გონებისა და შეჭირვებისაგან გული მისი წელთავე დამსგავსებულ იყო სიწლოითა და საწუთრო დანავლლებოდა. სუმად, ნადიმად და სიხარულად მჯდომი მუტრიბთა თანა, წყალსა შიგან მრჩულასა ჰგუანდა. მიჯნურობისა და ლუინისაგან ორფერი სიმთრვალე ჰქონდა. და ლუინისაგან პირი ყაყაჩოსა დამსგავსებოდა, მიჯნურობისაგან გული—მძინარესა. ვისის გონება ტუინსა გასჯდომოდა და სახე მისი თუალთაგან არ მიეფარებოდა. ვისი თუით ძიძასა მოეყვანა, მალვით სარკუმელთა აქურტინებდა მსუმელთა დიდებულთა და რამინს. თუით ძიძამან განაღამცა ეგრე მოაკსენა ვისის:

„ჰე თუალთა ჩემთა სინათლეო! ნახეცა ვინ რამინს უკეკლუცესი ლაშქართა შიგან? მიბრძანე, შენსა მზესა, არ წყლიანი და უმიზნოა? არ დია ჰგავეს რამინის პირი ვიროს პირსა? არ ღმრთისა წყალობაა, რომელ შაჰი მოაბადის დარბაზი მისგან ელავს? კამს თუ ისი უსწორო გიყუარდეს და ერთმანერთისაგან გაიხარნეთო?“

ვისი, ვითაც უქურტდა რამინს, ეგრევე სიყუარული მოემატებოდა. და, რა კარგად გაიცადა რამინს, ვიროის სიყუარული სრულად დაავიწყდა. გულსა შიგან ამასა იტყოდა: აჰა, ნეტარძი მას, ვისცა ესეთი ქმრად შიჰხუდა! ნეტარ რას უბედურობასა მომახუედრებს მისი ნახვა, რომელ ვირო იმან ისრე სრულად დამავიწყა? აწ რათგან ძმისა და დედისაგან მოწყუედილ ვარ, მიწყით რად ვიწუი, რაღა სარგებელია? რად ვზი მარტოდ ეგზომსა ხანსა? ვირემდის ჰირი გავძლო? არ რკინა ვარ. ამისსა უკეთესსა მოყუარესა ვერა ვჰპოვებ. მიჯობს მისი წადილი ავასრულო“.

ესეგუარსა რასმე იგონებდა გულსა შინა და მათ დღეთა ცუდად წარკდომასა იწანდა. მას სიყუარული არა გამოუტახადა, თუცა მისისა მიჯნურობისაგან გახელებულ იყო და ცეცხლი ეგზებოდა. ძიძასა ეგრე უთხრა:

„ეგეთია რამინ, ვითარსა იტყოდი, დია კეკლუცი და წყლიანი არის. გუარიანობაცა აწნია და ჩემსა ძმასა ვიროსცა ჰგავს. მაგრა რასაცა ეძებს, ესეცა იცოდი, ვერ ჰპოვებს. თუცა ჩემი პირი მზეცა იყოს, მას ზედა არ ნათობს. და არცა თავსა ჩემსა მისებრ გავჰკდი და ვაჰირვებ, არცა აუგითა ავიესები და არცა ჰირსა შიგან ჩავიქრები. მას ლმერთმან ჩემად ნაცულოად სხუა ვინმე მისცეს და ჩემი სახელი და სიყუარული დაავიწყოსო“.

რა ვისი სარკუმელთაგან ქუე ჩამოვიდა, თავისა დარბაზსა შევიდა, თუალთა აღარ უწინდა რამინის სიყუარულითა და გონებანი აღარა ჰქონდეს; ფერი ჰკრთებოდა და გული ერთსა ალაგსა ველარ ექირა. მძლე ეშმა მისად ომად მისულ იყო, მისსა გულსა შიგან ჰანგი ჩაემაგრა და მითივე ჰანგითა წაელო პირისაგან ფერი, ტანისაგან ძალი და გულისაგან თმობა. ვისი თუით ჯაბანი იყო და რა საქმე საზომისა გარდაჰკდა, გული წაუვიდა, აღარცა ფერი დაადგა. ზოგჯერ ცნობა მოიკმარის, თმობა და პატიოსნება გამოარჩივის. რა კარგადრე იგონა, ლმრთისა შიში ჩაიგდო გულსა; რა გუნებამან მისმან პატიოსნობა გამოურჩია, აუგისაგან იკრძალოდა და სიყუარულისათუის ნანეა დაიწყო. მიჯნურობასა სიწმიდე და მოღმრთეობა გამოარჩია. დადგა გული, რომელ არაით ღონითა არ იავტკეოს და არ დადგას თავი მისი სასთაულსა, რომელი არა კამდეს; არცა უნდუა რამინ და არცა თავისა კრძაღვა დაადგოს.

ესე ძიძამან არ იცოდა, თუ ვისის გული ექცა და მოსძალდა მიჯნურობაო.



მიძისაგან რამინის გუგუცა მისლკა

იგიდა მხიარულად ძიძა და რამინს ეგრე მოაკსენა:
„შენისა ჭირისა ბოლო მოჰკდა მგონია: ფრთხილი
ვისი ცოტად დაწყნარდა, კუშტობა დაადლო და
დამშუილდა. შენისა შეჭირვებისა ხემან ნაყოფად
სიხარული ვამოილო“.

რამინ ასრე გამხიარულდა, ვითა ნახევარ-მკუდარმან კაცმან რა
სიცოცხლე დაისკუნას, მეტისა სიხარულისაგან ცრემლნი გარდმოსცუივ-
დეს. თაყუანი-სცა ძიძასა და მას წინა მიწასა აკოცა და ეგრე არქუა:

„ჰე ყოველთა გონიერთა უგონიერესო! ჩემგან მაგის მადლი
არ მოიგონების, რომელ სიკუდილისაგან ჩემი უშიშობისა ღონე
გიძებნია. თუ სულიცა ჩემი მოგცე შენისა ჭირისა ნაცულად, არცა
იგია, მაგრა ღმერთმან სამოთხით გარდაიკადოს. შენ ჩემი მაცხოვნ-
ბელი და პატრონი ხარ. თავსა ჩემსა შენთუის არა ვსწყალობ და
მბრძანებლობასა შენსა არ ვაქცევ, ტანი და თავა შენისა სამსახური-
სათუის არა მშურსო“.

რა ესეგუარა მადლი დია გარდაიკადა, ათი ათასი დრაჰკანი წი-
ნადაუდვა და სხუა ერთი საკელმწიფო ზანდუკი თუალითა და მარ-
გალიტითა საესე, ორასი ოქროსი ბეჭედი თუალადი და მრავალი
მუშკისა უპე და ქაფური. ძიძამან ესე ერთიცა რამინისაგან არ აილო,
ეგრე მოაკსენა:

„ჰე ჩემო სიხარულო! მე საქონლისაგან შენ უფრო მიყუარ. მე
საქონელი ულევნელი მაქუს. ჩემთა თუალთა სინათლე შენ ხარ, ჩემი
თუალი და მარგალიტი—შენი ნახვაა; შენ მომინდები, არ ოქრო“.

ერთი ბეჭედი აილო რამინისაგან იადგრად და სხუა არა დაიჭირა.

ვისსა წინაშე მივიდა ძიძა და იგი დაღრეჯილად დახუდა,
ცრემლისაგან მიწა დაესოვლა. სარჩელი დაუწყუა: „ვირემდისი ეგე?
ანუ აწ რაღა გჭირსო?“ იგი კულაცა გაუწყრა ძიძასა და ღმრთისა
საუქუნოისა შიშისა დაიწყუა საუბარი, ეგრე უთხრა:

„მე ღმრთისა საქმენი მოვიგონნე, არცა რამინ მომინდების და არცაღა თავი. რად ვიქმ ავსა საქმესა, რომელ ერთხელ მისმან ქმნამან მომკლას და მომაყივნოს? ამა საწუთროსა ჩემთა ნატამალთა რაღა პასუხი გავსცე, ანუ მას საუყუნესა, რა ღმერთი გამიკითხვიდეს, რა მიზეზი უთხრა? ესე ვპკადროა, თუ ერთისა წადილისათუის ათასი ნატამალი მოვაყიენეო?! თუ რამინ ჰამო და საყუარელია, მისგან უამესია სამოთხე და ღმრთისა წყალობა. თუ რამინ მემდუროდეს, არა მგამა; ღმერთი მოწყალე მექმნების. თუ აწინდლისა რამინის სიყუარულისათუის მაშინ ჯოჯოხეთსა ვისჯებოდე, რამინის სიყუარული აღარას მომეკმარების. არაოდეს მიქმნია ავი საქმე და არცა ვიქმ, თუ ღლევცა ნათელი ჩემთუის ღამისაებრ დაბნელდებისო“.

რა ესე სიტყუა ესმა ძიძასა, მისებრად დაიწყო ენა-მელურობა და ეგრე მოაკენა:

„ჰე დედისა ღონეო და ნათელო! ავცნობობისაგან კიდე სათავნო არა გაქუს“.

არაკი: „ერთსა სიტყუასა ზედა ვეროდეს დასდგები, მბრუნავი ხარ, ვითა წისქვილისა ქვა, ქუეყანა არ იქცევის და საწუთრო და შენ ბრუნავ, ვითა ნარდთა მღერისა ჟამსა კამათელნი. ვითა ფეროზი თუალი, ფერსა აღრე იქცევ და, ვითა რკინა, აღრე სჯანგდები“.

„შენ ღმრთისა ბრძანებისაგან ვერაოდეს გარდხვეწები, ეტლთა და საწუთროსა ვერ შეებმი. თუ შენ ამა ავცნობობასა ვერ დააგდებ, შენსა წინაშე ყოფნა ვერაგინ გასძლოს. მარავის ქუეყანა და შაჰი მოაბად ღმერთმან შენ გიბედნიეროს და მაჰისა ქუეყანა და შაჰროს წინაშე ყოფნა ღმერთმან მე მომცეს. მე აქა მარავსა შენგან კიდე არაგინ შედგა და შენცა იცი, რომელ აწ შენს გუერდით ვერცა დევი გასძლებს. მე მტერთაებრ უპატიოდ დამხედავ, მიწყით მაგინებ და ავად გამკდი. წავალ შენსა დედასა წინაშე, ჰამოდ დავრჩები და შენ, შენსა სიკუშტესა ველარ გიქურეტ. შენ იცი და შენმა ღმერთმან და ვინცა მოგინდეს. მე შენი საუბარი და სიახლე ღია მეყო“.

ეგრე უთხრა ვისმან:

„ძიძაო, რასთუინ შეგიყუარდა ესრე რამინ? ერთი უცხო შეგიმეცნიერებია და მისითა გზითა ჩემგან აბეზარ იქმნები. შენ გული ვით გეტყუის ჩემგან მოწყუედასა, წასლვასა და სხუაგან ჰამოდ ყოფნასა? მე უშენოდ გლახ ვით ვიყო? მე შენ აქა დედისა ნაცულად მყავ. ვაგლახმე, რა შავადა და უბედურად ჩემი ბედი! რა უკუღმართად ყოველი ჩემი საქმე! დედისა და სახლისათუის მოწყუედლი ვარ

და ძმისა და ნატამალისაგან კიდევან-ქმნილ ვარი შენ ოდენ იყავ ყუელასაგან უფრო ჩემი იმედი და იმა სიმარტოესა შიგან ჩემი კირისა მაქარეველი, და აწ შენცა აბეზარ ქმნილ ხარ ჩემგან და ჩემთა მოსიხსლეთა დამოყურებულ ხარ. აწ ასრე ერთობ გამწირავ და თაჟისა სახელსა წყალსა შიგან ჩააგდებ, რომელ შენცა შეგექმნას სინანულად. ამა კირისა წამალსა ეძებდე და ვერა ჰპოვო“

ძიძამან უპასუხა და ეგრე მოაკსენა:

„მზე ხარ კეკლუტთა და არამცა მოგაცდუნება სიკეკლუტემან. ღმრთისა განგება თავსავე ზედა ქმნილა შენთვის. ეგე ეგზომი უსარგებლო სიტყუა რასალა გერგების? დააგდე სიჭრელე შენი და ლამაზობა და მიბრძანე, ოდეს ნახავ რამინს და ანუ ოდესლა დაემოყურები, ანუ ოდესლა დაქსნი კირთაგან? ერთსახე გაგიგრძელკბია უსარგებლო საუბარი, ჟამია, რომელ ბოლო შეუქმნათ და მისი სიტყუა-ჰამობა და შენი ჯომარდობა ერთგან შეჰყარნეთ. სიყმისა სიამოვნე შენი მძინარე არის, გაალუიძე, გამოაჩინე გუარიანობისა კაცობა, დაანაყოფიანე სიხარულის შტო, კელმწიფობისა და სიყმისაგან ნაწილი აიღე და შენი ღღენი სიხარულთ დალიენ და სიყუარული უშუქფენ. თუით ღმრთისაგან შეიშინე. არ ეგების ეგითი უზენარობა. გუარად არცა ქაჯი ხარ და არცა ანგელოზი. ერთი ჩუენგანი ხარ, მიწისაგანვე დაბადებული, მიწყით ნებისა და სიამოვნისა მონატრე და მიწყით სიამოვნისა ბადითა დაბმული. ღმერთსა კაცთა დაბადება ესრე გაუჩენია, რომელ დიაცსა და მამაცსა ერთმანერთისაგან უფრო არ უყუარს და, თუცა ამისი ძალი იცოდე, მემცა ეგზომსა აღარ მაქენებდი და ამას შემოგფიცავ, რომელ ესე ჩემი სათქუმელი, ოდესცალა ბოლო მოჰკდეს ამა საქმისა, მაშინ არ გემტყუენოს“.

ვისმან ეგრე უპასუხა ძიძას:

„შუენება სამოთხისა უამეა მაგას, რომელ შენ მაწუევე. თუცა შენ და შენს გრძნეულობასა დავეკსნებოდე, შე დიდად აღვოლად ველევი მამაცსა. შე შენისა დამძიმებისა გონება მენძნელების, თუარა რამინის დათმობა ღია მეადვილების. თუცა შენსავე დამძიმებასა არ ვერიდებოდე, ღია კირსა ნაბვიდა ჩემისა მიჯნურობისაგან შენი რამინ. თუცა შავარდენი ყოფილ იყო, ვერცა ეგრე მომეწოდა და თუცა ქარი ყოფილ იყო, მტურესა ჩემსა ვერ ჰპოებდა. აწ შენ ამისთვის მოაქირვე, რაცა ეგების, რომელ ესე ჩუენი ხუაშიადი არ გამოცხადდეს. თუით შენ იცი, მოაბად ვითარი დიდი კელმწიფეა, გაწყრომისა ჟამსა ვითა ძნელად გამწყრომი, შეცოდებისა უნახავი კრმლისაებრ მკუეთია და დაუძიმებელი ლომისაებრ, უზენაარო. თუ ჩუენსა საქმესა ოდესცა შეიგებს, ულონიოდ თანავე დაგუეოცს და გამოცხადებამდინ გუაქუს სულნი ნათხოვნად“.



რამინისი და ვისის ერთგან შეყრა

ა კარგი წელიწადი და კეთილი მოვიდოდეს, გაზაფხულზე შეეტყობის, ვითა ვისის და რამინის საქმე თავსავე ზედა მომარჯუებით იქმნა. რა ვისმან სიყუარულით შეჰხედა რამინს და საწუთროისა ზეინკალმან მისისა გულისაგან მტერობისა ჯანგი აღმოჰკოცა, თუცა ჭირი და გულის ტკივილი დიდად ენახა სიყუარულსა შიგან, ერთგან დიადიცა გაიხარნეს. მასვე კუირასა ერთგან შეიყარნეს, რომელ უნებელი არსად ქარი ეცა.

შაპი მოაბად აიყარა ხორასნით და ნობათსა-კარავსა პირი [გურგა]ნისაკენ აქნევიანა, გურგანით ქოისტანს მივიდა და ქოისტანით რეს მივიდა და ხანსა დაზმიდის. თავისა ქუეყანათა შიგან იურვოდის და ინადირებდის. დარჩა რამინ ხორასანს, მარავს შიგან, ამით მიზეზითა, რომელ თავი მოისნეულა. ძმამან თავისა ადგილი, ტახტი და ქუეყანა მას შეავედრა და მოსამართლეობა და სიმდაბლე დაავედრა. შაპინშა წავიდა მარავით ქალაქით და დარჩეს მარავშიგან ვისი და რამინ და ძიძა.

პირველსა დღესა დაჯდა ვისი პირ-მზე ნებიერად, ფეროვნად და სურნელიანად სადედოფლოსა მალლად აგებულსა დარბაზსა შიგან, ზეით ქუეშემდისი ოქროითა მოხატულსა. ამას დარბაზსა სამნი კარნი ებნეს, ერთი დიდსა დარბაზსა გასავალსა, ერთი წალკოტისაკე, და ერთი დაღმა გზისაკე. ჯდა ვისი, ვითა მზე, ტახტსა ზედა, სიკეკლუცისა და სიმხიარულობისაგან თავ-დაჯერებული დიდსა გემოობდა. თავით ფერკამდინ თუალითა და მარგალიტითა შეკაზმული იყო, და მისის შუენებისაგან ყოველი კეკლუცი დადუხჭირებულ იყო. ასი ათასი ვარდი პირსა ზედა უყუაოდა და ოცდა თორმეტი მარგალიტი დაცმული პირსა შიგან უნააობდა. ვისის სული ვისაც ეცემოდა, მკუდარსა გააცოცხლებდა და წყლულსა გაამთელებდა. წალკოტსა შიგან ვარდი მისისა პირისაებრ აყუაებულ იყო და მუშკისა

სული სდიოდა, და ვისისა საუბრისაგან სურნელობისა კუამლი, ვითა ჰაერსა ზედა ღრუბელი, დადგომილ იყო, თუ სთქუა, ამბარსა და ალვასა აკუმევედეს.

სხდეს მათ წინაშე დიდებულთა ცოლნი და ასულნი, ვითა მზენი, თუცა მას წინაშე არად ჩნდეს, და ვარდის წყალსა ზედაით აწურომევედეს. სამოთხესა ჰგუანდა მათი დარბაზობა. ძიძა, ვითა სამოთხესა, ზოგჯერ ვისსა ჰკაზმიდის, ზოგჯერ დარბაზსა. რა დარბაზობა გამოიყარა და ხალვათად დასხდეს, ძიძამან ზემოსა გზისაყენ რამინ შემოიყვანა მოაბადის საწოლსა შიგან. ვითამცა არ იგი სახლი ენახა და არ მისი გულის წამლები ვისი გაეცადა და არ აღრითგანი მისი საწადელი გასრულებოდა, ასრე სიხარულითა უქკუო იქმნა და გულსა ესე ვერ დაეჯერა, თუ ესე შენზედა ეგებისო. მისითა შეყრითა უუდავებისა წყალი წუიშდა მას ზედა. რა რამინ ქუეყანისა დამშენებელსა მზესა გუერდით დაჯდა, მაშინვე მისისა გულისაგან ცეცხლი და კუამლი დაშრტა. სიხარულითა ორნივე დაწუნი უყუაოდეს და ეგრე არქუა:

„ჰე ყოვლისა სიხარულისა დასაბამო! ღმერთსა ყოვლითურთ უკლებობა შენდა უბოძებია, გუარად ყოველთა დედოფალთა უფროსი ხარ და საყუარლობისა საქმითა ყოველთა გრძნეულთა ოსტატი. ვარდი ხარ, ქაფურგული, მუშკ-სული, თმა-ამბარი, მთუარისა საბე და სარო ნაკუთი. შენ სიკეკლუცითა მზე ხარ და ნეტარძი მას, ვისცა ანათობ“.

არაკი: „შენ ელვარებითა მნათობი მთუარე ხარ, მაგრამ მიჯნურისა გულისა დამანელებელი. ბედსა შენდა ესეთი სინათლე მოუცემია, რომელ უბედურსა ბედისაგან ჯანგსა ამოჰკოცო“.

რა ესე საუბარი ვისსა ესმა, სირცხულითა ნელად და ლამაზად ნაზი პასუხი გამოსცა და აგრე არქუა:

„ჰე ბედ-სუიანო ჯომარდო! მე საწუთროისაგან დიდად დიდნი ქირნი მინახვან, მაგრა ეს თურე არა ქირი მინახავს, რომელ აწ ჩემი მოყიენება მომიადვილებია. ჩემი წმიდა გუარი და ტანი მისურია, ცნობა და სირცხული გამიწირავს, მაგრა ესე ავი საქმე ორისაგან წამკიდებია: მიწყით უბედურისა ბედისაგან, მერმე ჩემისა ძიძისაგან. მან ჩამაგდო მოყიენებასა მისითა გრძნებითა და ფიცითა. ჩემზედა მოიკმარა, რაცა შეეძლო, მისი მაგალითობა და ბიჭობა, ქენება და შეხუეწა. მაგრა აწ ამას გკითხავ: ჩემზედა მტერთა ჩემთა გაახარება და ვარდისაებრ ცოტასა ხანისა მოყურობასა შინა ხარა, ანუ დაიდგამ კაცობასა და იაგუნდისაებრ საგრძელო ხარ? თუ რაზომსაცა წელიწადსა ცოცხალი ვიყვნეთ, არა ინანი ამა საქმესა, რასა შიგან

შესრულ ხარ და არა ცოტასა ხანსა ხარ? ეგრე თუით ესემცა ვიცოდე, და თუ არა, რაცა ამას საქმესა მოუთქს, მას ჭირსა და მოყივნებასა ნუ შესდგებოა“.

არაკი: „ერთისა წამისა გულის-ნების პოვნისათუის საუკუნოსა აუგსა და მოყივნებასა ნუ ჩაიჭრები. ათას წლამდინ გულის-ნებისა პოვნა ერთ აუგად არა ღირს, ამით რომელ ჯანგი მისი უკუნისამდი დაეკურის კაცსა. იგი ნება, რომელ ერთისა დღისა იყოს, მისი კამს, რომელ გონებადცა არ შემოუშვასო“.

კულაცა დაუწყო რამინ ქება:

„მერე ესე ქუეყანა! მაჰისა ქუეყანისაებრი არა ვიცი, რომელსა შენებრი მზე გაზრდილაო; და არცა შაჰროსებრი დედა მინახავს, რომელსა ძე ვიროსებრი უშობიაო და ასული შენებრი. ათასითა კურთხევეითა ღმრთისაგან კურთხეულმცა უკუნისამდი გუარი შენი და შობილნი შენნი, რომლისაგან შენებრი გამოვა! ნეტარძი შენსა დედასა და ნეტარძი შენსა მამასა და ძმასა; ნეტარძი შენთა მოახლეთა და მსახურთა; ნეტარძი მას, ვინცა შენს პირსა უჭურეტს ანუ სახელიცა ასმია შენი; ნეტარძი შენსა ძიძასა და მასცა ნეტარძი, ვინცა შენი მიჯნური და მოყუარული არის! მარავსა ესე სახელი უკუნისამდი ეყოფის, რომელ შენებრივისა მზისა სადგომი არის, დიდებად მოაბადს ესე ეყოფის და სახელად, რომელ სადგომსა შინა შენებრივ უყის! მე ესე სიხარული, ვირე სულნი მიდგან, ღმრთისა წყალობად მეყოფის. შენებრისა მზისა შეყრითა გასახელოვნებულ ვარ და რომლითა თუალითა შენი პირი მინახავს და რომლითა ყურითა შენი სიტყუა მომისმენია, აქათგან კარგისა სახელისაგან კიდე აღარა მესმის; აქათგან თავისა წადილისა და სიხარულისაგან კიდე აღარას ენახაო“.

მერე შეჰვიცა რამინ მტკიცითა საფიცრითა ყოვლისა დამბადებელისა ღმრთისა ძალითა და სახელითა, ელვარითა მზითა და მთუარითა, რაცა ცასა ზედა არის— ყუელაითა: ცითა და ქუეყანითა, ღმრთისა სჯულითა და ყოვლითა საფიცრითა, რომელ, ვირე სულნი ედგნენ, ვირე მათა ზედა ქარნი ქროდეს და ზლუათა შიგან წყალი და თევზი იპოებოდეს, ბნელსა ღამესა სიშავე ჰქონდეს, ცათა შიგან მასკულავე იპოებოდეს და კაცსა სული ტანსა შიგან უყუარდეს,—ვისის სიყუარულსა არ ინანდეს რამინ, არცა მისი ფიცი გატეხოს, არცა მისისა პირისაგან კიდე სხუა პირი მოეწონოს, არცა ვინ სხუა მისგან კიდე უნდეს, და არცავის სიყუარულისა თუალითა შეჰხედოს და არცარა ვისის უნებელი ქმნას.



და რა რამინ ესე შეჭფიცა და შეაჯერა, მერე ვისიცა შეჭფიცა აგრევე მჭკიცედ, რომელ სიცოცხლესა მისსა შიგან რამინს არ ეც-რუოს და არცა მისსა სიყუარულსა არ მოაკლდეს. და ერთი იისა კო-ნა მისცა კელთა რამინს და ეგრე უთხრა:

„ჩემგან ნიშნად ესე დაისწავლე: სადაცა ახალსა იასა ნახევდე, ამა დღესა და ფიცსა მოიგონებდი! ასრემცა ლურჯი და თავ-ჩამოგ-დებული ხარ, თუ ჩემი ფიცი გასტეხო. მეცა ვარდსა ნიშნად დავი-სწაველი. სადაცა წალკოტსა შიგან ვარდსა ვწახავე, ამა დღესა და ფიცსა მოვიგონებ. ვარდისაებრმცა დღე-მოკლე ვარ, ოდესცა ესე ფიცი გავტეხო, ღმერთი უარ ექმნაო“.

რა ერთმანერთსა ესე შეჭფიცეს, დამბადებელი მოწმად დაი-ყენეს.

მაშინდა ერთგან დაწუნეს და გარდასრულსა ქირსა და ლხინსა ერთმანერთსა უამბობდეს. და მიჯნურობათა სიხარულითა ვისსა ვითამცა ყოველთა კელმწიფეთაგან უფროსი სწოლოდა გუერცა, და მას, ვითამცა მზე და მთუარე, ყელსა მოხუეოდა, —რამინს. თუმცა ანგელოზთა ენახა, ნუთუ ვერცა იგინი შეიგებდეს მას, თუ რომელ უქეკლუცეა და თუ ერთი წევს, ანუ ორნიო. საგებელი მათი ვარ-დისა და თუალისაგან ავისილ იყო. სიამონისა მოედანსა შიგან ბურ-თი ჩამოვედო და ასრე მაგრად შემოეჭირა ერთმანერთისათუის, თუ-ცა დიდსა წუიმასა მათზედა ეწუიმა, მკერდი არ დაუნამიანდებო-და, და პირი პირსა ზედა დაედვა. რამინის გული აღრითვან წყლუ-ლი იყო; მიჯნურობისაგან დია ზიანი ენახა რამინს, ვისის სიხარუ-ლისაგან სარგებელიცა დია მიჰხუდა. რაზომიცა ისარი მიჯნურობი-საგან რამინს სცემოდა, თუითოსათუის ათასი მეტად აკოცის. რა სიხარულისა მოედანსა შევიდეს და ნება აისრულა და გაკურიტა თუა-ლი პატროსანი მაჯნად და დაავდებია პატროსანსა პატროსნება, ცნა, რომელ ვითარი დედასა ეშობა, მითვე ბეკდითა მიჰხუდა. მა-შინ კულა მეტად შეუყუარდა არარომლისა ქმრისაგან კელმიუყოფ-ლობისათუის. რა ორთავე გულის-ნება აუსრულდა, ერთმანერთისა-თუის კულა მაშინ უფრო დახელდეს და მოემატა სიყუარული. ესრე ორი თუე ერთგან დაყვეს. ყოველთა დღეთა ერთგან იყენიან, და ღამით განალამცა იხარებდეს ერთგან.

მერე შაპი მოაბადს ესმა ესე, რომელ მმა მისი რამინ გამრთე-ლებულ იყო. გაიხარნა და მაშინვე წიგნი მოსწერა რამინს ვითა: „უშენოდ ვერა ვარ მხიარულად, არცა გულ-ჰამოდ, არცა ასპარეზობა და სუმა მიაშებდისო. აწ აღრე მოედ, დიდხან ერთად ვინადიროთ და გავიხარნეთ. ქუეყანა გამწუანებულა, ბევრი ათასი ფერი ყუაეი-

ლი მიწისაგან ამოსულა, მთამან ბერძელისა ოქსინოისა კაბა შეიკე-
რა და ყარყუმში ქუდი თავისაგან მოიკადა, და ეგზომი წყარო გამო-
ცემულა, რომელ წყლისაგან ავაზა უნავოდ თხასა ვერ შეიპყრობს.
რა ესე წიგნი წაიკითხო, სწრაფით წამოედ და გაზაფხულისა ყუავე-
ლი ვისიცა თან მოიყვანე სწრაფით, მით რომელ დედისა ნახვა ღია
სწადიანო“.

რა მოაბადის წიგნი მივიდა რამინს თანა, მაშინვე კაზმა დაიწ-
ყო. მიჰმართა, ვისიცა თან წაიტანა. თუცა გზა ღია ავი იყო და
ძნელი, მაგრა ორთავე მიჯნურთა სამოთხედ უჩნდა ერთგან მგზავე-
რობა. რა მივიდეს მაჰისა ქუეყანასა, წინა მოეგება მოაბად და ლაშ-
ქარნი მისნი. მასვე წამსა ვისი დედისასა მიიყვანეს. ღია რცხუნო-
და ვისსა ძმისა პირისაგან: ვითა მართებდა, ვისისა მისლვისათუის
ყუელამა ეგზომ დიდად გაიხარნა. მაგრა მას სიხარული დამძიმე-
ბად მოექცა, მით რომელ რამინს მოშორდა და აღარ ღია ნახვიდა.
კუირას შიგან ერთხელ ანუ შაჰი მოაბადს წინაში ნახის, ანუ გზასა
ზედა, და ეგზომ ნახვა მას ყოლა არად უჩნდა და არცა ეყოფოდა.
მეტად ნახვისა ძებნამან ქირსა. ჩაუგდო თავი და მიჯნურობამან ეს-
რე მოალორა, რომელ წამსაცა ერთსა ველარ ელეოდა რამინს და
სულთაცა ერჩია იგი.

ცნობა მოაბადისაგან რამინისა და

ვისის მიჯნურობისა



ობადს წინაშე დაჰყო რამინ თუე ერთი და ერთ-
გან გაიხარნეს სუმითა და ნადირობითა. მერე მუ-
ლანს ჰლამოდეს წასლევასა, ზღუისა პირსა, ნადირო-
ბად. მას ლამესა, რომელსა შაჰი მოაბად აიყრებოდა,
ვისსა გუერდით უწუა. ასრე უყუარდა მოაბადს,
რომელ ქუე არ დაეძინის მას გუერდით მყოფსა.

ამასა შეიქირეებდა, რომელ იგი მზისაებრ კეკლუცი მას გუერდით
წუის, და მას მისგან ერთხელცა ვერ გაეხარნეს, ამით რომელ შე-
კრული იყო.

წამოვიდა მალვით ძიძა, მოაბადის ძილი ეგონა და ეგრე მოაყ-
სენა ვისსა:

„ესეთსა ჟამსა ვით დაგეძინების, რომელ შენისა მოყურისა,
რამინის წასლევასა იგონებდე? იგი ხვალე სომხითისაკენ ჰლამის წას-
ლევასა ნადირობად; და მუნ მტერისა ბრძოლაცა დაემართების ლაშქ-
რობად, და შენსა გულსა და სიხარულსა თანა წაიტანს. აწ მისი
ლაშქარი ყუელა შეყრილა, ნობათი-კარაგი მისი გარეთ დაუდგამს
და ხვალე ადრე აიყრების. და აწვე ასაყარასაცა ჰკრვენ და ლაშქარ-
ნიცა გადენასა დაიწყებენ. თუ მისისა პირისა, მზისა უკეკლუცისისა,
ნახვა გწადიან, ადრე კოშკსა ზედა გაედ და ნახე. ძილი არ ეგების
მომორვებისა მისისა გონებასა შიგან. იგი ნადირობად წაევა. მაგრა
ქორითა და ავაზითა შენი გული დაუქირავეს სატყუეოდ. ადრე რათ-
გან გაგემორვების და შენსა გულსა და ჩემსა თმობასა თანა წაიტანს,
დაუქურიტეო“.

მათისა ფათერაკისაგან მოაბადს ელუიძა, და ესე მათი საუბარი ყუელა გაიგონა და ძიძისა სიტყუანი მოისმინნა. მოაბად გახელე-ბული აიჭრა, პირი, ვითა ხაცარი, შეჰქმნოდა; მეტისა ჯავრისაგან ველარა გაიგო, თუ რამცა ქმნა. ჯდა ვითა მთრვალი მებრძოლი პილო. ძიძისა გინება დაუწყო და წყვეა; ეგრე უთხრა:

„ჰე ბილწო, საძაგელო, ღმრთისა უარის მქმნელო, ყოვლისა ბოზობისა და ეშმაკობისა დასაწყისო, ძაღლისაგანცა უფრო მოყივ-ნებულო და არაწმიდაო!“

უბრძანა მსახურთა:

„მომგუარეთ ისი საძულველი, ძაღლისაებრ არა შესაწყალე-ბელი, რომელ მოვკლა და მისისა დიაცობისა მსგავსი მივავო მუქა-ფა. კამს, თუმცა ხუზისტანს წუიმისა ნაცულად ქვა წუიმდა! სადა-ცა ესეთი ბოზი და მაჰკალი გამოვა, უხუცესთა მოაცთუნებენ და კელმწიფეთა ლალატსა უდგებიან. ხუზისტანით თუით წრფელი არაეინ გამოვა, ყოველნი მაგალითნი და უსჯულონია. ვაგლახ მას, ვინცა მიენდოს მუნებურსა, ანუ შვილი ვინ გააზრდევენოს! რომელ მუნებური ძიძა მოიყვანა შაჰრო, მითცა აავეს თავისა დარბაზი აუ-გითა. ხუზისტანელი ძიძა და ბრმა გულშაგად სწორნია. ვისიცა წინა-მძღუარი ყორანია, მისი სადგური სამაროანიაო.“

ესრე მოიწყრომა ძიძისათუის და მერმელა ვისის ეგრე უთხრა:

„ჰე ღმრთისა უარის-მქმნელო ვისი და ეშმასა მიმდგომო! არცა ცნობა გაქუს და არცა სირცხული, არცა სიმართლე, არცა პატივის ნდობა. შენისა აუგისაგან მოაყივნენ ნატამალნი შენნი; სირ-ცხული გასწირე და აბეზარ იქმენ, სჯულისაგან გაბედილდი. ვინცა გივის, მათთა თუალთა წინა და ჩემთანა ასუბუქდი. არ მოეწონების შენი ნაქმარი შაჰროს, და არცა ვიროს და არცა ვის შენთა ნატა-მალთა. ყოველნივე სირცხულიელ გიქმნიან. ვირემდინცა ძიძა შენი მოახლეა, განაღამცა ეშმა იყო წინამძღუარი. ხუცესი რა ორძალთა უკრევედეს, დიაკონმან შუშპარისა კიდე რამცა ქმნა?“

მაშინვე ვიროს თანა კაცი გავზაენა, უკმო და უჩიელა დისა მისისაგან, ყუელა წურილად უანბა და უთხრა ვითა: „წუართე ესე შენი და; რაცა ეგების და მისსა საქმესა ჰმართებს, ეგეთი საპა-ტიყო მიუპყარ. ძიძა სასიკუდილოდ ნუ გეწყალევს. მე თუ გარდა-რასვაკდევ, მეტისა გულისა ტკივილისაგან გავჰპატიუებ: ვისსა თუალ-თა დავსწუავ, და ძიძა განაღამცა მოვკლა, და რამინს ამა ქუეყა-ნით გავადებ და, ვირე ცოცხალ ვარ, აღარ ვაკსენებ. სამისა უბედუ-რისაგან დავსცლი ქუეყანასო“.

ვისი თუცა მორცხუი იყო, მიჯნურობისა საქმემან წაულო სირ-
ცხუილი. აწ ნახე, თუ ძმასა წინა შაპი მოაბადს რა პასუხი გასცა,
და სიყუარულმან თმობა, შიში და კრძალვა ვით მოაშორვა; მიჯნუ-
რობაჲან თავი სიკუდილად ვით დაადებინა; საწუთრო და სიყმე
მისთუის ვით გასწირვია! აშფოთებული ტახტისაგან მოაბადს წინა ზე
აიქრა, ვითა ასპიტი გუელი, კელნი მოიჭუდნა და აგრე მოაკსენა:

„ჰე, ძლიერო და მაღალო კელმწიფეო! ჩუენ შენითა წყრომითა
და პატივისა ქადებითა ველარ დაგუაშინებ. რაცა სთქუი, ყუელა
მართალი და კარგი სთქუი, და ესე უკეთესი ჰქენ, რომელ აუგი არ
დაგუიძალე. აწ თუ გწადიან, ჩამომარჩევ ანუ თუალნი დამწუნენ;
გწადიან—გამაძე, გწადიან—უკუნისამდე დაქედლილი გყვე. თუ გინდა
ლაშქართა შიგან შიშუელი მაარე; რაცა გწადიან, იგიცა მიყავ,
ყუელა კელგეწიფების. ამას ველარ უკუეიტყუი: მე რამინ ცასა და
ქუეყანასა ყუელასა მირჩევია, და თავსა და სულსა ჩემსა მისსა ქირ-
სა ვანაკუალე, თუალთა სინათლე და გულისა ჩემისა სიხარული
იგია, მოყუარე და პატიოსანი გულისა წამლებია და თმობისა მომ-
ცემი, და რა მგამა, თუ ერთი სული მისთუის გავსწირო? თუმცა ათი
ათასი სული მედგა, ყუელა მისთუისვე მინდა. მე რამინის სიყუა-
რულსა არ მოვსწყდები, ვირე სიკოცხლე არ მომწყდეს. მე მისი მზი-
სა მსგავსი პირი, ტანისა საროისა ნაკუთსა ზედა მყოფი, გონებისაგან
არ მიმცილდების. და იგი მირჩევია ათასსა კელმწიფესა და მისი ნა-
ხეა ათასისა კელმწიფისა და მარავისა უფროსად მიჩს. მზესა და
მთუარესა მას ზედა ვჰხედავ, ჩემი იმედი და ნება იგი არის. მე რა-
მინ შაჰროსაგან უფრო მიყუარს, მე რამინ ვიროსაგან უფრო მომი-
ნდების. შენ თუ გწადიან, მომკალ; გწადიან დამარჩინე,— არ მომ-
ძულდების და ვერ დაევიწყებ რამიხს. შენ და ვირო ორნივე ჩემნი
პატრონნი ხართ, რაცა გავწადიან ჩემზედა, ყუელა შეგიძლია. თუ ვი-
რომან მომკლას ანუ დამქედლოს, მიაშების; მოვითმენ და ჯერ ვარ. და
თუ შენმან კრმალმან სული ამომკადოს, ამით არა მგამა, რომელ ჩემი სა-
ხელი უკუნისამდე დარჩების ვითა: სული ვისმან რამინისათუის გა-
წირაო. თუნდა ათასითა სულითა ვიყიდი ესეთსა სახელსა. ზაგრა,
ვირე ლომი ცოცხალ იყოს, მისთა მართუეთა დაკოცასა და ადგილისა
აშლასა ვინ იკადრებს? ვირე რამინ ცოცხალ იყოს და მე მესუას,
მრუდითა თუალითა შემოხედვასა ვერავინ მკადრებს. რა ღიდი
ზღუა, ვითა მწადდეს, ვგრე კელთა მქონდეს, ცეცხლისაგან კრძალვა
ბედითია. შენ ჩემი რამინისაგან მოწყუედა მაშინ შეგიძლია, რა კა-
ცისა დაბადება შენგან ეგებოდეს. მე ამისათუის ქირსა არად გავი-
კუირვებ და ამაშიგან ნახე, თუ შენი ღონე რა იქმნებისო!“

რა ვიროს ესე საუბარი ვისისაგან ესმა, ათასჯერ თავისა სიკუდილი ინატრა. წავიდა და დაი თანა წაიტანა. მარტოსა ეუბნა, შეაგონებდა. ეგრე უთხრა:

„ჰე ღმრთისა მტერო, შმაგო, რეგუენო! ევე საუბარი ვით ეგების შენგან, ანუ შენ ჩემსა წინა რა უყავ შაპი მოაბადს? ჩემიცა პირის-წყალი წაილე და თავისაცა. შენ ჩემგან და მოაბადისაგან რად არა გრცხუენიან, რომელ ეგრე იტყუი: რამინ მინდა და მოაბად არ მინდაო! ამას რად არ მითხრობ, თუ რამინს შიგან ნიეთი რა ნახე ესეთი, რომელ ყუელასა იგი გამოირჩიე. საჭურჭლესა შიგან რა უც ჩანგისაგან და ძალისაგან კიდე? მის მეტი რა იცის, რომელ ჩანგი მორთოს, ჩამოჰკრას და ზედა შეუკმოს? ნიადგ მთრვალი იზახის, ვითა მტერიანი. მიწყით მისი ტანისამოსი ხამართა თანა დაწინდულია, ურიანი მისნი არიფნია, ხარაბათნი მისნი ნადიმნია. არ ვიცი თუ შენ სადა შეისწავლე იგი და რასთუის ესრე გამიჯნურდი მისთუის? აწე სირცხული და ღმრთისა შიში მოიგონე და ნუ ხარ მავაშიგან, რომელ აუგითა აგუავსნე. შაპროსებრი დედა და ჩემებრი ძმა შენითა სიავითა აუგიაწნი და სირცხულიელნი არ ვეგებთ. ნუ უდგები მიწყით ეშმაკისა წადილსა და ნუ გასცემ საწუთროსა და საუკუნესა რამინისთუის. თუ რამინ უკუდავეებისაებრ გიჩს, მოიგონე, სამოთხე ღმრთისა უაშეა. მე მითქუამს, რაცა შენთუის სჯობს. აწ შენ იცოდი და შენმა ღმერთმან და შენმან ქმარმან! რაცა მითქუამს, თუ არ მომისმენ, შენის აბეზრობისაგან კიდე არა ღონე მაქუს“.

ვირო ვითაცა ეუბნებოდა, ვისი საბრალოდ ტიროდა და ეგრე უთხრა:

„რაცა გიბრძანებია, ყუელა მართალია. მაგრა მე კარისა დაკშვა რასალა მერგების? რაცა მქონია, მპარავსა ყუელა წაუღია. ჩემი სული არ ეგრე ჩაქრილა ცეცხლსა შიგან, რომელ ვისიცა რა შეგონება ერგებოდეს. ჩემი გული არ ეგრე გატეხილა მიჯნურობისაგან, რომელ კელოვანმან კაცმან მისი შეკრვა იცოდეს. მე გული მისთუის ასრე მიმიცემია, რომელ მე მისგან ნაწილი აღარა დამრჩომია. ღმრთისა განგება აღსრულდა ჩემზედა; რაცალა იქმნა, იქმნა! აწ თქუმა და ნანეა აღარას გუერგების. მე რამინ ესრე შემეყარებია, რომელ უკუნისამდე ველარა მოვსწყდები; და თუ ეგრე მკითხო: სამოთხე გირჩენია ანუ რამინო, — მე, შენმან მზემან, რამინს გამოვირჩევ, ამით რომელ მისი შეხედვა სამოთხედ მიჩსო“.

რა ვირომან ვისისაგან ესე შეუწონელი სიტყუა მოისმინა, მარგალიტი ღორსა წინა აღარა დაყარა; კიდე წავიდა და იგი ქუე დააგდო. მოაბადისა და ვისის საქმე ღმერთსა შეავედრა.

მერმე შაჰინშა თამაშად გავიდა და მოედანსა ასპარეზსა სცემდა. დარნი-დარნი გაიყარნეს: მოაბად და ოცნი კაცნი დარჩეულნი ცალკე, და ვირო და ეგრევე შერჩეულნი კაცნი ცალკე იყვნეს. რამინ მოაბადისაკენ იყო.

იწყეს ასპარეზობა, რომელ უკეთე და უტურფე აღარა ეგებოდა, თუ სთქუა, ცამდი ავდიან ბურთი. მას დღეთა ყოველთაგან უფრო საქებარად გამოჩნდეს ვირო და რამინ. ზოგჯერ მან აჯობის და ზოგჯერ მან. ვისი კოშკიდალმან უჭურეტდა მობურთალთა ეგრე საქებურთა. რამინ და ვირო უფრო მოეწონნეს. და მეტისა გონება-შეპირებებისაგან დაიღრიჯნა, და პირისაგან ფერი წაუვიდა, ტიროდა და ეგრე თრთოდა, ვითა ცხროიანი. გუერცა დაუჯდა ძიძა და ჰამოდ ეგრე ეუბნა:

„რად მოგრეგია ასრე ეშმა, რომელ თავსა სულისა დაღვევისათვის ესრე ებრძუი და ცრემლთაგან თუალნი დაგიშურიან? რად იქმ? არ შენი მანა ყაჩან იყო და დედა შაჰრო? არ შენი ძმა ვიროა და ქმარი მოაბად? და შენ, ვისი დედოფალი, ყოველთა კეკლუცოა მზე ხარ! არ არანისა და ერაყის დედოფალი ხარ? არ თურქეთისა და ხორასნის დედოფალი ხარ და ხათუნი? არ გუარიანობითა და სიკეთითა გამოჩენილი და ყოველთა კელმწიფეთა საპატრონო? და თუ ათასიცა ჰირი გჰირს, არ ესეთი მოყუარე გივის, რომელ, რა მისი პირი ნახო, ყოველი ჰირი გაგიქარდების? ეტლიცა, ზღუა და კმელი შენებრსა კელმწიფესა ჰნატრის. ნუ უჩივი ღმერთსა დამბადებელსა, მისი სამოთხე აქავე შენთვის უბოძებია; მისგან უფროსსა და უკეთესსა შენ რასალა სთხოვ? დიდი და საკრძალავი კელმწიფე ხარ, ყმა და კეკლუცი ხარ, ამა საწუთროსა შიგან ნებიერი და მოსუენებული ხარ, და ამისსა მეტსა რასაცა ეძებ, იცოდი, რომელ ღმერთსა გაირისხებ, ნუ იქმ, მთუარეო! დასჯირდი ბედსა და რაცა ღმერთსა უბოძებია; კმა ყავ შენი სიკუშტე, ნუ გაიწყრომებ კელმწიფესა და ნუცა ძმასა შენსა მოიმღურებ; მით რომელ შენისა შეცოდებისა ცუარ-ცუარი რა ერთგან შეიყრების, მისგან დიდი ღუარი ადგების“.

ეგრე უპასუხა ენოვანმან მთუარემან:

„ჰე ძიძაო! ცუდსა და ბედითსა ვირემდინ უბნობ, ცეცხლსა შიგან წყალსა სადამდინ ეძებ?“

არაკი: „ნუთუ მეცნიერთა კაცთაგან არ გასმია, რომელ მჭურეტელთა ომი არ ეძნელების?“

„მე ქუეითი ვარ და შენ ცხენოსანი. შენი ცხენი მალია და ველი—ვაკე. ჩემი ჰირი და მაშურალობა არ იცი. მე სწეული ვარ

და შენ მრთელი. არ იცი ჩემი, რომელი ადგილი მტკივის. კელმწიფე ჩემი უხუცესი და ქმარი არის, მაგრა მეექუი, სარიდო და აცნობა არის. თუ ვირო ძმა არის, აწ მას მოვსძულეზივარ, ჩემსა თუასა — ვითა სხუისა ოქრო არის, და თუ მთუარეცა, მე აღარას მერგების, რათგან არ ჩემია. და თუ რამინ არის, ცუდად მფერებელია. შენცა იცი, რომელ მისსა ენასა ღორებისაგან კიდე არა აქუს. ენად მალორებელია კაცისა და საგრძელოდ სიყუარულსა ზედა დაუდგრომელიო. ენა მისი საუბრისა უამსა შაქარია, მაგრა უკანის ნავლელი და ბიჭობითა სავსეა. მე. გლახ, ვარ გაწბილებული, ათასისა საქმისაგან უსაქმო და ათასისა მიჯნურისა და მოყურისაგან უმოყურო. ძმაცა მივის, ქმარიცა და მოყუარეცა, და ამა სამთავანვე ცეცხლთა ზედა ვიწუი. მე სახელი ოდენ დამრჩა ქმროსნობისაგან, მე საყუედური ოდენ დამრჩა მიჯნურობისაგან. მე იგი ოქროისა ტაშტი არად დიდებად მიჩს, რომელსა შიგან მტერი ჩემსა სისხლსა დაღურიდეს. თუმცა ბედნიერი ყოფილ ვიყავ, ჩემი ქმარი ვიროსგან კიდე არვინ იქმნებოდა. არცა რამინის პირი მენახა, არცა მოაბადისი, რომელ მოყუარესა ჰგუნან და მტერნია საძულეველნი. ერთი ვითა ქირია, მიწყით სულისა გამპატიეებელი, და ერთი საჩემოდ, ვითა ქიქასა თანა, ქვაა; ერთისა გული ქვისაებრი, დაუდგმელია, და მეორისა გული უსამართლოსა მძებნელიაო“.

მოაბადისაგან ვისის წამოყვანა და

მარავს მოსლვა და ხორასანსა



ორასანი ფალაურითა ენითა ჰამოსა და მომცლმსა ქუეყანასა ჰქუიან. ერაყისა და სრულისა სპარსეთისა საჰამადი სპარსეთით და ხორასანით მოვა; ჰამო მიწა-წყალი და წმიდა ჰაერია, და თჳით მარავე ქალაქი ხორასანსა შიგან ეგზომ ჰამოა, ვითა თუეთა შიგან მიისი; კაცისა განსასუენებელია და სამოთხესა ჰგავს.

რა შაჰი მოაბად კარგითა ეტლითა შემოქცეული ქოისტანით მარავს ქალაქს მივიდა, კოშკთა ზედა ჯდა [ვისსა თანა], ვითა სოლომონ და ბალავ, და თამაშად მუნით უქურცტდა ველთა, ბალთა და ვენაკთა ამწუნებულთა და აყუავებულთა. და სიცილითა და ლალობითა ვისის ეგრე უთხრა:

„ნახენ, ველნი და ვენაკნი შუენიან შენისა პირისაებრ. წყალი, და მიწა, ბოსტანი, სათიბნი, ველნი და წალკოტნი, მთა და ბარი მარავისა ღმერთსა, ვითა ედემი, შეუმკიან. ამას რად არ მითხრობ, ჰჳ მთუარეო ჩემო, მარავე უფრო გიაშების, თუ მაჰისა ქუეყანა? მე მარავისა ქუეყანა მირჩევნია, ამით რომელ მისი ქუეყანა ცასა ჰგავს, მასკულავითა შემკობილსა. თუ სთქუა, სამოთხე არის ღმრთისა წყალობითა სავსე. ვითა მაჰისა ქუეყანისაგან მარავე უამესია, ეგრე მე ვიროსაგან უფრო ვარ. მე მაჰისა ქუეყანისაებრი ქუეყანა დია მაქუს და ეგრევე ზემდგომი ყმა ვიროსებრი დია მყავსო“.

ნახე, ვისმან პასუხი რაგუარი გასცა, ვით უპატიოდ ეუბნა! მიჯნურობისაგან, ვითა ლომი, გაგულოვნებულ იყო და ვირისაებრ აღარა შესწონდა. ეგრე მოაკესენა:

„ეელმწიფეო, მარავე და მისი ქუეყანა ჰამოა თუ არა, ღმერთმან შენ გიბედნიეროს. მე აქა დია უნებლიე დაპყრობილ ვარ; ვითა ნადირი, ბადესა შიგან ბმულ ვარ. და თუმცა რამინის ნახვისა

მიზეზი არ იყო, აწმცა შენ ჩემი სახელი გარდასრულთა თანა გესმის. მაგრა რა მას ვჰნახვიდე, მაჰი და მარავი სწორად მიჩს. თუმცა გული ჩემი არ მისთვის დამედვა, აქამდინცა თავი არ მიცოცხლებია. მე იგი მეწალკოტე ვარ, ვარდისა მწერგავი, რომელ ეკალსა ვემუდარები ვარდისათვის. მე შენ რამინის გზითა შეგევაოები, ამით რომელ ჩემი გული ნახუთევად მას აქუსოჲ.

შაჰინშა რა ესე ძნელი პასუხი მოისმინა, წყრომისაგან პირი გაუწითლდა, მერმე გაუყუთილდა, გულსა ისრად დაესო და ჯავრისა მისისაგან ათრთოლდა, და ესრე გაწყრა, რომელ მოკლევასა ჰლამოდა. და კულა სიყუარულმან და ცნობამან მორია. რა გაწყრის, ცნობა წინა დაუდგის, და რა გაფიცხდის მისისა სიკუშტისა ცეცხლსა ღმრთისა განგებამან წყალი დაასხის. რათგან ღმერთსა მისი სიციცხლე გაეგო, კაცი მას მტერობითა ვით მოჰკლვიდა? ვერავინ მოერევის მტერთაგანი, ვისცა ღმერთი სკუიდეს: დაეკსნების ღმრთისა ჰანგთა და პილოისა ხორტუმსა. ვითა მრავალჯერ, მშუიღობით დარჩა ფათერაკისაგან. საქონელსა ჰგუნდა დამალულსა ნაოკარსა შიგან ვისი, ყოველთა კაცთათვის შეკრული და რამინისათვის ოდენ გაკსნილი.

რა დიდხან აშფოთებული წყრებოდა, ცნობამან მორია შაჰი მოაბადს და ვისსა ავი საქმე აღარა უყო, მაგრა გინება დაუწყო და ეგრე უთხრა:

„ჰე ძაღლისა შექმნილო, ბებლთა და გრძნეულთა გაზრდილო. წელნიმცა მოსწყდების შაჰროს, რომელმან გშობა! სახლიმცა აუოკრდების ვიროს, რომელ უსჯულოისა და მაგალითისაგან კიდე არა გამოვა შენისა გუარისა! გუელისა მართუე განაღამცა გუელი იყო და ავისა ხისა ნაყოფი განაღამცა მწარე იყო. აღრაბადი, ფარახზანდა, ვიპრონდი, აბანოზი, ვისი და შირინი ყუელანი თუითო მამისა შექმნილი ხართ და ბოზისა ნაშობნი და გოძნეულთა გაზრდილნი. შენ ოდენ შავდებოდი ჯიმშედის გუარისა და შენცა მოაყუნე ჯიმშედის გუარი. აწ სამი გზა წინა გიც, სადაცა გწადიან, მიხუილოდე: ერთი გურგანისა, ერთი დეეძანდისა და მესამე ამიანისა და ნიავანდისა. აწ იქა წაშავდი, რომელსაცა გზასა გწადიან! შენიმცა წინამძღუარნი მაცდურნი და დევნია, და სადგურნიმცა შენნი ნაოკარნი და უწყლონი, გზათამცა ყოვლგან ორმო დაგხუდების, ველნიმცა გუელითა საესეა და მთა თოვლითა, წყალიმცა სამსალიანი, და ველთა ნაყოფი უძოვრანი; დღისითამცა ღომი მოგეგებვის და ღამით მაცდური. წყალიმცა დიდი დაგხუდების და ხიდი აოკრებული. და ღმერთიმცა გრისხავს, რომელ, რა დაიბადე, ჰირი არავის დაუღიეო!“

რა ესე ბრძანება ესმა ვისსა, შუენებით უაუგოსა, მოაბადის სიტყუისაგან მეტის-მეტად გამზიარულდა, ვარდისაებრ აყუავდა, თაყუანისცა და კიდე წამოვიდა.

მოაბადისაგან ვისის გამკება



იძასა ეგრე უთხრა:

„წაე, ძიძაო, სამახარობლო სთხოე შაპროს და ეგრევე ვიროს, გაახარე და საბოძუარი აილე, ეგრე მოაკსენე: „მოვიდა დაი შენი საყუარელი, მოყუარე შენი; ამოვიდა ელვარე მზე შენი, სით არ მოელოდი, იმედისა შენისა ნიშანი გამოჩნდა, სით საეჭუთი არ გკონდა. აწლა სიმარტოე მოგაშორა ბედმან, შენტუის ხორასნით ორი მზე გამო-სულათქო. და დედასა ჩემსა გაახარე და მოაკსენე: ვეშპისა-გან მზე დაეკსნა, ბედსა სუიანსა მისსა გაელუიდა და მომართა თა-ვისა გუარსა პატიოსანმან თულმან. რათგან ღმერთმან მოაბადისგან გუიკსნა, ვითამცა ყოველთა ჭირთაგან კსნილ ვართქო“.

მერმე მივიდა, მოაბადს ეგრე მოაკსენა:

„მაღალო კელმწიფეო, მიწყითმცა მხიარული და ცოცხალი ხარ აგრე, ვითა შენტა მოყუარეთა გაეხარების! და მტერნი შენნი მოგაშორნეს ღმერთმან! მე ვირე ცოცხალ ვარ და სულნი მიდგან, შენი გულითა მლოცავი ვიქმნები. აქათგან ესეთი ცოლი შეირთე, რომელ თქუენი შესაფერი იყოს და ჩემებრი ასი მკევალი ჰყვეს. ას-დენ კეკლუცი და შუენიერი შეირთე, რომელ ვინცა მტერმან ნახოს, დაუმძიმდეს და დაბრმდეს შურიითა: გუარიანი მეტის-მეტად, სი-წმიდითა და პატიოსნობითა ქებული, ვითა მზე, ყოველთა თულთა სანატრელი და, ვითა სული, ყოველთათუის საყუარელი. უშენოდმცა მე ცოცხალ ვარ მხიარული და უჩემოდ შენ ღმერთმან დიდება მო-გკეს და მოგიმატოს; ასრე ქმნას, რომელ ორთავე სინანულად არ გა-გუიხდეს და ნება-აღსრულებით ვიყვნეთ, რომელ ერმანერთი აროდეს ვაკსენოთ“.

საჰურკლეთა კლიტენი მოაბადს კელთა მიათულან და ეგრე მოაკსენა:

„სხუასა მეჭურჭლესა შეჰვედრენ, რომელი შენსა სადღოსა ში-
გან ჩემსა უკეკლუცე იყოს და უერთგულესი. ღმერთმან უშენობითა
მე ნურა დამაკლოს და უჩემობითა შენ ნურა დაგიძმძმოსო“.

ესე თქუა და თაყუანისცა და წამოვიდა. და რაცა მონა და
მკევალი ჰყვა ნასყიდი ვისსა, ყუელა ათავისუფლა და გაააზატა.

რა წამოვიდა ვისი, მოაბადის დარბაზი უმისო აიშალა და
დაბნელდა. ყოველთა კუთხთაგან ტირილისა კმა გამოვიდოდა. შაჰი
მოაბადის ნატამალნი დედანი დაღრეჯით შეიქმნეს და ტიროდეს
მისისა წასლვისათუის. აკოცეს ერთმანერთსა და გაიყარნეს. მრავ-
ლისა თუალი ტიროდა მისთუის და მრავლისა გული იწოდა მისისა
მოშორებებისათუის, მაგრა ყოველთაგან რამინ განაღამცა უსაბრალოე
იყო. რა წასლვა ვისისი დაისკუნა, შეჭირვებითა ცნობათა მიჰკდა,
ვითა ფრინველი თავ-მოკუეთილი ფართხალებდა. რა სულად მოიქცა.
არ გამოიხუენა წამსაცა ერთსა შეჭირვებისა და გულის-ტკივილისა
და შეუშრომელად ცრემლთა დენისაგან.

კულა ავად გაკდა, პირველ გამიჯნურებისა აწ უძნელე იყო.
თუცა ტირილითა არ ერგებოდა, ღონედ ეგრეცა იგივე ჰქონდა: ზოგ-
ჯერ მოყურისათუის იზახდის, ზოგჯერ გულისათუის ტიროდის. დღე
და ღამე გულსა ეუბნებოდა და თუალნი ვერ დაიხუჭნის. ეგრე თქუ-
ის: „უღონო-ქმნილო გულო! გაგიშავებია ჩემი ტანი და სული, მიჯ-
ნურობისა დაღითა ნათელი დღე გაგიშავებია, სიხარული ჰქირად
შემცუალეებია, სიცილი ტირილად, სიმრთელე სნეულეზად და ისრი-
საებრი ნაკუთი მშუილდად შემქმნია. აწ ნახე სიმწარე მიჯნურობი-
სა, თუ უმოყუროდ ცოცხალ იყო. ერთსა წამსა უმისოდ ყოფნა ვერ
გასძლე, აწ რასალა გლახ იქმ ანუ უმისოდ ყოფნა ვით ეგების?
აქათგან დია ჰქირსა ნახავ, აქათგან დია ნავლეღსა სქამ უმისობითა.
მოიგონე, გულო, მარტოობისა სიმწარე, დაეჩუიე აწვეე ჰქირსა გა-
ძლებასა, რათგან ანაზღუელად გაგეყარა მოყუარე საყუარელი; შენ-
თუის ხურმისა ჟამი წავიდა და ეკლისა მოვიდა. დათმე და მოიჭირ-
ვე გულო! აწ მოგეწიფა, რაცა ავი დაგეთესა. გულო, შენგან ნაქ-
მრისათუის ნუ გაქუს გამოსუენება! და თუალო, ცურიდი ცრემლთა
სისხლიანთა, ველარა ვჰნახავ სანახავად საყუარელსა მოყუარესა. მარ-
თალ ხარ, რაზომცა შეიჭირვებდე და დაწუთა ცრემლითა დაჰბან-
დე. პირველი მესისხლეობა ჩემი შენგან იქმნა: შენ გაიცადე იგი პირ-
მზე, შენ ჩამავდე მიჯნურობისა ჰქირსა, და აწ მით არა გაქუს შენ-
ვე მოსუენება. სისხლად გმართებს გარდაქცევა, თუალო, სინათლისა
აღარ ხედვა, რათგან ცისა მნათობთაგანცა უნათლესისა ქურეცა
დაგაჯღდა. კამს, თუცა ქუეყანა აღარ განიცადო, რათგან მისებრსა

ველარას ჰნახავ. არ მინდა უვისოდ სიცოცხლე, შენგან კიდე მისგან არავის უნდი, შენი თნება მისგან კიდე არვის ჰქონდა. მე თუ მისისა ნახვისა იმედსა გარდავსწყუედ, ვაჩემებ თავსა, აღარ ვჰნახავ ზნესა და მთოვარესა, თავისა კელითა ამოვიყრი თულთა; რა მგამა, თუ აღარ მიჩნდეს, რათგან ვისსა ვერ უქურეტი! ჰე, დაბნელებულო ბედო ჩემო, ჯბედურო, რად დამაგდე უჯუფთო და უმოყურო! ჰე მუხთალო საწუთროო, შენგან ვარ ამა ჯავრსა შიგან, შენ მომეც სიხარული და შენვე შეგშურდა და გაგეყარე უგრძნეულოდ! საწუთროო, თუ შენი კელი არ მუხთლობაა, ცოტასა ყმისებრი, რაცა მოვეცა, ვგრევე უსაქოდ რადლა წაძილეო?“ ესეგუარსა რამინ საბრალოდ გულსა ეუბნებოდა და ტიროდა. გული სიხარულისათვის მოეშორა და თავი გამოსუნენებისად. და დია იგონებდა, თუ რაითალა საქმითა დაეკსნას მარტოობისა შექირვებასა, ანუ რა ბადე და ღონე დაუდგას თავისა საქმესა.

მერმე შაჰი მოაბადს კაცი მიუგზავნა ვითა: „ესე მეექუსე თუე არის, რათგან ქუე-წოლილ ვარ და ავად ყოფილ ვარ, აწ ცოტად ძალისა და სიმრთელისა ნიშანი მომცემია, აღრითგან ცხენსა არ ჯდომილ ვარ, აბჯარი არა მცმია, ცხენნი დამხამებიან, ავაზანი და ძაღლნი ქუე-ბმითა დარყუნილან, ქორნი დამშავებიან, ყოფნა და ქუე-წოლა მომწყენია. ფარმანი მიბოძე—წავიდე ამულს, გურგანს და სარავს, მივიდე, ვინადირო და ხანი დაეყო: სანადირონი კულა გამართნე და წინაშევე მოვიდე“.

რა ესე ძმისა მოციქულობა შაჰი მოაბადს მოაკსენეს, შეატყუა, რომელ ბიჭობა და მაგალითობა იყო ამა საუბარსა შიგან, და ვისის სიშორე აღარა შეეძლო, არ შინ ყოფნა. გინება დაუწყო რამინს და წყევლა და ეგრე თქუა:

„ნუმცა შენი წალმართი და სიცოცხლე, ღმერთმან წაგიყვანოს, მაგრა მშუილობით ნულარა მოგიყვანოს, სიმრთელე და გამარჯუებამცა შენი ნუა. სადაცა გწადიან, წაედ. შენ შენი სული ვისის გრძნეულობისადა შეგიწირავს და, რა თულად ნახო, შენთამცა თულთა წინა მოკუდების, და შენ ესე ავი ზნე მისსა სულსა თანა ამოკუდების და ამის ავის თესლისა ნაყოფი ჯოჯოხეთიმცა მოკუდების! ჯერეთ ჩემი სიტყუა ყუელა. გემწარების, მაგრა ყუელა ხუანჯია შენი. სიყუარულითა შევაგონებ, თუ მოისმენ და ცნობა გაქუს, ქოისტანსა გუარინი და კარგი ცოლი შეირთე, კაცისა შვილი, კექლუცი. ნულარა დაეკარები ვისის და ძიძასა, თუარა განალა ოდენმე მათითა კელითა წაეგები. შენსა ცოლსა გუერდით გაიხარენ, მას დასჯერდი. თუ ესე არა ჰქმნა, თუით ნახო რა წაგეკიდოს! კრმალსა და ლახუარსა ზედა

ცეცხლსა დავაგზებ და მაშიგან შენ და ვისის ორთავე შეგყრი. მე, რომლისა ძმისაგან აუგვიანი ვარ, მისსა სიცოცხლესა სიკუდილი მირჩევნია. ნუთუ ჩემი სიტყუა ლაღობა გეგონოს! გამწყრალსა ლომსა აღარა ეამხანაგებისო“.

რა რამინ ესე ბრძანება მოისმინა, დაწყევლა გულსა შიგან ძმა და მათითა საფიცითა შეჰფიცა მოაბადის მზითა, რომელ ჩემსა სიცოცხლეშიგან მაჰისა ქუეყანასა არ შევიდე, არცა შენისა ბრძანებისაგან ბიჯი გავდგა და არცა ვისი პირად ენახოო და არცა მისთა ნატამალთა თანა დავჯდე და გავიხარნეო. მერმე ეგრე მოაკსენა:

„შენ არ ესეთი კელმწიფე ხარ, რომელ მე შენი ორგულობა ვიკადრო და, თუ შენისა ბრძანებლობისა უჩი ვიყო, თავმოსაკუეთელი ვარ; თქუნგან, ვითა ღმრთისაგან, მეშინიან და ვითა მისსა ბრძანებასა მოვისმენ, ეგრევე თქვენსაო“.

ზეპირ ესრე ტკბილად შესთუალა პასუხი და გული სისხლითა ავსოდა; და სხუა-კალიბად იყო და ისწრაფდა გამართვასა და ვისის ნახვასა.





რამინისაგან ვისის თანა წასლვა

ა ქალაქისა კარნი გამოიარნა რამინ და გამოემართა, გამრთელდა; თუცა ქირად არცარა წინათ სქირდა. რა ქოისტანით ქარი აქროლდის, ესრე უჩნდის, ვითამცა სამოთხისა სული სცემოდეს. ფიცხლად იარებოდის, ვითა მიჯნურთა წესია. მიყურისა სანახავად არად ექირვებოდა გზისა სიგრძე და არ ეძნელებოდა გზათა სიძვე. იგი მგზავრობა თამაშად უჩნდის, რაზომცა დიდი ქირი ნახის.

აწ აქეთ ვისი ოდეს დედისასა მისულ იყო, ურამინობისაგან შეავებულ იყო და დაღრეჯით იყვის. მისი სანდომი მაჰისა ქუეყანა ორმოდ უჩნდა უმისობითა. სამკაული ერთობით კიდე შეეკნა, ვითა მგლოიარე ჯდის, არცა სკამდის და არცა სუმიდის; არცა გაიციინის და არცა რამინის სურვილისაგან კიდე სხუა საგონებელი ჰქონდის. ვითამცა არა თავისა სახლსა ყოფილ იყო და არა დედისათუის ექურჩიტა, ვითამცა გუელისათუის ხედულ იყო. რა ძმა ნახის, ვითამცა მესისხლე მისი ყოფილ იყო, ესრე უჩნდის. არა იამებოდის ქუეყანასა ზედა, სიხარულთა თანა სიტყუა არცავეს მიუგის, არცა გაიციინის. დღისით მზესა უქურეტდის რამინის სანაცულოდ და ღამისა სიბნელე რამინის თმათა სიშავისა ნაცულად იამებოდის. დღე და ღამე ბანთა ზედა ჯდის, და თუალნი ხორასნის გზისაკენ ჰქონდის და ინატრდის: ქარიმცა მოვიდა ხორასნით და რამინის სურნელი სული მეცა! ღამით იტყოდის: აჰა, თუმცა დილასა მოვიდა რამინ! და დილასა იტყოდის: აჰა საღამოდმცა მოვიდაო! და ეგრე თქუის: „ნეტარძი, თუმცა ცხენსა ზედა მჯდომი მაშურალი ვნახო, რომელ ჰირი ჩემკენ ექმნას და ზურგი მარავისაკენ! ნეტარ ვერ ვჰნახე ჩემთუის მოსრულსა კაბუყად როსტომის საბატონოსა?“ დღე და ღამე ჰქონდა ნატრა და შექირვება; მიწყით თუალნი გზისაკენ ჰქონდის.

ჯდა ერთსა დღესა ბანთა ზედა მზისა ამოსლვისა ჟამსა; და მისთვის ორი მზე ამოვიდა: მზემან ქუეყანა გაანათლა და ხორასნით რამინ ვისის გული. ასრე მოვიდა მისად მლხენელად, ვითა სნეული-სათუის აქიმი სნეულობისა ამსუბუქებელად. და იგი მისთა თულთა და სულთა, ამოსლვად მიწურვილთა, შემქცეველი იყო. რა დაინახა, სიხარულითაჩქარებული ქუე ჩამოვიდა და ერთმანერთსა მოეხუივნეს, ვითა უსურვანნი. სიხარულითა ორნივე ტიროდეს და ღმერთსა მად-ლი მისცეს. ერთმანერთისა სიშორითა შექირვებულნი, შეყრითა, ვითა ვარდნი, აყუადდეს. ერთგან ხალვათსა სახლსა შევიდენ. რამინს ვისმან ეგრე უთხრა:

„შენმან გულმან ნება და თევზმან წყალი პოა. არს ესე დარბა-ზი საკელმწიფო, დაჯედ; დია გაიხარებდი, ვითა გინა ეგრე. ნადი-რობად მოხუე ხორასნით და დია ადვილად მოგხუდა ნადირი. მე შენი კოკობიცა ვარ და კაკაბიცა, ველური თხაცა და შევლიცა. ამოდ დაჯე, ჩემებრითა ნადირითა იხარებდი; სკამდი და სუმიდი, თამა-შობდი და იმღერდი, ვითა გმართებს. მე და შენ გავიხარებდეთ დღეს დია, ხვალისასა ყოლა ნურას მოვიგონებთ. ნებისაებრ ვიყენეთ, ამით რომელ ერთმანერთისათუის ქირნახულნი ვართ, მიჯნურნი ვართ ყმანი და ნება-პოვნილნი ვართო“.

ეხუევოდეს და აკოცებდეს ერთმანერთსა, მერმე ქუე დაწუეს და დღე და ღამე იხარებდეს, ვითა სწადდა. შუიდი თუე ეგრე და-ყვეს, და შემოვიდა ზამთარი, მთისა სიცივე. ორნივე მიჯნურნი ყმა-ნი კელმწიფენი მუხაერსა შიგან იყენიან. ჰქონდა პატრონობა, სი-კეკლუცე, მიჯნურობა, სიხარული. ასრე უკლებად გაიხარნეს, რომელ, რასაცა თანა სიხარული ეგების, არასთანა დაიკლეს.



ცნობა მოაბადისაგან რამინის ვისსა თანა

მისლვისა

ა ესე ამბავი ესმა შაჰი მოაბადსა, რომელ რამინ გამოაჩინა ავი გუარი, მივიდა ვისსა თანა და კულაცა დაჯდა ღ გაწყუედილი სიყუარული კულა გამოანასკუა,—
 არაკი: რამინის გული მაშინ ელევის ვისსა, რა ეშმა ავისა ქმნასა ელიოს; ოდესცა ყურდგელი გალომდეს, რამინის გული ვისისაგან მაშინლა გაძლეს, ოდესცა ჩიტი ქორად შეიქმნების, მაშინ რამინ ავსა ზნესა დააგდებს,—

მაშინლა მივიდა მოაბად დედასა წინაშე და შესჩივლა რამინის საქმე. დაღრეჯით ეგრე მოაკსენა:

„ეგების ესეთი საქმე გაუხელეებელისა კაცისაგან, რომელ რამინს უქმნია? და ვინცა ცნობასა ზედა მყოფია, ვის მოეწონების რამინის ნაქმარი? მისრულა ჩემსა ცოლსა თანა ვისსა და მოუყიენებია ჩემი კელმწიფობა და სახელი. ვით მივიდენ ორნი ძმანი ერთსა დიაცსა თანა ქუეყანასა ზედა? ამის უარესი რა ეგების? მე ესე აუგი და ხუაშიადი შენტუის აღრითგან მიმაღავს, და, რა დამეჭირა, გამოვაცხადე, მით რომელ შენ სცნა ნაქმარი და უსამართლოდ არ მწყევლიდე; მე ასრე მოვჰკლავ რაძინს, რომელ შენნი თულნი გაზაფხულისა ღრუბელნი იქმნენ მტირალნი. ჩემი თავი ამის აუგისაგან მაშინ იკსნების, რა პირი ჩემი რამინის სისხლითა დავიბანო. შენ ჩემი სამოთხეცა ხარ და ჯოჯოხეთიცა. და ესე საჩემო ავი სახელი არცა შენ ვიამებისო“.

ეგრე უპასუხა დედამან:

„მეცნიერსა კაცსა თავისა კელ-ფერკი თუით აროდეს მოუკუე-თია. ნუ მოჰკლავ მას, შენი ძმა არის და მისებრი ძმა სხუა არ და-

გრჩების. რა ურამინო იყო, უნატამალო დარჩები. აღარ გიამების უმისო სიცოცხლე და სიხარული. რა არცა სუმდასა შიგან გუერდით გიჯდეს საყუარელი ძმა, არცა ომისა დღესა ზურგად გყვეს, არცა მტერსა და მოყუარესა გუერდით საქადურად ზურგით გიდგეს? ლმერთსა შენდა შვილი არ მოუცემია ქუეყანისა საწალმართოდ პატრონად. და რა ღმრთისა განგება, — ყოვლისა ადამიანისა სიცოცხლისა ბოლო, — შენზედა მოვიდეს, შენი სახლი და საჯდომი შენთა მტერთა მიძხუდების. დაეკენ, რომელ ცოცხალი იყოს და შენი ადგილი შენად შედგად შეინახოს“.

შეგონება: „კაცი უკუნისამდე ცოცხალი არ ეგების, გარნაღა ოდესმე სიკუდილი მოესწრების“.

„სჯობს, რომელ რამინ ცოცხალი გესუას, ნუთუ შენებრი ქუეყანისა მპყრობელი და კელმწიფე იყოს. ძმასა ნუ მოჰკლავ, ცოლი კიდე გააძე და სიყუარულისა კლიტე სხუასა ვისმე შეჰვედრე. კვალუენი, მზისა მსგაესნი, დია არიან, რომელ მათი მკერდი წმიდა ვეცხლია და თმა — ამბარი. ერთი მათგანი გამოირჩიე, და გული მას მიეც და საჭურჭლისა კლიტე მას შეჰვედრე, ნუთუ მისისა სადაფისაგან თუალი პატიოსანი გამოვიდეს, რომელ სიხარული მოგვეცეს და ადგილი შენი შეინახოს! რასალა გამოელი ვისისა საქმიანობასა? ამისგან კიდე კარგი რა სჭირს, რომელ ჯიმშედის გუარისა არის. თუცა გუარად კელმწიფე და კარგია, მისსა სიკეკლუცესა ათასი ავიზნე სდევს. ნუ იქმ, კელმწიფეო, ცნობა მოიკმარე და სულსა შენსა რამინის სისხლითა ნუ დაისური. ათასსა დიაცსა ვისისებრსა ჰპოებ. მის ბოზისა სიყუარულსა გულისაგან რად არ გააგდებ? მე ესე ამბავი კულაცა მასმია და მგონია — უარესიცა მასმია მის დუხჭირისა თავისუფლისა. ძმა ვირო კულაცა შეუყუარებია, დღე და ღამე მის გუერდით სუმად ზის და ღუინისაგან უფროსჯერ მთრვალი არის ვისისა ბედისაგან. ნიადაგ ესე უნდოდა; აწ რა მიძხუდა, აღარას შეიკირვებს. შენ უბედურსა რამინს რასალა უწყურები? შენი შემკოდე ვირო არის, არ რამინ; ჰამიანს არის, მით არის, რომელ შენებრე ვისისი მიჯნური არის და ერთი ზნე ბოზისა ვისის ესე არის, რომელ თუითოსა დღესა თუითო კურო ჰყვეს. ეგეთი სიკეკლუცე და შუენება რა სარგებელი არის, რომელ თუესა ერთსა მოყუარესა თანა არ დაზამს. ვარდსა ჰგავს: თუცა სურნელი და ჰამო არს, დიდსა ხანსა არ დაზამს და ადრე წავა“.

რა ესე სიტყუა გაათავა დედამან და მოისმინა მოაბად დედისაგან, ძმისათუის მაშინვე გულ-კარგად გაკდა. მაგრა ასრე გაუწყრა ვისსა და ვიროს, რომელ წყრომისაგან პირი გაუყუითლდა. მაშინვე

ვიროს წიგნი მიუწერა და სიკუშტითა კალამი კრმლისაებრ გაიმახუა და ეგრე მიუწერა: „ვინ გიბრძანა, ამას არ მითხრობ, რომელ ჩემგან უფროსობასა ჰლამი? ვინაა ზურგი ანუ მეშუელი შენი, რომელ ეგრე გადიდებულ ხარ? რად არ მითხრობ ამას, თუ ესრე ვინ გაგულოვნებს, რომელ მელსა ლომისა ბუნება ავილია? შენ ლომთა თანა რად ჰლამი ლომობასა, კანჯარი სად მოერევი ანუ სად გაექცევი ლომსა? თუცა ვისი შენი დაი არს, ჩემი ცოლია, და ეგრე მექცევი, გუერდით რად გიზის? სად გინახავს ოდეს ერთი დიაცი ორთა ქმართა ცოლი, ანუ ორნი მებრძოლნი პილონი ერთითა ბეწვითა დაბმულნი? მე არ მინახავს! ნუთუ მუნითგან ქუეყანანი რანიმე ავიხმან ანუ ასაბიანი დიდძალოანნი მოგიკიდებინ და მით გულოვნობ? მე შენგან კარგნი ვერაოდეს რა მინახვან, არცოდეს ვინ კელმწიფე გაგიქცევი, არცა მტერი ტყუედ ვინმე წამოგიყვანია, არცა ვისი შენისა დამამძიმებელისა ქუეყანა აგიოკრებია. რა ოდეს გიქმნია კარგი, არავისგან მასმია. შენი გუარი ამაღლებისა ჟამსა თავსა ჩაღმა იქმს, ჯორსა ჰგავს გუარიანობითა: რა ჰამა ჰკითხონ, დედასა აკსენებს. შენი უკეთესი მშუილდოსნობაა, მაგრა საგნობსა შიგან, არ ომსა. ცხენოსნად კარგი ხარ, მაგრა მოედანსა შიგან, უკეთ გააქენებ ასპარეზობასა შიგან, ვირე ლაშქრობისა და შებმისა ჟამსა. ვირე დედათა ახლავ, ჰბატუობასა დია ეცდები, თუცა ომისა დღესა და შებმისა ჟამსა, ვითა დიაცი, გაიქცევი. მაჰისა ქუეყანასა მიწით ჰლომობ და სხუაგან მელიცა დაგიზაბუნებს. ნუთუ ჩემი შიში დაგუიწყებია, რომელ თავისაგან სული ამოგიღო, და ჩემთა ლაშქართა მარლუზელთა ნაკრავიცა დაგუიწყებია, რომელ მაჰისა ქუეყანასა შიგან ჯერეთცა ყოველგან კუნესა და ვაგლახი ისმის. ნაშინდითგან მე იგი მკლავი და კრმალი ჯერეთ მაქუს, რომელ პირით ქუეყანისაით ჩემთა მტერთა დამკოცელია. რა ესე წიგნი წაიკითხო, ცოტად დამელოდე. ამათ დღეთა ნაუზმები კრმალი ჩემი გესტუმრების. მე იგიცა მასმია, რაცა ამას წინათ დაგიქადებია და მოახლეთათუის გაჩუენებულ ხარ. ეგრე გითქუამს: „მოაბად უგრძნეულოდ დამესხა და მით წაიყვანა გორაბით ვისი. მე ლაფლად ვიყავ; თუმცა მუნ დამხუღარ ვიყავ, მოაბად ყოლა ვერ წაიყვანდა ვისსაო“. აწ აღარა მთრვალისაებრ მოლაფლებულ ხარ; თავისა ადგილსა მორკმული კელმწიფე ჰხი. ჩემი საქმე შენთვის მიცნობებია, შენად ომად გამომართულ ვარ; საგუშავოსა ზედა ყოველგან გუშავნი დააყენენ, ყოველი ადგილი გაიმავრე, ლაშქარნი შეიყარენ, ასაბიანი მოიკიდენ და, ვითაცა გწადიან, ეგრე დაემზადე. თუით მეცა აღრე მოგესწრები. განკარე შენთა საქურქლეთა, იავარ-გიქმ შენ და შენთა ლაშქართა.

აღარ ვგრე შეგებში, რომელ ცოცხალი სადმე დარჩე და შენებუ-
რად გარდაიხუეწო. ქუეყანასა შიგან ეგზომსა სისხლსა ვადენ, რო-
მელ სისხლისა ლუარი მკუდარსა იტანდეს. ვისსა გამოვიტან უპა-
ტიოდ და უზეწაროდ ლაშქართა შიგან ქუეითსა ვაცოროვებ. ესრე
გაეპკიდი და მოვავიენებ, რომელ აქათგან წალმართ უხუცესისა მტე-
რობასა ველარავინ იკადრებდესო“.

ესე წიგნი შიკრიკსა მისცა და გაგზავნა ვიროს თანა. და მა-
შინვე ლაშქართა ყუელასა აცნობა ესე საქმე, და შეეკაზმნეს დიდე-
ბულნი და ლაშქარნი. შეიყარა უამრავი, ზღუისა ქუიშათა ოდენი.
ასაყარს ჰკრეს, თუ სტქუა, ჯეონისა წყალი ქოისტანისაკე მივაო.
ლაშქართა სიდიდისაგან ცისკარი დაიშალის. ესეთი ჰბაუყები იყო,
რომელ ლომთაებრ სისხლისა მსუმელნი. მიდიოდეს ფიცხლად მო-
წიგნარსა შიკრიკსა უკანა, ვითა ქარნი.

რა ფარანდამან წიგნი მიართუა, მოაბადის წყრომისა შიშითა
ტანისაგან ძალი წაუფიდა და თუალთაგან სინათლე, ეგრე აქუა:

„მიკუირს ეგზომი წყრომა რა არის, ანუ ესრე დანაქადებით
საუბარი? ჩემი დაი მისი ცოლი არის და მისსა დარბაზსა შიგან
ჯდა, ზამთრის დღესა სახლისაგან გამოაძო. იგი გუტემს და იგივე
ტირს. ორი უსამართლო მისგან გუჭირს. გამორჩეული ჩემი დაი,
ვით მესისხლე, ათასითა უპატიობითა გამოაძო, ერთითა წიგნითა
უკანის არცა მოიგონა და არცა უკმო. მან შეგუცოდა და იგივე
გუიწყურების. შაჰინშა არცა ქვისაა და არცა რეალისა. რად უნდა
ეგზომი ქადილი და გაჩუენება? ერთხელ ლაშქარი შეყარა და მნა-
ხა; მგონია, მოეწონა ჩემი თავი. ესრე გაქცეული და გაწბილებული
წავიდა აქაით, რომელ უპატიობითა ქუეყანათა შიგან არაკად დაიდ-
ვა. ჩუენი ომი არ დამალული იყო, რომელ აწ ვისმე გავავაგონებდეთ.
მაშინ ძლივ გარდაიხუეწა. აწ კულა ფერება რადლა უნდა: ორთა
კაცთა ერთისა გატეხილისა მშუილდისაგან ეშინოდა“.

მერმე წიგნის პასუხი პირიანი მიუწერა: „დიდო კელმწიფეო,
მაღალო და მებრძოლო, ნებეირო! შენისა საცოთურისაგან რა წაგე-
კიდა დაღრეჯილობისა და ავისაგან კიდე? შენ კელმწიფეთა კელმწი-
ფეო, მბრძანებლობა გაგივა. საკამსო ესე არის, რომელ წყნარი
იყო და ყოვლისა საქმისა მეცნიერი, რათგან პატრონი ხარ, კამს ესე,
რომელ სიტყუა უნიეთო არაოდეს ბრძანო. მეცნიერნი სამართლია-
ნად უბნობდენ და თავსა მიწყით მოსამართლეობითა გასახელოვნობ-
დენ. ჩუენს შუა მტერობა უპირულია, მით რომელ მოყურობა და
მტერობა ერთგან უფერება. თქუენ ბედითსა უბნობთ და გუაგინებთ,
ჩუენ ვერცა ეგრე გაგინებთ. თავისი ცოლი გაგიძია, სხუასა ნურვის

აბრალებ. ამისთვის არცა წიგნის მოწერა გინდა და არცა ომი. აჰა შენი ცოლი, სადაცა გწადიან, წაიყვანე და, თუ მიბრძანებ, აწვევინსა შენსა წინაშე გამოვგზავნი. ოდითგან აქა მოსულა, ღმერთმან იცის, სამჯრის მეტად არ მინახავს და, თუ ვნახოცა, რა საკუირველია? ძმა დისა ნახვისათვის ოდეს ვის გაუყენებია? ცოლი შენი, რა გავა, თუ მე გუერდით მიჯდეს, და თუ ავსა რას მეექუ, თუით იცი, რომელ მე უსამართლეობა არაოდეს გამომსლვია. ვისიცა ამასვე იტყუის და შენცა იცი, რომელ უღალატო მომიკსენებია. აწ ამისად შედეგად შენ თუ არ იცი ჩემი საქმე, მე გაგაგონო ამა წიგნითა, რომელ მოგიწერია. შენ მარტო მისრულ ხარ ბრქისასა და ცუდად უსამართლო დია გითქუამს. მაშინდლითა შებმითა შენ თავი გიქია: გამარჯვებული მე ვარო და გაქცეული—შენ, ეგრე გითქუამს. იგივე ზკლავი და კრმალი ჯერეთ არისო, რომელ პირისა მიწისაგან ჩემი მტერი ავკოცეო. თუ შენი კრმალი ბასრი არის, არცა ჩემია ბზისა. თუ შენი კრმალი ჯაჭუ-მუზარადსა სქრის, ჩემი კულა ქვასა და გურდემლსა. ეგრე გითქუამს: ჩემი შიში ნუთუ დაგუიწყებიაო? შენ თურე ჩემი ნაკრავი სიზმრივ ნახე, რომელ მღლიძარესა აღარ გეტკივნა. რაცა ჩემგან სათქუმელად ჩემი ქება და შენი ძაგება კამს, ჩემად ნაცულად ყუელა შენ გითქუამს და დაგისწრია. თუ ესე წიგნი ლაშქართა ზედა წაიკითხო, მრავალი დამალული აუგი გამოგაჩნდების. ესეცა დაგეყუდრა ჩემდა თუ: შენი დედა გუარად შენსა მამასა სჯობდაო. კაცისა მამაცისა გუარი ომისა დღესა მისი მკლავი და ქაბუკობაა. მაშინ გუარსა არ ეძებენ, შუბისა, კრმლისა და ლახტისაგან ეშინიან თუ. ომსა შიგან გამოვაჩინო, რა შეეიყარნეთ, ჩემი გუარი; და საქმით ვქმნა, არ ენითა ოდენ ვთქუა. ოქრო-გოარი და ონა-მანხილობა ერთ დანგად ღირან მაშინ, რა ქაბუკნი ერთმანერთსა შეებნენ. ეგრე საუბარი ქუე დააგდე და აწ ქაბუკობა იკმარე. დღეს ჩუენი მეშუელი მკლავი, კრმალი და გჟოლი არის და გამარჯუება ღმრთისა კელთა შიგან არისო“.

ფარანდა გარეშეაქცია ვირომან, შაჰი მოაბადს წინა მიეგება. რა მოაბად ესოდენი ძნელი პასუხი წაიკითხა,—მუნვე წყნარად კითხვა დაიწყო, სადა საექუი ჰქონდა, რომელ ვირო ვისის გზითა ავსა პასუხსა გასცემდა,—და რა სრულა წიგნი წაიკითხა, სიკუშტე და სიკრუე მაშინვე სინანულად გაუკდა. სხუა კაცი გაგზავნა ვიროს თანა, ვითა: „შენ გიკსნივარ ყოველთა ქირთაგან, დია ავად შეესმინე ჩემთანა და არა ვიცოდი, რომელ უსამართლოდ იყვენენ. აწ მტერობისა რახსისაგან გარდაკდომილ ვარ და სიყუარულისა ქარმაგსა შეჯდომილ ვარ. შენი სტუმარი ვარ თუესა ერთსა. ვით მოყუარეთა და მზახალ-

თა ჰხუდების, აგრე იურვოდი მასპინძლობისათვის. შენსა დარბაზ-
სა და წალკოტსა საკელმწიფოსა შიგანა გესტუმრები, მერმე წელი-
წადსა ერთსა მე შენი მასპინძელი ვარ. ნუთუ რას ამა საქმისათვის
მემდუროდე, აწვე აქა ბრძანე და ვისი თანა მოიტანე. ვისი ჩემი
სულია და შენ ძმა გამორჩეული და შაჰრო ჩემი დედააო“.

რა მივიდა მოაბადის წიგნი ვიროს თანა სიყუარულიანი, და
ღია სალამი და ძღუენი შაჰროს თანა ჰქონდა, კულაჯა დაიმაღა
მტერობისა ეშმა და სიყუარულისა ვარდი აყუავდა; სიხარულისა
თულსა გაელუიძა და მტერობა გაქარდა. მიიყუანეს დედოფალი
ვისი, ვითა მზე, და მოაბადს შეჰვედრეს. ყოველსა კაცსა გაეხარნეს.
თუ სთქუა, ქორწილი მაშინლა იყო. თუესა ერთსა მუნ გაიხარნეს,
ინადირეს, იასპარეზეს, სუმიდეს, მერმე ხორასანს მოჰმართეს და
მაჰით მაჰავს ქალაქსა მივიდეს.

მოახადისაგან საცუცხლისა ავსება

ვისის საფიცრად



ა მარავს ქალაქშიგან მივიდა შაჰინშა, გულმხიარულ-ლობდა და ვისის სიახლისაგან მზე მისი ვისის პირო იყვის და მუშეი მისი—ვისის თმა.

ერთსა დღესა ჰამოდ ჯდა გულ-მხიარულად ვის-სა გუერდით და ეუბნებოდა რამინის სიყუარულისა-სა ვითა: „ეგზომი ხანი მაჰისა ქუეყანასა დაჰყავ და ამით გასძლე, რომელ რამინ შენსა გუერდით იყო და, თუცა იგი არ გხლებოდა ქი-რის მაქარეებლად, დილად ღამემდი მუნ ყოფნასა ვერ გასძლებდიო“.

ვისმან კუშტად პასუხი ეგრე მოაკენა:

„ეგზომ აესა და ბედითსა ნუ მეექუ. ზოგჯერ აგრე მეტყუი-ვიროს ჰყოლიხარო და მისსა ნახვასა მანალულებ; ზოგჯერ ეგრე მეტყუი, რამინს ჰყოლიხარო. რად მაყუედრებ ეგზომსა?“.

ა რაკი: „ნუ ექუ ჯოჯონეთსა ეგზომ ცხელსა, ვითა იტყუიანხ, და ნუცა დევსა ეგზომ დუხჭირსა, ვითა უზრახვენ, თუცა მპარავისა კელი მპარაობაა, ტყუილსაცა დიდად უზრახვენ“.

„ესე შენ თუით იცი, რომელ ვირო მონადირე არის და წამსა ერთსა შინ არ დაჰყოფს. სხუა კელი არ იცის ბურთობისა, ნადი-რობისა და დიდებულთა თანა სუმისაგან კიდე. რამინს იგივე ზნე სჭირს, რომელ ვიროს, და მისი თუით მოყუარული არის. ამა ექუს-სა თუესა, ვითა ორნი ძმანი, თამაშითა შექცეულან. ყმასა კაცსა ყმა-კაცი ბერისაგან უფრო უყუარს, ამით რომელ უფროსი სიამოვნე სიყმე არის კაცისა. სიკეკლუცე და სიყმე ღმერთსა, ვითა სამოთხე-დაუბადებია. რა რამინ მაჰისა ქუეყანასა მოვიდა, მან და ჩემ-მან ძმამან გაიხარნეს ნადირობითა, ბურთობითა, სუმითა გაგებითა.

არ ეგების, რომელ ვინცა ვის შეუყუარდეს, ყუელა შემცოდე და საკლავი იყოს, და არცა ესე, რომელ ვინცა მიჯნური იყოს, ყუელა ლალატსა და მილორებასა მოყურისა უდგებოდეს. არ ყუელაისა გული შენებრ ლალატინი არის და არ ყოველი კაცი შენებრ შეუპოვარი არისა“.

შაპი მოაბადს გაუკუირდა და ეგრე თქვა:

„თუ ესე ესრე, კარგია, რამინ საკურთხეველი არის, აღარ დასაწყევარი. აწ შენ შემომფიცე, რომელ შენ მუნ რამინს არა ჰყოლიხარ. რად გეშინიან? შეუცოდებელმან ფიცითა გამოაჩინე შენი სიმართლე. შეუცოდებელსა ღმერთი არ გარდააკლევს. და მაძლად უქმელი პირი არ აყროლდების“.

რა ვისსა ესე მოაბადისაგან ესმა, გულოვნად ეგრე მოაკსენა:

„ჰე კელმწიფეო საშიშო! მაგა ფიცითა ვერ შემაშინებ, ამით რომელ მართალი ადვილად ჰფიცავს. კაცისა გული რა მართალია, წყლისა შესუმა და ფიცი სწორია მისთუისაო“.

შაპინშა ეგრე ბრძანა:

—„ამის უკეთესი არაა, რომელ შემომფიცო, და საექუსა და საყუედურსა დაეკსნა და შენთვის ყუელაისა მზრახისა ენა დააბა. აწ მე დიდსა ცეცხლსა დავაგზებ, ალვასა და მუშკსა დავაკუამლებ; და ამა ყოველთა დიდებულთა და ლაშქართა წინა შემომფიცე ცეცხლითა, და მას შუა გამოიარე, რომელ მასვე წამსა, რა შემომფიცო, შეცოდებისაგან სულითა წმიდა იქმნე. და ამისსა შემდგომად არცა რა საყუედურითა გკადრო და არცა უნებელი სიტყუა. მაშინ ჩემი სული და საწუთრო იქმნები და სიცოცხლისაებრ შემიყუარდები, და ჩემსა კელმწიფობასა ერთობით შენ მოგცემ და შენსა საწმიდესა გამოვაჩენ“.

ვისმან ეგრე მოაკსენა:

„ეგრე ქმენ, შენცა გავწმდი და მეცა განმწმიდე მაგა საქმითა. ვირემდინცა შენ გულსა შიგან არაწმიდასა მეექუ, შენს სულსა და სჯულსა ყუელასა იუნებ. შეცოდებისა ნახვა და მალვა სჯობს, ვირე უნახაობა და წაშეობა“.

მერმე შაპინშა უკმო ყუელა ერთობით ცეცხლისა მსახურნი, დიდებულნი და ლაშქარნი მისნი და საცეცხლესა შიგან დიდი საქონელი შესწირეს, რომელ თუითოსა თქუმა არ ეგების: ოქრო, თუალი, მარგალიტი და სოფლები, და მუნით ცოტა ცეცხლი მოალებინა, მოედანსა შინა დიდისა მთისა ოდენი ცეცხლი დააგზებინა, რომელ მისი სიტყო ცამდინ მისწუდებოდა და მისი ალი კეკლუსა

დიაცსა ჰკუანდა, რომელ შარისა პერანგითა ლამაზად იარებოდეს. ანათობდა ქუეყანასა სრულად მის ცეცხლისა სიდიდემ და სიცხითა დამწუხელი იყო, ვითა მოყურისა გაყრა, და კუამლი მისი აბნელებდა ჰაერსა ცისასა. და ესე არავინ იცოდა, თუ შაჰინშას რასთუის აუგზია ისი ცეცხლიო, და ესრე ამალდა, რომელ მთუარესა ატუობდა მისი ალი.

დადგეს ერთობით დიდებულნი ხორასნელნი ცეცხლისა წინა. მოაბადის კოშკისაგან ვისმან ნახა იგი საშინელი ცეცხლი და რამინს უთხრა:

„ნახე იმა კაცისა საქმე, ვითარი დიდი ცეცხლი დაუგზია ჩუენთუისო და იმაზიგან ჰლამის ჩუენსა დაწუასა! აწე ვირე იგი დაგუწუილდეს, მოე და ორნივე გავიპარნეთ აქაით. და ჩუენ დაეწუათ მოაბადის გული მისითავე ცეცხლითა. გუშინ მეუბნებოდა მოაბად ვითა— შემომფიცე, რომელ რამინს არა ჰყოლიხარო, და მეცა დაუწუესა უბარი, ვალორებდი. აწ აქა მოქალაქეთა და ლაშქართა წინა დიდი ცეცხლი დაუგზია და მე იმა ცეცხლსა შიგან გამარებს, იმა კაცთა წინა მომაყიენებს და ეგრე შეტყუის, ამა კაცთა წინა შიშუელი შედი, რომელ რამინს არავინ გიზრახვიდესო“.

მერმე ძიძასა ეგრე უთხრა:

„შენ რას იტყუი, ამა ცეცხლსა ვითა დამკსნი? ალარ გულოვნობისა ჟამია, აწ გაქცევისა არის. შენ დია ღონის ამგებელი ხარ და ფრთხილი; გუითხარ, თუ რა არის ჩუენი ღონე, ანუ ამისგან ვით ვიქსნებით? ესეთსა ჟამსა ღონე სჯობს კაბუკობისაო“.

მერმე ძიძამან მისებურად მაგალითად ეგრე უთხრა:

„ეგე დია ძნელი საქმე წაგუკიდებია. მე მაგისისა ღონისა აგება არ ვიცი. მაგრანუთუ ღმერთმან გუიშუელოს და გაგუიმარჯვოს! აწ რათგან ესე წაგეკიდა, აქა ნულარა სდგათ; სადა მე მივიდოდე, თქუენცა წამომყევითო“.

სალაროსა შევიდეს და მუნით დია საქონელი, ოქრო, თუალი და მარგალიტი აიღეს და აბანოსა შევიდეს სამნივე. და ერთი გზა წყლისა სადინელი წალკოტსა გავიდოდა ესეთი, რომელ არავინ იცოდა. და მას კურელსა გავიდეს სამნივე და წალკოტსა შევიდეს. მოაბადისაგან გულ-დადალულნი მივიდოდეს. მაღალი ზღუდე იყო წალკოტისა. რამინ, ვითა ვეფხი, ზედა შეხლტა და ზეწარი ჩამოუშვა; ორნივე ზეწრითა ზე გაიყვანნა და იმიერით ჩაასხნა. თუით უქირველად ჩახლტა. და სამნივე ზეწრითა, ვითა ღედანი, პირდაბურვილნი წავიდეს..

იცოდა რამინ ერთი ვენაკი, რომელსა შიგან ერთი კარგი მე-
ზურე იყო, მოყუარე მისი. მაშინ მისსა მივიდა და მუნ მოისუენეს.
მერმე ვენაკით მეზურე გაგზავნა ო.ავისა ყმისა კარგსა მისანდობელსა
თანა და ეგრე უბრძანა, ვითა: „უკეთესი ცხენნი დამიკაზმენ, და ჩემი
აბჯარი, და თურა საჭამადი გაქუს, სულითა ზედა აქა მოიტანე, რომელ
ვერაგინ გიგრძნასო“. მივიდა და მასვე წამსა, რაცა უნდოდა შინაით
მოართვეს.

რა შეღამდა, შესხდეს და ესრე წავიდენ სამნივე, რომელ ქარი
ვერ ეწეოდა. აღამიანმან ვერაგინ ნახა. ესეთი მინდორი, რომელ ვეშაპთა
ოდენ სადგომი იყო, უწყლო და უსაძოვრო, — მათ ერთგან ყოფნისა-
თუის სამოთხედ უჩნდა: ქუიშა, ქვა, სიცხე და წყურვილი მათ მიჯ-
ნურობისაგან ღმრთისა წყალობად უჩნდა, და ერთმანერთისა სიახ-
ლისაგან ვერცა სიცხესა იგრძნებდეს, ვერცა სიცივესა. ვითამცა თა-
მაშად იარებოდეს, არ ეგზომ საჭიროსა ადგილსა და გზასა მიდიო-
დეს. ჩინეთს ქვაზედა სწერია, ვითა: მიჯნურთა ჯოჯოხეთი სამოთხედ
უჩს; რა მოყუარესა ახლავს, მიჯნურსა, თუ პილწიკაა, მას ეტრ-
ყიალებს. მინდორი ვენაკად უჩს, თოვლი წალკოტად. მიჯნური
ძთრვალსა ჰგავს, რომელ, რა კაცსა ეთროს, ქირი და ლხინი ყუელა
სწორად უჩს.

იგი მინდორი ათ დღე დალიეს და მარავით რეს ქალაქს მი-
ვიდეს. რამინს ერთი მოყუარე ჭაშუა კარგი და მისანდობელი; რესა
მას კარგი სახლ-კარი ჰქონდა და დია უხუი და კარგი კაცი იყო. სა-
ხელი ბეჰროზ შეჰროსძე ერქუა. და მისი სახლი სამყოფად ჰამო იყო
და ყოვლითა კეთილითა საესე. ძილპირისა ჟამსა, რომელ ღამისა
სიბნელისაგან გზა არა ჩნდა, რამინ მივიდა ბეჰროზის კარსა გულ-
მხიარული და ჭირთაგან ესნილი. რა ბეჰროზ ნახა რამინ, სიხარუ-
ლითა არ დაიჯერა, თუ არა მეზმანებისო. ეგრე თქუა:

„ესეთსა ჟამსა რამინისებრი სტუმარი ვისთუის ეგებისო?“

რამინ ეგრე უთხრა:

„ძაო, ესე ჩუენი ხუამიადი შენისა სიკეთისაებრ დამალე და
ნურავის უთხრობ, თუ რამინ მოსრულა ანუ სტუმარი მყავსო“.

ეგრე მოაქენა ბეჰროზ:

„ღმერთმან და ჩემმან ბედმან მოგიყვანა ჩემად სტუმრად. შენ
პატრონი ხარ, მე შენი ყმისა ყმა ვარ. თუ მიბრძანებ, სახლისაგან
ყუელათა კიდე გავალ. დარბაზი ჩემი და რაცა მაშიგან არის,
თქუენი არის და მე ღმერთმან თქუენი სამსახური გამიმარჯულოსო“.

მერმე ვისი, რამინ და ბეჰროზ, ვითა მათ სწადდა, ეგრე იხა-
რებდეს ერთგან ასსა დღესა, ასრე რომელ მათი ამბავი არავინ იცო-

და. კარ-დაკეშულხი და გულ-გაკსნილნი დღისით თამაშობდეს და ღამით გამოჩინებისა შედეგად რამინ ჩანგი აიღის და ცემა დაუწყის და ზედა სიმღერა თქუის და სამიჯნუროთა შაირთა იტყოდის ჰამოითა კმითა, ვითა:

„ჩუენ ორნი კარგნი მოყუარულნი ვართ, ერთმანერთისათუის სულთა გავსწირავთ; სიხარულისა განძნი ვართ, მაგრა მტეოსა თულთა ბოძალი ისარი; თუცა ჩუენ სიხარული და გულის ნება გუაქუს, ჩუენი მტერი ამით ღია უპატიოდ არის და საწყალად; რაზომიცა ქირი დაგუემართოს, ჩუენ ერთმანერთსა არ გავეყრებით, ვერცა ოდეს სიახლითა გავძლებით: ჩუენ სიხარულისაგან კიდე ვერას ვჰნახავთ; ბედსა ჩუენთუის ესე მოუცემია. ჰამოო ვი'ო, რამინს წინა მჯდომო! რამინ შენგან მხიარული, შენ რამინისაგან. ჰამოო ვისო, პირ-მხიარულად ბაგე-მღიმარეო! არ ვინანი ჩემსა თათბირსა, არ ვინანი ამა ესრონისა ჰმნასა; ვიხარებ ამა მგზავრობასა, რომელ ვისისებრი ნადირი ვინადირე. შაბაშ რამინ, რომელ შენი საწადელი აისრულე! აწ ვითა გწადიან, ეგრე ახარებდი გულსა,—მოყუარეთა ნება ერთგან გაქუს, სამოთხესა შინა ხარ. შენი ვარდი დაუმჰნარი, შენი მოყუარე მზე არის, რომლისა ბედითა რასაცა ეძებ, ჰპოებ. ღმრთისაგანცა კურთხეულ არს მაჰია ქუეყანა, რომელსა შინა ვისი პირმზე დაბადებულა! კურთხეულმცა არის ვისის სიცილი, რომელ საწუთროცა მისისა სიცილისა მონა არის! მიბოძე, ვისო, ბროლისა კელითა საკელმწიფო ქიქა, რომელსა შიგან ლუინო შენისა ღაწუთისაებრ წითელი დგას. მე ოდესცა შენისა კელისაგან ლუინოსა შევჰსუამ, უკუდავებად მიჩს. ლუინო ვერ დამათრობს, შექირვება არ მომივა შენისა სიყუარულისაგან, მე ქირი არ შემწონს. რა ჰამოდ შემომხედნე, ღმრთის წყალობად მიჩს. ჩემი პატივი შენგან გაძლიერდების და შექირვება ჩემი შენგან განქარდების. გული ჩემი სადაფი არის და შენ შიგან მარგალიტი; ჩემი მკერდი ცა არის და შენ მას ზედა მასკულავი. ღმერთმან ესე სადაფი უმარგალიტოდ ნუ გაკადოს და ესე ცა უმასკულაოდ. მიწყითმცა შენად არის შენგან მხიარული! მოვა ესეთი ჟამი, რომელ ჩუენსა სახელსა აკსენებდენ და ყოველსა კაცსა უკუირდეს ჩუენი სიყუარული, სახელი და სიხარული. და ესეთი სიკეკლუცე კამს თუ უკუნისამდე იკსენებოდეს. გულო, თუცა ღია ქირი და სასჯელი ნახე, აწ მოყურისაგან ლხინსა და გულის-ნებასა ხარ. ჩემი გული მით სიყუარულითა სავსეა, რომელ მოყურისა პირი მზე და მთუარეა. შენ დღე და ღამე იხარებდი მისითა პირითა და მტერთა და მეშურნეთა სიკუდილსა იგონებ. ხურმა და ეკალი ერთსა ხესა ზედა იქმნებიან, ეგრეთვე მიჯნურთა სიხარული და შე-

ჭირვება მისი ერთგან იქმნებთან. აწ, გულო, თუ შენ სული შესწირო, მისისა ერთისა კოცნისა მუქათა არაა. მე სული ასეთისა მოყურისათუის მინდა და საწუთრო ესეთისა საქმისათუის დაბადებულა. აწ შენ სუმიდი ლუინოსა, ნუ შეიჭირვებ! ხვალე რაცა ღმერთსა გაუგია, იგი წაგეკიდების. ნუთუ ხვალე თუით უკეთესი წაგეკიდოს მისგან, რომელსა დღესა მიელიო“.

ოდესცა რამინ ლუინოსა სუმიდის, ესეგუარსა იტყოდის, იმღერდის და უბნობდის. ვისი, კეკლუცთა სანთელი, მზიარულად იყო. არა დააკლეს ორთავე გულის მონაცემი; აქათ ვისი და რამინ ესრე იხარებდეს და იქით შაჰინშა ჭირსა და მოყიენებასა და ჯავრსა შიგან იყო, რომელ ვისსა აფიცებდა და საეჭუისაგან გამოიყვანდა.

ოდეს ძებნა დაუწყო ვისსა, ველარა პოვა. საწუთრო თუალთა წინა დაუბნელდა. ერთსა დღესა და ღამესა ეძებდეს. მოაბადს ლუიძლსა ცეცხლი ედებოდა და გული თუით მისგანვე დანაგზებსა საკუმილსა შიგან ეგზებოდა. რა პოვნისა იმედი გარდასწყუიტა, თავისა სიკუდილი სანატრელად გაუკდა; მერმე ძმასა მისსა ზარდის თავისა საჯდომი შეჰვედრა და მას მიანდო, ამად რომელ ძმაცა იყო და მისანდობელი ვაზირიცა.

მოაბადისაგან გაღარბება ვისის

საძებრად



ოაბად თავით თუისით ქუეყანათა შიგან ვისის საძებრად წავიდა. მარტო მისთა ეგზომ ქონებათაგან ერთი კრმალი და ერთი ცხენი, რომელნიცა ბუნებად ერჩივნა, წაიტანა და წავიდა. ქუეყანათა შიგან მარტო იარებოდა. გულის ტკივილისაგან და სიყუარულისაგანცა მიუცილვებელად ვისსა აკსენებდის. მოიარა ყოველი პირი მიწისა: ოკერი და შენი, ზლუა და კმელი, ჰინდოეთი, თურქეთი, საბერძნეთი, ჩინი-მაჩინი, რანი და ერაყი; ვისის ნიშანსა და ამბავსა იკითხვიდა. ვერცა თუით მიხუდა და ვერცარა მისი ნიშანი სხუაგან ესმა. ზოგჯერ არნისაებრ მათათა და კლდეთა ზედა იარებოდის, ზოგჯერ ლომისაებრ ლერწამთა და ტევრთა შიგან იარებოდის, ზოგჯერ გარე-თხისაებრ მინდორთა შიგან იყვის, ზოგჯერ გუელისაებრ კურელთა შიგან იყვის. არ დარჩა ადგილი, სადაცა არ ეძებნა.

ხუთსა თუესა, ვითა ხელი და მტერიანი, ცურვიდა ვისის გზათა უკანა. ზოგჯერ სიცხითა მისპირდის, ზოგჯერ სიცივითა თავუწევარ იქმნის, ზოგჯერ მგზავრთაგან ჭამის პური, ზოგჯერ მეცხორებთან ჭამის პური; რაცა მიჰხუდის, მათითა ცოცხალ იყო. ქუე ვერა დაიძინის; კელმწიფესა ნანებიერებსა შარტქუნად მიწა ჰქონდა და სასთაულად მისივე მკლავი. ამა ხუთსა თუესა ქუეყანათა შიგან იარა. ამხანაგი მისი შეპირებება იყო და ნადიმი—მგზავრობა. დია ქვა იკრის გულსა და დია სისხლი დაღუარის თვალთაგან. ოდეს უგზოსა გზასა იარებოდის ანუ მარტოდ სადმე დარჩის, ეგზომი იტირის, რომელ ტანისამოსი მისი დაიწურვოდის. ეგრევე თქუის:

„რა ვქმნა? აჰა სადაა ჩემი ლაშქარი და საქურკლე დაუთვალავი, ოქრო და საქონელი? გულისათვის ყუელა განვაქრე, დაეზო, და არცა აწ გული მაქუს და არცა კელმწიფობა; მოყურისაგანცა კიდე დარჩომილ ვარ და კელმწიფობისაგანცა. ესეთსა ჟამსა სიკუდილიცა ჰამო არის. მისსა ძებნასა შიგან რა ერთი ბიჯი წავდგა, თუ სთქუა, ერთი ასო მაშინვე დამაკლდების. მე კირი მით მმატებია, რომელ ჩემი სული ჩემგან აბეზარ-ქმნილია! მე, თუ სთქუა, ქარი რკინისა მეცემის და მიწა ფერკთა ქუეშე ცეცხლი არის. თუ რა კეკლუცი ვნახო, ყუელა გუელვეშაპად მეჩუენების. გული ჩემი ღრუბელსა ჰგავს და ჰაერი მკლველსა. ნავლლისაგან ძალი გამომღებია. მე სიბერისა ჟამსა თუმცა არ გამიჯნურებულ ვიყავ, ესე მიჯობდა და კმდა. ეგზოში კირი და მიჯნურობა ერთგან არ დამეტევის. ესეთსა კირსა შიგან ახალ-მოწიფული ყმა დაბერდების, ჩემი ბერისა კაცისა ღონე რა არის? ესეთი სამოთხე მომხუდა ქუეყანასა ზედა, რომელ მისგან ჯოჯოხეთი თუალით ვნახე. ესე უარესი მკირს, რომელ მისგან ავსა ნაქმარსა რა მოვიგონებ, მაშინ უფრო გაგხელდები მისთვის; რა ნარგისნი მოვთუალნე, მიჯნურობასა უფრო მემატების, ვითამცა მისი აუგი მიყუარდა, ვითამცა მისგან ავის ქმნა მემამებოდა. მისისა სიყუარულისაგან თუალნი დამბრმობიან და გული უგუნებო მქმნია. საწუთროსა ლხინი აღარად მიჩს, მიჯნურობასა წინათ ძლიერი ვიყავ და ყოვლისა საქმისა მეცნიერი და აწ დაუსუსტრებულ ვარ და ესრე გასრულ ვარ, რომელ ვერცაღარას ავსა შევიგებ და ვერცა კარგსა. ცუდად წამიკდა აქამდისი სახელი, წამიკდა სიყუარული მოყურისა, ქარმან წამილო ჩემი ნაქირებნი, გულსა ცეცხლი მომიდვა! აწ ქუეყანასა შიგან რასა ვინ მიზრახავს? ყოველსა კაცსა აწ მოვსძულეებივარ და კაცსა წინა ასუბუქებულ ვარ, შმაგი და მტერიანი ვგონივარ და მართალან. თუით მათცა უარე ვარ. სიხარული და კელმწიფობა დამიგდია და მარტო მინდორთა შიგან ნადირთა თანა გარეულ ვარ. რად მოვისმინე მაშინ ჩემთა მტერთა და მეშურნეთა სიტყუა, ოდეს შუენება-უკლები ჩემი ვისი კელთა მყვა, რათგან უმისობისა გაძლება არა მქონდა? მე თუ ღმერთმან შემეწყალოს და ერთხელ მისი ნახვა მოლამხუდეს, მისსა მბრძანებლობასა, ვითა მონა, ვჰმორჩილობდე. და ჩემსა კელმწიფობასა და გუირგუინსა ყუელასა მას მივსცემ; ვირე ცოცხალ ვიყო, პატრონი იგი იყოს. აწ რათგან მიჯნურობისა ძალი შემეიგან, რაცა მას იამების, მე მისი ქმნა მინდაო“.

რა მოაბად ექუსი თუე იარა ქუეყანათა შიგან, ერთსახე დასაწყლდა და დასნეულდა, და საწუთროისა მუხთლობისაგან შემინდა

ღარიბად სადმე უკაცურად სიკუდილისათვის, და ნუთუ მტერზან ჩემი ადგილი დაიჭიროს უჩემობითაო. შეიჭირვებდა თავისა საკმესა და გამოარჩივა, რომელ გარეშეიქცეს და შინა მივიდეს; აწ ვისის ძებნა დაადოს და იმედსა იყოს უკანის პოვნისა მისისასა. შემოიქცა და მარავს, თავისა ქალაქს, მივიდა. და ყოველი კაცი მისითა მისლევითა გამხიარულდა, და სამახარობლო გასცა ყუელამან, და ღმერთსა ჰმადლობდეს. შეკაზმეს ქალაქი და ბანთა ზედა მზისა მსგავსნი დედანი დასხდეს. ეგზომი ოქრო და თუალი შეაყარეს ქალაქსა შემომავალსა, რომელ მის ქუეყანისა გლახა ყუელა გამდიდრდა.

მოაბადისაგან მარჯვს მოსლვა და ვისის

ამბვისა ცნობა



დეს შაჰი მოაბად თავისა სადგომი დარბაზი, ქუეყანა და კელმწიფობა ქუე დაადლო და მინდორთა მიჰმართა, მაშინ რამინ წიგნი მიუწერა რე ქალაქით დედასა და გაახარნა თავისა სიცოცხლითა.

მოაბად და რამინ ერთისა დედისაგან იყვნეს და დედა ზარდისი სხუა იყო და ჰინდოსა იტყოდეს ზარდსა დედულად. რამინის გამოგზავნილი მარავს მალეით მოვიდა, ქარისაგან უფიცხესად, მაგრა ოდეს მოაბად და რამინ წასრულნი იყვნეს, მაშინ— დითგან დედისა მათისა ცრემლნი არ შეშმრალ იყვნეს უმათობისა შექირვებისათვის. რომელსაცა დედასა მოაბადისა და რამინისებრნი ორნი ძენი უსაქმოდ უჩინო ექმნებიან, და ერთისა დიაცისათვის დედასა და თავისა საკელმწიფოსა და ლაშქართა ქუე დაჰყრიან და ველთა გაქრასა გამოირჩევენ, მისთვის შექირვებასა მართალა.

წიგნი მოართუეს რამინისი მისსა დედასა. ეგრე მოეწერა:

„საწუთრომან მეცნიერობასა და ძმასა მომწუყიდა ამა მიზე-
ზითა, რომელ ძმა ჩემსა სიკუდილსა ინატრის ჩემთვის, მკუეთისა კრმლისაებრ უწყალთა, ჩემსა და ვისის დაკოცასა ჰლამოდა. რათ-
გან ესეთია, მე ერთი თმა ვისისი მისებრსა ათასსა ძმასა მირჩევი. მე ვისის სიამოვნისაგან კიდე სხუასა ვერას ვჰხედავ და მავისგან გინებისა და თრევისაგან კიდე არა მაქუს რა. ოდესცა მავას ვჰშო-
რავ, ჩემი სიხარული მაშინდაა. სიკუდილი ჩემი რად უნდა? ძმა არის ჩემი, ერთის მამის შექმნილნი ვართ და ერთის დედისა ნაშობნი. ყოვლისა საქმითა მე ვსჯობ. მოედანსა შიგან ორმოცდაათი მაგ-
სებრი ვერ გამისწორებს. რა მარავი დამიგდია, სიცილისა და სიხა-
რულისაგან კიდე არა მიქმნია რა. რა მავას ვიახლო, ვითა ველურნი

თხა ავაზისაგან, კბილითა დანაყილი ვარ. ეგზომი ქირი და ფათე-რაკი მაგისაგან არ გუყუფოფოდა, რომელ გუქირდა, კულა ცეცხლი-თა რადლა გუწულიდა? არ ღმერთია, რომელ ჯოჯოხეთსა მიგუტემდეს. აწ შენ ჩემსა ნურას შეიქირავებ. აქა, რეს ვარ მრთლად და კარგად. ვისის სიახლითა დია ვმზიარულობ. ესე წიგნი მალევით მომიკსენებია, რომელ ჩემი კარგად ყოფნა გაიხარნე. ნურას შეიქირავებ, საწუთროსა ქირი და ლხინი უხანოა. დღეს ჩემი ამბავი მომიკსენებია, და წაღმა ვითაცლა ვიყო, მასცა გაცნობებ. მუნამდის ქუეყანათა შიგან ვიარები ღარიბად, ვირე მოაბადის ადგილი უმოაბადისოდ დარჩებოდეს, მერმე ღმერთი და ბედი ჩემი მისსა ტახტსა დაძსუამს. არ უკუდავებრსა წყალი უსუამს, არცა სული მისი მათათა ზედა დაუბამს, და თუ,—რაი უჩს და,—არ მოკუდეს, შენმან სიყუარულმან, ლაშქართა შეეჭყრი და ტახტისაგან ჩამოვითრევ და მე და ვისი დაევხდებით. დიდხან ესრე ყოფნა არ შეგუიძლია. ესე ჩემი სიტყუა დაისწავლე, რომელ ესე საქმე ადრე იქმნების. ვისი დია სალაშსა და თაყუანისცემასა მოგაკსენებსო“.

რა მისმან დედამან რამინის წიგნი წაიკითხა, გახარებულმან ღმერთსა მადლი მისცა. და ამას სიხარულსა ზედა მეორესა დღესა მოაბად მოესწრა, შინა მივიდა და დიადი გასცა. საწუთროსა მინდობა ასრე არის, რომელ იგი ბერი დედა შეილთა მიხეზითა ზოგჯერ ტიროდის და ზოგჯერ იხარებდის. ნუ იქადი მისისა ლხინისაგან, ნუთუ ქადილი ცუდად წაგიკდეს და ნუცა საწუთროსაგან სჩივი; ვირე მასვე არ მოსწადდების, ჩივილიცა უსარგებლოა.

რა შაჰი მოაბად კუირა ერთი შინა გამოიხუენა, დარბაზობა შექმნის და კიდე მალე გაყარის, ვითა მგლოიარე დაჯდის, მიწყით დაღრეჯილი იყვის. ლამესა ერთსა დედამან ეგრე მოაკსენა:

„რად ხარ ნიადგა დაღრეჯილი, რომელ წამსაცა არა გაქუს სიხარული? რა გქირს ეგეთი? ერანისა და თურანისა პატრონი ხარ, ჩინით ყიროვნამდის ყუელა შენია და შენსა ფარმანსა ქუეშე არის. ნუ ხარ მიწყით ესრე შექირავებით. უმზიარულობისათუის შენი სული რად არ გებრალეების? ანუმე ბერი-დედა-შენისა ეგრე ხედვისათუის რად არ გეწყალავი?“

შეგონება: „ყოველი კაცი სიბერისა ჟამსა გაკეთდების, რა სიყრმისა სირეგუნე დაავდოს, ამით რომელ მას სიბერე მასწავლებლად ეყოფის, თმა თეთრი შემავონებლად. აესა საქმესა ბერი აღარ დაებმის და სიბერესა შიგან სიყრმესა ველარ ეძებს“.

„შენ ვითაცა ჰბერდები, უარე და უარე ხარ. შენითა ეგეგუარობითა გული ჩემი დაგიწყულულებია. ზენაარ, რომელ ჩემი შეიგონეო და შენისა თავისა.“

შაჰინშა ეგრე მოაკენა:

„დღეაო! ჩემი საქმე ესრე არის, ვითამცა ჩემი გული ჩემი მებრძოლი იყო. ვისის სიყუარულისაგან წამსაცა ვერ გამოვისუნებ. რაზომსაცა შევავიგონებ, არ მომისმენს და არცა სიხარულად უნს. ექუსსა თუესა ქუეყანათა შიგან თავისა გზისა უმეტარი მარო და ღმერთმან იცის, თუ რა ქირი ვნახე. აწ შფოთი და შემქირნე ამად არის, თუ უმოყუროდ რად ვარ ცოცხალიო. ვირე ესე გული ჩემსა ტანსა შიგან არის, სხუისა მტერისა ბრძოლად არა მცალს. მე თუმცა სით ვისის ამბავი მესმა, შექირვებისა ქირი დამიმოკლდების. ესრე ამითქუამს ღმრთისადა, თუ ვისი ვნახო, ერთობით კელმწიფობასა ჩემსა კელთა შევჭედრებ, და მას მივსცემ და მისისა მბრძანებლობისაგან კიდე აღარ გამოვალ. რაცა ჩემთუის შეუცოდებია, ყუელასა შეუნდობ. ვირე ცოცხალ ვიყო, არ დავაყუედრებ. არცარას რამინს უზამ ავსა. ძმა არის ჩემი და იყოს აქა ჩემად იმედად და ზურგადო“.

რა ესე სიტყუა ესმა დედასა მისსა მისგან, გულსა ცეცხლი მოედვა რამინის საქმისათუის. ესრე ატირდა, რომელ უბენი დაისოვლნა, კელი გამოულო შაჰინშას და ეგრე მოაკენა:

„მტკიცედ შემომფიცე, რომელ ავი არა უყო რამინს, არცარა ვისსა და არცარა ემტერებოდე, და რაცა აწ შემომფიცო, ყუელა გაასრულო, რა აქა მოვიდენ; დია არ გამაწბილო ღმერთსა და კატანანა და მე მოგაკენო სადაცა არიან; და რა ესე შემაჯერო, მაშინლა გამოვიცხადებო“.

მოაბადს რა ესე ესმა დედისაგან, სიხარული შექმნა და ფერკთა მოეხვია, შეეხუეწა და ათასჯერ პირი და კელნი მოუკოცნა. ეგრე მოაკენა, ვითა: „ვიცი რომელ ჩემი სიცოცხლე გინა და მე, ვითა მმართვებს, აგრე შენი მოყუარული და მბრძანებლობისა ქუეშე მყოფი ყოფილ ვარ, აწ კამომიყვანე მგზნებარისა ცეცხლისაგან, მეწიე და შენითა სიკეთითა სულნი ჩამიდგენ. მე შენსა მბრძანებლობასა არ გარდავკედები და რასცა ზედა გწადიან, შემოგფიცავ“.

მერე შეჭფიცა მშობელსა დამბადებელისა ღმრთისა ძალითა და ყოვლითავე საფიცითა, რომელ რამინს ავი არა უყოს, არცარა მისთუის მოგონოს და სამისოისა მტერობისაგან გული გაიწმინდოს, არცარა დაამძიმოს და არცარა დააკლოს, ვითა საყუარელსა ძმასა მმართვებდეს, ეგრე დაიჭიროს და სწყალობდეს. აგრევე ვისი საყუარლად დაიჭიროს და დედოფალი იყოს დიდი; რაცა შეუცოდებია, ყუელა შეუნდოს და არცალა აკსოვდეს, არცალა დააყუედროს და მისად საყუარლად იგი უჩნდესო.

რა ესე შეჰფიცა შაჰინშა და შეაჯერა, რომელ ვისისა და რამინს ავი არა უყოს და არა უღალატოს, მერმე მასვე წამსა მისმან დედამან წიგნი დაწერა რამინს თანა და ყუელა წურილად გააგონა მოაბადის საქმე და სამისოდ ფიცი, და ეგრე მიუწერა:

„ჰე დედისა სულო, შენი სამოთხე და ჯოჯოხეთი ჩემი სიტყუა არს. თუ ჩემსა სიტყუასა არ მოისმენ, ღმრთისაგან ქირისა და სასჯელისაგან კიდე არა მიგხუდების. რა ესე წიგნი წაიკითხო, სწრაფით წამოე, ნუთუ ვითა ცოცხალსა მომესწრა. უშენობისა ტირილითა თუალნი დამბრმობიან და სულნი კორცთაგან, მიმწურვიან გასაყრელად. ჩემისა სიხარულია სანთელი დავსილა და სულისა ჩემისა ვარდი დამქნარა. შენდა მოსლვამდის, ვითა მითქუამს, ესრე ვარ და შენისა ნახუისათუის ღმერთსა ვევედრები. შაჰინშაცა შენთუის ჩემებრ მტირალია; რაცა შეეძლო, შენთუის ქუეყანათა ზედა იცორვა და ღმრთისაგან კიდე არვიან იცის, რაზომი ქირი ნახა, შიმშილი და წყურვილი გასძლო; და ახლა მოსრულა შინა და შენთუის დია სურინ, მისისა ქირისა წამალი შენი ნახვაა. ჩემთუის გულმართლად შემოუფიცავს, შენ ავი არა გიყოს, შეუნდვია შენდა ყუელა შეცოდება, აქათგან ვითა თავისა სული უყუარ და ამა მისისა მეორისა ძმისაგან შენ უურო საპატიოდ დაგიჰირავს, აგრე მისთა ლაშქართა ზედა პატრონი და ამირსპასალარი შენ იყო, და შინა პატრონი და დედოფალი ვისი იყოს, და მოაბად ორთავე კარგისა მგონებელი იყოს, სიტყუით და საქმით ღმობიარი და თქუენთა წადილთა მყოლი. აჲ შენებურად ნურას საკუირველობ, ნურას გეშინიან, წამოედ, მე მომენდევ. უცხოთაგან ვერას გაიხარებ, თუ ყოველიცა ქუეყანისა ოქრო გაქუს. თუ ხორასანისა პატრონობა ნოგხუდების, სხუაგან სამიზდარი სახლი რად გირჩევია? რაზომცა მანდა ქირი ნახო, ესრე ვერ გასდილდები, რომელ უქიროდ აქა თუით ხარ. თუ ღმერთსა ადვილად შენდა თუალი მოუცენია, შენ ძნელად ერთსა კენქსა რად ეძებო?“

ესე წიგნი გაასრულა, მაშინვე გაგზავნა. რამინ რა მოწიგნარი ნახა, შეეშინდა და მოაბადის დედისა ამბავი იკითხა. მერმე რაწიგნი წაიკითხა ფიცისა იმედისა, გაიხარნა და მაშინვე რე ქალაქით წამოვიდეს და მარავს ქალაქს მოჰმართეს. ვისი ჩასუა კუბოსა, ვითა გუირგუინსა შიგან თუალი პატიოსანი. თუცა ვისი ფარდაგსა შიგნით იყო, გარეთ ესრე ელვიდა, ვით გავსებული მთუარე. გულის ქონებასა ესრე გაესუქა და მომატებით შუენოდა, რომელ მისი ქება არავისგან მიიგებვის. ექუსსა თუესა რამინ სიხარულით ვისსა გუერდით ყოფილ იყო, ვისის ასკეცი შუენება მომატებოდა.

რა მოვიდეს მარაგს და მოაბად ნახა, ყოველი ჭირი მისგან გარ-
დანაკადი დააფიწყდა. ვითა ვისსა შუენება ჰმატებოდა, ეგრეთვე მო-
აბადს სიყუარული მოემატა, აღარ აკსოვდა პირველი წყრომა; ძმისა
ნახვითაცა გაიხარნა. და დედამან მათმან რამინის ნახვისათუის
ღმერთსა მადლი მისცა და ერთმანერთისა ნახვითა დაიწყეს სიხარუ-
ლი და სუმა, მუტრიბთა მღერება, საწუთროისა ჭირთა აღარ აკსე-
ნებდეს.

რამინისაგან ვისის მოყვანა მარჯვს და

მოაბადისაგან გამსიარულება და მეჯლიში



ა მოაბად, ვისი და რამინ სამნივე ქირისაგან დაი-
კსნეს, სხდეს მხიარულნი გარდასრულისა შეცოდე-
ბისა შენდობითა; გულისაგან გუერც ჯანგი მოი-
კოცეს. დღესა ერთსა ჯდა შაჰინშა მხიარული. ვისი

გუერც უჯდა, შეენებით ვითა მზე, და ბროლისა ქიქა ხელთა ჰქონდა
და წურილად სუმიდეს. მოაბად რამინცა უკმო და სამნივე ხალვა-
თად სხდეს. რამინს სასმენლად ჩანგისა კმა იამებოდა და საქურეერ-
ლად ვისის პირი. რამინ თუთ ეგზომ კარგი მეჩანგე იყო, რომელ,
რა მან ჩანგი აილის და ცემა დაუწყის, სიამოვნითა ფრინველთაცა
სულნი დაილიან. სამიჯნუროთა შაირთა თქუმა დაიწყის და ვისის
პირი ვარდისაებრ აყუავდის, მისგან მისი თქუმა იამებოდის. ეგრე
თქუის:

„ნუ შეიქირებებ წყლულო გულო, არ ქვა ხარ და არცა რკინა.
ნუ ემდურვი მოყურესა და ნუცა გულსა. აწ წამსა ერთსა გაიხარენ
ლუინითა, აიღე ქიქი, დააგდე ქირი, თუ დღემოკლე არა ხარ. სა-
წუთრო მბრუნავი არის და ქირსა ლხინად მოგიქცევს. და ეტლმან
რომელმან დაგამძიმა, მოიქცევის, რომელ შენდობა გთხოვოს. მოვა
ესეთი დღე, რომელ გულმხიარულ გყოს, ყოვლისა ქირისაგან აზატი.
საწუთრომან გამოგიცუალა ყოფნა, მისნიმცა საქმენი შეიცუალედიან“.

რა შაჰინშა ლუინო შესუდა ტუინსა გაუკდა, ცნობასა მორია
ლუინომან, სხუა უამესი სიმღერა მოუნდა რამინისაგან. რამინ სიმ-
ღერა კულა დაიწყო, ეგრე თქუა:

„სარო ვნახე მავალი, მთუარე გავიცადე; აშენებული და მოუ-
ბარი წალკოტი ვნახე, რომელსა შიგან სიყუარული იყო დათესული.“

ვარდი ვნახე შიგან შუენიერი, ზაფხულისა და ზამთრისაგან დაუქნობელი, რომელ დაღრეჯილთა გაამხიარულებდა და მხიარულთა სიხარულსა მოუმატებდა. მე შევჰვედრე გული საკუთრად მისსა სიყუარულსა, საუკუნოდ მივსცემ და უჭურეტ მის წალკოტისა ნაყოფსა ვარდსა. დღე და ღამე ამით ვიხარებ. კაცსა მოშურნეთა თუალი ვერ აენებს; რასაცა ვინ ღირსა, ღმერთი მას მისცემს“.

რა შაჰინშა ესე სიმღერა და სიტყუანი მოისმინნა, სიხარულთა მოემატა მიჯნურობა ვისისათვის და ვისის მირთმული ლუინო მოუნდა, რომელ მან ლუინომან გულისაგან ჰირი უკუჰყაროს. ვისმან ლუინო მიართუა და ეგრე მოაკენა:

„კელმწიფეთა კელმწიფეო! ათას წელსამც მივი, ვითა შენ გინდა. ყოველთამცა დღეთა იხარებ, ყოველიმცა შენი საქმე და საწადელი ღმრთისაგან სრულია! ჰამო არს დღეს ჩუენი სუმა შენს წინაშე და კამს თუ გულითა გლოცვიდე. თუ მიბრძანებ და იკადრების, ძიძამანცა გაიხარნეს, თქუენს წინაშე უკმე, მოვიდეს, ამით რომელ თქუენი დია ერთგული და მლოცველი არისო“.

ბრძანება უბოძა, და უკმეს ძიძა და ვისსა წინაშე დასუეს საპატიოდ. და შაჰინშა რამინს ეგრე უბრძანა:

„შენ მწდებოდი, ამით რომელ კაცსა მოყურისა კელითა ლუინო უფრო იამებისო. გხუდების, მხიარულად მწდებოდე და სუმიდეცა“.

რა ლუინო შესუა, რამინ გულის-ნადებსა ველარა ჰმალვიდა. ვისის ლუინო მიართუა და მალვითა ეგრე უთხრა:

„ჰე ულევლო, მხიარულად სუმიდი ლუინოსა ჩემითა კელითა და შენითა სიხარულთა გამახარეო!“

ვისსა მოაბადის მალვითა გაეცინნეს, აქო და ეგრე უთხრა:

„ღმერთმან სიხარული ნუ დაგილიოს; ვირე; ორთავე სულნი გუედგენ, ნუ მოვიკლებთ სიხარულსა. შენ ჩემსა [გარეშე] ნუვის გამოირჩევე, რათგან მე არცა სულნი მირჩევიანა შენსა. ნუ დამივიწყებ და არცა მე დაგივიწყებ. შენიმცა გული მიწყით მხიარული არის და მოაბადის გული ღმრთისაგან საჩემოისა საქმისათვის დამწყუარიაო“.

მოაბად ესე ყუელა მათი საუბარი სრულად გაიგონა. გარნა, ვითამცა არ მასმიაო, აღარა თქუა, დაწყნარდა. ძიძასა ეგრე უბრძანა: „ძიძაო, შენ მწდებოდიო“. რამინს ეგრე უთხრა: „მეტსა ნუ უბნობ, ჩანგი აილე და ზედა იმღერდიო“.

ძიძამან მწდებოზა დაიწყო. მოაბად და რამინ ეგრე ორნივე ვისისათვის გახელებულ იყვნეს. რამინ ჰამო სიმღერა დაიწყო:

„მე მიჯნურობისაგან გამიყუთლდა პირი. აწ ლუინითა სიყუითლეთა ჩამოვირცხი და გულისაგან ჯანგსა ვარდისა თერი ლუინო ამიყრის. და პირსა ჩემსა მხიარულად ჰხედავს მტერი ჩემი, ჩემსახუაშიადსა ვერ შემიგებს; რაცა შემიძლია, მოვიპირებებ, რომელ გულისა ჩემისა ნადები ვერ შეიგნეს. დღე და ღამე ამით მთრვალი ვარ, იგი უკეთ დამავიწყებს ჩემსა პირსა. იცის ჩემმან მოყუარემან, რომელ მისთვის ვარ გულდაწყუედილი. თუ მე ლომთა სულისა წამლები ვარ, მიჯნურობასა ჩემთვის წაუხზმან სულნი. ჰე ღმერთო, ულონოთა ღონეო! შეგიძლია შენთა დაბადებულთა რგება. ვითა ბნელისა ღამისაგან დღესა გამოიყვან ნათელსა, აგრევე ამის პირისაგან გული ჩემი სიხარულად გამოიყვანეო“.

ღიდხან რამინ ესე თქუა სიმღერად, რომელ მისისა სიამოვნისაგან ქვაცა დაღებოდა. თუმცა სიყუარულსა ჰმალვიდა, მრავლითა ნიშნითა აჩნდა მიჯნურობა. გულისა მონაცემთა ვერ ჰმალვიდა: ცეცხლსა შიგან მყოფი კორციელი წუასა ვერ ჰმალავს. იგი, მას აგეთსა წუასა შიგან მყოფი, მიჯნურობისაგან თუით მთრვალი, და ყმა აგეთი, თუით შაირთა მთქუმელი, საყუარლისა მჭურტელი და მას გუერდით მჯდომი, სიყუარულსა ველარ ჰმალვიდა. არა საკუირველი იყო. გუბი-წყალი რა აივსოს, განაღა სათმე გზასა შეიქმს გასადენელსა; აგრევე სიყუარული რა დასქარბდეს, შეგონება და მცნიერობა ცუდია მას თანა“.

მოაბად რა დაითრო, მზითურთ საწოლს შევიდა. რამინ გულდაწყუეტელი თავისა გლახ სადგომსა მივიდა, საგებელი გუელიანმყურიანად ეჩუენებოდა და საბურავი ეკლიან-ბირკიანად. მოაბად სიმთრვალითა ვისსა ემღურვოდა და ყუედრება დაუწყო.

ეგრე უთხრა:

„ცუდია სიკექლუცე, რა სიმართლე არ ერთოს“.

არაკი: „შენ მას ხესა ჰგავ, რომელ შუენიერი იყოს შქისახედავად და ნაყოფი მისსა მხიარითა პირსა არ ჩაიშუებოდეს“.

„ნახვა და საუბარი შენი შექარსა ჰგავს, მაგრა წესი და ნაქმარი ნაელელსა მიჰგავს. მიჯნურობათა დია გასირცხუილოებულნი კაცნი მინახვან, მაგრა თქუენგან უფრო საკუირველნი არ მინახვან და არცა მასმიან. თქუენ ეგრე გგონია, რა ჩემსა წინა სხდეთ, თუ მართო ორნი ვართო. მიწყით მიჯნურისა ბედი ბრმაა, ამით აღარცა თუალთა უჩს; ყოველთაგან ნახვად აჩნია და ეგრე ჰგონია—არავინ იცისო. და ათასითა კუროითა თავი პატიოსანი ჰგონია. მიჯნურთა კენჭი მთისა ოღნად უჩს. თქუენ ორნივე მიჯნურობისა სიამოვნითა მოყინებასა აღარ ჰხედაეთ. მე, მთუარეო, ნუ მძაბუნობ ეგრე, ამით რომელ მეტისა შემართება მტერად გაჰკდის მოყუარესა. თუ

დღესა ერთსა კელმწიფე ვირად შეიქმნას, ნუ შემართებ ზედა შეჯდომასა. კელმწიფე და ცეცხლი დია შეუპოვარია. თუ პილოსა ძალი გქონდეს და შემართება ლომისა, დამწუფელისა ცეცხლისათვის ნუცა ეგრე ჰგულოვნობ. ზღუისა სიწყნარესა ნუ მიენდობი, თუარა მაშინცა ნახე, რა ლელვიდეს, რომელ კაცი ვერ დაუდგამს. ჩემსა ესრე გაუკუირველობასა ნუ შეჰმართებ, თუარა, რა გული გამიწყრეს, ველარ დამიდგამ. ნუ ააგებ ესეთსა კედელსა, რომელ, რა ამბლდეს, შენვე დაგცეს. მე შენისა სიყუარულისაგან დია კირნი მინახეან და შენისა სიშორისათვის საწუთროისა სიმწარენი გარდმიკდიან. არა სჯობს ეგზომი უპატიობა, თუარა ზიანი შენვე წაგეკიდების. ვირემლის ასრე შეკრულსა მრჯი და მტერობისა კრმლითა დაკაფულსა სიკუდილსა მანატრებ?! რა გაგვა თუ ერთხელ გამქსნა და მტერობა დააგდო, სიყუარული მოილო და შემობრალო, და მე ყოველი კელმწიფობა ჩემი შენ შემოგუედრო! მე ერთის მსახურისა პური მეყოფისო“.

რა ესე სიტყუა ესმა, ვისსა სამისოისა სიბრალულისათვის გული დაეწუა და მართალ იყო; დიდი კელმწიფე ესრე გასრულ იყო მისთვის, მაგრა სიბრალული ოდენ დარჩა; სხუა აღარა ეგებოდა და ეგრე მოაკსენა:

„ჰე მაღალო კელმწიფეო და საპატიეო პატრონო ჩემო! ლმერთმან უთქუენოდ სიცოცხლე ნუ მომცეს და წამსაცა თქუენგან ნუ გამაკიდევანოს. შენი სიხსლე თუალთა ჩენისაებრ მიამების, სხუის ვისიცა შეყრა ჩემზედა ჰარამია. ჩემთა სულთა შენთა ფერკთა ქუეშე მოვაგებ, ამით რომელ შენთა ფერკთა მტუერი სჯობს რამინს. ამისა საეკუი ნულარა გაქუს, რომელ რამინ ცოცხალი მომლოროსლა. ვითა შენებრი მზე ლმერთსა ჩემად მოუცემია, სანთლისა სინათლესა რადლა ვეძებ? შენ ზლუა ხარ და ისი სხუანი კელმწიფენი რუნია; შენ მნათობი მზე ხარ და იგი მთუარენია; შენი სიყუარული ჩემისა სულისა სწორად მიჩს; ერთი თმათა შენთა ბეწვსა მირჩენია თუალთა ჩემთა. მაშინ რაცალა ვქმენ, ვქმენ და ეშმამან მიყო. აწ შემინანებია და აქათგან ესრე შეგაგუო, რომელ მადრიელ იყო ჩემგანაო“.

გაუკუირდა შაჰინშას ვისისგან ესე სიტყუა, კულა არაოდეს ასმიოდა, თუცა სულთაგანცა იამა. დია იმედი დაუდგა გულ-დებითა, ჰამოდ დაიძინა თუით უფროცა.

ვისსა ჯერეთ ელუიძა, მოაბადისასა და რამინისას შეიკირებდა. ზოგჯერ მას იგონებდის, ზოგჯერ მას. მაგრა რამინის ოდნად არცავინ ესრე ეგონებოდა. ზედადალმა ფერკის კმა ესმა: რამინ მათ ბანთა თურე ზედა გამოსრულ იყო, სადა იგი იყენეს. მიჯნურობის-

გან არ დაეძინებოდა და ღამისა სიბნელე არა ჰკუიროდა. ღრუბლიანი ღამე იყო; წუთიმდა; ჰაერი რამინისებრვე ტიროდა, ამით რომელ მთუარე მისგან დამალულ იყო და რამინისგან ვისი. რამინ გლახ ჯდა ბანთა ზედა ვისის ნახვისათვის იმედიაინ; ამით თოვლი ქაფურად უჩნდა, ბნელი ღამე დღედ ნათლად, ბანი სამოთხედ და ფოცხურის უპედ ღამიანი გზანი. თუცა აშორეიდა, ნახვისა მომლოდნო გულსა ეგრეცა აღხენდა. არაა ესეთისა მიჯნურობისა უამესი, რომელ მტერისაგან გამჟღავნებისა ეშინოდეს, გამოცხადებასა ერიდებოდეს და გული ეგრეცა ერთმანერთისა უღვევად იყოს! რამინს არ სათავისოდ ეშინოდა, მაგრა ნუთუ რა ვისის ევენოსო; თუარა თავსა აღარად სწყალობდა. რა დიდხან ბანთა ზედა დაჰყო, სიცივე ამით არ გაუკუიროდა, რომელ გულსა ცეცხლი ესეთი ედებოდა. თუმცა ცისა თუითო ცუარი ას-ასად მტკურისა ოღნად შექმნილ იყო, მისისა ცეცხლისა ნაბერწყალსა ვერ დაშრეტდა. ნოეს რღუნობასა ჰგუენდა მისთა თუალთაგან გარდმომავალი ცრემლი; თოვლისა და წუთიმისა ღუარნი დიოდეს. ჯდა რამინ გულ-დაუთმობელი და ღუიძლ-დამწუარი; ნება-ნებასა კუნესოდა და მოსთქუმიდა:

„ჰე მოყუარეო! გეკამსების ჩემთუის ესეთი საქმე, რომელ შენ შინა იყო და მე თოვლსა ქუეშე? შენ ზედა ყარყუმი გებუროს ნებიერად და მე აქა შიშუელი მარტო მუკლამდი ღამსა შიგან ვეფლაო? შენ სხუა მოყუარე გყავს და ათასითა ნებიარობითა ქუე გძინავს, და ჩემი ქირი,—შენისა მიჯნურისა,—არ იცი, ვით საბრალო ვტირ? აჰა ღრუბელო! ცით ცეცხლი დამწუიმი: უგულოსა ქირი ყუელა იამების. თუ სულთვითქუენ, შენ ღრუბელსა და ჰაერსა დაგწუავე. ჰე ქარო, გაძლიერდი და დააქციე მარავისა ქუეყანა, შეძარ მისი საწოლი! ნუთუ გაიღუიძოს და შეევეწყალო! მოასმინე ჩემი საბრალო კუნესა, გააგონე—რასა ყოფნასა შიგან ვარ! მარტო ვხი, თოვლთა შიგან ვზრები, მესისხლეთაგანცა შესაბრალებელი ვარ. ვიცი, რა ჩემსა ესრე ავსა ყოფნასა სუკნობს, ეწყინების; ასრევე ჩუენთუის იგი ატირდებისო“.

ვისის კულაცა ესმა ფერკისა კმა, უგრძნა რამინს ყოფნა და ღონესა ეძებდა. რამინ ველარა დასამო, ძიძა გამოუგზავნა და ძიძისა ჩამოსლვამდის ასრე მოსწრაფებოდა, რომელ თავისა გზა არა იცოდა. ბანთაგან ძიძა მაშინვე ჩამოვიდა, უგულოისა რამინის შეთულილობა ესე ჰქონდა ვისსა თანა:

„ადრე დამვიწყებელო მთუარეო, ჩემთა სისხლთა ღურითა გაუძლომელო, რად გამწირე სრულად? რა სქამე ჩემგან ესეთი, რომელ ადრე გასძელ? მე არ იგივე შენი უღვეველი მიჯნური ვარ, რომელ

გენახე? მაშ შენ ჩემთვის გონება რად დააქციე? მე ოდითგან თოვლ-
თა შიგან ვიჭირე, შენითა გონებითა ჭირვეული, და შენ სტავრა-
თა მრავალ-ფერთა და ტყავთა შესაფერთა შიგან გამოსუნებული
ხარ. მე შენთვის დაუთმობელი და შენ ჩემი ეგრე დამთმობი, შენ
მხიარული და მე შეჭირვებული ვარ და ვიყო! ნუთუ ღმერთმან ესრე
ინება, რომელ შენ გაისუნერო და მე ეგრევე ვიჭირვიდე! ნუთუ ღმერთ-
მან ყოვლი ლხინი შენად შესაფერად მოგცა? მე ჯერეთცა ულ-
ხინოდ მინება და მართალიცა. შენმცა ოდენ უჭირველი იყავ, მე
მმართვეს შენისამსახური, ჩემთვის კამს შეჭირვება: შენ ნაზი ხარ,
კირსა ვერ გასძღებ. და ესე იცი, მე ვითარი საბრალო ვარ ყოველთა
დღეთა და ღამეთა შენი მგონებელი და ნახვისა ჟამისათუის უკანა
მდგომი ასეთსა ღამესა, ესრე დაუთმობელი, უძილო, გულ-დაწყულუ-
ლებული, გულ-უწყნარო. ესეთისა ყოფნისა და სიცივისაგან დამკსენ,
შენთა უბეთა შიგან გამათბე, მიჩუენე პირი შენი, სულთა მდგმელი
ჩემი, მომისუენე შენითა ღმობიერობითა; სულწელი თმა შენი ჩემსა
ოქროსაებრ დაყუითლებულსა ყელსა მომახუე. ჩემი გული შენისა
ძებნისათუის დაკარგულა და შენი სიშორე წინა ორმო მქმნია და
ჩაადღებს სიმარტოითა მისითა. ნუ უარ იქმ ჩემსა ესრე ყოფნასა. მე
თუ შენისა ნახვისაგან ესრე უიმედო ვიქმნები, იცოდე თმობისა ღო-
ნისაგან გამოვალ. ნუ მკრავ გულსა სიშორისა ღრიანკალსა, ნუ გარ-
დამიწყუედ ნახვისა იმედსა. ვირე ცოცხალ ვიყო, შენისა კელითა
შეკრული ტყუე ვარ“.

ესე შეთულილობა ძიძამან უთხრა ვისსა და ვისის უკუამლოდ
ცეცხლი მოედვა. ძიძასა ეგრე უთხრა:

„რასა ღონესა ამიგებ, მოაბადისაგან ვით მიკსნი? აწ სძინავს.
თუ გაელუიძების, იგრძნობს ჩემსა საქმესა და ავი წამეკიდებისო
და თუ მარტო დავაგდოთ, უღონოდ გაელუიძების. აწ ღონე ესეა,
რომელ შენ გუერდით დაუწევ. ამას სძინავს და ჯრა იცის; ზურგი
შეაქციე, შენი ტანი და ჩემი ერთმანერთსა ჰგავს, მარირისაებრ რბი-
ლია და, თუ კელი მოგყოს, ესდენ მთრვალი და ჭეცნობო არის, რო-
მელ ვერად შეიგებს“.

ესე თქუა, სანთელი დაავსო და ძიძა მოაბადის გუერდით და-
აწუინა. თუით წავიდა რამინს გუერდით მხიარული, კოცნისა სია-
მღონითა რამინს წყლულსა მალამა დასდვა. ნებისაებრ ქუეშე დაიგეს
და მრავალი ტყავი ზედა დაიბურეს. ერთგან შეყრითა ღამიანი პე-
რანგი აიკადა, გულისაგან შეჭირვება გააგდო. ნარგისი და ვარდი
ზამთრისა ერთგან შეიყარნეს, შუენოდეს ერთგან, ვითა მთუარე და
მუშთარი, ვითა კულა გუარიანობა და სიმდაბლე. მიწა ყუავილითა

აივსო მათისა პირისაგან, ჰაერი მუშკითა მათისა სურნელებისაგან. წავიდა ღრუბელი და გამოჩნდა მასკულავეი. ორნი მიჯნურნი ერთგან შეყრილ იყვნეს, ვითა მათ სწადდა, ეგრე ჰამოდ იხარებდეს. ზოგჯერ სასთაული რამინის კელი იყვის და ზოგჯერ ვისისი. მათ შუა ბეწვი არ დაეტეოდა. ზოგჯერ საგულისოსა უბნობდიან და ზოგჯერ სალა-ლობელსა. იგინი მუნ ეგრე იყვნეს.

რა შაპი მოაბადს გამოელუიძა, კელი მოაველო. გუერდით მთუარე აღარ უწუა, მისად ნაცულად კმელი ლერწამი პოვა. რაითამცა ჰგუან-და მოწიფებულსა ყმასა ვისის ბერი ძიძა?! ანუ რაითა ჰგავს ისარ-სა მშუილდი? კელითა ეკალი და შარი კიღის-კიღე გამოიცნობის. მოაბად განალამცა შეატყუა, ვითა ვეფხი საგებელთაგან აიქრა, წყრო-მით იზახდა, ვითა ღრუბელი ქუხილიანი. ამა ძიძასა გრძნეულსა კელი ესრე მაგრა დაუჭირა, რომელ გამოძრობისა ღონე არ იყო. შაპინშა ეგრე ეტყოდა:

„ჩემსა საგებელსა შიგან დევსა რა საქმე უცო? მე დევი ოდეს შემირთავს ცოლად? ჩემსა გუერდით შენ ეშმა ვინ დაგაწუინა?“

მრავალჯერ ჰკითხა: ვინ ხარ ანუ რა ხარო?

ძიძამან პასუხი არა გასცა. მსახურთაგან სანთელი ითხოა, დია უზახა და უქმნა, მაგრა არცავეს გაელუიძა, და ვერცა სანთელი მო-იღეს და არცავეს კიღე რამინისაგან მლუიძარე იყო. მას გათენების-გან ეშინოდა, და ვისის გაყრისათუისცა ნებასა მოსტყუმიდა და ცრემლისა მარგალიტსა ვარდისა ფერსა პირსა აყრიდა. ვისი მას დღესა მსუმელთა თანა ჯდომილ იყო და მას ღამესცა უძილო იყო. მაშინ ქუე დასძინებოდა. რამინ შეკირვებით სიმღერასა იტყოდა, ეგრე თქუა:

„რა ჰამო ღამე იყავ, ყოველთათუის ღამე და ჩემთუის ოდენ დღე ნათელი! შენ რა ყოველთათუის გასთენდე, მაშინ ჩემთუის და-ბნულდები. დაეშაღდე, გულო, აწ გათენების ჟამია, აწ ისარი გეცე-მის სიშორისა! რა ჰამოა შეყრა, თუმცა ბოლოდ გაყრა არ იყო! სა-წუთრო, ავისა ქმნისაჲან კიღე ჩემთუის არა იცი! მომცემ სიხარულ-სა და წამსავე თუ უკუდავებასაცა შემასუამ, მაშინვე ერთსა ჰიქასა ნავ-დელსა უღონიოდ მომცემ. ავი დღე იყო პირველ ჩემისა გამიჯნურე-ბისა, გული უპოვარად მაშინვე დამეკარგა. რა ვჰანახავ, სიშორისა შიში მაქუს, და სიშორე თუით მოუთმენელია. ჩემებრ საბრალო ტყუე არავინ ვიცი და არცა დამბადებელისებრი მარგებელი, რო-მელ მისგან კსნასა მოველი“.

რამინ ესრე მალეითა უბნობდა, იგონებდა გულსა შიგან და კუნესოდა. თავისა საქმესა შეიკირვებდა, გათენებისა ეშინოდა, ვი-

სის გაყრისათვის გული უმცრდებოდა. ვისის ქუე ეძინა და მსახურსა მისსა რამინს ანაზღად შაჰი მოაბადის კმა ესმა, რომელ იზახდა მალად და სანთელსა ითხოვდა. რამინს შეეშინა და ვისი გააღუიძა; ეგრე უთხრა:

„მალე აღევ, იგი წაგუეკიდა, რისა გუეშინოდა. და შენ უშიშად ქუე გძინავს, მე შენისა მოშორებებისა შექირებებითა და გათენებისა შიშითა მლუიძავს. ერთსა ავსა ვჰრიდობდი და მეორე უძნელესი წაგუეკიდა. კმა და ზახილი მოაბადისი მესმა, რომელ ცნობანი წამივიდეს მისისა ზახილისაგან და ესეთი გული შემექმნა, ამა ტალახისაგან ქუე ჩავიდე, თავი მოვკუეთო და ქუეყანა დავკსნა იმა საძულეელისაგანო. ესეთი ძმისა სისხლი ერთისა კატისა სისხლისაგან უფრო მეადვილებისო.“

ეგრე უპასუხა ვისმან:

„დაწყნარდი და ცნობისაგან უცნობობასა ნუ იკპარებო. ოდესცა შენი ბედი გიშუელის, უსისხლოდცა აგისრულდების შენი საწადელიო.“

მაშინვე ფიცხლად ჩაირბინა ბანი. შაჰინშას ჯერეთ ლუინო არ მოჰქარებოდა. ძიძასავე დაუჯდა ვისი და ეგრე მოაკსენა: „ესე ჩემი კელი დაგიწყლულეზია მეტად შემოჭირებითა, ერთსა წამსა ესე სხუა კელი დაიჭირე, რომელ ამა კელმან ცოტად გამოისუენოს და, სადაცა გწადიან, წამიყვანე, არ გაყენებო.“

შაჰინშას რა ვისის კმა ესმა, გაეზარნეს. მისი სიბიჭე და ილათი არ იცოდა. ორთავე კელთაგან ძიძისა კელი გაუშვა და ბადისაგან დაეკსნა საძულეელი ძიძა. მერმე შაჰინშა ეგრე უთხრა:

„სულისა წამლებელო ვისო! აქამდინ რად სულდალებით იყავ? ოდეს გიკმე, პასუხი რად არ გამომეც, რომელ ამაშფოთე და გული ესრე დამწუიო?“

ძიძა სრულად მახესა დაეკსნა. ვისი გაგულროვნდა, დაიზახნა და ეგრე თქუა:

„ვაგლახმე, რომელ ესეთისა მტერისა და ქვისისხლისათვის მიწყით დაპურობილ ვარ, რომელ მრუდად მავლსა გუელსა ვჰგავ; რაზომცა მივალ, ჩემი კუალი მრუდად ჩანს. ქუეყანასა ზედა ნუვის მისცეს ღმერთმან ეგეთი ქმარი, მით რომელ ზეეკუთი ქმარი ფათერაკისა ბადეა და მძებნელი. ქმარსა ჩემსა შეუჯერებელსა მე გუერდით ვუწევ და გატეხასა და მოყივნებასა ჰლამის ჩემსაო!“

მოაბად, შენდობისა მთხოველმან, ეგრე უთხრა:

„ნუ მეკუ, მთუარეო, შენსა უყუარელსა. შენ სულისა ჩემისაგან უსაყუარელესი ხარ, სიხარული ჩენი შენ ხარ! სიმთრავალითა

ვემენ ესე ავი საქმე. ნეტამცა სამსალა შემესუა და ლუინო არა! შენ მიყავ, ლუინო დია მასუი, შენსა გუერდით მიამებოდა სუმა და მით ესრე გავკე, რომელ თავსაცა დაეამძიმე და შენცა შეგცოდე. ლმერთმან ჩემი წადმართი ნუ ქმნას, თუ შენი საექუი რამცა მაქუს. თუ შეგცოდე, შენდობასაცა ვითხოვ და, რათგან ვინანი, ჩემებრსა შეცაენდობის“.

ა რ ა კ ი : „შეცოდება დია გამოაჩნდების მთრვალსა, მაგრა, რა შენდობა ითხოოს, აღარ გარდეკდევის, ცნობასა ლუინო დაუკშავს და თუალსა ძილი; შეცოდებასა შენდობის თხოვა გარცხის და სამოსელსა წყალი“.

რა შაჰინშა ესრე დია შენდობა სთხოა, მაშინლა შიუნდო შეცოდებულმან შეცოდებულსა. მიჯნური კაცი მიწყით უპატიო არის, ველური თხა დია მინახავს გალომებული და მონადირე ლომი მისგან შეფრობილი. ლომიცა მისითა ბუნებითა გამიჯნურდების, მაშინ ბუნება ეგრეცა შელისა ჩაედების; ვითა გულდამწუარი უფროსი გუინახავს უმცროსისათუის, რა გამიჯნურდების მისთუის გახელებული და თავის გზისა უმეცარი. ვინცა ძალი იცოდეს მიჯნურობისა, ნუ ვინ უზრახავს მიჯნურობითა ტყუესა სიშმაგესა, ნურცა ვინ დასთესავს მიჯნურობისა ოესლსა, თუარა მისსა ნაყოფსა ჰამოდ ათასისაგან ერთი ვერ გამოსჰამს; საწუთროისა წესი და საქმე ესე არის, რომელ მისთა მოყუარეთა ემტერების.

შ ე გ ო ნ ე ბ ა : „ვისცა აამალლებს, დაამდაბლებს, რასაცა ვის ანიკებს კელთა, სთხოვს, მისსა სიტკბოსა სიმწარე ჰრთავს, მისსა კურთხევასა წყევა, დღესა ღამე, ლხინსა ჰირი, სიხარულსა დაღრეჯა, სიმღიდრესა სიგლახაკე, მოყურობასა მტერობა; მისი ლხინი უჭირო არაა, არცა შექცევა და გამარჯუება გაუქცეველი, თუარა წაიკითხე ვის-რამ[ინ]ის ამბავი და მისგან მოისმენ საწუთროისა მრავალფერად ქცევასა“.

მოაბადისაგან საბერძნეთს გალაშქრვა,

ვისი და ძისა ძმასა სარდსა შეჰვედრნა



დეს შაჰინშა შეუნდო ვისსა და რამინს, მხიარულად და ჰამოდ იყვნეს. კულა ჩამოეკრა შუა მეშურნე ეშმა და დაუესო სიხარულისა სანთელი და ძირისაგან ამოაგდო სიყუარულისა ხე.

დღესა ერთსა მოვიდეს მოჩივარნი ბერძენთა შეფისა, კეისრისაგან, ეგრე თქუეს: „მოყურისაგან ვჩივით, მოყურობა შენი დაუგდია და გემტერების. გაძლიერებულა, შენი ფიცი გაუტეხია, მრავალი შენი ყმა დაუქედია და დაუტყუებია. აწ საბერძნეთით დიდი ლაშქარი გამოსრულა და რანის ქუეყანა ნახევრამდის აუოკრებია. და სხუანი მოვიდეს ტყუისა უფალნი ხორასანს, შესჩივლეს და თავსა ნაცარსა იყრიდეს, ბერძენთა მეფისა ლაშქართაგან ჩიოდეს და იზახდეს, საწუთროისა უსამართლობისაგან სამართალსა ითხოვდეს. შაჰინშას დაუმძიმდა. მაშინვე წასლვად კაზმა დაიწყო. უკმნა ლაშქარნი მისნი და აცნობა კელმწიფეთა და დიდებულთა და წიგნი მიუწერა ყოველგან. ეგზომ დიდი ლაშქარი შეიყარა, რომელ მინდორნი ველარ იტევდეს. შაჰინშას ლაშქრად შეყრა ქარსა ჰგუნდა სთულეულსა: ვითა იგი ფურცელსა არ გაუშვებს ხეთა ზედა, აგრევე მან წაუტანლად კაცი არ გაუშვა.

წასლვისა ეამსა ვისის საქმე მოეგონა, თუ რამინ ვით უყუარს და ერთმანერთისათვის ვით ულევნიაო. ერთხელ გარდამეხუეწა, წავიდა და დაიმალა; და მე მისითა გონებითა მომკლა, გამახელა და ველთა გამაგდო. აწ კულა თუ მას მიზამსლა და წამივა, სისხლთა ჩემთა მიისხამს. ესე სჯობს, რომელ აწვე კარგად შევიწახო. მისსა ძებნასა შიგან დიდნი ღირნი გარდამიკდიან, კიდევნობასა მისსა ვერ გავსძლებ. მაშინდელიცა ღირად მეყოფის, ოდეს მომეშორა. ოდესცა

კაცი ფრთხილად არს, ერთისა კურელისაგან გუელი ორჯერ ვერ უცემსო. იგონებდა ვისის საქმესა, თუ ვითა ექმნაო. მერმე ძმა მისი ზარდი უკმო და ეგრე უბრძანა:

„ძმაო და სულო ჩემო! დღეთა შიგან ეგზომ საკუირველი საქმე გინახავს, ანუ გასმიაცა, რაცა მე მრავალჯერ რამინ მიყო? სიცოცხლე მომაწყინა რამინისა, ვისისა და ძიძისა საქმემან და ჯავრმან. დაპყრობილ ვარ იმა საძთა გრძნეულთად და ჩემისა ჳირისა წამალი აღარაა. არცა რცხუნეიან კაცთაგან და არცა ეშინიან ლმრთისაგან, არცა ვისი შეგონება ესმის და არცა დაქედისაგან ეშინიან. უსირცხუილოსა, რაცა მოუნდების, ველარა დააცილებს და შიში არა აქუს. მე თუცა ეგზომი დიდი კელმწიფე ვარ, ჩემგან უფრო ბეჩარა და ულონო ქმნილი არავინაა ქუეყანასა ზედა. ყოველსა ადამის-ტომსა მე სამართალს უზამ და ჩემი ბედი ათასსა უსამართლოსა მიზამს. ქაჯუენი გოლიათნი ჩემგან გაიქცევიან და მე ერთსა დიაცსა ესრე დაუძახუნებიერა! გარნა მე ყუელა ჩემისა გულისაგან მჳირს, რომელ მიჯნურობისაგან მტერნი დამიმოყურებიან და ყოველი ქუეყანა იმა მოყვინებულისათუის მინდა, რომელსა ჩემნი სისხლნი შესასუმელად ენატრებიან. აუგისაგან ჳირი ესრე გამშავებია, რომელ ხუთასისა ზღუისა წყალი ვერ დამბანს. ცალკე ჩემი ცოლი დამმტერებია და მისგან მზე დამბნელებია, ცალკე ძმა მალულსა მიზის კრმალ-ამოწუდილი და დროსა ეძებს ჩემზედა, რომელ, რა დრო პოოს, მტერისაებრ მომკლას. არ ვიცი, თუ რით იქმნების ჩემისა საქმისა ბოლო, ანუ რას მიზამს საწუთრო. დღე და ღამე ამისისა გონებისაგან უსულოსა ვჳგავ. რად ვეძებ მტერსა შორს: თუით შინა მიზის მტერი. კარისა დაკშუა რას შერგების, თუ წყალი ჩემი შიგნიდალმან ამოვა? სიბერისა ჟამსა ასეთსა ფათერაკსა შიგან ჩაჳრილ ვარ, რომელ მისგან საწუთრო დამვიწყებია. აწ ამად წასლვა მინდა და ვისის აჳა დაგდება. ვით შევიინახო? რვალისა ციხესა და რკინისა ბორკილთა გასტეხს რამინის ნახვისათუის. ამისგან კიდე ღონე არა ვიცი, რომელ რამინ თანა წავიტანო და ვისი მტირალი აჳა დავაგდო ციხესა შიგან აშქუფთიდეგნისა. რა ვისიცა ციხესა შიგან იყოს და რამინი ლაშქარსა, მათა შეყრა არ ეგებისლა. მაგრა ციხესა შენ შემოგუედრებ და შენ გინდა მოჳირვება და გაფრთხილება. შენგან კიდე გული ჩემი არავის მიენდობის, მით რომელ ყოვლითა ფერითა გამოარჩეული ხარ და ფრთხილი. თუით არ დაგუედრებ, თუ ვითა ქმენ. ვითაცა შენ იცი და კამს, ეგრეცა შეინახე ისი ორნი გრძეულნი. მას ციხესა შიგან რამინცა არსით შემოიპაროს. ესერა ორასისა დღისა სავალსა წავალ სახელისა ძებნად და, თუ რამინ რაითაცა ღონითა აწ ვისსა შეეყრების,

ყოველი ჩემი სახელი ცუდად წაკდების და აუგითა აივსების. თუ ორასი კაცი სახლისა მაშენებელი იყოს, ერთი ამოკრებელი ცუდ იქმს მათსა ნაშენებსა. მე სამნი გრძნეულნი შინ მიდგან, რომელ თუითო მათგანი ეშმათა ლაშქარს მოერევის გრძნეულობითა. თუ ათასი დევი მათ სამთა დაესხას, საქმიანობითა იგინიცა არად კუირან. ვითა იცი, მე ასრე შემკრეს და სიხარული გულისაგან წამიღეს, თმობისა საფარველი დამიხიეს, ყოველსა ქუეყანასა შიგან მომაყივნეს. აღელვებულსა ზღუასა შიგან მრჩუალსა კაცსა ეგზომი შიში არ გარდაჰკდია, რომელ ამათგან მე მკირს და გარდამკდიაო“.

ზარდს ია ესე შაჰი მოაბადისაგან ესმა, ეგრე მოაკსენა:

„ჰე მზისაგან უმაღლესო კელმწიფეო! ეგზომსა ნუ შეიჭირვებ; შეჭირვება კაცსა დაასნეულებს. ვინ იყოს ქუეყანასა ზედა კაცი ესეთი, რომლისაგან შენ ეგზომსა ჩიოდე და სტიროდე, როგორი ბრძანებაა ერთისა დიაცისაგან? აწ თუ გრძნებითა შავი დევიცა არის, მისგან უძაბუნესი ჩემსა კელსა არავინ იყოს. ესრე შევიწახავ, რომელ ქარიცა არსით ეცეს, მზემან და მთუარემან ვერ ნახოს; ვისმან კაცისა სახე ვერ ნახოს და არცავეისი კმა მოისმინოს. მას ციხესა შიგან თქუენად მოსლვამდის ესრე დავიჭირო. თუ მიბრძანო, მე იგი შენი ლამაზი ეგრე შევიწახავ, ვითა ძუირი კაცი ვეცხლსა შეინახავს; და ესრე საყუარლად დავიჭირო, ვითა სული, და ვიდრე ესრე არ გაუშვა, ვითა პურად კარგმან კაცმან სტუმარიო“.

მაშინვე შაჰინშა შუიდასითა დარჩეულითა კაცითა აშქაფუთი-ღევისა ციხესა წაიყვანა ვისი დედოფალი, ეგზომ მალალსა მათსა ზედა, რომელ თავი ცამდი იყო, ღამით სანთლისა ნაცულად მასკულავნი უნათობდეს და მეციხოვნენი მთუარისა ნადიმნი იყვნეს, და ცეცხლისა ნაცულად მზე ატფობდა. რა მოაბად ციხესა გაიყვანა ვისი, ცასა ერთი მზე სხუა მოემატა, ციხე მისისა პირისაგან დაშუენდა, ვითა აყუავებული წალკოტი. დასუეს ვისი და ძიძა ციხესა შიგან და ხუთი კარნი დაკლიტეს და დაბეჭდეს, და ციხე ზარდსა შეჭვედრა; ბეჭედი და კლიტენი თანა წაიტანა. საქურკლე რაზომი უნდოდა, ეგზომი დაუგდო და სასუამად-საქამადი, თუ უნდა, ასისა წლისა საყოფნელი. ვისის გასუენებათა თანა არა აკლდა რამინის სიშორისაგან კიდე.

რა შაჰინშა ციხისა გამაგრებისაგან მოიცალა, მარავსავე მივიდა. ლაშქარსა წამავალი შეეკაზმა. აურაცხელი ლაშქარი წაიტანა და ყუელა ესრე დარჩეული, რომელ უკეთესი ვეყანს არ იყო. რამინისაგან კიდე ყუელა მხიარულობდა, იგი მიჯნურობისა შეჭირვებისაგან მაშინვე გააცხროა: ვისის შეყრისაგან იმედი გარდასწყუედოდა,

სიცოცხლე მოსძულებოდა, არცა დღისით ჰქონდა თმობისა ღონე და არცა ღამით ეძინებოდა. უგულისნებოდ გასრულსა ლუიძლი სისხლითა ავსებოდა და გული ცეცხლებრ ეწოდა, — ესრე გასრულ იყო, რომელ მისთა მტერთა უხაროდა. მისი ღონე მისისავე გულისა საუბარი იყვის, ეგრე თქუის:

„ესეთი სიყუარული ვის ზედა მისრულა, რომელ წამსაცა მირიღება არა ჰქონდეს და არცა მოეშორებოდეს გონებისაგან? ვირე ამა მიჯნურობისა ჰირსა შინა ვარ, ჩემი სიხარული არსით ეგების. თუ მიჯნურობისაგან ეკალი ოდეს მცემია, აწ ესრე უძნელე ვარ, რომელ მოწამლული ისარი მასუია, რომლისა სიშორესა ვერცა წამსა გავსძლებ. აწ რათგან მას მოვშორდი, რად არა ამისსავე დასკუნასა თანა მოვკუედ! ესეთი შეუწონელი ვარ, რომელ რასალა ვსჭურეტ ქუეყანასა ზედა! რათგან უმისოდ დარჩომილ ვარ, ჩემთუის ესე უსანატრელესია, თუმცა უსულოცა დავრჩი. მე სიცოცხლე მისისა სიახლისათუის მინდა, მე თუალთა ჩენა მისისა ჭურეტისათუის მიხარის, მე ენა მისისა საუბრისათუის მიამების, მე კელნი მისისა სამსახურისათუის მინდა! აწ უბედურობითა ჩემითა რათგან მოვშორდი, აბეზარი ვარ ყოვლისა ღბინისაგან“. ესრე კუნესითა დაღონებულმან ქუე-ქუე სიმღერაცა თქუის: „გულო, თუ მიჯნური ხარ, კუნესოდი! იცი, რომელ მოჯნურსა სამართალსა არავინ უზამს, არავინ ეწყალვის მიჯნური, არვის ებრალეების დაჰირევებულობისათუის. თუ ვკუნესი, მართალ ვარ: მომაშორე სიხარულისაგან. მომწყუიდე მზისა სინათლისაგან. წყლულსა მარილი დამაყარეს და შარბათად ნავლელი მასუეს. თუალნო ჩემნო! წუიმდით სისხლსა, ნულარა რომლის დღისათუის სწყალობ სულთა! შეჩემებაცა მცრობს, არა ოდენ ტირალი, რათგან წუიმისაგან ქუეყანა აშენდების. მე ჩემთა თუალთა წუიმისაგან პირი დამქნობია, შეჰირეებისა ცეცხლმან დამილია გული და ღაწუთა ზედა გამდნარი ოქრო დამასხა. თუცა იტყუიან მამაციისაგან ტირილსა აუგად, ჩემგან ამით საკამსოა, რომელ ესეთისა მოყურისა სიშორესა ვიგონებო“.

რა შაპი მოაბად მოვიდა, რამინ მეტადრე დაიდანტურა ვისის ამბავი, ტკივილი ტკივილს მოემატა და ჰირი ჰირსა. რა თუალთაგან ცრემლნი გარდმოყარნის, ყუითლისა პირისაგან ჯანგნი ჩამოჰრცხის, იტყოდის მიწყით საბრალთა შაირთა: „მე იგი გულწყულელი ვარ, რომელ ყოვლისა რგებისა და იმედისაგან უღონოა. რა ჩემი მოყუარე გაციხონებულა, მუნითგან მე ათასითა ბორკილითა და ჯაჭუითა შეკრული ვარ. აწ, ქარო, მიაართუი ამბავი ჩემი და მოაკხსენე ვისსა ჩემავიერ თუ: უშენოდ შანთთა მრავალფერთაგან გული

დამდალია, თუალთა ჩემთა შენი სახე დარჩომია და ენასა შენი სახე-
ლი. შენსა სახესა ძილი წაუღია ჩემთუის და შენსა კსენებასა ყო-
ველი ლხინი მიუცილებია. მე ამა ჳირთაგან, თუ აღმასიცა ვარ, ვით
დავრჩები? უნახაობისა შენისა ჳირნი ჩემნი თუ ყოვლისა ქუეყანისა
კაცსა ზედა ვინ განყუნეს, იგინიცა ვერ მოითმენენ და მე ჰარტო
ესრე გაუკდივარ, რომელ თუ მნახოდა, ეგრე იტყუი, არ იგი არისო!
მე ამა ჳირისაგან შენად ნახვამდი ველარათ ვიკსენები“.

რა ესე საქმე იქმნა, მუნითგან რამინ ტირილისა და კუნესისა-
გან ესრე დამქლდა და გაკდა, რომელ თმისაებრ დაწუილდა და კუი-
რასა შიგან ისრისაებრ ტანი მშუილდად შეექმნა. შაჰი მოაბად არ-
ცა ეგრე დაავდო, შიშისაგან კუბოსა ჩასუეს და გურგანამდის წაიტა-
ნა შაჰინშამ. და რამინ ესრე გაკდა, რომელ მისისა სიცოცხლისაგან
იმედი გარდასწყუიდეს, ვითამცა ათასი მოწამლული ისარი გულსა
სობოდა. მოაბადს წინაშე დიდებულნი მივიდეს, რამინის დასაწყლება
და ეგრე ყოფნა მოაკსენეს. ქენებით ესე ჰკადრეს:

„ჰე კელმწიფეო, რამინ შენი ძმა არის და შეილი, ყოვლითა
ფერითა მისებრივ არავინ არის და კელმწიფესა ესდენი უკლები
ყმაცა მოუნდების, არ ძმაცა, მით რომელ მრავალჟერად საკმარი
არის“.

შეგონება: „თუ ლმობიერად ხარ და არ უწყრები, ესეთი ძმა
ერთისა თემისა ლაშქართაგან მოსაკრებელია შენთუის. ამისითა მიზე-
ზითა მტერობასა [არა] გკადრებენ და მოყუარეთა ერთგულობასა
მოემატების. ესე შენთუის ციხეა მაგარი, პილო ძლიერი და მწყრომი
ლომი. თუ შერაოდესუცოდებია შენთუის, შეგიწივიაცა. აწ ბარე ნუ
გაუახლებ ძუელსა მტერობასა და ნუ მოჰკუეთ ახალ-მოწიფულსა
შტოსა. ესრე გასრულა, რომელ სიკუდილი არა შორავს. აწ შეიწყა-
ლე, მოულმობიერი და ამა ბეგრისაგან დაკსენ, აქა დაავდე, ნუთუ-
მცა დარჩა. მგზავრობა მრთელთათუისაცა არა ჰამოა და სნეულსა და
უსუსურსა მეტადრე არ მოუკლების; გამოისუენოს, დია საწყლად
არის და, რა გამრთელდეს, შენითავე მბრძანებლობითა ხორასანს
წავიდეს, იგი წყალი და ჰაერი უფრო აშუენია. ესე ქუეყანა ხორშა
და უმაშნოა.“

რა დიდებულთა ესრე შეხუეწით მოაკსენეს, დაავდო გურგანს
და შაჰინშა კიდე წავიდა. იგი მუნ დარჩა და მაშინვე გამრთელდა,
ამით რომელ არა თუით რამე სჳირდა ჳირად. ზაფრანის ფერი პირი
გაუვარდდა, ვისის ნახვისა ლონეთა ძებნა შეექმნა, გულსა უკუამლო
ცეცხლი მოედვა და თმობა აღარა ჰქონდა. შეჯდა ცხენსა მარტო
და სწრაფით წავიდა. გზასა იადონებრითა კმითა მრავალჟერთა სიმ-

ღერათა მოიტყოდა, ისწრაფდა მოსაველად. ეგრე თქუს: „ვისო, უშენოდ სიცოცხლე არ მიაღების, არცა მოსუენება და არცა გულისა ნება მაქუს. შენსა ძებნასა შიგან მე ვერა შემაშინებს. თუ საწუთროცა ჩემი მტერია, თუ გზანი გუელითა სავსენია და ველთა თივა კრმალია, ქუიშა ლომი და ვეფხი, ღრუბელნი მეხიანნი იყვენენ, რომლისაგან დატეხასაც მოველოდე, და ყოველი ქუეყანა კრმალოსანი და ისრიანი ჩემი მებრძოლი იყოს, მე, შენმან მზემან, შენსა მძებნელსა ვერვინ შემაქცევს; და თუ შევიქცე, არ მამაცი ვიყო. თუ ცეცხლსა შიგან მიმბუდების შენი ნახვა, მისისა წუისა უშიში ვარ და, თუ ლომნია შენნი მცუელნი, ჩემი კრმალი მათი საპასუხოა. ორისა თუისა სავალი ერთ ბიჯად მიჩს შენისა ნახვისა მოლოდებასა შინა. არ მიკუირს, თუ შენი სანახავი გზა საშიში იყოსო, რათგან ელვა მეხიანი მთუარისა სიახლესა მოჰკლებისო“. ესეგუარსა რასმე მოუბნობდა და გზათა სიგრძესა ამით ამოკლებდა.

რა ვისი ციხესა მოიყვანეს და შაჰი მოაბად კიდე წამოვიდა, ვისმან სრულად დაასკუნევირა გულსა რამინის მოშორება და მისი ლაშქარს წასლვა, და მისგან მისისა ნახვისა იმედი გარდასწყუიდა, დღე დაუბნელდა და სიხარული გაუარმდა. მისი ვარდის ფერობა გააზაფრანა და თელთა მისთა მარგალიტი ხოვრიელად ამარტასა ზედა დაასხეს.

ლკ

ვისისაგან ტირილი წამინის მოშორე-

ბისათუის



რითავე კელითა პირსა ესრე უწყალოდ იცემდის, რომელ გაუისფრდა. ტანისამოსი მგლოვიარეთაებრ ლურჯი შეიმოსა მოყურისა გაყრისათუის. პირისა ხოკამან სისხლითა კალთა გაუწითლა, პირი მისი ტანისამოსისაებრ გალურჯებოდა, ტანისამოსი მისი პირისაებრ გასწითლებოდა. იზახნდა და ტიროდა, ძიძასა ეგრე ეტყოდა:

აწ რა ეკმნა ძიძაო? ჩემი სიყმე და სიხარული, საწუთროსა გამოსუნებდა და ლხინი ყუელა მიჯნურობისაგან გამკიდეგანებია, რომელ სიცოცხლე ჩემი აღარ ეგების. მე გული და თუალთა ჩენა რამინის სიყუარულისათუის ესრე შემეწირავს, რომელ აწ ყოველნი ჩემზედა გარდასრულნი ჭირნი დამნატრებიან. მე ესე გულსა ვერაოდეს მივეც, თუ ჩუენი გაყრა ოდესლაც ეგების, ანუ,—ვითა ჩუენ გუინდა,—არ მიწყით აგრე ვიხარებთ. გარნა ღმრთისა განგებამან, ვითა მაშინ სიყუარულისაგან სირცხუილისა ფარდაგი დაგუიხია, აწ ეგრე გაუგებელი გაყრა დაგუემართაო. აჰა საყუარელო და მიუცილვებელო რამინ, მე ვირე შენ გეახლე, ჩემი სიხარული თუით იცი. შენსა სიშორესა შიგან ჩემი სულთა-დგმა სიცოცხლედ არა მიჩს. ჰამოდ ყოფნა თუით რას ჰქუიან, ანუ გამოსუნებთა? ამით უფრო არ მიმცილდები ჟამსა და უჟამოსა, რომელ მტერსა ბრძოლისაგან მიჭირვებული შეგონები. ჯაჭუი კაბისა ნაცულად ტანსა გამძიმობს და მუზარადი—ჩაჩისა ნაცულად, და კრმალი ჭიქისა ნაცულად კელთა გაწყენს, და სიცხე მზისა გწყუავს, და აწყენს შენსა ნაზუქობასა ესე მიჭირვება. მტერთა სისხლი ესრე დაგიღურია, ვითა მოყურისა, შე-

ნისა სიშორისაგან მე თავსა რად დავემტერე, რომელ წადილნი და მბრძანებლობა არ მოვისმინე და არ წამოგყვე: ნუთუმცა შენისა ნაე-ლისა მტუერი მცემოდა! მაგრა თუცა ჩემი ტანი აქაა, გული ჩემი საშენოდ არ მოწყუედილა, შენსა გუერდით მგზავრობითა იქირვის შექირვებითა სისხლთა შიგან მრჩული. მეტად ნულარ მიიქირვებ, თუით რომელ დაგიმძიმებია. უშენობითა არცალა მისი გაძლება აქუს. არ ჰამოა მოყურისაგან მოყურისა უსაკუთრობა. შენ მას ნუ იქმ ჩემ-ზედა, რომელ არ შენისა პირისა მსგავსი იყოს. მომიგონებდი და ჩემსა ყოფნასა იკსოვნებდი. მაგრა ოდეს მოიგონებს მდიდარი ვლახა-სა? შენ ჩემისა შიჯნურობისა ცეცხლი ოდენ გენახა, აწ კუამლიცა გამოჩნდა. აწინდელმან გრძლად სიშორისა ტკივილმან აქამდინ ჩემნი ქირნი დამაეიწყნა. ნოეს რღნობისა ღრუბელსა ჰგავს ჩემი თავი. ამით ჯეონისებრ მდიდრად მდის თუალთა ცრემლი, გული ქირითა ამესია, შიგნით დატევისა ღონე არა მაქუს და გარეთ მაჩნია და სისხლისა ზღუასა შიგან ვილელვებო“.

მოსთქმედა ვისი და გულისა ტკივილისაგან ერთსა ადგილსა ვერ იყო. ძიძა სამისოდ მისოდნადვე იწოდა და ყუელასა თმობასავე ასწავლიდა.

ეგრე ეტყოდის:

შეგონება: „დათმე, არ ეგების მთმობისა კაცისაგან, თუმცა გულისა ნება არაოდეს მიახუედრა ღმერთმან. ყუელა ქირი დაი-ლევის კაცისაგან, და თმობისა ხე სიხარულისა ნაყოფსა მიწყით გამოილებს, თუცა უგულთა დათმობისაგან საბრისაცა ჰამა უფრო ეადვილებს.“

აწ მოისმინე ჩემი მოკსენება, და სთმობდი, თუცა ანაზღეუ-ლად გულისა წადილსა მიეწიო. ღმრთისაგან კიდე შენი რგება არა-ვის შეუძლია, ვერცავინ ამა პატიმრობისაგან გიკსნის. გული დადევ და თმობა მოილე, ღმერთსა ევედრებოდე და მოალხენდე შენთა მოახ-ლეთა. ნუთუ ღმერთთან მოიწყინოს ეგზომი ქირი შენი და გულისა თქუენისა ცეცხლი დაავსოს! ანდერძადცა ამის მეტსა ვერას მოგა-სენებ, რომელ მიწყით თმობასა გივაზირებო“.

პასუხად ვისმან ეგრე უთხრა:

„გულმან, უკუამლოისა (ეცხლისაგან დამწუარმან, თმობა ვით მიილოს? იგი სიტყუა გასმია, რომელ კაცი ვინმე შეავონებდა ვისმე და მან ეგრე უთხრა: ჰე მოყუარეო, შენ მეტად ნუ მიქირვებ, მე გულსა ესრე არ დამეკრვის, ვითა გუნბათსა ნიგოზი. რამინ ჩემგან უნახავი წავიდა და მისი მიცილვება ჩემგან ვით ეგების? შენი შეგო-ნება და დიდსა წყალსა იქით კიდი ჩემთუის სწორია. შენი გული

და ჩემი არ ერთი არის. შენ კალთა გეწუის და მე გული. შენ რა გაგვა, თუ მე ვიპირვოდე? შენ ეგრე მეტყუი, დათმობისა კიდე ღონე არა გაქუსო. ადვილია მხედველთაგან მეომართა. ქურეტა. შენ არას გაბრალებ: ცხენოსანი ხარ და მგზავრობისა კირი არ იცი; შენ მდიდარი ხარ და უღონობისა კირი არ იცი; მაძლარსა მშიერი ემთრეალების. შენ, ძიძაო, ჩემთუის დათმობასა გამოარჩევ და მივაზირებ; გკირსამცა ჩემებრ შენცა ესრე თავუწევრქმნით ხელობა, რაძინ უფრო უთმინოდ იყო! უგულოსაგან თმობა არ ეგების. თუ მებრძოლსა ღომსა გულსა ძალა არა აქუს, მასცა მოერევის მელი მისითა სიჯაბნითა. ნუ გგონია, თუმცა ესე კირი და ზახილი საჩემოდ მეადვილებოდა, ანუ მიამებოდა და თუალთაგან სისხლისა ცრემლისა დენა არ საწყინოდ მიჩნდა. არავის უნდა გონებიანსა თავისა კირი და უბედურება. ამა უბედურებისა ქა შენ მითკარე შენითა საქმიანობითა, შიგან ჩამაგდე და აწლაჰამოდ და შეუჭირვებლად ზედა მოჯდომილ ხარ და ეგრე მეტყუი: დათმე, ღმერთსა ექენებოდე, მისგანვე კიდე შენი ღონე და ამა ადგილისაგან მკსნელი არავინააო. ადვილია ნაბდის წყალსა შიგან ჩაგდება. მაგრა გამოღება საძნელოაო“.



რამინისაგან მარავიდაღმან საქაფუთიდე-

ვანს ვისის შესაყრელად წასლვა

ა რამინ გურგანით მარავს მივიდა, ვისი მუნ ველარა პოვა. მისისა სიხარულისა ვენაკი გამკმარი ნახა და წალკოტი უყუავილო. დარბაზსა შიგან ქუეყნისა მზე აღარ დახუდა, არცა საჯდომი მისთა თმა-თა სურნელობისაგან სავსე გაიცადა, არცა ქალაქი პირველისაებრ მონარული დახუდა. თუ სთქუა, დარბაზი და მიდამო რამინის გულისაებრ უვისობისათუის ტიროდა. იგი ჰამო დარბაზი, მისგან გასახარებელი, საკნად აუჩნდა და შექირავებითა, ვითა ბროწეული ქერქსა შიგან, გასქდა, ტიროდა სულ-შეუღებლად; გაზაფხრანებულსა პირსა ზედა მარგალიტსა აწუიშებდა. მისსა საჯდომსა ზედა პირი დასდვის და, ვითა იადონი ვარდსა ზედა, ეუბნებოდა და კუნესოდა და საბრალოდ მოსთქუმიდა. ეგრე თქუის: „დარბაზო, შენ იგი ხარ, რომელ ცისაებრ მზისა სიახლესა დაეშუენე, რომლისა გონებითა მე ცნობანი წამსლვიან! მიწა მისისა პირისაგან დაშუენებულ იყო და ჰაერი მისითა სურნელობითა ავსილ იყო, ვით აწ გული ნავლლითა მიწყით ავსილაო. უცხოფერთა კმითა მომღერალნი მუტრინნი მსუემელთა სიხარულად იმღეროდინან: „დარბაზო, შენ აღარა იგი დარბაზი ხარ, რომელ ყოვლითა ფერთა უქლები იყავ! შენსა კარსა ზედა ველისა ნადირნიცა თამაშად მოვიდიან და კაცთა მონატრეთა კარი იყვის. მე ველარ ვჰნახავ შენშიგან მასკულავსა, მთუარესა და მზესა, რომლისა სიშორითა დამბნელებიან სახედავნი! საწუთრომან უხანობა შენზედა ჩემებრ მუხთლად ქმნა, წაგილო სიხარულისა დღე, ვითა მე გულისა ნება და თმობა. სადალა იგი უამი ჩემთუის, რაოდენი აქა გამიხარებია ანუ ოდესლამცა ეგებოდა ჩემთუის, თუმცა მე ეგრე მხიარული შემოლავედ? აქა ესრე ყოფნასა შიგან ათასსა წელიწადსა ერთი იგივე დღე ღმრთისაგან უფრო სანატრელად მიჩსო.“

მოსთქუჰიდა და ტიროდა. უიმედომან ეგრეცა გამოიარნა ქალაქისა კარნი და მიაპყრა პირი მას ციხესა, სადა ვისი ჯდა. ესრე სწრაფით წამოვიდა, რომელ დღე და ღამე იარა. დია ბნელი იყო ღამე, ოდეს ციხისა ძირსა მივიდა, თუცა მას და ვისსა დღისაგან იგი ღამე უფრო გაუთენდა. ვერცა გუშაგთა ნახეს სიბნელითა. იცოდა რამინ დარბაზი, რომელსა შიგან იყო. მუნით ძირსა მივიდა, მოიკმარა მეცნიერება, რომელ ყოველსა ქუეყანასა არ იყო მისებრ მშუილდოსანი. შესტყორცა ცერ-მართალი ისარი მას აღვილსა და ეგრე უთხრა: „სუიანიმცა ხარ ჩუენთუის უსულო მოციქული, ყოველგან სულისა წაღებასა მოციქულობ და აწ ჩემსა სულსა სულისა შეყრა ახარე!“ ისარი მართლად წაეჭადა და ბანთად ვისის საწოლსა ჩაიჭრა. მასვე წამსა ძიძამან აილო, იცნა და სიხარულითა აიესო. ვისის მიართუა. ეგრე მოაკენა:

„ნახე სუიანი ისარი, მოციქული, რამინისაგან მახარობლად გამოგზავნილი, რომელ ნიშანი აქუს. აქათგან ნულარა ხარ შექირვებით, ღმერთსა ჰჰადლობდი და მოყურისაგან იხარებდიო.“

ვისმან ნახა ისარი და რამინის სახელი ზედა წაიკითხა. მეტისა სიხარულისაგან, ვითა გული მოსცემდა, ეგზომცა სიხარულსა ვერ მიაგებდა, აკოცებდა, უყუოვებდა და ეტყოდა: „ჰე სუიანო რამინის ისარო ჩემო და სულთაცა საჩიეო! ყოველი კაცი შენგან დაიკოდების და მე დაკოდებობისაგან წყლულსა მალამისაებრ მერგები. მოციქული ხარ შენ მისთა მკლავთა, რომელთა მიწყითმცა იკმარებს... იაგუნდისა პირსა დაგაგებ და ოქროისა ხალასისა კილოსა გულისა ჩემისა ქარქაშსა შეგიქმ, ამით რომელ შენი პატრონი გამხიარულდების. თუცა მისითა სიშორითა ათასითა შენებრითა ისრითა წყლული მდგმია, აწ: რა შენ მოსრულ ხარ, მუნითგან პირ-აღმასობა მათი ღზინად შემცუალდება. ისარი მკურნალი შენგან კიდე არ მინახავს, არცა შეთულილობა შენსა უამესი მასმია“.

რა რამინ ისარი გასტყორცა, მერმე საგონებელსა ჩაიჭრა: „ნეტარ რა იქმნა ჩემი ისარი? სად მწადდა, მუნ მივიდა ვითა, ანუ ნუ უნებლიე რაიმე დაემართა და სხუამან ვინმე აილო? თუმცა იცოდა ვისმან ჩემი საქმე, ათასსა ღონესა ეძებს ჩემისა ზე-გაყვანისათვისაო“. მაშინ გულსა შიგან ეგრე თქუა: „გულო, გაწირე სული, ნუ ვისგან გეშინიან! ღმრთისა ყოვლისა დამბადებლისა ძალმან, აქათ არ შევიქცევი, ვირემდინცა ანუ არ მოვკუდე, ანუ გულისა ჩემისა წადილსა არ მივჭხუდე. თუცა ამა ციხისა ზღუდე რკინისა იყოს, ჩემისა გულისაებრ გაკურვებული, მიდამო ყუელა მოწამლული, კლდისა თაენი—ასპიტისა გუელისანი, მეციხოვნენი მათნი დევთაებრ-

ნი, ვერცა ვერე შემაქცევენ. შეწევნითა ღმრთისაითა და მკლავისა ჩემისა მინდობითა ვერცა ვეცდები ვისის გამოყვანასა და ჩემისა გულისა წამლებისა კულა შეყრასა. მე ვირე ცოცხალ ვარ, ვისისა ძებნისაგან კიდე არა საქმე მიცს. მე რაზომცა დიდნი მტერნი მებრძოდენ და მათი გული საჩემოდ მოაბადისა და ზარდისაებრი იყოს, არცა ვერე დავერიდები. მაგრა ივინი ცეცხლია, ერთისა გუარისანი ვართ და შეატყუებენ კაცსა სიკეთე-სიავესაო“.

აქათ რამინ ღონეთა ძებნითა საგონებელთა ჩაქრილ იყო და იქით ვისი ბადესა დაბმულ იყო სიყუარულითა. მისი ენა რამინს იზახდა და აგრევე უთმობად მისი გული ეძებდა რამინს. მუნ სიცივეთა შიგან ყოფნა და მისგან მისი მუნ ვერ-სიახლე გულსა ლახურად და შანთად ესობოდა და მისისა შეყრისა ილათსა ეძებდა.

ძიძამან ვერე მოაკსენა:

„ჰე დედისა სულო! ეტლი და ბედი, ყუელა შენ გიშუელის, და ესეცა შენისა ბედისაგან ისეთი სიცივეა, რომელ ყინვისაგან კაცისა ველთა ყოფნა არ ეგების. გუშაგთა და ციხისა მცუელთა ყუელთა შიგან შეუღრიდებია სიცივისაგან. ორჯერ ოდენ გარდგომილან გუშაგნი და შინავე შესულან ყინვისაგან. რათგან ესრეა და გუშაგნი ბანთა ზედა არა სხენან, ჩუენგან ყუელა ადვილად ეგების. რამინ აქა ჩუენსა სიახლესა არის, თუცა სიბნელითა არა ჩანს. მან იცის, რომელ ჩუენ ამა დარბაზსა შინა ვართ. დია ყოფილა ამა ციხესა შიგან უმოაბადოდ და ათასი გზა იცის გამოსავალი. ეგე სათამაშო სარკუმელი ერთი გავაღოთ და სანთელი ავანთოთ. იგი გარედამან გუნახავს და ჩუენსა სიახლოესა მოვა. და მაშინ მისი გამოყვანა ეგებისო“.

რა ესე თქუა, სანთელი ანთო ძიძამან, მისითა გრძნებითა დენიცი დააბორკილა. რა რამინ სანთელი დაინახა, გამზიარულდა და მიმპართა. შეიგნა, რასათუისაც ანთო სანთელი და, ვითა შეეარდენი, კლდესა ზედა გავიდა. [ბრძენსა] უს,ქუამს,—ასრე იქმნების მიჯნურისა გული: არცა ჳირი ეჭირვებოდა და არცა ჳიანი ჳიანად. მოყურისა ძებნისათუის სჯულსაცა დაადგებს, მიიქცევის. გზისა სიგრძე მოკლედ, და კუშტი ღომი მელად უჩს. მიჯნურობისა სიხარბე ასე გაჰკდის, რომელ უნაყოფო მინდორი ვენაკად, მთა თმად უჩს და ზლუა რუდ. აშოკობისად გულისაებრ მისყიდული არავეინაა, მით რომელ გულსა საბჳოსა არავეინ წაიყვანს. მიჯნურობამან სიკეკლუცე და სიდუხჭირე არ იცის, მით რომელ ცნობა მიჯნურობისა ბრძობით ეყვის.

რამინ რა ახლოს მივიდა კედელსა ზედა, ვისმან დაინახა ჳეიდალმან და ბერძული სტავრა ორმოცი და სხუა, რაცა ჳოეს, დაგრი-

ხეს ორკეცად და მაგრად ერთმანერთსა გამოანასკუნეს, ჩაუშვეს. მოეკიდა რამინ და ზე გავიდა ვეფხისაგანცა უკისკასედ. რა ციხესა ზე გავიდა, მზე და მთუარე ერთგან შეიყარნეს და ერთმანერთსა ასრე მოეხუივნეს, ვითა ერთითა ჭიქითა სძე და ლუინო, ოქრო და მარგალიტი ერთგან გაერია, მუშკი და ამბარი ერთად შეეზილა, ღამე ბნელი განათლდა, ვითა დღე. და ზამთარი გაზაფხულდა მათთვის. ორთავე მიჯნურთა გულმან გაისუნა შეპირებებისაგან. გულისა და მონაცემთაებრ მოეხუივნეს ერთმანერთსა, მოჰკოცნეს ერთმანერთი და მერმე საწოლს შევიდეს; საკამადი და ლუინო მოიღეს. ზოგჯერ თავისა გარდანაკადსა უბნობდეს, ზოგჯერ ერთმანერთსა ეხუეოდინან. ღამე ბნელი და ცივი იყო, გარნა მათთვის სამგუარი სანთელი ენთებოდა: შეყრისა სიხარულისა, მათისა პირისა სინთლისა და ლუინისა. სიწითლისა. სამნი მოყუარულნი ერთგან შეყრილ იყვნეს, სუმიდენ და იხარებდეს მათისა ნებისაებრ. გარეთი კარი დაკშული იყო, მორქმით და გულდადებით იყვნეს. არცაღა ამისი საეჭუი ჰქონდა, თუ გუიგრძნობს ვინმეო; არცა ამისი შიში თუ—ჩენი გაყრა ოდესმე იქმნებისო და სიხარული შეპირებდად მოგუეკცევისო. მათ ერთი ღამე ეგრე ყოფნასა შიგან ერჩია შორს ყოფნასა შიგან ათასისა წლისა სიცოცხლესა. რამინს რა გულსა საწადელი აუსოულდა,— ვითარი სწადდა, ეგეთი ყოფნა პოვა,— დაიწყო სიმღერისა თქუმა მისებურითა ჰამოითა კმითა და იტყოდა:

„რა გაგვა გულო, თუ მიჯნურობითა ჭირი ნახე და უნებელნი საქმენი დაგემართნეს! უჭიროდ ლხინი არ ეგების და არცა უმისოდ ესრე. ჰამოდ ჯდომა ეგებოდა და სიხარული. ჭირ-უნახავად კარგი სახელი არ იპოვბის. თუცა მიჯნურისა ძებნისათვის ზღუა გაიარე, შეყრითა თუალი პატიოსანი ჰპოე; სიშორითა თუცა ნავლელი არ გაკლდა, აწ ნაყოფი ლხინიანი გაქუს. გულო, გივაზირებდი, დათმე, ყოვლისა ჭირისა ბოლო ლხინი იქმნებისო. რა-კაცმან ჭირსა შიგან დიადი ხანი დაყოს, მერე ლხინისათვის ღმერთსა უფრო ჰმადლობს. აწ მე ვარ ჯოჯოხეთისაგან კსნილი და სამოთხესა მხიარულად მჯდომი. სიყვარული დავთესე და სიხარული მოვიმკე, ელვარე მთუარე სიყუარულითა მომეკცა. არა გამწირავ-ვექმენ და არ მივაცილვე წამსაცა მოგონება. ყოვლითა საქმითა გაუსაკუთრე თავი და მითცა საწუთრომან მე არ გამწირაო“.

ამა სიტყუასა ზედა ადგა ვისი და მოყურისა სახელსა ზედა აივსო ჭიქა, კელთა დაიჭირა და ეგრე თქუა:

„ჩემისა რამინის სახელზედა ვსუამ ამას, სიყუარულისა მძებრისა, მოყურისა არ გამწირავისა, ჩემისა იმედისა, თუალთა ჩენისა-

ვან უფრო ნათელისა! მე მისგან ესრე იმედიანი და მხიარული ვარ, რომელ ადამისითგან არავინ ყოფილა ესრე მოყურისაგან იმედიანი. სიკუდილისა დღემდინ ვიქმნები მოუწყუედლობისა მისისა მკევალი, მისსა სახელსა ზედა გუელისა ზარი უკუდავებად მეოგებისო“.

მაშინვე შესუა იგი ქიქა და რამინს აკოცა. იამებოდა რამინს ვისის საუბარი, ხალვათად სუმა და მუშკისაებრ სურნელისა მოყურისა თმათა მოკიდება. იასპსა, მუშკსა, ბროლსა და ბროწეულისა ყუავილსა სჭურეტდის. მწარე აკაკი დავიწყდა ტკბილისა იავუნდისა სიხარულითა. ყოველთა ღამეთა ცისკრამდის საგებელი ვარდიანი და სასთაული მზიანი ჰქონდა. დილასა რა გაიღუძიან, სუმითა, სიხარულითა და სიმღერითა დასხდინ. რა ვისის ქიქა კელთა ჰქონდის, რამინ სიმღერად ეგრე თქუის:

„ფეროანი ღუინო გულისაგან ჯანგსა ამოჰკოცს, მოყურისა სიახლესა შიგან მისგან მოციქული ღუინოა! ფეროანი ღუინო სიყუითლესა ფეროვნებად შემციქულის; მიჯნურობისა ქირისა წამალი არის, მიჯნურობა მტუერი არის და ღუინო—წუიმა, ქირისა განმაქარებელი, სიხარულისა მომმატებელი. დღეს ბედნიერობა ჩემსა ჰქუიან. მე მიშუელის ღმერთი და სუე ჩემი, რომელ გულისა ჩემისა წამლები წინა მიზის. ზოგჯერ დავწუები იასა და ვარდსა ზედა, ზოგჯერ სოსანსა, ამბარსა და მუშკსა შუა, ბაგე ჩემი ფეროვნისა მუშკისაგან შაქრისა უტკბოსა ღალსა ინადირებს. წალკოტსა ჩემსა შიგან წითელი ვარდი ყუავის, ნებისა გზასა მოსლვითა მე დია ემხიარულობ. მე იგი შავარდენი ვარ, რომელ მაღლად ფრინვითა ცისა მზისაგან კიდე არას ვინადირებ. ჩემი ნიშატი ლომი არის ქანგ-ოქრო, რომელი ჩემსა სულსა შეიპყრობს. ყოველთა დღეთა მოყურის პირსა და თმათაგან საპალნითა ვარდსა, სუმბულსა, მუშკსა და შაქარსა ვჰკრეფ. არ მომინდების წალკოტი მისისა ელვარისა პირისაგან, არ მომინდების თამაში, მით რომელ ესე ადგილი ჩემთუის სამოთხესაცა უამეა. რაცა ღმერთსა სიამოვნე დაუბადებია, ყუელა ჩემთუის აქა არის. მზე არის ნადიმი ჩემი და მწუდე ჩემი მთუარყ და მით ვარ მხიარულიო“.

მერმე ვისსა ჰამოითა სიტყუითა ეტყუის:

„მასუი ღუინო, ღონეო, შენითა ხელითა ვარდისა ფერი, შენისა ღაწუისა მსგავსი, შენისა პირისაებრ სუიანი! ამის უამესი ჟამი აღარ ეგების, აღარცა შენისა პირისაებრი გაზაფხულიო! რა ვიცით ხვალისა წინამდებარე? მოედ, რომელ თავისა კერძი სიხარულისა ნაწილი ავილოთ დღეს, ხვალე დღესისსა ვერ მივეწევით. არცა შენ

გწადიან ჩემი მოწყუედა და არცა მე შენსა მიჯნურობასა გავეყრები. კამს სიხარული და გულისა ნება! რა ვიცით, ღმერთსა ჩუენსა თავსა ზედა რა გაუგია,—ასრე რომელ მოაბადს შენ აქა ციხესა შიგან დაუქედისხარ და მე სნიული გურგანს დაუგდივარ, ამისა არ მცოდნელსა, რომელ ღმერთსა ჩუენი შეყრა ცათავე შიგან გაუგია. ვის შეუძლია დამბადებლისა ღმრთისაგან კიდე ამისი ქმნა?!”

იგინი ცხრასა თუესა ამაშიგან იყენეს, ჟამსა და ჟუამოსა მზიარულნი და ნიშტიანნი; არ დაშურეს სიხარულითა და სუმითა. ჰქონდა შიგნით თუნდა ასისა წლისა განსასუენებელი სასუმაღ-საქამადი; გარეთ არა მოუნდებოდა კარისა გასაღებლად. ნახეთ, რაზომსაცა ხანსა გულისა ნება და სიხარული გამოიწუადეს გულისაგან და აიყარეს ჯანგი! არცა მოსძულდა რამინს ეგზომი სიხარული და არცა ვისსა რამინის სიხარულითა ნიშტიანობა მოეწყინა. ერთი სული ორთა ტანთა შიგან დამკუიდრებულ იყო, რომელ არა იყო მათი შესაქცევეარი ერთმანერთისა საუბრისა, მიჯნურობისა და სცყუარულისაგან კიდე. იხარებდეს ერთმანერთითა; ეჯობნა მობურთალთად და ღუინითა მოერწყო სიხარულისა ნერგი.

ციხისა კარი, ვითა ჭირსა, დაეკშა, მათი ხუაშიადი ქუეყანასა შიგან არაგინ იცოდა, რომელ მარაგეს შიგან ზარნაგეს ხაყანის ასულმან იცოდა. გუარინი იყო და სიკეკლუციითა კარგ იყო, ტურფათა საპატრონო პირი მისი მზესა ჰგუანდა და გრძნეულთა უხუცესი იყო. მისითა კელოვნებითა და გრძნეულობითა ეგზომ მაგალითი იყო, რომელ ბასრისა გურდემლისაგან გარდსა ააყუაგებდა.

ოდეს რამინ მარაგეს ქალაქს მოვიდა, მოაბადის დარბაზი მოიარა და ყოველსა კაცსა ვისის ამბავსა ჰკითხუიდა. რა მისი ციხესა მყოფობა ცნა, ვითა ზემო მითქუამს, ეგრე უცნობო იქმნა, თუალთაგან დიჯლა იდინა, პირი ცრემლითა დიბანა. რა არცა თუალითა ვისის შუენვარე პირი გაიცადა და არცა ჰამო საუბარი მოისმინა, ვისის ძებნითა გახელებული შმაგურად ცურვიდა ქალაქსა შიგან და სწრაფით, სადა ვისი იყო, მას ციხესა მიჰმართა. ვეფხსა ჰგუანდა სიფიცხითა და მიჭირვება არად უჩნდა, კლდესა შიგან. ქომისაებრ აღმა-ჩაღმა რბოდა, ზოგჯერ ესრე მთასა გავიდის, რომელ თავი ღრუბელსა მიუწუდის და ზოგჯერ ქუე ჩავიდის, ვითა იოსების ორმოსა.

ესე გრძნეულმან ზარნაგესმან იცოდა, რომელ რამინ მუნ წავიდა და მისისა ჭირისა წამალი ვისის ნახვისაგან კიდე არა ეგებოდა; და გულსა შიგან მოაბადის საამბობლად დაისწავლა ხაყანის ასულმან.



მოაბადისაგან ცნობა ვისისა და რამინის

ერთგან შეურისა

აკელმწიფე შაპი მოაბად გამარჯუებული ღ მხიარული ლაშქრობისაგან შემოიქცა,—მას ვითა სწადდა, ეგრე ქმნილ იყო მისი საქმე,—მოვიდა თავისა სახლსა ხორასანს, და მარავს ქალაქს შემოვიდა. ერთობით რანის ქუეყანა და სომხითისა წაელო, და მძევალნი და ხარაჯა ბერძენთა მეფისა, კეისრისაგან, აელო, ყოველთა ხელმწიფეთად მორეულ იყო, მტერთა ზედთ მოქცეულ იყო. სიხარულითა ერთობ ცათა გასწუდებოდა მისი ზარი და ზეიმი, მიწა მისთა ლაშქართა სიმრავლესა ვერ იტევდა. რა ლარი მისი ერთგან შეყარა მათაგან უმაღლესი გორი შეიქმნა ლარისა, თუ სთქუა, ცათად მიდგმულაო მისითა სიმაღლითა, და თავისა სილაღითა ბედისათა კელმწიფეთად ბურთი წაელო, ჰელა მისი იყო და ჯობნა ყოველთა კელმწიფეთად ყოვლისა ქუეყანისა ლაშქარნიცა იყენეს მისსა კარსა ზედა და მძევალნიცა. ყოველთა კელმწიფეთა კელმწიფედ ქმნილ იყო და მისისა თავისა. სწორი სხუა არავინ იცოდა ქუეყანასა ზედა.

რა ესდენ მხიარული და გამარჯუებული მივიდა მარავს ქალაქსა, სიხარულითა ზრუნუად მოექცა: ზარნაგეგან რამინის ამბავი ესმა, გული სისხლითა აეცო და ტუინი მისი გულჯარბობისა კუამლისაგან დუღდა. დიდხან ეგრე გატეხილი ჯდა. მერმე ჯავრისაგან გაყუთილებული ზე აიჭრა, ლაშქართა აცნობა, წასლვად კულაცა აწუიენა, კაზმა დაიწყო. ასაყარსა ჰკრეს. დიდებულთა და ლაშქართა შეიგნეს ვზასა წასლვა. ბუკმან მოაბადის დარბაზსა ტირილი დაიწყო თუ „აკელმწიფეო, ეგზომი მგზავრობა არავის შეუძლიაო“. აგრევე დუმბულმან ზახილი და კუნესა დაიწყო ვისისა და რამინის გაყრისა-

თუის: „ეი თუ მოყუარულნი გაიყრებიანო“. ციხესა შიგან, თუ სთქუა, რამინს გულმან უგრძნა, რომელ ეგდენ ჰამო ყოფნა დაუმწარდებოდა.

შაჰინშა მივიდოდა სწრაფით რამინის სიკუდილისათვის მოაწრაფე და ლაშქარნი ყუელა მისთვის მისი მომღურავენი იყენეს, რომელ ჯერეთ ნახევარნი არ მოსრულ იყენენ შინა; ერთისა წლისა ბეგარქმნილთა ჯერეთ სარტყელი არ შეეკსნა და მუზარადი არ მოეკადა, რომელ კულა ციხისა საძნელოსა გზასა აწუიენეს. ზოგნი ასრე უზრახევდეს: აწინდელი ბეგარა რად არ გუეყოფოდა, რომელ აწ სხუაგან გუაწუიენესო? ზოგნი ამას იტყოდეს თუ: მუნამდის მგზაერნი ვართ, ვირემდის ვისსა რამინისაგან დავსცუიდეთ, დია ცხენოსნობა გუინდაო. ზოგნი ეგრე იტყოდეს ვითა: დია უჯობს, თუმცა რამინის ნაცულად ათასი ბერძენთა მეფეთაებრი უწინდაო. ათასსა რასმე იტყოდეს.

მოვიდოდა შაჰინშა ფიცხლად ლაშქრითურთ, ვითა ქარი, მისთა ლაშქართა მტურერი ღრუბელთამდის გაიწეოდა. ციხესა საგუშაგოდ გუშაგმან მტურერი დაინახა, მაეიდა და ზარდის მოაკსენა: „მტურერი ჩანს, რომელ ცად გაიწევისო და ულონიოდ შაჰინშა მოვა, თუ არა ეგზომ დიდი მტურერი სხუაებრ არ ეგებისო“. ციხესა შიგან კმა და შფოთი შეიქმნა და ბრუალი შექმნეს, ვითა ტირიფისა ხეთა შიგან ქარმან. ზარდი ჯერეთ წინა არ მიგებებულ იყო მოაბადისთუის. მოაბად რა ციხისა კარსა მოვიდა, გული მტერობითა და ნავლლითა სავსე ედვა, შეუზახნა წყრომით ზარდსა და ეგრე უბრძანა:

„ჰე ჩემთა ქირთაგანცა უფროსო ქირო! ღმერთმან დამბადებელმან მიკსნას თქუენ ორთა ძმათაგან! კაცობისა ჟამსა ძალლიცა გჯობს: ძალლი პურსა მოიგონებს კაცისაგან და თქუენ არცა მას. ოდეს ღმერთმან თქუენ დაგბადნა, არ ვიცი თუ მაშინ რა ეტლი ყოფილა! ერთი გრძნებითა ეშმასა სწორი და ერთი სირეგუნითა ზროხისა მსგავსი და ვირისა. შენ ნახირსა შუა ჰკამ, ზროხათა შიგან, ვისსა რამინისაგან ვით დასცევდი? მე ღირს ვარ რაცა აუგი წამეკიდოს ყუელასა, რათგან ციხისთავად ზროხა დამეყენე. შენ ლაფლად ჰზი, გარე კარი დაგიკშავს, ეგრე გგონია; თუ კარგი გიქმნია ანუ ჩემისა სამსახურისათუის მოგიკირვებია. შენ მანდა ჰზი და ზროხისაებრ ჰყუირი სირეგუნითა. ესე ვერ გიგრძნია, რომელ მალვით შიგნიდალმან შენზედა იცინიან, ვითა სწადიან, რაძინ ეგრე იხარებს; და გარეთ ყოველმან ქუეყანამან იცის ესე ამბავი. საშურეველია შენთვის შენი საჯდომიო!-“.

ზარდმან ეგრე მოაკსენა:

„ჰე სუიანო კელმწიფეო! ვაშად ბრძანებ, მრავალი წელიცა გზისაგან მხიარული მოხუალ, ნუ დაიღრეჯ ტუდისა საქმისათუის,

ნუ შეუშვებ ეშმაურს საქმესა გულად. შენ კელმწიფე ხარ მორკმუ-
ლი და ავისა და კარგისა თქუმა შეგიძლია. თუ მართალი იცოდე,
ვერასაინ გკადრებს, და თუ ათასჯერცა მრუდი ბრძანო, ვერცარა-
სა ვინ ეგრე შეგეცილების, თუ არ ეგრე არსო. შენ ეგეთსა რასმე
მაბრალებ, რომელ საგონებელად არ მომსლვია. თქუენ რამინ აქათ
წაიყვანეთ, მე რა გლახ ვიცი, თუ რა იქმნა? არ შავარდნი იყო,
რომელ საბერძნეთით აიმაღლოს და აქა ჩამოფრინდეს; არცა ისარი,
თუმცა ამას ციხესა მით გამოსრულ იყო. ვით გამოვიდა რამინ? ნა-
ხე თქუენითა ბექდითა დაბეკდული კარი დაკლიტული; ერთისა წე-
ლიწადისა მტუერი ზედა ძეს./ ასეთსა ციხესა, რომელ კარი და ზღუ-
დე ყუელა რვალისა არის, რამინ ვით გაგიტეხდა? ყოველთა შემო-
სავალთა და გზათა გუშავნი დღე და ღამე დამიყენებინ, ეგრე მი-
ცავს. თუ რამინ გრძნეულიცა არის და ათასი ღონე იცის, აქა შე-
მოსლვა არცა ეგრე შიუძლია, და თუ ესე კარები გააღო და დაღე-
წა, თქუენითა ბექდითა კულა ვინლა დაბეკდა? ნუ დაიჯერებ, კელმ-
წიფეო, ესეთსა ცულსა სათქუმელსა. ნუცა თქუენ დაიღრეჯთ და
ნუცა ჩუენ დაგუკოცთ. ეგეთსა ნურას ბრძანებთ, რომელ ცნობილ-
თა არ მოეწონოს და ცნობამან ერთ ქრთილად არ იყიდოს იგი
გონებოა“.

შაჰინშა ეგრე უბრძანა:

„ზარდო, ბედიტსა რას უბნობ? კარისა და ბექდისა მიზეზსა
ვირემდის იტყუი, მე რასალა მერგების ამისი სიმაგრე? შენ არ გაფ-
რთხილებულ ხარ. ციხისა და კარისა მცუელნი ფრთხილნი დია სჯო-
ბან კლიტესა და ბექედსა. თუ ღმერთმან ცა მაღლად დაბადა, ზედა,
მასკულაენი ეგრეცა მცუელად დააყენა. მე ესე ბექედი რას მერგე-
ბის, რომელ ნიფხავსა ხონჯარი არ მიგდია? ხონჯარსა რას ირტყამ,
თუ ნიფხავი არ გაცუია? რათგან ესე შენებრსა უგუნურსა შევკვიდ-
რე, რაცა ერთსა წელიწადსა სახელი ვქმენ კრმლითა, ყუელა შენი-
თა ნაქმართა ჩემად აუგად დაზაჩნდა. დია ნათელი იყო ჩემი დარ-
ბაზი ჩემის სახელოვნობისაგან, მაგრა აწ კარი და კედელი მისი
ყუელა დააშავე და აბნელეო“.

რა მოიწყრომა, ცოტა ხანი გამოკდა; მოგუისაგან კლიტე ამო-
იღო, ზარდსა მიუგდო, ეგრე უბრძანა:

„გააღე კარი, თუმცა ამისი ქონება ჩემი წყალსა იქით ხილი-
საებრ უსარგებლო არისო“.

კარისა რეხუება ესმა შიგნით ძიძასა, ყური მიუპურა, მოაბა-
დისა და ზარდისა კმა და საუბარი ესმა, შიშითა ათრთოლდა, მი-
ვიდა, ვისსა და რამინს ეგრე მოაკსენა:

„აღმოსავლეთით ჩუენთუის უბედურობისა მზე აღმოჰკდა:—შა-
ჰინშა მოვიდა შავთა ღრუბელთაებრ; ჩუენთუის ელვა-ქუხილი გამო-
ჩნდა და ჰირისა მათისაგან ღუარი დაიწყებს დენასა. აწ ვჰნახავთ
ცეცხლსა ქუეყანისასა დამწუელსა, რომელ მისმან კუამღზან დღე
ნათელი დაუებნელოს და ჩუენი საქმე მას თან არად გავიდო-
დესო“.

შიშითა გატყდეს ადგილსა ზედა სამნივე და აღარა იცოდეს
რამცა ქმნეს. ამისგან კიდე ღონე ველარა მოიგონეს, რომელ რამინ
მუნითვე ქუე ჩაუშვეს, სით ამოეყვანა. თუცა მას ვისის მოშორებდა-
სა მუნვე სიკუდილი ერჩივა, გულითა შეშინებულთა და სახელითა
აუგინითა მივიდოდა კლდეთა შიგან, ტიროდა მოყურისა გაყრისა-
თუის და თმობისა კიდე ღონისა აღარაის ქონებისათუის. ცალკე ვი-
სისათუის ეშინოდა მოაბადისაგან და ცალკე თავისა, გზა არ იყო-
და, რამცაღა ქმნა. გულსა ეუბნებოდა: „რას მიზამ გულო, რას მი-
ზამ? რაცა არ საგრძელოა ჩემი, ყუელასა მას მაქნევ. ნუ ებრძვი
ჩემსა ბედსა, კრმლითა ზოგჯერ სისხლსა ჩემსა ღური, ზოგჯერ სულ-
თა მომაშორებ და ზოგჯერ ყოფნასა დამამწარებო!“

ა რ ა კ ი: „მშუილდოსანსა ჰგავს საწუთრო: მიწყით გაყრაა მისი
ისარი და სული ჩემი სასაგნო. დათმობა ჩემი გატეხილსა ქარავანსა
ჰგავს და სული ჩემი დაონავარებულსა ქალაქსა“

„აწ კელმწიფე ნებიერი ვიყავ და აწ არნი ვარ, კლდესა ში-
გან მავალი. ღრუბელსა ჰგუანან, მთასა ზედან მავალსა, თუალნი
ჩემნი და გულსა ჩემსა ზედა ათასსა ჰირსა სწუიმს. ესტიროდე, რო-
მელ შემომიკმოს კლდემან და ცრემლთა ვინდენდე, რომელ წითლად
ვღებვიდე ქვათა. ჩემსა ოხრვასა არა ჰგავს ქუხილი, მით რომელ
იგი ქარისაგან იქმნების და ესე ცეცხლისაგან. ჩემთა თუალთა არა
ჰგავს ღრუბელი, მით რომელ მისგან ცუარად წუეთს და ამათგან
ღუარად დის. მაგრა რა ვქმნა ესეთი, რომელ მმართვებს? აჰა, აწლა
გულიცა კელთა მქონდა და გულის-ნებაცა; აწ აღარცა გული მა-
ქუს და არცა გულის წამლებელი მყავს. ჩემი ყოფნა ამას ჰგავს, ვი-
თამცა ცა ყოფილ ვიყავ და აწ მიწად ქმნილ ვიყავ. გაზაფხულისა
ყუავილისა უხანობასა ჰგუანდა ჩემი ღხინი“.

რა დიდი ხანი იარა რამინ კლდეთა შიგან, გონება, ტირილი,
ვისის-გაყრისა შეჭირვება, სამისო ამისი გონება, თუ რაშიგან ვარო,
—ყუელა ერთგან შეეყარა და ფერკნი, ვითა ბორკილიანნი, ველარ
წადგნა. თავისა გულსა და მოყუარესა ზედა ტიროდის. რა ტირი-
ლით გული იკუის, ჯანგი გულისა მისისაგან აღიკოცის, ვითა მო-
წუიმიული ქუეყანა გამხიარულდის. სადაცა რამინ დაჯდის, თუალთა-

ვან რუ ადინის მას ადგილსა: ესრე საბრალოდ მოსთქემიდის, რომელ მტერთაგანცა შესაბრალებლად ეგრე იტყოდის:

„არ იცი გულისა წამლებო, თუ რას ყოფნას შიგან ვარ და ანუ უშენოდ სიცოცხლე ვით გამარმებია! მე მახესა დაბმულსა კაკაბსაცა ვებრალები, შენისა სიშორისათუის შექირვებული. თუ რა ქირი გინახავს,—ნუ იყოფინ,—შენ ლხინი გმართებს და სიხარული. მე ვარ ღირსი ქირისა, რომელ თავისა სიცოცხლისა ღონე ვძებნო. მაგრა, შენმან მზემან, შენისავე საქმისათუის ვქმენ. მე ღმერთმან უშენოდ წამი სიცოცხლისა ნუ მომცეს. მე შენი სახე გულსა ჩემსა ზედა გამომისახავს. თუ შენი სიტურფე თუითო დაეთუალო, დღენი არ გამიძლებენ სათქუმელად და მიხლომა არა მაქუს. თუ ტიროდენ თუალნი ჩემნი, მართალან, რათგან შენებრ ტურფასა ვეღარ ჰნახვენ. ათასითა ქენებითა ვითხოვ ღმრთისაგან, რომელ მუნამდის არ მოეკუდმე, ვირე შენი პირი კულა არ ვნახო. მაგრა რათგან უშენო ვარ, არ ვეჭუ, რომელ ხეაღმდის ცოცხალი დავრჩე“.

რა გულისა წამლებელი ვისი რამინს გაეყარა, ვითამცა ვეშპინსა პირსა დარჩომილ იყო, ესრე გახდა, და სათავისო შიში და ქირისა გონება დაავიწყდა. რამინის საქმისა შექირვებისაგან, ვითა შმაგი, ბრუნვედა სახლსა შიგან და, რას იტყოდა ანუ რამცალა ექმნა, არა იცოდა. ბროლისა კელითა უებრომისა პირსა საბრალოდ იცემდა, ზოგჯერ პირსა იხოჭდა, ზოგჯერ თმათა იგლეჯდა, ქუეყანა მუშეითა აივსო მისთა თმათაგან, ჰაერი ცეცხლითა აივსო მისისა სულთქნისაგან. რა სულთქნის, თმათა იგლეჯდის, ციხესა შიგან ვითამცა მუშესა და ალვასა აკუამლებდის. პირი და მკერდი დაელურჯა ცემითა და თუალთაგან მხურვალედ ეფრატი სდიოდა, გული გაკურვებულსა შანთსა უგუანდა, რომელ, რა მკერდსა იცემდის, ნაბერწყალი სცუიოდის. სამკაული შეეკსნა და დაეწყუიდა. მიწა მისისა სამკაულისაგან ცასა ჰგუანდა, ზედა მასკულავთაებრ თუალი და მარგალიტი ელვიდა. ოქრო-ქსოილი შესამოსელი აეკადა, მგლოვიარეთაებრ შავი შეემოსა, გული შექირვებითა ავსოდა და პირი მტურითა. არცა მოაბადის შიში მოეგონა და არცალა ზარდისი, ყუელასა შეიქირვებდა რამინისათუის და ამასვე იგონებდა, რომელ უაზროდ მისგან გაყრა დაემართა უნებელი.

რა შაპი მოაბად ვისის დარბაზს შევიდა, ვისის პირი დახოჭილი ნახა და ორმოცი სტავრა და ატლასი ერთმანერთზედა გამონასკული ნახა, ვისის და ძიძასა წინა ედგა, ჯერეთ ნასკული ნახევრამდის ვერ გაეკსნა და მოაბად ზედა შემოესწრა. ძიძა მოაბადის შიშისაგან ფიცხლა დაიძალა, მით რომელ ყოვლისა ფათერაკისა და უნასისა

მოქმედი იგი იყო. ვისის დედოფალსა თავისა ტანისამოსი გაეხია და მკლავნი თავისითა კბილითა შეეჭამნა, ჰუშკის ფერნი თმანი დაეგლიჯნა ერთობ და თუალთა სისხლისა ლუარი ჩამოსდიოდა. შაჰინშა ეგრე უთხრა:

„ვისო, დევისა შობილო და ყოვლითა წყევითა დაწყეულო! სულსა შენსა ცნობა აშორავს და თუალთა შენთა სირცხული, შენსა ზნესა სიმართლემ მოშორებია და ქცევისა პატივი. გაჰკედ უზენაროდ და მოაყიენე თავისი თავი და ჩემი კელმწიფობა. ამას არ მითხრობ, თუ ჩემგან რა კამს საშენოდ მაგისად სამუქჟოდ? ანუ სიკუდილისაგან კიდე სხუა რა გმართებს? აზომ ძაგალითი და გრძნეული ხარ, რომელ ეგზომ მაგარი ციხე და ვაკე ადგილი სწორა გჩანს. შენისა გრძნეულობისაგან არცა ესე საკურიველია, თუ ცათაგან მასკულაენი ჩამოასხნე. არცა ცემისა ვაგვა, არცა შეგონება გესმის, არცა ზენაარი და ფიცი არის შენი. ამას წინათცა გამომიციდხარ ჰამოითა და მწართა და შენსა უმეცრობასა თანა ყუელა ურგები ყოფილა. არცა ჩემითა სიამოვნითა გამხიარულდები ოდეს და არცა ჩემის წყრომისაგან გეშინიან“.

არაკი: „ნუთუ მგელი ხარ, ყოვლისა მანენ, ნუთუ დევი ხარ, კარგისაგან აბეზარ-ქმნილი? სახედ და შუენებით თუალსა ჰგავ ჰატიოსანსა, ნიეთად და საქმედ ბედითსა კეცისა ნალეწსა. სიტურფითა და შუენებითა დია სანდომი, სასურველი და საყუარელი ხარ და გამწირაობითა და უხანობითა საწუთროსა ჰგავ. ვაი ესეთი შუენიერი და კეკლუცი სახე შენი და მრავლითა ავითა ზნითა და აუგითა დასურელი!“

„ღია მიმუდარებია შენდა ამით შეგონებითა, დია დამიედრებია შენდა იღუმლად ვითა: ნუ იქმ ვისო, ნუ მაწყენ ეგზომსა, რომელ შეცოდებისა ჩემისა ნაყოფი სიკუდილი არის შენი; და შენითა სირეგუნითა დასთესე ჩემისა შეცოდებისა თესლი, აწ შენგან დათესულისა მომკისა ჟამი მოვიდა. ველარ ვეძებ შენსა სიყუარულსა და ველარ გავსძლებ! არ რკინა ვარ და არცა ქვა.“

არაკი: „ჩემგან შენისა კაცობისა მოლოდნა და წყალსა ზედა ქრელისა წერა სწორია“.

„შენი შეგონება იგი არის, რომელ მლაშესა ადგილსა თესლი დაეთესო. ვით შენგან სიხარული არაოდეს მინახავს და სიმწარისაგან კიდე შენგან არათ გამომისუენებია, ეგრევე მე უზენარო გექმნა; ასრე გაგაძლო სიმწართა, რომელ რამინის სახელი ვერაოდეს მოიგონო, არცაღარა-ოდეს რამინ შენგან გაიხარნეს, არცა შენსა გულსა რამინის სახელი აესოვდეს, არცა მან შენსა წინა ორძალსა და ჩანგსა სცეს და მას შენ გუერდით დაუჯდე მთრვალი სიყუარულითა! ეგზომი მიგაჰირვო ორთავე, რომელ ვერცა ტინი კლდენი

გასძლებდენ. ვირე თქვენ ერთმანერთისა მოყურად ხართ, მე მტერი-
სა ძებნა გარეთ არ მინდა. ოდესცა თქვენ ერთად შეიყრებით ჩე-
მისა სიკუდილისაგან კიდე არას იგონებთ. აწ მე იგი გიყო, რასაცა
თქვენ ჩემთვის იგონებთ და მოვიცალო ჩემთა მესისხლეთაგან“.

ა რ ა კ ი: „თუ ჩემთანა გული და გონება მეცნიერთა არს, რად
ორნი მტერნი უბეთა შიგან მისხენ? მტერისა შინა ყოლასა ლომისა
გხასა ზედა წოლა სჯობს; მტერისა გუშაგად დგომა გუელისა ფარ-
დაგსა კდომა სწორია კაცისათვისო“.

მერმე მოეკიდა მუშკისა ფერთა თმათა მოაბად ნებიერსა ვისსა
და მიწასა ზედა ითრევედა, ვითა მპარავსა, კელნი უკუღმა შეუკრა,
უწყალოდ მათრახითა თავსა და ტანსა ეგზომი ყოველგან სცა, რომელ
სადაცა სცემოდის, კორცნი დახეთქოდეს და სისხლითა შესურთილ
იყო. ბროლისა ტანი მისი სისხლსა ეგრე შობდა, ვითა მთა ლალსა.
სადაცა მათრახი ვერ მიმძხუდარ იყო, ლილასა დამსვავსებოდა, ტა-
ნი და კორცნი მისნი თეთრ-წითელი ზაფრანსა, ლილასა და ყაყაჩოსა
დამსვავსებოდეს. კულა ძიძასა ასი ეგზომი სცა ყუელა თავსა და
პირსა. არ შეებრალა სასიკუდილოდ, ნუთუ ანუ მოკუდეს, ანუ
გრძნეულობა და მჩხიბაობა ათქუმევინოს, ადგილსა ზედა დაბნიდნა.
ვისი და ძიძა წითლითა მოსილთა ჰგუანდეს სისხლისა დენისაგან.
აღარავინ ეკუდა თუ მათი სიცოცხლე ანუ დარჩომა ეგებისო. მერმე
ივინი ეგრე გასრულნი ერთსა საკანსა შიგან ჩაყარნა და გული დად-
ვა სამათოსა სიცოცხლისათვის და ზედა კარი მაგრად დაბეკდა. და
სამათოსა საქმესა ყოველი ადამიანი და ამა ამბევისა მსმენელნი შემ-
კირნეობდეს. და შაჰინშა ძმა მისი ზარდიცა გარდაავდო ციხისთა-
ობისაგან და სხუასა კაცსა შეჰვედრა ციხე. თუით კუირასა ერთსა
ფიცხლა იარა და მარავს ქალაქსა მივიდა. შეიკირვებდა მათსა საქ-
მესა და თავსა დია ანანდა ვისის ცემისათვის. თავისა გულსა ეუბ-
ნებოდა:

„რაა ესე ბუნება ჩემი, რაა ესეთი კუამლი, რომელ სულისა
ჩემისაგან ამოვიდა, საწუთრო და სიმრთელე მომაძულვა? რა იყო
ჩემი აზომი წყრომა და დაუთმობლობა ავეთისა მოყურისათვის,
რომელ სულთაცა მერჩივნა? თუცა ყოველთა კელმწიფეთა კელმწიფე
ვარ, მიჯნურობისაგან ესრე ძაბუნნი ვარ, რომელ მტერთაგან საშუ-
როდ გასრულ ვარ. რად დავეკუშტვი ესეთსა საყუარელსა, რომლისა
მიჯნურობითა ხელი ვარ? მეტითა უცნობობითა თავისა სულთაცა
ვიბრძვი. დღეს შინახე სახეალოვსა, საქმესა აღარ გაიგონებ რეგუ-
ნობითა: დღეს ერთსა საქმესა იქმ, რომლითა ხეალე გული გეტკიფ-
ნების. ნუმცავენი მიჯნური გულის ურჩია, რომელ მისი ურჩობა მას-
ვე გულსა ცეცხლად მოედებოდეს. რად ექუშვი, მიჯნურო, მას, რომ-
ლისა ლევა წამსაცა არ შეგედლოს?“

ლვ



მაჭროსაგან ვისისთუის მოთქუმა

და ტირილი

ა შაჰი მოაბად ციხით მოვიდა, თანა პირმზე აღარა ჰყუა. წაპრო, ვისის დედამან, ივრძნა და მტირალი წინა მიეგება, პირსა ხოჭა დაიწყო და თავსა ცემა, იზახდა.

„ჰე დედისა სულო და ყოველთა ჰირთა ლხინად შემცულალებლო! რად არ მოგიტანა მოაბად? რა წაგეყიდა ამა უზენაროისა დედისაგან, ანუ რა გიყო? ბედისა შენისა ქონებითა რა-ღა ჰირი მოგხუდა ამისგანო?“

მერმე მოაბადს ეგრე არქუა:

„რას მიზეზებსა მითხრობ ჩემისა ვისისა არა მოყვანისასა? რა უყავ ჩემი მზე? რად ვაკადე უმთუარეოდ ცა? შენსა დარბაზსა აწვე ნაოკარსა გაჩუენებ, შენსა სამოთხესა ჯოჯოხეთად გასრულსა, თუ ჩემსა ასულსა დაუყოვნებლად აწვე კელთა არ მომცემ; დავიზახებ ასეთსა, რომელ კლდეთაცა შევებრალო და ჩემთანავე შეჰირვებულნი იზახდენ, ყოველი კორციელი გავაკუირვო. დავიდენ სისხლისა ლუარსა თვალთაგან, თუ ჩემსა ვისსა არ მიჩუენებ. აწვე დაგანალულებ შენსა კელმწიფობასა, თუით არ გავიმარჯუებს ღმერთი უბრალოისა ვისისა სისხლთა, ასრე რომელ თუით შენვე თუალნი მტერ გექმნებიანო.“

რა მოაბადს წინა ესე საუბარი და სარჩელი ტირილით დაიწყო; შაჰი მოაბადცა საბრალოდ ატირდა და ეგრე უთხრა:

„თუ სტირ და თუ იციანი, თუ მწყევრ და თუ მლოცავ, ვქმენ, რაცა ვქმენ, რალას მერგების, და ნეტამცა არ შექმნა და ღმერთი არ შემრისხებოდა! ჩემი სიხარული და ჩემი პატივი გავაქარვე! შენ ვისის პირსა უმიწოსა ველარ ჰნახავ, თუცა მიწა არ მისგან დაშუენებული ნახო. კუიპაროზსა წაქცეულსა გაიციდი და სიყმაწუილესა მისსა მას ზედა მომთქუმელსა, შუენებასა მისსა მას ზედა მტირალსა. ელვარესა პირსა მისსა დაუბნელებელსა სისხლისა ჯანგისაგან შეტულილსა და თმათა დაცვივნულთაო.“

რა ესე სიტყუა მოაბადისაგან შაჰრო მოისმინა, მიწასა ზედა დავარდა, თავსა და პირსა ცემა დაიწყო. დარბაზი მისისა ტანისაგან გასურნელდა და ცრემლთა მისთაგან სისხლისა ტბა დააყენა: გულსა შექირვებისა ისარი სცემოდა და მოსთქუმიდა:

„ჰე საწუთროო მუხთალო, მომპარეა ჩემი თუალი პატროსანი? შენცა ნუთუ ჩემებრ გიყუარდა იგი თუალი და მისთუის მოიპარე, საწუთროო, რომელ, ანგართა ოქრო ვითა, დაჰფალ და დაჰმალე მიწასა! ნუთუ შეგშურდა, კუიპაროზისებრი წამილე და საუკუნესა ევნასა დარგე! რად აზარდე, საწუთროო, ეგზომ შუენიერი და თუ გაზარდე, ეგზომ უგრძნელოდ რად წააქციე! აწ ოდესლა იზრდების მიწასა ქუეშე ამბარი სურნელი! ჰე მიწო, აქამდინ შენ კაცთა ოდენ სქამდი და აწ მზისა და მთუარისა ჰამა დაგიწყია. რად არ გეყოფოდა, აქამდინ რად არ გასძელ? რადლა წამილე ჩემის გულისა გამამხიარულებელი მზე? რათგან წმიდასა ვეცხლსა მიწა სცუეთს, აწ მეშინიან, რომელ ტანსაცა შენსა აენოს მიწამან; მით დამიბნელდა დლე ჩემი, ნათელი დააბნელა. ხულარამცა ნაყოფთა მისთა ზრდა, რომელმანცა მიწამან მას დაფარეა ჰკადრა. აქათგან მთუარესა ელვარებისა ნათელი აღარა აქუს, რათგან ჩემი მთუარე დილეგსა შიგან დაიმალა. მე მიზრუნე, ცაო და ქუეყანაო! მით შეეროდ ხართ, მასკულაენო, რომელ მე მჭიროდეთ! ჰე, დედისა ნათელო, ნაკუთ-საროო, პირ-შხეო, ლაწუ-იაგუნდო, თმა-ამბარო, შენ იყავ ჩემი ჭირისა მაქარეებელი, შენ იყავ ჩემი სიქადული და სიხარული, აწ შენ აღარა მყავ: ვისითა ვიშუებდე, ვისითა ვლხინიანობდე! მე ესდენ უსამართლო ჩემი დაჭირებულობა ვის თანა ვიჩიელო, ანუ ვის თანა ვძებნო. ვინცა შენ მოგკლა, ყოვლისა კაცისა სისხლი მან მოისხნა, მაგრა მე უფრო მომკლა ყუელასაგან. ბრძენთა მოვასხამ საბერძნეთით და ჰინდოეთით, ნუთუ რა ვინ იკოდეს ღონე და სარგებელი ჩემი. ჩემო მშუენიერო, შენ მარტო იყავ ამას ქუეყანასა და მით მოგეწყინა უჯუფთობა. ნუთუ სამოთხესა ჰპოო შენი მსგავსი, თუარა აქა არავინ არს. სულო ჩემო, მე ოდითგან შენი სიკუდილი მსმენია, მუწითგან ჩემი სიცოცხლე შენთანა მომკულდარა. აწ ვის ერგების შენეული სამკაული? ვინლა იკმარნეს შენეულნი შესამოსელნი? ვინ ვპოვო შენისა სახისა შუენებითა? აწ ვილა იკადროს შენისა ძმისა ვიროს ცნობება? ვინ შეჰმართოს ამისი თხრობა, თუ შაჰრო ვისის სიკუდილისათუის ტირსო. წავიდა კეკლუცთა მზე, დავრჩი—ვისის მძებნელი და მისი მესენებელი. ამა უზენაროისა ნუცამცა ღორისა ციხე დარჩების და ნუცა მთა, რომელ ჩემისა ბედისა თუალი მუნ დაბრძობილა; მუნ დაშრტა ჩემი მთუარე და მოკლული

მე აღარ მიჩუენეს. აწ იხარებენ ეშმანი და ქაჯნი, იციან თუ რაზომი ფათერაკი იქმნების ამა სისხლისა სანაცულოდ, თუ რაზომი კელმწიფე და დიდებული მოკულების. მე ვისის სისხლისა ნაცულად ჯეონსა ვადენ მისისა მტერისა სისხლთაგან და ჩემთა თულთაგან. და თუ ათასის ჯეონისა ოდენი სისხლი დავლუარო და მოაბადისნიცა, ერთსა წუეთსა სისხლსა ვისისასა არ ენაცულებიან. რა ექმნა? მიუგებელი და მიუმხუდარი არის ვისის სისხლთა ძებნა. ჰე მარა-ვო ქალაქო, ხორასნისა თავადო, ნუ იადვილებ ეგზომსა უსამართლოსა! წელსა წყაროისა ნაცულად ფათერაკი მოვა შენსა მიწასა ზედა, ხისა ფურცელთაგან უმრავლესსა შუბსა და კრმალსა ჰნახავ გეომართასა. ველარ გაისუენოს შენზედა შაჰინშა, სისხლისა ლუარი ვადინო შენზედა. ჩაიცუმიდენ აბჯარსა ვისის სისხლისა მძებნელნი. ხორავით ბახოთარამდინ ცხენოსანნი მებრძოლნი ეგზომნი მოვიდეს შენზედა, რომელ ცხენთა ფერკთა იავარ-გყონ. ქუეყანა მოუოკრდა მოაბადს ჩემისა საყუარლისა ასულისა მიზეზითა. აწ აღარა აქუს სიტკბო შაქარსა, რათგან თულთა სანახავად მიიფარა ძოწეულნი, იაგუნდი; აწ აღარა იზრდების ნაძუი, რათგან ჩემი ხე ვალსამოისა წაიქცა. აწ აღარ სურნელობს მუშკი და ამბარი, რათგან უჩინო იქმნეს მათფერნი თმანი. ვარდსა სიწითლე აწლად არლარა აქუს, ვინათგან ლაწუთა მისთა ფერი წაქდა. ეგეთი ციხე, რომელ დევთა სადგომი იყო და ქაჯთა, მზე რად გაიყვანეს მას ზედა? ვაი ჩემო ვისო, რანისა დედოფალო! ვაი ჩემო ვისო, თურქეთისა ხათუნო! ვაი ჩემო ვისო, ხორასნისა მზეო! ვაი ჩემო ვისო, ქოისტანისა მთუარეო! ვაი ჩემო ვისო, კელმწიფეთა იმედო! ვაი ჩემო ვისო, კეკლუტთა შუენებისა წამლებო! ვაი ჩემო ვისო, ლაშქართა მნათობო! ვაი ჩემო ვისო, დედისა იმედო! რად გშობე მზე ჟამსა ჰიბერისასა?! ესდენ უდავლო რად ვეშახე უღმრთოსა დევსა, რად გაგზარდე, რათგან ბოლოდ უწყალოსა ქაჯსა მიგცემდი?! აწ წავალ; სიკუდილამდის ვტირ გულითა დამწუჭრითა, შევალ აშქაფუთიდევანს და მუნით ჩამოვიქცევ თავსა; ლხინად მიჩს მუნ სიკუდილი. გულის ნებასა ვერ ვჰპოებ, ვირემდის უმისოდ ვარ, უგულისნებოდ ცოცხალი ვით ვიყო? მაგრა რაზომცა სიკუდილი სანატრელად მიჩს; მუნამდის არ მოვიკლავ თავსა, ვირემდის შაჰინშას ზედა გულის წადილი ავისრულო და ჩემგან უწინ შაჰინშა არ მოკუდეს. ვერ მოვითმენ ამას თუმცა ჩემი ვისი მიწათა შიგან მეგონებოდეს და შაჰინშა წალკოტსა შიგან სუმედ ჯდეს. არ ეგების ჩემი ვისი მიწა-ქმნილი და შაჰინშა ცოლისა გუერდით მხიარული. წავალ, ფათერაკსა გავალუიძებ, ქუეყანისაგან დამალულსა ხუაშიადსა გავამჟღავ-

ნებ. წავალ, ქარსა მოვაკსენებ: შენ იგი ქარი არა ხარ, რომელ მალ-
ვით ვისისაგან სურნელობასა იპარავდი და ქუეყანასა ზედა მოჰყენ-
დი? აწ მისსა სიყუარულსა გაფიცებ, მისსა მტერსა ზედა მიშუელე!
მივალ, მთუარესა მოვაკსენებ: შენ იგი მთუარე ხარ, რომელ სიკე-
ლუცე გშურდა ჩემიჲ ვისისათვის,—მისსა შესწავლასა გაფიცებ, რო-
მელ შენგან კიდე მისი მსგავსი არვინ იყო,—მიშუელე მისსა მესის-
ხლოობასა ზედა! წავალ, ღრუბელთა ევეზნები: შენ იგი ხარ, რომელ
ჩემის ვისისა თმათა ჰსახობდი, აწ მე მიშუელეთ, დააწოიმეთ მისისა
ქსისხლოობისათვის თათერაკი, მეხი, ელვა, სეტყუა და ქუხილი და
მისისა მოყურისა ქუეყანა ააშენეთ ნელითა წუიმითა! მივალ, მზესა
მოვაკსენებ: განალა მისგან კიდე შენი მსგავსი არავინ იყო, მასვე
შენებრსა დაამდლე,—მისისა მტერისა ქუეყანასა ნუ აღმოხუალ და
მისთა მოყუარეთა ქუეყანასა ნათობა ჰმატე! წავალ, ღმერთსა დამბა-
დებელსა შევეხუეწები, მას წინაშე პირსა მიწასა დაგსდებ: უფალო
მოწყალეო, ძლიერო! მოაბადის თავსა ზედა ცეცხლი წუიმი რისხუი—
სა შენისა! რად მიეც მორკჰმა ამას უსამართლოსა მოქმედსა, რო-
მელ ყოველთა დღეთა უფრო და უფრო უწყალო არის შენთა დამბა-
დებულთათვის, არ შეიბრალებს შენთა მონათა და შენგან შექმნილ-
სა ქუეყანასა სისხლითა აავსებს. კრმლისაებრ საქმე მისი გაკუეთაა
და მგლისაებრ კელი მისი ტაცებაა. უფალო ღმერთო, მიძებნე სისხლ-
ნი ჩემნი და უმისობითა ააოკრე დარბაზი და ტახტი მისი! ვითა
ამან უსამართლოსა მოქმედმან ჩემისა გულისაგან კუამლი ამოადი-
ნა, აგრე რისხუისა შენისა ალთაგან სული და გული მისი დაავლეო!”

რა შაჰი მოაბად საბრალო ტირილი ნახა და ესრე მოთქუმა
მოისმინა შაჰროსი, მისგან შერცხუენდა და ვიროსაგანცა შეეშინა.
ეგრე უთხრა:

„ჰე ჩემთა თუალთაგან უფრო საყუარელო და ჩემგან ქმნილთა-
გან დიდად ქირ-ნახულო! შენ ჩემი და ხარ საყუარელი და ვირო ჩემი
ძმა, და ვისი, ჩემი. დედოფალი და გულისა წამლები, ჩემთა თუალთა
სინათლე არის და ჩემთა სულთა და კელმწიფობისაგან უფრო სან-
დომი. ვისი, ჩემი მტერი, ასრე მიყუარს, რომელ სიცოცხლეს ჩემსა
იგი მირჩევია და, თუმცა თავისისა ნებისა მიმყოლი არ იყო და ჩე-
მისა სიკუდილისაგანცა უფროსსა სააუგოსა და უსამართლოსა არ
მიზიდა, კელმწიფობისა ჩემისაგან დიდსა ნაყოფსა ჰპოებს. აწ მისი
საქმე შენთვის დამემალა და ხუაშიადი ჩემი შენთვის მართლად არ
გამომეცხადა; მე ეგეთისა კაცისა მოკლეა ვითამცა შეემართე, რომ-
ლისა სული მერჩიოს ჩემსა სულსაო? თუცა მე ტყუე ვარ მისი, მას
არ ვეწყალვი, ეგრეცა ესე მირჩევია, რომელ მას წინათცა მოვკუდე.

აწვე გავგზავნი ციხესა კაცსა და ვისსა მოვაყვანიებ. მე წამსაცა ვერ გავსძლებ უიმისობასა და მოვსცეთ. კარგა ვიცი—რა წამეკიდების მისგან. სხუასაცა მრავალსა სიმწარესა ვჰპოებ და დიდსა უნებლობასა და სიძნელესა მივეცემი მისგან. ვირემდინცა ჩემსა სადედოსა შიგან ვისი არის დედოფლად, მისისა ხლათუისა და ორგულობისაგან კიდე სხუასა გამოსუენებასა არ მოველიო. რათგან ერთსაცა დღესა ჩემითა გულითა მხიარული არ ვარ, თუ ვისისგანცა არ მიხაროდეს, არა საკუირველი არისო“.

მერმე ძმასა მისსა ზარდის ეგრე უბრძანა:

„წადე ციხესა და ქარისაგანცა უმაღლე მიდი ორასის კაცითა და ორი ცხენი თან წაიტანე და ვისი სწრაფით აქ მომგუარეო!“

მივიდა ზარდი ციხესა ორასითა კაცითა და წამსა მრგუარა ვისი მოაბადს და შაჰროს. მერმე მოვიდა რამინ ზარდისასა და მისსა სახლსა შიგან თუე ერთი დაჰყო მალვით. მერმე შეეხვეწა ზარდი მოაბადს რამინის საქმისათუის და შეუნდო კულაცა მოაბად. რამინის გახეული ბედი შეიკერა, მტერობისა დევი კულა ქუე დაიძალა და სიხარულისა წალკოტი აყუავდა. ახლად კულა აელვდა დარბაზი კელმწიფეთა კელმწიფისა მთუარეთა უმთუარესისა ვისის პირისაგან. ჰამო იყო მოაბადის ყოფნა სიხარულითა და სუმითა და პირმზისა ვისის ქურეტითა. ბროლის კელი ვისისი შეღებული იყო ფეროანი-თა ლუინითა. მხიარულმან მოაბად სუმა დაიწყო და გულუხუად გაცემა ლაშქართა ზედა. დიდსა ხანსა ესრე სიხარულით იყვნეს. გავიდა ამბვად ყოველსა ქუეყანასა შიგან მათი ამბავი და მოაბადის მოსამართლეობისა სახელი. დაივიწყეს პირველი ჰირნახულობა.

არცა სიხარული დარჩების საწუთროისაგან, არცა სიმძიმელი, ბოლოსა გაასწორებს ჰირსა და ლხინსა. კაცმან გული მხიარულად დაიჰიროს, რომელ დღენი არ შეუმოკლდენ, რათგან კაცსა ბოლომდინ არ შერჩების; უსარგებლოა ცუდი დალრეჯა“.

მოაბად ცოტათა დღეთა დასაჰმელად გურგანს წავიდა და მუნით სარით მხიარული შემოვიდა მარავს, ვისის სიხარულითა გაიხარნა, მერმე თავისი დარბაზი ესრე გაიმაგრა: სადაცა სარკუმელბ ანუ გზა შემოსავალი იყო, ყუელა დააჰედინა ჰინდოურიითა ბასრითა რკინითა, რომელ ნიავი ვერსით შემოვიდოდა; ბერძულითა კლიტითა დაკლიტნა და თავისა ბეჰდითა დაბეჰდა, კლიტე ყუელასი ძიძასა შეჰვედრა და ეგრე უთხრა:

„ჰე გრძნეულობითა კელოვანო დევო! მე შენგან უზენარობა დია მინახავს, მაგრა აწ ზენარობითა შემოგუედრებ ამას; შეინახე კარი და შესავალი ყუელაი, რომელ რამინ არსით შემოვიდეს. მე

ზაულს წავალ ნადირობად და საურავად, ერთი თუე მუნ დამეყო-
ნების. შეინახე დარბაზი ჩემი და ისე კარნი, რომელ დამიბეჭდიან,
რომელ მევე გავკსნე. კულაცა გითხრობ, ზენარობით გუედრებ, თუით
იცი, რომელ მინდობილობისა მიუნდობლობა უკამსია. გამოვიცდია,
ჩემი ერთგულობა სჯობს თუ არა? თუ ჩემსა უღალატობასა ზედა
გაოებ, აგავსებ გულის ნებითა. ვიცი ესე, რომელ თავისა პირსა ეუ-
მატებ, ოდესცა გამოცდილსა გამოვსციდი კულა, მაგრა აწ მით გა-
მომირჩევინებარ ამა კელსა ზედა, რომელ მეცნიერთაგან ესრე მასმია:
„კაცმან თავისა საქონელი მპარავსა შეჰვედროს, უკეთ შეინახავსო“.

ღია შეაგონა ძიძასა, მიანდო და კლიტენი მისცნა. თუით იგი
კარგსა დღესა გამოვიდა მხიარული, ქალაქისა კარსა სიახლესა დად-
გა და ერთი დღე მუნ იდგომა და ვისის საქმესა იგონებდა, მოშორ-
ვებასა შეიპირებდა და ნავლობდა თავისა კელმწიფობასა. და რა-
მინცა სათანადოდ ნადირობად ეწუია და მას წინაშე იყო. სალამოდ
რამინ ქალაქს წამოვიდა და მასვე სალამოსა მოაბად სუმისათუის
ძებნა რამინ- ეგრე მოაკსენეს: „მარაგს წავიდაო“. უგრძნა, თუ მი-
სისა წასლვისა მიზეზი რა არისო. რამინ რა დარბაზისა კარი ეგრე
შეკრული ნახა, მოაბადის წალკოტსა ჩავიდა, რომელ დარბაზისა
სიახლესა იყო, და ვისის უნახაობისათუის, გახელებული ვითა,
იარებოდა, გული უდუღდა, იწახდა და ეძებდა ვისის და ეგრე
თქუის:

„მოყუარეო, ოდითგან მომაშორე შენსა პირსა, მუნიტგან ჩემნი
მტერნი იხარებენ. ერთხელ ბანთა ზედა გამოედ, რომელ გნახო.
შეპირებვისა კელი ერთი თავსა ზედა მიც და ერთი გულსა. ამა
ბნელსა ლამესა ესრე ვარ, ვითა უფსკრულსა ზღუასა შიგან ვირჩო-
ბი. თუცა აწ ვენაკსა შიგან ვიარები, მაგრა ჩემთა ცრემლთაგან,
ვითამცა ზღუთა შიგან, ვცურავ. მომირწყავს ბოსტანი ცრემლითა
და სისხლისაგან მიწა დამიტალახებია, მაგრა რათგან შენ ჩემი აქა
ყოფნა არ იცი, რას მერგების მე ესე ტირილი და ზახილი! თუ
ესულთქნე ამა მდულარისა გულისაგან, დავწუავ მაგა დარბაზსა და
კლიტეთა, მაგრა მე იგი ადგილი ვით დავწუა, სადა გულისა ჩემი-
სა წამლებია? შენ ცეცხლი კალთასა მოგეკიდოს, მე თუით დამწუარ-
სა გულსა სრულად დამიავლებს; მე შენი თუალნი მიწყით უწყალოდ
სულისა წამლებელად მესურიან, წარბისა მშუილად მკმარებელნი
წამწამისა ისრითა გულსა მიმსუქალვენ. თუცა ბედსა ჩემსა შენგან
მოუშორებვიარ, შენი სახე ეგრეცა თუალთაგან არ მიმეფარვის, ზოგ-
ჯერ ძილსა მიფრთხობს და ზოგჯერ სისხლისა ცრემლსა მადენს.

ძილი ვით მიამოს შენგან შორსა მყოფსა, ანუ სულნი ვით მედგნენ შენსა უჭურეტელსა?“

დიდხან მოიტირა და ცრემლთა დენისაგან მასურალსა ვარდსა და ყუავილსა შუა ქუე მიეძინა, თუცა ვერცა ეგრე სრულად ეძინა გულსა ჭირითა სავსესა და თუალთა—ცრემლითა. იგი წალკოტი ჯოჯოხეთად უჩნდა. ვისის ეგრე იახლა და არცა სიახლისა ღონე ჰქონდა. კულა ვისმან რამინის მუნ მყოფობა იცოდა და არმოახლეობისა მისისათვის, ვითა გახელებული, დარბაზსა შიგან ბრუნვიდა, პირსა იხოჭდა, სისხლისა ცრემლნი სდიოდეს. მისი ვენაკსა [შინა] გონება უმისოდ, შანთი ვითა, სდაღვიდა გულსა. ათასითა შეხუეწითა ეაჯებოდა ძიძასა, თითთა უქნევედა:

„აჰა შენდა ღმერთი, მოიგონე შენგან ჩემი გაზრდა და ჩემგან შენი სიყუარული, ერთხელ კულა ამიგე ღონე, მეწიე და ჩემისა გულისაგან და კარისაგან ბეჭედი აიღე და ამა ბნელსა ღამესა შიგან, ვითა მთუარე, რამინის პირი მაჩუენე. შორსა გზასა წამაველია, რომელ სიცოცხლისა ჩემისა იმედსა, მას თანავე ჩემგან მოშორებულსა, ვიგონებ. ესე ღამე ბედისა ჩემისა მსგავსად ბნელია და მე ჩემისა გულისა წამლებსა ჩემითა გზითა ბნელითა ვიგონებ. ასრე მოახლედ მყოფი, ესრე მაგრად დაბეჭდულთა კართაგან ნახვისა უღონო, რომელ ნეტარძი ჩემთვის, თუცა ასისა ღლისა სავლითა მაშორვიდა, თუ ესრე უღონო ვიყავ მისისა ნახვისაგან! მოე ძიძაო, შემებრალე მე, თუ ვით ღმერთსა თავითგან უბედური და უგულისნებო დაუბადებივარ და ათასითა კლიტითა დაუკლიტავს გულისა ჩემისად სიხარულისა კარი. მე მისგან ესრე დარღვეილობა და მიჯნურობისა ჭირი მეყოფის, ეგზონი დაკლიტული კარი რადლა უნდა ჩემსა სიხარულსა და ყოფნასა? მე რა კარი დამიკუმეს, დაკოდლილი ტანი და სული ჩემი კულა დამიწყულულეს. მაშინვე უიმედო ვიქმენ სიცოცხლისაგან. რა მოყუარემან ჩემმან თმანი დამიგარუზნა, მუნითგან მით სურნელითა ტოილოითა გული ჩემი დაუბამს მაგრად. მაგრა ოდითგან შეუცნიერი სახე მისი მომეშორა, მუნითგან მასუთა თუალთა შიგან პირ-ალმასი ისარი და არა მაქუსლა ღონე სიცოცხლისა გაძლებისა. შეებრალე ჩემი სიყმე, რომელ გაუხარებელი დავრჩე და გამიღე წამსა ერთსა კარი, რომელ ოამინ ვნახო.“

ძიძამან ეგრე უპასუხა:

„ალარ ეგების, რომელ ნიადაგ ავკაცობა და უზენარობა ვიკმაროლა. შაჰინშასებრი კელმწიფე წუხელის აქათ წასრულა და ჩემთვის ეგზომჯერ ზენარობით შემოხუეწილა, ანდერძი ვითა მოუცემია, ამას ღამე მე მისი ზენარი ვითა გავტეხო, მისგან დაბეჭდული

კარი ვით გავალო ანუ წყრომასა მისსა წინა ვით დაუდგე? თუ ასი ათასი კაცი დაკაზმული მყევს, მე მას ვით გაუმაგრდე? თუით ესელა უძებნია ჩემგან სამისო ერთგულობა და აწვე სამსახური მისი ვით დავაგდო, ანუ უზენარობა ვით ექმნა? ნულარა ექუ ჩემგან შაჰინშას გაწირვასა. ჯერეთ თუით ქალაქისა კართა ზედა დგას; არცა თუ დლისა ერთისა საელითა შოგუშოროვებია. ამას ვექუ, ღმერთმან იცის, რომელ ამას ღამესვე მუნ არ დაიდგნეს და აქა მოვიდეს. არ იკადრების და არცა კამსა ჩემგან მისი ეგზომ დიდი შეცოდება. მეშინიან, რომელ ავის ქმნისაგან ავი წაგუეკიდოს. ბრძენისა ვისმე ნათქვამია თუ: „ავისა მოქმედსა უგრძნეულოდ ავი წაეკიდებისო“.

რა ძიძამან ესრეგუარი სიტყუა უთხრა და უიმედო ყო, ეგრე მოაკენა:

— „პირმთუარეო სულო, აწ შენცა კიდე წაედ თავისა საგებელთა ზედა. შაჰინშას ნუ შესცოდებ, ამასლამე დანთმე, მოიქირვე და მერმე თმობისაგან დიდხან გაიხარენ. ღია მეშინიან, შენმან მზემან, ამასლამე უგრძნეულოდ მოაბადისაგან მოსლვასა და მისგან საშენოდ ავისა რაისმე დამართებასა. მომისმინე აწ და ეშმასა თუალი დააბრმე ამას ღამეო!“

ძიძა კიდე წავიდა. ვისი უიმედო გაჰკდა. საბრალოდ ბრუნვიდა დარბაზსა შიგან და გულსა მჯილუსა იცემდა და ეძებდა ღონესა და გზასა რამინის სანახაყად. გარნა არცა-სად სარკურელი პოა ღია და არცა სით გზა ბანთაგან გასავალი. მიაქირვა მიჯნურობამან, დათმობისა გაუძღებელობამან და აუდულდა გული სიყუარულით. იგონებდა და ესე პოა ღონებად, რომელ სადა ფარდაგი იყო დარბაზსა შიგან გაბმული, ცალი წუერი. კლდესა ზედა იყო დაბმული მაგრითა თოკითა, მას თოკსა ზედა უკამურითა ფერკითა გავიდა, ვითა მოშაითი, რომელ დარჩომისა ღონე უსაეჭო იყო. „რა კაცსა მიჯნურობა დასკარბდეს, საქმე საზომსა გარდაჰკდეს. თავი ასრე არ ეწყალვის სიკუდილისათუის, ვითა გულმაგარსა კაცსა შებმისა ჟამსა“. რა თოკსა ზედა შევიდა, ვითა ფრინველი, ბანთა ზედა გავიდა. ქარმან თავისა საბურავი მოჰკადა, ყელისაგან საყელო მოსწყუიდა, იალქანი თუით დარბაზსავე დარჩომოდა. რაცა ყურთა შიგან საყური ეგდო, ზოგი დაღეწოდა და ზოგი გამოსცუივდა. დარჩა ბანთა ზედა შიშუელი და უკამური, და ეძებდა მუნით წალკოტსა ჩასავალსა გზასა. ამისგან კიდე ვერა ღონე აიგო, რომელ კაჩასა მისი ზეწარა გამოუნასკუნა სამე ხესა ზედა და მას მოეკიდა და მუნით თავი ჩამოიქცია. რაცა ტანისამოსი ეცუა, ყუელა ლუსმარსა ზედა ჩამოეკიდა, დახია. მუნით ვენაკშიგან ჩაკდა. თუცა ადგილი ღბილი იყო,

ფერკნი ორნივე იტყვიან, მუქასარი დახია. სადა დაცემულ იყო, მის ადგილისაგან ზე ადგა სრულად შიშველი და დანაყილი. შუალამე ბრუნვიდა წალკოტსა შიგან, მოყუარესა ეძებდა და თუალთა ცრემლი სდიოდა და ფერკთა სისხლი.

კუნესით თავისა ბედსა ემდურვოდა და ეგრე იტყოდა: „სადა ეძებნო შუენიერი, ჩემი გულისა სიხარული, ანუ სადა ეპოო ჩემი საყუარელი ყუავილი?“ მერმე ეგრე თქუა:

„ჰე, სუეო, თუ უგულო ვინცა გეწყალვის, ერთი შესაბრალებელი მე ვარ. შენ არ დაშურები და ჩემებრ ფერკნი არ გეტკივნებთან, მოიარე ესე წალკოტნი შიგან და ძებნენ ორფერნი ნარგისნი: ერთი უსულო და ერთი სულისა ჩემისა თმობისაგან გამომყვანებელი, და ჩემგან დამალული ნახე, თუ სად ჰპოო ესეთი კაცი, რომელ ჩემებრ მრავალი ცნობათაგან შეუცუალეზია, ათასი საფარველიანი უსაფარველო უქმნია და მოუყივნებია, ათასი გული იავარ-უქმნია და ცეცხლითა დაუწუვაეს. ჩემსაცა ყოფასაც ხედავ, მისისა სიყუარულისა და ძებნისათვის ვით გასრულ ვარ. გულტკივნეული, დაღრეჯილი, თმობა-უქონებელი და ათასთა ფათერაკთა დასწრობილი, გამტურვიანებული ვცურავ მისისა მიჯნურობისათვის. აცნობე ნია-ვო მას, რომლისა პირსა ზედა შეიყრების ყოველი შუენიერება, ნუ იმაღვის, გააღვიძე! მისგან მომართუი მუშკი, რომელ ვისუნო და ჩემგან მას მიართუი ამბარი და სცხე სუმბულსა ზედა. მოაკსენე ჩე—მაგიერ: „ჰე აყუავებულო წალკოტო, თავით ფერკამდე სიხარულო და შუენებაო, მზეო გულისა წამლებულო, სიტურფითა ყოველთა ტომთა პატრონო! რად მომიდევ გახლებულსა ცეცხლი და მაცურვებ ესეთსა ბნელსა ლაშქსა? მე თუით გული შენგან ვერაოდეს მინახავს. ვითა მწადებია; ეგრე მორკმით ვერაოდეს მომისუნებია შენთან. უბედურსა ბედსა ჩემსა გაუწირავ. ყოველსა ადამიანსა სძინავს და მე ოდენ მლუიძავს. მე თუ კაცთა ტომი ვარ, რად უწყალო მქნია ესრე ღმერთი და ბედი, რომელ აღარავის ჰგავს კაცთა ტომსა და ვიხარებ უგულოობისაგან? ნუთუ თუით დედამან უგულო და უბედო მშობა და ნუთუ დედამან დამწყია, თუ რასაცა ეძებდე, შენგახ შორს არისო? აწ ჩემი სანატრელი ჩემგან შორსა და თუ უიმედო ვიქმნები შენისა ნახვისაგან, დამრჩების წამლიანი ისრის პირი გულსა, შენისა ნაცულად. და თუ თუმბუთური მუშკი ვისუნო, უბნისა მიწად მიჩს. ჩემი სული შენ ხარ; არც მუშკი და არცა ამბარი. ჩემი წამალი შენ ხარ და უკუდავება. შენისა სიშორისა გუელსა უკებნია ჩემთუის გულსა და ღვიძლსა. დაკოდილი სული ჩემი პირამდი მომსლვია და ჩემი წამლისა წამალი და თერიაყი შენი ბაგე არისო და

ჩემისა ბედისა მზე—შენი პირი. სადა ხარ? რად არ გამომიჩნდები? ვაი უბედურო ბედო ჩემო, ამას ღამე რადლა მეტად აბეზარ მექმენ? მე ჩემთა სჯა-მოუსუნებლობათუის მტერთაგანცა საბრალო ვარ. შენ ესრე, ვით თმობა, მექმენ!”

კულა მთუარესა დაუწყო ამოსლვისათუის მუდარა. ეგრე თქუა: „ჰე მთუარეო! მას ღმერთსა გაფიცებ, რომელსა საყუელაოდ გასამხიარლებელი გასანათებლად, დაუბადებიხარ. ამოდი, ჟამია შენისა ამოსლვისა! მე სულნი ამოსლვად მიმწურვიან. ამოყვენ შუქნი მთისაგან, ნახე გულსა ჩემსა ზედა მათათა-ოდენი შექირვებისა ტუირთი. საწუთრო და ღამე ჯანგიანსა რკინასა ჰგუანან და სიბნელე საწუთროისაგანცა უფრო უზენარო მქმნია. გული აღარა მაქუს და გული-სა წამლები ვერავე მიპოვნია. ზენაარ მთუარეო! შეიბრალენ ორნი ერთმანერთისაგან ხელ-ქმნილნი უერთმანერთობისათუის! კულაოზ გუექმენ, შეგუიხუეწენ, შეგუიბრალენ. თქუენ ორთა მთუარეთა კიდევანობასა შიგან ჩემთუინ განაღამცა ბნელ იყო ჰაერი და არა მქონდა თუალთა ნათელი და ხედვა, რომელ ერთისა საჯდომი მალალი ცა არის და მეორისა ტახტი და უნაგირიაო“.

ამა საუბარსა შიგან შუალამე იქმნა და მთუარე ნათლად ამოვიდა, ცისაგან სიბნელე და ვისის გულისაგან შექირვება გააქარვა. რამინის შექირვებისა და მიღამო-სიარულისაგან მაშურალსა ცრემლიანსა ვარდსა და სოსანსა შიგან ქუე მიეძინა და მოყუარემან მუნ პოა მძინარე. რამინს გულმან უგრძნა, აიხედნა. რა დაინახა, ზე აიჭრა, მოეხუიენეს ერთმანერთსა. მზე და მთუარე ერთგან შეიყარნეს, მუშკი და ამბარი ერთგან შეიზილნეს; ვარდი, სუმბული და ნარგისი ერთად შეირია. ორთავე პირთაგან დღისაებრ განათლდა ღამე, ჰორთა აღარას აკსენებდეს საწადელ - ასრულებისათუის, ფრინველნი შტოთა და იადონნი ვარდისა დაუბნებითა სიყუარულ-უელვარობასა მათსა აქებდეს; მათისა სიხარულისათუის წალკოტსა შიგან ყუაეილნი მოცინარეობდეს, ვარდი მათგან ითხოვდა სურნელობასა და ნარგისი სანდომობასა.

ამაზედა საწუთრომან და მათიან ბედმან კულა გამოუცხადა ხუაშიადი.

ცნობა მოაბადისაგან ვისისა და რამინის

ერთგან შეყრისა



აწუთრომან ქირისა ნამგლითა სიხარულისა ყანა მომკო. ნუ ოდეს მოელი საქმისა მისგან სისრულესა, მით რომელ ყოველი ადამიანი და სოფლად მოსრული მისგან უპატიოა.

რა მოაბად რამინის ამბავი ცნა და მუნ მას წინაშე აღარა ყოფნა, იგრძნა მიზეზი წამოსლვისა მისისა. გაუახლდა მტერობა სამათო, იგონებდა თუ: „ვირემდინ გავძლო მათგან ჩემი ეგზომი დაუხედაობა, ვირემდინ ვიყო ამა ჯავრსა შიგან? ვირეცა ქუეყანასა შიგან კაცი იპოების, მუნამდინცა დაიდების ესე სირცხულიად ჩემი ამბავი; სააუგოდ და საარაკოდ ქმნილ ვარ. თუ ვისი მზეცაა ცისა და სამოთხისაებრ მლოცავთა საიმედოდ საგონებელი, ჩემთვის ეგზომად—ქირად და აუგად. არცა იგი ღირს, თუცა ბაგენი მისნი უკუდავებისანი იყვნეს, ჩუმათვის ეგრეცა შხამია; და თუ ტანი მისი კაცთაგან წყლისაებრ სანდომია, ჩემთვის სიკუდილისაებრ მოუთმენელია. რა სარგებელია ჩემთვის ვისი, სულისა ჩემისა მავნებლობისაგან კიდე?“

არაკი: „ჩემგან ვისის შეგონება და აღიზისა რცხა სწორად სარგებელია. მათი მინდობა და გამოცდისათვის ნავლლისა ჰამა ჰგავს ერთმანერთსა“.

„მატურისაგან კოლაუზობა და ბრმისაგან გუშავობა ვძებნე და ქირი ქირსა მოვიმატე. გამოცდილი კულა გამოვცადე. რად ვეჭუდი ვისისგან ჩემსა სიყვარულსა, ანუ რად ვძებნე გამზრდელისა მისისაგან ჩემი ერთგულობა და მისი შენახვა? კარნი დავებუდენ, ბეჭელი მისსა ძიძასა შევპყვდრენ! რა უგუნური ვარ, რომელ ვერ შევსჯერდი მათსა საქმესა!“

შაპინშა ამა საგონებელსა შიგან იყო. ზოგჯერ დათმობა გამო-
არჩივის და ესე თუ: „ეგზომი მოყიენება კმაა, ნულარ გაამქლავნებ!“
და ზოგჯერ გონებასა აცნობობა მოერიის. ადგა, ცხენსა შეჯღა
და მაშინვე მარავეს შემოვიდა და დარბაზისა კარსა მოჰმართა.

ძიძამან ბეჭედი და კლიტე ყუელა წინა მიართუა; არცარა ძიძა —
მან იცოდა ვისის საქმე. შაპინშა კარი ყუელა თავისა ბეჭედითა ნახა
კელ-მიუყოფელი. რა შინა შევიდა, ვისი ველარა პოა. ძებნა საცხა-
დოსა და სამალავსა შიგან ყოველგან. ძიძასა ეგრე უბრძანა:

— „რა უხუავ ვისი? ესე კარი და სარკუმელი ყუელა ესრე შე-
ნახულია, რომელ ფრინველიცა ვერსით გავა; იგი რა ქმნილა? და
თუ არტავაზსა თანა სწავლად წასრულა, თუით ესე არ უნდოდა მას;
ათასისა არტავაზისებრი მოწაფე ბედითაჲ უჩსო!“

რა ველარ შეიგნა, ძიძასა ეგზომი სცა, რომელ უსულო იქმნა
და სიკუდილსა და მას შუა აღარა იღვა. ზოგან იალქანი პოეს, ზო-
გან საყელოსა ნაწყუეტი, ზოგან პერანგთა ნახევი. ვინამცავე იაზ-
რა, თუ მუშაითურებ თოქსა ზედა გასრულა და მუნით ბანთა და
მერმე წალკოტსა ჩახლტომილაო? შაპინშა მრავლითა სანთლითა და
მაშხალითა დარბაზით მას წალკოტსა ჩავიდა. ვისმან შორით მაშხა-
ლისა სინათლე დაინახა, შიშითა სული კორცთაგან გაეყარა, რამი-
ნისათუისვე შეეშინა, ეგრე უთხრა:

„ადგე, შაპინშა მოვიდა ულონიოდ და შენ კიდე წად სწრა-
ფით, მტერისაგან მოკრძალეა არ უკამსია. აწ ჩემად მოკულად მოა-
ბად მოვა. გარნა მე რალა გინდა წამეკიდოს, ჩემთუის იგი მშოიერსა
ლომსა ჰგავს, ირმისათუის გამოჰკრილსა, შენ ღმერთმან მშოილობა
მოგცეს და საშენო ჰირი და საძნელო საქმე რაცა გაგებულია, მევე
მანაცუალოს. წაე, შენ გარდაიხუეწე. მე ვიყო აქა ფათერაკისა ლუა-
რისაგან წაღების მომლოდე. მე თუით უბედურობისათუის საარაკოდ
დაბადებული ვარ ქუეყანასა ზედა. ერთისა შენისა კონცნისაგან ესე-
თი სიხარული არაოდეს მომხდომია, თუცა იმისი ნაცუალი ასი მათ-
რაკი იმისგან არა მცემოდა. ერთსა ხურმასა უეკლოდ ვერაოდეს ვსკამ
და ვერცა უქიროდ გავიხარებო.“

რამინ ესრე გაკდა, რომე ღონე აღარასი ჰქონდა, საკლავად
შეკრულსა ვითა, წაუვიდა ძალი გულისა და კმარება კელთა და
ფერვთა; მართ სახელი ოდენ დარჩა ვისის მოშორვებისა დასკუნითა
დასრულად სიკუდილისა მნატრელი იყო. მერმე სხუა არა ეგებოდა,
ადგა და ესრე ფიცხლად წავიდა, რომელ თუალი არ ეწეოდა. ბა-
ღისაგან წასრული ორმოსა ჩაიჭრა. უვისობისა კირთაგან საგონებ-
ლიანი თავისა დაქსნა ვისის მუნ დაგდებისათუის აღარად უხარო-

და. შეჰკვდა მიუჭირვებლად კარგად მალღისა ზღუდისაგან და წაივიდა ფათერაკითაგან დაქსნილი.

ვისი მასვე ადგილსა მიწვა და თავი მოიძინარა. კელი თავსა შემოიგდო და გული სისხლსა თუალთა უმწდებოდის. შაჰინშა ზედა წამოადგა ქუემწოლსა, უყვილა და ფერკითა სძრვიდა. პასუხი, ვითა უსულომან, არ გამოსცა. რამინის საძებნელად ყოველგან კაცი გაგზავნა ცხენოსანნი და ქუეთიცი და ვერა სადა პოეს. არცარა მას წალკოტსა შიგან სულიერი იყო ფრინველთაგან კიდე. შაჰინშა ვისის თმათა მოეკიდა, კრმალი ამოიღო და ეგრე უბრძანა:

„მოთხარ მართალი, თუ რაითა ილათითა გამოხუელ აქა? ესრე შენახვით დამეგდო კარი და სარკუმელი! ანუ რამინ რა უყავ, ერთსა ღამესა ვერ შეინახე ჩემი მცნება და წურთა? ფრინველი არა ხარ და თუ დევი ხარ ანუ გრძნეული, რკინითა რად არ შეინახვი? არა ღონეა დაჭირვისა შენისა. ცნობა ასრე გაშორავს, ვითა ცა. წადილთა ასრულება ასრე გახლავს, ვითა სულნი. უბედურისა გონებისა უფალი ხარ, ორთა თუალთა ხედვება და ორთა ყურთა სმენა შენთუის უკმარიაო“.

არაკი: „შენი შეგონება ასრე უსარგებლოა, ვითა უღონოსათუის ქოთანნი და მგზავრისათუის იალქანი“.

„მე ოდეს გწრთუი და შეგაგონებ, ცნობისაგანცა აბეზარ იქმნები. რგებისა ნაცულად მე შენგან ეგზომი აუგი და უპატიობა მომიტმენია, რომელ თუითო ეგზომ ას-ასად მიჩს. შენ ეშმა ხარ, რომელ კარგსა სახელსა მიწყით ფრთხეზი, და თუ შორის სიმართლე დაინახო, სული ესრე ვერ გაგიძლებს, რომელ ზახილსა დაიწყებს მისისა ქურეტისაგან; წმიდასა გულსა დანასა შესცემ და კარგთა შეარცხუნ. თუ დევად გთქუა, მეტურფები; თუ ეშმაღ, იგი შავი მასშია. ყუელა პატიოსანი აუგიანი გიქმნია და ყოვლისა კაცისა სახელი გაგიტეხია. შენებრითა უსირცხულობითა არავინ მინახავს და არცავინ ჩემებრ შეუჯერებელი. შენისა აგეთისა სიყუარულითა სირცხულილი წამსლვია. შენნი სისხლნი დასალურელად ალაღნია, მით რომელ შენი სული სრავალთა შესაჭირვებელია. შენისა მოწურთონისა წამალი ამა კრმლითა შენისა მოკლეისაგან კიდე არა ვიცოა“.

თავისა მოკუეთასა ჰლამობდა და მას მის კრმლისაგან ეგზომი შიში არა ჰქონდა, ვითა ურამინობისა შექირვება. მერმე ზარდი, მისი ძმა, მივიდა და ეგრე მოაკენა:

„მაღალო კელმწიფეო! ღმერთმან გაამრავლენს სიმზიარულესა დღენნი თქუენნი! თუით შენი საქმე გაიგონე, თუ აწ მაგისითა მოკლვითა უკანის რას ქირსა მიეცემი გამოგიცდია ერთხელ მაგისი სი-

შორე და რა წაგეკიდა, და ქუეყანისა ყოფისა და ლაშქართაგან ვით აბეზარ იქმენ მაგისათუის. თუით იცი თუ რაზომნი ცრემლნი და-
ლუარენ. ამისისა სახე-თულადობისა მსგავსი სხუა არა იპოვების ქუე-
ყანასა ზედა, არცა ღმერთსა დაუბადებია. თუ მოჰკლავ, იცოდე რა-
მელ სინანულსა ჩაიჭრები და უკანის აღარა გერგების. იგი მაშინ-
დელი ფერი თუ გეკეთა, აწ მეორეხელ ეგეთითავე შეიღებე. ოდეს
მოგეშორვა, გინახავს მაშინცა, რომელ ზოგჯერ ველურთა თხათაებრ
მინდორსა იარებოდი უცნობო და ზოგჯერ თევზთაებრ ზღუა-
თა შიგან ცურვიდი. არ დაგრჩა ადგილი ესეთი, სადაცა მისი-
სა ძებნისათუის მისრულმან ქირი არ ნახე. აწ აღრე დაგუიწყებთან
იგი ქირნი, რომელ მისისა მიჯნურობისათუის გარდაგიკდიან, და ჩუენ
შენთა მონათა სათქუენოსა გონებისაგან სიცოცხლე ჩუენი არად
გუხარებია. აწ მოიგონე შაპროს პატივი და ვიროს სიყუარული და
სამსახური და თუით შენი ფიცი, რომელ შეგიფიცავეს ღმრთისა და
ყოველთა მისთა წმიდათა, და ნუ გასტებ ფიცსა, რომელ ფიცისა
გატეხა არა რომელსა ყოფნასა კაცისათუის უენებია. თუ კულაცა
რაოდენს შეუცოდებია, აწ უღობიოდ შეუცოდებელია. ჰხედავ, რო-
მელ მარტო წევს ამა ბაღსა შიგან და ესე არ საკუირველია, და თუ-
ცა ვინ ჰხლებოდა, აქათ გარდახუეწა არავისგან იქმნებოდა ესრე
მაღალთა ზღუდეთაგან. ნუ გაჰკიდი უბრალოსა შეცოდებულისად. და
კარნი რკინისანი შენახვით გუიპოვნია. თუმცა ვინ ამასლამე აქა ყო-
ფილ იყო, არა დაგუეფარვოდა. კაცისაგან აქათ გარდახუეწა არ ეგების.
ჰკითხე, ნუთუ-რა ვით-რა ათქუემეინო, რომელ მართალი სცნა და ეგრე
შეანანო, თუარა უბრალოსა მაგისისა სიკუდილითა თავსა უფრო ავ-
ნებო!“

ამა ზარდისა მოკსენებამან აჯითა მოაბადს გული მორეულბო.
კელსა მოეკიდა და შინა წამოიყვანა. ვისის ეგრე უბრძანა:

„ვიცი, არცა დევი ხარ და არცა ეშმა. თუ გრძნეულობითა რა-
იმე არ გარდახუედ, რაით საქმითა შეხუედ ამა ბაღსა შიგანო?“

აფიცებდა დაძბადებელისა ღმრთისა ძალითა და ცეცხლითა მარ-
თლისა თქუმისათუის. მერმელა ვისმან პასუხი გამოსცა და ეგრე
მოაკსენა:

„ჩემზედა ღმერთი მიწყით მოწყალეა. იგი არაოდეს გამწირავს
და მოურავია ჩემისა საქმისა. აღარა მგამა შენისა წრყოძისა, მით რომელ
მას ჩემად შემწედ ვიგონებ. შენ მიწყით ჩემზედ უღმრთობასა მოიღებ,
უბრალოსა მაჰირვებ, მიწყით ქირსა შინა გყავ, დამპატიმრებ, დამ-
ქედ, დამღრგვ, მცემ, უპატიოდ დამიქირავ და სიკუდილსა მომლო-
დე ვარ შენგან ნიადავ. მე ჩემი დამბადებელი მიკსნის ყოველთა ქირ

თავან; იგი გამომიქსნის, მალხენს, გამომიყვანს, გამკურნებს, გამა-
მხიარულებს, შემინახავს, დამიცავს და მატებულ იყოფს. შენ რასცა
ჩემთვის იქმ, მას ღმერთსა ზედა იქმ; მას ემტერები, არა მე. ღმერ-
თია ყოველთა დალონებულთა ღონე და კელის-ამპყრობელი. მე იგი
ნუგეშინის-მცემელად მეყოფის და მკნებლად. მე წუხელის შენისა
პატიმრობისაგან მიჭირვებული, მტირალი, გულითა წყლულითა, შე-
ევხუეწე ღმერთსა, რაცა შენგან უსამართლობანი მჭირდეს; ტირი-
ლით ვიკადრენ და ეგეთსა მასვე ადგილსა ზედა მიმეძინა. მოვიდა
შუენიერი ანგელოზი მწუანოსანი, გამომიყვანა შენისა საკნისაგან და
ესრე მომიყვანა, რომელ თმისაოდენიცა არ მტკივნებია. ჰამოდ მე-
ძინა, აქა ლბილად ვწევ. ჩემი საწყენელი სამძიმარი გულსა შიგან
აღარარა ჩამაწევდა და აღარცარა ჩემი უნებელი მჭირდა. ყოველნი
ჭირნი ლხინად შემტულალებოდეს, ყოველნი საწადელნი ამსრულებო-
დეს. რა კმა და სინათლე ვიგრძენ, კულა ჭირად მომექცა ჩემი სა-
ქმე. შენ შემოგხედენ, დაგინახე ჩემზედა წამოდგომილი, კრმალ-მოწუ-
დილი. ამის მეტი არა ვიცი. შენ გწადიან, დაიჯერე ესე და, თუ
არა, ნუ. ჩემი საქმე ესრე იყო. შენ ვითა გწადიან, ეგრე დაიჯერეო.
შენი ნაქმარი ჩემზედა თუ არ ყუელა უსამართლოა, ღმერთი ასრე
არ მიკნინდა, არცა ეგრე-რად მძინარე შემცოდე ეგებოსო!“

შაჰინშა ესე ვისის სათქუმელი დაიჯერა, მართალსა მიაფერა,
შეიჭირვა, დია ღრმთისაგან შეეშინა. მისსა ნაქმარსა ინანდა, შენდო-
ბა სთხოვა და ვისის და ძიძასა დიადი უბოძა თუალი და მარგალი-
ტი, ოქრო და ლარი; და დაამდეს ერთგან, დაივიწყეს საერთმანერ-
თო ავი ნაქმარი და მხიარულობდეს.—ასეთია გული ადამის რომ-
თა, რომელ გარდასრულისა ჭირისა ლხინსა შიგან დამვიწყებელია:
არცა შეჭირვება გუშინდელი დარჩების და არცა მოლოდინი ხვალის-
სა. თუ ათასსაცა წელიწადსა მხიარული იყო, ვითა ერთი დღე, ეგრე
გარდავა, და თუ შეიჭირვებდე ერთსა წამსა, ას წელიწადად გაგიკლ-
ბის. თუ იხარებდე, თუ შეიჭირვებდე, შენ იგი დაგრჩების. მხიარუ-
ლად იყავ, რომელ თავისა დღისა ნაწილი სიხარულითა აიღო.



მოაბადისაგან შაჰროსა და ვიროს წუევა

და ნადიმის ქმნა

ათხულისა ჟამი იყო, დღე ჰამო; მინდორნი, ველნი და წალკოტნი სამოთხესა ჰგუანდეს; ხენი ნაყოფიანნი, წყალნი მდინარენი და ფრინველნი ზედა— დამღეროდეს; ნარგისნი მწდეთა ჰგუანდის და იანი თაფ-ჩამოგდებულობითა მთრვალთა; შტონი ნაყოფისაგან—ნოშრევანისა გურიგუნისა სიტურფითა; ველნი სიმწუანითა ზურმუხტსა და მთანი ბეემედსა, ყოველი ქუეყანა ყუავილითა, სიტურფითა და სულ-ნელობითა ავისილ იყო. საწუთრო ახალ სძლისაებრ ნაზობდა.

ჯდა წალკოტსა შიგან შაჰინშა და უჯდა გუერდით პირმზევისი; მარჯუნით უჯდა ვირო, და მარცხენსა მკარსა შაჰრო, პირისპირ ჯდა რამინ და წინა სხდეს ხასნი მუტრიბნი, იმღერდეს, სუმიდეს და გაიხარებდეს. იყო დიდებულთა ჯალაბობა. მგოსანმა სიმღერა თქუა ვისისა და რამინის მიჯნურობასა ზედა; ვინცა კარგად გაიგონებდა, შეეტყუებოდა ძალი სათქუმელისა. იამა შაჰინშასა, ეგრე უბრძანა:

„ჰამოდ თქუი ეგე სიმღერა. აწ ვისის და რამინის მიჯნურობასა ზედა სხუა სიმღერა თქუი და გამოაცხადე მათი საქმეო“.

ვისი, რა ესე მოისმინა, მუტრიბსა საბოძუარი უბოძა და ეგრე უბრძანა:

„რათგან შაჰინშას ჩემისა საქმისა გამოცხადება სწადიან, ვისლა უმალავ, თქუიო!“

მუტრიბმან იგივე სიმღერა თქუა ვითა: „ვნახე ხე დიდი და თავი მისი ცათამდის, და ჩრდილსა ქუეშე დაეპყრა ქუეყანა და მზისაებრ ნათობდა. ქუეშე წყარო კეკლუცი დიოდა და მიდამო ია და ვარდი ყუაოდა, სუმბული და სოსანი. მისსა სიახლესა მოზუერი იყო

მსუქანი, ზოგჯერ სათიბსა მოსძოვს. მიწყითმცა წყარო იგი მდინარეა დაულევნელი და სათიბი მწუანედ და მოზუერი მსუქნად და მძოვნელად, ხე ნაყოფიანად!“ ხედ შაჰინშა ეთქუა, წყაროდ—ვისი და ლალი მოზუერი რამინ იყო.


რა ესე სიმღერა გამოცხადებითა კარგად გაიგონა, მოაბად ზე აიკრა საჯდომთაგან და რამინს თმანი შესტაცნა, მოიწუადა დანა და ეგრე უთხრა:

„შემომფიცე აწვე, რომელ ვისის სიყუარული აღარ გქონდეს და არცაღა ოდეს დაეკარო, თუარე აწვე ავიღებ თავსა შენსა ტანისა შენისაგან, რათგან ტანი ჩემი შენისა აუგისაგან უთაფო იარე-ბისო“.

რამინ ეგრე შეჰფიცა ჰათითა საფიცითა მტკიცედ,—პირველ ღმრთითა, მერმე ცეცხლითა, მზითა და მთუარითა, რომელ „გირე სულნი მედგან, არცა დაეაგდებ და არცა მისისა ძებნისაგან მოვისუნებ. და ჩემთა დღეთა მას შევაწვე, ასრე არ გავსწირავ. თქუენ სალოცავად მზე გიჩს ცისა და მე ვისის პირი. იგი სული არის ჩემი და თავისა ნებითა კაცისაგან სულთა ლევა არ ეგების. შენ თუ გწადიან, მომკალ, და გწადიან, დამარჩინე. მე მისსა სიყუარულსა ვერ ველევიო“.

შაჰინშას რა ესე ესმა, მეტად გაუწყრა და გინება დაუწყო; ქუე დადვა, თავის მოკუეთასა ჰლამობდა და სადაცა ეგზომ ძნელი სიყუარული სჭირს, მის აღგილისა დანითა გამოკუეთასა. რა რამინ მოკლვა დაისკუნა, ორნივე კელნი დაუჭირნა მოაბადს, კელთა დანა გამოულო და წამოვიდა.

მოაბადს თუით ეთრო და ამას ზედა სუმა გაიყარა, დაეძინა. დილასა აღარ აკსოვდა მოაბადს, თუ რა წაჰკიდებოდა. მიჯნურობისა და სიმთრავლობისაგან კიდე ცნობა გაქცეოდა. სიმთრავალესა შიგან შეეტყუების კაცსა, თუ რას ზნისა მქონებელია. მოაბადს თუ ესე ორი ზნე არა სჭირვებოდა, არცარა ავი წაეკიდებოდა იმასა.





ბეგოსაგან რამინის შეგონება კარგი

ვორესა დღესა ვინცაღა მოყუარენი იყენეს, მივიდეს რამინის ნახვად და დარბაზობად. ნახეს იგი ეგეთი დაღრეჯილი, ჰკითხეს რა გკირსო? და მან მიზეზი უთხრა. იყო მაშინვე ხორასანს მეცნიერი კაცი, ყოველთა მეცნიერთა საპატრონო, ენად და გონებად კარგი, სახელად ბეგო ერქუა. და სიბრთხილითა მუნ მისებრ არაჟინ იყო ჟამსა და უჟამოსა რამინისასა მივიდოდა და შეგონებისა წყლითა ჰრცხიდა რამინის გულსა, ეგრე ეტყუოდა: „ესე კელმწიფობა შენ მოგხუდების სრულისა ხორასანისა, ერასისა, და რაცა შენსა სულსა უნდა, ყუელა შენი საწადელი ასრულდების და ყოვლისა ქუეყანისა კელმწიფე იქმნებოა“.

მას დღესა, რომელსა მოაბად გამწყრალ იყო, დილასა ეგრე უთხრა: „სრულისა ერანისა და თურქეთისა პატრონი ხარ და ყმა კაცი, გუარად თუით კელმწიფე, და ამის ორისა უკეთესი რა გინდა, რომელ გკირს? შენი ტანი ღმერთსა წინაშე იჩივლებს, რომელ ეგზომსა აკირვებ. ამა უხანოსა საწუთროსა შიგან სხუასა რად რას უკან უდგები სიხარულისაგან კიდე? თუ ღმერთისა განგება გარე არ შეიქცევის, ჩუენ შეკირვებითა ვერ შევიანახავთ თავსა. ამით არ გუინდა უსარგებლო დაღრეჯა და შეკირვებაო“.

რამინ ეგრე უთხრა:

„ვითა შენსა მეცნიერობასა ჰხუდების, ეგრე იტყუი. მაგრა რა ეტლი ეგზომსა უნებელსა უზამს, კაცისა გულმან ვით გასძლოს? რათგან არცა რკინაა და არცა სიპი ქვა, ერთმან ტანმან რაზომი მოითმინოს და ერთმან გულმან ვირემდის მოიკირვოს?“

არაკი: „ღმერთისა განგებამან საყუელაოდ სწუშია, მაგრა მე ოდენ წამილო ღუარმან. არ მოვა ერთი დღე ისეთი ჩემთვის, თუმცა ლუიძლი არ დამიწყულელდა. თუ ერთსა წამსა საწადელი ამისრულდეს, მასვე გუერდით ბადედ მახე დამეგების. საწუთრო რა თავსა

ვარდსა მყარიდეს, თუითოსა ფურცლისათუის თუალსა თუითოსა ეკალსა ჩამასობს. თავისი ნებითა ერთი ჭიქა ღუინო ესრე არაოდეს შემისუამს, თუმცა უკანის მისი სწორი ნავლელი არ შემესუა“.

„შენ ესეთსა ყოფნასა დაპყრობილ ხარ, მხიარულსა ვის ჰნახავ? მე გუშინ ოდენ მოაბადისაგან რომელ წამეკიდა და ვისსა წინა ვით უპატიოდ გასრულ ვარ, რაღა ვისგან შევიგონო? მართ დაესტიროდე თავისა ბედსა, რომელ მოვეკუდე და დავეკსნა ჩემსა ყოფნასაო“.

და უამბო წურილად, ვითა რაცა ყოფილ იყო მას ეამსა შიგან, და ეგრე უთხრა:

„მე ესე ყუელა წამეკიდებოდეს, ჩემგან სიხარულსა ვითა ექუ? ჩემი ესეთი უპატიობა ვისსა წინა და რაზომჯერ თრევა, გინება და ნიადაგ თუალთაგან სისხლისა ცრემლთა დენა, ყოფნისა დამწარება სიკუდილსა დამანატრებს. ყუელასა ჭირსა მოვიქირვებ, მაგრა უპატიობას ვერაო“.

ბეგომ ეგრე მოაკენა:

„ჰე თავისა ბედისაგან მჩივანო, შენ ლომი ხარ, ტურათაგან რას ჩივი? შენ შენი ბედი გიშუელის ბოლოსა ეამსა. მაგრა მაშინღა რა, ეგე გუნება მოიწყინო? ვირემდიცა მიჯნურობა შენ გიამების, მუნამდინცა შენი ტანი მიწყით ჭირისა მიმზიდავია. მოყუარესა გულსა რად მისცემ, თუ ჭირსა და უპატიობასა ვერ გასძღობ? არ იცოდი, რომელ რა მიჯნურობასა დასთესავ, მისგან უპატიობასაცა მოიმკი? ვინცა ვარდსა დასთესავს და მოჰკრებს, კელსა ეკალიც დაესობის. შენ მიჯნურობითა ვაჰარსა ჰგავ, ზოგჯერ ზიანი გეცემის და ზოგჯერ სარგებელი. ნუ გგონია, თუმცა სარგებელი უზიანოდ მოგხუდა, ანუ ცეცხლი მოგხუდა უკუამლოდ. ვინცა თესლსა სთესავს, გალევვამდინ მისისა საქმისა ჭირსა შინაა. შენ მიჯნურობისა თესლი გულსა შიგან დაგითესავს და მუნით ვისისებრსა მომკასა ჰლამი, მუნამდინ დია ჭირისა ნახვა გინა. მე ათასჯერ მომიკუნებია შენთუის თუ: ნუ დაიჭირვებ თავისა ტანსა და სულსა ცუდითა საქმითა. გულის ნება აღლევებულსა ზღუასა ჰგავს, რომელ მაშიგან შესლვა არა მეცნიერისა საქმეა. მიჯნურობა, გულსა შიგან შესრული, და ცეცხლი თუალთა ზედა სწორია მოსათმენლად. შენ გინდა თუ არა, დათმობისაგან კიდე არაა ლონე; და თუ არა, დია ჭირსა ჰნახავ, გინდა—ტანი შენი წყენისა ადგილი იქმნების. შენ მწყრალისა პილოსათუის შებმულ ხარ და გაჯაგრებულსა ლომსა ეომეი. ჰაბუკობა გეკმარების და, არა ვიცი—ვით იქმნების შენი საქმე. ზღუასა შიგან ჰზი უნაო, და შიგან თუალსა პატროსანსა ეძებ და აღარაოდენ მოელი მშუიღობით გამოსლვასა.მის ვეშპისა დაპყრობილი ხარ, რომელსა ვერცა მოყუარე

და ვერცა მტერი ვერ დაეკნენბის. და თუ ერთსა დღესა ესრე გაგიწყრეს, რომელ მოგკლას, მეშინიან შენთვის, და არ ვიცი, შენი საწყუთრო რას გიზამს. შენ სახლი აგიგია ლუარისა გზასა შიგან, დაგიძინებდიან მთრვალსა, ნუთუ შეიქმნას უგრძნეულად რღუნობა და შენ სახლითურთ წაგილოს ლუარძან. ბადესა ასჯერ უფრო შებმულ ხარ, მაგრა შენსავე ბედსა უშუელია და დაუკნინხარ, და ნუთუ ესრე დაება ერთხელ, რომელ ველარაით ღონითა დაეკნა, მოყივნებული ცუდად წაჰკდე. იგი უპატიობა ამა უპატიობასა დია უარეა, რომელ შენნი სისხლნი ზუით შენვე მიიხხნე, ამა საწყუთროსა შიგან ყოველი კაცი გგმობდეს და მას საუკუნოსა ჯოჯოხეთსა შინა ისჯებოდე უკუნისამდე. ამისგან უფრო რად დასჯი შენსა სულსა? თუ ჩემი მოისმინო და დათმობა გამოარჩიო, მრავლისა ქირისა ნაცულად სარგებელი ჰპოო. არა რომელი ქაბუკობა და მამაცობა დათმობისაებრი არა არის და მეტად რა გულის ნებასა აშორვიდეს; მაშინ თუ მამაცობა იკმარო და დათმობა, გულისაგან ამოიკოცო ჟანგი. მიჯნურობისა მარგებელი სხუისა შეყუარებისაგან კიდე არა არის, არცარაით ამისგან კიდე გული გარდაეღების კაცსა. თუ ერთსა წელიწადსა დასთმო, უმისობა ესრე დაგავიწყდეს, რომელ ვითამცა ყოლა არაოდეს გენახა. რა მიჯნურობა მოერიოს კაცსა, თუ სხუა ღონე არ იყოს, მოშორებებისაებრი არაა, მით რომელ სიყუარული თუალთა აქუს: ვინცა თუალითა აშორავს, გულითაცა აშორავს. კაცსა მრავალფერი რამე ძნელი საქმე დაემართების, მაგრა თავისა გონებითა, სიფრთხილითა, თათბირითა და ომითაცა ჰპოებს ღონესა. შენ ერთი გკირს ქირი და არცა მისი ღონე იცი და არცა თათბირი. გაბედითებულ ხარ და საარაკოდ გასრულ ხარ. ძმა დაგიმტერებია, დიდი და ცოტა შენსა აუგსა იტყუის; რა პირველ სუმად დასხდებიან, შენსა ზრახვასა დაიწყებენ და სახელად ნაჯომარდსა გიკმობენ; თუ ვისი მზეცაა, რამინისაგან მისისა ძმისა უპატიობა ვით ეგებისო?“

ა რ ა კ ი: „რა კაცმან გუარი დაისუაროს, ასისა ზღუისა წყალიცა ვერ გარცხის. ვითა ავისა მოქმედისა სახელი უკუნისამდის დაჩრების, ეგეთი კაცსა სარგებელი არა დაჩრების. ერთი მოყუარე კარგი მსწავლელი კაცისათუის ერთსა ქუეყანასა სჯობს და ერთი მართალი გული ერთსა თუალსა პატიოსანსა“.

„შენ შენი საწადელი ეგზომსა ხანსა ვისისაგან აგისრულებია და სიყუარულისა შტოსაგან ნაყოფი გიქამია. თუ ათას წელსაცა ახლავ, მეტსა რასა იქმ? არცა მზეა სინათლისა და არცა ბუთი შუენებითა, თუალად ვისისებრი ქუეყანასა შიგან დიდად იპოების, და ესეთისა დიაციისათუის შენი სიყრმე უკან რად დაგიღვევია? თუ სხუისა-

თუ ისცა ვის დასდვა გული, ვისი ყოლა აღარ მოგვეგონების. შენ მას-
კულავი მით მოგწონებია, რომელ მთუარე არაოდეს გინახავს. გააგ-
დე მომცდარისა გულისაგან მიჯნურობა, გამოიცადე თავი. ინდოე-
თითგან დაიწყე: ჩინი, ბარბარი, საბერძნეთი, ერანი ხორასანამდის
შენ და შენსა ძმისა მორკმით გაქუს,—სხუამცა ვისისებრი დედო-
ფალი ვერა ჰპოვა? ძებნე მანამდის ქუეყანასა შიგან, ვირე მისგან
უქიკლუცესიცა არა ჰპოო. თავისა დღენი უშიშობასა შინა სიხარუ-
ლით გარდავლენ. ვირემდინ, ვირემდინ აკირვებ თავსა? აჰა, აწ მო-
სრულა ჟამი შეირცხუინო, ძმისაგან პატივი სძებნო და ლაშქართაგან
უაუგობა. აჰა, კარგი ჟამი, რომელ სიყმისაგან გაიხარნე, მოყუარეთა
გაახარნე, მტერთა დაამძიმე, ჰაბუკობითა სახელი სძებნო. ჟამია, რო-
მელ შეგწონდეს აენი და კარგნი. სხუანი კელმწიფენი, შენნი სწორნი,
კელმწიფობასა ღ დიდებასა ეძებენ ღ შენ მიწყით ვისსა ღ ძიძასა ეძებ;
წაგიღია თავისათუის პირის-წყალი. ვირემდისია შენი ავქცეობა? წავი-
და შენგან მღერისა და ლალობისა ჟამი. ვირემდინა ლალობისა მოე-
დანსა შიგან ცხენისა რბევა შენი? რა არის ესეთი ეშმა, რომელ ეს-
რე დაუძაბუნებხარ, საკიცხად გაუკდინხარ, და მისისა სამსახურისა-
გან საღმრთო დაგიგდია? მეშინიან შენთუის საბოლოოდ, რომელ
მტერთა გაახარნე შენზედა. თუ ჩემი, შენისა მონისა, შეისმინო, ეგ-
ზომსა ზრახვასა და ბედითობასა დაეკსნა, შენი შექირვება სიხარუ-
ლად მოგექცეს და ფათერაკი ღმრთისა წყალობად. და თუ არ გამა-
ძღარ ხარ ეგეთისა ყოფნისაგან, ვითამცა არცარა მე : მითქუამს და
არცაღარა შენ მოგისმენია. მუნამდინ რომელ მითქუამს დაიგჯრე,
ვირე ავად მოგიკდეს, თუარემ შენ იცი, შენ ზღუასა შუა დაეპყრო-
ბი და ჩუენ ნაპირსა დავრჩებით. მქურეტელთა ზედა ქურეტისაგან
კიდე არა მივა ქირი. ამისისა კადრებისათუის მუდარას ვითხოვ; მე,
რომელ მცოდნია, მითქუამს, და შენ, ვითა გწაღიან, ეგრე ქენო.“

რამინ რა ესე ბეგოსაგან საუბარი და შეგონება მოისმინა, მი-
სისა უგულობისაებრ ლამსა შიგან დაფლულსა მოკართულსა ვირსა
დაემსგავსა და ულონო იქმნა. ზოგჯერ ზაფრანისაებრ გაყუითლდის,
ზოგჯერ დაიღრეჯდის. ეგრე უთხრა ბეგოს:

„ვიცი, რომელ ჩემისა სარგებლისათუის იტყუი მავას. ჩემი უმეცარი
გული წყლულია და მით მებრძვის. აწ მოვისმინო ჰამო ფანდი შენი
და შევიგონო კარგი წურთა შენი. ამის საწყლისა გულისაგან მოვი-
წყუილო და აქათგან გული ჩემი აღარ იყოს ნებისა მძებნელი, არცა-
ლა ლაწუნი ჩემნი ცრემლთა ჩემთა რუისა გზანი. ზვალე ერაყისა და
მაჰისა ქუეყანით პირსა ვიქმ და სადა მიჯნურნი იყვნენ, არცაღა გო-
ნებით დავეახლები, სიყუარულსა გულად აღარავისსა ჩაუშვებ და არ-
ცაღა ესეთსა საქმესა უკანაულდები, რომელ უკუნისამდის აუგიანი
დავრჩეო“

მაჭი მოაბადისაგან ვისის წურთნა და

შეგონება და მცნება



ომელსა ჟამსა ბევო რამინს შეაგონებდა, ზაშინ-
ვე მოაბადსა ცა მოსწადდა ვისის წურთა, ჰამოითა
და ლბილითა სიტყუითა შეაგონებდა. ეგრე უთ-
ხრა:

ჰე კეკლუცო პატრონო, ჩემო სულთა მომცემო! თუით იცი, მე რაზომი ჰირი შენთუის მინახავს, შენითა მიჯნურობითა რა დამართებია და შენ რაზომჯერ გული გიტკივებია. შენისა ავად ქცევისაგან გამიგრძელდა ჰირი და გამკადე საარაკოდ. არაა სიკეკლუცი, რომელ შენ არა გაქუს და არაა დიდება, რომელ მე არა მაქუს. ჩემი უფროსი კელმწიფე მიწასა ზედა არაა. მე შეფეთა მეფე ვიყო და შენ კეკლუცთა დედოფალი, მოე ვიყვნეთ ერთად. ნუ გიც გული კიდის-კიდე. ვირე ვიყვნეთ, ერთმანერთისა მოყუარენი ვიყვნეთ, ავილოთ სიყუარულისა ნაწილი. შენ იყავ ქუეყანათა, ქალაქთა, ლაშქართა, საქურქლეთა და დარბაზთა პატრონი; მე გარეთ მართ სახელი ოდენ მეყოფის მეფობისა, სხუად ყუელაისა საქმისა მოქმედი შენ იყავ; რაცა გწადდეს, იქმოდ; სადაცა კეკლუცი ადგილი იყოს, თამაშობდი, იხარებდი, გასცემდი და იურვოდი. რაცა მე მაქუს, ყუელა შენია, თუით რომელ ასი ათასისაცა ეგზომისა ღირსი ხარ. ჩემნი ვეზირნი შენნი იყვნენ, მწიგნობარნი შენნივე იყვნენ. რაცა გწადიან, შენ უბრძანევი და აქნევი. შენ გშუენის კელმწიფობა, დიდება და მე არა; ესრე შენი მიჯნური ვიყო და მოყუარული ნების მყოფელი და წადილთა შენთა მყოლი. სხუა ქუეყანათა ზედა ესეთი ვინლა ეგების, რომელ არა შენი მონა იყოს და ბრძანებისა მორჩილი? მოისმინე ჩემი შეგონება და ნულარა ხარ ესრე დაუკარავი, ვითა გუმბათსა ზედა ნიგოზი. მე შენთუის კარგი მინდა და კარგსა გასწავლი ყუე-

ლასა. არ შენებრი გულმანკიანი ვარ, რომელ გულსა სხუა გიცს და ენასა სხუასა ათქუმევ. ჩემი სული სიმართლისა მოწადინეა და ენა მართლისა მთქუმელი. მიწყით გული ჩემი სიყუარულისა მძებნელია და ენა მშუიდობისა მთქუმელი. ასრევე მართლად შენ იქცეოდი. ნუ ხარ ჩემთვის ორ-ენა და გულღალატინი. და თუ მოისმინო ესე სათქუმელი ჩემი, დააგლო საძულველი ეგე ქცევა და ბუნება შენი და დამმორჩილდე,— ესრე გაკდე სანატრელად, რომელ დიდნი კელმწიფენი დარბაზისა შენისა საძირკუელსა ემთხუოდენ შენისა ზარისაგან. და თუ ეგრევე იქცეოდე, თუით მე ეგრე დაგემტერო, რომელ სხუანი უფრო მტერნი არავინ ეგებოდენ. ნუ იქმ, მთუარეო, დამდევე პატივი, ეკრძალე ჩემსა მტერობასა, რათგან პირუტყუთაგანცა საშიში ვარ. შენ ჩემი სიყუარული გერჩიოს სიძულვილსა. შეირცხუნე საპატიოსა შაპროსაგან, მოიგონე უსწორო გუარი შენი, დაჰხედე შენისა ძმისა სიკეთესა, რომელ მიწყით შენგან რცხუენილნი და პირშავნი არიან. შენ თუმცა ღმრთისაგან და ანუ შაპროს და ვიროსაგან გრცხუენოდა, აგრემცა იქცეოდე, ვითა კამს და მემცა პატივისა მღებდი. მაგრა რათგან ეგეთისა მშობლისაგან რიდი არა გაქუს, ვითა შაპროა, და ეგეთისა ძმისაგან კრძალი, ვითა ვიროა, მემცა რად გამახარენ? ანუ ჩემსა შეგუილსა რად მოგელი, თუ ცამდისცა გავიდეს ჩემი ზარი და დიდება? მაგრა აწ მითხარ მართალი უტყუვრად, ღმრთითა გაფიცებ, საჩემოდ რა გიცს გულსა: მოყურობა ანუ მტერობა? აღარ შემიძლია ამა ყოფნასა შიგან სიცოცხლე, მოიწყინე შენცა ეგე შენი ბუნება, ჩემგან ბოლოდ იცოდე შეგონება და მაგასავე შიგან ხარ, შეგონებითაცა გამაძღარ ვარ. შენთა საქმეთაგან გამქლავნებულა ჩემი ხუაშიადი და ველარა ვსთმობ ამასა და ველარც გემუდარებოი“.

ვისის გული ღმრთისა განგებითა, ვითა ქვა; ცუდილურად მოლბა. ამა საუბარსა შიგან ზე ადგა და პასუხი ეგრე მოაკსენა:

„ჰე მაღალო კელმწიფეო, სიმაღლითა ცამდი ხარ და სიმდაბლითა მიწამდი; გული გიც უხუი და კელი შენი--თუალისა პატიოსნისა გამცემად და გონება—სიფრთხილითა სხუათაგან მიუწოდმელი. ღმერთსა შენდა ესეთი საქმე მოუცემია, რომელ სხუათა კელმწიფეთა არცა გონებად მოუვა. შენი ნაქმარი ყუელასა ზედა მზისაებრ გამცდარია, ღმერთმან თქუენთა წადილთაებრ გყოს და თქუენი ბრძანება სრულ ქმნას. იცით თქუენცა, რომელ კაცსა ზედა ეტლი წამსა და წამსა სხუაქბილად იქცევის და შობასავე თანა დაეზადების წინამდებარე, ჩუენ კაცნი ღმრთისა განგებასა და ეტლსა ვერსადა გარდავეხუეწებით, ვერცა სადა დავემალვით ღმრთისავე წადილისა-

გან კიდევ. ყოველივე მისგან განაგებია, რაცა დაემართების ვის სიკუ-
ლილისა დღემდი. რაცალა ვარ, მას ზედა ღმრთისაგან ანაგები ვარ;
ბუნება-წმიდა ვარ, თუარა შენ ღმერთსა ბედნიერი დაუბადები-
ხარ და მე თურე ესეთი. მე ამით უბრალო ვარ, რომელ არაოდეს
მლომია ჩემისა თავისათუის ავი, რაცა ეამსა არა მოუცემია; არა
მწადებიან სათავისოდ ეგზომნი ფათერაკნი; არ მკეთებია საჩემოდ
ეგზომი კირი, არცა მინატრიან, თუ მიჯნურისაგან ეგზომნი კირნი
მომხუდენ და ამისი ხუაშიადი ჩემთა მტერთა სცნან. და არცა სა-
ჩემოდ ესე მიყუარს, რომელ ოდესცა ლხინსა მოველი, კირად მომე-
ქცევის. შობითგან კირსა შიგან ზრდილ ვარ! ღონე ჩემი რაა, რათ-
გან გული ჩემი ესეთთა საქმეთათ შეუსწორია ჩემსა სუესა? ვითამცა
ეტლი ჩემი სულსა ჩემსა ებრძვის, ესრე ვარ, და თუით ესრე მომწყე-
ნია ყოფნა, რომელ ლომისაგანცა შექმა სანატრელად მაქუს. ბედი ჩემი
ჰაბაშსა მუშასა ჰგაევს შხისაგან შემწუარსა და თმობა ჩემი ქაჯთაგან
წაღებულსა. ფრჩხილითა გულისა სირცხუილისა ფარდაგსა ვჰხევ და
კბილითა სულისა მკედსა ვსჭრი. აქათგან იცოდე შაჰი მოაბად, შენი
დამამძიმებელი არცალა სული მინდა და არცალა გული. აქათგან ყო-
ფილ ვარ შენგან კირსა. არცა ოდეს გული გამიზხიარულდებოდა და
არცა ტანსა შიგან სული ჩემი ოდეს გაისუფნებდა. ჩემი საქმე ერთ-
სახე შფოთად ყოფილა. აქამდის ბედსა ჩემსა თურე სძინებია. აწ
აღარა ვარ ესეთისა სიყუარულისა ვისისაცა მძებნელი, რომლითა
საუკუნო სირცხუილი მომხუდეს, ანუ შენებრი მოწყალე და მძლე
პატრონი უწყალო მექმნას და დამემტეროს. რადლა მინდა ეგზომი
ძნელი სიყუარული, რომლითა ეგზომ დიდი აუგი მომხუდების? რად
მინდა ესეთი მიჯნურობა, რომლითა ეგზომი საყუედური და უჰატი-
ობა დამემართოს და საარაკოდ დავიდვა ქუეყანასა შიგან? აწ ჩემისა
ბნელისა გულისა კარი გამღებია, მართალი გზა მიპოვნია, თუალთა
ამჩენია და გონებისა და ცნობისდა შემეცნებულ ვარ. აწ დამიგდია
მიჯნურობა. აქათგან შემიგიან, რომელ ჩემისა ბუნებისაგან ზიანი
მცემია და ყმაწუილობისაგან სამუნაოდ და სააქაოდ ავი საქმე მიქმნია.
მიჯნურობა ღრმისა ზღუისა მსგავსია და მაშიგან შესლვა არა მეც-
ნიერთა კელია. თუ დღეთა ჩემთა ვჯდე, აღარა ვექუ, რომელ მისი
პირი დავინახო, და თუ ათასისა მათუსალაა ოდენი დღენი მქონდენ,
აღარა მგონია, რომელ მუნით ერთიცა სული მშუიღობით გამოვიყვა-
ნო. რად გლახ ვებრძვი საბრალოსა სულსა ჩემსა, რად დავლური
უბრალოსა სისხლსა ჩემსა, რად არ მომისმენია ბრძანება თქუენ-
, რანსათუის სათავისო მშუიღობა არ მიძებნია? მაგრა აქათგან რაცა-
ლა თქუენი შეცოდება და ავქცეობა ნახო, რაცა გწადიან, მის რის-

ხუისათვის სიტყუა არ მაქუს. თუ ლომიკა არის, აქათგან ველარ მომერევის რამინ; თუ ქარადცა შეიქმნას, სული ჩემი აღარ ვცეს, ჩემსა სიახლოესა ველარ იქროლოს, და აწ რომელ თქუენთვის ამით-ქუამს, ესე პაემანი და პირი აღაროდეს გავტეხო. თუ მკეველად და მსახურად გინდე, დღეისითგან წალმა შენი მორჩილი ვარ. შენ ერთხელ ჩემთვის კულა გამართე გული და მე ესრე გმსახურო, ვითა თუით შენ გინდა, აწ დამტკიცებულია ჩემთანა სიმართლისა სულიო.

შაჰინშა პირი და თუალნი მოუკოცნა, ესრე დაამდეს საერთმან-ერთოდ, საეჭუისა და სიძულვილისა ჯანგი ერთმანერთისაგან ამოიღეს.

სიმონი



ვისის და რამინის ერთმანეთის

წეროძით ვაერა

ა მოიღრუბლოს, ჰაერი დაბნელები; ქუეყანა ფიცხლისა ქარისაგან აშფოთდები. აგრევე მოყუარეთა რა საწუთრო გაჰყრიდეს, წინასვე დაუწყებს მუხთლობასა; ეძებს მიზეზსა და გამოაჩენს-ცა. რასაცა გააცხრობდეს, პირველ პირი გაუცხელდები. რა რამინს მოეწყინა ნიადაგ კირის ნახვა და გაძლა დღე და ღამე ვისისა უკანა დგომისაგახ, თუითო წამისა ბადესა შებმისაგან და ყოელისა კაცისა ყუედრებისაგან, ბეგოს საუბარიცა გულსა ჩაუკდა, შაჰინშას კაცი მიუგზავნა, ეგრე მოაკსენა:

„ესე აქაური ჰაერი არ დამაშუნდები, უფროსჯერ თუით ავად ვარ, თუ ბრძანოს მეფობამან შენმან, და დიდებასა მალირსებდე, ერაყს წავიდე და გმსახურო, მუნაურთა ლაშქართა თავადობითა შემიწყალეთ. რაცალა სამსახური იყოს, ვიქმოდე; ოდესცა მიბრძანოთ, განალამცა სირბილითა მოვიდოდე თქუენს წინაშე. ნუთუმცა ამა სნეულობასა და სევდიანობასა დავეკსენ თქუენითა წყალობითა! მთასა და ბარსა ნიადაგ ნადირობითა ვიხარებდე, ზოგჯერ ავაზითა, ზოგჯერ ქორითა და ძაღლითა გამოვსცადო სანადირო ყუელაი. ცხენნი დამხამებიან და აბჯარი ჩემი ამა ექუსსა თუესსა შიგან არად მიკმარებიან, შინაყოფითა დამჯანგებიან. და აწ წავიდე და ოდესცა მიბრძანონ, მონურად წინაშე ვიყო“.

რა მოაკსენეს შაჰინშას, ესმა ესე და გაეხარნეს. გაასრულა რამინის მოკსენიბული: რე, გურგანი, ქოისტანი, ჰამიანი და სრული ერაყი მას უბოძა. ტანსა შემოსა, მანაშური ბრძანება გაკსნით უბოძა. მოეთაყუანა, კარავნი გარეთ დაადგმევინა. შინამყოფი უგრძნეულად გაემგზავრა, ვისსა, ამისსა მსმენელსა, თავი ცოცხლად აღარ უჩნდა, გული უმცირდებოდა და გულისა კუნესა შეჰქმნოდა.

რამინ მივიდა წამავალი ვისის გამოსათაყუანებლად, შეჯღო-
მისგან კიდე არა აკლდა, შეკაზმულ იყო; ვისი ტახტსა ზედა ჯდა, შე-
ვიდა, მასვე გურდით ტახტსა ზედა დაჯდა. ვისმან კელი გაუქნია
და ეგრე უთხრა:

„ადგე, სეფეს ტახტსა ზედა ნუ დაჯდები. რა ყმა იყო, პატ-
რონისა ადგილსა ეკრძაღვოდე. ჯერეთ მეადრების შენგან მაგა-
ტახტისა ძებნა. რასაცაღა მოუცთუნებინხარ, რეგუენობაა ეგეო!“

დაუმძიმდა რამინს, დიდად დაღრეჯილი აღგა და წავიდა.
დასწყია თავისა დაბადება და ინანდა რაცა ვისისათვის კირნი ენახ-
ნეს, ეგრე თქუა გულსა შიგან:

„აჰა, აწ ვნახე თავისა ჩემისა საქმე, თუ რაითა გულითა არის
საჩემო ვისი; ბოლოსა ეამსა რა მითხრა გამყრელსა. ნუმცა ვინ
ეძებს დიაცისაგან მოწყალეობასა, ნუმცა ვინ სთესავს მლაშესა ველსა
ზედა ვარდსა. ვირისა კულსა ჰგავს მათი სიყუარული, ზომითა ვერ
გაგრძელდების. მე ვზომდი დიდხან ვირისა კულსა, მე ვსთესევედი
დიდხან მლაშესა ველსა ზედა ვარდსა და მიუდგებოდი დევისა კულ-
სა. აწ მადლი ღმერთსა, რომელ თუალხილული და გულმრთელი ვარ,
შემიგნია სახელი და აუგი. რად დავკარგე აქამდის ჩემი სიყმე კუ-
ლად? რად განვიქრიე საწუთრო და ღლენი ჩემნი? ვაი იგი გარდა-
სულნი ღლენი და ეამნი, ვაი იგი გული ჩემი, სიყუარულისა მომლო-
დე! რაის მიზეზისათვის დავიკლე აქამდისი სიყმისა სიხარული, რათ-
გან ბოლოდ იმისგან გამწირაობა დამრჩებოდა?! კაცსა თავისავე კე-
ლითა თავისა სიკუდილი უჯობს ესეთისა სიტყუისა მოსმენასა. ბარე
კარგსა ეამსა მოვისმინე ეგზომ გრილი სიტყუა, რომელ გული გამი-
მაგრდეს. ვაშად გამიდრკა გული სამისოდ, მაგრა, რათგან მისი კი-
დეგნობა დამედვა გულსა, რა მგამა რაზომიცა რა ავი მოვისმინო,
სახლი, რომელ უბედური იყოს, რაზომცა ადრე აოკრდეს, ესე
სჯობს. მე კიდეგანობისა მიზეზი მომცა ღმერთმან. ბოლოდ ნაცუალი
გამოჩნდა ჩემისა კირისა. მე თუმცა ცნობანი მქონდეს, ათას თუალ-
პატიონსად სყიდვა მინდოდა ესეთისა სიტყუისა. აწ ღმერთმან მაჯ-
ნად მომანსმინა. აჰა გულო, შესჯერდი და გაიქეც, ამის სიძნელისაგან;
გაიქეც, გულო, საწუთროის ფათერაკისაგან; გაიქეც გულო, აუგისა
დავიწყებულისაგან; გაიქეც და ნულარავის აძლევ სისხლთა, შესჯერ-
დი და გარიდე! და თუ აწ არ გარიდებ, მაშ ოდესღა გარიდებ?“

რამინ ამა საგონებელსა შიგან იყო და გული პილბილითა გა-
ტენილსა უგუანდა.

ვისმან რა ესრე დაღრეჯილი ნახა რამინ, თავსა ბრალემა და-
უწყყო, რად დავამძიმე ჩემითა უთმენელობითა? გული მახუილითა
ეკრებოდა მისისა დამძიმებისათვის. მერმე ას ოცდაათი არტახი



მოატანინა, რომელსა შიგან ოცდაათ-ოცდაათი თავი სტავრა ეკრა. ყუელა ოქრო-ქსოილი, ჩინური, ბალდადური ოქსინო და ყუელასთანა ყუელა ერთმანერთისა მჯობი. რამინის მეკურკლესა შეპვედრეს. თუით რამინ მრავლითა ტურფითა შემოსილითა შემოსა, კაბა-ლა-ფანჩებითა და ქუდებითა და რიდებითა. მერმე ამა სიტყუისათუის შენდობა ითხოა და ეგრე უთხრა:

„არ ეგრე შემომფიცეა, თუ სულდგმული არ გაგწირავ და არცა დაგაგდებო, აწ რად ჰქმენ ეგრეო?“

მას მიზეზი უთხრა, რადცა ექმნა და რასთუისცა წავილოდა. მერმე კელი კელთა დაუქირეს ერთმანერთსა და წალკოტსა შევიდეს მარტოდ, მოეხუიენეს ერთმანერთსა. მათისა პირისაგან წალკოტი აყუავდა და მათისა თმისაგან ნიავი გასურნელდა. ზოგჯერ ერთგან ყოფისათუის მხიარულობდიან და ზოგჯერ გაყრისათუის ტირილიან. ვისი პირ-შუენებიანი თუალთაგან სისხლსა იდენდა, ლაწუნი ოქროსფერ ჰქონდეს, თუალთაგან ათასისა ღრუბლისა ლუარნი გარდმოსდიოდეს და ერთისა სულისაგან ათასი ფერი შექირეება გამოვიდოდეს; პირსა და მკერდსა იხოქდა და ეგრე უთხრა:

„ჰე საყუარელო მოყუარეო, ჩემსა ნათელსა რად დამიბნელებ შენითა წასლვითა? არ შემომფიცე მას პირველსა დღესა? აწ მუნითგან რა ხანი გარდასრულა, რომელ ესრე გასძელ ჩემითა სიახლითა? ვითარია გულისა ეგეთობა? ეგე თქუენ მამათა წესია, რომელ გულსა უჩუენებთ კაცსა და გულისა ჩუენებითა მასცა გულსა დაუწყულლებთ, ნერმე გულსა გაიმაგრებთ. გულისა სიმაგრე ომსა შიგან კამს, არა მოყურისა ცრუებისათუის. ღმერთსა თანა ბრალად რად არ გიჩს? მე იგივე ვისი ვარ, მზისა მსგავსი, პირ-თეთრი, მუშკი, ტანკუიპაროზი, შენისა მოყუარულობისაგან კიდე ჩემგან არა გინახავს, რომელ გულისაგან გააგდო ჩემი სიყუარული. თუ ახლა-ვინ მოყუარე გიშოებია, ჩემსა ძუელსა სიყუარულსა ზღუასა ნუ ჩააგდებ და ნუ გამწირავ; რამინ, ნუ გაახარებ ჩემთა მტერთა, ნუ იქმ მაგასა. ვიცო, ადრე შემოიქცევი და ინანი. ნუ გასწყუედ სიყუარულსა, არ ჩანგისა ძალია, თუმცა კულა გამოინასკუა. ესე დღე მოგეგონების, და კუნესა დაიწყო და ჩემსა წინა შენებურად პირსა მიწასა დასდებდე და ეგრე მეხუეწებოდდე: ვერ გასძლებ უჩემობასა და მერმე სინანული აღარას გარგებს, რა ჩემსა ნახვასა ეძებდე და ეკრა ჰპოო. აწ ამაყობისა და სირეგუნობისაგან გამაძლარ ხარ და მაშინ დაგლახაკდები. ნახო მაშინ, რაცა შენწედა ვქმნა. ავისა და კარგისა უმუქტობასა ნუ მეექუ. მაშინ ნახსა შემიქმ და განმანებიერებო.“

რამინ პასუხად ეგრე გასცა:

„ჩემისა გულისა ღმერთმან იცის და შენცა, რომელ წამსაცა ვერ დავსთმობ უშენობასა. მაგრა მე შენთა მტერთაგან მეშინიან და ვერიდები. ყოველი ადამიანი დაგუმტერებია, ასრე რომელ ჩემი პერანგნიცა მტერად შემქმნიან თავუნიცა ვეფხთაებრ მძლავრობენ და თევზნი ვეშაბთაებრ მექუშვიან, და მზე უპატიოდ ელავს ჩემზედა, ღრუბელი საბრალოდ მწუიის. ეგზომი საყუედური მესმის ყოვლისა კაცისაგან, რომელ თავისა თუალითა ჯოჯოხეთსა მახედვენ. მისთვის მიმიმართებია მოახლეთა, და მოუყუარეთაგან ესრე მეშინიან, ვითა მტერთა და მესისხლეთაგან. ვისისაცა კელისაგან წყალსა შევსუამ, მოწამლვისა მეშინიან. შაჰინშას თანა ესრე შესმენილ ვარ, რომელ ნუთუ მუხთლობით მომაკლევინოს და რა მოძქლან, მაშინ არცალა შენი ვარ, არცალა ჩემი. ესრე გამომირჩევია, გული რომელ ეგრეცა შენი მოშორებულთა და სადაცა წავიდე, ცოცხალი ვიყო. სიცოცხლე თუით ამით უფრო მინდა, თუ სულნი არ მედგნენ, შენებრივი მოყუარე საუკუნოდ გამეყრების. ამას რა უამეა, რომელ სულნი მედგნენ და შენებრი სულიცა მეახლოს? აწ დავსთმოთ. ამა წელიწადსა ერთსა ვიყვნეთ კიდის-კიდე და მერმე დღეთა ჩემთა უშინად ერთგან ვიყვნეთ. მასმია, ღამე მაკეა და არავინ იცის, თუ დილა რასა შობსო. საწუთრო ხრიკიანია, ვინ იცის რას გამოაჩენს! რა იცი თუ ბნელსა ამასა კიდევანობასა რაზომი სინათლე მოუდღს შეყრისა! თუცა საწუთროსაგან სნეული ვარ, მისისავე მკურნალობისაგან მაქუს იმედი. მე რაზომცა ნისლი მომხუეგია, დარისა კარგისა და მთუარარისა ნათლისაგან იმედსა არ გარდავსწყუედ. აწინდელი ჩუენი გაყრა ესე არის, რომელ გულითა კულა უფრო შეყრილ ვართ; ნუთუმცა დაილია კირისა დღე და მოგუესწრა სიხარულისა და ლხინისა ჟამი? მე ვირე სულნი მიდგან, შენსა და ჩემსა საკუთრობასა არ გარდავსწყუედ. შენ ჩემი მზე ხარ და თუ შუქი შენი არ მახლავს, საწუთრო ჩემთა თუალთა წინა შენისა თმისა ფერად მიჩს. ჰაი, ჰაი რაზომი უნებლობა წამკიდებია საწუთროსაგან და ყუელასა მიზეზი შენი სიყუარული ყოფილა! აწ ამას ვეკუ, რომელ ბოლო მოჰკდეს ჩუენისა კირისა, აქათგან სიხარულისა ნაწილი მოგუხუედეს. დიდისა შექირეებისა ყუელასა ბოლო სიხარულია, კარი არ დაკშულა, რომელ არ გაიღებოდეს; შეღმართი არაა, რომელ ჩაღმართიცა არ დახუედეს; გაზაფხული მაშინ როვა, რა ზამთარმან მთა შეკრასო“.

ვისმან ეგრე უთხრა:

„ეგე ეგრე არის, მაგრა ჩემისა ბედისაგან იმედი არა მაქუს. ჩემი ბედი არ ეგრე მემტერების, თუმცა, რა მოყუარე წამგუარა, მისი პირი მიჩუენალა. მეშინიან შენისა ბუნებისაგან, რომელ გორაბს

კუკლუცი ქალი ჰპოო და შეგიყუარდეს. მუნებურნი ნაკუთად კარ-
გნი კეკლუცნი და ლამაზნი მოჰკდებიან და შენ რა მათ ჰნახავ, მე
დამივიწყებ, გულსა მათ მისცემ და გამწირავ. სათამაშოდა მიხუალ
გორაბს და გული ბრუნვასა დოლაბივითა დაგიწყებს. ეგ ზომსა კეკ-
ლუცსა ჰნახავ, რომელ ველარ შეიგებ, თუ რომელი გამოირჩიო. რა
მუნებურნი დედანი მამაცსა პირსა უჩუნებენ, მაშინვე გულსა წაუ-
ღებენ მათითა თმითა, პირითა შუენიერითა და ლამაზობითა. ვითა
შემოდგომათა ქარი ხისაგან ფურცელსა იტაცებს, აგრევე მუნებურნი
ქალნი მოყმეთა გულსა შეიპყრობენ თუალითა გრძნეულითა. თუ
აუასიცა გული გურდემლისებრ მაგარი გიც, მათითა ნახვითა ეგრე-
ცა უგულო დარჩები. თუ ეშმასიცა შეკრვა შეგიძლია, თავსა მათგან
ვერცა ეგრე იქსნიო“.

რამინ ეგრე უთხრა:

„თუ მთუარე თუესა ერთსა ჩემსა მიდამოსა იარებოდეს, სამ-
კაულნი მისნი მასკულაენი იყვნენ და გუირგუინად მზე ებუროს და
ყოველი მას ჰქონდეს, ყოველი გრძნეულობა მან იცოდეს კაცთა
გულისა მიმზიდობისათუის, კოცნა მისი უკუდავება იყოს და შეხედ-
ვა მისი სამოთხისაებრ საყუარელი, ნახვა მისი ბერთა გამაყმობელი
და ბაგენი მკუდართა გამაცოცხლებელნი,—მე, შენმან მზემან, შენი
სიყუარული ვერ დამაგდებინოს, იგი არად მომინდეს, არად მოვი-
გონო მისი ეგეთისა უებროისა სიყუარული შენისა გულისათუის.
შენი ძიძაცა მისგან უფრო საყუარლად და პატიოსნად მი-
ჩნდესო“.

მერმე მოეხუივნეს და აკოცეს ერთმანერთსა და გაიყარნეს. ლა-
წუთათუის ზაფრანი ევალა და მარგალიტსა ხეაერიელად აწუიშებ-
დის. მათი სულთქნისა კუამლი ცად გავიდის, ჰაერი ჯოჯოხეთსა
დამსგავსეს და მიწა მათთა ცრემლთაგან ომინისა ზღუსა. ორივე
უბრალონი მისქინნი იყვნეს და დარჩეს ვითა შლუნი. რა რამინ ცხენ-
სა შეჯდა, ვისსა თმობისა საფარველი აჰხადა განგებამან ღმრთისა-
მან, ვისის ნაკუთი მშუილდად შექმნა და ისრისაებრ რამინ მისგან
შორს გასტყორცნა. ეგრე მოსთქუმიდა ვისი და ტიროდა:

„ჰე ჩემგან წასრულო, რა შენ წახუედ, თმობაცა ჩემი წავიდა
შენდა მოსლვამდინ. ღმრთისა განგებისაგან შენ გამგზავრებულ ხარ
და მე გულისა ნებისა ორმოსა ჩაქრილ ვარ. ვირემდინ შენ მგზავრი
ხარ, შენი მოყუარე ტირილისაგან მოუსუენებელია. რაა ესეთი ბედი
ჩემი?! დამცაიკარგვის, რომელ ზოგჯერ ტახტსა ზედა დამსუამს და
ზოგჯერ ნაცართა. ეგ ზომითა ჰირითა გატენილია ესე ვიწრო გული
ჩემი, რომელ დიდსა მინდორსა სამოცისა დღისა ეჯსა შიგან არ

დაეტევის; თუალი ჩემი ზღუაა ნამისა სიმრავლითა და გული ჯოჯოხე-
ხეთი ქირთა დაულევრობითა. არ მებრალეების უთმინობა და უძი-
ლობა. ნიადაგ ზღუასა შიგან ვინ დაყოფს, ანუ ჯოჯოხეთსა შიგან
ვინ გასძლებს! ამის უარესი რა წამეკიდების, რომელ ამის უარესსა
წყევასა მტერისათუის ვერ მოვიგონებ“.

რამინ გაემართა, მისთა ბუკთა ცემა ცად გაიწეოდა, მისისა
ლაშქრისა მტუერი ღრუბელსა ჰგუანდა, მაგრა მათი წუთიმა რამინის
ცრემლი იყო. თუცა ეგე სიტყუა გულსა შიგან დაესწავლა და უძძიმ-
და ვისის გაყრა, ეგრეცა შესქირდებოდა, გული ენასკუოდა და პირ-
სა ზედა აჩნდა დაღრეჯილობა; ვერავენ ჰნახავს, თუ ყუელა მიჯ-
ნურია, თუცა მეტად სიშორესა შიგან არ დააჩნდა მიჯნურობისა
შექირება. თუ კიდევნობასა შიგან თმობა აქუს, მან კაცმან მიჯნუ-
რობა არ იცის და არცა შუენის.

თუცა რამინ ქუეყნისა პატრონად გაკდა და ძმისა ლაშქართა
ზედა უხუცესად, გული კელმწიფობასა შინა უვისობისათუის ეგრეცა
ასეთი ეღვა, ვითა უწყალოდ თევზსა. მოირარა თავისა ქუეყანა, ყო-
ველგან მოირქურნა და ამაღლდა; სადაცა ბრძანება მისი მივიდა,
ყოველგან ავის-მოქმედობა ამოაგდო. ესრე უშიშრად გაკდა გურგა-
ნი, რომელ ცხუარნი და მგელნი ერთად იყენიან და ცხუართა მგელ-
ნი უჩობნობდიან. ეგ ზომსა სუმიდიან და იხარებდიან, რომელ, თუ
სთქუა, მის ქუეყანისა მდინარე ყუელა ლუინისა იყო. მისისა მოსა-
მართლეობისაგან ყოველი კაცი მუტრიბითა ჯდის, მისისა შიშისა-
გან ყოველი მტერი დამონდებოდა. პირუტყუთაცა თბობა მისცემო-
და ავის-მოქმედთაგან და ისპაანი სახლად დაიქირა. ჯორჯანი,
რე, ჰავალი და ბაღდადი მისი იყო. მისგან უკეთესნი და უფროსნი
ლაშქარნი არავის ჰყვეს. მისითა სიკეთითა და მოსამართლეობითა
გამოუსუენა ყოველსა სულიერსა. აშენდეს ქუეყანანი, და გამოიღეს
ხეთა ნაყოფი და ყოველი კაცი მის ქუეყნისა ჰმადლობდა ღმერთსა
მისისა ეგეთობისათუის.



რამინისაგან გულისათუის გამიჯნურება

ამინ დაიწყო ყოველგან თავისა ქუეყანასა სიარული საურავად, ნადირობად და თამაშად. ჰამიანს მივიდა და გორაბს მუნებური დიდებულნი და კელმწიფეთა სწორნი, შაჰთურ და რაფედ, წინა მოეგებნეს. მის

ქუეყანისა დიდებულნი და გუარინობითა საცსენებელნი ივინი იყვნეს. უმასპინძლდებოდეს ეგრე, ვითა მართებდა: დილასა ნადირობად გავიდიან და სალამოს სუმაღ და სინარულად დასხდიან. ვითა ნადირობასა შიგან ლომისა და ვეფხისათუის მიწყით კრმალი კელთა ჰქონდის და ნადირთათუის ისარ-მშუილდი, ეგრე შინამყოფთა — კელთა ჰქიქა. ესრე ჰამოდ იხარებდიან, მაგრა ვისის გონება გულისაგან არცა ეგრე მირიდებოდა, არა ველსა შინა მყოფსა და არა შინა.

დღესა ერთსა ნადირობით მოვიდოდა და, ვითა მზე, ქალი ნახა. გულ ერქუა. სახედ და შუენებით უკლეგი იყო, გაზაფხულისა ყუავილი იყო, გულისა გამამხიარულებელი, ჰირისა მაქარვებელი, სამართლისა მოქმედი და გულისა წამისა-ყოფით წამლები, კეკლუცთა კელმწიფე, მოყმეთა კელოვნად მომზიდავი, სნეულისა გამამრთელბელი, ჰირვეულთა მალხენელი. პირი ვარდიანსა წალკოტსა უგუანდა და თმანი შავნი და გრუხნი სიკშირითა შაქრისა ლერწამსა. კოქთამდის თმისა მისისა ყოლბი მიჯნურთა ტოილო იყო და ფათერაკსა მისთუის არ ესუნა. ბაგეთა მიათა სიმცროსა ზედა გემო ყანდისა ჰქონდა და ამა იაგუნდსა შიგან მარგალიტი ჩნდა დაცმული. წამწამთა მისთა მშუილდოსნობა აფხაზთაგან ესწავლა, ამბარი ფერსა და სულსა მისგან ისახებდა. წარბი მისი მთუარესა ზედა მშუილდოსნობდა, და მისი არყი მუშვი იყო და წამწმისა ისარსა მოყმეთა გულსა დაასობდა. ერთი ბაგე ვარდსა ზედა მუშვი-მოცრილსა ჰგუანდა და მეორე უკუდაეხასა. მიისა გულისა ყმა იყო ქვა და მისისა ლამაზობისა მონა ბასრი რკინა. ბროწეულისა ყუავილი მისთა დაწუთა

სახე იყო და ტანი მისი—გიისა, კორცისა და სისხლისა მისებრი არა ინახოდა, ტანისა სითეთრე ბროლსა ჰგუანდა ყასაბგარდაფენილსა. იგი ასეთი მიჯნურთა მამკლობელი დიდის გემოვნებითა თავადებულობდა. სამკაულისა მეტად შეკაზმულობითა საქურკლესა ჰგუანდა, თულა-მარგალიტისა ხუაერიელობითა—გაუპობელსა სადაფსა. მისისა გუირგუინისაგან მთუარე ელვიდა, პირისაგან მჭე, კბილთაგან მასკულაენი და ყელისაგან მთიებნი. სიამაყითა ყმაწვილსა კელწვიფესა ჰგუანდა და საწადლობითა სიცოცხლესა, შუენებითა გაზაფხულისა წალკოტსა და დიდის გემოობითა მარტორქასა. მევეალნი ჰყვეს მისებრევე შეენეარენი: ჩინელნი, თურქნი, ბერძენნი; დგეს ოთხმოცნი გულისა მიდამოსა, ვითა მთუარისა მიდამოსა მასკულაენი.

რა დაინახა რამინ ნაძუი მავალი და მთუარე სულიერი, რომელ, ვითა მზე ციმციმებითა, არ გაიცადებოდა, გული შეუსუსტდა, ვითა რეტი უქურეტდა, კელთაგან ისარი დავარდა. არ ჯერ იყო მისსა ადამის-ტომობასა: „ესე მისნი ლაშქარნი ვითა მასკულაენია და მათი პატრონი ნუთუ მთუარეა? და თუ ესენი მთუარენია, მათი პატრონი ნუთუ მზეა?“ ამა საგონებელსა შიგან იყო რამინ და უქურეტდა. მერმე გულ, მოყმეთა თმობისა წამლებელი, რამინს წინა წამოდგა ესრე სალაამად, ვითა ადრინდელი მოყუარე, უსალამა და კელსა ნებხუია, ეგრე მოაკსენა:

„სახელოვანი კელმწიფეო! ჩუენი ქუეყანა შენგან ელაგს, ვითა მზისაგან ცა. აწ შელამებულა, ბრძანე, ჩუენსა გარდაჰკედ, გამოისუენე; ამას ლამე ჩუენი სტუმარი იყავ. გიმასპინძლებთ, სანუკუარსა ჰამოსა მოგართუამთ, ფრინველთა და ნადირთა სიმრავლითა გაგიუსუნებ, ლუინოსა ურავაყიანსა მოგართუამ, წინა იასა და ვარდსა დაგიყრი, მეჯლისსა შეგიკაზმავ შენსა მსგაესსა, სულისაებრ საყუარლად გიმასპინძლებ. თუით ჩუენი წესი სტუმართ-მოყურობა არისო“.

რამინს ესრე შეუყუარდა, რომელ ვისის გული და სიყუარული დავიწყებოდა, თულათა ხედვამან საწუთროსაებრ უმუხთლა. ვისის გლახ-შიში და ზარი არ გაუმტყუნდა. ვაი მას გულსა, რომელი ესეთსა უხანოსა მოყუარესა მიენდოს, და ვაი მას მამაცსა, რომელ ესდენ უხანო ღ უზენარო იყოს, სიყუარულ-უმტკიცო და ფიც-ვაუსრულელებელი. რამინ გულსა პასუხად ეგრე უბრძანა:

„ჰე მთუარეო! ესრე ხოლო მითხარ, თუ სახელი რა გქუიან ანუ რომლისა გუარისა ხარ? ჯერეთ შენი შეუენიერი თავი გაგიცემია, ანუ არა? მე ქრმად გინდი თუ არა? ვინ ცოლად შეგიერთიდე, შენი მშობელნი მისგან მეპარსა რას ითხოვენ? შენსა კოცნასა რაზომ გასცემ? თუ ათას სულადცა გასცემ, ჩემგან ეგრეცა უშურველიაო“.

პასუხად ეგრე გამოსცა მზემან ენოენმან და ბუთმან კორცი-
ელმან:

„ვითა მზე არ დაიმაღვის, ეგრევე მე და ჩემი სახელი დამა-
ლული არ ვეგებით. არცა ამისი თქუშა მინდა, თუ ვჰამანი ვინმე
ვარო. დედაჩემი გოჰარ არის და მამა რაფედ, ამა სამეფოსა თაეადი
არის, და აგრევე ძმა ჩემო პატრონი არის აღრაბადაგანისა. მრავალ-
ნი ძმანნი მისხენ, ყუელანი გოლიათნი ჰაბუენი. გუარიანობითა და
სიკეთითა ერთსახე ცხადნი ვართ და ქებულნი; დედულად და მამულად
უზადო ვარ. ერთი გორაბელია და ერთი ჰამიანელი. მე თუით სახე-
ლად გულ მქუიან. სახელისაებრ ვარდის უერი, ვარდისებრ საყუარე-
ლი ვარ და ვარდისა მასუნებელი. დედისაგან კეკლუცად შობილ ვარ
და ძიძისაგან წმიდად გაზრდილი ვარ. ნაკუთად მამისაებრ კარგი
ვარ და სახედ დედისაებრ ტურფა. მეკრდი ჩემი ვეცხლისა არის და
ყელი ბროლისა; ყარყუმისაებრ რბილი ვარ და მუჰკისაებრ სურნე-
ლი. რას მკითხავ ჩემსა გუარსა და სახელსა, რომელ ყოველმან ქუე-
ყანამან საქებურად იცის? და შენ თუ ჩემი სახელი არ იცი, მე კულა
შენი დიდად კარგად ვიცი. შენ რამინ ხარ, შაჰინშას ძმა და ვისის
მიჯნური, რომელ მისსა გამზრდელსა მოუჩხიბავ და იგი სულსა და
გულსა გირჩევენა“.

არაკი: „თუ ბაღდადისაგან ეგების, რომელ დიჯლასა ელიოს,
მაშა შენგანცა თურე ეგების უვისოდ“.

„მაგრა რას ვიტყუი? შენ ვისის მიჯნურობა ასრე არ გამოგერ-
ცხების, ვითა ზანგსა სიშავე. შენი გული სავისოისა სიყუარული-
სათუის შეუკრავს ბერსა ძიძასა, რომლისა ტოილო და ლუსმარი
მისი გრძნება და შელოცვაობაა. შენ არ შეგიძლია მისი კიდევანობა
და ჩემებრთა კეკლუცთა თანა ყოფნა. და რათგან უმისობასა ვერ
დასთმობ, იყავ მისი ოდენ. მას შენ მოუყიენებინარ და იგი შენ და
ორთავე შაჰინშა აუგითა აგივისა. არაა ქუეყანათა ზედა ეგეთი აღ-
გილი, სადა თქუენი ამბავი არ იყოს და არ გეკიცხოდენო“.

რამინ ეგრე უთხრა:

„მთუარეო ზეანდანო! ნუოდენ აყუედრებ მიჯნურსა, ფათერაკ-
სა შესწრობილია; რა კაცი ნახო, ღმრთისაგან შენდობა ითხოვ. აწ
მე ვწყევე მაშინდელსა ჩემსა გონებასა და: თავსა, მაგრა ყოფილი
ღმრთისა საქმე კაცთაგან დაფარულია. ღმრთისა განგებისა საქმე
ჩვენზედა გრძელია. ნუ მაყუედრებ! თუ ჩემი საქმე ესრე სააუგო
იყო, ეტლმან ჩემმან ქმნა ჩემზედა. გარდასრულსა ველარავინ მიე-
წევის, გუშინდელსა კსენება არ უნდა. აწინდელი ცან, რომელ შე-
ნისა შეგებისათუის ეგზომი მოვიჭირეო, რომელ ჩემსა ნახულსა ყუ-

ელასა მერჩიო. ღმერთსა უნდეს, სინანულად არ გაგიკდეს ჩემი ცოლობა. შენ იყავ ჩემი მზე და ჩემისა გულისა მოსასუენო შენი პირი, და მე ვიყო შენი საკუთარი და მე ვეძებდე ყოვლისა შენისა საწადლისა ასრულებასა. თუ სულნიცა ჩემნი გინდენ, უშურველია. შენგან კიდე დარბაზისა ჩემისა მანათობლად სხუა არავინ ვეძებნო და სულისა ჩემისა წაბალი შენგან კიდე არავინ იყოს. მას გარდასრულსა გარე ველარ შევაქცევ, რომელ შენგან მე და ჩემგან შენ გეწყინების. გარნა აწ თუ შენ ჩემი ცოლი ხარ, შემოგფიცავ, რომელ შენგან კიდე აბეზარი ვარ ყოვლისა სიყუარულისაგან და არცარა ვისისა სახელსა ვაკსენებო“.

გულ ეგრე უპასუხა:

„ნუ დამიფენ, რამინ, გრძნეულობისა ბადესა; მე არ იგი ვარ, რომელ შენსა მახესა ესრე ადვილად დავებმოდე. მე შენგან არც კელმწიფობა მინდა და არცა დიდება, არცა მინდორი ლაშქრითა საესე, არცა საქურჭლე საქონლითა საესე. ერთი წადილია ჩემი და, თუ მას შენთანა ვპოვებ, შენისა ბრძანებისაგან არ კიდეგან ვიქმნები, თუ რა უჩს—და ჩემსა სიყუარულსა ბოლომდინ გაიტანდა არ გამწირავ, ვერცა შენ ჰპოვებ ჩემებრ საკუთარსა შენსა, და თუ არ უხანო მოყუარე ხარ, არცაოდეს ხორასანსა წასლვა მოგინდეს, არცა ვისის სიახლე, არცაოდესლა აკსენებდე, ამად რომელ სხუისა საქონელი სხუისა არის. შენ მოაბადის ცოლი დედოფლად სად მოგეკერების? არცაოდეს მიუწერო, არცა კაცი გაუგზავნო და არცა შენსა გულსა მისი სიყუარული იყოს. და თუ ამას პირსა ზედა შემომფიცავ, მაშინ ჩემსა ტანსა ზედა ორი თავი იყოს და სული ერთიო“.

რამინს გაეხარნეს ესე, აღარა პასუხი გამოსცა, კელი გამოულო და შინა წავიდეს რაუედის სახლსა. გულის კელი კელთან ჰქონდა რამინს. ასი ჯამი თუალ-მარგალიტითა საესე რამინის ფერკთა თანა დაყარეს, ოქროსა ტახტსა ზედა დასუეს. რაცა მათნი ნათესავნი იყვნეს, დიდებულნი და აზნაურნი, ყუელანი უკმნენს, მხიარულობდეს. საქმისა სიმტკიცისათუის რამინ მათებურითა საუციითა მტკიცედ ფიცა ღმერთითა და ცეცხლითა, რომელ: „ვირე ქუეყანა ეგოს, დიჯლად ჯეონი დიოდეს, ზლუათა შიგან თევზი იპოვებოდეს, მზესა და მთუარესა ელვა ჰქონდეს, ღამე დაბნელდებოდეს, მათათა ზედა ქარი ქროდეს და მინდორთა ზედა ნადირნი ძოვდენ,—სხუა ცოცხალმან გულისაგან კიდე არავინ ვეძებნო, არცავენი სხუა ცოლად მინდეს, არცა მოყურად, არცაღა გრძნეულისა ვისისა საკსენებელა ვაკსენო, არა თუმცა მიყუარდაო. ვირე სულნი მედგნეს, გულ იყოს ჩემი გული. სხუათა სიყუარულისაგან კიდეგანი და აბეზარი ვარ.

ვარდი, ვარდ სახელად, ჩემი არის, ჩემი ცოლი, და გორაბი საყოფი ჩემი. ვირე ვარდი მაქუს, იასა არ უსუნებ; ვირე მთუარეა, მასკულაეთა სინათლესა არ შევეპოებიო“.

ამა ფიცისა სიმტკიცესა ზედა ვინცალა გულისა ნატამალნი მისრულ იყვნეს, ყუალგნით: გურგანით, რეით, ყუმით, ისპაანით, ქოისტანით, ხუზისტანით და რანით, კელმწიფენი და დიდებულნი იყვნეს. ავსილ იყო დარბაზი სინათლითა. ქმნეს ქორწილი, მისცეს გულ რამინსა.



აქა ქორწილი რამინისა და გულ-გარდისა

რმოცსა ეჯსა ადვილი შეკაზმული იყო და მჭურგ-ტელნი დგეს ბანთა ზედა. კელთა ფეროვნისა ღუინისა ქონება ამას უგუანდა, ვითარცა კელნი ყაყაჩოთა სახენი ყოფილ იყვნეს. ღამით სანთლისა სიმრავლითა ქუეყანა ცასა მასკულავებიანსა დამსგავსებულ იყო, მწუანისა ნაცულად ყოველგან სტავრა მოეფინა, სიხარულისა და მუტრიბთა კმისგან სხუა

ყურთა კმა აღარ ისმოდა. ფრინველნი მუტრიბობდეს, სურნელთა კუმევისაგან ჰაერსა ზედა აღმური გასრულ იყო. დიაცი და მამაცი თუესა ერთსა სიხარულისა და სუმისაგან დაშურეს. არა სიხარული დარჩა, რასაცა შიგან არ იყვნეს; საქუეითოითა და საცხენოსნოითა სიხარულითა უკლებლად იხარებდეს, გულსა მათსა არ იყო შექირვება. ქუეყანა უჭირო არ იქმნების, მაგრა მას ქუეყანასა ქირი აღარ იპოებოდა.

ცოლ-ქმარნი მოყუარულნი და მოყმენი შეყრილ იყვნეს, დღიე და ღამე სიხარულისაგან არ მოისუენებდეს. დაიწყეს გაცემა კელმწიფეთა და დიდებულთა და ყოველსა ერსა ზედა. იყო მგოსანთა და მუტრიბთა რამინის სახელსა ზედა ძუირად სყიდა და მოშაირეთაგან საქებართა და სალოცავთა შაირთა თქუმა. რამინის საქმე სახელოვან ქმნილ იყო და ამაღლებულ იყო სახელი მისი. ნადირობად მოსრულ იყო ხორასნით და გარდაეკიდა პირ-მზე უებრო ნადირი. ეგრე ეტყოდეს: „აწ სიკეკლუტისა ვარდი და ყუაივილი ყუავის შინთა საგებელთა შიგან, მიწყით უსუნებდი სამოთხისა ვარდსა, რომლისა მეწალკოტე ორისა კუირისა ვავსილი მთუარეა. შენი გული ზამთარმსაცა ყუავის და მიწყით უეკლო ვარდი გაქუს. გიხაროდეს, შენი ვარდი ზამთრისა და ზაფხულისა დაუქნობელია! შენსა ვარდსა ორნი გუშავნი ნარგისნი უდგან, შენისა ვარდისა ფერისაგან ბერი კაცი

გაყმდების და მისისა სულისაგან მკუდარნი გაცოცხლდებიან; შენისა ვარდისა გულითა კამს ძებნა და შენსა ვარდსა სულთა უნდა სუნება; შენი ვარდი ანგელოზისაგან დარგულია და ღმრთისაგან დაცული. მისსა მიდამოსა ამბრისა მახე ჰგია, რომელ მიწყითშცა ორნივე ცოცხალნი ხართ, ასრემცა არს, ვითა გუითქუამს და თქუენთამცა წადილთაებრ იქცევის საწუთრო!“

რა თუე ერთი გარდაკდა, ქორწილობისა ჯალაბი გაიყარა. დადვა რამინ გული ჟამად გულისა შესაგუარად. იხარებდა, ინადირებდა, იასპარეზებდა, სუმიდა და თამაშობდა.

გავიდეს გორაბისა ციხესა. რა გულ შეეკაზმა და ზე გარდმოდგა, ესრე გაანათლა ქუეყანა, რომელ მზესა და მას შუა საცილობო ჰქონდა მხედველთა. სამკაული იყო საკელმწიფო და მას ქუეშე ელვიდა ტურფად. გრძლად რალა ვთქუა, რიცხუი არ იყო მისისა შუენიანობა-სახე და წყობილობისა. რა რამინ უშიშად თავისა საკუთარსა ესეთსა სქურეტდა და უკლებსა, რომელ თმანი ღრუბლად აუჩნდეს, რომლისაგან წუიმა მუშკისა გამოვიდოდა და საყურნი მასკულავთაებრ უჩნდეს ბროლისა ყურის ძირათთ, რამინ მოხარული ღმერთსა და თავის ბედსა ჰმადლობდა და უზენაროსა ვისისა ზენარი დავიწყებოდა.

დღესა ერთსა საწოლსა ხალვათად სხდეს. რამინ გულსა უქუ-რეტდა და ეგრე უთხრა:

„ქუეყანასა ზედა არაა პირი შენებრი, არცა თუით ვისი, მაგრა ეგრეცა ვითმე ჰგავთ ერთმანერთსა. თუცა შენ მთუარე გაგიბედი-თებია და შენ ხარ გულისა ჩემისა წამალი, მას ჩემსა გულისა წამ-ლებსა ჰგავ, რაზომცა მე შენთანა აღარა მაკსოვსო“.

გულსა დაუმიძიდა ესე სიტყუა რამინისაგან, გაწყრა და ეგრე უთხრა:

„ჰე უპირულო, ღმრთისა უარის-მქმნელო! კელმწიფისაგან ეგ-რე კამს სიტყუა-მართლობა? ღმერთმან მტერი ჩემი ყოს მისებრი, მემცა მას რად ვპუანდი? იგი ჯადოა, ავისა მქმნელი, ავისა მთქუ-მელი, უსირცხუილო, თავისა უფალი! ნუმცა ვინ ღმერთმან მისისა ძიძისაებრ ყოს მნიბლავი, გრძნეულთა წინამძღუარი, ბოზი და მაკა-კალი! შენ მით გაუკდინხარ აგრე თავისა გზისა უვიცად, რომელ ვერცა ოდეს თუით გაიხარებ და ვერცა შენთა მოახლეთა გაახარებ. არ ეგრე შემომფიცეა, თუ ვირე ცოცხალ ვარ, ვისის სახელსა აღარა ვაკსენებ? აწ თუმცა მისი მიჯნურობავე არა გქირდა, ამა ფიცსა არ დაივიწყებდიო!“



რამინისაგან გამწირაობის წიგნი

ვისის თანა

ა რამინ ესე ნახა, რომელ გულსა მისგან ვისის კსენება ესრე დიდად დაუმძიძიდა, მისისა თმენისათუის შენდობისა სათხოვლად, მასვე წამსა მას წინა მჯდომიან საწერელი და ქალაღი მოაღებინა.

თუცა მელანი მუშკითა შეეზილა, მტერობისა მახული კრძალი შეირტყა, რომლითა სიხარულისა ხისა შტო მოკუეთა. ვინცა ესე ამბავი ცნას, გული შეინახოს მოყურისა მიუცემლობისა და არაგამიჯხურებისათუის; თუარა ვისისებრ დარჩეს უიმედო გულ-დაწყუდილი. მიუწერა წიგნი უზენარომან ჩამინ საკუთარსა ხანიერსა მოყუარესა, არ გამწირავსა ვისის. ეგრე მიუწერა:

„ვისო, თუით შენ იცი, თუ შენითა სიყუარულითა რაზომი აუგი, უპატიობა და ზიანი წამკიდებია, რომელ აქამდინ თქუენითა საქმიანობითა არად შემწონდა. ღმერთი მოვიმდურევე და კაცთაგან ესეთსა საყუედურსა შიგან ჩავეჭერ, რომელ ქუეყანასა შიგან საკსენებელად დავიდევ და ესეთი კაცი არ ვნახე, რომელსამცა ჩემი საქმე ექო. მრავალთა შემაგონეს, მრავალთა დამაყუედრეს და მრავალნი მეკიცხუიდესა შენითა მიზეზითა. ვითამცა ჩემგან შენი სიყუარული მათი მტერობა ყოფილ იყო, ეგრე სწყევდა დიაცო და მამაცი ყუელა ჩემსა საქმესა. თუ არცავენი მიცნობდა, მასცა ჩემი სახელი ესმოდა. ყუელა მგმობდა; ლაშქართა თანა ასუბუქებულ ვიყავ. გამოსუენება ესე მქონდა: ზოგჯერ თავსა ჩემსა ზედა კრძალი ვნახი ჩემად საკლავად, ზოგჯერ გზასა ზედა მშვიერი ლომი. რა მინახავ, მუნითგან არა გამომისუენებია წამსაცა ერთსა და არცა გულსა შიგან ნიშატი ჩამქრია. რა გიახლი, უარე ვიყუი. ნიადაგ სისხლისა ცრემლითა ვიტი-

როდი და შიში სიკუდილისა მქონდის; და არაოდეს გაყრილ ვარ ესრე, თუმცა თუალთაგან ჯგონი არა მდენოდა, და არაოდეს მი-
ნახავს პირი შენი ესრე, რომელმცა ათასი სატკივარი, საყუედღრია-
ნი სიტყუა არა მასმიოდა, და ამა ყუელასა ზედა ღმრთისა შიში და
მისისა გარისხებისა მოლოდნა მქონებია. მიცნობდი მიჯნურობათა წი-
ნათცა, ვითა მხიარული და სახელოვანი ვიყავ; მტერნი შემეშინნეს,
მოყუარენი გამომეჩინნეს და მეკეცი ამომეწყუიდნეს; რა გავწყრი, ლომ-
ნიცა იშიშვოდიან ჩემგან და, რა გაეფიცბდი, კრმლისაგან უმკუეთე
ვიყავ; რა სიყმისა ჩემისა შავარდენი გაეფორინვი, ცისა მთუარე ეკ-
რძალვოდის და ჩემისა ნებისა ცხენი მუნამდის გაიქცის, რომელ
გონება ვერ მიეწივის. სიხარულითა და ნიშატითა საესე იყო სული
ჩემი, სადაფი ჩემი თუალითა პატიოსნითა გატენილი, სიხარულისა
წალკოტსა შიგან სარო ვიყავ და ომისა ველსა ბასრი მთა; ჩემისა მთისა
ქვა ოქრო იყო და ჩემისა მტკუარისა—მარგალიტი. რა გნახე და შეგის-
წავლე, მუნითგან, თუით იცი, ვით გავკე. იგი ბედი, რომელ მე ძაბუ-
ნად მყუა, მან მე დამიძაბუნა. ჩემი ნაკუთი გრაკისა ხესა დაემსგავსა
და ორისა კუირისა მთუარეობა ჩემი გაამასკულაჲა მიჯნურობამან.
საწუთრომან ცისა სინათლე დამიბნელა და ჯოჯოხეთისაებრ გამამ-
წარა. რა მიჯნურობისა ცეცხლმან კელ მყო, ნიშატი ასისა დლისა
ეჯითა გამექცა, ცნობა გულისაგან წამივიდა და დავრჩი უღონო
ქმნილი. ყოველი კაცი გამშუილდოსნებულ იყო ჩემთუის საყუედღ-
რისა ისრითა, მესროდეს. თუით დაკოდელ ვიყავ მიჯნურობისაგან
და ზედა საყუედღრისა მარლისა მასხმიდეს. მე თუით მორვალი ვი-
ყავ უგულობითა და მორვალსა წაქცევა დამემართა. აწ ეგრეცა სა-
ლამსა მოგაკსენებ, თუცა შენისა სიყუარულისაგან აბეზარ ქმნილ ვარ
და ჩემიცა საქმე გაგაგონო. ჩემი ყოფნა ღმრთისა ძალითა დია ჰამო
და უკლები არის, აღარ აკლია ჩემსა ღმრთისა. იცოდე, ვისო, რომელ
ღმერთმან შემიწყალა, რა შენ დაგეკსენ. უშენობითა ყოველი გულის
ნება მიპოვნია, თმობისა წყლითა გული გაეირეცხე ვითარი მინდო-
და, ეგეთი უებრო ცოლი შევირთე. ვარდფერი სიყუარული დავსთე-
სე გულსა შიგან და შეჭირეებისა ჯანგი ამოვიკოცე. სამოთხისაებრ-
სა ყოფასა ვარ, მიწყით ვახლავ ჩემსა გულსა, მიწყით დაუმქნარი
ვარდი მაქუს. საგებელი და სასთაული ჩემი ვარდითა სავსეა, რომელ
თუალთა და სულთა 'მირჩენია, ვირე მქონდეს ესე, სოსანსა არ
ვეძებ, ვირე მანათლობს მთუარე, მასკულავსა არ ვეძებ და არ შე-
ვეპოვები, რომელ შენგან ქირნი და ნაელენი გარდამიკდიან, ათას
ეგზომი ამისგან შეგუილი და ნებისყოფლობა მინახავს. მე თუმცა
ერთსა წამსა შენგან ესეთი შეგუილი მენახა, სიხარულითა ცამდის

აფთრინდებოდი. მე რა გარდასრულნი დღენი მომეგონნეს, ჩემივე თავი შეემებრალევის. ვით გავსძლნე შენითა გზითა ეგზომნი ჟირნი და ნაველნი? მე თავისა გზა არა ვიციდი, ვითა მომცდარმან ძალმან. აქამდის მძინარე ვიყავ და აწლა გავიღუიძენ, მთრვალი ვიყავ და გავფხიზლდი. ფათერაკისა ბორკილი აწლა დაველეწე, უბედურობისა სჯენისაგან ახლა გამოვე. აწ მართლითა გონებითა შემიფიცავეს გული-სათუის დამბადებლითა ღმრთითა, მზითა, მთუარითა, სჯულითა, ცეცხლითა, მეცნიერებითა და იმედითა, რომელ, ვირე ცოცხალ ვიყო, ვარდისა გაუყრელი ვიყო და წამსაცა მოუწყუედელი მისი. აქათგან ესრე იციოდე, დადეე გული, რომელ მარავე—შენ და მაჰი—მე, მოაბად შენ და გულ მე. მას შეაგოე. მე წამსა ერთსა აქა ყოფა და მხიარულად გულისა სიახლე ათასსა წელიწადსა შენსა სიახლესა მირჩევნია, რომელ საკანსა ჰგუანდა ჩემი სიყმე. შენ აქათგან თუეთა და დღეთა ნუ სთულავე ჩემისა მოსლვისათუის, ნულარ მელი და ნუცა გზათა ჩემთა უჭურეტ, მით რომელ დაგეყოვნების ჩემად ნახვამდის. რა კაცსა ესეთი საქმე დაემართოს, საპალნითა ოქროისაცა თმობა უჯობს“.

რა რამინ ესე წიგნი გაასრულა, ოქროისა ბეჭდითა დაბეჭდა, ფაიკსა მისცა და ეგრე უბრძანა:

„ესრეთ სწრაფით წაედ, რომე წამსაცა არსად დაიყოვნო და ვისის მიართვი ესე წიგნიო“.

შიკრიკმან გამოულო წიგნი და ქარისაგან უმაღე იარა, ესრე რომელ სამ კუირას მარავეს შევიდა; მასვე წამსა შაჰინშას მოაკსენეს მისი მოსლევა. მას წინაშე მიიყვანეს, წიგნი გამოულო და წაიკითხა. ეგეთნი სიტყუანი ვისისთუის მოსაწერლად დია გაუკუირდა და გაეხარნესცა. რა სრულად წაიკითხა, ვისის მიუტყორცა წიგნი და კიცხევით სამახარობლო სთხოვა, ეგრე უთხრა:

„აწე ღმერთმან თულანი აგიხილნეს, რომელ რამინ და გულ ცოლ-ქმრად არიან ერთმანერთისა მოყუარულად გორაბს, და შენ დაციოდილი დაუგდინხარო“.



რამინის წიგნი მოუვიდა ვისის

ა რამინის შიკრიკი და წიგნი ნახა ვისმან, მაშინვე გულმან თრთოლა დაუწყო და ზახილი, იგრძნა, რომელ არგამწირავი მოყუარე უზენაროსა რამინს გაეწირა. და მოაბად ვისსა წიგნი მისცა, შექირვე-

ბისა ცეცხლი თავით ფერკამდის მოედვა, სისხლი ტანსა შიგან აღულდა და გულმან თავისა მოკლეა აწუია. მაგრა მას წამს მოაბადის შიშითა და კაცთა სირცხულითა და რამინის ჯავრითაცა დაიტია გამოუცხადებლობა. ყაყაჩოსა ამით ჰგუანდა, რომელ გარეთ მისებურად მხიარულობდა და შიგნით ეგრევე გული გაშავებოდა, და გარეთ სამოთხესა ჰგუანდა და გულისა დაღრეჯილობითა ჯოჯოხეთსა, სიცილითა ჰმალვიდა შექირვებასა და თუხარიგად წალარებდა. შექირვებასა თუცა ჰმალვიდა, პირი ეგრეცა გაუყუითლდა წიგნისა კითხვასა შიგან. მოაბადს ეგრე მოაკენა:

„მე თუით ღმრთისაგან ამას ვითხოვდი, რომელ ჩემთა მტერთა ენა დაამოკლოს, რათამცა საქმითა შენ აღარ მაყუედრებ და წამსა და წამსა მიზეზსა აღარ ეძებ ჩემზედა. ამისითა სიხარულითა დია გლახათა მივსცემ საქონელსა ღ სოფელთა შევსწირავ საცეცხლეთა, რომელ დავეკნა კირსა და შენისა საეჭუისაგან გამოვიდე, მტერთაცა მოისუნონ ზრახვისაგან. მე ერთსაცა ღამესა შენისა შიშისაგან ჰამოდ არ მძინებია; აწ ბარე მოვისუნო. აღარაა ჩემი შესაქირვებელი. თუ მთარე წამივიდა, მზე დამრჩომია. ყოველი კაცი მშისაგან არის იმედიანი. ჩემნი თუალნი შენის ქურეტისაგან განათლდებიან. რადმცა გამოვიდოდა რამინის აღარ სიახლოეო“.

ვისი ესრე უბნობდა, მაგრა გული და ენა ერთმანერთსა ასრე არ ემოწმებოდეს, ვითა ავისა მუტრიბისა კმა და ჩანგი. მოაბად რა გარე გავოდა, ვისი გააცხროა რამინის კიდევანობისათუის, სულნი პირთამდის მოუვიდეს; გული ესრე უფეთქდა, ვითა კაკაბი შავარდნისა ჭანგთა ქუეშე; ციენი ოფლნი სდიოდეს, ვითა ღამისა ნამი ვარდსა

ზედა: ნარგისათთ იაგუნდსა ზედა ცრემლთა აღენდა; მუშკისა-ღერი-
თა თმითა დარბაზისა მტურეთა ჰგუიდა, თავსა ნაცარსა ისხმიდა და
მჯილუთა მკერდსა იღებებდა, მოსთქემიდა და იტყოდა:

„რა ექმნა? რაა ესე ისარი, რომელ შხამიანი დამესუა თუალ-
თა? რაა მახუილისა ესეთი მკუეთობა, რომელ პირ-ალმასი მკრის
გულსა? როგორი ბედია ესე ჩემი, რომელ ნათელი დღე დამიბნელა?
როგორია ესე მიჯნურობა ცალკერძი, რომელ სული დამისნეულა?
მიშუელე, ძიძაო! მოე, ცან ჩემი ქირი, ნახე, რომელ უგრძნეულოდ
ნოეს რღუნობისა ლუარმან წამილო, ოქროისა ტახტისაგან ნაცართა
ზედან დამსუა და ბირკი და ეკალი გამომივიდა თმობისა გზასა ზე-
და. თუ არა გასმია, გაიმბობ, რამინისაგან რა წამკიდებია. რამინ
მივიდა გორაბს, ცოლი შეირთო და ამას აღარ დამაჯერა და მერმე
სამახარობლო წიგნი მომწერა, ვითა: მე ვარდი დავეთესე და მისგან
ნაყოფი მომივიდა; აწ ბედითსა მყარალსა წალიკასა აღარ ვეძებო. აწ მე
რა ექმნა? მარავს შიგან რა ვინ თქუას ჩემთუის? კამს, თუცა დიაცი-
მამაცი ყუელა ჩემზედა ტიროდეს. ღონე ამისი მიძებნე, ძიძაო, თუ
ამა ქირისაგან თავი ვით ვიკსნა! რათგან ესე ამბავი მესმოდა, ნეტამ-
ცა ჩემთუის, თუმცა წინავე მომკუდარ ვიყავ. მე აწ არცალა სა-
წუთრო მინდა, არცა სიცოცხლე, არცა დედა, არცა ძმა, არცა ოქრო
და სამკაული, არცალარა სხუა ლხინი, რათგან რამინ წავიმიდა.
ჩემი სული იგი იყო და უსულოდ კაცი ვერას გაიხარებს საწუთროსა
შიგან. წავალ, ყოვლისა ცოდვისაგან ვიბანები, ღმერთსა შევეხვეწე-
ბი, გლახაკთა ზედა საქონელსა გავსკემ, ნუთუ ღმერთმან შემიწყა-
ლოს და ამა ქენებითა რამინს ცოლი მოსძულდეს, ამა საქმისა ნანეა
დაიწყოს, შუალამე გორაბით მარავს მოვიდეს, წუთმისაგან დასოე-
ლებული და სიცივისაგან გაყინული, ვისის და ძიძისაგან ზენარსა
ითხოვდეს, ასეთივე სიძულელი მან ჩემგან ნახოს, რომელ აწ მე მის-
გან ვჰხედაო“.

ღმერთსა შესტიროდა და ეგრე იტყოდა: „ჰე, დამბადებლო
ღმერთო! ჩემებრ შენ გაკადე უთმინოდ და შემჭირნედ და შენ მიძებ-
ნე ნაცუალი რამინს ზედაო“

ძიძამან ეგრე მოაკესნა:

„ნუ შეიქირებე ეგზომსა, არა კამს. აწე სულ-დაღებულობითა
და დათმობითა გულისაგან ჯანგი ამოიკოცე, კელმწიფესა ბედნიერსა
და ნატიფსა ტანსა ეგზომსა ნუ აწყენ, გამოსუენებულსა გულსა
ცუდად ტირილსა შიგან ნუ იტკიენებ, უსამართლოსა ნუ უზამსულ-
სადა სიყმესა. მაგა სიცოცხლესა სიკუდილიცა უამეა“:

ვარდისა ფერსა დაწუსა ზედა რომელი კელი ჰქონდა, კელი
დაჰკრა და ეგრე თქუა:

შენ, რომელი მუშკის ფერთა თმათა იგლეჯ და პირსა ღმრთისა წყალობისაგან უკეკლუცესსა იხოკ, ბერსა დევსა დამსგავსებულ ხარ სიღუბეპირითა. ყოველი ქუეყანა ჰქონდეს კაცსა, უფროსი და უფროსი მოუნდების, მაგრა ყუელა თავისთუის უნდა. ოდესცა სულნი აღარ გიდვან, ნუმცა მოაბად არის და ნუმცა რამინ და ნუმცა ძიძა. რა მე წყურვალმან მომკლას, ჩემად შედეგად ნუმცა სადა იპოვებთან ცუარნი წყალნი. რა ქუეყანა უჩემოდ დარჩეს, ჩემად შედეგად მტერი და შოყუარე სწორად მიჩს. ყოველი კაცი ცოლისა შერთუისათუის გულოანი, მაგრა რამინსებრ აღრე გაძღების და კრმლისაგან უმხუილესი ენა მისი გატუილდების. თუ პოოს რამინ ათასი მასკულავი და მთუარეცა, მას ყუელასა ერთისამხისა სიშუენვარე არა აქუს. გორაბელი ვარდი, აუცა პირზე არის, შენი კელი ერთი უკეკლუცე არის მისგან. რათგან რამინ მოგშორდა და შენგან კიდევნად დარჩა, ცოლისა შერთვასა არას ვაბრალობ. ვისცა მურავაყიანი ლუინო არ მიჰხუდებოდეს, თხლის სუმა არ ებრალების“.

ვეცხლ-მკერდმან ვისმან ეგრე არქუა:

„ძიძაო, იცი შენ, რომელ დავკარგე სიყმე ჩემი დათმობასა და შექირვებასა შიგან. დედათა ქმარიცა უვის და კუროცა. ჩემი თუ ქმარი არის, ბერი და მეექუთი არის, და თუ მოყუარე არის, უხანო და გამწირავი არის. თავისა პატივი მევე წავეკლუნე, რომელ დავკარგე სარგებლისა ბედითა სათაენო, დავაგდე ვეცხლი ოქროისა გზითა და აწ დარჩომილ ვარ უარარაო, შემქირნე. ნუ შემაგონებ, ძიძაო, დათმობასა ნუ მასწავლი. ვერა რომელი დამთმო დაიძინებს ცეცხლსა ზედა. ჩემი საგებელი და სასთაული ცეცხლი არის და მიჯნურობისა ჩემისა ეშმა ცეცხლსა ზედა მჯდომი არის. ცეცხლსა ზედა ჯდომა ვით დავთმო, თუ სული ჩემი ბასრიცა იყოს ანუ რვალი? ამის მეჟსა დათმობასა ნუ მენუქევ; ცუდად კაბიწითა ქარსა ნუ სწყავ. ჩემი წამალი არა რომელმან გონიერმან და არა რომელმან აქიმმან არ იცის. იმა შიკრიკმან ათასი მოწამლული ისარი ფრთამდის გულსა დამასო მისგან მოღებულითა წიგნითა. რას იტყუი, ძიძაო! ამა სულისა წამლებელმან ფარანდამან ჩალხისა ისარი მკრა გულსა, მუშკითა დასურილი რამინის წიგნი მოილო და ვისისგან სისხლითა დასურილსა პასუხსა წაიღებს; ავტირდე საბრალოდ და წყლულსა გულსა ჩემსა ზედა სისხლისა ცრემლი ღუარულად ვადინო. ჰე, მიჯნურნო, სიყუარულისა მძებნელნო! დღეს მე ვარ მიჯნურთა თავადი; მე გასწავლი ყუელათა და შევაგონებ. მაჯნად ვუბნობ დაქირებისაგან, მონსინეთ მართალი ჩემი სიტყუა: მე მნახეთ და ნუვისათუის გამიჯნურდებით, მე მნახეთ და ნუვის მისცემთ გულსა და ნუ და-

პრავთ გულსა შიგან მიჯნურობისა ნერგსა, და თუ დაპრავთ, სულსა წაიწყმედთ და ნაყოფსა ვერა სჭამთ. თუ ჩემი საქმე თქუენ არ გასმია, სისხლითა პირსა ზედა დამიწერია და იგი წაიკითხეთ. ჰაი ჰაი, თუ მიჯნურობისაგან რაზომნი ქირნი გარდამსლვიან! მე მიჯნურობამან ესეთი ცეცხლი მომიღვა გულსა, რომელ რაოდენცა ვავსებდე, უფრო და უფრო აენთების. მე მიწაცა ცრემლითა დავათიკე და მას შრეტა ვერ შეუქმენ. ესე როგორ კორცისა თუალია, რომელ არ დაეძინების, რა ცეცხლია ესე, რომელ წყალი არ დაავსებს? მე კელად მიჩნდა ქორისა ზრდა და დაგება, გავზარდე ერთი მართუე ათასითა ნებიერობითა. რა იკაპოეტა, ახალი ნაკრტენი მოიწყო, ალალდა და აფრინდა, კაკაბთა დევნა დაიწყო. მე ჩემთუას მონადირე შეგონა, ანაზღად ესრე წამივიდა, რომელ ჰაერთა შიგან უჩინო მექნა. აწ დამაშურალ ვარ დევნითა და დაკარგულისა ძებნითა. ვაი ჩემნი ქირნი, ესდენნი ცუდად წაკლოძილნი! ვაი საწუთროსაგან უიმედობა ჩემი! ვაი ეგზომი გულწყლულობა ჩემი, რომლისაგან ულხინო და უნაყოფო დაერჩი! გავიქრები და ვიარები ქუეყანათა შიგან, ვითა მოქარავენე, ნუთუ კუალი ვითა ეპოო, დაკარგული ნიშანი. მე მოყუარესა თანა გულიცა წამივიდა, აქა უგულო და უმოყურო ვერ დაედგები. მის გულქვისა ჯავროსაგან თავსა ქვითა ცემასა დავიწყებ და ვგრე დავიწებ მთათა ზედა სიარულსა. ვისგანცა გული წამელო, თუ მისსა სადა ნიშანსა ვპპოებ, სულთა სამახარობლოდ მივსცემ. ვირემდინცა ესრე ცეცხლ-მოდებული ვიყო, ჩემისა ბედისა უმდურაფე ვით ვიყო? მე ვარ მოყუროსა და ბედისაგან, ორისაგანვე გაწირული. მე თუით მკუდარი, ძიძაო, შენგან ვარ, რომელ სიყუარულსა შემამეცნიერე და მიჯნურობისა ცეცხლი დასთესე გულსა ჩემსა შიგან. შენ იყავ ამა გზისა ჩემი ბრმა კულაოზი, შენ ჩამაგდე ორმოსა შიგან და აწ შენვე ამოძიყვანე. თუცა ქირი შენგან დიდი მინახავს, მით დავსთმობ, რომელ რგება შენგანვე იქმნების. ადევ, ნულარა ჰზი, გზასა იკაზმედი, მართვი რამინს ჩემი შეთულილობა, ვგრე მოაკსენე:

„მე გამწირაო, უწრფელო! შაბაშ, ავკაცობისა მშუილდსა კარგად გარდავიტუამს, სიმართლისა თუალი შენ დაგიბრმია და კარგკაცობისა ბედი შენ გაგიბელითებია. გუარად ღრიანკალსა ჰგავ, თუ ქვაცა დაგზუდეს, უცემ და გუარსა არ გაირყუნი: შენ გუელი ხარ, ცემისაგან კიდე არა იცი; შენ მგელი ხარ, რომელ ვნებისაგან კიდე არას იქმ. შენისა გონებისაგან აგრევე ნაქმარი კამდა, რაცა გიქმნია, რომელ შენისა მინდობილისა ზენარი გაგიტეხია. თუცა მე შენგან გულტკივნეული ვარ, მე ესე აუგი შენთუისეე მიმძიმს. ავსა ნუ იქმ და ნუცა იგონებ; მით რომელ თუ ავსა იქმ, ავი წაგეკიდების. თუ

სრულად ჩემი სიყუარული დაგუიწყებია, მიჯნურთა თანა გაწბილ-
ბული დარჩები; მაშინ წამავალმან იმედი არ ესრე დამიდევ, თუმცა
აწ დაივიწყე. ყაყაჩოსა ფურცელსა გიგუნდა საუბარი: ზედათ წით-
ლად ჩნდა და ქუეშეთ შავი გუელი წუა. შენ თუ ახალი ცოლი შე-
გირთავს, სუიან ყოს ღმერთმან, მაგრა მე ვერე უიმედო ნუ შემიქმ.
ვინცა ოქრო პოვა, ვეცხლი არ გაავდო. შენ თუ ახალი რუი გითხ-
რია გორაბს, ძუელსა რუსა მარავს ნუ გარდაავდებ. თუ ქოისტანს
ახალი სახლი ავგვია, მარავს ძუელსა დარბაზსა ნუ ააოკრებ. თუ
წალკოტსა შიგან ვარდი გითესავს, სუიანცა, მაგრა მისსა მიდამო-
სავან იასა ნუ დაჰლეჯ. ახალი ცოლი და ძუელი მოყუარე ორნივე
შეინახენ, მით რომელ თუითოსა ხისავან თუითო-ფერი ნაყოფი მოვა“.

ესეგუარსა საბრალოდ სთულიდა ვისი და თულათავან სისხლი-
სა ცრემლთა აღენდა. ებრალებოდა ძიძასა დიდად, იგიცა ტირო-
და და ვერე მოაკსენა:

„ჩეკლუტთა დედოფალო, მე ცეცხლთა ზედა ნუ დამსუამ და
ვარდის წყალსა ბროწეულის ყუავილსა ზედა ნუ დაასხამ. მე შენ-
თუის არ მექირეების, აწვე გორაბს წავალ და უტევნისა ისრისაებრ
მალე მივალ. რაცა ღონე ვიცი, მოვიქირეებ რამინს თანა. ნუთუმცა
მისი გული საშენოდ მოვაქციე და შენ მაგა ქირისავან გიკსენ“.

ესე თქუა და ძიძა ფიცხლად წავიდა.

რა გორაბისა ქუეყანასა მივიდა, რამინ ნადირობით მომავალი
წინა ემთხუია, ეგზომი ნადირი დაეკოცა, რომელ მთა და ბარი ვე-
ლარ იტევედა, ავაზისა და ძალისავან მიწასა ზედა ნემსი აღარ და-
ვარდებოდა; ქორისა, გავაზისა და შავარდნისავან ჰაერი ავსილ იყო.
რა რამინ ძიძა დაინახა, ესრე დაუმძიმა და გაწყრა, რომელ ვითამ-
ცა იგი ნადირთავან დასურული ისარი მას გულსა სცემოდა. არცა
თუით ღიაცი მოიკითხა და არცა ვისის ამბავი ჰკითხა, არცა მოა-
ბადის, არცა თუით მაჰისა ქუეყანისა; კუშტად ვერე უთხრა:

„ჰე ეშმაო უწრფელო, ავისა მქმნელო და ავისა მთქუმელო,
შენისა გრძნეულობითა ათასჯერ უფრო მოგილორებივარ და ცნო-
ბანი წაგინმთან ჩემთუის. აწ კულა მოსრულ ხარ და ჩემსა მოცთუნ-
ვებასა პლაჰი. ველარ ნახოს ქარმან შენმან მტუერი ჩემი და ვერ
მოეკიდოს კელი შენი სადავესა ჩემსა. აქათვე შექცევა გინდა და
ფიცხლად წასლვა. უსარგებლოა თქუენტუის აწინდელი აქა სიარუ-
ლი, წაე და ვისსა უთხარ: რა გინდა ჩემვან ანუ რას მნუკევი კიდე?
რად არ დამეკსნები, ანუ რად არ გასძელ ისდენისა ცოდვისა კმნი-
თა? გულისა ნებისა უკანადგომითა ბრალი ღია გიქმნია და ავისა
სახელისავან უპატიობისა ფათერაკიცა ღია გარდაგიკდია. აწე ჟა-

მია, თუ აღუთქვა ღმერთსა, მოინანო და კარგისა ქმნა დაიწყო და პატიოსნობასა შეუდგე. სიყმე ორთავე ცუდად წავაქალუნეთ და კარგი სახელი გულის-ნებასა უკანა გავაქარვეთ. ამა საწუთროსა ორნივე მოვსწყდით და მას საუკუნესა დასასჯელნი ვართ. აწ შენ თუ არ აღუთქვამ ღმერთსა, და თმობასა არა იქმ, მე უღონოდ საშენოდ ამა გზისა მდევარი არა ვარ. თუ ათასსაცა წელიწადსა ამა საქმეს შიგან ვართ, ცოდვისა და ქარისაგან კიდე კელთა არა დაგურჩების. მე აღმითქვამს და გონებერთაგან შეგონება მასმია, მიფიცავს, რომელ აღარა შევსცოდო ღმერთსა და აღარცა ეგრე ვისსა შევეყარო ამისგან კიდე. ოდესცა ღმერთმან ჟამი მოგუცეს, მაშინ ხუედრიანად შევეყრები, რა მაჰის ქუეყანასა კელმწიფობა მომხუდეს, და ვინ იცის თუ მადამდის რაზომი წელიწადი გამოვა? მუნამდის ქუეშათა ზედა პაშტა წყალი დაედინების და ესე საქმე მას არაკსა ჰგავს, თუ: „ვირო, ნუ მოჰკუდები, ალაგერტნი ამოვლენო“. მე ამას მაშინ შევეყრები, ოდეს დღე და ღამე გაერთდეს. მისითა იმედითა ვირემდინ ესთმობდე, რათგან მე სხუისა ცოლად ვჰბედავ? თუ ერთსა წელიწადსა მზეცა სთმობდეს, პირი მასცა გაუშავდების, მე მისითა მოლოდინითა წამივიდა სიყმე და ამას ესტირ; ვაი ცუდად წასრულნო დღენო ჩემნო! ვაი, რომელ ჩემი სიყმე წაკდა და აწ კელთა ნანვისაგან კიდე აღარა მაქუს. სიკეკლუცითა ფარშამანგსა ჰგუანდა სიყმე ჩემი, სიმაგრითა კლდესა და სიყმაწუილე ჩემი გაზაფხულისა ყუავილსა; სილალითა ყუაოდა მიჯნურობა ჩემი და აწ სთუელთა ფურცელსა ჰგავს ჩამოცუივნითა, ქირისა კელსა მიეცა მიჯნურობა ჩემი და ლხინი ჩემი. ყოველთა გაზაფხულთა აყუავდების ქუეყანა, მაგრა ჩემი სიყმე აღარ აყუავდების! თუ შემოდგომისა ბუნება გაზაფხულისა ბუნებასა ჰგავს, მეცა თურე იგივე ბუნება მიც, რომელ გინახავ. ნუ ჩიქრები საექუსა, ბერსა ყმისა ბუნება აღარ ჩაედების. წადი აწვე, ვისსა უთხარ ჩემაგიერ, თუ ცოლსა ქმრისაგან უკეთესი არავეინ უვის, შენთუის ღმერთსა კარგი ქმარი მოუცემია. შენ თუ ბედნიერი და კარგი ხარ, მას შეეგუე, მისგანმცა კიდე სხუა ყუელა კაცი უპატიოდ გიჩს, და თუ შენ ესრე ჰქმნა, რომელ მე მისწავლებია, ყოველთა დედოფალთაგან უფროსი და უფრო სახელოიანი იქმნები. მოაბად შენი ქმარია და მე ძმა ვიქმნები, ქუეყანა შენი მონა და მსახური იქმნების, ამა საწუთროსა შიგან სახელოვანი იქმნები და მას საუკუნესა ღმრთისაგან წყალობიანიო“.

ესე რამე ქუშად შესთუალა, წყრომით ცხენსა მათრახი ჰკრა და წავიდა. ძიძა დარჩა ადგილსა ზედა დაღრეჯილი და გაწბილებული. რამინის საუბრისაგან სიამოვნე არა მოისმინა და არცა მისი-

თა ნახვითა სიხარული რა მიჰხუდა. გარეშემოიქცა ბრმა-სინანულიანი, წყლული სული მისი მალამისაგან უიმედო ნახა და რათგან ძიდა ესრე გაკდა რამინის საუბრისა და უპატიობისაგან, ვისი ვითალა გაკდებოდა, რომელსა ესეთი მოყუარე უგრძნეულოდ დაემტერა? სიყუარული დაეთესა და მტერობა მოიმკო, კარგსა მოელოდა და ავი ნახა. მივიდა ვისის მოციქული ძიდა მტირალი, ბაგე-მტუერიანი და გულ-კუამლიანი. შეთულილობა ჰქონებოდა შაქრისაებრ ტკბილი და პასუხი მოილო ნაველისაებრ მწარე და კრმლისაებრ მკუეთი. შავმან ღრუბელმან ვისის გულსა ზედა მოწამლული ისრის პირი წუიმა რამინისაგან აბეზარ-ქმნილობისათუის და უპატიობისა წუიმამან ვისის ტალახი დაასხა მტერობისა, მახულითა დაკოდა ტანი მისი და ფათერაკისა ტოილოთა დაება. სული მისი შექირვეებისაგან დასნეულდა და საგებელად მივარდა.



მეჭირვებისაგან ვისის დასწეულება

ე ადგომისა ძალი აღარა ჰქონდა, შექირვებითა საგებელი მისი გატენილ იყო, სასთაული პირისა მისისაგან ყუითლითა ვარდითა ავსილ იყო. კელ-მწითენი და მათნი ცოლნი, დიდებულნი და მათნი

ცოლნი შვილითა მოვიდიან კითხვად და მიდამოუსხდიან. ზოგმან ზაფრა და სევედა თქუის და ზოგმან გრძნეულთაგან მოჩხიბულობა. სადაცა რაცა ქუეყანასა შიგან კარგი აქიმი და მუნეჯიმი. და მკურნალი იყო, ხორასნით და ერაცით ყოველგნით მოასხნეს. შეიჭირვებდეს, და ვერავინ შეატყუა, ზოგმან ზოგი თქუა და ზოგმან ზოგი. ზოგმან მთუარისა სასწორსა შინაყოფა თქუის, ეტლსა ავსა ზედა; ზოგმან—ქუეყანისა უნახავსა მას შეჭყუარებია და მით სჭირსო. რაცა ვის მიჰხუდებოდა, იტყოდა და მას რომელ სჭირდა, იგი სჭირდა და მირიდებოდა გონება. ვერავინ შეატყუა მიზეზი ეგრე ძალ-მიღებულობა-სისუსტისა, გული მისი რამინს სადალუელითა დაედალა და თმობა. უქონლობითა შფოთობდა, თავისა საქმეთა და გულსა ზედა ტიროდის. ზაურანსა ზედან ხუაერიელად მარგალიტსა ასხმიდის.

რა მოაბად გარე გავიდის, კელა მოიჭარბის, რომელ სასთაულისაგან ლუარად გავიდის ცრემლი და სახლსა შიგან ტბა დადგის. ესრე საბრალოდ მოსთქუმიდის, რომელ მსმენელნი მისებრვე არ დაღუმდებოდეს; ეგრე იტყოდის:

„მიჯნურნო, მნახეთ საბრალო ჯავრისა ლუარისაგან წაღებულო და შეშინდით. მიჯნურნო, ზენაარ, მოისმინეთ ჩემი შეგონება! ნუვინ მისცემთ გულსა მოყურისაგან გაუწირაობასა, ნუვინ დანისკუნით, ნუვინ მიენდობით. მე შორით მქურეტდით, მიჯნურნო, რომელ არ დაშეახლნეთ, თუარა დაიწუებით. მე გულსა ცეცხლი მით მედების; რომელ რამინის გული კუესია და ჩემი აბედი,—ნუვინ გამიკუიროვებთ

ზახილსა. მოყურად საგონებლისა გულისა წაძღვებელისაგან დიდად უსამართლო წამკიდებია. გულწყლულობა ჩემი მას ვუჩუენე, ქირი ჩემი გავაგონე; მისგან მალამოსა მოველოდი, და ნაცულად ძმარი და მარილი დამასხა. საბრალო დიაცისა გული ნუ მიენდობის მამათა და ნუ მოლორდების მათითა ენითა! ჰაი, ჰაი, ვინ იცის თუ რა-ზომნი ქირნი მომიმატნა: ერთი ქირი ასად გამიკადა. მე მან მოყუარემან გამკადა უსულოდ, რომელ აწ დაშემესისხლა. რა კარგი უყოფია ჩემთვის, რომელ მე ნაცული ვერ შემეგუვნოს. ვაი, ცუდად ეგზომნი ქირნი ჩემნი! გულისა დაფარული მან გამაცხადებია. ლხინი დაეთესი, ქირი რად მოვიმკე; ქება შევასხი, წყევა რად მოვისძინე? დიდად ქირი ვნახე ბედისა უბედურებისა შეგუებისათვის, მაგრა ქიქა და ქვა ერთაგან ვერ შივართენ. აწ ბედისაგან აბეზარ-ქმნილ ვარ და ყოვლისა ლხინისაგან ჩაქი აბეზარობისა მიმიცემია. ამა უბედურსა საგებელსა ზეცა დაწოლილ ვარ მიჭირვებული და მიწყით სიკუდილისა მონატრე. სხუა ღონე აღარაა ჩემისა სიკუდილისაგან კიდე. რათგან რამინ კიდე სხუა მოყუარე გამოიჩნია, სიცოცხლესა რასალა ვაქნეო!“



ქს

ვისისაგან მიშქინის საუბარში

ერმე იემო მიშქინ, მისი მწიგნობარი, რომელმან მათი ხუაშიადი აღრითგან იცოდა და გულისასა არას დაუმაღევდა. კულა გამოუცხადა და შესჩივლა ესე საქმე; ეგრე უთხრა:

„ვინ გინახავს, ანუ ოდეს ვინ გასმია რამინისაგან უფრო, უხანო მოყუარე? თუნდა ფრჩხილსა ზედა თმისა ამოსლვასა დავიჯერებდნი, მაგრა მისგან ამას არაოდეს მოველოდი. არ ვეჭუდი, თუ ცეცხლისაგან წყალი ამოედინების, ანუ უკუდავებისაგან გუელისა ნავლელი იქმნების. შენ მე პირველადცა მიცნობდი, როგორი მოღმრთე, პატროსანი, ქცევა-წყობილი და კელმწიფური ვიყავ. აწ ყუელასა საკამოსაგან კიდევან-ქმნილ ვარ, მტერთა და მოყუარეთა სწორად მოვსტლვებივარ. აწ აღარა რა ვარ. მე კელმწიფურად, პატროსნად და წყობიუ ქცევა მმართებს და ამის ყუელაისა დამგდებსა დღე და ღამე რამინის გონებისაგან არ მომეცლების და მისთა საქმეთა უკანა-მდგომი ვარ. ამისათვის სული, თავი, საქონელი, სახლი და ლაშქარნი ყუელა გამიწირავს, ზოგჯერ მისისა ნახვისათვის მოსწრაფე ვარ და ზოგჯერ გაყრისათვის მტირალი. თუ ათასიცა სული მითქს, ერთიცა მისისა გონებისაგან ვერ მოიცლის. რამინ უმეცრობითა მრავალჯერ დამამძიმა და მე ყუელა დავთმე მისისა გულისათვის. აწ სრულად ზურგი გარდამწყუიდა. წინას ოდესმე ჩემისა ხისაგან რტო მოკაფის, მაგრა აწ ძირითურთ ზე ამომწყუიდა, დამწუა და თმობა სიშორითა წამილო. მე აწ რამინ რა ესეთი საქმე მიყო, რომელმცა თმობა მისი შემეძლოლა. მისისა სიშორისა კრმალმან თავი მომკუეთა, უხანობისა ლახუარმან გული გამიპო და თავ-მოკუეთილისა და გულ-გაპობილობისაგან თმობა უღონოა. ამისგანმცა უარესი რალა მიყო? პირველ წავიდა, გამწირა და ცოლი შეირთო და ამ საქმისა სამახა-

რობლოდ, ვითა საშურო, წიგნი მომიწერა. მერმე რა ძიძა გავვზავ-
ნე, ქუშად დახუდა, აგინა და მუნვე ხადირობით გარე-შემოაქცია
იარითა გულ-ლუიძლ-დაწყულულებული, ვითამცა დღეთა მისთა
შიგან ძიძა არაოდეს ენახა და არცაოდეს ამას მისთუის ქირი გარ-
დაეკადა. აწ ამა საქმითა სულსა სასიკუდილო ლახუარი მცემია და
ასრე დასნეულებულ ვარ, ვითა მხედავ. აწ, მიშქინ, შენ ფრთხილი
და სიტყუა-მომხუდარი ხარ, გონებიანი და საუბარ-ჰამო, წიგნის
დაწყობით დამწერელი; მიუწერე რამინს ჩემაგიერ წიგნი, ანახენ ქირ-
ნი ჩემნი და გააგონენ სჯანი ჩემნი. შენ თუით სიტყუათა ერთგან
შეყრა კარგად იცი, ცნობა და მეცნიერობა ყუელა ერთგან შემიკ-
რიბე, რაგუარნიცა სიტყუანი კამდენ, ეგეთნი დაუწერენ. თუ შენ
შენითა ენა-სიკეთითა რამინ აქა მოიყვანო, სიკუდილამდი შენ- მსა-
ხური და მკევალი ვიყო. შენ მეცნიერი ხარ და მეცნიერისა კაცისა
ენითა ყმა-კაცისა გული მალე მოლბებისოა.

რა მიშქინს ესე საუბარი ვისისაგან ესმა, მიშქინ მეცნიერ-
მან და ფრთხილმან მისითა ენოენობითა შეამყო რამინის წიგნი.



წირველი წიგნი ვისისი რამინს თანა

იუწერა წიგნი ვისის დაღრეჯილისა მაგიერ რამინს მხიარულსა და ნებიერსა. ქალაღდისა ნაცულად ჩინური ჰეტრატკონი მოილო, მელნად თუმბუთური მუშკი, კალამი ეგუიპტური, ვარდის წყალი ნისიბური და საწერელნი სამინდორულისა აღვისა-

ნი, თუით მწიგნობარი, ქაჯისაებრ სიტყვა-მოპოვებული, —სიტყუანი შაქარსა და მარგალიტსა თანა გაერივნეს. ჰეტრატკონი ვისის პირისაებრ თეთრი და ეღვარე იყო, მელანი მისთა თმათაებრ შავი და სურნელი, კალამი მისისა ნაკუთისაებრ მართალი და აწ მეტადრე სიმქლითა მსგავსი, მწიგნობარი —გრძნეული ვითა, რომელ სიტყუასა პირსა შიგან შაქრისაებრ ატკობდა. ქება შეასხა რამინს და აგრე მიუწერა ვისის მაგიერ:

„ესე წიგნი გამემარისა ნაძუისაგან —ამწუნებულსა, მხიარულად მოზრდილსა კუიპაროზსა წინაშე; მთუარისა დაბნელებულისა, მიღეულისა —ცათა დამაშუენებელსა ეღვარესა მთუარესა; აოკრებულისა და გამემარისა ვენაკისა —ახალშენსა სამოთხისაებრსა წალკოტსა; ცარიელისა და ბედითისა სადაფისა —გაუპობელსა თუალ-მარგალიტიანსა სადაფსა, მზისა ჩასულისა, დაღრეჯილისა —აღმოსავლეთით ახლად აღმოსრულსა მზესა; დამქნარისა და წაკდომილისა ფურკლისა —ახალ აღმოსრულსა წითელსა ვარდსა; დამშრალისა ზღუისა — თუალ-მარგალიტიანსა ჰომინისა ზღუსა, გაუბედურებულისა ღ დასაწყლებულისა —ყოველთაგან სანატრელსა ბედნიერსა; სიყუარულისა სიკუდილისა დღემდი მიმტანებელისა — გამწირაესა უხანოსა; პირისა კეკლუც-ყოფილისა და დაღუბჩირებულისა —წამისწამ მომმატებელსა პირსა წინაშე; გულისა ცეცხლითა დამწურისა —ჩინურის სტაერისა მსგავსსა თუალთა დღე და ღამე უძილთა ცრემლიანთა —თუალთა ნებიერად მხედავთა; კარგისა მოყოარისა საკუთრისა გულ-მკურვალისა —ავის მქმნელსა და დამმტერებელსა; დასაწყლებულისა და გაბეჩავებულისა —ყოველისა

ქუეყანისა მორკმულსა კელმწიფესა წინაშე დამიწერია ესეთი წიგნი, ესეთსა ყოფასა შინა მყოფსა, რომელ ტანი სულისაგან და სული ტანისაგან აბეზარ-მქმნია.

მე კიდეგანობისა ცეცხლითა ვიწუი, და შენ სუმასა და სიხარულსა შინა ნიშტიანობ. მე სიყუარულისა საჭურკლისა მეჭურკლე ვარ, და შენ მტერობისა კელისუფალი. აწ ამას გაფიცებ ჩემსა. სიყუარულსა და შეყრასა, და თუით დამბადებელსა ცისა და ქუეყანისა ღმერთსა გაფიცებ, რომელ ესე წიგნი სრულად წაიკითხო, ჩემნი კირნი სცნენ და რაცა მომიკსენებია, გაიგონო.

იციცა რამინ, რომელ საწუთრო მბრუნავია? კაცი ზოგჯერ სნეულია, ზოგჯერ მრთელია; კაცი ზოგჯერ კირვეულია და ზოგჯერ ლბინიანი. ზოგისათუის სიციოცხლეა, თუ ავად თუ კარგად, ბოლოდ იგრეცა სიკუდილია; ზოგისათუის სიკუდილი შემდგომად განკითხვავა და ნაცულისა მოზღუევა. ამას სოფელსა ამბავი ოდენ დარჩების. ჩუენი ამბავი ავთა და კარგთა ყუელათაგან იცნობვის, თუ რაის მოქმედნი ვართ. შენ თუით იცი, თუ ჩუენ ორთა შუა რომელი უფრო აუგიანი ვართ, რომელსა უფრო უწრფელობითა თავისა ნება გუიძებნია. მე იგი წმიდა ვიყავ, რომელ გინახავს ყოველსა ქუეყანასა ზედა, რომელ სიწმიდითა ცისა ცუარსა ვჭჳუნდი და სიტურფითა ვარდისა ფურცელსა; ვერა რომელსა მამაცსა ეპოვნა ჩემთანა გულისხება და საწუთროსა არ დაედვა ჩემზედა აუგი. კანჯარსა ვჭჳუნდი, მინდორად მავალსა, ყუელსაგან გაუვლენელსა; არა რომლისა მონადირისა პირი მენახა. შენ იყავ ჩემი მკლველი და მომაყიენებელი, შენ დამიდგი გზასა უწრფელობისა ბადე და დამაბი. აწ მარტო ორმოსა შიგან ჩაგიგდივარ და წამსლეიხარ! მომალორვე, მომატუენე და აწ გამწირე. უზენაროო! შენი ფიცი ქარსა ჰგავს უხანოსა, შენი ზენაარი წყლისაებრ მდინარე და წარმავალი არის. ვგრე გითქუამს: „მიფიცავს და ვისის აღარ შევეყრებიო!“ მაშ, არ ჩემდაცა შემოგეფიცა, რომელ ვირემ სულნი მედგნენ, არ გამწირო? აწ რომელი დავიჯერო? შენი ფიცი რომელი უფრო მტკიცედ მიჩნდეს? შენი ფიცი ბუქსა ჰგავს და შენი შეყრა საჭურკლესა. ქუეყანასა ზედა ამა ორთავე სახელი დიდად ითქუმის. შენ ჰარირსა ჰგავ, მრავალფერად იქცევი; ოქრო ხარ, ავთა და კარგთა მიხულები. არ ჩეპებრ ხანიერი მოყუარე, თუ შენ ჩემსა გუერდით არა ხარ, სხუასა დიდხან ვის გუერდით ხარ?

ნახენ თუ რაზომნი ავნი ნაქმარნი გიქმნიან: უპატიოდ გამკადე მეცა და შენიცა თავიცა, დიდისა კელმწიფისა ცოლი მომატუენე, თავისა გუარი და ნატამალნი აუგიათ ჰქმნენ, ცრუ ფიცად გაჰკე.

გაუწირავი და ზენარიანი მოყლარე გასწირე, წახუე ჩემგან შეუცოდებლად და დაუმძიმებლად, და ესეთისა მოყურისა აუგნი მოსთუალენ, რომელ მას შენგან კიდე არავინ უვის. მე იგი ვისი ვარ, რომელ მზეა ჩემი პირი და თმა მუშკი; მე იგი ვარ, რომელ პირისა სისავსე თხუთმეტისა დლისა მთუარესა მიგავს და ბაგე უკუდავებასა; მე იგი წყლიანი ვარ, რომელ სიყუარული ჩემი ხანგრძელია; მე ტურფათა დედოფალი ვარ და გრძნეულთა კელმწიფე. მე შენგან უკეთესსა კელმწიფესა დია ვპპობე, მაგრა შენ ჩემებრსა ველარავის. მე ოდესცა გამწირო და წაიბუიდე, შემოქცეული გუიანადლა მპობე.

ნუ იქმ რამინ,—რა ინანდე, კისისგან კიდე წამალსა ვერას პპობე! ნუ იქმ რამინ, რა გულისაგან გასძლე, კაბუკობითა ვისის ველარ მოიკელებ! ნუ იქმ რამინ,—აწ შენ მთრვალი ხარ და სიმთრვალითა გაგიტეხია ზენაარი! ნუ იქმ რამინ, რომელ რა მოფხიზლდე, უცოლო და უმოყურო დარჩე! გნახე ესეთსა, რომელ, ჩემსა წინა სტიროდე და პირსა ჩემისა დარბაზისა კარსა დასდებდე, მტერობა სიყუარულად მოაქციო, მე მეძებდე და ველარ მომხუდე. რათგან ჩემგან და ჩემთა ბაგეთაგან გასძელ, გულისაგან უღონიოდ უმალ გასძლები. რა შენ მე არ მმორჩილებდე, ჩემ გუერდით არ გაიხარნე, სხუასა ვის პპორჩილობ? მიჯნურნი კმა-მალლად ყივიან: ვისცა ვისი არ აშუნია, მასა სიკუდილი შეეძინების.

უბედურობის ნიშნად გეყოფის, რომელ ღმერთმან ვარდი მოგცა, მაშინლა მოშენებული წალკოტი წაგილო; გიჩუენა დაბნელებული მთუარე და წაგილო ელვარე მზე. იქადი ერთისა ხისა პოენასა და არ იცი, რომელ ვენაკი აღარა გაქუს. ნუთუ დაგუიწყებია, ჩემითა სიყუარულითა თუ რა პირსა და უთმინობასა შინა იყავ? რა სიზმრივ მნახი, გაკელმწიფება გეგონის, რა სული ჩემი გეცის, მკუდარი გასკოცხლდი!

კაცისა სირეგუნე აგეთი არის, რომელ პირსა და ლხინსა აღრე დაივიწყებს. ეგრე გითქვამს: „მას უკანა სიყმე ჩემი დამიკარგავს; ვინახი და ჰამო საწუთრო დამამწარაო. მაშა მე ეგრე მეგონა, შაქრისა ლერწამი დაერგე და უკანა ნაყოფისათუის გაგედგებოდე და ნაყოფად ნაველი გამომესხა“. მე რა შენგან პირნი მოვიგონნი, ცეცხლი ფერკით ტუინამდის გამიკდების და თუალთა ჯგონი მდინდების. რაზომი პირი ვნახე შენთუის და ბოლოსა ესრე მომიკდა, რომელ ჰა შენ მითხარე, და ძიძამან შიგან ჩამავდო და ორნივე ჰამოდ დასხდომილ ხართ. შენ შეშა მოილე, და ძიძამან ცეცხლი შეეაგზნა და ორთავე უნებლიე შიგან ჩამწუით. არ ვიცი, შენგან ვჩიოდე თუ მისგან, ჩემისა პირისა სათაენო ორთაგანვე იქმნა. რაზომცა შენგან

მტერობა ეცან, კიდევანობისა ბორკილითა დამჭედე და გულსა უცხ-
ლი ჩამიგზნე, თუალთა სისხლი მადინე, სისხლისა ტბასა ჩამაგდე და
ჯეონსა შიგან ჩამარჩევ,—მე გული არცა ეგრე მეტყუის, შენსა წყე-
ვასა და შენგან ღმერთსა წინა ჩივილსა. ღმერთმან შენი ჭირი მე
ნურა მომასმინოს,—მე შენი ჭირი შენგან უფრო მეტკიენების; თუ-
არა მუნამდის ეგრეცა ვსწერ წიგნსა, ვირემდინცა კალამმან სისხლი-
თა წერა არ დაიწყოს და ვირემდინცა არ გნახო, რომელ ღმერთმან
ნუთუშცა შენი უნახავი არ მომკლაო“.



მთ

მეორე წიგნი ვისისი რამინს თანა

უ შუიღნივე ცანი ქალაღდად მქონდეს, სრულად მასკულაენი მწიგნობრად მყვეს, ლამისა ჰაერი მელანი იყოს, ასონი ფურცელთა, ქუიშათა და თევზთაებრ ხშირად სხდენ, — აღსასრულამდინ იმედი და ნატრა ჩემისა მოყურისა ნახვისათუინ მქონდეს, — შენმან მზემან, ნახევარსა ვერცა მაშინ დავსწერ სურვილსა.

მე შენისა სიშორისაგან კიდე ვერა შემაშინებს, მე უშენობისა კიდე ვერა შემაჰირვებს. შენგან შორს დარჩომილსა არა მაქუს გამოსუენება, არ მომივა ძილი, და თუ დამეძინოს, შენივე სახე მითქს თუალთა წინა. მე უშენო საბრალო ვარ, ესრე რომელ მტერთაცა ვეწყალვი. რომელი ჩემად სალხინოდ მიჩს, რა მას ვიქმოდი და თუალთაგან ლუარად ცრემლთა ვიდენდი, ამას მიგავს, ვითამცა ცეცხლსა ცეცხლითა ვავსებდო და ჭირსა ჭირითა ვჰკურნებდი. მე უშენობისათუის მგლოვიარედ ქუე ვზი და შენ ჩემსა მტერსა გუერდით მზიარულობ და იშვებ. ატირდების თუალი ჩემი, რა ნახოს მოყურისა სადავე მტერისა კელთა შიგან. ვითამცა კიდეგანობა შენი ცეცხლი იყო, რომელ თმობისაგან კიდე, არასა დასწუავს. სიცხესა შიგან ვერავინ დაიძინებს და მე ცეცხლსა შიგან მყოფმან ვით გამოვისუენო?

მე იგი ძუელი ნაძუი ვარ, რომელ შენმან კიდეგანობამან წამაქცია, გამაკმო, დამწუა. შენ რომელ ჩემსა ნაკუთსა ისრისაებრ მართალსა იცნობდი, შენმან გონებამან გაამრუდა, საგებელსა ზედა დაკუძულ არს. ჩემად წყალობად, ნახვად და კითხვად რა მოვიდენ, რაზომცა ჩემსა მიდამოსა დასხდენ, ასრე დასაწყლებულ ვარ, რომელ ვერ მნახვენ, ზრახვით და კიცხვით ესრე იტყუიან: ნუთუ ჩუენი სნეული ნადირობად წასრულა, აქა აღარ არის? შენისა ნახვისა ნატრასა ასრე გაუკდია ჩემი ტანი, რომელ თუალ-ხილულნი კაცნი ველარ ნახვენ. კუნესითა ოდენ შეიგებენ ჩემსა სიცოცხლესა და აწ უსუსურო-

ბითა არცლა კუხესა შეძიძლია. შენითა კიდევანობითა ამისგან კიდე სარგებელი არა დამრჩომია, რომელ, თუ სიკუდილი მოვიდეს და წელიწადსა ერთსა მეძებდეს, ესრე დალეულ ვარ, შენმან სურვილმან, რომელ საგებელთა შიგან ვერცა იგი მპოებს. თუცა უშენობისაგან მენატრების, ამით სიკუდილისაგან უშიშ ვარ, ვირე ესრე ვარ. შენი შეჭირვება მათათებრ გამდიდებია და თმობისა გზა გამძნელებია. ამა ჰირისაგან ნუ მიკსნას ღმერთმან, თუ უშენობისა გაძლება მაქუსლა! და ვით ჰქონდეს მას გულსა გაძლება და თმობა, რომელ ჯოჯოხეთისა საკუმლისა ჰკუანდეს და არცალა თუით მისი სისხლი არის მას შინა, არა თუძცა სხუა? ასრე ტყუილია, თუ სული სისხლითა ცოცხალაო. მე სისხლი აღარ მითქს და ჯერეთ ცოცხალ ვარ.

მე, საყუარელო, ვირე შენ გახლვიდი, ტანი ჩემი ხე იყო, რომელსა ნაყოფად ვარდი ჰქონდა. აწ ამით კამს ჩემი წუა, რომელ უნაყოფოსა შტოსა ყოველი კაცი დასწუავს. რა წახუედ, წამივიდა თმობა; რათგან ვერ გნახავ, აღარცარას ვილხენ. უშენობითა ნება ჩემი წამსლვია და, ვირე შორს ხარ, არცალა იგი შემოიქცევის. საწუთრო ესრე ამშჟოთებია, ვითამცა ეტლთად შებმულ ვიყავ; საწუთრო ესრე ამშლია, ვითა უთავო ლაშქარი; შეჭირვებასა ქუეშე ესრე შემიღამდების დღე, ვითა ველურსა თხასა ავაზისა შიშითა. თუ ესეთისა ყოფნისაგან ვტიროდი, ნუ გიკუირს, ნუვინ მიაუგებთ. მე ვარ უმოყურო და ჰირთაგან მოყურიანი, მე ვარ უსაქმო და მიჯნურობისა საქმეთაგან დაბნეული. ვერას გაეისუენებ უშენოდ. ნოთუ შენ იყავ ჩემი სიცოცხლე, რომელ უშენობითა გულსა შიგან ჩემსა დასთესე, შენი სიყუარული აწ, ზენაარ, მორწყე სიხარულისა რუითა.

ნახე ერთხელ კულა ჩემი პირი, რომელ არა ვეჭუ თუძცა მისებრი ანუ ყუითელი ოქრო გენახა. თუცა მტერი ხარ და მისისხლე ჩემი, ეგრეცა შეგებრალეები, რა მნახო, და თუცა გამწირავი და უხანო ხარ, რა ჩემნი ჰირნი ნახნე, გეწყინების და დაგიმძიმდების.

ეგრე მეტყუიან, სნეული ხარ და მკურნალი ძენნე, რომელ გარგოს რაო. მე თუით ჩემისა აქიმისა და მკურნალისაგან მკუდარი ვარ, ჩემმან მკურნალმან მიმუხთლა და მიღლატა, მისისა მუხთლობისაგან დასნეულებულ ვარ! მე ვირე ესრე საწყლად ვარ, შენ გეძებ ღონედ. შენისა ნახვისაგან კიდე ჩემი რგება არას შეუძლია, ვერცა გულსა შევიჯერებ შენისა სიშორისათვის. არა ვარ ღმრთისა და ბედისაგან იმედ-გარდაწყუედილი, რომელმცა ჩემი ელვარე მზე კულა არ მიჩუენა. თუ შენისა პირისა მზე მოვიდეს, ჩემისა შეჭირვებისა ღამე განათლდების. შევებრალდები აღრინდელსა მტერსა და ნუთუძცა შენცა შეგეწყალე: არ მტერთაგან რამე უფრო სამტერო შემიცოდებია და თუ ამა წიგნსა წაიკითხავ და არცა აწ შეგეწყალეები, და ჩემთა ჰირთა სცნობ, სრულად უზენარო და გამწირავი თურე ხარ“.



მესამე წიგნი ვისისი ლამინს თანა

იუცილვებლად ჩემო საგონებელო, რა წახუედ და მოგშორდი, გული და ცნობა ჩემი თანა წაგიტანია. მით გვედრებ, გარნა მას ვიკითხავ, რათგან წამიხუე, ჩემგან მძევალი რადლა გინდოდა? მე შენთუის უზიაროდ მომიცემია სული, გული, გამოსუენება და თმობა. მე უამისოდ ლხინისა მძებნელი ვითლა ვარ? ჩემი გული წამსა მოუშორვებელი ესრე შენი მნატრელია, ვითა სნეული სიმბრთელისა. მას სხუისა ვისსაცა სიყუარულისა ძებნა არ შეუძლია, რომელსა გულსა სიცოცხლე შენგან უნდა, მას გულსა შენ ვითა დააჟიწყდები? რაზომცა შენგან ჭირნახულია, ეგრეცა სულთაებრ უყუარ. თუცა შენ ჩემზედა რეგუენობითა უღმრთოდ იყავ და გამწირე, მე ვერცა ეგრე მოგიშორებ. აწ უფრო მეგონები, აწ უფრო მიყუარ და რაცა ავი გიქმნია, ვერ დაგაყუედრებ. მუნამდის გდევ და გემუდარები, ვირე ჩემი სიმართლე და შენი უსამართლობა არა სცნა. რათგან შენი საქმე უხანობაა, მე გულმაგრობასა რად მაყუედრებ? ჩემი გული წყალსა შიგან რვალივითაა და შეუძრავად ძეს სიყუარულისა ხანიერობისათუის. მით არ მოიკოცების გულისა ჩემისაგან სიყუარული, რომელ ქვისა და რკინისაებრ მაგრად მაქუს. და თუ ესრე შეუწონელი არაა, მაშა ვითა გლახ გაესძლე ეგზომი შენი ჭირი და ჯავრი, რომელ შენისა უღმრთობისაგან სიცოცხლე მომწყენია, ვითავე შენი სიშორე. სიყუარულისა ლუინო, შენთა ბაგეთაგან რომელ ვსუი, მითცა ესრე მოუქარვებელითა სიმბრთვალითა მთრავს.

რა მზე ანუ მთუარე დავინახო, შენი ჰირი მომეგონების და, რა ისარი ანუ სარო დავინახო, ათასჯერ თაყუანის-ვსცემ შენისა ნაკუთისა მიმსავსებისათუის. სადაცა ვარდსა ეპპობებ, მოვკოცნი ლაწუთა შენთა სახებისათუის. ცისკრისა ჟამსა მტირალსა და მკუნესიარესა რა ნიავმან იისა და ვარდისა სული მომართუას, ამით

მოვილხენ, რომელ ეგრე ვიტყუი: ნუთუ ჩემი სიყუარული მოვა და მისი სული მეცემის? რა მიმელულნეს, შენსავე სახესა ვსქურეტ, ამით ვიხარებ. ზოგჯერ შენთა საქმეთაგან შენთანვე ვჩივი, ზოგჯერ შენისა სიშორისათვის შემოგტირ. მძინარესა დამემოყურები, რა ქირი ქირსა მომემატოს და გამელუიძოს, რადლა დამემტერები? თუ მძინარესა სიყუარულსა მიჩუენებ, რა გაველუიძოს, რადლა დამამძიმებ? სიზმარსა შინა მოწყალე ხარ, საცხადოდ ეგრე უწყალო და სულთა წამკუმელი რადლა ხარ? მლუიძარე დაღონებული გეაჯები, გიკმობ და არ მოხუალ, ამით რომელ ვიზახდე და ვტიროდე. და რა დამეძინოს, უმადლოდ მოხუალ და მნახავ, ამისათვის რომელ უფრორე უთმინოდ მომესურვოს შენთვის. ოდეს გიახლე, იგი ჟამი, და აწ სიზმრისა თუცა წამია, სწორად მალხენენ. ოდითგან წასრულ ხარ, ბნელი და ნათელი ჩემთვის გასწორებულა, დღე და ღამე გამერთებია; შენგან გულსა შენი სახე ოდენ დამრჩომია და სიშორისაგან სნეულსა შექირვება. ესრე დიდად მსურიან, რომელ, რა მეზმანო, მასცა დაესჯერდები და ღმერთსა ვჰმადლობ.

მაგრა ჩემი დაჯერება ფრინველსა მახე-შებმულსა ჰგავს, რომელ აღარა ღონე აქუს. მშობელთაგან დაწყულსა ვჰგავ თუ: „ღმერთმან გაშოროს, რასაცა ეძებდეთ“. მიჯნურობასა ესრე გაუკლივარ, რომელ შენი ოცნებაცა სიხარულად მიჩს. ასრე გლახ დაქირვებულა გული ჩემი, რომელ ესეცა სახელად უჩს და ძილსა ინატრისევე. მე ოდეს გეახელ, მაშინ ენაზობდი ამა ქირისა მოულოდნელი, ამით არ მეძინის, და აწ სიშორისაგან თუალთა სისხლისა ღენითა არ მძინავს. ნახე თუ ძილისაგან გამოსუენება ოდეს მომხუდებოდა მაშინ ნებთერობითა და აწ შექირვებითა ესრე მყოფსა! და აწ შენსა მიჯნურობასა შიგან დაველიენ ცუდად დღენი ჩემნი! შენი მიჯნურობა რა დავთესე, უძილოთა თუალთაგან ეგზომი ვრწყვი, რომელ გულისაგან თავამდი გამსლვია. გული ჩემი სადაფსა ჰგავს, რომელ შენი სიყუარული შიგან დამთესლებია და მისი ამოღება ადვილად აღარავის შეუძლია. ნუთუმცა არ გამწირა ღმერთმან და შენსა ნახვასა შიგან შენ ჩემგან რცხუენილი იყავ და მე ხანიერობისათვის ურცხუენელი და ენა-გრძელი, შენზედა ეგზომთა ქირთა არ ცუდად ვარდამკდელი“.



მეოთხე წიგნი ვისისი რამინსა თანა

ითხარ, ორისა კუირისა მთუარეო, რად გამწირე, რომელ ჩემისა მესიხლეობისთვის მოსწრაფეობ? თუცა შენ თავისა წადილითა ყოველივე გშუენის, მე არა თუცა ამას საწუთროსა შიგან, შენგან კიდე ლხინი აღარცარა მას საუკუნესა მომინდების. ეგრე მეტყუიან: „ვი-

სო, ნუ ჰკუნესი! ერთისა უხანოისა მოყურისათვის ეგრე გასლვა რად უნდა? კაცსა მიჯნურობასა სხუისა სიყუარლისაგან კიდე არა დაავიწყებს და შენ მის უკეთესნი არა დაგელევიანო.“ მე ამას რომელნი მეტყუიან, ესე არ იციან, რომელ ვარდისა წყალი რაზომცა წმიდაა, წყურვილსა წყაროისა წყალი უკეთ ირგებს; რომელსაცა ლუიძლსა გუელმან უცეს, მას ტაბარაზისა უფრო თერიაყი დააშუენდეს; შაქარი რაზომცა ტკბილია, მოწამლულსა წამალნი უჯობს. მე რათგან შენ აღარ გხედაე, მოშურნეთა ჩემთა უშენო მნახეს. სხუამცა სათავისოდ ლხინი რადლა ვძებნე, ანუ შენად ნაცულად გული ვისცა მივსცე, რომლისაგან მე წადილი აღარა დამრჩომია და ესრე შენთვის გამისაკუთრებია. მე შენად ნაცულად არავინ მომეკერების და სხუისაგან გულსა სარგებელი არ მომხუდების.“ თუ კელი აღარ მედგას, რაზომცა თულ-მარგალიტსა მოვისხმანო, ჩემთვის უსარგებლოა. შენ მზე ხარ და ჩემი დღე უმზეურად არ ნათობს.


ჰე ლაშქართა თავო, ოდეს შენ გიახლე, სადაფი ვიყავ და შენ მარგალიტრ: გამოეღოს,—არცაილა პატივი აქუს; ეგრე ველარავინ ჩაუგდებს. მაშ კამს ჩემგანცა ეგზომი ცოდინი, რომელ მე შენგან კიდე სიყუარული გულსა არავისი ჩავიდვა. კაცსა, სოფელსა მყოფსა ყუელასა, ნაცული ექმნების სულისაგან კიდე, და შენ ჩემი სული ხარ, უშენოდ მე შენი ნაცული რა ვძებნო? და თუ ვეძებდეცა, რა ვპოვო ეგეთი: მთუარე, მზისაებრეე რომელსა ჟამსა ნათობს? მე რა შენგან გაყრილ ვარ, პირი არ დამიბანია და ტანისამოსი არ გამომიცულია,

ვითა მისთვის ხლებურ ვარ და მისი სული მეცემოდესო. მე ვირე შენი სიყუარული ასრე მტკიცედ მაქუს, სხუამანცა ჩემგან ვინ გაიხარნა? ჩემი გლახ საწყალი სული საქარაენოსა ფუნკდუსა ჰგავს, შენისა სიყუარულისა ქარაევანი მიწყით შიგან დგას, და თუ მან ადგილი არ დაცალოს, სხუა მოქარავენე ვინ დაეტევის? ვისა ტანი შექირვებითა თმისაბერ დამწლობია, — გული ქვისაბერ გამმაგრებია თმობითა. ქვასა შიგან ნერგსა არავენ დარგავს, მით რომელ ქირი და ნერგი ორნივე არ გაცუდდეს. რაზომცა აწ მაშორავ, ეგრეცა სიცოცხლისა ჩემისა მიზეზი და თუალთა ჩემთა ჩენა შენ ხარ. ნუ ეძებ უმეცრობითა ჩემსა კიდევანობასა! ჩემგან კიდე საშენო სხუა აღარავინ იპოების და შენგან კიდე საჩემო. მე მაისი ვარ და შენ გაზაფხული. განალა უერთმანერთოდ არ ეგების! შენ კაკაბი ხარ და მე მჭირნე კლდე! მე ზლუა ვარ ცრემლთა დენისაგან და შენ თევზი. რათგან ესე უერთმანერთისოდ არ ეგებიან, მიკუირს თუ ეგზომსა ხანსა ჩემგან კიდევოფა ვით გასძლე? შენ წითელი ვარდი ხარ და მე ყუითელი. შენ სიხარულითა გაფურქუნილი და მე ქირითა. მრავალფერობა ვარდთა მიწყით ერთსა წალკოტსა შიგან კაპს. მოე, ჩემო, შენითა სიწითლითა ჩემი სიყუითლე დაფერე! უშენოდ სულნიცა უპატიო იყოს, საწუთროსა უშენოდ რამცლა პატივი ჰქონდა? თუალნი უშენობისათვის მიწყით უძილონია და გული ნიდაგ მძინარე, რომელ თავისა გზა აღარ ვიცი.

ეგრე მეტყუიან: „რათგან მას მოყურად მასკულავე დაუქირავს, შენ მთუარე დაიჭირე. ნუ ჰკუდები უხანოისა მოყურისა გონებითა. პირველ მისგან გამოჩენილია უხენარობა, იგი ცრუებულა შენგან და ნულარცარა შენ გაგვა მისიო.“ რაზომცა მას მართალან და ღმერთი ჩემზედა შენ უარ - ქენ, შენმან მზემან, ამისი ღონე არა მაქუს. არცა ჩემსა გულსა სხუისა ვისიცა, შენგან კიდე, სიყუარული შეუძლია. და რათგან მოყუარეთაგან ბედი ეგზომი მაქუს, რამცა რალა ეძებნე? მე რაცა აქამდინ ქირი და მიჯნურობა გარდამიკდია, მეყოფის. სხუასა ეგზომსა სასჯელსა ველარ გავსძლებ და არცა დავებმი. მე ეგრე ტურუად კელნი ვერ შემიღლებვან, თუმცა ესერთევე ფერკთა მომინდა. მე მიჯნურობითა არა სარგებელი მინახავს, რომელმცა კელთა ქირსა შიგან შევიღე თავი; მე ყოვლისა სამიჯნუროისა და კეკლუტათუის აბეზარ-ქმნილ ვარ, მტკიცე სიგელი დამიწერია, ვისისაცა საგონელი-სათუის ცეცხლი დამივისია ჩემისა გულისა და ბედისათუის მინდობილ ვარ.

მე იგი ფრინველი ვარ, რომელსა სიფრთხილითა ზირაქად სახელ-სდებდენ, და აწ ორითავე ფერკითა მახესა დაბმულ ვარ. ვაჭრი-

საებრ ზღუასა შევედ, რომელ ცოცხალი გამოსლვასა აღარ ექუდა და საკელმწიფოსა თუალ-მარგალიტსა ეძებდა. გრძელია ჩემი ამბავი, ყუელასა ვიტყოდე, და ზღუასა შიგან ჩავირჩო. სიარულსა შიგან ზუირთისაგან მეშინიან. გამოსუენება არ მინახავს, და სათავენო წამკლომია. აწ ღმერთსა კელაპურობით მას ოდენ ვეაჯები, რომელ ამა საშინელისა დელვისაგან მიკსნას, და, ვირე ცოცხალ ვიყო, ზღუასა აღარ შევიდე. მე შენისა ჯავრისა და სიყუარულისაგან ესრე გასრულ ვარ, რომე მიფიცავს, უბანოთა კაცთა აღარა დავეახლო, აღარცარა ვისგან იმედი მქონდეს. მართ ჩემად მწედ და მარგებლად ღმერთსა ვიგონებ და მას ვევედრებოი.“



მესუთე წიგნი ვისისი რამისსა თანა

ოყურისა კიდევანობა და მოლოდნა მაშინ დიდად ჰამოა, თუ უხანობა და გამწირაობა არ ერთოს; თუცა თუ კიდევანობა მწარეა, ნუვისა მოძლოდნობა მას დაავიწყებს; სიმარტივისა გაძლება ჰამოა, თუ შეყრისა იმედი ჰქონდეს. მიწყით ერთგან ყოფნა მოყუარეთა აუგვიან ჰყოფს, პირველ თუით სხუათაგანცა შემოსახედავად, მერმე ერთმანერთსა თანა რაზომცა უყუარდეს, ცოტა რამე დაუმძიმდების ერთმანერთისაგან. ზოგჯერ ეკუშტვიან ერთმანერთსა, ზოგჯერ უწყურებიან, ზოგჯერ იმდურვიან და ქუშობენ, ზოგჯერ აყუედრებენ სხუასა რასმე და ყუელასაგან უარესი ზნე მიჯნურობასა შიგან ესეა, თუ გაძლენ ერთმანერთისაგან და ბოლო შეექმნას მათსა სიყუარულსა. გულისადა ესრე ვერ შეჯერებულ ვარ, რომელ ოდესცა ჩემსა გულსა სიმარტოე მოეწყინოს, მოყურისა კიდევანობისათუის შემომჩიოდეს. მე ეგრე ვიტყუი: „ლათმე, ჰირი გინახავს და ჰირისა ბოლო მიწყით ლბინია; და ზამთრისა წავლისა შემდგომად მიწყით ზაფხულია; ნუ თუმცა ჩემგან მისისა შეყრისა ბოლოცა ასრევე მოჰკდა? აწ მოიქირევე წელწადი ერთი, რათგან მისისა ნახვისა წამსა მოელი. თუ ერთსა დღესა მის გუერდით სიხარული მოგხუდეს, ორისა წლისა ჰირი დაივიწყების. შენ, გულო, მეწალკოტესა არა უარეს ხარ, არცა იგი შენი საგონებელი ვარდისა კელსა უარეა. მას ჰხედავ თუ: რა დარგოს, რაზომსა ჰირსა ჰნახავს მოკრეფამდინ. დღე და ლამე ჰირსა და კაზმასა შიგან არის, კელსა ეკალი ესობის ამისითა იმედითა თუ: ვარდი ოდესმე გამოესხმისო. აგრევე იადონსა კაცი შეაგუებს, აქმევს და ასუმევს, დღე და ლამე მას სკურეტს, გალიასა ძუალითა და მძივითა მოუკაზმავს, ალამაზებს. და ამისათუის იჰირვის წელწადსა შიგან — ამო კმა ამოიღოსო, რომელ მე გავიგონოო და გული გამიმხიარულდესო. ჰხედავ მასცა, რომელ ზღუასა შიგან შეე-

ლენ. ეგზომსა ჭირსა და შიშსა გარდაიკდიან მოუსუენებელნი, არცა ძილითა მორკმული იქმნების და არცა მკლავითა. ზოგჯერ სიცოცხლისათვის მოიშიშობენ და ზოგჯერ საქონლისათვის. მაგრა იმედისათვის გასძლებს ყუელასა: ნოთუ სარგებელი რამე მომხუდესო! ეგრევე ფეროზისა და ლალისა მძებნელი დღისით მიწყით კლდესა სთხრის, ქვა და წერაქუი აქუს, კელთა იტკივნებს ამისითა იმედითა, ნუთუ კარგი თუალი ეპოვოო. დღისით თხრისაგან არა სძინავს და ღამით შენახვისაგან. "

საწუთროსა სიხარბე და მოლოდნა ყოველსა ადამიანსა სჭირს და მეტადრე შენისა ნახვისა. ვირეცა მზე და მთუარე აღმოვალს, მუნამდინცა მე შენგან იმედგარდაწყუედილი არა ვარ. ჩემსა გულსა შიგან სიყუარული შხისა ხესა ჰგავს, ზამთარსა და ზაფხულსა მიწყით მწუანეა, და შენსა გულსა შიგან სიყუარული ზამთარისა ხესა ჰგავს, ნაყოფი და ფურცელნი დასცუივიან და კმელი ხე ოდენ დაგრჩომია. გარნა ამისი მომლოდე ვარ, რომელ ესეთი გაზაფხული მოვიდეს და გაანედლოს, ფურცელი გაუწირაობისა გამოისხას და ნაყოფი სიყუარულისა, და გაწირვისა ნანვა სამე ეგზომი მისცეს, რომელ მე ღმრთისაგან იმედიანი ვარ, თუცა შენ ყოლა აღარ მოიგონებ ჩემსა გულსა.

მე კმელი შტო ვარ და შენ მხიარული გაზაფხულისა ჰაერი; მე გლახ ულონო საბრალოდ გასულ ვარ, შენ მდიდარი, უწყალო, ძუირი და გაუვლენელი ხარ. ვტირ დღე და ღამე, სხუა აღარაა ჩემი ღონე ტირილისაგან კიდე. ულონო და საბრალო ვარ ასრე დამწუარი გლახ, რომელ ლხინისა ღონედ ტირილი ოდენ მაქუს. ვჰგავ სნეულსა მიჭირვებულსა, რომელ მისჭირვებოდეს და სიცოცხლისა იმედსა არავე გარდასწყუედდეს. მას კაცსა ვჰგავ, მარტოსა, სნეულსა, გაბეჩაგებულსა, გამოვარდნილსა, რომელ სახლისა და ნატამალთა სურვილი ჰქონდეს და ღონე აღარას. მისებრვე ყოველთა ჟამთა ვზი გზასა ზედა, შენსა ამბავსა მომავალთაგან ვჰკითხავ; ეგრე მეტყუიან: „რას იკითხავ? მისგან იმედი გარდაიწყუედიო.“ მაგრა მე უკუნისამდი იმედიანი ვარ და არცა გარდავიწყუედ იმედსა შენგან, რომელ სულნი დამრჩომიან, თუ იგი სრულად არ დამელივენენ, შენისა ნახვისა მომლოდნეობისათვისცა. მიჯნურობითა თმობა წამსლვია. შენისა ჯავრისაგან სრულად ამით უფრო არ დამწუარ ვარ, რომელ კულა ნახვისა იმედი წყალსა მაჰკურებს, და თუ უიმედო ვიქმნა, ვაი ჩემნი დღენი, რომელ წამსაცა დარჩომა ჩემი აღარ ეგების.“



მექესე წიგნი ვისისი რამინს თანა

ინახავ ერთხელ რამინ, რომელ არ იყავ ესრე დი-
ლისგემო და ამპარტაენი, არ იყავ ესრე თავისა
კელთა მქონებელი და ესდენ მწუავეთა სიტყუათა
მთქუმელი, არ იყავ ესრე კუშტი და დაუკარავი. მინახავ ესრე,
რომელ, რა სულთქნი, შენმან სულთქნამან ჰაერი გააშავის, შენისა
გულისა კუამლმან მთუარე დააბნელის. ბედითობითა გზის პირისა
მიწასა ჰგუანდი, შენთა მტერთა და მოშურნეთა წადილისაებრ იყავ
და მე მაშინ განალა აწ, ვითა შენ ჩემთვის ხარ? ათასჯერ მე უფრო
შენი გაუკუირვებელი და ბედითად მხედველი ვიყავ. ჯოჯოხეთსა
ჰგუანდა შენი სული კუამლისაგან; ზღუასა ჰგუანდეს თუალნი შენნი
ცრემლითა; რომელსაცა დღესა უმცროსი იტირი, დიჯლისა ოდენი
წყალი ეგრეცა გარდმოვიდის შენთა თუალთგან.

აწ ჯიმშედისაგან უფრო გადიდდი, გემოებულ ხარ და ცად
გასრულ ხარ, უღონიოდ იგი ჟამი დაგუიწყებია, რომელ მიჯნურობი-
საგან თმობა აღარ გქონდა. ვაი, რომელ შეიგენ ჩემი გულის-პასუ-
ხი და ჩემგან პაშენო სიყუარული და მით დამიძაბუნე. ესრე რად
ხარ საჩემოდ ნავლლისაებრ მწარე, რათგან სასხუაოდ უკუდავებისა-
ებრ სიტკბო იცი? საყუელაოდ ლმობიერი ხარ, ჩემთვის ოდენ რად
კუშტობ? შენ ათასი საქურქლე ტურფითა სავსე გიპოვნია, რა სა-
კუირველი, თუ მაგით გლახასა ექადოდე? რა ვავვა, თუ შენ შენითა
თავითა იქადდე და მე შენითა შენგან უფრო ვიქადდე? რათგან
ეგეთი საქადული ხარ, დამემორჩილე, რომელ გმორჩილობდე. რა-
ზომცა შენი პირი გაზაფხულია და შენთა ლაწუთა ზედა მიწყით წი-
თელი ვარდი ყუავის, ეგრეცა ესე მოიგონე, რომელ ზაფხულისა ყუა-
ვილი სთულამდი დარჩების. საწუთრო მიღმართ-მოღმართია. ნუ მოჰ-
ზიდაე მოყუარეთა ზედა მტერობისა მშუილდსა, ნუთუ ანახდად გა-

ტყდეს და შენვე გეცეს. თუ შენი კაპარქი ისრითაცა სავსეა, მუნით ერთსაცა შენსა მოყუარესა ნუ შესტყორცებ.

ჩემი გული მწუაღდა ჰგავს კიდევანობისა ცეცხლთა ზედა წუითა; რათგან უცეცხლოდ არ მიშუებ, ბარე ნელადრე ნთება მათნიე. ნუ მიზამ, რაცა შენთუის არ მიყოფია, და ნუ გინდი უპატიოდ. ნუ ხარ საჩემოდ ეგრე უსამართლო. ერთხელ ოდესმე მეცა ვიყავ შენებრი სანდომ-საყუარელი და ეგზომი ნაზობა არ მიქმნია და არცა ეგზომი ნებიერობა, აწ ვითა შენ ნებიერობ. სიამოვნე არ დარჩების მოყუარეთა, რა ერთმანერთისა უყამოდ ნებიერობდენ. ამპარტავნებითა თავი ცამდი გაგილია და დიდის გემობითა კულა თავი გაგიბედითეზბია. ჩემბრვე კაცი ხარ, ანგელოზისაებრ დაუკარაობა რად გინდა? თუ მზისაებრცა მალალი და ელვარე ხარ, სალამოსა ჟამსა ეგრეცა დამდაბლდები და ქუე ჩამოხუალ. მე შენისა გულისაებრ გაუვლენელსა გულსა ვჰნატრი დაუკარავს, უხანოსა და უმეცარსა მისთა გამვლენთასაცა. ეგეთისა გულისა უფალი ყოველთა ჰირთაგან მკსნელია და ყოველი კაცი ეგეთისა გულისაგან მიეცემის ჰირსა. პირად მქურეტელთაგან სანატრელ ხარ და გული აღმასსა გიგავს. მე მეჯავრების, რომელ აგეთივე მაგარი გული მიც და არ შენებრი უხანო, გამწირავი და უხენარო ვარ. თუმცა შენითა გონებითა არ ვკუდებოდე! თუ შენ შენისა სიავისა მიძბნელი ხარ და საჩემოდ ავისა სიტყუისა მიტქუმელი, მე ამა ერთისაცა მნდომი არა ვარ. მე სიყუარულსა ვჰმატებ, თუცა შენ — მტრობასა; მე ცეცხლსა ვაძლიერებ და შენ წყალსა ასხამ. რა მე დედამან ჩემმან შშობა, ჩემთანავე ჩემგან გაუწირაობაცა შობა და რა შენ დედამან შენმან გშობა, გამწირაობაცა თანადაგებდა. მე თუით ჩემსავე ბედსა თანა ჩემმანვე გულჴან მიმცა ჰირსა, რომელ უხანოისაგან ხანიერობასა ეძებდა. აწ ამით მათ ზედა, ვითა მტერთა, შურითა ვიგებ, რომელ შენთა გზათა უჴანადგომისაგან თუით აღარ სად რაა. მითცა აწ სანიშნოდ გაგიკდია, ვითა სასაგნო ასაბადი, და მუნამდის ესროდი, რომელ სიბრალული და ნანვა შენვე შეგექმნას და ეგრე სთქუა: „ვინცა ფათერაკი იყიდოს, ესე მას მართებსო“. არაშს ამისთუის აქებენ, რომელ სარავითა მარავს ისარი გამოუგდია და მას მით ჯეანგირი ჰქუიან. შენ მე წამსა ათასსა პირალმასსა ისარსა გორაბით მარავს გულსა და სულსა დამასობ. ესე სახელი ჰაბუკობისა საქებრად შენ გმართებს, არ არაშსა, რომელ ასითა ეჯითა უშორე სტყორცებ ჩემად საკლავად ისარსა და ეგრე შორით აწყენ შენთა მოყუარულთა.

რა რაიმე უწყალი და მაგარი გული გიც! ეგზომისა შენისა წყენისაგან პირი ჩემი დაგიყუითლებია და გული ჩემი დაგიწუავს.

და ამისაგან კიდევ არა მიკუთრის, რომელ შენგან ეგზომსა ქირსა და ნაღელსა მოუსუენებელად ვარ და ვერცა ეგრე გელევი. თუ რკინა არა ვარ ანუ ქვა, ამისი გაძლება საკუირველია, რასაცა შეგან ვარ. ეგრე მეტყუიან თუ: ნუ სტირ, მეტითა ტირილითა დასნეულებულ ხარ და, ვითა თმა, გაწლობილ ხარ. ეგრე მას ჰმართებს, რომელ მოყურისა ნახვისაგან იმედგარდაწყუედილი იყო! გარნა ესე არ იცი— ვითა წუიმისაგან მოვიდეს ნაყოფი, ეგრევე ჩემთა ცრემლთაგანაც მოვიდეს ჩემი მოყუარე! რა გაზაფხული მოვიდეს, წალკოტი ვარდსა მოისხამს. ნუთუ საყუარელი ჩემი მოვიდეს და მე სიცოცხლესა ჩემსა მას ვანაცვალე, და, რა მაშორვიდეს, ლხინისა ნაცულად თულთაგან მარგალიტსა ვაყრი და ოქროისა და ანთრაკისა ნაცულად თულთა და სულთა გარდავაყრი, ნუთუ ღმერთმან შემიწყალოს და ერთსა დღესა ჩემი საყუარელი ვნახო.“





მეძუიდე წიგნი ვისისი რამინს თანა

უენიერო, საგონებელო ჩემო! უგრძნელოდ წამიხუე. მიბრძანე, რა სთქუი, რა გააგე საჩემოდ, რა დაიურვე სულისა ჩემისა საქმე, რომლისა უშენოდ დაურჩომლობა იცოდდე? შენ ცხენი გააქენე და მე უცხოთა შიგან ლარიზად დამაგდე სნეული, უაქიმო. არ გაივლინე ლარიზობისა ჩემისა [საქმე], და აწ თუით ვიცი, რომელ ყოლა არ მომიგონებ, მით რომელ უზენარი და გამწირავი ხარ. არ გეწყალევი, ღმრთისაგან არ გეშინიან, შენგან დაკოდილსა წყლულსა მალამასა არ დამდებ, არ იტყუი ამას თუ—უჩემობითა დაღონებული ვით არის, რომელ გულისა სისხლისა ზუირთსა შიგან ირჩობისო? ესრე კამსა სიყუარული და ღმობიერება, რომელ უშენობითა ვკუდები და შენ არცა თუ იგრძნობ? შენ გიჩიოდე ანუ შენგან ვჩიოდე საბრალო? ვით გეტყუის გული, საყუარელო, რომელ მოყუარეთა მტერთაებრ აჭირვებდე? მე ესე ჭირად არ მეყოფოდა, რომელ წამიხუედი, კულა სხუა ჩემზედა რადლა ვინ გამოირჩიე და ცოლი შეირთე? მე ამა ჭირთა მგონებელი ვარ და შენ იგი, რომელ უჩემოდ სხუასა ცოლსა თანა იხარებ; მე იგი ვარ, რომელ აწ შენგან გაბედითებულ ვარ, და შენ იგი, რომელ აბეზარ-გიქმნივარ; აღარ იხარებ, რომელ ჩემი მიჯნური იყავ, ჩემისა ნახვისათუის ასრე გსურდა, ვითა წყაროსათუის ირემსა. აღარ იგი ვარ, რომელ შენად მხედ გიჩნდი და ამა საწუთროსა შიგან შენად ღზინად, სიხარულად და იმედად მხედვიდი; და შენ აღარ იგი ხარ, რომელ საჩემოდ მკუდარი იყავ და ვითა დანქრეული ფურცელი დამქნარ იყავ? მე არ იგი ვარ, რომელ სიციხლე მოგეცა და ბედნიერობასა შეგამეცნიერე?

აწ რად მე იგი ვარ და შენ აღარა იგი ხარ?

შენგან მტერობა არის და ჩემგან სიყუარული. რასათუის გამოირგული, რას ავის მომქმედი მცან, რომელ აბეზარ მქენ? მოვიადვილ-

და ჩემი მიჯნურობა, დაგუიწყდა ჩემი სიყუარული, აგისუბუქდა იგი ტუირით, რომელ შექირებდასა ზღუასა შიგან ჩამრჩუალ იყავ და მისი ლელვა მი-რე-მო გაგდებდა. შენ სხუა ცოლი მით შეგირთავს, რომელ მრჩვალი კაცი, რაცა მიპხუდეს, ყუელასა მოეკიდების. და ამით ესე საქმე შენგან აღარ მიკუირს. მრავალი კაცი ტაბლასა ზედა შაქრიან-თაფლიანსა ზედადააგებს და ძმრიანსა სკამს. მაშინ ლუინოსა სუმა გიამებოდა და აწ მახმურობითა ლუინო აღარ გინდა. მაგრა რა ლუინო ნახო, იგივე მოგინდების,—და მახმურისა წამალი ლუინისა კიდე აღარა არის.

სულსაებრ საყუარელია წინანდელი მოყუარე; შენ მას ზედა სხუასა ნუვის გამოირჩევე; ძუელი გზა უფათერაკოა, მას ზედა ნუ დააგდებ. თუ ახალი გყავს, შეინახე; მაგრა ძუელსა ნუ გასწირავ. გულითა სიყუარული თუალია პატიოსანი, თუალი რაზომცა ძუელი იყოს, ეგრეცა სჯობს, მით რომელ ახალსა თუალსა ფერი აღრე ექცევის და ფერნაქცევი თუალი ქეასა დაემსგავსების. ათასი მასკულავი ერთისა მზისაებრი არაა და არცა კაცისათუის ყოვლნი ასონი ერთისა თავისა ოდნად საკმარნი. ათასი მოყუარე პირველისა მოყურისა ოდნად სანდომი არაა კაცისათუის. ვითა მე შენებრსა უხანოსა ვერ ვპოვებ, ეგრევე შენ ჩემებრ ხანიერსა მოყუარესა სიყუარულიანსა. შენ შზე ხარ და მე მთუარე და ისე ორნივე ერთგან კანან ჟკუნისამდის. ნუ მინდობიხარ ამას, რომელ ეგრე მომშორებიხარ და მზისაებრ ჰნათობ. შენი სინათლე ეგრეცა ჩემგან იქმნების და რაზომცა სადა იარო, ბოლოდ ეგრეცა ჩემს გუერდითვე მოხუალ.

ჰე გულმაგარო, ადგე და წამოდი, ნულარა მაქირვებ აქათვან და ნუცალა თავსა იწყენ. რომელიცა კაცი ბოლოდ მოგინდებოდეს და დაგაკლდებოდეს, ნუ მოიმდურვებ; ნუცა ამისთუის შეათრობ, რომელ უშენობისათუის მისგან სიცოცხლე-გამწარებულობა იცოდე. თუით იგი უფრო გეწყალდებოდეს, ვინცა შენი უფრო საკუთარი იყოს. მოდი, რომელ ესრე ჰამოდ ვიყენეთ აქათვან, ვითა სულსა თანა ცნობა და თუალთა შინა სინათლე. შენი კიდევანობა მაგარი კლდე არის და შენისა ნახჭისაგან კიდე არა დაღეწს. ვერ გავსძლებ უშენობასა. აღარ ვაკენებ გარდასრულსა და ნულარცა შენ აკენებ სამიზეზოდ. არა მგამა, თუ გამწირე და სიყუარულის ხე მოჰკუეთე,—კულა გულისა შეერთებითა დაამყენ, ზედა ნაყოფი თუით დამყნილისა უკეთ გამოეხმის. სიყუარულისა ძებნა თავითგან დაიწყე და ნუ ეცრუები გულსა ჩემსა, რომელ ღმერთსა თანა ბრალად არ მოგხუდეს“.

მერვე წიგნი ვისისი რამინს თანა



აზატხულისა მტირალნო ღრუბელნო, მოდით და ტირილი ჩემგან ისწავლეთ! მაგრა თუ ერთხელ ჩემთა ცრემლთაებრ იწუიშები, ქუეყანა აოკრდების. მე ესრე ღუარი მიწყით ცრემლთა მდის და ამდ მრცხუნენია, რაზომნი მინდა, ეგზომნი არა მაქუს. მე ამა შეჭირვებისა ასისა ეგზომისა ტირილი მმართებს. მაგრა სულად დავიცილები; რა ზოგჯერ

სისხლსა ვიდენდე და ზოგჯერ წყალსა, რა ესე ორნივე აღარ მქონდეს, სხუით რაითა ვიჭირვოდე თუალთა ამოყრისაგან კიდე, რომელ თუალნი თუით შენისა ნახვისათუის მინდა, ენა შენისა მოუბრობისათუის და ყურნი შენთა სიტყუათა სმენისათუის. რათგან ესე ერთიცა არა მაქუს, რასაცა რას კელსა ვჰკედი, ანუ თუით სიცოცხლესა ტირილიმცა რად მეჭირვებოდა? ეგების, რომელ ქუეყანა ზღუად შეეკმნა. ვიკუნესებ, რომელ ქვა დავფშუნიტო. მადლიერ ვარ ჩემთა ცრემლთაგან, რომელ მიჭირვებულსა არ გამწირვენ, არ თმობისაებრ წამსლვიან, არ გულისაებრ დამმესისხლებიან. ესე—თისა ჟამისათუის უნდა მოყუარენი კაცსა, თუცა მე ყუელსაგან აბეზარ-ქმნილ ვარ; თუ ჩემი თმობაა, იგი არაა ერთკეცი, და თუ ბეღია,— ჩემი არცა იგია,— მე თუით მან მომკლა. ჩემი გული ფათერაკსა დაპყრობილა და თმობასა მისთუის შეუთუალავს თუ: მე სამოთხისა შტო ვარ, შენ ჯოჯოხეთსა რად დაენერგო? გულო, შენ ჯოჯოხეთსა ჰგავ, ცეცხლითა და კუამლითა საგსესა, მე შენგან მით ესრე ფიცხლად გაქცეულ ვარ. გულო, შენ სიცოცხლე მოგიძლევებია, მე უთმობლობისაგან რად მაჩივლებ? ყოველსა ჟამსა თმობა სახელია, მაგრა ესრე მიჯნურობისაგან მიჭირვებულისათუის დათმობა აუგი უფროა. ვითა არა მაქუს ღონე თმობისა, ეგრე არცა ვეცდები და არცა მწადიან. მიმიშუით, რომელ უთმობლობასა შიგან მოგკუდე.

ჰე ლხინო, შენ ჩემგან წარსრულ ხარ, ჩემგან უშენოდ თმობა რასა ჰქუიან ანუ რა სახელია? მე უშენოდ გაძლება მაქუს. მაშ უნახობა და გამწირაობა ჩემგან იქმნების. მე შენდა მიახლებია სული და თავი, და შენ იცი და შენმან ღმერთმან, რაცა გწადიან, იგიცა ქმენ სამათოდ. მას მიჯნურსა, რომელსაცა ვინ უყუარდეს, ათასი სული და სიცოცხლე არა უჩს. და სიყუარული კაცისა ესრე კამს და მიჯნურობისა დაწყება, ჩემი ჰირი შენი ჯავრისაგან იმატებდეს, სიბრაალული კამს, არ შურობა. რა დია სანატრელად მიჩს იგი ჟანი, ოდესცა ერთგან ვიყვენეთ და ვიხარებდეთ, სიხარულისა ჩემისა ბედსა ელუიძოს და მტერთა ჩემთა იმედი დაუმტრდეს! საწუთროისა კელი ნიადაგ ესე არის, რომელ სიამოვნესა მტერობისა კრმლითა გაპკუეთს. რა ანაზღად მოეშორა თულთაგან სინათლე, მუნითგან ჩემნი თულნი სისხლსა ტირან, კუნესა ლხინად მაქუს და შექირვება გულსა დამმკუიდრებია. ჩემისა ტირილისა და კუნესისაგან ჩუენვე დაგიწუავთ. გუილხინე სულდაღებულობითა. მიჯნური გუინახვან ქუეყანასა შიგან, მაგრა ჩემებრ დაქირვებული საბრალო და თავისა მოუსუენებელი არაეინა. მე რად მოუსუენო თავსა, რათგან მოყუარემან ტურფამან ესრე გამწირა, რომელ მარტო დამაგდო საბრალოდ, ვითა მინდორსა შიგან მეცხოვრეთა ცეცხლი? აღარ მომივლო მე აქა, მარტო უპატროდ დამაგდო, ვითა მოქარავენნი ფუნდუქსა დააგდებენ; არ მაყოფინა დაგდება და წასლევა, ცოლი შეერთო და მე გამწირა.

აწ თუ ვკუნესოდე, მართალ ვარ, რათგან ესე წამეკიდა მოყუარისა საიმედოსაგან. ზენარობით გული შემოგუედრე და შენგან უზენარობისაგან კიდე არა მინახავს. თუით გულმან ვით მოგუცა ჩემი ეგზომი წყენა და მიქირვება? ამა ჩემსა ძიძასა არ ჩემსა დედასავით უყუარდი? არ ყოველსა ქუეყანასა შენზედა ჰხედვიდა? არა შენი ნაკუთი უჩდა საროდ? არ შენითა მხიარულობდა? არა შენი ნახვა უჩნდა იმედად და ღონედ? იგიცა გააბედითე ჩემითა მიზეზითა. შუენიერო, თუით ესე საყუედური გეყოფის ყუელასაგან საცოდნელად, რომელ სახელი ავკაცობისა გერქუას. რასა ვინ იტყუის, ვინც ესე ჩუენი წიგნი წაიკითხოს და ამისგან ჩუენი საქმე ცნას? არ ამას იტყუიან, თუ ეგზომ კარგი და გაუწირავი იყო, რომელ მან ეგზომი სიყუარული ძებნა უხანოისა კაცისაგანო? და შენსა ულონიოდ ამას იტყუიან, თუ ეგზომი ავი კაცია და ავისა მომქმედი, რომელ მისთვის შემკუდარი და მისი საკუთარი ესრე გაწირაო.

ესე წიგნი გამისრულებია, თუცა ჩემისა საჩივრისა არცა ნაასალა მითქუამს. საწუთროსაგან დიადი საჩივარი მიც, რომელ ათასი-

საგან ერთსაცა ვერ ვიტყუი,—ჩემსა საჩივარსა ბოლო არ მოედების და ამის საუბრისაგან ნება ჩემი არ გასრულდების. ვირემდისიცა შენ გეუბნები, ცუდი სიმაშურალე მომხუდების. წაეალ, მას შევეხუეწები, რომელ თუით ჰხედავს, მივალ მისისა დარბაზისა კარსა, რომელსა არცა ეჯიბი უნდა და არცა შეკარე, სინათლესა მისგან ვითხოვ, არა შენგან, და ლხინსა მისგან ვეძებ, არ შენგან. იგი კარი, რომელ მან დამიკმა, მანვე გამიღოს. ყუელასაგან იმედსა გარდავიწყუედ და მისგან არა, მით რომელ მისგან კიდე ჩემი ღონე არ არისო“.



მეტსრე წიგნი ვისისი რამინს თანა

ული ცეცხლითა საესე მაქუს და სული კუამლითა, ტანი თმისაებრ დამწულარი და პირი ოქროსაებრ შეღებული. ყოველთა ღამეთა ღმერთსა წინაშე პირსა მიწასა ზედა დაესდებ და ეგრე ჩემითა საქმითა ვჩივი, ზახილი ჩემი ცამდის გავა, კუნესა ჩემი მასკულავთა მიესმის. ეტირ, ვითა გაზაფხულისა ღრუბელი, ვყივი, ვითა კლდისა კაკაბი; ცრემლი-

თა ჩამოვპრცხი ღამისა სიბნელესა; მიწასა დავათიკებ თევზისა ზურგამდის, რომელსა ზედა ქუეყანა დგას, და ეშფოთებ, ვითა ზღუა ქარისაგან; ვთართი, ვითა ტირიფი ნიავისაგან. ეგზომსა სულვთქუამ მტკიენისა გულისაგან, რომელ გზასა დაჰკარგავს ცასა ზედა მთუარე ჩემითა სიბრალულითა; ეგზომა კუამლი ამოვა დაღრეჯილისა გულისა ჩემისაგან, რომელ მით მთამდის ბნელი კუამლი და ღრუბელი დადგების.

ესე უპატოო შეფრობილი, ბედითი, შემჭირნე, თუალცრემლიანი და პირდაყუითლებული, ბაგე-დამტუერული და დაღონებული ვეჩენები და ვიტყუი: ჰე დამბადებელო, დაუსაბამოო, მოწყალეო, ნებიერო, მალალო და მდაბალო! შენ ხარ უღონოთა ღონე, შენ ხარ გლახაკთა და ქირვეულთა მწე და მარგებელი! ჩემსა ხუაშიაღდა შენგან კიდე ვერავის თანაშევიწამებ. შენთუის შემოზუეწილ ვარ,—იცი, თუ ვით დაშკირებია, იცი, თუ ვით ენა დაბმულ ვარ. შენ გკადრებ და შენგან ვეძებ ღმინსა. შენ დაკსენ სული ჩემი ქირისაგან, შენ აილე კიდეგანობისა ბორკილი გულისა ჩემისაგან. მის გულ-მაგარისა გული მოაქციე სიყუარულისათუის; მოაგონე მას წინანდელი ჩემი სიყუარული, მოალმობიერე საჩემოდ. მე რომელ მჭირს, ამისთანა ერთი ტუირთი მას მიეც, რომელ თუითოსა მთისა უმძიმეა. ანუ იგი ამა საქმითა აქა მოიყვანე, ანუ შენითა მოწყალეობითა მე მუნ მიმიყვანე. დაკსენ ჩუენ შუა უხანობისა გზა, შეჭირვებისა გზა თუით მა-

შინ შეიკურის, რა იგი ვნახო. შენ დაიცევ, ღმერთო, იგი ყოველთა ფათერაკთაგან და ჩემისა მიჯნურობისაგან კიდე ქირსა ნურას მისცემ, საწყინოსა მას ნურას გამოაცდევ და თუ მე მას ველარაოდეს მიჩვენებ, მე აქამდისცა სიცოცხლე შეყო უმისოდ. აწე ღღენი ჩემნი მას შეჰმატენ: სიშორესა შინა მე უსულო ვჯობ და იგი ორითა სულთა.

ჩემო სასურველო. ვირემდის მოვსთქუმიდე, ვირემდის ვკუნენსოდე საბრალოდ, ვირემდის ვტიროდე? ველარ გავსძლებ, ველარ ვწერ წიგნსა. მე დაულეველნი მიც სათქმელი შენთანა, მაგრა რაზომცა ვაგრძელებდე. ველარასეინ მაბრალობს, მით რომელ გულ-დამწუარი ვარ შენგან. თუ შენი ნაქმარი კლდეთა შესჩივლო, ჩემებრვე ტირილსა დაიწყებენ და ქვათა შევეწყალები და შენსა გულსა არ ვეწყალები. ქვათაცა უფროსი ღმობიერება აქუს შენისა გულისაგან.

ესეთი გლახ ჩემი საბრალო გული ამით ჰგუანდა ქვასა, რომელ შენისა გულისა სიმაგრემან დალეწა. ესე სალამსა მოაკსენებს მას, კარგ-ნაკუთსა, რომელსა გული ბასრისა უც, სალამსა მოაკსენებს მათ იავუნდთა, რომელთა ოცდათორმეტი მარცუალი მარგალიტი დაუმული აქუს; სალამსა მოაკსენებს მათ ნარგისთა, რომელთაგან მიწყით ძილ-მკრთალი ვარ, სალამსა მოაკსენებს მას ხესა კუიბაროზსა, რომელსა ჩემისა დათმობისა სახელი აუოკრებია; სალამსა მოაკსენებს მას გავესებულსა მთუარესა, რომელსა ჩემისა ბედისა მთუარე დაუნელებია; სალამსა მოაკსენებს მას ნაყოფიანსა ხესა, რომელსა ჩემისა ბედისა შტო გაუკმია; სალამსა მოაკსენებს მას ვარდსა მოცინარესა, რომლისაგან მე ნიადაგ მტირალი და თუალ-ცრენლიანი ვარ; სალამსა მოაკსენებს მას მორკმულსა კელმწიფესა, უსამართლოთა მოქმედსა მზესა; სალამსა მოაკსენებს ცხენოსანთა გუირგუინსა და გმირთა სიქადულსა; სალამსა მოაკსენებს ზღუისა ქუიშათა, ცისა წუიშათა და ყოვლისა სოფლისა ნივთთა უმრავლესსა. და შენ მოაკსენე: თუცა ჩემი გამწირავია—ჩემსა გულსა, ჩემისა საბრალოისა და მისგან დაღრეჯილისა გულისაგან ეგზომი სალამი, სურვილი და თაყუანისცემა. და შენ ღმერთმან საჩემოისა სიყუარულისა გული მოგცეს და მე—შენი ნახვა ჩუელისაებრვე ჩემისა მოყუარულისა*.



პეათე წიგნი ვისისი რამინს თანა

ისმან კულაცა უბრძანა მწიგნობარსა რამინს თანა წიგნისა დაწერა. აგრევე საბრალოისა მისისა მიჭირებულობისაებრ მწიგნობარმან დაწერა წიგნი. თუით გონება-უკლები და ენა-კეთილი იყო და რაცა იმისი მეცნიერება იყო, ყუელა მოიკმარა და დალია.

მერმე ვისმან წიგნი თმათა და პირსა მოისუა და ესრე გაასურნელა, რომელ ნახევარდლისა სავალსა მუშკისა სული მის წიგნისაგან კაცსა ეცემოდა. მერმე უკმო აღინა და ავრე უბრძანა:

„აღინა, შენ ჩემგან სჯულისაებრ საყუარელი ხარ. აქანამდის ჩემი მსახური და ყმა ყოფილ ხარ, მაგრა ახლა საყუარელი ძმა იქმნები ჩემი და ჩემსა თავსა თანა გასწორებულნი, რომელ ერთ-სულ და ერთ-კორც ვიყვნეთ. რამინს წინაშე წასლვა შენ გინდა, რომელი ჩემგან ჩემთა სულთა უსარჩევნია და უფრო მიუცილვებელია. ზენაარი ვარ შენზედა, რომელ არ დაიყოვნო, ელვისაებრ მალე წახუიდე,—მე მიჭირებული გლახ ვარ,—ესე ჩემი წიგნი მიართუა და ჩემი შეთულილობა დაუკლებლად მოაკსენო, სისწრაფესა მოიჭირვო. მე აქათგან შენი მომლოდნე ვარ. ყოველთა დღეთა და წამთა შენისა მოსლვისა ჟამისა მთულავი. ესრე ვითამე იქმენ, რომელ სულიერმან კაცმან არავინ განახოს. ჩემაგიერ ცისა მასკულავთა და ზღუისა ქუიშათა და ყოვლისა ღმრთისა დაბადებულისაგან უფროსი სურვილი, ნახვის ნატრა და სალამი მოაკსენე ჩემისა გულისა წამლებსა რამინსა და ეგრე მოაკსენე:

„ჰე არამო, არამო! სიარმითა ბედითო, ზენაარისა გამტეხელო, უღმრთოო და ცრუო! მე შენ ავისა მოქმედისაგან ეგზომნი ჰირნი

გარდამიკდიან, რომელ ათასჯერ სიკუდილი დამნატრებია და სულ-
თა შერჩენა არაფე მგონებია. რად დაგუიწყუდა ეგზომი ფიცი, ჩემ-
თანა რომელ გარდაგიკდია და, ზენაარ, განალა რომელ სათულავი
არ მოიგონების, რაზომჯერ შენ ჩემთვის შემოგიფიციავს? შენი ფიცი
და ქარი სწორეა, შენი ზენაარი და ღრუბელი სწორად მდგომ ხა-
ნიერია. უხანობითა ამას ჩემსა გლახ საბრალოსა გულსა, შენგა-
ნვე უქკუოსა, იგი უყავ, რომელ მტერი მტერსა არ უზამს.
რაცა ჩემთვის გიყოფია, მონაცუალე ღმერთი იყო. მაგრა ჩემთვის
ოდენ ავის მოქმედობა ნუ გგონია. ღმერთმან იცის, რომელ სათა-
ვისოდ კულა უფრო გიყოფია, საარაკოდ და მისახედავად გასრულ
ხარ. ოდითგან შენ მაგა საქმესა შიგან ხარ, მუნითგან ჩუენად
შედეგადცა ამასვე დასწერენ წიგნთა შიგან შენთვის თუ: ძელი
მოყუარე გაწირა, ფიცი გატეხა და მტერი დაიმოყურაო. ასპიტისა-
ებრი ზარი მოსაკლავი მით მეცა შენგან გულსა, რომელ სხუა კაცი
ირჩიე ჩემსა და ცოლი შეირთე. ჩემებრსა უკლებსა მოყუარესა სადა
პპოებ, ანუ მშობლურებ ღმობიერსა მოაბადისებრ კელმწიფესა, სია-
მოვნითა ხორასანისაებრსა ქუეყანასა და სიმაგრითა მარავისაებრსა
ქალაქსა? დაგუიწყუდა ეგზომი კარგი და ჩემგან რომელ მოაბადს წინა-
შე ყოველი საწადელი ავისრულდა? მოაბად სახელად ოდენ იყო
კელმწიფე,—სხუა ყუელა შენი იყო. საქურკლეთა მისთა ზედა კელი
მე მქონდა და შიგან რაცა კარგი იდებ, ყუელა შენი იყო. ცხენთა
უკეთესთა, რაგუარნიცა გწადდეს, არავინ გიპატიმრებდა და თუითო-
ფერსა აკაზმულობასა. აგრევე სანადირონი ავაზანი, ქორნი და ძაღლ-
ნი შენსა ბრძანებასა ქუეშე იყვნინ და ლაშქარნი განალამცა.
საკელმწიფოთა. სარტყელთა ირტყმევი, თუ ოქრო-ქსოვილი
ჩინური არ იყვის,—ტანსა არ ჩაიმოსი. შენნი მსახურნი მთუარეთა-
ებრ შეენვარენნი დაკაზმულნი წინა გიდგიან და შენსა გუერდით
მწოლი, თულ-მარგალიტიანსა ოქროისა ტაბტსა ზედა პირმზე შენი
გულ-გაუყოფელი ვისი იყვის. ესეთი ადგილი, ესეთი ყოფნა და ესეთი
მოყუარე დაავდე, სანატრელი და სანდომი ყოვლისა კორციელისა-
გან! ვინ ქმნას ეგე გონებისა უფალმან, რომელ შენ თავს უყავ? არ
ვიცი თუ ეგზომისა ნაცულად რა სარგებელი მოგხუდა. სარგებელი
ვერა ჰქენ, სათაენო გაანქრიე, აწ უსარგებლო—უსათაენო ბედითად
დარჩომილ ხარ. შენითა კაცობითა ათასი საქურკლე თუალითა პა-
ტიოსნითა სავსე წაგელო და აწ დანგსა ერთსაცა ათასითა ჭირითა
ექებ. აზომ უმეცარი ხარ, რომელ ყოვლისა კაცისაგან ცარიელი დარ-
ჩომილ ხარ და არცა ესე იცი, თუ ნაცული რა გაქუს. ესრე მოუ-
ცებია ღმერთსა, ვითა ამოზიდულისა წმიდისა ოქროისა ნაცულად,

ტყუია მყრალი და სპილენძი. მიკურს, თუ ცნობანი გაქუანდა, სა-
თავისოდ რად ჰქმენ ეგე? ეგეთისა ვარდისათუის, რომელ დიდხან
შენთანა ვერაა, მისთუის ესე ყუელაი ვით დაივიწყე? ერთი ვარდი
რად გამოირჩიე ერთსა წალკოტსა, უეკლოითა ვარდითა, ნათლითა
საესესა?"

რა აღინა მოციქულობა მოისმინა, წიგნი აილო და გაესალამა.
მაშინვე ჯოგი მოასხმევიანა; გამოირჩიენნა მსუქანნი, მალე-მორ-
ბედნი, საკედრად კარგნი, მინდოროთა შიგან თხათაებრ მალენი და
ქვიანთა შიგან არნთაებრ მავალნი, წყალთა შიგან თევზთაებრ მტუ-
რავნი. კაცნი თანამყოლნი მალენი და დაუშრომელნი წაიტანნა, წა-
ვიდა და არ გამოისუენა არცა ერთი წამი. ესრე ფიცხლა იარა,
რომელ ორკუირა მარავეთ გორაბს მივიდა.

რა გულისა-წამლებელმან ვისმან აღინა გაგზავნა, გულითა დამ-
წურითა ესრეთ საბრალოდ მოსთქუმიდა, რომელ ვინცა მას მოის-
მენდა, თუ ასიცა გული ედვა, ეგრეცა უგულო დარჩებოდა. ეგრე
იტყოდა:

„სადა წარვიდა იგი ჩემი სუიანი საწუთრო, სად დამემალა იგი
მზე, რომელ მიწყით მიახლის, მით არლარა მინახავს, რომელ მზემან
და მთუარემან გამწირა. რათგან დღესა მზითა აქუს სინათლე და
ლამესა მთუარითა, მე განალამცა ავად ვიყო, თუით მით ვკუნესი და
დაუსუსურებულ ვარ, რომელ ღამისა სიბნელე არაოდეს გამითენდე-
ბის. მით ვადენ ზღუასა დაბნელებულთა თუალთაგან, რომელ გამ-
წირა თუალთა ჩემთა ჩენამან და გულისა სიხარულმან. ავი მით არა-
ვისთუის მექმნა, რომელმცა ავი არ წამკიდებოდა. აწ ბედმან ჩემმან
რად მიმცა ესეთსა ყოფნასა, რომელ ვითამცა წამსა და წამსა
თუითო ქარაგანი მომივიდოდა, დაშნისა დამცემი. მეშინიან, რო-
მელ ქირთაგან ავსებულობითა ნუ თუ გამეპოს გული, რათგან ბროწე-
ული სისავსითა დაიპობის. ეგზომთა ქირთა დაპყრობილსა გულსა
არცა ღბინისა ნიავეი შეუვა, არცა სინათლისა მზე. მიწყით ღრუბ-
ლიანია და ნამიანობასა ვერ გასძლებს. და მე ამისგან მოსუენება
არა მაქუს. ჩემსა მიჯნურობასა მწიგნობრობა უსწავლია, მით ამა
გაყუითლებულსა პირსა ზედა სისხლითა სწერს მისთა ქირთა და პა-
ტიყთა სიმრაველსა. რა ეტლია, რომელ ესრე გააქროს ფერადობა,
რა ბედია ესე თმობა-უქონლობა?! მიჯნურობამან გულსა ცეცხლი
ჩამიგზნა და გული გულისა-ნადებითურთ დამიწუა. გებრალეობდეთ
მსმენელნო ჩემისა ამბისანო, დამკირვებია და მით ვიზახი ურიდოდ!
რა საქმე საზოგნსა გარდაჰკედეს, ღონე ფარვისა არაა. თუ ჩემსა გულ-
სა უმეცრობითა წაეკიდა ეგზომი დიდი საქმე, მაშა რად ყოვლისა

კაცისაგან მე ვარ შესაბრალებელი? სადა მპოვა ესრედ უსაზომოდ სიყუარულმან, რომელ ტანისა ჩემისაგან სიყმე, სიხარული და სული წამიღო? თუ ჩემზედა დაკლებულა მიჯნურობისა ქმნა, თუით ესე დალი მეყოფის. კიდევანობისა მეტი არავისგან გარდამეკდევის, რომელ, ვირე ცოცხალ ვარ, სულსა მაჩნია. სადა ხარ ჩემო ისრისებრ მართალო! მნახე შენისა სურვილითა მშუილდისაებრ გამრუდებული! რა სიშორე შენი და ჩემზედა ქნანი მოვიგონნე, გული დამენასკუის. მე იგი აღარა ვარ, რომელ შენ გინახავ; ვინცა მნახავს, ველარ მიცნობს, და შენ ჯერეთცა არა გეწყალები. ვირემდინ ვიცემ პირსა, ვირემდინცა არა დაეაისფრებ ბროწეულისა ყუავილსა. ვკუნესი ყოველსა წამსა, ვითა ჩანგისა მუტრიბი. გული ჩემი მტერია და ნიადაგ მტრისა სიახლე ვით გაეძლო? ამევესო გული ცეცხლითა! კუნესოდე სულო, რათგან ამისი ღირსი ხარ და ამასევე სოფელსა ნახე ჯოჯოხეთი. ასრე თურეა ნება ღმრთისა, რომელ მე მიწყით ვკუნესოდე და შენ იწუოდე. რა სიამე აქუს ესეთსა ყოფნასა, რომელ ცრემლთაგან მიწყით წყალსა შიგან ვიყო და შენ ცეცხლსა? საწუთროსა ზღუად შევიქმ თუალთა ჩემთაგან, ხომალდსა შევალ და თევზთა თანა ვერევი; სისხლიანსა ტანისამოსსა ჩემსა აფრად გამოვბამ და ჩემისა სულთქნისა ქართა ვაარებ; ნავისა აფრა, ზღუა და ქარი რა ყუელა ჩემგან იყოს, შიში რად მინდა? ჩემსა საგონებელსა თანა გამიგზავნია წიგნი, გულის სისხლითა დაწერილი და სისხლიანსა ტანისამოსსა შიგან წახუეული. ნეტარ წარიკითხავსცა ანუ არა? ნეტარ შეიგებესცა ჩემისა გულის-ნადებსა ანუ არა!? ნეტარ შევებრალებიცა, პასუხსა მომწერსცა, იმედსა დამიდებსცა და გულსა დამიამებსცა? აჰა, რა ექმნა? მიჯნურსა ამის უარესი რა დაემართების, რომელ დღე და ღამე წიგნისა ოდენ მოლოდნა ჰქონდეს ღზინად! და მე არცა ამას ვეკუ ჩემისა გამწირავისაგან. აჰა, წამივიდა ნაზობისა და სიამისა ჟამი, რომელ ვნებიერობდი და ვნაზობდი! მოყუარემან აწ ჩემი საქმე გაასრულა, ასე რომელ წიგნი ღზინად მჩის, და, თუ ოდეს ვიძინო, სიზმრიე ნახვა—სიხარულად. ვაი იგი ჟამი მიჯნურისათვის, რომელ ოდესცა მოყურისა საუბარი წიგნსა ზედა მიიყაროს და ნახვა სიზმარსა! მე ამითცა უსაბრალოე ვარ სხუათა ყოველთა მიჯნურთაგან, რომელ შენისა გონებისაგან არა მაქუს ძილი. თუმცა მეზმანე, თუარა წიგნსა უსამართლოდ ჩემისა გაწირვა აბეზარ-ქმნილობისათვის აღარ მოველი. ჰე, ზენაარ საწუთროო! რად დავრჩი ესრე, რომელ ეგეთისა ნებიერობისაგან ესეთი უნებლობა მოყურისაგან დამემართა და ამპარტავენობისა ნაცულად სიმდაბლე? ყოვლისა გაუეღენელობისა ნაცულად და სიყმისა სიხარულისა სანაცუ-

ლოდ რად დამემართა ესრეთ უთმინო მიჯნურობა? რად არ ასპიტისა გუეღისა ზარი შევესუი? რად არ ნადირთა სამე მივეცი შესაქმელად? თუცა ესრეთი ყოფნა და გულსა ზედა კელის-უქონლობა დამემართებოდა, რად არ მასვე კარგსა ყოფნასა შიგან მყოფი მოვკუდი?! სიხარულისა ჟამსა სიკუდილი უამეა ბოლოდ ესეთისა უპატიოებისა მონახვასა. ვაი საწუთროო! შენი კელი მიწყით ეს არის, რომელ უგულოთა კირსა უმატებ. თუისსა და შენსა სიამოვნესამით გააბედიტებ, რომელ მოყუარეთა გაჰყრი, არ გაუსრულდები და უიმედო ჰყოფ. იგი ღრუბელი, რომელ უგულოთა ზედა სწუიშს, ქვათაცა ზედა იგივე დასწუიშს. ქარი, რომელ ნიადავია, იგი კაცთა ვარდისა სუნსა ზოართუამს, მაგრა მე მოყუარისა სუნსა არაოდეს მომართუამს. ეგზომ დიდი ავი არა მიქმნია, რომელ ქარნი და ღრუბელნიცა მე მემტერებიან; რომლისა ღრუბლისაგან მაისური წუიმა მას ზედა მივა, მე იგი არცა თუ სატირლად მწუიშს. აწ ქუეყანა მხიარულია და ხენი ალყუაედებიან, მიწა მრავალფერითა ყუაეილითა და მდელოითა შემოსილია, მაგრა ჩემი ყუაეილი და ლხინი ჩემგან მოშორებულა, ვითა სიციცხლისა იმედი. მე აწ მიწაცა მსჯობს: მისი გაზაფხული და შუენება მოსრულა და ჩემი არლარა“.

ესეგუარსა რასმე მოსტქუმიდის და მიწყით სტიროდის.



რამინისაგან ვისის მოგონება

ა რამინ ხანი დაჰყო გულსა თანა, მისებურად გაძლა, მოახლეობითა მისითა მოეწყინა, მისებური უხანობა მოუხდა. რა გაძლა და დაითრო, მათისა სიხარულისა ვარდიცა დაჰქნა; მათისა სიყუარულისა ქარი დადგა, მათი ნაფი — უტაროსობითა. რა სიყუარულისა მათისა მშუილდი გატყდა, მიჯნურობისა მათისა ისარიცა დაილეწა; მათისა სიხარულისა შესამოსელსა აღმასიცა დაუძუელდა, მათისა სიამოვნისა წყარო დაშრა. რამინის გორაბს ყოფნა ამას ჰგუანდა, რომელ კოკა რა ახალ იყოს, წყალსა კარგად დაიკირავს; რამინის მიჯნურობა ხარბსა კაცსა ჰგუანდა, გ უ ლ ი ს ა გ ა ნ ლუინო მხიარულად და კარგად სუა. ვირე ფხიზელი იყო, უნდოდა, მერმე სიმთრვალითა მისი სიყუარული წავიდა. რა კაცსა ლუინო ზადსა შეაყოლებს, თუ უკუდავებაცა არის, ადრე აღარ მოუნდების. აგრევე რამინ ცოტად გარემადლარ იყო გ უ ლ ი ს ა მოახლეობითა. არცალა ადრითგან ვისი ენახა რ მისი რამე გონება რ მოახლეობა კულა საგონებელად შეექმნა.

გაზაფხულისა პირსა ველსა თამაშად გავიდა და ნახა ახალ ამოსული ყუავილი მრავალფერი; მიწა, ხენი, ველი და წალკოტნი ყუელა აყუაებულ იყო და დაშუენებულ იყო. ერთსა ვისმე კაცსა, მას წინაშე მყოფსა, იისა კონა ჰქონდა კელთა და რამინს მოაკსენა. რამინ რა ისი კონა ნახა, იგი დღე მოეგონა, რომელ ორგუართა ფიცითა შეეფიცა ვისისდა უცრუებლობა, ოდეს შაჰინშას ტახტსა ზედა სხდეს, და პირველისა ფიცისა შედეგად ვისი იისა კონა მისცა და ეგრე უთხრა: „ეს ჩემგან ნიშნად დაისწავლე, სადაცა ახალსა იასა ნახვიდე, ამა დღესა და ფიცსა მოიგონებდი! ასრე ლურჯი და თავჩამოგდებული ხარ და დღემოკლე, თუ ჩემი ფიცი გასტეხო და მეცროოცა; და მე ნიშნად ვარდსა დავისწაველი, რომელ აგრემცა დღემოკლე ვარ და ღმრთისაგან აბეზარ-მქნილი, ოდესცა შენი ფიცი გავტეხო!“

რამინს იგი ჟამი და დღე მოეგონა, ასრე გაკდა, რომელ სა-
წუთრო დაუბნელდა. გაზაფხულისა ღრუბელი შავია და ეგზომსა
აწუიძებს, რომელ ლუართა აღენს; აგრევე მას, რა გული დაუბნელ-
და, ეგზომი თუალთაგან ცრემლი იდინა, რომელ ახალნი ზღუანი
დააყენნა. რა მოეგონენს პირველ მისგან ვისისათუის ქირ-გადაკდი-
ლობანი, ვისისგან მისი სიყუარული და მის ჟამისა გულ-გაუტეხლო-
ბა მისთუის და რამინისაგან მის ფიცისა გატეხა, ეგრე თქუა: „რა
მიქმნია! ღმერთი, სჯული, ფიცი და სული ყუელა გამიწირავს ვისის
გაყრითა!“

კულა გაუძნელდა მიჯნურობა და გაუახლდა სამისო სიყუარუ-
ლი. რა მზე ღრუბლისაგან გამოვიდეს, სიციხე მაშინ უფრო აქუს,
ეგრევე რამინს გაუახლდა სიყუარული. პირველისაგანცა უფროსი
მიჯნურობა მოერია. თავი ემრუდებოდა და მოყუარე ეზენარიაწებო-
და, სიყუარულისა გაახლებულობა და მოსურვებულობა ჰრეედა, სია-
რულისა ძალი არა ჰქონდა, ფერი ჰკრთებოდა. გზასა გარდაუქცია,
ლაშქარნი დაყარნა, მარტოდ გარდაჰკდა ცხენსა გულ-გაჭეხილი
და ფერ-მკრთალი. თუალად სისხლისა ცრემლსა აღენდა, მოსურვებუ-
ლობითა და ნახვის მონდომილობითა, ვითა ცხროიანი თრთოდა და
იწუებოდა; სწყევდა საწუთროსა და თავისა გულსა, რომელ ამათგან
გამოსუენება არაოდეს ჰქონდა.

„ზოგჯერ თავისა ქუეყანასა მიჯნურობა დამანეულღებს, ზოგ-
ჯერ ამხანაგთაგან მომაშორებს, მოყუარესა შემაცოდებინებს და
უმოყუაროდ გამჰკდის; ზოგჯერ სიშორე არად მომეფარებს, გამახე-
ლებს და მატირებს. ჰე გულო საწყალო და დაბნელებულო! ვირემდინ
ულონო მთრვალსა ჰგავ, ქირსა და ლხინსა კიდის-კიდე ვერ გამოარ-
ჩევ. შენ ზღუა და კმელი სწორად გიჩს, ზაფხული და ზამთარი
ერთი გგონია. თუ სტავერასა ზედა სჯდე და თუ მიწასა, სირეგუნ-
თა ყუელა სწორად მოგეწონების; რასაცა ჰნახავ, სისუბუქითა ყუე-
ლა სწორად მოგინდების, ერთსა საქმესა ზედა არ დაიდგამ. უმეც-
რობითა მრავალფერად იქცევი. ქუეყანისა ფათერაკისა საარაკო ხარ
და ლაშქართა ქირისა სადარნო აღგილი, ფათერაკისა სადგომი ხარ
და ამით ყოვლისა იმედისა კარი დაკშულა შენთუის. გორაბს მოხუე,
ფიცი და ზენაარი გასტეხე, შემაჯერე ვისის დაკსნა და ვერ დაეკ-
სენ. რეგუნე მე ვარ, რომელ შენითა ქართა ზღუასა შევედ; ეგრე
მიტხარ, ცოლი შეირთე და ვისი გაწირე, ჩემგან ნუ გეშინიან, სი-
შორესა ველევი და აღარ მინდა, დათმობისა ქირსა მოვიქირვებო.
აჰა შენითა იმედითა სულთაგან მოგსწყდი, მისად ნაცულად სხუა
ვძებნე, ფიცი გავტეხე და უხანობისაგან უიმედო გავკე. აწ ზღუა-

შიგან მრჩული დაგიდგია და კიდევანობისა ცეცხლსა ზედა და-
გისუამ. შენ იტყობდი თუ „დამთმო ვიქნები“, მაშა აწ უთმინობამან
რად გაგახელა? ეინანი, რად მოგისმინე, რად მოგეც სადავე კელ-
თა, რად მოვენდევ შენსა მეცნიერობასა, რომელ თავიცა და შენცა-
უპატიოდ გაგკადინე? და აწ ვჰხედავ, რომელ უფრო შემბმულ ხარ
ქირსა. გულო, შენ უმეტარისა ფრინველისაებრ მარცხალი ჰპოე და
მახე ველარა გაიცადე. გულო, სელისა და მოყურისა ზენაარი გასტე-
ხე და ჩემთა მტერთა წადილისაებრ გამკადე. რად მოვლათლდი, რად
მოვისმინე შენი სათქუმელი? კამს, რომელ ესრე ვიჭირვოდე,—ქირი
ქირვეულთაა, რეგუენი ქირისა ღირსია. მე მმართებს ესრე დაღრე-
ჯილობა, რათგან გულისა სანთელი თავისა კელითა დამივსია; მე
მმართებს ესრე გაბედითობულსა სიხელე, ვინათგან ჩემისა სიხარუ-
ლისა შტო თავისა კელითა მომიკუეთია, თავისითა კელითა თავი-
სათუის ორმო მითხრია და ჩემისა ლხენისა იმედი შიგან ჩამიგდია.
აწ მე რალა ვქმნა, რალა შენდობა ვითხოვო ჩემთა სულთა წამღებე-
ლისაგან? მისგანვე დადალული გული ვითალა უჩუენო, რომლითა
სირცხულითა მივჰმართო, რა საუბარი მოვიგონო, რა მიზეზი მოვი-
ლო მისისა გაყრისა, ანუ სულდგმული ვითა ვეცრუო? თუცა აწ
უსირცხვილობითა ჩემითა ავჰკდები ამას და გაყინულსა სიყუარულსა
კულა გავაკურვებ, მაგრა არა მაქუს თმობისა ღონე, აღარა ვარ
გულსა ზედა პატიოსანი, რომლისაგან ეგზომნი ქირნი გარდამსლვიან
და ჯერეთცა აჰასეე შიგან ვარ. საკურველი რამე და ბოლო-შეუქ-
მარი, ეტლი, დღე და ჟამი თურე იყო, ოდეს გავმიჯნურდი და სი-
ყუარული ჩამედვა გულსა და თავისითა კელითა ჩემისა სიყმისა სი-
ხარული თუით მოვკალ. ჰაი, ჰაი, ოდითგან ჩემნი ქირნი, ოდითგან
დამიძაბუნა მიჯნურობამან! აჰა, ვიცე, რომელ წესია მიჯნურთა ძა-
ბუნობა, მაგრა რად ყუელასა მეტი ჩემზედა მოიწია? ოდითგან
აღარ მაკსოვს თავი მხიარული თავისა საქმესა ზედა: ზოგჯერ ლა-
რიბობისაგან უცხო ვარ, ზოგჯერ მიჯნურობისაგან ხელი და ცუდ-
მაშურალი; გაქრა სალხინოდ მიჩს და სიკვდილი—ქირთაგან მკსნე-
ლად. სუერან სუიანობისამან გამწირა და ბედი უბედური ჩემი გა-
მოსუენებად არ მიმიშუებს. ღმერთმან ჩემითა ბედითა სხუა კაცი-
ნუ დაბადოს და ჩემსა ეტლსა ზედა დედასა სხუა შვილი ნუ აშობი-
ნოს; ნულარცა ვინ ესრე უწყალოდ თავ-უწყვარ ყოსო“.

ამას და ესეგუარსა გრძლად გაძოსთქუმედა რამინ და ტირო-
და. ლაშქარნი მორეშორდეს, იგიცა გონებასა მოვიდა და შინა წა-
მოვიდა. პირსა შგქირვებისა მტურერი დასდებოდა, ცრემლითა იყო-
ცდა.

მას უკანა სიმაბრი მისი რაფედ მოვიდოდა, ამა მისისა სიძისა მოთქუმასა და ტირილსა ყურსა უპყრობდა. ვითა გულწაღებულნი და შმაგი სწორნია, ეგრე რამინ ესე არ იცოდა თუ ამა ჩენსა სათქუმელსა ისმენს ვინმეო. რაფედს ყუელა გაეგონა, შინა მოვიდეს, რამინს ჰკითხა და ეგრე მოაკესნა:

„ჰე ცხენოსანთა გუირგუინო, რად ჰგავ მიწყით მგლოვიარესა? რა არის ეგეთი გულისა საწაღელი, რომელ ღმერთსა არ მოეცეს შენტუის? დაღრეჯა თუით რად ოდეს მოგეგონების, რად იქვენი უმეცრად და ბედნიერებისა და კარგისა ყოფნისაგან სჩივი? შენ იგი რამინ ხარ, რომელ ყოველთა მოყმეთა თავი და სანატრელი ხარ და შენი ძმა ყოველთა კელმწიფეთა კელმწიფეთა. შენ ჯერეთ სიყმითა თუცა ტახტსა ზედა არა ჰზი, ეგრეცა ყოველთა კელმწიფეთაგან უფრო საპატიო და სასახელო ხარ. სიყმე გაქუს და უსწორო ქაბუკობა, კელმწიფე ხარ და კელმწიფობის მომლოდე, და ამისგან უკეთესი თუით რალა გინდა? ნუ სჩივი ცუდად ბედისაგან. უსამართლო ჩივილი არა სუიანია. ვინცა სტავრისა საგებელსა სწუნობს და ღმერთსა არა ჰმადლობს, მას ღმერთი მიწრსა საგებელსა ზედა დაწუნენსო“.

გულისა მატკიენებელმან რამინ ეგრე უპასუხა:

„მრთელი კაცი სნეულისა ჭირთაგან კიდევანია და შენ მიო არა გებრალების მაგის თქუმა. ჩემი ჭირი არ იცი და რა ვკუნესდე, მით მგმობ. არა რომელი სიამე ჰგავს მეცნიერობასა და ერთგან ყოფისაებრ არა არის და არცა რომელი ჭირი სიშორესა და ღარიბობასა უარეა“-

არაკი: „სამოსელსა რა დახევედენ, დაიზახებს, და ვაზსა რა შტოსა მოჰკუეთდენ, ატირდების“.

„მე აღრითგან მით უუმეცრე ვარ, რომელ მოყუარეთა და ნატამალთა ჩემთა კიდევანობა არ მიმძიმდეს. გორაბი შენი ქალაქი და სამშობლო არის: ვისცა ჰნახავ, ყუელა შენი მეყუისი და ნატამალია. შენ მიწყით შენტა მოყუარეთა და მეყუისთა გუერდით ჰზი, არ ჩემებრ ღარიბი სხუისა ქალაქსა და ქუეყანასა შინა ხარ. ღარიბი რაზომცა გაკელმწიფდეს, ეგრეცა დაიღრეჯს, რა მეცნიერი ვერავინ ნახოს. კაცსა საწუთრო თავისათუის უნდა და ყუელა რამე თავისა სამეცნიეროსა უფრო იამების. თუცა სიხარული კარგი არის, ათასისა სიხარულისაგან ერთი მოყუარე უამეა. რაცა კარგია, ვითა თავისათუის მომინდების, ეგრევე მოყუარეთათუის. მე შენტუის მრავალჯერ შემშურდების. სითცა მოხუდიდე გზით ანუ ნადირობით, ნატამალნი, მზახალნი, ცოლი და შვილნი ზედა მოგებუევიან მზიარუ-

ლად, ვითა ტოილო ერთმანერთზედ გამობმულნი ხართ. მე აქა არცა ნატამალი მივის და არცა მოყუარე, არცა გულსა წამლები, არცა შვილი. მე ვიყავ ერთხელ შენებრ ნებიერი, ნატამალთა და მოყუარეთა სიახლითა ჰამო ყოფნა მქონდა, მაშინ, ოდესცა თავისასა სიახლსა ვიყავ. ჩემთვის იგიცა ჰამო იყო, ოდეს მიჯნურობისაგან ფათერაკი რა წამეკიდის ღ მოყუარენი მაყუედრებდინან; იგი საყუედურისა წყენა მიაგებოდა, ამით რომელ ნარგისი მთრვალი იყვის და ვარდი ნებიერი: ზოგჯერ ნარგისთაგან გულ-მტკიენული ვიყვი და ზოგჯერ ვარდთაგან დაღრეჯილი. რა ჰამო იყო იგი ნაზობა მისი და რა ჰამო იყო მისი წყრომა და ნებიერობა მისი! თუ კუირასა ერთსა პირი დამიმაღის, ტყუე მქმნის საბრალოდ და მეამებოდის ერთისა შენდობისათვის ათასი ფიცი. რა ჰამო იყო იგი, რომელ მისისა ჯავრისაგან დღით ათასჯერ ვჩიოდი. მერმე ნაქმართაგან ვინანდი და ათასისა ქებისა შესხმა და პირისაგან პირისა უკმოუღებლობა. რა ჰამო იყო მრავალ-ფერად რამე ქცევა ჩუენი: ზოგჯერ ლმობიერობა და ზოგჯერ სიქუე, ზოგჯერ წყრომა და ზოგჯერ ყმაწუილობა, ზოგჯერ სიცილი და ზოგჯერ ტირილი, ზოგჯერ თმათა მოკიდებით მოხუევა და ზოგჯერ მისისა ჯავრისაგან სჯულისცა დაგდების ნდომა! თუ მისთა ნარგისთა კუშტად მხედარობისაგან სასჯელი მივეცი, შედეგად მისთა ვარდთაგან ნაცუალი ლხინი მოვილი. მიჯნურობისაგან კიდე არა დამქირებოდა. რომელსაცა მოყურისა სიახლე მქონდეს და ნებიერობა ავეფი, ვითარი მე, მაშინ მას გულსა ქუნესა არ მართებს, არცა ზურგისა ტკივილი. ვირე ვიყავ ნებიერი, ესრე ვიყავ, რომელ ყოველთა მოყუარეთათვის მეჯობნა ნებისაებრ ბურთისა წაღებითა. მოყურისა პირისაგან ვარდი საპალნითა მქონდა და ჩემისა საყუარელისა თმისაგან მუშკისა აკუმი მედგმის. მე ნებიერობისაგან ვჩიოდი, მე ნაზობითა ვიტყოდი ამას თუ: სნეული ვარ და უსუსურად მყოფი, მიჯნურობისაგან დაძაბუნებული, კიდევანობისა შეჭირვებითა დასაწყლებული და გაბეღითებული; მაგრა ესე ყუელა აწ მქირს, რომელსა იგი მაშინდელი ბეღითობა არა მაქუს; ბეღითი და საწყალი აწლა ვარო“.

ნთ

რათედ მისსა ასულსა რამინას

გამწირაობა უამბო



ა რათედ ნადირობით შემოვიდა თავისსა ასულსა გულსა თანა, რამინის ხუაშიადი გამოაცხადა და უამბო ვითა: „რამინ გამტერიანდა, თავისა უხანობა და გულის-ნადები გამოაცხადა. შენი სიყუარული და-ადლო; იმას თუ უკუნისამდიცა შეაგუებ და მსახურებ, იგივე ზაპრიანი გუელია, ოდესცა კბენა დაემართების, იგივე მტაცებელია. მწარე ხე მწარესავე ნაყოფსა გამოიღებს, რაზომცა ჩუენ შაკრითა ვრწყუდიდეთ. რვალი და ტყუია თუ ათასჯერცა დასწუა, ოქროს-ფერად არცა ეგრე ექმნების, და თუ სპილენძი ათასჯერ ცეცხლსა შინა გამოადნო, სძისაფერობა არცა ეგრე აქუს. რათგან რამინ ვისის გული არ შეინახა და მას ვერ შეაგუა, შენმცა რა გაგახარა? მისი ამბავი რათგან გასმიოდა, ავი და საკუირველი ქმენ მისი ქმრად შერთვა. უხანოისა კაცისა მინდობა არა კამს. რამინის გული მიწყით გამძლომია, მეტისა სიამაყისა და ავკაცობისაგან ლომისა ბუნება არის, მისგან სიმართლისა ძებნა და მლაშისა მიწისაგან ნაყოფისა მოლოდნა სწორნია. რად შეეყარე უხანოსა კაცსა, რად მიენდევ უხენაროსა, რად მოელოდი ნავლლისაგან შაქარსა? მაგრა რათგან განგება ღმრთისა შენზედა ესრე იყო, აწ ბედითი საუბარი და სინანული უსარგებლოა ჩეუნთუისო“.

ამაზედა შემოვიდა რამინ ნადირობით! დაკოდილსა ნადირსა ჰგუანდა დაბრუტებულსა, თავისა გზა-გაუღებელსა. თუით დაღრეჯილი იყო, გული სისხლითა ავსოდა და ცრემლითა პირი დაებანა. სასიხარულოსა სუმასა შინა ესეთი იყო, ვითა მკედარო.

მისი ცოლი გულ წინა უჯდა, რომელ ყოველი ტურფა მისისა პირისაგან დაღუბჭირებოდა, ნაკუთი სიმართლითა ისარსა უგუან-

და და პირი სისავესითა—მთუარესა, რომელსა ზედა ვარდი ყუაოდეს. ვინცა ნახის, გული საკუთრად მისცის და მისისა ქურეცისაგან გულსა ცეცხლი მოკედვის.

მაგრა მისი აგეთობა რამინსა თანა ასრე უსარგებლო იყო, ვითა მკუდარისა კაცისათუის მუშკი. ტანი ოდენლა იყო მისი და გული აღარა. წამსა და წამსა სულთქნიდის და თუალთა. ცრემლი აღგებოდა, გული უთრთოდა, საუბრისა ძალი არ ჰქონდა და ყოველი სიხარული გაარმებოდა ვისის მოსურვებულობისათუის. არცაღავისი შეხედვა შეეძლო და ეგრე ეგონა, ესე ჩემი გულისა-ნადები არავინ იცისო. შესტიროდა გული და ეგრე იტყოდა:

„რა უამება მოყუარეთა ერთგან შეყრასა! მე ესე სიხარული და საკელმწიფო სუმა ესრე დამნაღლებია, რომელ თავი ცოცხალი აღარ მჩანს. აწ ჩემსა ცოლსა ეგრე ჰგონია თუ მე სიხარულად ვზი, და ესე არ იცის, თუ უფისოდ რას ყოფასა შინა ვარ, ანუ როგორ ვიწუი და კულა ესეცა საგონებელად მევე მომმატებია. ვისსა მე მისი დამვიწყებელი ვგონივარ. ეგრე ჰგონია, რამინ უჩემოდ კარგად არის, ჩემი მიჯნურობა მისცილეებია, იხარებს უჩემოდ, დავიწყებია ჩემი ფიცი და უკსოვნელ უქმნივარო. მას ამისსა მგონებელსა საჩემოდ გავლენა რაღადლა ჰქონდა, ან მე რაითაღა პირითა მივმართო, რომელმან სული, სულთა მომცემი სიყუარული და სჯული დავივიწყე? რაზომა ცოტათა ხანისა იყო, მას ჩემსა ესრე მყოფობასა ვინლა შეაჯერებს? ანუ მე ღმერთსა და მას რაღა პასუხი გავსცე, ვინათგან მისი გასაკუთრებული გული სხუასა ვისცალა მივეც?!

დამქოლეთ მიჯნურნო და დამემესისხლენით! შესუენით ჩემნი სისხლნი ასევე, ვითა თუით ჩემნი მე შემისმან, რათგან მინდობილობისა გულისა მოღალატედ გამოვჩნდი და ყოვლი გულის-მომცემი დავაშინე უზენარობითა ჩემითა. აწ თავისა მანანებელი საბრალო შემობრალეთ, ზენაარ, რათგან ამას ექუს თუ ჩემი რამინს აღარა ჰგავაო. და არ იცის ჩემი აწინდელი შეპირებება და გულისა ჩემისა კუნესა უმისობითა, რომელ ყოველთა სიხარულთაგან კიდე-ქმნილ ვარ, გული მისთა თუალთაებრ გამშავებია და, რა მისგან ნოშოორვებულ ვარ, მისთა სურნელთა თმათაებრ დაგრეხილ ვარ.

ნეტარ ჩემისა გულისა წამლები ტან-სარო და პირ-მზე რას მიზამს?!. მისისა დამძინებულობისათუის მართ მესისხლე მექმნების და გამწირავს, მიწასა ჩემისა სისხლითა შეღებავს, სრულად გამაბედითებს, რომელ თუით მიწასა პირნახულობითა ვჰგავ და რკინასა გამძლეობითა, დაღეული ვარ მეტისა მიჭირვებულობისაგან, ვეძებ

ლონესა ჩემისა სიცოცხლისასა. არ ვირი ვარ, რომელ სიკუდილამდი მიწასა ვპზიდვიდეო. წავალ, მარგალიტთა თავსა სადაფისაგან გამოვეძებ, წავალ ჩემისა სიცოცხლისა იმედსა ჩემთა სულთაგან ვეძებ.

ვინ იცის, თუ რაზომნი ქირანი მინახეან მოყურისა სიშორისაგან! სხუა ესეთი ქირი ვის უნახავს ქუეყანასა ზედა, რომელ ნახვა წამლად ერგებოდეს? აჲ ჩემი სიხარული და დაღრეჯა მისგან არის, რომელ სულისა და სიცოცხლისაგან უფრო სანდომია ჩემთუის. მე მისი ნახვა გამაცოცხლებს, მე მისი საუბარი გამახარებს. მე მისი ხუევა უკუდავ-მიქმს და მისი ლმობიერება ყოველთა დამავიწყებს.

რად ვჰმალავ ჩემსა ქირსა ესეთსა აქიმისაგან და ვითაცა ვჰმალავ, ეგრეცა უარე და უარე ვარ ამა ქირისა მალევისა შიგან. ამის მეტად ვერცალა ჩემსა გულსა ვემდურები. მისსა ხუაშიადსა გამოვაცხადებ ყოველგან. კიდევანობისა ზორევისა შიგან ვირჩობი. ესრე მიქირვებულისაგან გულისა მუდარა გარდასრულია. მივალ, ვისსავე შევეხევეწები. ნუთუმცა მომიღმობიერდა და ჯანგი მოიკოცა მისისა გულისაგან!

მაგრა მეშინიან, რათგან უვისობისაგან ესრე დასნეულებულ ვარ, ნუთუ მოვკუდე მისად ნახვამდის. მაგრა ესე სიხარულად მიჩს, რომელ მისისა მძებნელობისათუის მკუდარი გზასა ზედა დამმარხოს და ყოველმან კაცმან ცნას ჩემნი საქმენი და მიჯნურობისათუის მიქირვებულობანი. ვინცა მგზავრი ანუ ლარიბი გარდაიარდეს ჩემსა სამარესა ზედა, ცოტასა მოიჯდომებდეს და შეეებრალებოდე, რა ჩემთა ამბავთა სცნობდენ, ლმრთისაგან შენდობასა ითხოვდენ ჩემთუის; ეგრე თქუან; „ლარიბი იყო, მოკუდა მიჯნურობისაგანო“. ლარიბი ლარიბსა შეებრალვის და იგინივე ჰოიგონებენ, ამით რომელ ერთმანერთისა იადგარნი არიან. ლარიბნი ყოველგან საბრალონია და მათი მოწგონებელი არავინაა. მე მტერმან მომკლას, იგი სიკუდილი სააუგოა ჩემთუის. მაგრა რათგან მოყურისა ნატრისათუის მოკუდები, დიდად ნესახელები ესე.

ოწნი და ბრძოლანი დია გარდამიკდიან, მრავალგან დიდნი ლაშქარნი განიქცევიან, მრავალნი ქაბუკნი თავისა კრმლითა ჩამომიყრიან; მრავალნი ჰილონი, ლომნი და მკეცნი დამიკოციან; მტერნი წინ ვერ ანღვოვიან; ჩემისა შუბისა წუერსა მზე აქებს, ჩემსა სადავესა მიწა აკოცებს, ეტლნიცა გაეაბედიოენ, მტერი ვითა, და მოყურისა სურვალმან ანა ყუელათა გამაბედიოებელი ესრე გამაბედიოთა, რომელ საწუთრო დანანაოელა.

ვგზონთა მტერთა მწურობით დავეკსენ და მოყურისა სიყუარულსა ესრე დავუბო, ვითა ტყუე. ნუთუ უქუნისამდის არცა სიკუდილი ნომერვერს თუეა მე ვისის წყრომისაგან არ მეშინოდა, მაგრა ეგრეცა თავსა დაღვრისაგან კიდე არა ღოსე მაქუს.

არ ვიცი აქათ რის ღონითა წავიდე ამისგან კიდე, რომელ მარტო გაპარვითა წავიდე, რომელ არცა ლაშქარნი, არცა ყმანი, არცა კულაოზი არა მყვეს, ამით რომელ ცხადად წასლვა არ მომიკდების. ვინცა სცნობს, საყუედურსა დამიწყებს. ვისის ნახვა არ მომბუღდების და ვერას გავიხარებ, და თუ კულა მარტო წავიდე, გზა საშიში და შორი არის; მთანი თოვლისაგან შეკრულნია და წყალნი წუთმისაგან უფონონია, ნადირნიცა ზამთრისა სიძნელისაგან დაკოცილან, მარავი თუით თოვლიანია, აწ ჰაერი ქაფურსა სწუომს. ესდენ გრძელსა გზასა მინდა წასლვა და ამა ყუელასაგან ესე უფრო ძნელი საგონებელი მჭირს, რომელ იგი ჩემი სულთა წამლებელი ქაჯის პირი მიწყრების და არ შემინდობს ჩემთა ნაქმართა. არცა მზისაებრ ნათელსა მისსა პირსა მიჩუენებს, არცა ბანთა ზედა გამოვა. არცა შუენიერსა სახესა მისსა გამაცდევს, არცა კარსა გამიღებს, არცა შევეწყალები. ესრე მისთუის ჭირნახულსა საყუედურსა დამიწყებს, დავრჩები კართა გარეთ, საბრალო სული ჩემი უიმედოდ გაკდების და ჭირი ჩემი უნაყოფოდ. მე მომკლავს სიცივე და ყინვა მისისა სურვილისა მისგან შეუბრალებელსა, მისთუის ჭირნახულსა.

ვაი ჩემი სიყმე და ჭაბუკობა, ვაი მაღალი სასახელო სახლი ჩემი, ვაი ცხენი და აბჯარი ჩემი, ვაი ურიცხუი ლაშქარი, საქურჭლე და სასალუქო ჩემი, ვაი რომელი ესეთსა საქმესა შიგან ვარ გულისა კელთა აღარ მქონებელი, რომელ ამა ყუელისა ქონება უქმარ მქმნია და აღარას მერგების!

არ შეშინია კრმლისა და აბჯრისაგან, არ გაეკუთირებ ლაშქართა სიმრაველსა და პირ-მედგრობასა. მაგრა ვისის მზისა მსგავსისა პირისაგან შეშინიან და მისისა გურდემლისაებრ მაგრისა გულისაგან. მე ამასთანა ჭაბუკობა რას მერგების; ანუ რასაცა ოდენ გულსა ვეტყუი: გულო, ვირემდინ იბრძუი, ვირემდინაა შენი შეუჯერებლობა და სიხელე, ვირემდინ იდენ ცრემლთა, ზღუათა წყუასა? ყოველი გული მზიარული არის, და ჩემი გლახ მიწყით დაღრეჯილი და შექირვებული. ზოგჯერ ცეცხლსა შუა და ზოგჯერ მყინვარსა; და კუამლი ეგრე ამდის, არცა დღისით მაქუს მოსუენება და არცა ღამით ძილი, არცა ლაშქარნილა მემამებიან და არცა სიმარტოე, არცა წალკოტი, არცა მოედანი, არცა დარბაზი, არცა სასუმელნი, არცა ცხენთა თამაში, არცა ჭაბუკობა, არცა სუმასა შიგან უხვობა, არცა არიფთა თანა საუბარი, არცაღა გუარიანი ცოლი და არცაღა უფსოსა თუით სიცოცხლე და ვისისაცა შეხედვისა წაძალი მაქუს.

სიმღერისა და ქებისა ნაცულად დღე და ღამე საყუედური მისმის ქოისტნით, ხუზისტნით, ქირმანით, ტაბარისტნით, გურჯანით, ხორასნით. ჩემი აბზავი ითქუმის ყოველგან და ჩემი კსენება არს ყო-

ველსა ქუეყანასა შიგან. ქალაქთა შიგან ჩუენსა სიმღერასა იტყუიან, ველთა ზედა მეცხოვრენი ჩუენსა უბნობენ, დედანი—კართ უკანა და მამანი—ვაქართა შუა, ყმაწუილნი ფოლოცთა შიგან ჩუენსა ამბავსა იტყუიან და იმღერიან.

მე პირი სიბერიით მქმნია და გული ჩემი ჯერეთცა მიჯნურობისაგან ვერ გამძლარა. რაოდენ გულისა წამღებელი ღისი მაშორავს, ომობასა შიგან სიშორისა შექირვებითა ესრე დაყუითლებულ ვარ, ვითა დრაჰკანი, და მეტითა უსუსურობითა ნანსებავსა ვჰავ; ვერცა ოთხისა ბიჯისა წარბენა შემიძლია, არცა ჩემისა მშუილდისა მოზიდვა, რომელსაცა დღესა ცენი გაეაქენო, წელნი გარდაწყუეტილსა მიგუანან. ნუთუ ცუილად შეიქმნა რკინისა ზურგი ჩემი, ნუთუ მატყლად შეიქმნა ქვისაებრი მჯილუი ჩემი? ცენი ჩემი, რომელ კანჯარსა აჯობებდა, ახორსა ზედა ჩემებრ იგიცა დასუსურებულა; არცა ავაზათა თხათა ვანადირებინებ და არცა ქორთა კაკაბთა მოუტეობ, არცა შორკინალთა ვერკინები და ძალსა ვიცდი, არცა მსუმელთა თანა ვიხარებ.

ჩემნი სწორნი ყუელანი ბედისა და სიყმისაგან იქადიან, ზოგჯერ ცხენს ჰკაზმენ და ზოგჯერ აბჯართა, თავისა ცოლსა და საყუარელსა გუერდით იხარებენ; ზოგჯერ ველსა და ზოგჯერ შანა, ვითაცა სწადიან, თამაშობენ; მეცნიერობასა ისწავლიან და ზოგნი ნიშატსა და სიხარულსა უკანა უდგებიან, და მე ყუელასა საკამსოსა და კარგისა ზნისაგან უცხო ქმნილ ვარ, ვითამცა ბედი და ცნობა ორნივე წამსკოდეს და ორთავე დასძინებოდა. ქისა წყალსა ვჰავ და კულა გონებითა შიკრიკსა, რომელ დღე და ღამე ვმგზავრობ მოუსუენებლად; თავსა სასთაულსა ზედა არ დავსდებ და ტანსა საგებელსა. ზოგჯერ დევთა გუერდით ყოფნა გარდამიკდია და ზოგჯერ ღომთა გუერდით სიარული. ამა საწუთროსა ჩემის გულისა შესწრობითა არა გამიხარებია და მას საუკუნოსა ჩემისა ფიცისა გამტეხლობისათუის ასრევე ღზინსა მოველი.

ვაი გულო, ვირეჰდინ მიგზებ ცეცხლსა და ქირისა კოჭობსა შიგან მადულებ? მეტითა უმეცრობითა მე მოგიკლავ და შენ არა შეგწონს. უგუნურობითა ნაღელსა ვჰავ და ღზინისა სიხარულისაგან უნაწილო გიქმნივარ. ღმერთმან შენებრი გული ნუვის მისცეს, რომელ სიყუარულითა მთრეალი ხარ და უმეცრებითა რეგუენი“.

რამინ გულსა ესეგუარსა ეუბნებოდა და აყუედრებდა. მაგრა ესე არას ერგო: გულისა წადილმან ცნობისა ძალი განაღამცა მიულო, გულსა ველარ მოერია და ამა გულისა შეგონებასა შიგან, ვითა ქთმისა გული, ეგრე უბადოდ უკრთებოდა და მას სუმასა შიგან ეგე-

თი დაღრეჯილი ჯდა, ვითა თუით გული არას სიხარულსა მოსცემოდა. ტახტისაგან ჩამოჰკდა და დარბაზით გამოვიდა, ესრე ფიცხლად წამოვიდა, ვითა ჯაბანი ომისაგან. შეჯდა მისსა რაკსსა; მალესა-მორბედსა. რა ქალაქისა კართა გამოვიდა, ვითა ფრთოსანი, მოვიდოდა ხორასნისკე და იარებოდა მათ უკაცურთა და უდაბურთა მინდორთა შიგა ხორასნისა გზასა.



რამინისაგან აღინას ნახვა

ამინს ესეთთა გზათა სიარული ესრე ჰამოდ უჩნდა, რომელ მუნით მომავალი ნიაფიცა სალხინოდ მიუჩნდა და იტყოდა: „ჰე აღმოსავლეთით მომავლო ნიაფო, რომელ სულნელებითა სამოთხით გამომავალსა ჰგაე! ხირხიზითა, სამანდურითა და ყანურით მოიღებ მუშეისა, ალვისა ღ ჭაფურისა სულსა. ეგრევე აწინდელსა ნიაფსა აქუს სიამე ჩემთუის, რომელ ჩემისა გულისა წამლების ქუეყანით მოვა ამბრისა და მუშეისა სული. წალკოტით ვარდისა სული ეგრე კაცსა არა ეცემის, ვითა რამინს ვისისა“. ამა საგონებელსა შიგან იყო, ვითა: „რათგან ბედნიერი სული მეცემის, ნუ თუ ღმერთმან სრულად არ მიმცეს უბედურობასა და ვნახო ვისის პირიცაო.“

ამაზედა წინანემთხუია ვისის მოწიგნარი აღინა. რა შორს დაინახა და იცნა, სიხარულითა გული, ვითა კარი, გაელო, ცხენი შეურტევა და ფიცხლად მივიდა. აღინა ცხენისაგან გარდაკდა, თაყუანისცა და მიწასა აკოცებდა რამინს წინაშე. მისგან ვისის სურნელებისა სული ეცემოდა. ვითა თუით ვისის ამბავის მნდომელი, ეგრე გაეხარნეს მისი ნახვა. მხიარულად მოიკითხა და ერთმანერთისა ნახვისათუის ღმერთსა მადლი მისცეს. ცხენნი გამოაბნეს და მწუანვილსა ზედა დასხდნეს; რაცალა მოციქულობა ჰქონდა, მოაკსენა, ვისის მაგიერი სალაში და სურვილი, მერმე წიგნი, ვისის პერანგი და თავსაბურავი მიიართუა. რა რამინ ვისის ნიშანი დაინახა, ვითა ცხროიანი ათრთოლდა, დაბნდა, ცნობათა მიჰბდა. წიგნი ხელთაგან დაგარდა.

მერმე რა გუნებად მოვიდა, წიგნს წაკითხვა დაუწო და ვირე გასრულებამდის სისხლ-რეულითა ცრემლითა დაასოვლა წიგნი, ვისის პერანგი და თავის საბურავი მისითა სისხლითა დასურვილ იყო, ზოგჯერ პირსა დაიდვის და ზოგჯერ მკერდსა, წამსა ღ წამსა დაბნდებოდა. ვითა ღრუბლისაგან წყალი გამოვალს, ეგრე მისთა თუალთაგან სისხლი; ვითა ღრუბელთაგან ელვა გამოვალს, ეგრევე მისის გულისაგან ცეცხლი და

პირისაგან კუამლი. ზოგჯერ ტიროდის და ზოგჯერ სულთქნიდის; ზოგჯერ ხელთაებრ დაიზახნის და დაბნდის; ზოგჯერ უსიტყუო-ქმნილი გატყდის; ზოგჯერ პირდაღმა დაეცის და საყელოთა გარდა-იხვედის. ამა ვისისა პერანგისა და თავისა-საბურავისაგან ვისის სულისა ცემამან ესრე ცნობათა მიჰკადა მისითა სურვილითა, რომელ გონება აღარასი ჰქონდა და თუით ვითამცა გულისა შეცულა აღარა გარდასრულ იყო. რა ცოტად ცნობა მოუვიდა, მისებურად ენასა მეცნიერობა აკმარა; ეგრე თქუა:

„ვთი ჩემისა ბედისა და ჯაერისაგან, რომელ ჳირისა თესლი დათესა და მომწყუიდა შეუნიერისა მოყურისაგან, რომელ ყოველთა ტურფათა საპატრონო არის. მე მის ელვისაგან მომამორვა, რომლისა დარბაზი ცა არის. ჩემთა თულთაგან კიდე-ქმნა მისისა სახისა სიტურფე, არცალა მისისა კმისა სიამოვნე მომასჴინა; მისისა ჳურეტისა ნაცულად პერანგი მოუცემია და მისისა საუბრისა ნაცულად წიგნი მოუწერია. სულისა გამოსუენება ამა პერანგისაგან იქმნა და ბედისა ჩემისა წაღმართვა ამა წიგნისაგანო“.

რამინის წიგნი ვისის თანა



აწერა წიგნისა თავსა ზედა ვისეს სახელი, მზისა მსგავსისა, მთუარისაგან უტურფესისა, ვარდითა საესისა, ბროლისა სუეტისა და გურგუინისა და-მაშუენებელისა, დარბაზისა განმანათლებელისა, უკუდავებისა წყლისა, სამოთხისა სურნელისა, თუალისა პატიოსნისა, თუით კელმწიფისა და საკელმწიფოისა მნათობისა, ერანისა და ხორას-ნისა მზისა, რომელ: „ღმერთმან მე უშენოდ წა-საცა სიცოცხლე ნუ მომცეს და შენ შენისა წა-დილისაებრ ბოლო-შეუქმრად გყოს. შიში მაქუს შენისა პირისა, მზისა მსგავსისა, ნახვისათუის; მოსურვება და გონება მიუწდომელია, რომელსა ამისი შიში დაუვიწყებია. მე-შინიან შენისა უკუდავებისა მსგავსისა საუბრისათუის, შეცოდებუ-ლი ვარ, მეშინიან, ნუთუ იგი მიყო, რაცა მმართვეს და მტერთა ჩემთა გაახარნე! თუ ბრალი თავსავე ზედა არ ჩემი იყო ამისისა მო-ქმედობისა, და არცა შენი ბრალობა მესაკამსების მტერობისა ეშმა პირველ შენ უკმე. ოდეს კიდე-გამაძე, მოგეწყინე აღრე და აღარ შეგეძლო ჩემი სიახლე, შენ შემამგულვანე შეცოდებისა შემარ-თებასა.

მე შენისა გულისა და სიყუარულისაგან არა მქონდა ამისი სა-ეკუთი. ჩემი საეკუთე ცა იყო, შენ მიწად შეჰქმენ. შენ იცი თუ, ვითა სამკუილრო დარბაზი ავაგე შენი სიყუარულისა, მაგრა მას პირველ შენ დაუწყე რლუევა. რაზომცა შენ დამამძიმე, მე არცარა კადრებისა ღონე ვგრე მაქუსო. პატრონი ხარ, რაცა გწადიან მიყავ, გარდამაკ-დევიჩე; გული დამიც და შენთვის საკუთრად მომიცემია. შენისა ბრძანებისა მოსმენისათუის არა გრიდობ თავსა, შენგან ბრძანება და ჩემგან მოსმენა. რაზომცა შორს ყოფილ ვარ შენგან, გული ჩემი მძევ-

ლად ეგრეცა შენს წინაშე დამეგდო. ჩემი მძვეალი შენთა კელთა შიგან ყოფილა. მე ბრძანებისა შენისაგან გამოსლვა არაოდეს შეკადრებია. ოდითგან შენდა მოშორებულ ვარ, შენმან მზემან, ვითამცა ვეშისა პირსა შიგან ყოფილ ვარ პატიმრად და გული უშენობისა ქირითა ამესია. ჩემისა საქმისა მოწამე ჩემნი ლაწუნია ყუითელნი. თუ მალირსო და გამიკითხო, ვეპუ, რომელ შეგაჯერო. რაცა ქირი მქირვებია, მოწმად ლაწუნი მეყოფიან და მოფიცრად ცრემლიანნი თულნი, ოქროთა შეღებულნი ჩემნი მოწამენი და სისხლითა დასურჩილნი ჩემნი მოფიცარნი. რა გიჩუენნე მოფიცარნი და მოწამენი, მაშინ დაიჯერებ ჩემსა მოკსენებულსა, ჩემგან მართლისაგან კიდე არა ითქუმის და სიმრუდითა გაწბილებული არაოდეს დავრჩები.

გამწირე და მეცა მოვსცეთ. აწ ნაცულად მაქე და გაქო. აწ რათგან პირველ-შეცოდებისა შენდობა მითხოვია შენსა არაოდეს გამწირავსა, აწ თავისგან დავიწყებ შენსა შეგულისა და სამსახურსა. სხუასა არავის ვიცნობ, შენგან კიდე არავისი შეგულილი შემიძლია. შენგან კიდე არცა სიცოცხლე მომინდების და არცა თუალთა ჩენა. ამოვიკოც გულისაგან შენისა წყენისა ჯანგსა. თუალით ვიყიდი შენისა ფერკისა მტურესა, არ დავაგდებ შენსა სიყუარულსა და მომტებით თუით აღარ გაიძღების. გულსა გონებითურთ შენ მოგცემ უზიაროდ. მიბრძანებ ეგრე, და თუ არა, ეგრეცა არ ვეძებ შენისა პირისა კიდევანობასა; არ მოვწყუედ მზისაგან მეცნიერობასა ჩემსა, ვერ გავსძლებ სურნელთა თმათა შენთაგან, თუმბუთურისა მუშეისა სულისაგან უკეთესსა ვერას ვჰპოვებ.

კაცი ღმრთისაგან სამოთხესა სიამოვნისათუის ითხოვს. შენ ჩემთუის ესეცა სოფელი ხარ და სამოთხეცა. ამით არა მგამა, თუ შენისა მიჯნურობისათუის ქირი ვნაზო, ლხინსა უქიროდ ვერვინ ჰპოვებ. აწ დავივიწყოთ გარდასრული და თავითგან შეგულილი სიყუარული და სიხარული დავიწყოთ. შენ ჩემთან იყავ, ვითა სიყუითლე ოქროსა თანა, და მე შენთანა ვიყო, ვითა სინათლე მზეს თანა. შენ ჩემთან იყავ, ვითა სული მუშესა თანა, და მე შენთანა ვიყო, ვითა ფერი ვარდსა თანა. შენი სიხარული უჩემოდ არა კამს და ჩემი ნებიერობა უშენოდ არ ეგების. ჩემი მახული კრმალი ნავლისა გემო არის, კაცთათუის არ დამარჩენელი, და შენი წამწამისა ისარი — გულთა მომკლველი. რა შენი ისარი და ჩემი კრმალი ერთგან შეიყარნენ, ჩუენი მტერი ცოცხალი ვერ დარჩების. ვითა თუ უშენობა გამიგრძელდების, მის სიცოცხლისაგან უიმედო ვარ. რაზომი მდინარეთა და ზღუათა შიგან ცუარია ეგზომსა, სურვილსა და თაყუანისცემასა მოგაკსენებ.

შენი წიგნი, ჩემი სულთა მომქცევი, გზასა ზედა მომართუეს და პასუხი მეცა მუნითვე მოგაკენე მოკლედ. თუ ათასითა ვინ ტოი ლოითა დამბას, მისი გაუწყუდელი არ დავდგები. ამა წიგნსა მეცა უკანამოუდევ სწრაფით, ვითა უტევანი ისარი, ნუთუმცა ღმერთი მოწყალე მექმნა და შენი უნახავ. არ მოკვუდეო*!

დაუწერა რამინ წიგნსა პასუხი, და შემოიქცა სწრაფით აღინა, და რამინ მას უკან ფიცხლა მოვიდოდა. ხორასანისა გზისა სიგრძე და სიძნელე დავიწყებოდა. რამინ და აღინა ერთმანერთსა ღლისა ერთისა სავლითა აშორვიდეს.

თუცა მიჯნურობა თავით ბოლომდე საზიანოა და ყოველი ქირი ტანისა და წყენა სულისა, ორი სიხარული ეგრეცა სღვეს მიჯნურობასა: ერთად წიგნისა მოსლვისა და ამბვისა ცნობისა ჟამსა და მეორედ ნახვისა ჟამსა. იგი სიხარული უქიროდ არავის მიჰხუდების. არცა მიჯნურისაებრ საბრალო სნეული ვის უნახავს, მეტად მაშინ, რა აშორვიდეს მოყუარესა. დღე და ღამე მისისა გონებისაგან გატეხილი ჯდეს და გზასა ზედა უჭურეტღეს მომლოდე მოყურისა წიგნისა და ამბვისა.

გულისა-წამლები ვისი ესრე იყო, ყოველთა დღეთა მოელოდა რამინის ამბავსა და აღინასა მოსლვასა. რა შორით დაინახა აღინა, სიხარულითა პირი აუყუაუდა და ეგზომ დიდად გაიხარნა, ვითამცა თუით პირისპირ რამინ ენახა. რამინის ამბავი წურილად მოაკენა; მისითა სიყუარულითა ვით გახელებულა ანუ მისისა ნახვისა და სურვილისათვის ვით გამოკრილა, რომელ არა რომლისა ჟამისა მიჯნურობასა ასწორვიდა აწინდელსა,—და მოწმად თუით რამინისა წიგნი ჰქონდა. რაცა რამინს ვისის წიგნისათვის ექმნა, იგივე ვისმან რამინის წიგნსა ზედა ქმნა: ზოგჯერ პირსა ზედა დაიდვის, ზოგჯერ მკერდსა. რამინის მოსლვამდინ მალხენელად იგი წიგნი ჰქონდა და ქირის მაქარვებლად აღინა ჰყვა.

მერმე მეროკნა დღესა აბანოსა შევიდა, შეეკაზმა, თულმარგალიტიანი შესამოსელი შეიმოსა, თავსა გურიგუინი დაიდვა და მზისაგან უფრო დაშუენდა. მითუარე ცასა ზედა დაბნელდა მისისა სიტურფისაგან; მისნი თმანი ზანგთა ლაშქარნი იყვნეს და მისნი ბაგენი ათასისა ქალაქისა სნეულისა წამალნი, ტ პირი მისი ყმათა კაცთა სულისა მომმატებელი და გონებისა წამლებელი მიჯნურთა. თმანი მისნი მუშკისა ტოილოსა ჰგუანდეს. ვითა თუით შუენიერი იყო, ეგრე ტურფად შეკაზმულ იყო, სამოთხისაებრ ყოვლისა ადამიანისაგან სანდომი და სანატრელი. იგი, ესეთი უებრო მნათობი, მიჯნურობისაგან ტყუე-ქმნილ იყო და ევცხლისფერი ტანი მისი ოქროსფერად გასარულ

იყო; სანდომი, ტურფა და გულის წამლებელი იყო. მაგრა მიჯნურობისაგან მოუსუნებელად ცეცხლითა იწოდა და მოყურისა ნახვისა სისწრაფითა თმობა წასლოდა. ბანთა ზედა მყოფი ყოველგნით თულსა უგებდა და, ვითა მარტული ცხელსა კეცსა ზედა, ქუე ხლტებოდა; ერთსა ადგილსა ზედა ველარა დგა. მოსწყენოდა სიმარტოე და მოყურისა სიშორესა გაეხელა. ჭირისა ლაშქრისა სადგომად შეჰქმნოდა გული. მოაბადის კოშკსა ბანთა ზედა განიადგებულ იყო. შეღამდა და მისი მოსალოდნელი არ მოვიდა. ძილის-პირ იქმნა და არავე დაეძინა, ვითამცა საგებელი მისი ქუეშე ეკალი და ბირკი ყოფილ იყო. ქათმისა ყივილისა ჟამსა ცოტად მიეძინა, მასვე წამსა გაელუიდა და, ვითა მტერიანმან, დაიზახნა. ძიძა მოეკიდა და ეგრე მოაკსენა:

„რად მოგერია ეგრე უთმობლობისა ეშმაო?“

ვისი ესრე თრთოდა, ვითა წმიდასა წყალსა შიგან მზე, ეგრე უთნრა ძიძასა:

„ჩემისა მიჯნურობისა მსგავსი მიჯნურობა ვისი გინახავს ანუ ვისი გასმია? მე ამას ლამის უსაკუირეველესი არაოდეს დამმართებია. ათასჯერ სულნი ბაგმდის მომსლვიან და, ვითამცა რიყესა და ეკალსა შიგან ვწევ, საგებელი ესრე მეჩუნების. ჩემი ბედი დაღრეჯილი, ლამისაებრ შავი, ზანგთა მეფესა, პილოსი ზედა მჯდომსა, ჰგავს და ჩემისა ბედისა განმანათლებელი—რამინ სიშავე ჩემსა ლამესა მაშინ-ლა წაუთა, რა ჩემისა ბედისა მთუარემან პირი მიჩუნოს. აწ სიზმრივ ვნახე პირი მისი, მზისა მსგავსი, ქუეყანა სურნელი, და მისისა ჰამოისა სულისაგან ქუეყანა გაასურნელა. კელსა მომეკიდა და მეუბნებოდა ნით იაგუნდის ფერითა ბაგითა და ჰამოითა ენითა მისითა ეგრე მეტყოდა: „შენად მოკითხვად მოსრულ ვარ მალვით მით, რომელ შენთა მტერთაგან მეშინიან. საცხადოდ მით არ მოველ, რომელ გმალვენ ჩემგან და გცუენ ესრე, ვითა ფათერაკისაგან სულსა; მე, შენგან ასრე გასრულსა, მარგე რა! მიჩუნენ შენი პირი ლმობიერად და ნულარ მიწყურბი. შენებურად ჰამოდ მომეხუიე, შენთა თმათაგან გამაამბრიანე და შენთა ბაგეთა კოცნითა უკუდავ მქმენ. მოილმობიერე გული და ნუ მეკუშტვი, — უკაძსია შენისა სიტურფისაგან: საჩემოდ ლმობიერება უფრო გმუნისო.“ მე სიზმრივ ესეთითა სიამითა მინახავს ჩემთუის და ესეთნი საუბარნი მომისმენიან მისგან და აწ საცხადოდ ესრე ვჰშორაე. ამა ეგზომთა ხანთა მისი უნახავი ყოფილ ვარ. აწ რად რადმცა ესრე უთმინოდ ვიყავ? რად რადმცა ესრე დაღრეჯილი და მიჭირვებული ვიყავ? ვირემდინცა ჩემი ბედი ჩემისა გულისა წამლებელისაგან კიდე-მამყოფებს, ესრე შეჭირვებულნი თუ დაუთმობელი ვიყო, ყუელასაგან შეშენდობისო“.



რამინის მარავს მოსლვა

ა რამინ შორით მარავი ქალაქი - დაინახა, ესრე გაენარნეს, ვითა თუით ეგრე მიქირვებულისა წესია ნახვისა მომლოდებობასა შინა. ღმერთსა მადლი მისცა და ქალაქსა დაუწყო ქება ვითა: „ჰამოო მარავო, კელმწიფეთა საჯდომო, დაღრეჯილთა გამამხიარულებელო, გლახათა გამამდიდრებელო, მიქირვებულთა ნუგეშინის-მცემელო! ჰამოო მარავო, ზამთრისა და ზაფხულისა ყუავილ-დაულევენელო, რომელ შენთა მნახავთაგან უშენოდ სიცოცხლე არ ეგების და მეტად მისგან, ვის ჩემებრ გულისა წამლები აქა ეგონების! ჰამოო მარავო, ქალაქთა ყოველთა უთავადესო, მტერთაგან შეუფრობელო, განცდელთაგან სანატრელო, მზისა საყოფო, მთუარისა სადგომო, და ჩემისა კელ-მქმნელ-მომკლევლისა დარბაზო!“

რამინ უვისობითა და უთავისობითა ესეთსა ყოფასა ყოფილ იყო, რომე ნორასხელნი თავადნი ერაცელად ვარდად უჩნდეს და მარავული ქვა გორაბულად თულად. თავისა ქუეყანისაებრ კაცსა სხუა ქუეყანა არ იამების და პირველისა მოყურისაებრ გულსა ვერავის მისცემს. ესრე იამა მის ქუეყანისა ნახვა, რომელ თოვლი მუნებური ქაფურად უჩნდა, ფურცელი ღალიად, ხენი სამოთხედ და მიწა უკუდავებად. შუალამისა ეამსა შემოვიდა მარავს; ვითა მკუდარი გაცოცხლებულ იყო, ეგრე ვალხინიანდა. რამინ მაშინვე, ვისი სადა იყო, მის კოშკისა ძირსა მივიდა. ვისის გუშაგი დაეყენა რამინის მოსლვისა მკურებელი. რა გუშაგმან დაინახა და იცნა, მასვე წამსა ჩამოვიდა და ძიძასა აცნობა. მან დია გაიხარნა და ვისის მოაკესნა:

„მოვიდა შენთა ქირთა მაქარვებელი, მოვიდა შენი მიწყით საგონებელი ლამაზი კელმწიფე, ტახტისა დამაშუენებელი, აბჯრისა მასახელოვნებელი. შენგან ნიავი სამახარობლოსა ითხოვეს, გაზაფხული შენი მოვიდა, ნაყოფი გამოიღო შენისა სიხარულისა შტომან, შენისა იმედისა სადაფმან თუალ-მარგალიტი გაპოვნინა სუიანობისა.

ჰხედავ, რომელ დამე განათლებულა, ჰხედავ რომელ შენი ქირნი არ ცუდ იქმნნეს! აწ ნაცუალი სიხარული მიეც გულსა შენსა, აწ შენ მიერ ქუეყანა სიხარულითა აყუავებულა, ქარი ამბრისა სულსა მისთა თმათაგან აბნევს. თუით შენ შენითა თუალითა ნახე შენი სიხარული და სასურველი. საშენო დარია. აქამდინ ლაშე სიბნელითა შენთა თმათა ჰგუანდა და აწ შენისა პირისაებრ განათლებულა. ცამან ალ-მური მოიკადა და აწ შენცა შენისაგან ჟანგი მოიკოცე. მთუარეო, მისისა მონსლეისაგან შენებრ მოხარულობენ მთანი და ბარნი, სუიანსა ეტლსა ზედა მოსულა შენი რამინ. შეყრასა ჰლამიან მზე და მთუარე, მისი ტურფა პირის კარსა ზედა დგას და ბრძანებასა ითხოვს შენგან, შენისა მწყრომობისაგან ზენარხა მოაჯობს. შენ მისგან მღურვით ხარ და იგი შენგან გულგატეხილია. გულისა შენისა კარი გაულე შენისა გულისა გამამხიარულებელსა; იმედიან იქმნენით ერთმანერთისაგან და დაივიწყე აქამდინ დამძიმებლობაო“.

ვისმან მოხარულ-ქმნითა, ყოველთა ქირთაგან კსნილმან, ეგრე უთხრა:

„შაჰინშას ქუე სძინაეს, ფათერაკთაგან დაშინებული ვარ, ანაზ-სდეულ თუ გაელუიძების, იგრძნობს. მე რამინს ველარ ვჰნახავ და იცოცხლე გამიცუდდების, თუარა თუით დარჩენასა აღარა მოველი მისსა; თუარა მე რალა გინდა წამეკიდოს, თუცა ერთხელ რამინ ენახე. აწ, ზენაარ ღმრთისათუის, შენ რა მარგე, ძილი შეუკარ, რომელ არ გაელუიძოს და ჩუენი საქმე ვერა ცნასო“.

ძიამან სწრაფით შეულოცა რამე ესრე, რომელ თუ ქუეყანა დაიქცეოდა, ვერ იგრძნობდა, ვირე მათ არ მოსწადდებოდა. მერე ვისი მოვიდა მღურვით გუარად, სარკუმელთა ზედა დაჯდა.

რამინ დაინახა, სიხარულითა პირი აუყუავედა, გულმან ღება, ვითა კარმან, დაუწყო; მაგრა მოიჭირეა და დათმო, გული თრთოლისაგანცა დაიწყნარა. რამინ ქუე დგა და მას არა შეუზრახნა. ცხენსა ეგრე უთხრა:

„ჰე საკედარო, თმისაებრ მაგარო და პილოსაებრ ძლიერო! შეილივით მიყუარდი და გექცეოდი, ოქროისა ბაგა შეგიქმენ, აბრეშუმისა ავშრითა მყევ, განებეირებდი; რად წამიხუედ, რად გამწირე და დამიგდე ბაგა და აღარ მოიგონე ახორი ჩემი? წახუედ, სხუა ბაგა და ახორი იშოე, მაგრა თუით შენ კარგი არა მოგიკდების. აგეთი თურე ყოფა სჯობს, თუ ვითარი გინახავს, შენ თუით იცი, მე რა-ზომნი ქირნი მინახევან“

რა რამინ შორით ჰბათობთა მზე ვისი დაინახა, უზომო რამე სიხარული მიეცა. ვარნა რა ესე ცნა, რომელ წყრებოდა, დია ეწყინა და ათასითა მუდარითა ქენება დაუწყო, ეგრე უთხრა:



„მზეო, გულისა და გონებისა ჩემისა წამლებო, მთუარეო გავსე-
ბულო, მთიებო ცისკრისაო, ლაშქართა სანთელო. კელმწიფეთა
სანატრელო, კეკლუტთა მანათლობელო ზე შუენებაო, ვარდო კოკობო;
სოსანო სურნელო! რად ისწრაფი მონისა სისხლთა დაღურისათუის,
რად ისწრაფი ჩემისა სიკუდილისათუის, რად მიმაღაე პირსა, რად
მოგნდომია ჩემი ველად გაკრა, რად არა იქ პირსა ჩემგერძ? მე რამინ
ვარ შენი საკუთარი, და შენ ვისი ხარ ჩემი სულთაებრ სანდომი! მე
რამინ ვარ შენი უმცროსი მსახური და შენ ვისი ხარ ჩემი პატრონი!
ზე რამინ ვარ მიჯნურთა მეფე, შენითა მიჯნურობითა და სიყუარუ-
ლითა ქუეყანათა შიგან არაკად გასრული, შენ ხარ ვისი მზეთა მზე,
პირისა შენისა უებრობითა და თუალთა და თმათა შენთა სიტურ-
ფითა ჩემი ესრე შეხუეწით აქა მომყუანელი. მე იგივე ვარ, რომელ
გინახავ და შენ აღარა იგი ხარ? ნუთუ ჩემთა მტერთა სიხარულისა-
თუის იჭირვი? თუ ყუელასაცა ჩემსა სიკუდილსა იჭირვი, ნუ მიწ-
ყრები, დაიამე გული, დამეზავე, ჰამოსა ლხინსა ნუ დაიმწარებ, ნუ იქ-
მნები ფიცისა გამტეხელი და უზენაარო, ნუ შეერთებულ ხართ შენ
და ჩემი გული ჩემისა სიკუდილისათუის. ნუ მწუაე უწყალობისა ცეც-
ხლითა! ვაი ესდენი იმედინობა ჩემი, რომელ თავი გავწირე შენი-
სა მიჯნურობისათუის! დავთესე მიჯნურობა სიყმისა ბალსა შიგან,
ჩემნი სულნი ვამეზურენ, ჩემთა თუალთა ცრემლითა ვრწყუიდი, ერთ-
სა ლამესა ვერ დავიძინი და ერთსა დღესა ვერ მოვისუენი, და დავი-
ლიე მისითა უკანადგომითა. რა გაზაფხული მოვიდა, შიგან ია, ვარ-
დი, სოსანი და ნარგისი აყუავედა, ხეთა ნაყოფი გამოვიდა მრავალფე-
რი, ბალი აშენდა, ვითა ბედნიერთა ბედი, შიგან ფრინველთა ყივილი
დაიწყეს, წყაროს შიგან იბანებოდინ, ზღუდე აუფე მაგარი. აწ მოვიდა
გაწირვისა ზამთარი, უხანობისა ქარი ზე გუალვისა ღრუბელი, უბედურე-
ბისა წელიწადი; აოკრდა იგი წალკოტი: არცაოა იგი ნაყოფი, არცა იგი
ვარდი, არცა წყარო, არცა სათიბი და არცაოა ზღუდე! მტერთა და
მეშურნეთა ამოსწყუიდეს, დაგლიჯეს, დაქრნეს ხენი, დაარლუინეს
ზღუდე და დააფრთხუნეს ფრინველნი. ვაი ესეთსა ჟამსა, რომელ კე-
ცისა ქურქელსა ჰგავს ჩუენი სიყუარული, არ ოქროისასა, რომელ,
რა გატყდების, ცუდად წაკდების! რა გული გულისაგან მოშორდა
და მოყუარე მოყურისაგან,—სიყუარული მოჰქარდა და ქირი ქირსა
მოემატა. აწ გაიხარნენ ჩუენთა მტერთა, რომელ ღმერთმან ჩუენი
მტერი ჩემებრ ყოს. აწ მზრახავნი ჩუენნი იკსნენეს ქირთაგან, აღარა
საზრახავი უც. ჩუენ არცაოა შუა-მოციქული გუინდა, არცა ხუაშია-
დისა შემნახავი, ნუცა ძიძა ქირსა ჰნახავს და ნუცა შენ, ნუცაოა მე
გული მტკივის და ნუცა მოაბად იმდურვის. ჩემგან კიდე შეტოდე-

ბული არავინაა; მით არავისი ბედია ჩემისა ბედისაებრ, მით ვჩივი ამისგან, რომელ მიწყით ძაბუნი ვარ. მისგან კიდე თუმცა ესრე უბედური არ ვიყავ, მე გული ესრე ვერ დამიმონებდა და ვერ მომალორებდა. ვინცა ეშმასა მომსმენია, მიწყით ჩემებრ ბრმა და დაღრეჯილი იქმნების. ალვისა ნედლისა ნაცულად ტირიფისა ხე ამოვლო და მუშკისა ნაცულად—ქუიშა, თუალისა პატროსანისა ნაცულად, ეტლთა და ფილაქთა მოქტევისაგან, კეცისა ნალეწსა დაჯერებულ ვიყავ. აწ შენდობასა ვითხოვ, მოილმობიერე საჩემოდ გული: მე ავი მიქმნია და შემციოდებია; შენ კარგი ქმენ და შემინდე! შეცოდებული ვარ და ვინანი. ვირე ცოცხალ ვარ, შენ პატრონი ხარ და კელმწიფე, შეგიძლია გარდაკდევა ჩემი; თავსავე ზედა დამამძიმებელი ჩემი შენ ხარ და ბოლოსა ნუ ყუილსა მე გარდამაკდე! თუ არ შემინდობ, კარსა ზედა მეკრედ დავდგები და მუნამდის მოვიტირეებ სამსახურისათუის, ვირე თავსა არ მოვიკლავ. მე ერთხელ შეგცოდე, არ მე ოდენ ვარ ქუეყანასა ზედა მცდარი. აწ მისად ნაცულად ათასსა შენდობასა ვითხოვ, მუნამდის გემუდარები და გექენები, ვირემდი გულისა შენისაგან წყრომა არ გაქარდეს. ვირე ცოცხალ ვარ, ჩემი თავი მიჩს შეცოდებულად და მას ვაბრალობ. ამისისა თქუმისაგან არ მოვისუენებ, შეცოდებული ვარ და ჩემსა საქმესა ვინანი. ვირე ცოცხალ ვარ, შეცოდებულსა შემინდე. თავისა მანანებელსა ზედა კელმწიფობა გაქუს და პატრონი ხარ; რაცა გწადიან, გარდამაკდევირე; მაგრა სადლაა მოწყალება, პატრონობა ჭ შემანდობელობა? რა ჩემი შეცოდება მოვიგონო, შენდობისაგან უიმედო ვიქმნები და გული დამეღევის. თუ ჩემი ქენება და მუდარა არ მოისმინო, აქა შენსა კარსა ზედა ნოკუდები; მუნამდის საბრალოდ ვტირ, ვირე სულნი არ დამეღივინენ, სხუაგან წასლევა აღარსად შემიძლია. რათგან შენ უწყალო მექმენ, სხუა ვინლა ვძებნო? ნუ მიზამ, მთუარეო, ნუ მომიმატებ ჭირსა ჭირზედა! ბერნი სიბერითა და ფილოსოფოსნი სწავლულობითა ნო-უტომელნი არ დარჩებიან, მალი ცხენი წაიქტევის, მკუეთი კრმალი დაბლაგუდების და მე ერთხელ ფათერაკად მოვცეთ. აწ შენდობასა ვითხოვ, ნუ დამსუამ კიდევანობისა ბორკილითა. მე მონა ვარ შენი, შეგიძლიან ყოვლისა პატივისა მოპყრობა, მე მოვითმენ ყუელასა ჭირსა ამისგან კიდე, რომელ აბეზარობასა შენგან ვერ გაესძლებ. ვერცა შენგან ვერე ქურეტასა მოვითმენ, სიბრმე მირჩეენია შენსა უქურეტელობასა და სიყრმე მირჩეენია საყუედურისა მოსმენასა. მე ღმერთმან უშენოდ წამსა ნუ მყოს და შენ უჩემობისა თმობა ნუ მოგცეს. ოდითგან ვერე მიწყრები, სიციცხლე მომწყენია. თუით მიწყყით უსამართლოსა ქმნისათუის გულმძიმედ ხარ, ყოველივე ქვა

და რკინა საცეცხლესა ზედა მოეხუევის. აწ შენისა გულისა სიძძივე ჩემისა გულისა ცეცხლიანობასა მოუმატე, რომელ, თუ ზღუაცა დაასხა ჩემსა გულისა ცეცხლიანობასა, ვერცა იგი დაავსებს. ესე ქლეყანისა აღმური ჩემისა ცეცხლისა კუამლისაგან დგას, ჰაერმან გულისა შენისა ნადები იცის და მით მტირის, ბედისაგან გაშავებულა ლამე. მით ასრე მთოვს, ესრე საკუირელადაა ტანი ჩემი მიჯნურობისაგან, რომელ ნახევარი ცეცხლსა ჰგავს და ნახევარი მყინვარსა. კაციმცა რად ეგებოდა ესეთი, გარნა არცა ანგელოზი და არცა ეშმა ესდენ შეუწონელი არვის უნახავს. ვინ ნახა მყინვარი ცეცხლისაგან დაუდნობელი, ანუ ცეცხლი წყლისაგან დაღშრეტელი ჩემგან კიდე? ვისცა ესრე მიჯნურობა სულთა შიგან შეჰზელია, მისი თოვლთა შიგან მოკლვა აუგია. მე ეგრე ვეჭუდი შენგან, თუ ცეცხლისაგან მიკსნასო, არა თუცა ესე მგონებოდა, თუ თოვლთა შიგან მომკლავს. ნუვის ათქუმევ, თუ მეტი მუდარა ძაბუნიაო. მე შენი სტუმარი ვარ, ყოველი კაცი სტუმრისა პატივისცემისათუის მოიქირვებს, არა ესრე ველსა გასდევნის. და თუ სიკუდილი ჩემი გწადიან და გეადვილებს, ესრე საბრალოდ ნუ მომკლავ, სტუმრისა მოკლვა თოვლითა ბილწი საქმეაო“.

i

ვისისაგან ჰასუსხი



ისმან, ვითა ლომმან გამძუინებულმან, წყრომით ვგრე უთხრა:

„წაედ, რამინ, იმედი გარდაიწყუიდე ჩემგან, გული დაიამე, ვითამცა არცა მიცნობ და არაოდეს მარავი ქალაქი გინახავს, ვითარცა ორნივე არა ყოფილ ვართ, აგრე დაიჭირე. მე იგი მტკივის, რაცა ჩემსა თავსა ზედა შენგან გარდამკდარა; აწ ნულარას

მემღურები, ერთხელ მომადლორე, მომკალ და მომაყიენე, აწ კულა მასევე ჰლამი და აღარ ეგების. წაილე შენი კუამლი! რათგან ცეცხლი წაგილია, კუამლიცა წაილე; რათგან ზენაარი დაივიწყე ღ ფიცი გამიტეხე, ჩემი მოცთუნებეა აწ აღარა შეგიძლია. წაე, გულსა ეუბნებოდი, მას აღორებდი და მისისა მიჯნურობისათუის ხელობდი თუ შენ ფრთხილი, გონიერი და ენად კარგი ხარ, არცა მე უნო და რეგუენი ვარ. შენ ეგეგუარი დია იცი კაცისა ლორება და ხლათვა, გიცნობ და მრავალჯერ მომისმენია შენგან ეგეგუარი ცქაფვა; გარნა მომწყენია ზენართა შენთა სმენა. მე აღარას უღალატებ მეუკესა მოაბადსა, ველარ გაესწირავ ჩემსა არაგამწირავსა, მას საქმესა აღარა ვიქმ, რაცა კულა მიქმნია და შემიცოდებია. საჩემო იგია, რომელ ესდენ ავითა ზნითა უყუარ, ეგრეცა არცა წამსა მომაკლებს წყალობასა და სიყუარულსა, არცავეის სხუასა გამოირჩევს ჩემსა; ნიადაგ გულ-მართლად მოყუარულია ჩემი, არ შენებრ უზენაროა და არცა შენებრ რას მეტყუის და მიბრძანებს. აწ გულ-მართლად სუმად ზის, რომელსა სიხარული ნუმცაოდეს მოაკლდების და შენგან ამისა შური, რაცა მას ჩემითა სკირს! აწ ამის მეშინიან, რომელ შაჰინშა საწოლს შემოვიდეს, თავისა წალკოტსა შიგან ვარდი ვერ ნახოს, მე საგებელსა ზედა მძებნოს და ვერ მპოვოს, და კულა რაითამე გაეაწყრო. აგეთიმცა იყო საყოფი მისი მიწყით, ვითარი არის, და შენთუის როგორიცა იყოს—ყუელა აღვილია! ამა გაყინულისა სიყუარულისა მიზეზითა კულა აღარა მწადიან მისი შეცოდება; კმა არის აქამდის ჩემი კირი,

რომელ შენითა გზითა ვიწყრობდი შაჰინშასა და ლმერთიცა შენითა მიზეზითა დავევიწყე.

ათასჯერ სიცოცხლისაგან იმედი გარდამიწყდა და ამა ყოვლისა ქირისა ნაცულად ბოლოდ შენგან ზენაარისა და ფიცისა გატეხისა, იმედ-გარდაწყუენდილობისა და მოყენებისაგან კიდე არა დამჩაო. ჩემი პატრონი მომდურავია და ლმერთი დამბადებელი ცისა და ქუეყანისა განალამცა არათავე მომეძალა! სიყმე შენისა მიჯნურობისა, სიყუარულისა და მოუცილებლობისათვის ხელსა ცუდადრე წამიკდა და უხარელად შენისა ჯავრისაგან კელნი შევიტყუელვენ და კელთა ქარისაგან კიდე არა დამჩაო. რაზომსაცა ვუბნობდღე, სათქუმელი არ დამელევის. ამა ხისაგან ნაყოფი არ მოგხუდების, არცა ამა გზისაგან სიხარული. შეიქეც, წაედ კიდე, ცუდი ქირი გინახავს აქა მოსლევითა! შელამე გარდასრულა, ფიცხელი ქარი ქრის და ორი მტკაველი თოვლი დაუც. ცუდად ნუ ჰრეკ ამა კარსა—რკინასა ციესა. შეიწყალე შენი თავი და წაედ კიდე, რომელ არ მოჰკუდე ამა თოვლთა შიგან ყოენითა. ძილი გაამოს ლმერთმან და ლამე და დღე სუიანმცაა შენთუის გულ, ვარდ-სახელი და ვარდ-ლაწუი“.

გულსინადები არცა ეგრე გამოაცხადა.

სრულსა ლამესა რამინ თოვლთა შიგან დგა და ჰაერი მისსა თავსა ზედა წუიშდა, ღრუბელი მისსა ცხენსა ზედა ჰაფურსა თოვდა, ცა ცრემლსა ასხმიდა და ქარი რამინსა ზედა სულთქნიდა. ცისკრამდი ეგეთსა ყოფნასა იყო, რომელ თავით ფერკამდინ რაცა ტანსა ეცვა, ყულა გაჰყინვოდა და თუით, ვით რკინა, შექმნილ იყო.

ვისი შიგნით ეგრე მტირალი და მკერდდაღებული იტყოდა:

„ესევეითარი თოვლი და მყინვარი არის, რომელ მისგანვე სახლად მყოფი ვკუდები! ჰე ღრუბელო, რამინისა თავსა ზედა ტირილისათუის შეირცხუინე! მისი ვარდის-ფერობა ზაფრანად გაგიკდა და მისნი ფრჩხილნი ლილის ფერად. მაგრა ორნივე გებრალებით და მით სტირ. რათგან მას ევენების, ნუ სთოვ! ღრუბელო, მოისუენე ცოტად, ნუ მიმატებ ქირსა! ჰე ქარო, ვირემდინ ჰქრი, ცოტად დაწყენარდი! შენ არ იგი ქარი ხარ, რომელ მისითა სულითა ყოველსა ქუეყანასა სურნელობდი? აწ რად არ გებრალეების მისი ტანი ესეთისა სიცოცხისათუის, რომელ მისისა ტანისაგან სისურნელესა ითხოვენ ნარგისი და სოსანი? ჰე მდიდარო ზღუაეო, რაზომცა მდიდარი ხარ, ეგეცა რამინის მონა ხარ. თუცა თუალ-მარგალიტი დია გაქუს, რამინისებრ უხვი არცა ეგრე ხარ. აწ დარი ჰპოე მას ცხენოსანთა პატრონსა ზედა ღრუბლისა კელითა, მით გამოგზავნე წუიშა. შენი აბჯარი წუიშა და თოვლია, და მისი აბჯარი მკუეთია. თუ ამას ლამე არ დაეკსნე-

ბი, მისთა ლაშქართა მტუერითა გაგაკმობს. ჰაი, ჰაი! რა შეუწონელი და უსირცხვილო ვარ, რომელ ნებიერად დარბაზთა შიგან დაჯდომილ ვარ და ნაზუქი ტანი მისი თოვლთა და ბუქთა შიგან მიმყოფებია! რამინის პირი და ტანი აწ ყუითელ-თეთრი ვარდია, და ვარდისა ხისა მაწყენი მიწყით სიცივეა“.

მერე კულა ველარ გაუძლო გულმან და მივიდა სარკუმელთა ზედა; მისთა შუქთაგან სრულად ქუეყანა განათლდა.

კულაჯა საუბარი ვისისაგან



თხრა ვისმან რახსსა: „შენ ჩემი შვილურად საყუარელი ხარ, არ მინდა საშენოდ ესეთი თოვლი და წუიმა, გარნა ავისა ამხანაგისა მოახლე ხარ და მით გკირს ყუელაი. თუმცა ეგეთისა ამხანაგისად არ შესწრობილ იყავ, თუალთამცა ჩემთა ზედა ადგილსა ვიპოებ შენთუის. მეწყინების შენი ესრე ყოფა: რად სძებნე ამა მგზავრობაშიგან და ავსა მოყუასსა შეესწარ? არ იცოდი, რომელ კარგთა თანა კამს გამოსუენება და მგზავრობა? აწ ცულად წაგედომია კირი: არცა ქუე დაგაყენებ,

არცა რად გაგაკუირვებ; არცა პირად მიგიშუებ. წაე, ახორი და საკუები მუნვე ძებნე, რომლისათუის დაგიდღივარ!“

ეგრეთვე რამინს უთხრა:

„წაე, რამინ, შეიქეც გარე! მრავალჯერ შენსა კარსა გდგომივარ და ასრევე შენ არ შეგიშუივარ, მრავალჯერ ზენაარი მითხოვნი და არ მოგისმენია, მრავალჯერ სისხლისა ცრემლითა მტირალსა მიძახია ჩემნი სასჯელნი და არ შეგბრალედივარ და არცა ჩემი კაცი გინახავს, არცა წიგნი წაგიკითხავს. მაქსოვან მრავალნი ჟამნი, რომელ შენ ჰამოდ გამოგისუენებია და კარგად გძინებია ჩემისა საქმისა გაუვლენელსა, და მე უგულო აშფოთებული და შექირვებული ცრემლდენით ყოფილ ვარ. აწ რაც ჩემდა გიქმნია, ეგე მისი ნაცუალია; ავისათუის ავი ნაცუალი მოუცემია ღმერთსა. რაზომცა შენ ჩუილი და ნაზუქი ხარ, ჩემგან უფრო არა ხარ. თუ საშენო ოდესმე ვიყავ, აწ გაგდებას რას მემართლები? აწ გარდაიწყუიდე ჩემგან იმედი, ვითა მე შენისა გულისაგან გარდამიწყუედი. ამისი შექირვებული ჯდომილ ვარ. შე იგი ვიყავ, რომელ ამედოვნობისა ნახვითა ზღუასა შიგან ვიარებოდი, აწ ზღუისა ლელვითა დაქსნილ ვარ, გული უსარგებლო შეგე-

რებისა იმედითა გამირცხია. აწ რათგან ძუელისა მოყურისაგან არა გაქუს ბედი, წაედ და ახალი მოყუარე შეინახე. ძუელი დრაჰკანი და თუალი კარგია, თუარა ახალი უფრო საყუარელია! რა ჩემსა სიყუარულსა გაწირვითა თავი მოჰკუეთე, მაშ მეორედ ვითლა დაიდგნეს მოკუეთილმან თავმან ყელსა ზედა? რა ჩემსა სამარესა ზედა ბალახი ამოვიდეს, იგიცა შენგან მომძიმარი და წყენილია, პირველ მიჯნურობისა ჰირთაგან და მერმე გაწირვისა ჯავროთაგან, და თუითოსა ფურცელსა ზედა ასი ათასი „ჰაი, ჰაი“ სწერია. რაზომცა თათბირიანი ვიყავ, ესე არ ვიცოდი, თუ გულსა სიყუარული დაუბერდებოსო. აწ ნულარ ეძებ ჩემგან სიყუარულსა,—ბერნი მეორედ არ გაყმდებიან!

არ გაკსოვს, ოდეს წიგნი მოგეწერა და ათასი საგინებელი და სათრეველი ეწერა, ეგრევე საყუედურისა მოციქულობა შემოგეთუალა და არა დაგრჩომოდა აუგი, რაცა არ მოგეთუალა? მე შენისა სიყუარულისაგან კიდე არას გავეხელე; თუ სიყუარულიცა გამომეცადა მე, შენისა სიყუარულისა სწორი არავისი გარდამიკდია. ჩემი გული შენგან კიდე არავის ეცნა ზ არცვის ნება შენგან კიდე ეპონა! შენსა [გარეშე] არავინ გამოვირჩივენ, არცარათ შენ გეცრუე და არცავინ სხუა მოყუარე ეძებნე შენგან კიდე,—და შენცა ბედისაგან აგრე გაჰკე! მას უბედურსა დედასა ჰგავ, რომელ ერთი ასული ესუა, და იგიცა ბრმა. გული ჩემი მშუილდისაებრ მრუდია, სიტყუანი ჩემნი ისრისაებრ მართალნია; რათგან გული შენი საგანია, საყუედურსა ვერ გასძლებ. აილე შენი საგანი, რომელ ვერ ეცეს ისარი. წაედ, რომელ არ გესმის სიტყუა გულისა დამბნედელი, სიმწარითა ნავლელი და გამკუეთელი კრმლისაებრ“.



რამინისაგან პასუხი

ამინ დალრეჯილმან პასუხად ვერე გამოსცა:

„მაგა საუბრითა ცად ნუ გასრულ ხარ, მთუარეო! შენ მაგა სატყუასა ვერ გაასრულებ, დათმობისა ბარითა თიკასა ვერ იიღებ. შენი ენა და გული არ ემოწმების ერთმანერთსა; რასაცა შენ უბნობ, შენი გული მაგისგან აბეზარია. არავინაა სიყუარულისაგან მპარავი, რომელ გულისაგან თმობასა წაუღებს და დაწუთავან ფერსა ასრე ადვილად, ვითა მთრვალისაგან ოქროსა ტარალი. თუ მე დაბერებულ ვარ, მიჯნურობა ჩემი არ დამბერებია; ახალი კმა ძუელისა ძალისაგან ჩამოიკრვის. მე შენი სიყუარული ყოვლისა სოფლისა სიხარულად მიჩს,—რად უნდა სიბერესა კსენება? ეგზომსა ნუ მეკიცხევ, ნუ მაყუედრებ; მრთელსა სნეულობა არაოდეს მოუნდების! აწ შენმრთელი ხარ, მე ბედისაგან სნეული ვარ და არ მიაჯია ესე ჳირი. იგრძენ ჩემი ესრე მიჯნურობა და გაამაყდი! თუცა ტუოფათა უხუცესი ხარ, თუით შენ იცი, რომელ საჩემოდ ეგე ერთიცა არა გმართებს. თუცა მონათა შეცოდება არ გამოჩნდებოდა, მოწყალებობისა სახელსა სად ჳპობდით? რაზომცა გამდიდრებულ ხარ, გლახათა მოიგონებდი. მე რაზომცა დია შეგცოდე, აგრე უბრალო პატივი არცა ვერე მმართებს. სამოთხესა შიგან მყოფმან ადამ ღმერთსა შესცოდა, და მე მისი ტომი ვარ; თუ შეგცოდე, შენდობას გთხოვ. ღმრთისა განგება კაცსა თავსა უწერია; შეცოდება მასცა გუარსა თანა შეუზელია; არცა მეცნიერობა შეაქცევს ღმრთისა განგებასა და არცა ჳაბუკობა მოერევის ფათერაკსა, არცა ცნობილობა და არცა სიხელეთავისათუის კაცი უბედურობასა არ გამოიჩრევს.

ნულარ მეკიცხევ, ნულარ მაყუედრებ; ნულთუ უცნობო უქმნივარ შენსა მიჯნურობასა და შემიცოდებია, თურე შენ იცი, რომელ

ნებიტა არ შევიდოდი შენსა შეცოდებასა. თუ რა შემოცოდებია, არა არის წამალი შენდობისაგან კიდევ; კმა არის ჩემთვის ესე, რაცა გიქმნია!

მე თოვლთა და წუთიშათა შიგან ოდითგან ვდგა და შენ წამსა და წამსა თუალთა მაცილვებ; უწყალოდ, უცრემლოდ და უზენაროდ ხარ ჩემზედა, ენითა, ვითა კრმლითა მკუფითითა, მჭრი და ეგრე მეტყუი: „არაოდეს მინახვიხარ და არცა გიცნობ, და თუ მინახვიხარ, არცა უიმედოდ გასრულ ვარ და მიჯნური ვარ შენგან“. ნუ ეძებ ჩემგან კიდევანობასა და ნუ მოგიცლია ჩემად საკლავად. გუშინდელი შეცოდება გუშინდელსა დღესა თანა წავიდა, შენ აქათგან მნახე, თუ ვით შეგაგუო და ვითა გმსახურო ხვალითგან. თუ იგი ფიცი გამიტეხია, აწ შენდობასა ვითხოვ. თუცა შენდობისა თხოვა კარგი და საკამსოა, პატრონთაგან შენდობა უფრო სახელია. დასტურობით იცოდე, კარგისა ქმნა არ წაკდების, მე ჩემი მუქაფა ესრე გაწბილებით გარდამიყდია, —მეყოფის, თოვლთა და ბუქთა შიგან ვდგა და შენ კაცობისა თულნი დაგიხუქვან. უწყალოისა გულისაგან რაცა გწადიან, ყუელასა ზედა კელი გაქუს და იქმოდი, ჩემისა კიდევანობისაგან კიდევ. მაგრა ამა გულითა ნაველესა ვერ ესკამ და ამა სულითა ტუირთსა ვერა ვჭიდავ; თუ გული ჩემი ქვაცა არის, შენსა კიდევანობასა ვერა გავსძლებ. შენისა სიშორისაგან მეშინიან და სხუისა არას კირისაგან არა, რომელ ღმერთი შენ გთხოვს მისთა სისხლთა!“



ღე

ვისისაგან ჰასუსი

ე რამინ, უმეცრობითა ფათერაკისათუის დაპყრობილ ხარ. პირველ გაწირვა ბოლოსა ჟამსა გულსა ესრე დაესობის, რომელ უკუნისამდე დააჩნდების კაცსა. მე შენი ჯავრი გულსა დალად დამჩენია და ესრე ღრმად ჩაუწუაეს მას სადაგუელსა, რომელ შენი სიყუარული ესრე გაუძია, ნაკუალევიცა აღარ მიუშუთა. არ დაგეტევის ერთსა კაცსა უსჯულობა და მოლორება, არცა ერთსა გულსა მტერობა და მოყურობა, თუცა გული

გლახ ჩემი რკინისა მთა ყოფილ იყო, ეგრეცა დაილეოდა უსამართლოდ შენისა გაწირვისა გონებლობითა.

რა ათასთვერი შენგან ჩემი დამძიწება მოვიგონო, შენი სიყუარული ვითალა ეგების? თუით შენ იცი, თუ შენზედა რაზომი ზენაროჲა ვიკმარე, რაზომი კარგი ვქმენ და რაზომი ქირი გამიძლია შენისა იმედისა მომლოდნობითა; და შენ ჩემზედა იგი ჰქმენ, რომელ ღმრთისა უარის მქმნელსა ჰმართებს; და თუით მე ვიცი, რა ნაცუალი მომაგე! რაცა დაგითვისავს, შენვე მოიმკი. ჩემსა სხუა გამოირჩიე და საშენო ჰპოე; თუით სამისოდ ჰკამ და იგი საშენოდ, ჰპოეთ ერთმანერთი. წახუე და, ვითა ორბმან, მძოვრი სკამე და, რა ვასძელ, აქავე მოხუე!?. უხანოო! ცხენი გაჰყიდე და ნაცულად ვირი იყიდე, — კარგად ივაჰრე!

თუით შენ ჩემებრი სით გფერობდა? საშენო საყოფი მლაშე ქვიანი და უმდგლო არის, რასალა ეძებ მწუანვილიანსა წალკოტსა და საყოფსა? მე ლომი მეგონე, ირმის მონადირე, — ეს თურე ბერი მელი ხარ, ათასითა ხრიკითა ყურდღლისა ძლივ შემპყრობელი! რათგან ტანი წმიდად გებანა, თავსა ნაცარი რად დაისხი? რად დასდგი

ლუინისა ქიქა და კელთა ძმრისა აიღე? რად დასდგი მუშკიანი უკდუ-
რი, და ნიორის ჯამი დაიჭირე? რად აღსდგე საკელმწიფოისა საგებ-
ლისაგან და დასჯედ ფლასსა ზედა? არ კმა იყო იგი შეცოდებად,
რომელ წახუე, დამაგდე და ცოლი შეირთე და შენი მგონებელი გამ-
წირე? ყუელასა ჩემი გაბედითება აცნობე და ჩემთა მტერთა გაახა-
რე. არ კმა იყო, რომელ ჩემი სათრეველი წიგნი მომწერე და საგი-
ნებელი და სისხლნი ჩემნი მას წიგნსა შიგან დალუარენ? არ გაკსოვს,
ოდეს ძიძა გამოგიგზავნე და აჟი ავსა მომიმატე, ავინე და გამითრიე,
ათასი გრძნეულობა, ავის მოქმედობა, ძალღობა, ჯადეგობა შეჰყივ-
ლე? შენ ხარ ჯადეგი და უწრფელო, არ ძიძა! რაცა მას უთხარ, აწ
ყუელა შენთანა მიპოვნია.

თავსავე ზედა იგი გლახ მოალორე და მეც, რომელ ყოველი
საქმე კელოვნად იცი. უხანოო! უზენაროდ შენ იყავ ჩუენზედა: წა-
ხუედ გორაბს, ვირე გწადდა მუნ იყავ და იხარებდი, აწ მოსულ
ხარ თუალ-ცრემლიანი და გუეუბნები. სიტყუანი მოგიკახმან გარეთ
ოქროითა და შიგნით რკინითა, და მე იგი წალკოტი ვარ, ათასფე-
რად აყუავებული, რომელ შენგან მაგა ერთისაცა თქუმა არ მეკად-
რებოდა; მე იგი ვარდი ვარ, რომელ ყოველნი კელმწიფენი ნატრით
თავსა გარდაიყრიან; შენთა თუალთა წინა ვით გავეკე ესრე სააუგოდ,
რომელ დევისაგან უფრო გედუხჭირებოდი? მე წმიდა წყარო ვარ,
რომელ რა სუი, მიწა ჩააქციე; აწ კულა მოგწყურებია და სწრაფით
მოსრულ ხარ. თუცალა გნდომოდა, მიწასა არ ჩააქცევდი შიგა!“



ამინ ეგრე უთხრა:

„ჰეი ყუაველო ჩინელთა, ბარბარელთა! ნათქუა-
მია, საწუთრო წისქუილისა ქვისაებრ მბრუნავია;
ღმერთსა ესრე დაუწესებია, რომელ ზოგჯერ ცხელია
ღ ზოგჯერ ცივი, და ჩუენ საწუთროისა შეილნი ვართ.

ეგრევე კაცი ზოგჯერ მრთელია და ზოგჯერ სნეული, ზოგჯერ ბედ-
ნიერი, ზოგჯერ უბედური და ზოგჯერ გლახა. კაცისა ბედი სუსტია,
რომელ,—ცოტა კორცი და ცოტა ძუალი,—ვერას მოიჭირებებს: ზაფ-
ხულსა სიცივეს მოინდომებს, ზანთარსა—სითბოს; თუცა საქამადისა-
გან ცოცხალა, ეგრეცა ჰამა დაასნეულებს; რაცა საწადელი მოუნდე-
ბის, სანამდის აღარ უნდა, ვითა პირველ? რა ნება მოვიდა, წავიდა
კუშტობა, და რა ნდომა მოვიდა—წავიდა სიზანტე! არასაწადელი
უარეა მიჯნურობასა: რა მზისა მსგავსი გიყუარდეს და შენ მას
უყუარდე, ასრე მიჯნურობს კაცი, რომელ წამსა თმობა აღარ შეეძ-
ლოს. ნდომისა კელსა ქუეშე გული ძაბუნია, ჰამოისა გამოსუნენებისა
და ძილისაგან უნაწილო ღია ქირსა ჰნახავს ძებნასა შიგან, და
რაისაცა ჰმნა და ნება მიჰხუდეს,—მასვე წამსა გაძლებს და მოეწყი-
ნების; და ვერცა ერთგან ყოფნასა გასძლებენ, ნაზობენ, ღ ვერცა სი-
შორესა მოიჭირებენ.

შეცა კაცი ვარ და ერთსა საქმესა ზედა ყოფნად ჟამმან არ მიმიშუა.
ვითა ფრინველი, გონებითა ეგრეცა შენსა მიდამოსა ვფრინვიდი,
ამით რომელ შენისა მიჯნურობისა ლაგამი ამდებია პირსა. მაშინ
შენი ზნე ყუელა აგრე მეკეთებოდა, ვითა თუით საკეთო ხარ;
მერმე რა შენ გამიწყერ, კუშტობა დაიწყე და მტერობისა ახა-
ლი კარი გააღე, წავედ, რომელ არამცა მეჭურითა შენისა წყრომისა
და ნაზობისაგან. წავილე სიყუარულისა კაკაბი შენისა ნაზისა ქორისა
შიშითა; იგი გული, რომელ შენგან ნებიერი იყო, შენგანვე ბედი-
თობასა ვერ მოითმენდა; მეგონა წასლვისა ჟამსა, ნუთუ უვისობა
მოვითმინო. ეძებნე კეკლუცი გულისა მისაცემელი, მას გული ამაღ

მივეც, რომელ მეცა შენისა ჯავრისაგან დაქსნილ ვიყო. მითხრეს: „მიჯნურობასა სხუისა მიჯნურობისაგან [კიდევ] არა დასწუთავსო, ვითა რკინასა რკინისაგან კიდევ არა დაღეწს“. რა კაცსა ახალი მიჯნურობა გულსა ჩაუფარდების, ძუელსა მალე დაიფიწყებს; რა ახალი სიქა მოვიდეს, ვაჰრისა ძუელი სიქა უპატიოდ გაკდების ქალაქსა შიგან.

მე რა მოყუარეთა შემავონეს, მათითა მივჰმართე გორაბს. თუ-არა ესე შენცა იცი, რომელ ჩემი თუალთა ჩენა შენი ქურცთა არის; ვითა წყურვეული წყალსა, ეგრევე მე შენისა პირისა ნიშანსა ვეძებდი. ზოგჯერ შენისა ჯავრისაგან დაქსნასა ვეცდებოდი; ვარდი, ვარდ-სახელი, ვპოვე გზასა ზედა, ეგრე მეგონა—ელვარე მთუარეა და მისისა სეხნასებრ სურნელი და ლაწუ-წითელი. ეგრე ვიტყვოდი: „გული მივსცე ამა მზესა, დავექსნა ვისის ქირსა!“

გულსა სისხლითა ვჰრცხიდი. ცხადად და იღუმალ შევაგონებდი საბრალოსა გულსა ჩემსა და არა მერგების მისითა მუდარითა; შენგან სიქუშენსა და ნაზობისა ჯავრისაგან ვეძებდი ამა ღონესა, შენისა სიხლისა მოწყენილი არცა მაშინ ყოფილ ვარ; გარნა რაზომნი რამე საქმენი მაშინ ჩემზედა იქმნნეს, სხუა ღონე არცაღა ეგრე მქონდა, და აწ ასე მომდებია გულსა ცეცხლი, ვითა თუით იცი. მაშინ შენითა გამოთხოვითა წავედ, ცოლი შევირთე ეგეთი, ვითარი გასმია, და აგრე დიდად შევეწყაღე შაჰინშას. დღივ და ღამე ვტიროდი, ნადირობასა ვიყავ თუ სუმაღ ვჯდო, ჩემნი ცრემლნი შემშრალნი არვის უნახვან. შენისა სიყუარულისათუის ცოლი დავაგდე და იგი ეგზომ დიდი დიდება; ჩემგან შენსა სიშორესა შიგან გაძღება აღარ ეგებოდა; ესეთი ორგულობა იქმნა ჩემსა ტანსა შიგან, რომელ რა ტანი სიხარულითა იყვის, გული ეგრეცა მოზრუნავთაებრ შენისა სიშორისათუის ტიროდის, დაილეოდის უშენობასა შიგან. არცა მძინარესა და არცა მლუიძარესა უშენოდ წამიცა არ დამიყოფია ჰამოდ. აწ შენ ხარ ჩემი ღონე, ავი და კარგი, ქირი და წამალი, სიტკბო და სიმწარე, სიცივე და სითბო; შენ ხარ ჩემი ნება და ფათერაკი, ქირი და ლხინი, დაღრეჯა და სიხარული, სიგლახე და სიმდიდრე; შენ ხარ ჩემი სიცოცხლისა მიზეზი, შენ ხარ თუალი და გული, სული და საწუთრო, ჩემი მზე და მთუარე, ცა და ქუეყანა; შენ ხარ ჩემი მტერი და მოყუარე, რომელ ნუთუ ბედი ხარ და ყუელა შენგან მით მქირს. შენ მიყავ, რაცა გწადიან, კელმწიფე ხარ ჩემზედა! მე შენგანვე შენთანა მით ვჩივი გულმკურვლად და შემოგებუეწები, რომელ გულსა ზედა პატრონი ხარ, მე ესერა შენითა კმობითა მოსრულ ვარ და ნულარ უწყალო მექმნები!“



ისმან ეგრე უთხრა მტირალმან და ეგრევე მჯდომმან, რომელ მისისა პირისაგან ბანნი განათლებულ იყვნეს. რამინის ეგრე ღგომის და მიქირვებისათუის გული სტკიოდა, მაგრა ქვისა მსგავსი გული მისი არცა ეგრე მოლბა. ქვასა ზედა ნახატი აღვილად მოიკოცების, მაგრა იგი აღრინდელსა შურსა ივებდა. რა გული გაუკურდის, შურმან მისმან ცეცხლსა ზედა წყალი დაასხის, ეგრე არქუა რამინს:

„ჩე მალორებელო, ენად სიკეთისა მინდობილო! ენოვნობისა მოედანსა შიგან ბურთი ჩაგივლია. წადილითა ქარი არ შეიპყრობის, არცა ტალახითა მზისა შუქი დაიკოდების. თუ წახუედ ჩემისა სიყუარულისაგან გორაბს, ვითა წყურვეული წყალსა ეძებდი; ზოგჯერ ჩემისა პირისა ნიშანსა ეძებდი, ზოგჯერ ჩემისა კიდევანობისათუის ქირისა მავიწყებელსა აღარა გქონდა სხუისა ცოლისა შერთუისა კიდე; შეირთე, რომელ ქირი დაგავიწყოს,—და უჩემოდ არას ეამსა გქონებია გამოსუნება და სიამე,—აჰა, ვითამცა ესე ყუელა მართალი გითქუამს, დამიჯერებია.“

მაგრა ესრე სათრეველი და სააბეზარო წიგნი რასთუის მომიწერე? რად მომითუალენ ეგზომბი ზნენი და აუგი? ჰიძა გლახ ჩემი ესრე ბედითად რად გამომიცოროვე? ვისითა ბრძანებითა გაჰკადე მისთა მტერთა წინა, ვითა ძალლი, უპატიოდ? აწ ერთსა შეგაგონებ და გულის-ყურითა მოისმინე: ვისცა წაეკიდებოდე, გულსა შიგან საზავოსა აღვილსაცა დაუგდებდი; მეცნიერი კაცი ომსა შიგან საზავოსა აღვილსაცა დააგდებს. შენ ეშმამან ვით გაგახელა, რომელ ძირითურთ სიყუარულისა ხე შენისა გულისაგან დაიგლიჯა?

არ გასმია, რომელ ორნი ეშმანი მტერობისათუის მიწყით ნიადაგ კაცსა უკანა დგებთან; ერთი ეგრე ეტყუის: „ესე რამე საქმე ქმენო, სარგებელი მოგხუდების.“ და რა ქმნას, მეორე ეგრე ეტყუის:

„რად ჰქმენო? წასწყობილიო“. შენ პირველმან ეშმაგან ესრე გავხადა, რომელ უკანანდელი განანებს. ავისა უქმნარობა უადვილეა შენისა შენდობისა და ზენარისა თხოვასა. ესრე ვითა უმაშნოთა შექამადთა ქამასა მაშუნეთა სჯობს, და უადვილეა უკანის ზედა წამალთა სუ-მასა. თუცა ეგე ცნობა მაშინ გდებოდა, აწ ენა ჩემი უმოკლე იქმნე-ბოდა; და თუით თუცა ეგე ცნობანი მსხდომოდეს პირველივე, რა საჩემო იყავ? ვითა შენ დამაგდე და ინანდი, ეგრევე აწ მე ვინანი და მე ვარ მას თავისა ბრალობასა შიგან: თუით რად გნახე და თუ გნახე, რად საყუარულად შემეყუარდი, რად მოგისმინე? აწ შენ წყა-ლი ხარ და მე ცეცხლი, და წყალი და ცეცხლი ერთგან აღარ მოჰ-დებინო“.



ამინ ლმობიერად ეგრე უთხრა ვისსა:

„შენმან ამას ლამესა წყრომამან სიკუდილსა მიმწურა! ჩემთვის ორი ლამე არის: ერთი ჰაერისა სიბნელისაგან და ერთი შენისა წყრომისაგან. რა დიდსა თურე გაჰირვებასა გასძლებს კაცისა გული!

თუარა შენსა საჩემოდ ეგრე ხედვასა შიგან ვითალა გლახ ცოცხალ ვარ? ამის ლამის სიბნელისაგანცა სულნი პირად მომსლვიან. ჩემმან რახსმან რალა გლახ შეგცოდა? დია თუ მე შეგცოდებული ვარ და თუ ჩემთვის გშურს საჯდომი და საგებელი, ამისათვის ეგრეცა ცოტა ბზე და ქრთილი ნუ გშურს, ვითამცა თუით ყოლა არ მიცნობ და სტუმარი ვარ; ყოველი კაცი სტუმართა მასპინძლობისათვის იჰირვის და შინა უნებლივ აწუხევს. ამა ცხენისა სიყუარულითა გაახარე სულსა ჩემსა, თუარა მე თოვლსა შიგან თუ მოგკუდე, სახელად მიჩს შენითა მიზეზითა სიკუდილი და არცა უშენოსა სიკუდილი და სიცოცხლე მინდა! აქა სიკუდილი მიჯობს და მირჩევნია ამა საწუთროსა ჯაერისა ზიდვასა და შენისა წყრომისა სმენსა. აჰა, ვითამცა არცაოდეს სახელი გასმია ჩემი. არცალა შენდობისა რაის მთხოველი ვარ, ნულარ აგრძელებ ჩემსა საქმესა, ნუ მიზეზობ! აწ ყოველი კაცი ნაჯომარლობით გიკმობს; თუ ეგრე მითხრობ: „შეიქეც გარეო, უიმედოო“, — ვისცა ესმის, სიძუირესა გიზრახვენ, არ წყრომასა იტყუიან.

ჩუენსა შუა არცა სისხლი ქმნილა და არცა ძუელი მტერობა, ესე ნაზობით არის, და არ გულის გამოღმართი რამე მტერობა. სიკუდილითა ლალობა არა კამს. აწ შენ მონისა სულითა რას ჰლალობ? მე არ ესეთი ვარ, თუმცა სიცივემან გამაქცია ანუ ესე მიდამო დამაგდებინა. ვირე სულნი მიდგან, აქა ვედა შენსა წინაშე; არა მგამა, თუ თოვლსა შიგან მოგკუდე; არცარად შეაუგების შენთვის სიკუდილი. უშენოდ ყოფაცა გამომიცდია და მკუდრისათვის ცოცხალსა ძინატრია, და თუ უშენოდ ცოცხალ ვიყო, რადმცა სიხარულად მიჩნდა?! ჰე საზარო ზამთრისა ბუქო, მოიმატე ფიცხელი

ყინვა და თოვლი, რომელ უმაღლე დამილიენე სულნი! ჩემთვის სიკუ-
დილი თოვლსა შიგან დია უამეა საწუთროსა ძაბუნობასა და მოყუ-
რისა დამტერებულისა ხედვასა. ტანი ქვისა და სული რკინისა ვერ
გასძლებს ამა ყოფასა, რასაცა შიგან მე ვარო“!..

r



ისმან ეგრე უთხრა:

„ჰე გამწირაო რამინ, ბოლოსა ჟამსა შენისა გონებისაგან ჩაიქერ ფათერაკსა. ავისა მოქმედთა და შემცოდეთა წესი ეგრე არის, რომელ განალა ოდესმე აგეთსა ქირსა ჩაცუივიან, ვითარსა აწ შენ ჩავარდნილ ხარ. წარსული ფრინველი მახესა არ შეებმისლა? შენ აწ ამას ქალაქსა მარავს შიგან უსახლო ხარ და ეგზომთა მოყუარეთაგან უცხო; არცა ოდეს ჩემგან ნებასა ჰპოებ და არცა მარავ- შიგან სადგომსა. ესე სჯობს, რომელ ცუდად არა სდგე, ბედითად არ უბნობდე და რიყესა შიგან ვარდსა და სოსანსა არ ეძებდე. რა წინანდელი მოყუარე კელთაგან წაგივიდა, ესე სჯობდა, რომელ უკანანდელსაცა გუერდით ჰამოდ ჯდომოდ იყავ. გულ შენი ცოლი არის და მისებრი მალხენელი შინა გიჯდეს, შენ სხუაგან რად იყო ასრე გულგატეხილი?

ესე დარბაზი შაჰინშას მოაბადისია და მისისა სტუმრისათუის ბედნიერიმცა, მაგრა არ ეგეთისა მომაციენებელისათუის, ვითარი შენ ხარ. ნუეინ მეჰმანი გიყოს ღმერთმან, რომელ არცა მასპინძელისათუის გრცხუენიან და არც ღმრთისაგან გეშინიან! და შენ არცა მანდა დგომასა და ჩემსა საუბარსა ღირს ხარ, პირად ვით მიგიშუა ანუ მოაბადის დარბაზსა შიგან ვით შემოგიყვანო? მე აქაით კიდუ გაგაწუევე, და შენ ეგრე იტყუი: „სტუმარი ვარო!“ მას გლეხსა გაძებულსა ჰგავ, რომელსა სოფლად არ შეუშუებდეს და იგი ეგრე იტყოდა: „სოფელი ჩემისა კელისა არისო“. ოდეს სახლით გამოხუე, მაშინევი არ იცოდი, რომელ ზამთრისა თოვლი და წუიმა იყო და ბუქი შეიქმნებოდა? ესე გზა სალაღობლად რად გიჩნდა, რათგან ესე იცოდი, რომელ მარავს არცა სახლი გიდგს და არცაღა ვისი შენი

მოყუარე იყო? რად დაიწყე ზამთარს უბარგოდ სიარული? შენი უმეცარი გული შენი მტერია; შენი საყუედური მე არადლა დამაჩნდების.

კარგად მოაკენა ჯიმშედ მეფესა მისმან ვაზირმან თუ: „უმეცართასა ნუცა სიხარულად მიხუალ, ნუცა ზრუნვადაო“. ჯერეთ ოდეს არცა კელმწიფე იყავ და არცა სპასალარი, მაშინ დღიე და ლამე ჩემისა შეგონებისაგან არ დასდგებოდი; და აწ, რა გასდილდი, შენი ალამი და დროშა ცად გაიწია, საყუელაოდ შეუპოვარ იქმენ და მე აბეზარ-მქმენ, გამკიცხე და გამაბედითე, და აწ კულა ჩემგან სამას-პინძლოსა ეძებ, ზამთრისა [ჟამსა] ზაფხულსა ინატრი. რა ნებიერი იყო და მოხარული, მაშინ არ ჩემი ხარ; და რა თოვლმან და ბუქმან გაწყინოს, მაშინლა მოხუალ?!..

გარდაიწყუიდე ჩემგან იმედი, დამეკსენ შენისა ღმრთისათუის და გამააზატე შენისა საუბრისა და სიახლოსაგან!“



ამინ გულ-გატეხილმან ეგრე უთხრა:

„ნუ მიზამ, მთუარეო, ნუ მაყუედრებ ეგზომსა დაურიდებლად, ნუ დამამძიმებ! არ მეყოფის ეგზომი გინება და ეგზომჯერ პირისწყლისა წაღება და აუგისა ყუედრება?.. კულა ზედა საყუედურისა ის-

რითა მესრუი გულსა, ველარ გავსძლებ ამის მეტსა. სული და გული დაგიწყლულებია ჩემი, ამის უარესი რაღა წამეკიდოს. რომელ ეგრე მეტყუი: „ეგე ადგილი მშურს, სადა სდგაო?“ რად გშურს ფოლორცი ჩემად სადგომად? არ მოაბადისა დარბაზია. კამს თუ მტერად და მესისხლედ მიჩნდე, რათგან ყოელისა კაცისა სავალი შარა ჩემთუის სადგომად გშურს. მტერთა და მოყუარეთა ყუელათა სავალია და შენგან თუით არ პირიანია შური. არ თუით შენ მითხარ თუ: ფრთხილნი კაცნი წაკიდებისა ეამსა გულსა შიგან საზაოსა ადგილსა დააგდებენო, აწ შენ რად არ გაკსოვს იგი? ნუთუ არა თიკისაგან დაბადებულია შენი გუარი? აწ თუ არ შემინდობ, წავიდა სიყუარული, რაცალა საქმარია—იქმნა!

აქათ წასლვა მინდა ულონიოდ, მაგრა უგულოსა, უმოყუროსა, ულხინოსა და უთმობელსა შენისა თმისაგან იადგარი მიბოძე; შენისა თავის საბურავისაგან პირისა დამავეიწყებელი მომეცი; შენისა ტოილოსაგან ერთი ალყა წამატანე მის ყმისა, ბერისა, ყუელასა გულისა დამდებელისაგან. ნუთუცა დაეკსნა სული ჩემი პირთაგან, რათგან შენისა ისრისაგან ეგრე დაიკოდა! ნუთუ ვირე სული ჩემი გასძლებდეს პირთა, შენცა გასძლებ ჩემთა კიდევანობითა! მასმია თუ: „ლამე ყუელა მაკე არის და არვინ იცის, თუ დილა რასა შობსო.“ შენცა რა იცი? ნუთუ აღარ მაგა ბუნებასა ზედა იყო, რა გათენდესო?“



ისმან ეგრე უთხრა:

„ეგვი, რასაცა იტყუი, ვიცი; გარნა სიყუარული შენი ქუე აროდეს დამცემს და შენი ძალი ვერ შექძრავს. ნაველესა შაქრისა გემო აროდეს მიეცემის; ქალღლი ქვისაგან აროდეს შეიქმნების და არცა ღუინო ღიმოსაგან. ცუილი რკინად არ გამოიღნობის; ძუელი მტერი კაცსა გულ-გაწმედით არაოდეს დამოყურდების. შე შენითა სიტყუითა არაოდეს განვმართლდები, ვერცა შენითა ნახვითა შექირვებისაგან ვიქსნები.“

მე შენი საუბარი ბედითი ჩემთვის მტკივის, რომელ აქამდის ვისითა ყოფილ ვარ მომცდარი და ვისდა უკანა დგომილ ვარ, დიდნი ხანნი დამიყოფიან შენისა სიშორისათვის მტირალსა და ეგრევე სიახლისათვის მქონებია სიხარული; და აწ არცა მეცივნებიან და არცა მეტირებიან. მე შენგან არ ეგრე მტკივის გული, რომელ შენგან ენა-მაგალითად-საუბარმან გამიკურნოს. აღარ აქუს გულსა ჩემსა სიყუარულისა მონობა: აქამდინ მელი იყო და აწ ლომად შექმნილა. შენი ავი ნაქმარი ყურსა შიგან ასრე გამჯდომია, რომელ სხუისა საუბარ-სიტყუისა სასმენელად გზა შეუქრავს. ყურნი ჩემნი შენ დავიყოფიან, შენთა სიტყუათა მოსმენა აწ ვითალა მქონდეს? დაივსო იგი სიყუარულისა სანთელი, გავძელ შენებრთა მოყმეთაგან, აღარცა თუით შორით ქურეტა შემიძლია.

დამაგლო მან გულმან, რომელ მემტერებოდა და მაქირვებდა. ყუელი რამე გამომეცუალა: იგი თუალნი, რომელ შენ მაშინ დავინახი, და ყურნი, რომელთა შენი საუბარი ესმოდის, ესრე გამოცუალებულან, მაშინ რომელსა მზისა ქურეტა ეგონის, აწ ვითამცა ფიცარსა გხედვიდა; რომელსა, სამახარობლო ვითა, კმა უხაროდის, აწ შენისა კმისა სმენა ვითამცა მახუილი რამე დამქსობის. არ მეგონა სიყუარული ეგზომ ბრმა, ვითა აწ ვიცი; მიჯნურსა ყოფნა მიწყით დანალულდების. მე აწლა ვარ გამოსურნელებული, გულ-მხიარული და თუალ-უცრემლო; აქამდის ცუდად დამილევიან დღენი და აწ ველარ დავებმი შენითა საქმითა მასვე ქირსა. ამას სოფლისა სიამესა და საუკუნოსა შეუბასა ერთ ავკაცად და უხანოდ ვერ გავსცული“.



ოკ

ამინ კულადა ვგრე უთხრა:

„გული ჩემი შენ გყავს, მისი წამალი შენ ხარ და ლონელ შენვე გეძებ; შენ რაზომცა შორს მდევნი, მე ვერცა ვგრე გელევი. ვიცო, რომელ მოგძულე-ბივარ და მოგწყენივარ, ჩენისა მტერობისა თესლი

დაგითვისავს, მაგრა მე შენითა სიყუარულითა ვერაოდეს გავძლები და შენის გაყრისათვის ვერაოდეს ვგულოვნობ. მე თუით მეტსა არას ღირს ვარ: შენგან გინება და ჩემგან ქება, შენგან კუშტობა და ჩემგან ლმობიერობა, შენგან წყრომა და ჩემგან შეგუილი და სიყუარული ძუელებრივივე. მე აქათ ველარა შიში წამიყვანს და შენებრსა ვერა სადა ვჰპოვებ. თუ ერთსა თუალსა ამომიგდებ, მეორესა თუალსა წინა მოგიპყრობ; ვგრე რაცა გიგინებია და მწყრალ ხარ, ყუელა წყალობად და ლოცვად შემიწირაჲს. შენგან წყვეა კურთხევად მიჩს და შენგან გინება და აუგთა მოთულა ესრე მიაგების, ვითამცა ნუბიერსა მუტრიბთა კმა მესმოდა; რომლითა ენითა მაწყენ, მითვე მალხენცა. მე ვგრეცა შენისა ლმობიერებისაგან მოველი შენსა სიწყაღულსა. მე იგიმცა კაცი არ ვიყავ, რომელ ლომი წინაით აშინებდა და პილო უკანით. თუ აქა ვიყო, ნუ თუ შენსა ეგზომსა წყრომასა ვერ გაუძლო? და წავიდე, ვაი თუ ამა თოვლმან და ბუქმან მოსამეგლას. მე ამა ფათერაკთა ორთა შუა დაპყრობილ ვარ, ამა ორთა საქმეთაგან უღონო ქმნილ ვარ. თუცა სიკუდილი ძნელია, ამაღ ჟამთა სანდომია, რომელ ჭირთაგან იკსენების კაცი. საწუთრო თუალთა, ვითა ალყა, მკიშნიდ მიჩს და გული ჩემი შენთა შავთა თმათა ალყითა დაბმულია; მე ესეთი აქათ სადალა წავიდეო!“



ოდ

ისმან ეგრე უთხრა:

„ეგე, რომელსა ენასა არქუმევე, გულსა ერთიცა არ გიც. გულსა შიგან ზარსა აგროებ და ენასა შაქარსა. ღმერთი, ცათა შიგან მყოფიცა, ნუ მისთვის ღმერთი! და თუ შენი გული ჩემთვის მოყუარული არისცა, შენი კელი თუით ივია, რომელ შენსა ენასა ვინცა არ იცნობს, ესრე მოილორების, ვითა მე მაშინ მომალორე. აწ, რამინ, დადევ გული, სიშორისა თმობისა წყალი დაასხი ცეცხლსა ზედა. რა-

ზომიცა საუბარი დაიმოკლო, გიჯობს; რაზომცა მეცა მოკლედ გიქურეტდე, მეცა მიჯობს.

„კაცი თავსა კირსა მისცემს, ოდესცა გამოცდილსა კულა გამოსცდის; მეყო იგი წყარო, რომელ თუალთაგან მადინე. თუ ათასსა წელიწადსა ცეცხლის მსახური ცეცხლსა მსახურებდეს, ბოლოდ ეგრეცა ცეცხლითა დაიწუის. უგუაროისა შვილი და მგლისა ლეკუი წურთითა არ გაკეთდების, აწ ამას წინათ ღია გამომიციდინხარ, ზოგჯერ მუდართათა და ზოგჯერ მუქართათა, და რაცა იყავ, ბოლოდ გამოიჩინე. ნახევარნი ღლენი ჩემნი შენითა ბედითა მოყივნებასა და აუგსა შიგან დავლიენ, და აწ ბარე რომელი დამრჩომია, ამას ბედითად არ წავაკდუნებ; მის პირველისა მიჯნურობისაგან სარგებელი არა მაქუს კელთა, რომელ აწ სიყუარულსა დავება. აღარა შემიყუარდებიან ჩემნი უყუარელნი და აღარ მივსცემ გულსა უზენაროსა კაცსა, არა ვარ თავისა მტერი, დედამან არ შენთვის მშობა და არცა ღმერთმან თავი ჩემი შენ მოგცა.

ჰაი, ჰაი, რა ღია მეყოფიან უსარგებლოდ და ცუდად ათასისა წლისა ეგზომ დიდნი კირნი, რომელ მინახეან, და მუნითგან აუგნი! ამის მეტი აღარცავისგან შეგუება ეგების, რომელ შეგაგუებდი და შენი გაუწირავი ვიყავ, და მით გული ესრე მომიკალ. რასდონიცა კარგი ვქმენ შენზედა, იგიცა სინანულად გამიხადე! მიჯნურობამ

ჩავაგდო ქირსა ძნელსა, უკუდავეება დამანაველა და მოყუარენი დამამტერნა. ერთმან გულმან ვირემდინ გასძლოს სიყუარულისა და სიძულვილისა ქირი! თუცა რკინისა მთა ყოფილ იყო, ეგრეცა ბეწვისა ოდნად დაილეოდა. თუ მიჯნურობა გწადდესცა, შენ ამას არ იტყუია თუ: ერთხელ შიშისა და ქირისაგან დაკსნოდა და აწ კულა სირეგუნითა ბადესა რადლა შეეგაო?!“



ოე

ამინ ვგრე უთხრა:

„ნუ გამწირავ, ვისო! გული და ენა შენი არ ემოწმებიან ერთმანერთსა, შენსა გულსა ვერ უგრძნია, თუ ენა შენი რას უბნობს. შენი საუბარი ღუმბულსა ჰგავს, რომელ კმა საზარო უც და შიგან წმიდა ქარნი დვას. შენი ენა იტყუის გაძლომასა ჩემსა, მაგრა გული შენი ვერ შეშმართებს. ღმერთიმცა ჩემი ანუ მისი მწე, თუ შენ არ დია გიყუარ და არ დია გინდა ესე, რომელ მანდა შენს გუერდით ვჯდუა მაგრა აწ ბედი ჩემი ესრე მომქცევია, რომელ დამმესისხლებია და შენ უგულოითა საუბრითა გაუბნებს.

აწ მე თოვლთა შიგან გაყინული ვკუდები და ამის მეტი აქ. გაძლება ყოფნისა აღარა მაქუს. აწ იგი არაკი გამართლებულა თუ: „უმეცარი მოყუარე მესისხლესა უარეაო“. თუ თავისა შეილიცა უმეცარი იყოს, მისგან გარიდება კამს. მე აქა თოვლთა და ყინვათა შიგან ვდგა, და შენ ნებიერად ტფილსა სახლსა ფოცხურისა უპითა ხარ და ათასი რამე ბედითა საუბარი დაგიწყია.

არაა აწ ჟამი ნაზობისა და ნებიერობისა! შენ იგივე და იგივე საუბარი არ დაგეღვევის და ლამაზობა, და მე სიკუდილი ჰაერისა სიფიცხისაგან მომწურვია. ჩემი სიკუდილი ომსა შიგან კამს, რომელ ლაშქარნი თავის-თავ შემომრეოდეს, არ ესრე უნაცულოდ და ბედითად თოვლთა შიგან. აწ რათგან არ გინდი, არცა მე გეპატიეები. რა ცოცხალ ვიყო, მე მოყუარე არ დამეღვევის; მე შენგან ჩემსა დათმობასა არა ვეკუ, შენ მოაბადისი იყავ და მოაბად შენი იყოს; მე წავედ, ღმერთმან თქუენ ერთმანეთისანი გყენესო“.



ისმან ეგრე უთხრა:

„ეგრეშკა არის, ვითა სთქუი! ღმერთმან მშუი-
ლობა მოგცეს, ძილი და სიარული ორივე გაამოს
და დღე სუიანი და გული მხიარული მოგცეს, და
მე, ვისი,—საკამსოის მეცნიერი და სანატრელი მო-
ყუარე ვარ, და ჩემებრი არა გინახავს და არცა გას-
მია. მე იგივე ლაწუთა სინათლითა კაცისა განმანათ-
ლებელი მზე ვარ და ლამაზთა სიტურფეთა მეფე
ვარ ზანგეთისა. ჩემთა ლაწუთა სიახლითა ვარდთა

პატივი ასრე აეკდების, ვითა ვარდისა სიახლითა კმელთა ნართა; |მე
რომელ გენახე, მას ზედა არა მომკლებია, მატებისაგან კიდე; ჯერეთ
ელვარეობა არ დაბნელებულა, არცა მუშკისა ფერი თმა ჩემი არ
გაქაფურებულა, არცა კბილთა ჩემთა მარგალიტობისა ელვარება
მოჰკლებია, არცა სიმართლე ნაკუთისა ჩემისა გამრუდებულა. თუ
მაშინ ახალი მთუარე ვიყავ, აწ კულა მზე ვარ, სიტურფითა კელმწი-
ფეთა კელმწიფე ვარ. მძინარეთაგან ოქროსა ტარალი ესრე ვერ წაი-
ლებს, ვითა მე მლუიძარეთაგან—გულსა; ლომი ირემსა და ავაზა
თხასა ეგრე ვერ შეიპყრობს, ვითა მე ჩემთა მიჯნურთა გულსა!

თუცა მე შენთანა უპატივო, ძაბუნი და ბედითი ვარ, სხუათაგან
არა მჭირს. აწ იგიცა მოიგონების და მეცა. ვარდიცა გინდა და
იაცა. ასეთი დღე მომხუდა ასეთისა თათბირისაგან: ადრე აოკრდე-
ბის ქალაქი, რომელ ორნი ამირანი სხენ. საღ გინახავს ორნი კრმალ-
ნი ერთსა ქარქაშსა შიგან ჩაგებულნი, ანუ დღე და ღამე ერთგან
მყოფი? უმეცრობასა მე მაყუედრებ, და შენ თუით უმეცრობისაგან
გასრულ ხარ მტერთა საშუროდ.

შენ თუმცა უმეცარი და შლუი არ ყოფილ იყავ, ერთიმცა ეგე
არ დაგემართებოდა. რათგან მე უმეცარი და გონება-ნაკლული ვარ,
ჰმადლობდი ღმერთსა, რომელ შენ ესეთისა უმცოდნელოისა მოახლე-
ობისაგან აღარ დაპყრობილ ხარ; და ეგ ზომ დიდისა კელმწიფისადა
და თუით მისებრ უმეცრისად, ვითა შენ ბრძანებ, შენისა პატრონისა
კოლი და მოახლე ვარ, და აღარ შენიო!“

რა ვისმან ესე საუბარი გაასრულა, არცა ეგრე მოიღმობიერა გული, სარკუმელთაგან გარე შეიქცა და მალლად გუშავთა ეგრე უთხრა: „ფრთხილად იყვენით, ამას ღამე ნუ დიძინებთ; ავი ღამეა. ნუთუ ჰაერობისაგან ციხესა რა ევენოსო!“ ესე ამად თქუა, რომელ რამინს სრულად იმედი გარდაუწყდეს.

რამინ მუნით წავიდა სიცივისაგან გაყინული, სულთა და მოყურისაგან გაწირული. მიეფლვოდა თოვლთა შიგან გახლებული ვისის ჯავრისაგან. თავის თავსა თუით გულსა უღებდა და ეგრე ეტყოდა: „ნუ შეიქირებებ, გულო, თუ მოყუარემან გაგწირა,—მიჯნურობასა შიგან ესე ღიდად იქმნების, მიჯნურთა უპატიობა ღია დაემართების. და თუ აწ ცოცხალი დარჩე, დაეკსენ ესეგუარსა საქმესა. აქათგან აზატი ხარ ყოვლისა ქირისაგან, და აზატი კაცი მონისაგან ქირსა და ჯავრსა ვერ გასძლებს უსამართლოდ. არ ეგების გუარიანი კაცი უსამართლოსა მოქმედო და გონიერი კაცი—უპატიობისა დაუხედავი. შენ აქათგან მიჯნურობასა დაეკსენ და, ვირე ცოცხალი იყო, გარდასრულთა დღეთა სტიროდი, ვისის ნაქმართა იგონებდი და ამასა იტყოდი: ვაი, ცუდად დაღევენულნი დღენო ჩემნო, რომელ იმედისაგან კიდე ვაების მეტი კელთა არა დარჩა! ვაი ბურთსა უკანა ცხენისა ცუდად მოკლეა, რად ჰელოი ვერ წავიდე! გულო, გეტყოდი თუ: შეიქეცხვასა,—აჰა, ორმო დაგბუდებისა! ენაო, შენცა შეგაგონებდი თუ: ხუაშიადსა ნუ გამოაცხადებ! უსაქყოლ ვჰხედვიდი ჩემსა გაბედითებასა, რომელ, რა შენსა გულის ნადებსა ვისსა აცნობებდი, იგი მუნამდის გაავრძელებდა მისსა ნებიერობასა და ნაზობასა, რომელ საამოვნო აღარ დარჩებოდა. გულო, გიჯობდა სულისა დანება, აჰა, აწ გითქუამს და არა გერგო?! მართალი თქუა კაცმან ვინმე თუ: დათმობა ფრინველთათუისცა კარგიაო.

საწუთრო ასრე მალორებელია, ვითა ვისი და რამინ მიჯნურობამან დაიძაბუნა. საწუთრო ეკიცხევს ყოველსა კაცსა, მომზიდობასა და ბუნებასა კაცთასა ესრე აბრუნებებს, ვითა თუალთა-მქცეველი მძივსა: ზოგჯერ მოხარულია და ზოგჯერ შექირებულელი, ზოგჯერ მოყურიანი და ზოგჯერ მტერიანი და მეშურნეთაგან შეფრობილი. თუმცა ამისი ღირსი არ იყო კაცი, დიდის გემოითა ვერცავეინ ნაზობდა, არცავეინ ვისთუის გამიჯნურდებოდა, და არცა თავსა ქირისა და სიკუდილისათუის დასდებდა. და თუმცა ამა საქმისაგან დაღალატებულნი არ იყვნენ, საწუთრო ეგრე ვერმცა აბრუნებდა, ვითა ვისის და რამინს დაემართა,—სიყუარულისა უარაკოისა შედეგად უარაკოსავე საერაჲმანერდოსა უწყალო გამწირაობასა მიჰხედენ.

რა რამინ იმედ-გარდაწყვედილი, გულ-დაწყულეული, თუალ-
კრემლიანი და სიცივისაგან სიცოცხლე-მოძულეებული წავიდა, ვისი
ზე უკუ მოდგა. და შეეკმნა სინანული და შეკირვება ვისის რამინისა
შინა არშეშუებისა. ტიროდა, პირსა, თავსა და მკერდსა უწყალოდ
იცემდა; მოიტყოდა, ვითა ქირისა-უფალი, მოსთქუმიდა, თავსა უმე-
ცრობასა ემდურგოდა, თუალთაგან სისხლისა ცრემლთა იდენდა და
ნაკადად გასდიოდა; ქვითა გულსა იცემდა, თუით მასცა გაქვაებულ-
სა პირი განაცრისფერებოდა, ჩანგისაებრ კუნესოდა და იტყოდა:

„რად მოვკალ თავი თავისითა კელითა? რად ვქმენ, რად მოვი-
წყინე სიცოცხლე ჩემი? რად ვიყიდე თავისა პირი უმეცრობისა ჩე-
მისაგან? აწ ვინდა დაავსებს გულისა ჩემისა ცეცხლსა? რაღა მიკნის
მე ჩემთა ქირთაგან? რასალა ჟამსა მოველოდე სულთა ჩემთა დგმისა
მიზეზად, რომელ ბედისა ჩემისა უსულოსაგან არაოდეს მაქუს გამო-
სუნება? ვაი და ვაგლახ მე! რა ვქმნა, სხუა ჩემგან კიდე ვინ დამ-
ტერებია თავსა თავისა საკლავად ანუ თავისა ნაქმარსა რა ვისგან
ეწაძლების?“

მერმე ძისასა ეგრე უთხრა:

„ჰხედავ, თუ რა წამეკიდა! ვის დამართებია ადამისობითგან
ესე, რომელ კაცსა ესრე უცნობო-ქმნით და გახელვებით, მისთვის სა-
ნატრელი საქმე ღმერთსა კაცისათვის მიეცა, და მან თავისითა უბე-
დურობითა თუით დაიკლო? ვინ დაბადებულა ჩემსა ეტლსა ზედა
სხუა კაცი? კარსა ზედა მოვიდა სუებედნიერობა ჩემი და უმეცრო-
ბითა ჩემითა გავდევნი; უკუდავებისა ქიქა მქონდა და მისგან სილა-
ლითა მთრეალმან კელთაგან დავაგდე. შავისა ბუქისა გრიგალისაგან
ნტუერი ადგა ჩემთვის, ლურჯისა ღრუბელისაგან ფათერაკი წუიმიდა
ჩემთვის; რაზომი თოვლი და წუიმა ამას ლამე ცისაგან ჩამოსრულა,
ასე ეგზომი შეკირვება ჩემსა გულსა ზედა დადგომილა. სიხარული-
საგან დავგლახაკდი და თავისა სანთელი თუით დავავსე. აწ ამისგან
კიდე ჩემი ღონე არა ვიცი, რომელ შენვე მიშუედე, ძიძაო. ადგე
და სწრაფით მოეწიე, სადავეთა მოეკიდე, დააყენე ჩემი სულისა წა-
მღებელი და ეგრე მოაკსენე:

„ჰჰე, გამწყრალო, რად კამს მიჯნურობა უნაზო!? კაცი მიწყით
იმედისა მომლოდნეა, და მიჯნური კაცი მოყურისაგან დია ნებიერო-
ბასა გასძლებს. შენ რაცა საჩემოდ ჰქმენ, საგულისო იყო, და ჩემ-
გან ესე სათქუმელი—შენი სალაღობელი და საცდელი იყო. არ
იქმნებიან მიჯნურნი ესრე, თუცა მათ შუა ესეგუარი რამე არ გარ-
დაკდეს. ვის შეუყუარდების ესეთი მოყუარე, რომელ ერთსა სიტ-
ულასა ნაზსა ვერა გაუძლებდეს? თუ მე საუბრითა დავამძიმე, შენ

რაზომ დიდითა ნაქმრითა დამამძიჱე, იციცა? თუ შენგან იგი ნაქმარი საკამსო იყო, ჩემგან ესე საუბარი რადლა არა? თუ შენგან მისი ქმნა კამდა, ჩემგან თურე სულისა დაღება კამს?“ და თქუა: „ვირე მე მოვიდოდე, შენ დააყენე ძიძაო, და მერმე მე ვითხოვ შენდობასაო“.

ძიძა წავიდა სწრაფით და ვისი უკანა წაუღგა, მიჯნურობისა და შექირვებისაგან გახელებული და თმობა-უქონებელი. მას მისითა სიყუარულითა არცა ბუქისა ჰგაოდა და არცა სიცივისა; გზა-გზა თოვლი ვარდის ფურცლად უჩნდა.

რაზინ ძიძასა დაეყენა და ეუბნებოდა; მერმე ვისი მივიდა, სიცივისაგან თრთოდა და ტანისა მისისა სითეთრითა თოვლი დალიბრდა, ღამისა სიბნელე მისისა პირისაგან განათლდა და თმათა მისთაგან ქუეყანა გასურნელდა,—ვითამცა ახლად რამინისათუის მზე ამოსულ იყო. მოვიდა რამინს წინა, თუალთაგან მარგალიტსა ჰყრიდა, ვითა ცა თოვლსა. ეგრე მოაკსენა:

„ჰე ქაბუკთა სანთელო! იცი თუ შენ ჩემთუის რა გიქმნია ანუ რაზომ-ფერად მოგიკლავ, მოგიყიენებივარ? იგი არ კმა იყო, აწ კულა ღამი ჩემსა მოყიენებასა? ვიცი რომელ ჩემგან არა გრცხუენიან, მაგრა ღმრთისაგან რად არ გეშინიან? გაბრკე თავისა თავსა ზედა, რომელ ყოვლისა კაცისა გული შენებრ ნაზუქია. ყოველსა კაცსა ეწყინების, რა მოყუარე აწყენდეს და დაამძიმებდეს; ყოველსა კაცსა ნება თავისათურს უნდა; რაზომცა უფრო მიჰხუდეს, ეგზომცა უფრო მოუნდების. ვითა აწ შენ ჩემგან გწყენია, აგრევე და კულა უფრო მე შენგან მიმძიმდა; რაცა სათავისოდ მოგეწონოს, იგივე სხუისათუის გინდეს. საწუთრო ესეთია, რომელ ერთსა ზედა არ დაიდგამს: ერთხელ შენ-კერძი და ერთხელ ჩემ-კერძი. თუ მტერი ესრე გაკდეს, ვითა შენ გწადდეს, მაშა ნუთუ შენცა ასრე გაჰკდე, ვითა მას სწადდეს. ვინცა შენებრ ავისა მოქმედი იყოს, ერთისა სიტყუისა საღალღობელისათუის რად გაწყურეს? ნახე, თუ შენ ჩემზედა რა ჰქმენ ანუ რა მიყავ, რაზომნი აუგნი მომითუალენ! შენგან ავისა მოქმედება რომელ ვიცოდე, ამისათუის მგმობდე? ტუირთსა ზედა გამწირაობისა ტუირთი მომიმატე, არ იყოფინე იგი, რაცა ჰქმენ და წახუედ, ფიცი გამიტეხე, სხუა ცოლი შეირთე და მის გუერდით იხარებდი.

და თუ ღონე არ იყო ცოლისა შერთვისაგან კიდე, ისეთი წიგნი რად მომწერე, რომელ ჩემი და ჩემისა ძიძისა სააბეზარო იყო და გინება? რა მოგემატა მით, რომელ გუიყავ? თუ შენისა მოყურობისაგან არ შეგრცხუენდა, ფიცისაგან რად აღარ შეგრცხუენდა, რო-

მელ შემოგეფიცა თუ: „ვირე ცოხცალ ვიყო, ფიცი არ გაეტეხო“. თუ კამდა შენგან ფიცი და ფიცისა გატეხა, ჩემგან რად აღარა კამდა მის ყამისა შენი დაყუედღრება? რად ჰქმენ ესეთი საქმე, რომელ მისი ესენება სააუგოდ გიჩს? არ გასმია, რომელ ავისა ქმნა საყუედღრითა უფრო მოყიენდების? მით ავია ავისა ქმნა, რომელ უკუნისამდე აკსენებენ. რათგან საყუედღურსა ვერ გასძღებ, მშუიღობასა რად არ გამოირჩევ? გასინჯვედი ყოველსა საქმესა და ხელისასა დღეს ნუ იქმ. თუ შეება ვისმე და დასცემდე, განალა რამე მისგანცა გეცემის; თუ ჯამი შესტყორცნო, კუტალსა შემოგტყორცებს; თუ ავი დასთესო, ავსა მოიმკვი; ავი სთქუა, ავიცა გესმის; რაცა გითესაეს, ნაცუალი გინახავს და რაცა გითქუამს, პასუხიცა გასმია. უნაცულო შეცოდება არვისგან ქმნილა საშენოდ.

მაგრა ესე არ პირიანია, რომელ შენსა შეცოდებასა მე გარდამაკდევი! ნუ სწყრები, შენ ხარ ბრალისა უფალი და დამამძიმებელი. შეცოდება არა ვიცი, შენდობასა რასა გთხოვო? ამას რად არ მითხრობ თუ—ესეთი ამირობა ვინ მოგცა ჩემზედა?

შენ ბრკე იყავ და გამოაჩინე ჩემი ბრალეულობა. ამასაცა ვიკითხავ თუ: ჩემსა თავსა, ტანსა და პირსა ზედა რა არის სააუგო და არ კარგი? მე ჯერეთ იგივე ვარ, რომელ მიცნობდი: იგივე პირი, იგივე თუალ-წარბი, იგივე ბაგე-კბილი, იგივე ნაკუთად კარგი, რომელ საროსა ვჭავე; პირი სისაესითა თნუთმეტისა დღისა მთუარესა მიგაქს, რომელ სინათლესა მზესა მოუღებს; ვარდი ლაწუთა ჩემთა სიახლითა დაყუითლდების; მარგალიტი კბილთა ჩემთაგან გაწბილდების, თმანი მუშკობისაგან არ შემცუალეზიან და, თუ გაზაფხული პირსა ჩემსა ჰნახავს, ხისა მწუერეალთათ ფურცელსა ჩამოჰყრის სიკცხულითა.

რა იცი ჩემთანა მიზეზი, შენისა მიჯნურობისა და გაუწირაობისაგან კიდე? არ შენი მოყუარული ვარ, არ შენგან კიდექმნილობასაცა შიგან შენი მომღურებული ვარ, არ ყოვლითა საქმითა შენი საკუთარი ვარ, არ აღამისობითგან გუარაიანი და უზადო ვარ, კეკლუტთა დამადღუხირებელი და კელმწიფეთა დედოფალი? რაზომი თმა მასხია, მისგან უმრავლე არიან ჩემნი მიჯნურნი? ჩემგან კიდე ვის შეუენის სიკეკლუცე ანუ ვინ ზნეუკლები, რომელ სულთა და ოქროსაებრ ყოველსა კაცსა უნდი? ჩემსა სიყუარულსა შიგან ჰქმენ ჯომარდობა და აწ ცოტად მუღარა მექმენ; თუ სრულად აბეზარ-გიქმნია ჩემი სიყუარული, აწ გულსა ვგარეცა მოერიდი.

ნუ გამოაცხადებ, ამა მოყუარესა ნულარ მოაყიენებ, კმაა, რაცა აქამდის შენგან აუგი დამმართებია! ფრთხილი კაცი მას უფრო აქებს,

ვინცა თავისა ხუაშიადსა შეინახავს, რომელ მისი გულის-ნადები ვერცა მისმან პერანგმან სცნას და ვერცა მისისა თავისა თმამან: შენცა ჩემსა დამტერებასა ნუ გამოაცხადებ, სრულად ნუ გამწირავ; რა ვიცი ნუთუ ოდეს მოგეკმაროს ჩემი სიყუარული! საწუთრო ერთ კალიბად არაოდეს დაიდგამს, დღესისა შედეგად სხუა დღე მოვა. თუ სიძულვილი მოგემატა მეტისა სიყუარულისაგან, მაშა ნუთუ მტერობისაგან სიყუარულიცა მოგემატოს; ვითა სიცივისა შედეგად სიცხე მოვა, აგრევე სიცხესა სიცივე მოუდგს. აწ მოისმინე ჩემი სათქუმელიო“.



ო.ს

ამინ გულ-ტკივნეულმან ეგრე უთხრა:

„უკლებო ვისო! რაცა ჰქმენ, ვნახე, რაცა სთქუი, მოვისმინე. ვაი მას კაცსა, რომელი თავისა უპატიობასა ვერ შეიგნებდეს, სირეგუნითა გაბედითდეს, და მე ესე საქმე თუით ეშმაგან მაქმნევიანა, და ვინა-

ნიცა ღია, თუ რად მომაცთუნვა! დიდი გზა ვიარე და, ღმერთმან იცის, თუ რაზომნი ჳირნი ვნახენ გზათა სიძნელისა და სიცივისაგან. მე არ ესეთი კაცი ვარ, რომელ თავისა ბედითობასა ვერ შევიგნებდე. მაგრა მემართლები, რასაცა მიზამ, და კულა უარესსა, თუარა ჩემი დიდება ვისთვის დავაგდე. ანუ ორსა თუესა დღე და ღამე ვისთვის ვიარე? მე ამა გზისაგან სარგებელსა მოველოდი და ეს-თურე ცუდსა ჳირსა ვჳნახევიდი!

ჳოისტანს ვჯგედ გამოსუენებული, ნებიერი და მხიარული; გული საგონებელთაგან აზატი მქონდა და ესე ყუელა თავისა ნებითა დავაგდე. მე ამის ყუელაისა ღირს ვარ, რაცა შენგან მჳირს. უმეცარი გული თავისა ნებასა სდევს. ვისცა გამოსცდიდე, თუალი პატიოსანი მიეც, თუ იგი არ უნდეს, —ნაბერჳკალი მიეც. ჩემთვის საჳუთროსა თუალი პატიოსანი მოეცა, და რა იგი დავაგდე, ნაცულად ნაბერჳკალი და კენჳი მომცა მე ბოლოდ; და განაღამცა ესე უსუეობა დამემართა. რა საჳუთროსაგან უიმედო ვიქმენ, მანცა გამაუმაღლოა და ეგრე თქუა თუ: რათგან ეგრეა, თუით არ გიცნობო! კარგი ჳქმენ, რომელ გამომდევნე; ათასი ტრელობა და აბლაობა შემომაყუედრე. მე თუმცა ეგეთი რეგუენი არ ყოფილ ვიყავ, ესეთსა ადგილსა ესეთი მიჳირეებული შენადმცა მოქენედ არ ვიყავ. აჳწაიედ, ნუ მოკიდებულ ხარ ჩემთა სადავეთა და შეიქეც; ერიდე ჩემსა სიყუარულსა!

ვითა სთქუი, მე აგრე არას ვჳპატიყობ, მე დასტურ აბეზარქმნილ ვარ შენგან და უკუნისამდის ერთგან მყოფად არ ვეგებით. მე თუით ესე არაოდეს მითქუამს თუ: არ მზე და მთუარე ხარ, ყო-

ველთა კეკლუცთაგან უტურფესი ხარ, შენნი თულნი გრძნულთა სათაენონია, შენი პირი ყოვლისა კაცისა გამამზიარულებელია, შენნი თმანი მუშეისა ტოილონია; ყოველთა შუენიერთა შუენებისა თაჲი და დასაწყისი ხარ და შენი ქურეცა სამოთხისაგანცა უფრო სანდომია; ყოველთა მნათობთა უნათლესი ხარ: ღამისა შემამკობელი მთუარე ხარ. მაგრა, თუ მზეცა და მთუარეცა,— არ მინდა, რომელ შენითა ნათლითა ვნათლობდე, აბეზარი ვარ შენგან. თუ უკუდავებისა წყალიცა ხარ, არა გსუამ; შენგან დარჩენასა სიკუდილი მიჩვენია. რაზომცა უებროდ ტურფა ხარ, უგულოთა მკურნალი და მიჯნურთა წამალი, რომელ რგება შენგან კიდე არეინ იცის,— ჩემთუის შენი წამალი ნუ მარგებლობს; აქათგან რაზომცა დიდად ქირვეული ვიყო, კურნებად შენსა არ მოვალ!

ვიცი, რომელ ბაგეთა უკუდავეებისა წყალი გითქს და ვინცა გაკოცებს, არ მოკუდების, მაგრა მე, რაზომცა წყურვილმან და სიკუდილისა შიშმან მიმაჭირვოს, მას საკურნებელსა წყალსა აღარა ვსუამ. და თუ ჩემი მიჯნურობა ცეცხლიცა არის, შენ აქათგან მგზებარესა ველარა ჰნახავ; კუამლიანსა ცეცხლსა ერთობით განაცრება სჯობს.

მე რაცა არა მქირს, ათასი საქმე ესეთ შემომყიველ, რომელ მისთანასა ერთსაცა ჩემი მტერი ვერ მეტყოდა. აწ ივი ყუელა დაგუიწყებია და ჩემგან სიყუარულსა ეძებ! მას მშობელსა ჰგავ, რომელ ასული ბრმა ესუა, მისსა სიბრმესა ვერა ჰხედვიდა და სიძესა გუარიაანსა და უმიზეზოსა ეძებდა. შენ თავისა აუგსა ვერა ჰხედავ და მოყუარესა უაუგოსა ეძებ. ამისი მდომი ხარ, თუცა ყოვლისა კაცისა ზნესა და აუგსა შენ ეძებდი და უზრახევიდი. ჩემთანა ესეთი აუგი რა ოდეს გენახა, რომელ ყუედრებისაგან არ შოისუენე? გამაძე, შენ მოგძულდი და უხანობასა მე მაყუედრებ. უხანობისა და გამწირაობისა ნიშანი აწ შენთან უფრო ჩანს, რომელ არცალა ფიცი მოიგონე და თუით არცალა მიცნობდი და ჩემი სახელიცა არ გასმიოდა. ვითა კამდა ესრე უწყალობა და გაბედითება ჩემი? აჰა, ვითამცა არა შენითა, არ თუ სურვილითა ნახვისა შენისა მონდომილი, გამოქრილ ვარ ადრინდელი შენთუის თავ-განწირული მოყუარე, მაგრა ერთი ღარიბი კაცი, ღამესა ბნელსა უსახლო და დანქრევისა მომლოდე.

და თუ შემცოდეცა ვიყავ, ათთავე თითთა გაქნევით ზენაარისა და შენდობისა მთხოველი რად არ შემიბრალე, რომელ პირველ თოვლთა და ბუქსა შიგან მადგომე და მერმე უპატიო გაბედითებით გაჰომღევენე? მეტისა უზენარობისაგან ველარ მოალმობიერე გული,

ჩემი სიკუდილი იგი თოვლთა შიგან გწადდა, მტერთაებრ უწყალოდ მქმნოდი. და თუ შემეცოდა რა ესეთი, ეგრეცა არა, რომელ საკლავად არ გეწყალოდი. შენ ეგზომ უზენარო ხარ, რომელ მოყუარეთა სიცოცხლისა სიკუდილი გირჩევნია. აჰა, ვითამცა მოგეკალ, შენ რა გერგებოდა ანუ რა სიხარული დაგრჩებოდა?

ნუთუ შენი საექუი არ ასრე იყო, ვითა მოგიკადა? თუარა მე უღონოდ მიჯობდა, რომელ ვცან მტერობა მოყურისა! დაქირვებასა ესეოდენ სქირს კარგი, რომელ გამოაჩენს მტერსა და მოყუარესა კიდის-კიდე.

აწ რათგან შენი საქმე ვცან, უმაღლად მტერი ვარ შენი, შენისა უწყალოისა გულისაგან დამესისხლებული, ვინათგან მკეცთა და ფრინველთაგანცა უჟრო გული უღმობელი გიც და თუალი უზენარო. შენისა სიყუარულისათუის თავსა ქირსა ნუეინ ჩაიგდებს, მით რომელ არა სარგებელია.

აწ ამისთუის მადლი ღმერთსა, რომელ ესეთი საქმე მეჩუენა შენგან, რომელ მიჯნურობისაგან მიკსნა და გული ჩემი გააზატდა უწყალოთა და უზენაროთაგან. მე ვირე ცოცხალ ვარ, ჩემი პირმთუარე, სახელ-ვარდი გულ მეყოფის საყუარლად და მე მას, რომელ სიკუდილისა დღემდინ ჩემია. ვინათგან ღმერთმან და ჩუენმან ბედმან ერთგანვე შეგუყარნა, ერთმანერთისა დაჯერება გუმართებსო“.



სიმა პასუხად ეგრე უთხრა, საყულო-გარდახეულმან და ესრე მტირალმან, რომელ თუალთაგან სისხლისა ნაკადი გასდიოდა:

„ჰე, გულისა ჩემისა სიხარულო, სულთაებრ საკმარო და საყუარელო, შენ ხარ ჩემისა ბედნიერობისა ბედი! თუ ავი და დასამძიმებელიცა რა გითხარ, შენცა ეგრე მიზამ. ნუ ამკლი შენსა საფარუელსა, ნუ დამაგდებ და ნუ დამანავლღებ ჩემსა სიცოცხლესა! ექუსსა თუესსა შენისა კიდევანობისაგან

ესრე მიჭირვებულმან და სიკუდილად მიწურვილმან თუ ვთქუი რამე, რა საკუთრეელი იყო? მე შენითა სიყუარულითა ვთქუი; კიდევანობა უჭიროდ არ ეგების და არცა მიჯნურობა უნაზო. ვისიცა გული მიჯნურობისაგან დამწუარია, მას მოყურისა ნებიერობა იამების. რათგან მე ჩემითა ეგზომ ცოტათა ნაზობითა ესრე დია გაწყინე, თუ მოლარამეპატების, ღმერთმან ესე ჭირი გარემიძნელოს. რომელ უფრო და უფრო ვიჭირვოდე. თუით რათგან შენი გული საჩემოდ გაუვლენელი დამისკუნია, რასაღა განებიერებდე ანუ გულისა მოუცემელითა სიტყუითა რასაღა გცდიდე?

ვით მეგონა, არ ეგრე მომიკდა. არ მეგონა, თუ, მესისხლე ვითა, შემცოდედ გამაზღვრნდები, და თუ მაშინ იგი ვთქუი და დავაძიმე, აწ ნახე, თუ ვით ქნებით გეტებ! ცუდი ჩაუქობა ვიკმარე შენთანა და მით ესრე ჩავიჭერ. თუ სიხარულისა ჟამსა გიახელ, აწ ჭირსა შიგან არა ვარ კიდევანი. ასე რა თოვლთა შიგან ჩაფლული შენს წინა ვდგა, მე რათგან შენისა სიშორისათუის ეგზომნი ჭირნი მიწნახვან, გარე აღარა შევიქცევი. არცა დავაგდებ, შენთა სადავეთა კიდე არ გაუშვებ და მუნამდის ესრე საბრალოდ ვტირ, ვირე აქა არ მოკუდე და ამით შენცა მოგაყივნო და თავიცა აღარ შევიწყულო.

და თუ აწ ჩემი შეხუეწა მოისმინო და შენდობასა ზედა სიუკვე იკმარო, სიკუდილისა დღემდინ შენი ნასყიდი მკევალი ვიყო; შენისა ბრძანებისა ასრე მომსმინარი ვიყო, ვითა პატრონისა, და თუ ესრე არ ეკმნა და არ შეგაგუო, ოდესცა გწადდეს, ჩემზედა მაშინცა შეგიძლია ესევე. ხე ჭირთა ადრე მოიკუეთების, მაგრა მოკუეთილი გუიანად იზარდების, და აგრევე შენგან მაშინ ადვილად ეგების ჩემი გაწირვა, თუ დამამძიმებელი შენი ვიყოლა“.



ამინ ეგრე უთხრა:

„სულდგმული აღარ გავმიჯნურდები და არცა-
ლა უპატიობასა ჩემსა მოვინახავ, არცაღა ამა ბე-
დითსა საქმესა უკანა-უდგები. რად კამს აზატისა
თავისა მონად გაკდა, ანუ სინხარულისა ჟამსა დაღრე-
ჯილობა? მრავალჯერ მიინახავს ჩემი თავი ესრე გაბედითებული მტერ-
თაგან სინხარულად, და მე ესე აწყალა დამმართებია შენგან; კულა
არაოდეს ეგების, რომ დავივიწყო აწინდელი გულის ტკივილი. ჯო-
ჯოხეთისაგანცა კიდე ადგილი ნურა მაქუს ჩემად საყოფად, თუ მე
გამოცდილსა კულა გამოლამცდი. თუ შენისა პირისაგან აქუს მზესა
სინათლე, აღარცა მისგან მაქუს იმედი. თუ ლიტრა ერთი ქვა სამ
ლიტრად თუალ-პატიოსნად ღირდეს, ასსა ლიტრასა ქვასა მას სი-
ძუირესა შიკან ეგრეცა ვიყიდი და გულსა დავიდებ, ნუთუმცა
ამით დავეკსენ ამა აუგვიანობასა, რომელსა შიგან ვარ.

თუ შენსა საქმენელსა გზასა ზედა ათასი საქურკლე ძეს, არცა
ეგრე ღირს ამა კირად; გულსა ტანისაგან გამოვიკუეთ, თუ აქათგან
შენლა გეძებდეს ანუ სხუათა მოყუარეთა! თუ უგულო დავრჩე, დია
მიჯობს, რათგან ესეთია, რომელ ყოველი კაცი უყუარს და მე ესძულ
და მაჭირვებს თუით, ნუთუ ბედნიერობა იყოს ჩემი. ამას ლამე შენი
ჩემთუის ესეთი სიქუშე დიადი საქმეა, ესეთი, რომელ თავსა ზედა
დია ძნელსა ჰგავს და ბოლოსა ადვილად მოჰკვდების. ღმერთი ზოგ-
ჯერ ესეთსა საქმესა მოავლენს კაცისათუის უზაროდ, რომელ მიღმა
სააჯო იყოს.

აწ ჩემი საქმე აგრე მოკდა, დავეკსენ ეგზომსა კირსა: მე აქამ-
დინ მონა ვიყავ, და აწ გავეკლმწითდო, მიწა ვიყავ და ცად შევიქმენ.
ასრე ვმზიარულობ, რომელ გულსა შეჭირვება ბეწვისა ოდენიცა
აღარაა. მთრვალი ვიყავ და გავფხიზლდი, აწ უჭირველად დავაყოფ
რომელნიცა დღენი მისხენ. სირეგუნისა ძილისაგან აწლა გამლუიფე-
ბია, უმეცარი სული ჩემი აწლა გამეცნიერებულა. რა უპატიოსნა
ბედსა ჩემსა დავეკსენ, ფერკნი ასრე ამსუბუქებიან, რომელ ჩემისა

ფერკისა მტუერსა ფრინეელნი ვერ ეწევიან. მე ეგეთსა ველარ მნახავ, ვითარი აქამდის გინახავ მიჯნური. ვინცა საწუთროისა გონებასა დაეკსნების, კირთავან გააზატდების და მოილხენს მრავალფერისა ჯაერისაგან. სადაცა იყოს, სარგებელსა არ ეძებს ზიანისა შიშისაგან.

შენცა ესრევე ქმენ. თუ ცნობანი გისხენ, ჩემებრ იყავ, ნულარცარას შენ შეიჭირვებ. სიბრძნე და გონიერება იკმარე, მით რომელ სიბრძნე კელმწიფობა არის. თუ ას წელსაცა უღგები მიჯნურობასა უკან, ბოლოდ ოდენ დახედე: მისგან, ქარისაგან კიდე, არა დაგრჩების კელთა სარგებელი“.



ისსა რამინის კელი კელთა ჰქონდა და მიჯნურობისაგან უქუო უბნობდა, და მისისა სიყუარულისაგან და თუით სიცივისაგანცა თრთოდა, ნარგისთათ სისხლსა ვარდსა ზედა ლურიდა და ეგრე ეტყოდა:

„შენ ხარ ჩემისა სიციოცხლისა მიზეზი, ჩემთა თუალთა ჩენა და გულისა სიხარული! ვიცი გაგაწყრე და არ კარგი ვქმენ: ერთ-კერძ ჩემგან სიყუარული და მეორედ მეფედ საჩენელი, სასახელო კელმწივე! უშენოდ არ მინდა სიციოცხლე და საწუთროსა შიგან ყოფნა.

რომელ გაგაწყრე და ჩემგან ნათქუამითა ეგრე გამიკუშტდი, მითცა ამისისა ნავლისაგან ჩემითავე კბილითა გარდამიკამიან მკლავნი. ნუ შემომტყორცნი მტერობისა ისარსა, ნუ მაწუეე უპატიოდ კიდევანობასა. აწ ვეახლნეთ მხიარულნი ორნივე ერთმანერთსა, გარდასრულსა ნუ ვიკსენებთ, ნუ გიმძიმს ჩემგან მაშინდელი შენი უპატიობა. ეგრე სწორისა და მტერისაგან დასამძიმებელი არის, არ ჩემებრ მოყურისა, რომელ რაზომცა ვინ დიდი და მორკმული ყოვლისა ქუეყანისა მპყრობელი კელმწიფე იყოს და გავისთუისმიჯნურდეს, მისთუის ეგრეცა დამდაბლდების, რომელ ფერკთა ეგების, მოყუარეთა ნაზთა წაკიდებად ვინ იტყუის, არცა მათგან დათმობა აუგად ითქუმის.

აწ დათმე ნაზობა ჩემი, შენვე წაგიღია ჩემთუის გული, შენვე დაგიალაფებია. მიმუდარე! შენგან ვარ ესრე უცნობოქმნილი; შენ შენსა თავსა აბრალებდი ჩემსა ესრე გასლვასა, თუარა მე შენი დაძიმება არაოდეს მწაღებია. რას პასუხს გასცემ ღმერთსა ჩემთა სისხლთა მოკიდებისათუის, ანუ მე ამის უარესი რალა წამეკიდების, რომელ არცალა გული მქონდეს და არცალა მოყუარე მყვეს! ვისთუის გული დამეკარგოს, მას ჩემი სიყუარული ასრევე აღარ ჰქონდეს, ვით მე გული! მაგრა, თუ ღმერთი უვის სოფელსა, არ დაარჩენს ჩემთა ბრალთა. ნეტამცა ჩემი გული ჩემთა საქმეთა მთნებელი იყო! ღ თუ გული არა, ბარე მოყუარემცა ჩემი გულსრულად მოყუარე იყო.

თუთ გული ვით გეტყვის ჩემსა მოშორებასა? შენ არ იგი ხარ, რომელ ხანიერსა გიტყოდეს? ვაი, რომელ ბედისა ჩემისაგან შენცა აბეზარ მქმნიხარ! რა იქმნა ეგზომი ფიცი შენი, რომელ აწ ერთიცა არ გაკსოვსლა? ამისათვის შევაგუებდი ამა რეგუნენსა გულსა ჩემსა თუ: ნუ გამიჯნურდები ამა უხანოისათვის, რათგან რამინის გულისა დაუდგრომელობა იცი მეთქი. მაგრა არ მოისმინა, შეგონება ცუდად წამიკდა და აღარ ვიცი, თუ ბოლოსა ეამსა ვით იქმნების ჩემი საქმე. და აქაცა ეგზომსა რას მყოვნებ და თუალთაგან სისხლისა ცრემლსა ვირემდი მადენ?

თუ შემოიქცევი, ზენაარ, შემოიქცე. მე აქა სიცივემან მომკლა და შენ თუ არ შემოიქცევი, მე თანა წამიტანე სადაცა წახუალ, არსად არ დაგაგდებ. რაზომცა ძნელი გზაა, შენსა მოახლოებასა შიგან მებადვილებს; რაზომცა შენგან უსაფარუელ მყო და არ გინდე, თუ ანუ კელსა არ მომკუეთ, ანუ კალთასა არ მოიკუეთ, მომიწყუედ ვერა. წამსაცა უშენო სიცოცხლე არ შემიძლია. თუ გული ჩემი სიმაგრითა კლდეცაა, შენსა კიდევანობასა ვერ მოითმენს. აჰა, ჰლამი წასლვასა, ჩემთა სულთა სარჩევი, და მე მომცდარსა და დაღონებულსა ველთა ზედა დამაგდებ! წახუალ და წაიღებ ჩემისა პირისაგან ფერსა და ტანისაგან ძალსა, და თმობასა და ცნობასა. რად ხარ საჩემოდ ესდენ უწყალო და გულ-მაგარი, რომელ ეგზომისა ქენებისათვის არ შეგებრალეო!“

ექენებოდა გულისა წამლებელი ვისი, მაგრა რამინს გული არცა ეგრე მოუღბა. ეკიდა, ვითა აღმასი სამისო; ვითამცა რამინის უღმობისა გულისა წყრომა, ცათაგან თოვლი და მათათაგან ქარი დანაძლევებულ იყენეს გაუყრელობისათვის, აგრე გათენებამდის არცა იგი დაცხრა და არცა იგი. ვისმან რამინ ვერ დაიჭირა და მისგან უიმედო-ქმნილნი ვისი და მისი ძიძა გარეშემოიქცეს სიცივისაგან დამძრალნი და მტირალნი.

მოვიდოდა მთუარე, ლამისა დამაშუენებელი; გული მისი უკუამლოისა ცეცხლისაგან იწოდა, თუალნი ცრემლთაგან სისხლად გარდაქცეოდეს, ტანი სიცივისაგან, ვითა ცხროიანსა, უთრთოდა და რამინისაგან იმედ-გარდაწყუედლობისათვის ღმრთისაგან ათასჯერ სიკუდილსა იაჯდა. ეგრე ტიროდა:

„ვაგლახ მე, ჩემისა ბედისა უბედურისა შესწრობილსა! მე ამა ჯავრსა ვით გაუძლო? მე ჩემი ბედი მებრძუის ნტერობით, ვირე უგრძნეულოდ სამე არ წამაგებს. ძიძაო, ჩემგან უფრო ბედითი და საკლავი ნუვინ იცი სხუა, თუ აქათგან ვისილა რა გამივიდოდეს ანუ მიყუარდეს. და თუ წალმა გამიჯნურებული მნახოლა, ორნივე

თუაღნი შენითა კელითა ამომიყარენ. ასრე უღონო ქმნილა ჩემსა ტანსა შიგან ჩემი სული, ვითა უსულო სამარესა შიგან. მე თუ ამა ბედითობასა და აქანამდისებრ გულ-წყლულობასა შიგან მოვკუდები, ქუეყანასა ზედა არა რომლისა მიწისაგან ვარ ჩასაშუებელი. რამცალა წაბეკიდა ამის უარესი, რომელ მოყურისა და სულთაგან მოწყუედილ ვარ! ანუ მიჯნურობისაგან ამის უძნელესი რაღა ეგების? აწ ვიცი, რომელ შავი სხუაფერად არ შეიღებვისო“.



რამინისა და ვისის ერთგან შეყრა

ა გულისა წამლებელი ვისი წამოვიდა რამინის ჯავრისა და იმედ-გარდაწყუედილობისაგან საბრალოდ გულ-დადალული, რამინს თავის ბრალობა შეექმნა. შეჭირვებითა ჰაერი გამწყრალისა ვეშპისაებრ ეჩუნა, შუქისაგან

თულთა წინა აღარა ჩნდა; ჰაერისა სიფიცხესა და ქარსა ესრე მოემატა, რომელ პილოსა წააქცევდა. რამინის გზა თოვლმან შეყრა, თოვლთა შიგან ოდითგან მოუსუნებლად დგა, ტანსა ჰყინვიდა და გული ცეცხლთა შიგან ეწოდა, თუ რასათუის გაუკუშტდი ჩემსა გულისა წამლებელსა და სიცოცხლის წამლებ-მომცემსა ვისსაო. ანანდა თავსა და სწყევდა თავისა გონებასა, თულთაგან ცრემლისა ნაცულად სისხლსა იდენდა, კმა-მალლად ეგზომი იტირა და იზახა, რომელ სულნი ამოსლვად მიეწურნეს. შემოიქცა, გამოაჰენა ცხენი, გარდაიჭრა, ვისსა წინა დაეცა, მუკლნი ჩაიყარნა, შეებუეწა, ექენებოდა ზენაარსა და შენდობასა ითხოვდა. და ეგრე უთხრა:

ჩემითა უმეცრობითა აწ შეცოდება გამოიკეცებია და თუით სირცხუილისაგან არა ვიცი თუ რა ვთქუა. გარნა ლონე შენდობისევე თხოვა; შემინდევი დიდად შეცოდებულსა, რომელსა პირი არა მითქს შენად საუბრად. ვითა მეტი ხარ ყოველთა ადამიანთაგან შუენებითა, აგრე მეტი ქმენ ჩემზედა შენდობითა. მე ჩემითა სირეგუნითა ორჯერ პიძის წყალი წავილე შენს წინა. აწ თუალნი არ მასხენ სირცხუილითა შენად შემოსახედავნი, არცა ენასა ჩემსა შენდობისა თხოვა შეუძლია; გული ჩემი შენისა სირცხუილისაგან დაბნეულა, ენა ჩემი შენისა შიშისაგან გამონასკულა: არცა შენდობისა

თხოვა შემოდლია, არცა უშენოდ ჩემი სიცოცხლე ეგების! ჩემისა თვისა გზა აღარა ვიცი, დარჩომილ ვარ აწ საბრალო, უღონო და უმოყურო, გული ჭირთაგან ამესია, თმობა წამსლეია, სიტყუა აღარა მაქუს ღ სული შემმცირებია! სიცოცხლისა იმედი არა მაქუს და შენდობისა სიტყუა. შენისა სიყუარულისა თესლი გულისა ჩემისაგან წამსაცა არ ამოქარებულა, მან ღმერთმან, რომელმან დამბადა, აწ შენ ჩემი შეცოდება უკსოვნელად გაქმნევეინოს. მაგრა აწ ჩემმან ბედმან ღ ეშმამან მაქმნევეინა და მომილო გონება შენი შესაგუარი. აქათგან თუ არა შემინდობ და მაგასვე გულსა ზედა ხარ, აწევე თავსა მოვიკლავ, და არცალა შენ გწყალობ, შეგიაპყრობ კელთა და შენცა მოგკლავ და ეგრელა თავსა მოვიკლავ, რაზომცა შენოდნად არავინ მიყუარს. რა მე არ ვიყო, ნულარცამცა შენ ხარ! მოყუარე სიკუდილისა ეამსა მინდა, რომელ აღდგომასა ერთგან ვიყენეთ. მე რა შენებრი მოყუარე მახლვიდეს და კელთა მყვეს, სიკუდილისა სიძნელე მომიადვილდების. შენ ჩემი სამოთხეცა ხარ და სოფლისა შუენებაცა. ვის უნდა ამა ორისაგან კიდევანობა! მას საუკუნესაცა შენი სიახლეა ღმრთისაგან ჩემთვის თხოილი და აქა ამისი გონება ნუგეშინის-მცემელი ჩემი და ჭირთა დაძაღვიწყებელი. აწ ესე ვთქუა, რომელ თუ მაშინ ჩემგან მის ავისა ქმნა არ გკეთებია, ეგეთსა ავსა ნუცა შენ იქმ ჩემზედა. თუ მე ავმან ავი ვქმენ, შენ კარგმან ამად მსგავსად კარგი ქმენ ჩემზედა. შენითა მოღმობიერებითა თუით შენთა ფერკითა ქუეშე მომიგე, რომელ აქათგან ბრძანებისა შენისა, ვითა მონა ნასყიდი, ეგრე მომსმენი ვიყო და მიწათაებრ მდაბლად გმსახურებდე. მომძალე ჩემი შეცოდება. ნუ მომაკლევ თავსა და ნუ მიისხამ სისხლთა ჩემთა. მე შენი ვარ და შენ ჩემობასა ნუ ინანი. მე მიწყვი იმედიანი შენისა სიყუარულისა გაუყრელობისაგან ვარო“.

რამინ გულწყულული ესრე-გუარსა უბნობდა და დაუღუშებულად ტიროდა და გულსა მჯიღითა იცემდა. რაცა რამე ქმნილ იყო და ერთმანერთისაგან დამძიმებოდა, კულა დაუწყეს ერთმანერთსა საუბარი. და ყუედრება გაგრძელდა ასრე, რომელ საწუთროსაცა გაუკუირდა მათი საქმე. ვისის გული მთასა ჰგუანდა და პირი მისი მაზედა ყუავილსა, რომელ რამინის საუბრისაგან მის მთისა თოვლი არ მოლბა და არცა სიცივისაგან ყუავილი დაქნა.

რა ცისკარმან მისი ღროშა გამოაჩინა, ორნივე შეშინდეს გათენებისა და გამჟღავნებისაგან. და სიტყუა დაუმოკლდა, მომცლარი გული მათი გზად გამოვიდა და მტერობისა ეშმამან უკუირდა. კელი ერთმანერთსა მოჰკიდეს და ზე კოშკსა გავიდეს. გული შეჭირვებისაგან ნატანჯი ჭირისაგან გაააზატეს. დარბაზისა კარი დაკშეს. სიხარულისა-

გან ახალ აყუავებულსა წალკოტსა დაემსგავსნეს, დაწუნეს მაშურალნი და სიცივისაგან დამზრალნი ფოცხურისა უპესა ტყავსა შიგან და ერთსა საგებელსა ზედა, ვითამცა ორსა ტანსა შიგან ერთი სული სდგმოდა, ეგრე შეიერთნეს. იყენეს—ვითაცალა მათ სწადლა. მათი საგებელი ვარდისაგან სავსე და მათი სასათაული მზისა და მთუარისაგან ელვარე; მათისა პირისა და თმათაგან სახლი სურნელმბითა სავსე იყო. ვითა ორთაგანვე ერთგან შეყრა სანატრელი იყო, აგრე დაუამდა ერთგან ყოფნა. თავით ფერკამდის ერთმანერთსა არა მოეშორებოდეს, არცა მათ შუა ბეწვი გაიარებდა.

თუესა ერთსა იყენეს ესრე, რომელ არავინ იცოდა მათი საქმე. არ მოისუენეს სიხარულისა, ლაღობისა, ყმაწუილობისა და ერთმანერთისა ხუევისა და კოცნისაგან. რა მოსწადდის, მათთა წადილთაებრ საკამადი და ლუინო მიაღებინიან. არა იყო მათი საწყენელი. თუცა აღრითგან ერთმანერთისა სიშორისა და დამძიმებულობისაგან გულწყლულნი იყენეს, აწ კოცნის სიმრავლითა და წადილთა მიყოლითა ჰკურნებდეს ერთმანერთისა გულსა, ემაღამებოდეს ერთმანერთსა.

შაჰი მოაბად ჯდა საკელმწიფოთა საჯდომთა ზედა მორკმული და მხიარული. აზრადცა არა იცოდა რამინის საქმე. არცა ამას ექუდა, თუ ჩემსა ძმასა რამინს მისი ქუეყანა დაუგდიაო და აქა ჩემსა ცოლსა მოუშორებლად დღივ და ღამე გუერდსა უწევსო, ერთგან იხარებენ ღ ჩემზედა იციანიან ღ ამა ორსა თუესა სიხარულითა დაუვიწყებია მათი ექუსისა თუისა კიდევანობისა სიძნელე და შეკირვებაო. რომელსაცა საწუთრო ესრე გულისა ნებასა მიახუედრებს, მას მიჯნურისა ჭირთა კსენება რად უნდა ანუ თავისა რიდება?

რა ორსა თუესა ერთგან ყოფნითა გაიხარნეს და საწუთროისა სიხარულისაგან თავისი ნაწილი აიღეს, მოვიდა გაზაფხული. რანინ ეგრე უთხრა ვისსა:

„აქათგან აღარა პირიანია ჩუენი ესრე ყოფნა. აწვე სჯობს გამოცხადება და შაჰი მოაბადის ნახეა, ვირე არ გამქლავებულ ვარო“.

მოიგონა გონიერმან რამინ თავისა ღონე. შუალამე ციხისაგან ჩამოვიდა და ნახევარ-ღლისა სავალი იარა. მერე, რა გათენდა, შემოიქცა და მოჰმართა მარავს ქალაქსა. ცხადად მოვიდოდა შარისა გზასა და მარტო შემოვიდა ქალაქისა კართა; ვითა შორით მომავალსა მართებდა, აგრე დამაშურალ-გუარად და მტუერინანად აჩუენა თავი ყუელსა. მოვიდა მგზავრად დარბაზისა კარსა ზედა. მაშინვე მოაკსენეს შაჰინმასა: „ქუეყანისა დიდებისა მზე გამოვიდა, ქუეყანისა დამამშუენებელი რამინ მოვიდა, პირად მთუარისაებრ გავსილი და

ნაკუთად საროისა მსგავსი, გზათა სიგრძისა და სიცივისაგან წყენილი, და ესერა კარსა ზედა დგასო“.

გაიხარნა შაჰინშა, ვითა მართალ იყო, უბრძანა და შევიდა მას წინაშე რამინ. თაყუანი-სცა და პირი მიწასა დასდვა, დალოცა და შაჰინშა ჰამოდ მოიკითხა და მოჰკოცნა. მერმე რამინს ამბავი ჰკითხა. მან გზისა სიშორისა ჰკირნი მოაკსენა და ესეცა ვითა:

„ჰე, მაღალო, სახელოვანო და მოსამართლეო მეფეო! ყოველ-თამცა კელმწიფეთა და მეფეთაგან უფროა სახელი შენი და მტერ-ნი შენნი ქუეშე ფერკთა შენთა! სახელიმცა თქვენნი ცამდინ მაღალია და სახელოვანადმცა გამარჯუებულია ბედი თქუენნი! ანდამატისა მსგავსი სიმეგრე და მალნიტისა მთისაგან უფროსი გული კამს, რომელ შენსა უნახაობასა ვასძლებდეს და თქუენისა სამსახურისაგან კიდევანობასა. ცოტა თქუენთა უბეთა შიგან გაზრდილ ვარ, სულ-ნიცა თქუენგან და დიდება ეგზომ დიდი თქუენგანავე მაქუს, რომელ ცად გაგიწევივარ. თქუენსა უნახაობასა ვერ ვავსძლებ და უთაყუანებლობისა თქუენისა მიჰირვებული ვარ. ესე არ იცი, არ თურე თქუენისა გუარისა ვარ, თქუენსა კარსა ზედა ჩემი მეკრედ დგომა ღმრთის წყალობაა ჩემთუის. თქუენისა სამსახურისაგან კიდევანობასა ვერაოდეს დავსთმობ. თქუენითა ბრძანებითა წავედ გურგანს და კრმლითა მთა და ბარი მტერთაგან დავსცალე. ქოისტანი ესრე გამიკდია, რომელ თხისა ბრძანებასა ლომი მოისმენს. მუსლით, არანით შამამდინ ერთი თქუენი მტერი არა ჩანს. მე თქუენსა მონასა ღმრთითა და თქუენისა ბედითა ყოველი გულის-ნება მქონდა თქუენისა სიშორისა და უთაყუანებლობისაგან კიდევ; დამბადებელი ცისა და ქუეყანისა რაზომცა უბუია, ერთსა კაცსა ყოველსა გულის-ნებასა არცა ვგრე გაუსრულეზს, ასრე ვითა მე, რომელ დღივ და ღამით თქვენსა ნახეასა ვინატრიდი და აწ ველარ დავთმე წამოუვალობა. წამოვედ ესრე სწრაფად, ვითა ლუარი მთისა თავისაგან; მოვალ მარტო, მიწადირებია გზასა და, ვითა ლომსა, უმგბარი კორცი მიჰამია. აწ რათგან ღმერთმან შემიწყალა, თქუენ მშუილობით გნახენ და თაყუანის-გეც, ბედისა ჩემისაგან ვპოე იმედი, რომელ არ თურე უბედური დამბადა ღმერთმან. გული ჩემი გამხიარულვებულა და ერთი სული ჩემი გაათასებულა სიხარულითა, გუირგუინი ჩემი ცამდი მიმწუდარა. სამსა [თუესა თქუენსა წინაშე] ჰიქითა ლუინოსა მხიარული ვსუამ; [მას უკან] თქუენსა ბოძებულსა ქუეყანასა წავიდე, თუ არა, რაცა მი-ბრძანოთ, იგი ვქმნა. მე მის უკეთესი არა წამეკიდების, რომელ თქუენისა ბრძანებისა მოსმენისათუის თავი არ შევიწყალა. თუით ცოცხალი და უკუდავი მაშინ ვარ, რა თქუენისა წადილისა ასრუ-ლებისათუის სული ჩემი ვავწირო“.

რა შაჰინშას ესმა ესე ჰამო რამინისაგან საუბარი და შეწყობილნი სიტყუანი, მოეწონა, დაიმაღლა და ვერე ბრძანა:

„მომეწონა შენგან ეგე, რომელ გიქმნია, გამოგირჩევია მართლის-მეტყუელება და ჰაბუკობა შენი გამოგირჩენია. მე შენი ნახვა გულსა გამიმხიარულებს, ერთსა დღესა ნახვა შენი არ მეყოფის და ვერცა გავეძღები მოკლედ ნახვითა შენითა. აწ ჯერეთ ზამთარია სხუა რა ეგების სუმისა და გახარებისაგან კიდე? მუტრიბთა ვამღერებდეთ და ერთგან ვიყვნეთ. რა გაზაფხული მოვიდეს, დღენი დათბეს და ჰაერი დაამდეს, მუნ მიმავალთა მგზავრთა დიდად იპოვებენ; ასრე რომელ სადამდისცა გწადდეს, თუით მეცა თანა წამოგყვები გურგანამდინ: ნადირობად მინდა წამოსლვა, გაზაფხულ სახლად ყოფნა საწყინოა. აწ წაედ აბანოსა, იბანე, ტანისამოსი გამოიცულა და მოისუნენო“.

რა რამინ მხიარული წაეიდა აბანოსა, შაჰინშა მრავალი ტანი-სამოსი გაუგზავნა. და სამი თუე მას წინაშე დაჰყო რამინ სიხარულითა და არა ნახა გულისნებისაგან კიდე სხუა დამძიმება. ბედმან ყუელა ესრე მოუვლინა, ვითა მას უნდოდა: მალვით ვისსა ნახვიდა და გულისნებასა ჰპოებდა მისგან. სიხარულითა იყვნინან ერთგან, ხუაშიადი მათი დაიმალა. ესეთსა ადგილსა შეიყრებოდინან ერთგან, რომელ მოაბადის აზრი მუნ არ მივიდოდა, და არ გამოცხადდა მათი საქმე და ვერცა ვინ უგრძნა.



მოაბადის ნადირობად წასლვა

ა გაზაფხული მოვიდა, მათათა და ბართა სიშუენვარე დაიწყეს, მინდორნი აყუავდეს, საწუთრო და ჰაერი სამოთხესა დაემსგავსა, მიწა შუენებითა—ცასა, ბერი ქუეყანა გაყმდა ვარდისა, იისა და მრავალფერთა ყუავილთაგან: კელმწიფეთა საჭურკლესა დაემსგავსა ქუეყანა, ფრინველთა კიკიკება დაიწყეს და იადონნი ვარდთა ზედა მრავალთა ფერთა კმათა იტყოდეს. ქუეყანა მრავალფერობითა ჩინურისა სტავრისაებრ გასრულ იყო; ცამან ჰაერი გარდაიწმინდა და ქუეყანა ნამისაგან მოცინარობდა; ნადირთა მინდორს სიარული დაიწყეს და ხეთა შტომან კმელმან სინედლე დაიწყო და ყუავილისა გამოღება; ნარგისმან თრობა დაიწყო. ბალნი და წალკოტნი შუენებითა კეკლუცთა ქალთა დაემსგავნეს, და ქუეყანა საკელმწიფოისა მეჯლიშისაებრ გაკდა გულ-მხიარული. ვინ იყო თუ შეჭირვებული, ყუელასა თამაში მოუნდა ველსა; ფეროვანისა ღუინითა კიქასა ესრე არ გაუშვებდეს, ვითა ხუასრაჳ შირინისა კელსა. ოდეს წალკოტსა იყვნიან, ოქროსა და გოარსა აყრიდის ნიავი თავსა და მოყუარეთა სიხარულად სულსა მიართმიდის. წუიშმან მდელოსა და მდელომან კაცთა გულსა ჯანგი მოჰკოცის. მარავის მიდამო ესრე შუენოდა და ელვიდა, ვითა სამოთხე. მიწა დამბალ იყო, ვითა შუშთარი.

ამა ქოეყანისა სიმწუანისაგან შესწრაფებითრე მოუნდა მოაბადს ველსა თამაში და ნადირობა. სწრაფით უკმნა დიდებულნი და აწუიენა ლაშქარნი ზ უბრძანა ვითა: „ჩუენ ნადირობად გურგანისა ქუეყანასა წაველთ და დაეკაზმენით. ნადირთა და მკეცთა სიმრავლე დიადი არის მუნ.“ ლაშქართა კაზმა დაიწყეს. რა ვისმან რამინის მუნ წასლვა იგრძნა, ვითა ხელსა, ცნობა და გონება წაუვიდა, თმობა და კკუა აღარ ჰქონდა. ძიძასა ეგრე უთხრა:

„ამის უსაკუირველესი რაა, რომელ ცოცხალსა კაცსა სიცოცხლე აღარ უნდეს? აწ იგი მე წამეკიდები, რომელ თუ ამას გაეს-

ძლებ, უღონიოდ სიცოცხლე მომწყენია. თუით ათასჯერ კრმლითა საკუდავად დაკოდილ ვარ მისგან. აწ გურგანს ნადირობად წასლავსა ჰლამის შაჰი მოაბად, რომელ ღმერთან ყოვანი დაახვედროს, ეტლი უბედური და ჟამი არა სუიანი მოაგებოს ვითა გაედლო რამინის კიდევანობა? ანუ ამა ეშმასა სიძულვილისაგან ვითა ვიკსნა? თუ ხვალე რამინ წაჰყუების, ჩემი გულა დასტურ ველარ მიჰყუების, ნით რომელ ნოკულები მისისა წამავლობისა მგონებელი. აჰა ვაგლახ მე, რომელ მისი ცხენი ჩემთა თულათა ზედა ლუსმრიანსა ფერკსა დასდგამს, და რაზომსაცა ბიჯსა წასდგამს, ეგზომსაცა დალსა დამსუამს ჩემსა გულსა ზედა. მოყმეთა მეფისაგან მე დლე და ლამე გზათა ზედა გავგუშაგდები და თულათაგან წყაროსა ვადენ და მისგან ღარიბთა წყალსა ვასუამ. ნუთუმცა ღმერთმან ჩემი ლოცვა შეისმინა და ჰირთა და ფათერაკთაგან მიკსნა, რომელ ჩემი ჰირი მოაბადისაგან კიდე არავინაა, რომელ ავისა მოქმედი და მთქუმელი იგია. ნუთუმცა ღმერთმან მიკსნა და წამითი-წამ არ მივსცემოდე ჰირთა. აწ წაედ, ძიძაო და მოაკსენე ჩემაგიერ რამინს იუ უმისოდ მე რას ყოფნასა ვარ. ცან მისი გულის-სიტყუა საჩემოდ, თუ რას მიზამს: კულა გამწირავს და გაახარებს ჩემთა მტერთა, თუ არა? ხვალე წაჰყუებისცა მოაბადს? მოაკსენე ჩემაგიერ: შენად მოსლვამდის ვინ დარჩების ცოცხალი? ვის უც გული ესრე შეუწონელი, რომელ უშენო ცოცხალ იყოს? თუ წახულ, რა შემოიქცე, შენმან მზემან, ცოცხალსა ველარ მპობე. თუ ჩემი სიკუდილი გეწყინების, თანა ნუ წაჰყვები, შინა დგომისა მიზეზი რამე მოიგონე. ჩუენ აჰა მხიარულნი ვიყვნეთ და იგი დაღრეჯილი და ჰირვეული სადა-გინდ იყოს-თქო“.

წაეიდა ძიძა და მოაკსენა რამინს. წყლულსა ზედა კულა ამა სიტყუათაგან მარილი დააყარა. თუით რამინს გული შეჰირვებათაგან უფეთქდა და გაალმასებული ჯდა. ამა მოციქულობასა ზედა ტირილი დაიწყო და მოშორებისა გონება გულსა ისრად ესობოდა. ცოტასა ხანსა მოიტირა, მერმე გული დაიწყინარა, ამით რომელ სიყმე მისი შიშსა და შეჰირვებასა შიგან იყო მიწყით, და ჟამსა სრული სიხარული არაოდეს მიეცა! მერმე ძიძასა ეგრე უთხრა, ვითა:

„თუით ამისთანა მოაბადს ჩემთუინ არა შემოუზრახავს და არცა უბრძანებია. ნუთუ დავეციწყებვიარ? და თუ მიბრძანოს და მაწუიოს, მაშინ ეგების მიზეზისა შემოლება; აწვე ფერკთა ატკიენებასა ნიტყუი. რა ესე ესმის, უღონიოდ არ მაწუიევეს. ამას მოვაკსენებ: „თქუმცა იციდ, ვითა მე ნადირობა მიყუარს; მაგრა უფერკოდ მგზავრობა არ ეგების. აწ უღონიოდ თქუმცა გასმია, რომელ ფერკთა

ტივილისაგან ქუე წოლილ ვარო.“ რა ესე ესმის, წუევა აღარ ეგე-
ბის. აქა მარავს ქუე დავდგები უშაჰინშაოდ. თუ ღმერთი შემიწყა-
ლებს და ესრე იქმნების, სხუა უკეთესი რა წამეკიდებისო“.

რა ძიძამან ესე ამბავი ვისსა მოაკსენა, ესრე გაეხარნეს, ვითა-
მცა ორნივე უკუდავ-ქმნილ იყვნეს და მეფობა ეხარა. ფერი მოუვი-
და და გონებად მოვიდა.

დილასა შაჰი მოაბადის და მისთა ლაშქართა ბუქმა ზახილი
დაიწყო და ზრიალი შეიქმნა ლაშქართა აყრა-გადენისა. დაულეენე-
ლი ლაშქარი მიდიოდა. მოაბადს წინაშე მივიდა რამინ შეუქაზმავი.
შაჰინშა შეხედნა, დიდებულთა წინა ეგრე უბრძანა:

„ეგე კულა რალა ბიჰობა მოგნდომია და მიზეზი, რომელ ეგე
შეუქაზმავი მოსრულ ხარ? ნუთუ კულა შენებურად დანსეულებულ
ხარ? აწ წაე, აილე საჭურკლით რაცა გინდა. მე უშენოდ არსად წა-
ვალ, არცაღარად უშენოდ ჩუენ გუიამებისო“!

ღონე აღარა იყო, უნდოდა თუ არა, საგურგანოდ კაზმა დაიწ-
ყო. ვისსა მაშინვე გულმა უგრძნა და შეკირვებასა მიეცა; რა თუით
დაიდასტურხ სრულად, გული გაუსქდა. რამინ უნებლივ გამგზავრდა
პირ-ალმისითა ისრითა გულ-დაკოდილი და ლხინთაგან აბეზარ-ქმნი-
ლი. ვისსა მისითა წასლვითა თმობა წაუვიდა და უჭკუო ქუე იღვა.
გული, სიხარულისა დაჩუეული, ესრე გაუკდა, ვითა ქორისა ჭანგთაგან
კოკობი დანაყილი. ტიროდა და იგრე იტყოდა:

„ვერა ვჰპოვებ პირველისაებრსა მოყუარესა და ვერ ვსთესავ
მიჯნურობასა პირველისა მიჯნურობისაებრ! უმოყუროდ მყოფისა
ჩემგან სულდალებულობა არ ეგების. არა თუმცა სხუად რად სარგებ-
ლად მიჩნდა, მაგრა მართ მვაუგების ტირილი და ზახილი, კაცისა-
გან ასრე დაჭირებისა ჟამსა მოგონებული. და თუ ამა ჩემსა გულის-
ნაღებსა, სიცოცხლე-მოუწყენელობასა ჩემსა არ ჯერ ხარ, ძიძაო,
ნახე გულისა ჩემისა მოწაჰე ჩემი გაყუთილებული პირი და ზედა
წითელნი ცრემლნი. მე აღარა მოყურისათუის ვსტირ, ჩემისა სი-
ცოცხლისათუის ვსტირ, რომელ რათგან რამინ წამივიდა, ჩემნი სულ-
ნიცა მას უკანა წაფლენ. მე ერთითა გულითა ეგზომი ქირი ვით
დავიტიო? მიწყითისა ქირისა და მოუსუენელობისაგან დამდნარ ვარ
და გაძლებისა ღონე არა მაქუს რა“.

რამინ კოშკიდაღმან უნებლივ გამგზავრებული დაინახა, აბჯარ-
შერტყმული მოაბადს გუერდით მივიდოდა თუალცრემლიანი, პირ-
დაყუთილებული, ვისის გამოუსალამებელი, დაუთხოველი. ვისის გული
ესრე აშფოთდა, ვითა ზღუასა შიგან მრჩუალი კაცისა. მერმე გულსა
საუბარი დაუწყო:

„სასურველსა მიჯნურსა, ლმობიერსა მოყუარესა ჩემსა, გულისა წამლებელსა, ტურფათა ამირასა, კეკლუტა პატრონსა, შუენიერთა კელმწიფესა, მოყმეთა დამაშუენებელსა აწვე დიდსა სალამსა მოვაკსენებ და გაუძლებელად საზომ-უთქუმელსა სურვილსა. ჩემად უნახავად წავიდა და უღონიოდ კულაცა გამწირა. წავიდა ლაშქარსა და ჩემსა გულსა შეკირავებისა ლაშქარი გამოუხახა. გული დავები ათასითა ბასრითა ტოილოითა, ყუელა გაწყვიდა და შენთანა გამოგზავრდა. რამინ, მე თუ დავრჩები უშენოდ, შენად მოსლვამდინ ვტირ სიშორისათუის. ჩემისა გულისა კუამლსა ღრუბლად გამოგვზავნი და ჩემთა ცრემლთა მისად წუიმიდ დავსწუიმ შენსა სადგომსა ზედა; მტურერსა ჩამოვპრცხი ღირსისა პირისა შენისაგან. შენი პირი გაზაფხულისა ყუავილი არის და მას გაზაფხულისა წუიმა და ნამი აშუენიაო“.

დღისა ერთისა სავალი რა იარა, რამინ ესრე გაკდა, რომელ თავისა გზა არ იცოდა და გზა-გზა კუნესოდა. არა საკუირველი იყო კუნესა, რათგან ესე სნეულისა საქმეა. ვითა გული მოსცემდა, ეგრე მოსთქუმიდა და ამას იტყოდა:

„წუხანდლისაებრ ღამე ჩემთუის საკირო არ მინახავს, რომელ კოცნა ისარსა ჰგუანდა. აწ ესეთსა დღესა ვჰხედავ, რომელ სული ჩემი თხა იყო და მიჯნურობა ავაზა. სად წამივიდა ამა დღეთა სიხარული? გული ადრინდელთა შეკირავებათაგან მომეცალა. ჩემი საგებელი მზითა სავსე იყო და სასთაული ვარდითა. მე, რომელსა ეგეთი ჟამი გარდამეკადა, აწ ესეთსა დღესა ვითა გაუძლო, ანუ რომლითა თუალითა ვსქურეტდე უმისოსა ადგილსა? ესე არ დღე არის, ცეცხლი არის სულისა და ფათერაკი მიჯნურობისა. ღმერთმან ნუ რომელი მიჯნური დააპყრას ესეთსა უნებელსა ყოფნასა გულდამწუარი და დაუთმობელი! თუ საწუთრო სწყუილდეს, ამა ერთისა დღისაგან ასსა წელიწადსა გამოსწყყავსო“.

რა შაჰინშა გარდაკდა სადგომსა, მას წინაშე უგულო რამინ მივიდა. პირსა ზედა ათასი მოწამე ჰყვანდა, თმობა მისისა გულისაგან გაპარულ იყო. მას წინაშე არცა ლუინო სუჰ და არცა გაიხარნა. ვითა ცეცხლსა ზედა ცეცხლი მოემატა, აგრე უძნელე იყო ყოვლისა ჟამისასა. არა ჰქონდა ტანსნეულსა გამოსუენება და გულმტკივანსა.



ისის რა მისგან სანდომი რამინ მოეშორა, სიხარული და ნიშატი მისგან აბეზარ-იქმნა. მიწყვიც ვარდი მზე იყო და აწ გამთუარევედა, მისებრვე დაყუითლდა და ეგრე უსუმელ-უქმელად შეიქმნა, წამსა არ მისცალდებოდა რამინ და მისნი ამბავნი. პირი დაეხოჯა უკუქოსა შექირვებითა; ძიძასა ეგრე უთხრა:

„ძებნე ჩემისა სიცოცხლისა ღონე ჩემისა და რამინის შეყრისათუის, ნუთუმცა შემოიქცა წარსრული მოყუარე. გეწყალოდე, ძიძაო, ესრე უთმობლობისათუის; ჩემი სიყმე ჭ შენგან გაზრდილობა მოიგონე. ვერ გავსძლებ უმისობასა, მოისმინე ჩემი ამბავი

და მე ყუელასა დაუფარავად გითხრობ და გესმოდეს. მე ოდეს რამინ მიჩუნენე, მაშინ მოაბადის სიძულვილითა ჭ მისგან ჩემზედა ავის ქმნითა გული სამისოდ გამყინვოდა, ჭ რამინს გული ასრე მივეც სიყმაწუილითა ჭ რეგუნობითა, რომელ მე ჯერეთცა კელთა აღარა მაქუს. აწ ხელი ჭ უკუქო ვარ. უგულობისაგან მთრვალსა ვჭავე; ნუ გიკუირს ჩემი საქმე, ნუცა მეკიცხვი. მე მისისა სიშორისაგან სიკუდილი უფრო მიამების, მაშინ იგი ერთი იქმნების და აწ სიკუდილი და სიშორისა გონება ორივე მქირს. ერთი ცეცხლი მოგუედვა მე და შენ, ძიძაო, მაგრა მე გულსა, რომელ ველარა დავაესე, და შენ—კალთასა. წყალსა თანა ცეცხლი ძაბუნია, მაგრა ცრემლთა ჩემთაგან დავსებისა ნაცულად უფრო და უფრო მომემატების. ვასხამ გულისა ცეცხლსა ზედა წყალსა,—ვის უნახავს წყალი ცეცხლისა მგზებელი?! წუხანდელსა ღამესა, ვითამცა ეკალსა და რკინასა ზედა, წოლილ ვიყავე, ესრე არ მქონებია გამოსუნება. და აწ დღე არის, სადილობისა ჟამი, მაგრა მე ღამისაებრ მებნელების. ჩემი სინათლე, ჩემისა სიყუარულისა პირისა კურცტა, ასრე, ვითა სიცოცხლისა წამალი, მისგანვე მაქუს, და მალამა მისთა ბაგეთაგან. ვირე რამინს ვაშორავე, ვერცა ნათელსა ვჭნახავ და არცა წამალსა ვჭპოვებ. არ ვიცი, რა წინა მიც

ბედისა ჩემისა საქმე? შეუგუარად რამე წავალ, გავიქრები. მეცხოვრეთა თანა ვიარები და მიჯნურსა აღარავის ვწახავე. ჩემისა ტირილისაგან ქალაქსა ლუარი წაიღებს და კლდეთა დაღეწს ჩემი საბრალლო კუნესა! რა ექმნა, ვის გუერდით დავჯდე, რამინის ნაცულად ვის შეეპზენდე? აღარ უქრეტ საწუთროსა, დაეიზუქვე თუალთა, მით რომელ რასაცა ვწახავე, არა მომეწონების. რა მერგო ნახულისაგან ამისგან კიდე, რომელ ძილისა, სიცოცხლისა და გამოსუენებისაგან მოწყუედილ ვარ. თავისა ყოფნასა ვიმწარებ, ოდესცა გამოცდილსა ვესცი. აწ ყუელა გასმია ჩემი საქმე და ამბავი, და ღონე ძებნე, რომელ შემრჩენ სულნი და მარგე რა.“ ტირილით ეუბნებოდა.

ძიძამან ეგრე უთხრა:

„თავისა საქმისაგან შექირვება არა კამს, არცა სარგებელია; მაგა ტირილისა და შექირვებისაგან არა გერგების, მართ ქირი ქირსა მოგემატების. შენნი სწორნი მიწყით მხიარულობენ და თავისა ნებისაგან მიწყით თავალებულნია. შენ მიწყით სჩივი და სტირ. გავიხვლებივარ ეგზომითა შენითა შექირვებითა. საწუთროსა სიამოვნე კაცსა თავისათუის უნდა და მალამა წყლულისათუის. შენ მალამაცა და წყლულიცა კელთა გაქუს. შენნი კელნი ღონისაგან რად შეკრულან? ღმერთსა შენთუის მოუცემია კელმწიფობისა სისრულე და დიდება: შაპროსაებრი ქებული დედა გივის, ვიროსებრი მოყმე უკლები ძმა, რამინისებრი მიჯნური, შენთუის თავვანწირული მოყუარე, მეფობისა მომლოდე! კელმწიფე უკლები კელთა გყავს. დიდება და ნებისაებრ ყოფნა ღმერთსა უბოძებია, შენ რასალა მიზეზობ, რომელ მიჯნურობისაგან კიდე თავისა ღონისა მძებნელი აღარას აღარა ხარ? მაშა, რომელ მიწყით მაგა ქირსა შიგან ხარ, ესრე მიჯნურობისათუის ძებნე ღონე, რომელ უშიშად იახლნეთ ერთმანერთსა. აწ წყეულსა ღონე და ეამი გაქუს: საქურქლე საქონელითა გატენილი გითქს და ზურგისა მამაგრებელი უამრავი ლაშქარი გყავს. მოაბადის საქმე დია და მრავალჯერ დია დაგიძიმებიაცა. აწ მთისა ოდენი წყრომა მისი არ დამცრობილა, არცა ეშმა მისი დაშუენებულა. რაცა იყო, იგივე და იგივეა, და შენცა იგივე ხარ. მართ უკუნისამდის მაშიგან იქმნებით, რაცა აქამდის გადაგივლია. აწ თუ კაცი ხარ, ძებნე შენისა სიცოცხლისა ღონე. მიწაცა არის და თესლიცა. და რეცა ვირე პირველ მოაზად სცნობდეს და სამთავე დაგუკოცდეს,—რომელ ჩუენისა მტერობისათუის მალულსა ზის, ღომსა ვითა, ჩუენთა სისხლთათუის სწყურიან, რომელ ოდესცა ეამი აქუს, უღონიოდ სამთავე დაგუკოცს,—აწვე იურვე საქმე, რომელ ერთმანეთისანი იყენეთ. რამინისებრსა საკელმწიფოსა არცა ეგრე ჰპო-

ებ! დაარქუი საკელმწიფო გუირგუინი თავსა, დასხედით ორნივე ტახტსა, ვითა ცასა ზედა მზე და მთუარე. არვინაა ქუეყანასა ზედა ეგეთი კელმწიფე და დიდებული, რომელ არ თქუენ გნატრიდა და მერმე არ გიშუელეს. შენი ძმა ვირო გიშუელის, სხლად ყუელა ამირანი და კელმწიფენი თქვენისა სამსახურისათუის მონისაებრ სარტყელსა შეირტყმენ. სრულად ლაშქართა და დიდებულთა მოაბადის ყმობა მოსწყენია, ემტერებთან და მისსა ადგილსა კელმწიფედ ანუ ვირო უნდა და ანუ რამინ. შენ მათზედა დიდი წყალობა გიქმნია და მათისა გულისათუის დიდად გიმუდარებია. იგინი ულონიოდ შენისა სამსახურისათუის დია მოიჭირვებენ. შენისა სიყმისაგან მიჯნურობითა ვერა გაგინარებთან; აწ ბედი გამოგიჩნდა და მიჯნურობითა შენი ქირი ლხინად შეცუალე. თათბირისაგან თავსა სიხარული მიახვედრე და ქმენ რაისაცა საქმისა ქმნასა ჰლამი. საოდესოდცა მოკლეა გაგიგია, ამის უკეთესსა ჟამსა ვერაოდეს ჰპოებ. მარავს შიგან არცა შაჰი მოაბად არის და არცა მისნი ლაშქარნი. ერთმანერთისა მტერობასა არა ჰმალავთ და შენ ვითა მესისხლე გიჩს და მრავალჯერ იგი შენსა და რამინის სიკუდილსა სცდილა. რასალა სდგა? საქურქლე ყუელა შენთა კელთა შიგანაა. მას დიდნი ქირნი უნახვან საქურქლეთა შეყრისათუის და ღმერთსა ყუელა უქიროდ შენთუის უბოძებია. მისითავე ოქროითა იყიდე თავისა კელმწიფობა. ვიდრე ვახშამსა სჭამდეს, შენ მიუსწარ და სადლილი ქამე. თუ ამა თათბირისა ქმნასა ჰლამი, წიგნი მიუწერე რამინს, გამოეზრახე და უთხარ ესე საქმე, რომელ შემოიქცეს და წამოვიდეს ქარისა და მოაბადის უმაღლე. რა იგი მოვიდეს, სხუა ღონე ეძებნოთ ღ მოაბადს ყოფნა დავანავდლოთო“.

რა ესე ვისსა ძიძისაგან ესმა, იამა და სიხარულისა ყუავილი აუყუავდა პირსა ზედა.



ვისის წიგნი რაინს თანა

იშორითა გულ-ტკივნეულმან ვისმან წიგნი მიუწერა რამინს ესრე საბრალო, რომელ ასოთა მისთა სისხლი სდიოდა და მეღნად მას იკმარებდა:

„ჰე მიჯნურო, სიყუარულისა მზრდელი და სიშორესა შიგან ღზინთა მნასებელი! რა წიგნსა მიუწერდე მოყუარესა, ასრევე საბრალოთა გოლითა მიღწერდი, რომელ ამას წიგნსა თუ კლდესაცა ზედა წაიკითხავ, კლდისაგან კუნესა, ვითა ჩანგისაგან კმა, გესმის. მოყურისა არ გამწირავისაგან—გულმაგარსა, სიყუარულისაგან აბეზარ-ქმნილსა, უგულოსა; მონისა უძილისაგან—კელმწიფეთა მზესა, მთუარისა მსგაესსა თანა; სნეულისა მიჯნურისა, მტერ-გახარებულისა, მოყურისა მოშორეებულისა, დაქირეებულისა, დამწუარისა, ბედ-წასრულისა, საწუთრო-დანავლდებულისა, მტირალისა, საბრალოსა მისქინისა, თუალ-ცრემლიანისა, გულ-სისხლიანისა, გულ-წყლულისა, გონება-წარსულისა, ჰაერთაგან წაღებულისა, დაწუ-დაყუითლებულისა, დაღრეჯილისა, კირვეულისა, რომელ თმა მისი საგებელია მისთუის, დაუთმობელისა წიგნი—სასურველსა მისსა წინაშე, ასრე მყოფისაგან, რომელ ქუეყანასა ზედა ჩემგან უფრო საბრალო არავინაა.

გული ჩემი ტან აურთ შენისა კიდევანობისა ცეცხლითა იწუის, სანთლისაებრ ვენტები, მისგანცა ამით უარე მყოფი, რომელ იგი თუცა იწუის, სრულადცა დაიღვეის; და მე მიწყით ვენტები, ვიწუი და დაულევენლობითა ვიქირვი. ყოველთა წამთა ცრემლითა ვიბანები და მისგან ჩემი დავსება არ ეგების. ბნელთა ღრუბელთაებრ გულ-კუამლიანი ვარ, ფათერაკისა ნადიმი და ჰირისა არიფი ვარ. კიდევანობისა ზღუასა შიგან ვიშთეები, საბრალო, მიწყით მტირალი. ერთი კელი გულსა ზედა მიც და ერთი თავსა. ბაგეთა ჩემთა ლალობა გაფეროზებულა და ყოველი კაცი ჩემისა სიბრაღულითა იწუის. ერთი თუალი და ათასი ღრუბელი წუიმრიან, ერთი გული და ათასი ფერი

შეპირვება. კიდევანობამან გამიმჟღავნა ხუაშიადი ჩემი, სისხლითა და ცრემლითა სწერს ყუითელსა ლაწუსა ჩემსა ზედა. გულისა ჩემისა ასეთი ცეცხლი აეგზნა, რომელ თმობა და სიხარული ორივე დამიწუა. ზღუასა დაემსგავსნეს თუალნი ჩემნი მეტად წყლისა დენითა, რომელსა შიგან თუალთაგან ძილი დამეკარგა. რა საძილი აღგილი წყლითა საევს იყოს, მუნ ძილი ვითლა ეგების? მე ამით კელითა, რომლითა ესე წიგნი დამიწერია, მითვე სიხარულისა საგებელი დამიკეცია. გული ჩემი გაიქცა მეტად ჭირვეულობისაგან და ტანი ჩემი დაილია სასჯელთაგან!

რად მომაშორეე მზისა მსგავსი პირი შენი, ჩემი სულთაგანცა უფრო საყუარელი? ქუეყანასა გულის-ნება და სიხარული ვითლა ვსძებნო, ოათგახ ტანსა შიგან არცა გული დამჩრომი, და არცაღა სული? ანუ ვით შემეძლოს სიცოცხლე, ვინათგან უსულოსა და უგულოსა სიცოცხლისა მიცემა ღმრთისაგანცა ურგებია. მე უამისო ვით დავრჩე, თუით ოდითგან შენგან გამოუსუნებელი, რომელ აქამდინ სიკუდილისა ნატრა დღეს დამვიწყებია ქირთა მიმატებისაგან? მე პირისა შენისაგან ქურეტასა მოვჭმორდი, შენისა თმისაებრ დაწლობილ ვარ. დღისით მზესა ვსჭურეტ შენისა მსგავსებისათვის და ღამით სიბნელესა შენთავე თმათა სახებისათვის. თუ ჩემოდენნი ქირნი მთასა დაემართნენ, წყალისა ნაცულად მასცა სისხლი გამოეცემის.

შემაგონებენ მოყუარენი და მაყუედრებენ მტერნი და ქუეყანასა შიგან არაკობასა იტყუიან. მაგრა შენისა სიყუარულისა და მიჯნურობისათვის ვერცა ეგრე მოწყუედილ ვარ. ნუ თუ თუით მიჯნურსა შეგონებით წყრომა, ცვა და წურთვა უფრო გაახელებს, ვით მე? დღითი-დღე უარე ვარ. ესე რაცა მე მჭირს, არ სიყუარულია, დღითი-დღე მომატებული ღრუბელია მწუთიმელი. ესე არ კიდევანობაა, მაგრა მოწამლული დაშნა არის გულსა და სულსა! თუით გონებიანი კაცი რად გამიჯნურდების, თუ ღონე აქუს; რად მიეცემის ეგზომსა ქირსა; რად მოეწონების თავისათვის ეგზომი მოუსუნებლობა და ნავლელი? ვინ იცის თუ მე შენსა სიშორესა შიგან რაზომნი ქირნი გარდამიკედიან! და თუ ყოველი მიჯნური ამა ქირსა შიგანა და ჩემებრ საბრალოა, ნუთუმცა დარჩების მიჯნურობისა ნაშანი? მრავალჯერ მიკიცხევია და მიცინია მიჯნურთა ზედა და აწ ნაცულად მითცა მიტირია და სინანულად გამსლვია, ვიცინოდი მათზედა, ვითა მტერი მათი, აწ იგინი ჩემითა სიბრაღულითა ტირან ჩემზედა. ასრე მე უსაბრალოე ვარ ყოველსა მიჯნურსა!

გენახე წინასცა, რომელ მზისაებრ ელვარე ვიყავ, აწ სისაყესე ჩემი დამქნარა და ლაწუისა ჩემისა ფეროვნება გაზაფრანებულა. ნა-

ყოფიერი შტო თუ სისაესისაგან დადრეკების, მე ქირისა სიმრავლი-საგან მოდრეკილ ვარ, მშუილდისაებრ გამრუდებულ ვარ, საროისა მსგავსი, და მშუილდისა საბლისაებრ დაქნობილა ტანი ჩემი. აჟა ასრე დამაგდე საბრალოდ და კიდევანობისა ცხენი გააქენე. შენისა ცხენისა მტუერი თულთა შიგან, ვითა ლუსძარი მასუია, და შენი სახე თულთა შიგან დამრჩომია და სახელი ენასა. სული მიბ-ნელდების და გული მიბნდების შენისა ნატრისა და სურვილისაგან. მეტყუიან: „ვირემდინ ჰქუნესი? დალეულ ხარ გონებითა. გარდასრულ-სა დღესა ჰგავს. მოყუარე წარსრული და ნუ შეიქირევე, თუ გული გაქუს და გონება“. მაგრა მე ვული არა მას გემოწმების, რასაცა იგინი მეტყუიან. ლუინო ჩემი დაილუარა, მაგრა სული არ წავიდა, მისი ლამე არის და აწ მზე წარსრულა; ჩემი ქუეყანა ერთობ დამ-ბნელებია. იმედისა მომლოდე მე ამით ვარ, რომელ დილისა ჟამსა მომავალია ყოველი ყუავილი. და ვარდი გაზაფხულ გამოჩნდების, ნუთუმცა ჩემიცა ვარდი გამოჩნდა!

შუენიერო, ტან-გრძელო, პირ-მთუარეო, სულ-ჰამოო, სურნე-ლო, წყლიანო, თმა-გრუზო, ბე შენი ასეთი უზიარო მოყუარე ვარ საკუთარი! თუით შენ იცი; მე არა თუ ამა ერთსა, მაგრა ათასსა სულსა შენთუის გავსწირავ. ერთი შენი თმა ასრე საყუარელია ჩემ-თუის, რომელ ათასჯერ სულთა მიჩრევია. შენ მინდი, რომელ არ მინდა წამსა სიცოცხლე ჩემი უშენოდ. შენ გექებ მიწყით, არ ვექებ უშენოსა ლხინსა. გამოგციდივარ მრავალჯერ და ხანიერობა გიცნია, რომლისაგან არცა შენ უმადლო ყოფილ ხარ. აწცა იგივე შენი მო-ყუარე შენთუის ხელი და მოსუენებული ვარ, რომელ მოწმად მყე-ნან სისხლისა მადინებელნი თულანი.

მოედ, ნახენ ჩემნი მოწამენი, რომელ შეგაჯერონ ჩემი საქმე! მოედ, რომელ დაწუნი ნახენ ჩემნი წითელნი-ყუითელნი, ათისა წლისა სნეულისა მსგავსნი! მოედ, გაიცადენ ცრემლნი ჩემნი, ჯეო-ნისა მსგავსად ნადინები, და ქუეყანა ჩემი ჯეონისაგან სისხლითა შე-ლებილი! მოედ, რომელ ნახო ტანი ჩემი, მარტოობისა და შენისა გონებისაგან მოდრეკილი, რომელ სიბარული ჩემგან და მე კაცთა-გან დამფრთხალ ვარ, ვითა გული ჩემი შენგანვე კიდე სხუისა რასა-ცალა გონებისაგან! მოედ, რომელ ნახო მიქირეებული ჩემი ყოფნა! აღარაა ჩემთანა კაცობა და გამოსრული ვარ ყოველთა სიბარულთა-გან, ვითამცა წაშითი-წამ ორთავე თულთა დანითა ვინმე მჩხულეტ-და! მოედ, რომელ ჩემი საშენოდ სიყუარული და მიჯნურობა დლი-თი-დლე ესრე მომეტებული ჰნახო, ვითა თუით შენი შუენება!

თუ არ მოისწრაფებ, მე ცოცხალი აღარა დაგხუდები. თუ ჩემი მოსწრაფება გწადიან, ნულარ დაიყოვნებ წამსაცა. ქუე ჰზი, ზე ადეგ; და ზე სდგა, ნულარ დასჯდები. წამსაცა ნულარ მოისუენებ. რა ესე წიგნი წაიკითხო, წამოედ, დლივ და ღამე იარე. შენად მოსლვამდი უცნობოსა მიგონებდი და თმობა-უქონებელსა; შენთა გზათა თუა-ლისა-მგებელ ვარ, ვითა გუშაგი, და თულა მიმქირდების შენი კიდე-განობა, გაუშმაგებელი ულონიოდ არ დაერჩები. შენად მოსლვამდინ ამისი მთხოველი ვარ ღმრთისაგან, რომელ გაძლება მომცეს და შე-ნი უნახავი არ მოგკუდე, და ნუთუმცა მანვე მისითა მოწყალებითა ესეცა ქნა, რომელ გულის-ნება გაგუისრულოს და უშიშად ერთმან-ერთისა სიახლე მოგუხუდეს, ეგზომნი ჩუენნი ქირნი მოიწყინეს და ფათერაკთა მომლოდეობანი.

მაგრა აწ თუმცა ღმერთმან შენისა პირისა ნახვა მომცა და მერმე მოგკუდე, აღარა მგამა! მე თუ ამა შექირვებასა შიგან მყოფი მოგკუდები, ჩეძისა გულისა კუამლი ქუეყანასა დააბნელებს და ცასა დააკუარტლებსო“.

რა ვისმან წიგნი გაასრულა, მაშინვე სწრაფით ჯამაზითა აქ-ლეშითა თავისა მისანდობელი ყმა გაგზავნა ფიცხლა.



მა გულოვანი და მისი ერთგული მისთა წადილ-
თაებრ ფიცხლა, ვითა ფრინველი, წავიდა და ვისის
წიგნი რამინს მიართუა.

რა ნახა, გულმან ძგერა დაუწყო და, ვითა ცხო-
იანი, ათრთოლდა. თუით მისთუის მოსურვებულ-
მან, რა მისგან დაწერილი ნახა და წაიკითხა, სრუ-
ლად შმაგთაებრ თავისა გზა ველარა გაილო. დაიდვა
მრავალჯერ პირსა ზედა წიგნი, თუალთა და მკერდსა ზედა ედვა,
აკოცებდა, უთმინობისაგან თუალთა ცრემლსა ვერ იჭირვიდა და
გულისა მისისა კუამლი ცამდის აღვიდოდა. ესეთნი კარგნი სიტყუანი
მრავალნი თქუნა, რომელ არ გაიგონებინს:

«გულო, ვირემდინ ითჟენ ესეთსა ყოფასა, რომელ თუე შენი
მიწყით კირსაა და წელიწადი ფათერაკსა! გულო, თავისა ნებისა
მძებნელი არ ესრე კამს. რასა იქმ, უნდო, რომელ ბოლოსა ჟამსა
იგონებდეს და არ შეშინდეს ჩემებრ უგულო მკუეთისა კრმლისაგან,
პილოსა გამწყრალისაგან, ლომისა მშოიერისაგან? არცა სიცივისა
და არცა სიცხისაგან არ შეშინდების, არცა ბუქისა და არცა ზღუი-
სა ზუირთისაგან შეშინდების. რათგან მიჯნური ხარ და ყოველთა
მიჯნურთა, გარდასრულთა და მომავალთაგან, უსაბრალოესი და უფ-
რო მიჭირვებული, რასა სწყალობ თავსა? ესრე სიჯაბნე რა საშე-
ნოა? რად არ ეძებ ღონესა რგებისასა? ვირემდინ იკითხავ შენ ეტ-
ლისა საქმესა, ვირემდინ სჩივი და სტირი? რასა ვინ გარგებს სხუა,
თუ თავისა თავსა შენ არარას არგებ? რად ვინ რას მოიჭირვებს
შენთუის, რათგან თუით მიჯნურობა ძაბუნია? შენვე დაუმდაბლდი
მიჯნურობასა. დამცრობა მტერისა სიმაღლეა.

აწ გარდაიგდე სრულად გულისაგან სიმძიმე ტუირთისა. კაცსა
ყოველი უბედურობა შეფრობილისაგან ეკიდების; სრული სიხარუ-
ლი და სიამოვნე მალვასა შიგან ოდეს იქმნების? და რადლა ესრეთ
უბოლო მალვა ჩუენ გუჭირს და ყოველთა მოყუარეთაგან უფრო

ქირგადანაკადობა? ესრობასა შიგან ერთსა სარგებელსა ათასი ზინი სდევს და ერთისა დღისა სიხარულსა—ერთისა წლისა შექირვება. აწ ანუ, ღმერთო, დავდევა თავი საკლავად და სრულად წავკდე, ანუ აქამდინ ნასკუი გავკსნა და დავკსნა თავი ქირთავან! მე ჩემისა კრმლისაგან უმაგრესი მეშუელი არავინ ვიცი და არცა ჩემისა მკლავისაგან უკეთესი ძმა მივის!

არა თურე ჩემისა, ჩემთვის თავ-განწირულისა, ვისის მიჯნური და საკუთარი ვარ და არცა მამაცი, თუ აქათვან ვისიცალა მუღარა ვიყო! გამეღავნდეს ჩემი საქმე, და რაცალა სწადდეს, იგიცა მოჰკდეს! სიკუდილისა უარესი რა წამეკიდების, ანუ კრმლისაგან უმახუილესი რა მეცემის! მე რა ვისის ვაშორავ, ვკუდები; და რა ვიხილო, უსაკუთრობისა მისისათუას გული კრმლითა მექრების. სახელისა მძებნელი მტერსა არ ერიდების და მარგალიტისა ვაქარი—ზღუასა. სიხარულისა გზისა მცუელი ლომია და ნებისა ლუინისა ქიქა—კრმალისა. გარდაიარე ლომისაგან უშიშად და გამოისუენე ურიდად. ზამთრისა სიცივე რა გარდაკდეს, ზაფხულისა სიამოვნე მაშინლა მოვა. ნუთუ შეიბრალა ღმერთმან ჩუენი საქმე და ჩუენისა ქირისა დლე დაილია და სიხარულისა მოგუივიდა, წავიდა ზამთრისა სიძნელე და ზაფხულისა მოგუეახლაო!“.

რამინ ამა გულისა საუბარსა შიგან ერთსა ადგილსა ველარა იდგა, იწუდებოდა; ზოგჯერ გააცივის და ზოგჯერ გააცხელის გონებამან. ტიროდის და ოხრევდის. გულისა ფიცართა ზედა ვისის სახე გამოესახა და თუალნი გზასა ზედა ჰქონდეს, შელამებასა მოელოდა, ცისა ჰაერსა უქურეკრდა შელამებისათუის, რათამცა უმალე გაეკსნა გზა მისი.



ა დღისა ცეცხლისაგან ღამისა კუამლი დარჩა და ჰაერი დაბნელდა, წამოვიდა თმობა-უქონებელი რახსოსანი მზე რამინ ხორასნისაჲ და ვერაჲინ ნახა მთუარისა და მასკულავთაგან კიდე. მოაბადის ლაშქართა თანა მან ვერაჲინ ცნა, თუით იგი და ვისის მოციქული ორმოცითა დარჩეულითა ყმითა ზოგჯერ ცორვითა და ზოგჯერ რბევითა მოვიდოდეს სწრაფით. ერთ კუირა მარაჲს მოვიდეს გურგანიდალმა. რა მინდორი მშუიდობით გარდმოიარეს და ერთისა დღისა სავალი დარჩა მარაჲამდის, მაშინ ვისის მოციქული წინათ გამოგზავნა და გულისა მონაცემთაებრ დიდი სალაში და სურვილი შემოსთულა. და ამა საქმისა ჟამად გაუმჟღავნებლობა შეავონა, კაცსა ესე დაავედრა:

„ვისის და ძიძას მეტსა ნუვის უთხრობ ჩემსა მოსლვასა, და ესე ხუაშიადი შეინახე, მიუ რომელ ჩუენი სათავნო და სარგებელი ძიძა ოდენ არისო, და ჩუენი საქმე ესრე გაასრულა, რომელ აქათგან აღარ დაიშალვის. ვერცალა მოაბადის პირსა ვჰნახავთ და, თუ ვნახოთლა, რაზომცა აჲი წამეკიდოს, მე მმართვებს. ხვალე ლამე ციხეს ზედა ფრთხილად იყავ, შუალამე მომელოდი და ესეთი რა ღონე ძებნე, რომელ ერთგან შეეიყარნეთ. მერმე რაცა კამს, მისი თათბირი ვჰმნათ და ჩუენი საქმე ვიურვოთ. და ჩემად მოსლვამდინ ესე საქმე დამალე, რომელ არაჲინ ცნასო“.

წავიდა მოციქული; ვითა მახარობლისა წესია, ეგრე ფიცხლად მივიდა. მაშინ ვისი მას მარაჲისა ქალაქისა ძუელსა ციხესა შიგან იყვის, რომელ ქუჰანდუზი ჰქუიან და ერთობით ძუელი და ახალი პაპის-პაპეული მოაბადის საკურკლე ყუელა მას ციხესა შიგან იღვა. და ზარდი, მოაბადის ძმა, ციხის მცუელად იყო და ვისისაცა, რომელ საკურკლისა და ციხისაგანცა იგი უფრო დაეჭირებოდა. თუით ზარდის საკურკლეცა მუნვე იღვა, რომელ მოაბადის საკურკლისაგანცა უფრო იყო. მის უმდიდრესი კაცი მიწასა ზედა არ იყო, ამით რომელ მოაბადის ძმა იყო, მისი მისანდობელი სახლისა - უხუცესი და თუით ერთგული მისი.

და ესე ვისის გაგზავნილი მალევით ქალაქს შევიდა და მერმე დიაკურად ზეწარი ჩაიტუა და ვისსა წინაშე ეგრე მივიდა. ყოველთა დღეთა ვისის წინაშე დედათაგან დარბაზობა იყვის. ესეთი დღე არ გარდაკდის, თუმცა ხათუნნი, დიდებულთა ცოლნი, არ ეწუიენიან და მათთვის არ გაეხარებია და მაემანი არ ექმნა. ესე ყმა, მოციქულად გაგზავნილი, ზეწართა ესრე მივიდა, რომელ ვერცა თუით ვისმან შეიტყო მისი შესლვა. მერმე გამოეცხადა და რამინის ამბავი წურილად მოაკსენა და შეთულილობა გააგონა ვითაცაღა იყო ვისსა. ვით ესე ამბავი იამა ვისსა და გაეხარნეს, თუით მისისავე გულისაგან კიდე მიწთომა ვისმცა ჰქონდა?! მოეწონა რამინისაგან ამისი ქმნა, დაიმაღლა ურიცხუად, რა დაისკუნა მისგან მისი ულევრობა. და ღონესა ძებნა დაუწყო მისისა შეყრისა.

მერმე მასვე წამსა ვისმან ზარდის კაცი მიუგზავნა ვითა: „ჩემი ძმა ვირო ავად ყოფილა, მესმა და მზმანებია, რომელ მოუჯობინებია. აწ მისთვის საღმრთოისა ქმნასა ვჰლამი, მუნ დია რამე შეწირვა გამოიგა და გლახათა მიცემო“.

ზარდმან ეგრე შემოუთუალა: „აგრე, ღმერთო, ქმენ, ნეტამცა მიწყით საღმრთოსა და სასჯულოსა საქმესა იქმოდეო! რაცა სჯობს, ღმერთმან იგი გაქმნევინოსო“.

მაშინვე ციხისაგან ვისი ჩამოვიდა და ჯიმშედის აგებულსა საცეცხლესა მივიდა ღოცვად. დიდებულთა ასულნი და ცოლნი ჰყვეს თანა. შესაწირავი გასცა დია უამრავი, და ზროხა და ცხუარი მრავალი დაკოცეს გლახათათუის; და სტავრა-ოქრო წააგო შეწირვით და გატემით დიადი. ღამე რა კარგად დაბნელდა, რამინს აცნობეს, და მივიდა რამინ მალევით. გაახალვათეს ადგილი. ერთმანერთისა სიხარულითა გაიხარნეს, თათბირი ქმნეს რამინის ზე-გასლვისათუის. რაზომცა ძნელი და საჭირო საქმე იყოს, რა ღმერთი და ბედი შესწევს კაცსა, ყუელა მოუადვილდების. ვითა მით ვინცაღა დიდებულთა ცოლნი იყენეს, თავის-თავის გაიყარნეს. გარეევანნი კიდე ყუელა წავიდეს. და მათ მათი მისანდობელნი კარგნი ყმანი დაიკირნეს. რამინ და ვისმან ორმოციოდენ კაცნი ზეწრებითა შეასხნეს და თუით რამინცა ეგრევე შეეკეზმა. წინათ კულა მსახურნი სანთლოსან-მაშხლოსანნი მივიდეს, ხოჯანი და ჩაუშნი. ამით ღონითა ქალაქს შევიდეს, რომელ ვერავინ უგრძნა. კაცსა სცემდეს გზასა ზედა და ჯალაბსა აყენებდეს ვისის კრძალვისათუის. ამით უაზროითა საქმითა ვერავინ უგრძნა მათი ხუაშიადი და ორმოციოთა კარგითა აბჯრულითა ყმითა-ქაბუკითა ციხეს გავიდეს.

ციხოვანთა ციხისა კარი გამოკშეს, ზღუდეთა ზედა გუშაგნი დააყენეს წესისაებრ და ესე არ იცოდეს, თუ მოაბადის ციხე-დარბაზი მტერთა საესეაო. გუშაგთა ციხისა ცუა დაიწყეს და ყივილი. ღამე სრულად დაბნელდა დაღრეჯილისა გულისაებრ, ჰაერი შეიღება მძივითა და ფისითა, ცა აივსო, ვითა ზღუისა ფსკერი მარგალიტითა. ამა დაკაზმულმან ლაშქარმან გამოდენა დაიწყო, ვითა ალექსანდრეს ლაშქარმან ბნელეთით. მათი ომი მოედვა ციხესა ცეცხლისაებ. სრულად ციხოვანთა კრა დაუწყეს. რამინ მძინარესა ძმასა ზარდსა ზედა მივიდა. ზარდი გულოვანი და ფიცხელი იყო, აიკრა და შემოჰფრინდა, ვითა ვეფხი, რამინს, ვითა თუით ბედსა მისსა აიკუდილი და მოაბადსა წაწყმედა.



რამინისკან ზარდის სიკუდილი.

ამინ ზარდსა მუდართთა ვგრე უთხრა:

ჩემისა მტერობისა და სიკუდილისათუის ნუ ხარ მიწყით გაფიცებული, ჩემგან შენი ვნება, ლმერთმან იცის, არ მწადიან. დააგდე კრმალი და მიმიშუი. მე შენი უმრწემესი ძმა ყარ, ავსა ნუცავისა სხუასა უზაჲ

და ნუცა თავსაო“.

რა ზარდსა რამინის კმა ესმა, მტერობისაგან დაუბნელდეს თუალნი, ვერა გაიგონა და დაუწყუო რაძინს გინება და ავთა ზნეთა ყუედღრება. შემოუტევა თავსა კრმლისა საკრავად. რამინ დარაკა იფარა; დარაკა სრულად გაკუეთა. მერმელა რამინ ჰკრა ზარდსა, თავი და კელი მოჰკუეთა და შეიღება ციხე მისისა სისხლისაგან. თუითოსა ბანსა ზედა ათ-ათი კაცი მოკლული იღვა და თუითოსა უბანსა ზედა მკუდრისა გორი იღვის. მრავალნი სიკუდილისა შიშითა ციხით ჩამოხლტიან და სიკუდილისაგან ვერცა ვგრე იკნინან; მრავალთა მოიქირვეს სიცოცხლისათუის და ვერცა ვგრე დარჩეს. დღე იყო, და მისთა მჭურეტელთათუის ღამე და ღამისაგან უბნელესი. ჯერეთ ქათმის ყივილი არ იყო და ზარდი სრულად დაილია, რამინს საწუთრომან და ეტლმან რაზომცა გულის-ნება მისცა, მუნამდი ვერცა ვგრე, ვირე ძმისა წაგუთრითა არ დაწუა. საწუთროსა რასდონჯერცა გამოსცდი, მიწყით ასრკა, რომელ ლხინი მისი უჭიროდ არ იქმნების. ვარდი მისი ეკლიანია და ლხინი ჭირიანი, მიჯნურობა ფათერაკია და სარგებელი მისი ზიანია.

რა რამინ თავისა ძმა მოკლული ნახა, გულსა შეუკდა და სისხლი აუღულდა; საყელონი გარდიხინა, თავსა იცემდა და მოთქუმა დაიწყო: „ვგაღახ მე, ჩემო ძმაო სუიანო და სულთაებრ საყუარელო! რაზომცა შენ დამტერებოდი, რად არ აუღდე გულსა წინა? რად მოგ-

კალ? კელნიმცა ვინ გარდამქრნა და თავნიცა ვინ მომკლეთა! ვით მოვკალ შენებრი ძმა, რად ამოვიყარენ თავისითა კელითა თულანი?! რაზომცა დიდი სიხარული ვპოვო და დიდება მომზღდეს, შენებრი ძმასა ვერცა ეგრე ვპოვებო-.

მოთქუა რამინ ძმისა საქმესა ზედა; იტირა, მაგრა არა კირისა-უფლობისა ჟამი ჰქონდა,—კირისა და შულლის ჟამი იყო. რა მეც-ხოვრე მოკულდა, ცხუარნი მგელსა უმეცხოვრეონი დარჩეს. რამინის კრმალი მის ლამისა სპარსთა ხატებისაებრ მამბარსა ზედა მალლად ჩნდა, რომელ მისთა მტერთა ბედისაებრ მას ლამესა ბნელი იყო. ეტლნი და ფილაქნი რამინის კელმწიფობასა თურე ინატრიდეს, რომელ მისთა წადილთაებრ უმარჯუებდეს საქმესა.

რა გათენდა, რამინის ბედი ნათლად გამოჩნდა, ქუეყანასა ზედა მზემან ამბავი მოჰქინა მისისა კელმწიფობისა. დილასა დარბაზთა ზედა დაჯდა ვისის გუერდით გამარჯუებული და ვისის გუერდით ყოვისათუის მხიარული და მოვლენილი, ყოველთა შიშთაგან უშიშქმნილი და შეუჭირვებელი. მისი წინააღმდეგომი არავინ იყო. დაჰყო ორი დღე შინა ციხეთა და ლაშქართა საქმე დაიურვა. მერმე რაცა მარაეს შიგან ჯორი და აქლემი იყო, თუ პილო, ყუელა შეყარა, და რაცა მოაბადის საქურტლე იყო, ყუელა ასრე აჰკიდა ათასსა აქლემსა, ჯორსა და პილოსა, რომელ საქურტლესა შიგან ერთი სტაგრა და ერთი დრაჰკანი არ დააგდო. დატუერთა ყუელა თულითა, მარგალიტითა, ოქროითა და სტაგრითა; გამომგზავრდა მისითა მოყუარითა და ლაშქრითა. ჩასუა თულითა და მარგალიტითა მოკაზმულსა კუბოსა შიგან ვისი. მივიდოდა ესრე საჩინოდ, ვითა მასკულავთა შიგან მთუარე. მოვიდოდეს ფიცხლად დღე და ღამე, ორისა კუირისა გზა დღივ გაიარეს. გარდაიარნეს მთანი და მიწდორნი.

ოდეს რამინის ამბავი შაჰი მოაბადს მოაკსენეს, რამინ ყაზმინს მისრულ იყო და ყაზმინით დელამთა ქუეყანასა. დიდნი და მაგარნი და ლაშქარ-მრავალნი დელამნი და გელანელნი ეგზომ კარგნი ყმანი, ბნელსა ლამესა არ დააცდუნეებენ, თძასა მაზარაკითა გააპობენ და ნაექსა შესტყორცნიებენ, გურდემლსა გაარბენენ, შუბსა უტევისა-განცა უფრო შორს გასტყორცნიებენ, დიდროანი და კარგი დარაკები აქუს. თავ-თავიანთ შინა ერთმანერთისა მეგრძოლნია; კრმალსა, შუბსა და ისარსა კარგად იკმარებენ. ესრე კარგნი ყმანია, რომელ რაზომცა ვინ დიდნი და კარგნი სპარსეთისა კელმწიფენი ყოფილან, ზათთუის ვერცავეის ხარაჯა დაუც და ვერცავეის წაულია. დღესამდინ იგი ქუეყანა ამით ქალწული არის, რომელ ვერა რომელსა კელმწიფესა აულია და მისგან გულის-ნება ვერ უპოვინია.

რა რამინ მუნ შევიდა საჭურჭლითურთ დაუკლებლად, ოქრო აკუმად დაასხა და ჯამითა გაყოფა და გაცემა დაიწყო,—მტერმან და მოყუარემან მიჰმართა. რა მისთა კელთაგან ოქრო წუიმდა და ბედი უყუაროდა, ლაშქარნი ზღუის ქუიშისაგან და ხის ფურცლისაგან უფრო გაუმრავლდა, დროშა მისი ცად გაიწია. მომართა ყოვლისა ქუეყანისა ლაშქარმან; მაგრა არ მას მოჰმართა, —ოქროსა და ლარსა. რაცა დიდებული იყო, ყუელა მისად სამსახურად მოვიდეს. ესეთთა ვითა: ამიამ და ქიშარ, ვირო და ბარამ, რაჰამ და გელო. და ვინცა სხუანი კელმწიფენი იყენეს, რომელნი სიშორითა და ჟამისა უქონლობითა მაშინ ვერ მოვიდოდეს, ყუელათა წინათვე ლაშქარი გამოგზავნეს; მერმე თუით მოვიდეს. ესრე გამრავლდეს რამინის ლაშქარნი, რომელ მიწასა ზედა არ ეტეოდეს. ამირ-სპასალარი მისი და ეაზირი ვირო იყო და მსახურთ-უხუტესი და ეჯიბი—სამი და გულო.

რა ესე ამბავი მოაბადისა ლაშქართა შიგან მივიდა, შიშითა მოაბადს ვერ აცნობეს, მით რომელ აცნობობასა და წყრომასა შინა დაუბუნებელი იყო. კელმწიფეთა შიგან აცნობობისა უარესი ზნე არაა. ყუელამან ამის საქმისა დამალვა გამოარჩია, სამსა დღესა ვერაგინ მოაკენა და ვინცა ვინ მისი იყო, ყუელანი თავისთავ გაიყარნეს. რა მოაბად ამბავი ცნა, გაშმაგდა, ცნობანი წაუვიდეს, ბედსა შეება და მისისა თავისა გზა და ღონე ველარ შეიგნო, თუ სთქუა, წინაით და უკანით გზა შეეკრა. ზოგჯერ ამასა იგონებდა: „წავიდე ხორასანს, რომელ ნუცა ქუეყანასა ზედა ვისი, და ნუცა რამინ, და ნუცა გურგანი, რომელ წამოვედ!“ ზოგჯერ ამას იტყოდა თუ: „აქათ წავიდე, ქუეყანასა შიგან სააუგოდ დავიდები, ამას მიზრახვენ: შეშინდა რამინისაგანო, თუარა ხორასანს არა მოვიდოდაო“. ზოგჯერ ამას იტყოდა: „წავიდე რამინისა საშულლად, ნუთუ ჩემი ბედი თანა აღარ დამადგეს! ჩემნი ლაშქარნი მემტერებიან, მევედ ყუელასა რამინ უნდა, ყმა კაცი არის და ბედიც მისი ყმაა. აშას ვეჭუ, რომელ გამარჯუება მისევე იქმნას, ჩემი საჭურჭლე ყუელა მას აქუს. მე გლახა ვარ და იგი მდიდარი. ვერ ვკამე იგი და ვერ ვიკმარე, ყუელა მისთუისევე მედვა. მე დედამან ჩემმან მიყო, რომელ რამინს შემანდობინა და მართლად წამეკიდა, თუარა რად ვისისა სიტყუასა უკანა უდგებოდნი?“

ერთსა კუირასა დარბაზობა არ შექმნა ამისის გონებისაგან, თუ რა ვექნაო. მისმან გონებამან ზღუა და კმელი ყუელა მოიარა, მერმე ბოლოსა ჟამსა ესე დაასკუნა, რომელ რამინის ომად წავიდეს და შეებას. გაქცევა ეაუგებოდა და გურგანით ამულს მიჰმართა, და დადგა ლაშქარი მისი ამულის ველსა და აივსო ქუეყანა ლაშქრითა, და კარვისა სიმრავლითა დაშუენდა.



მაჭვი მოაბადის სიკუდილი ტასისაგან

აზომცა ვინ საწუთროსა სცლიდეს, მისსა მალულსა-
ხუაშიაღსა ვერცავინ ვგრე სცნობს. მისისა გული-
საგან უფრო ღამალული არაა და არცა მისისა გო-
ნებისაგან უმახუილესი. საწუთრო ძილია? და ჩვენ

შიგან სიზმართა ვჭავთ. რად მოველი შიგან დაყოვნებასა? არ არის ერთფერად მდგომი, არცა დაეძორჩილების კაცსა, არცა სიყუარულსა მტერობისაგან გამოარჩევს, და არცა მოყურობასა ვის გაუსრულებს, ვინც მისგან სიყუარულსა მოელის; ასრე, ვითა ბრმისა გულისა გუშაგობასა, საეჭუ უჩუენებს კაცსა. მრავალფერად[ა] საქმე: შიგნით სხუაა და გარეთ სხუა; თუალთ-მაქციერსა ჰგავს. მრავალფერნი მოქარავენნი მივლენ, ნაგრა შიგან დიდხან ვერავინ დაჰყოფს. მას შშუილდიანსა ჰგავს, რომელ ბნელსა ღამესა ისროდეს: ისარი მისთა კელთაგან წავა, და არ იცის, სად დაეცემის; და ვეძებთ მისგან სარგებელსა, და არაა. თუმცა მისგან დაგურჩა, არცა თუით დავრჩებით. ასრე სიზმარსა შიგან ვართ. რა ერთი დღე გარდავიდეს და მეორე მოვიდეს. იგი პირველი დააეიწყუდების და მისიცა შემდეგი სხუა გააკუირვებს კაცსა. საწუთროისა მრავალფერობა ერთსა გაადიდებს და მეორესა დაამცრობს. ნოაბადის უკეთესი კელმწიფე, ქუეყანასა შიგან, ვითა მზე, გაცხადებული, გააბედითა და წააკუნევა. ბოლოსა ჟამსა დაღრეჯილი და ნებაგაუსრულებელი დარჩა.

რა ლაშქარნი ამულს დააყენნა, მას ღამესა გათენებამდინ სუმაღ დაჯდა. სრულად დიდებულნი დამოსნა, სხუათა ლაშქართა აბჯარნი, ცხენი, ოქრო და ლარი უბოძა, ააგსნა საბოძურითა; მათისა მომადლობისათუის იჭირვოდა. თავისა მორკმულობასა იურვოდა და ესე არ იცოდა, თუ ღმრთისა განგებასა მის ღამისა შედეგად რა გაეგო მისთუის. მას ღამესა მხიარული და მთრვალი ქუე დაწუა; მერმე მისისა უბედურობისა დილა გათენდა.

მოაბად დარბაზობა გამართა და დიდებული ყუელა მას წინაშე მისრულ იყო და საურავი ჰქონდა. თუით მოაბადის კარავი და მისთა ლაშქართანი ტყის პირსა დგეს.

ანაზდეულად ტყისაგან დიდი ტახი გამოვიდა. ლაშქართა ნახეს, დევნა დაუწყეს. ლორმა მიდამო-ბრუნვა და სირბილი დაიწყო. კარავთა შიგან შემოუკდა. მოაბადს კმა ესმა ლაშქართაგან ლორისა დეგნისა, ქარმაგსა ცხენსა შეჯდა, კელთა სათხედი აილო და მანცა დევნა დაუწყო. ტახსა შემოსტყორცნა სათხედი და დააცდუნვა. მერმე ლორმან შემოუტყვნა, ეცა ცხენსა და წააქცია, შაჰინშა თავ-დაღმა დაეცა. ცხენსა ასწრობასა ჰლამობდა; კულა მოუკდა ლორი, მოჰკრა ეშუი მკერდსა და უბემდის გაუპო. დაეცნეს ცხენი და შაჰინშა ორნივე ერთგან.

ესრე დიდი კელმწიფე, ვითა შაჰი მოაბად იყო, ისრე საბრალოითა საქმითა მოკულა. დაილივენეს დღენი შაჰინშასნი, დაივსო მოაბადის სახლისა სანთელი, მისნი ერთგულნი და დაზრდილნი მიეცნეს შეჰირვებასა, და ორგულთა და მტერთა გაეხარნეს.

აჰა საწუთროო, არაა შენი ხანიერება! სხუათათუის ვნახო და გავიცადო შენი მონდობა,—სიყუარული გულისაგან ამომეკოცების. არა მაქუს მონდობა შენისა ლმობიერებისა! ჩუენისა მტერობისათუის მიწყით მალულსა გუიზი, შეცოდებასა წინა არ დაგუიდებ. რაცა მოგეცეს, ყუელათავე მოგუთხოვ. ორსა დღესა მიმასპინძლებ და მერმე მისად მუქუად სულთა მოხოვ. რად დაღური ესრე უწყალოდ ჩუენ უბრალოთა სისხლსა? თუცა საცხადოდ ნათელი ხარ, დაფარულობასა შიგან სიბნელე დია გაქუს. წისქუილისაებრ მბრუნავი ხარ; წყლითა, ქართა და მტურითა გატენილი ხარ. რა ბედი ჩემი ორმოსა ჩაიგდო, შენი სიმაღლე მე აღარას მერგების. რაზომსაცა ვინ გამოგცდის, იგივე და იგივე უხანო, უხენარო, მუხთალი და გამწირავი ხარ. ვინცა ხნეთა შენთა სცნობს, ნიადაგ გგმობს!



რამინის გაგელმწიფება

ა რამინს აცნობეს ესრე დაფათერაკებით სიკუდილი და ესე რომელ საწუთროისა მზე ვეშაპმან უგრძნეულოდ ჩანთქა, ზეპირ ღია შექირვება დაიჩინა; ტირილი და ქირისუფლობა გარდაიკადა. გარნა ღმერთსა მალვით ღია მადლი მისცა, რომელ იგი ესრე იქმნა და არა ომი დაემართა, თუმცა გლახათა სისხლი დაღურვილ იყო. მოაბად მოკუდა, რამინს მისი საწადელი გაუსრულდა. ღმერთსა თაყუანისცა და ქება შეასხა, ეგრე თქუა:

„ჰე ღმერთო მოწყალეო და სახიერო! განაღმცა შენ იყავ დამბადებელი ცისა და ქუეყანისა, რომელ იქსნი ფათერაკთაგან კაცთა! აწ აღთქუმასა დავსდებ შენსა წინაშე, რომელ ვირე ცოცხალ ვიყო. შენს ბრძანებასა არ გარდავჰკდე; მოსამართლე, მდაბალი, ღმრთის მოშივი, მართლის მეტყუელი, სიმაართლის მძებნელი, გლახაკთა დაუქირველი და მოწყალე, შენთა დაბადებულთა და მონათა მეშუელი ვიყო, და შენ მოწყალე მექმენ და დამიცევე, უფალო, მტერთა და მეშურნეთაგან მიკსენო“.

სამადლობელად გლახაკთა ზედა გასცა და მერმე მაშინვე შეეკაზმნეს წამოსავლად იგი და ვისი. საწუთროისა და მტერთაგან უშიშ ქმნილნი და მხიარულნი იყვნეს. გამოეშართნეს დიდითა ლაშქრითა. ასაყრელთა ბუკთა სცემდეს; ქოს-ალამნი ჯეონისებრ მოდიოდეს. ლაშქართა ზრიალი იყო სიდიდისა; ვითა ქარისაგან ხევენართა შიგან შიქიქმნების კმა, აგრეთვე მათისა მეტად სიდიდისაგან ისმოდა. საუკუნოსა ჰგუანდა იგი გზა ჯალაბისა სიდიდისა და ზეიმი-საგან.

დელამთა მითთ ამულამდინ მოვიდა რამინ მისის საყუარელი-თურთ მხიარული და ნება-აღსრულებული. შაბათსა დღესა სუიანითა ეტლითა და მხიარულითა გულითა შემოვიდა მოაბადის ლაშქართა შიგან, გარდაკედა ნობათთა-კარავთა. მივიდეს მოაბადისეულნი დი-

დებულნი და ლაშქარნი, თაყუანისცეს, ოქრო, თუალი და მარგალიტი გარდააყარეს და შაჰინშაობასა ზედა დალოცეს. ყოველსა კაცსა გაუკუირდა მისი ეგეთი სუიანობა და მოსამართლეობა მისისა აღტქმისათუის. მაისისა ღრუბელსა ჰგუანდა კელი მისი და მისისა კელი-საგან ოქრო და ვეცხლი წუიმდა.

კუირა ერთი ამულს დაჰყო ლაშქართა გუერდით. ყოველთა დღეთა დიდებასა ემატებოდა, იხარებდა, გასცემდა, სუმიდა, კელმწიფეთა და დიდებულთა საკარგავი მოუმატა და მათგან სათავისო ერთგულობა და სამსახური მოიმატა. რომელ დიდი და გუარიანი კაცი იყო, როსტომისი ტომი, ტაბრისტანი მას უბოძა, -ბასანელსა როჰამს; და რე ქალაქი ბეჰროზს უბოძა, ადრინდელი მოყუარე იყო მისი. თუით რამინ და ვისი, ოდეს გარდაიხუეწნეს მოაბადისაგან ცეცხლისა ფიცებისა შიშითა, მაშინ მისსა მივიდეს რე ქალაქს და მან კარგად უმასპინძლა და ხუაშიადიცა კარგად შეუნახა, და ამისა მუქჳად თუით იგი რე ქალაქი უბოძა. კარგის მოქმედობა კაცისა ესრე არ წაკედბის. გურგანი აღინას უბოძა და გაადიდა. იგიცა ძუელი მოყუარე იყო და მოეჭირვა მათისა სამსახურისათუის. ამირსპასალარობა ვიროს უბოძა და მსახურთ-უხუცესობა—შეროს, გუარიანნი იყვნეს და ორნივე ტანნი ვისის ძმანი იყვნეს, და ვისის სიყუარულითა კარისაგან აღარ გაუშენა.

რა ესე საქმე დაიურვა, თუითო ქუეყანა თუითოსა აზნაურსა მისცა და თუითო ქალაქი თუითოსა ყმასა. მოირკუნა და გამომგზავრდა ხორასანისაკენ, მით რომელ მათი საკელმწიფო საჯდომი მარავი ქალაქი იყო. სრულად ხორასანისა ქალაქები და ქუეყანა შეჰკაზმეს, ყოველი კაცი, დიაცი და მამაცი, მათ უჭურეტდა. ყოველნი გზანი სამოთხისადა დაემსგავსნეს, ყოველი კელი თუალსა და მარგალიტსა მათ ასხმიდა, და ყოველი ენა ვისსა და რამინს აქებდა. მათ ულოცვიდეს და ყოველისა კაცისა გული მათ სჭურეტდა სიყუარულისათუალითა.

რა მარავს შვეილი შაჰინშა, სამოთხისაებრ უჩნდა ქალაქი მხიარულად, და სიამოვნითა მათსავე ბედსა ჰგუანდა და სიტურფითა ვისის პირსა. ათასფერნი მუტრიბნი სხდეს და აგრე მრავალფერთა კმათა იმღერდეს და მათი სიმღერა ყუელა რამინის საქებარი შირი იყო. აკუმეედეს ყოველგან აღვასა და ამბარსა, აყრიდეს ყოველგნით ოქროსა და ვეცხლსა, თუალსა და მარგალიტსა; ცხენსა მისსა ფერკთა ქუეშე უფენდეს სტავრათა საპატიოთა. სამსა თუესა ასრე შეკაზმული იყო ქალაქი. დღივ და ღამე სიხარულასა და ნიშატიანობისაგან არ დასცხრებოდეს.

და არა ოდენ მარავი ქალაქი იყო ასრე შეკაზმული, გარნა მართ სრულად ხორასნისა ქალაქნი მაშიგანა იყვნეს.

მოაბადისაგან დია მისქირებოდა ქუეყანასა და მისითა სიკუ-დილითა ყუელა დაქსნილ იყო ქირთაგან. მოაბადის უსამართლობისაგან იქსნნეს და რამინის მოსამართლეობისაგან გამხიარულდეს, ასრე ვითამცა ყველა ჯოჯოხეთისაგან ქსნილ იყო. ავისა მოქმედთა მიწყით ავი წაეკიდების და უკუნისამდინ წყევლა დარჩების. მართალი არაკი თქუა ხუასრომან თუ: „ღმერთსა ავნი ამისთუის დაუბადებთან, რომელ ჯოჯოხეთი არ დაცარიელდეს; რომლისა მიწისაგან დაბა-და, ბოლოსა ჟამსა მუნვე მიიყვანს“.

რა რამინ ესეთი მოსამართლეობა დაიწყო, ზათერაკმა დაიძინა ქუეყანასა შიგან. დამშუილებამან გაილუიძა. სითცა ლაშქარი გაგზავნა, ყოველგნით გამარჯუებულნი შემოიქცნეს. ჩინით ბარბარამდის ყოველი ქუეყანა დაიქირა, თუითოსა ქალაქსა შიგან თუითო დიდებული გაგზავნა და შეპყვდრა და თუითოსა ციხესა შიგან თუითო ციხის-თავი გაგზავნა და დააყენა. რაცა ქუეყანანი აოკრებულნი იყვნეს, მისითა ბრძანებითა აშენდეს ათასი ქალაქი უფრო ააშენა და სოფელი. გარნალამცა ავისა-მოქმედნი ამოსწყურდნა და დაკოცნა. ყოველთა გზათა ზედა თუითო ფუნდუკი საქარაენო ააგო და სოფლები შესწირა მგზავრთა მადლისათუის, და დასცალა ქუეყანა ავისა-მოქმედთა და გზის-მლეწელთაგან. ეგზოზი ოქრო და საქონელი გასცა, რომელ ძუირთა სახელი ამოჰკოცა. ყოველსა ქუეყანასა დაავიწყდა პირველი ქირი და უსამართლობა, ყოველნი გალხინიანდეს. მთხოელნი გამდიდრდეს, ცხუარნი მგელთა თანა ძოვდეს. კუირასა შიგან ერთსა დღესა დარბაზობა შექმნის, დაპყვდრის ლაშქართა და კელის-უფალთა მოსამართლეობა, შეავგონებდის და სწურთიდის. დარბაზისა კარსა ზედა კაცნი დააყენნა მოჩივართა გამეითხაენი; ბრჰობისა ჟამსა მას წინაშე სწორად იყვის კელმშიწე და მთხოელი, მდიდარი და გლახა; სწორად უკერძებდის სამართალსა შიგან ძლიერსა და უსუსურსა. ბერი, დიაცი და მამაცი პატივით დაიქირნის, მეცნიერთა კაცთა, მლოცავთა და მელმრთეთა ერთსახე პატივისცის და ეკრძალყოდა. ცოდვისა ყუელასაგან უცხო იქმნა. მეცნიერნი და ფრთხილნი კაცნი საახლოდ უყუარდეს. ვითა მზე, მოეფინა ქუეყანასა არანისასა. კელმწიფენი უუელანი მისგან ისწავლიდეს მოსამართლეობასა.

ას და ათი წელიწადი დაჰყო რამინ, ოთხმეოცდასამი კელმწიფობასა შიგან დაჰყვეს მან და ვისმან. ბენდიერი და სუიანი იყო თავისა ქუეყანისათუის: ზოგჯერ სუმასა, სიხარულსა და გაცემასა

შეექცის, ზოგჯერ სამეცნიეროთა წიგნთა და სასულიეროთა საუ-
რავს შეექცის, ზოგჯერ ხორასანს ინადირებდის, ზოგჯერ ქოისტანს,
ზოგჯერ დარბისტანს იყვის და ზოგჯერ ხუზისტანს და ბალდადსა.
რაზომნიცა ციხენი და ქალაქნი ააშენნა, ყოველგან წყაროს სუალნი
გამოადინნა. მისთა აშენებულთა ქალაქთაგან ერთი აპვაზა-ქალაქია
და მაშინ რამინ აპვარუქშია დაარქუა და აწ აპვაზობით უკმობენ.
რამინისებრ გამარჯუებულნი კელმწიფე არ ყოფილა და არცა ეგრე
გონიერი. მოხარული ესრე იყო, რომელ პირველ ჩანგი მან მოიგონა,
რომელ მუნით აქამდინ სასახარულო სხუა ეგზომ ჰამო არაეის მოუ-
გონია. და მისგან მოგონებულობითა პირველ თუით რამინს ჩან-
გობით უკმობდეს. იყო ესრე მორკმით რამინ, რომელ არაეინ ჩნდა
მისი მეუნებლუ.

მიეცნეს ორნი ძინი ვისისაგან, დედისა და მამისებრნი ტურთა-
ნი, და გონიერნი კბაბუქნი შეიქმნეს. ერთსა სახელად ხორშედ უქმეს
და მეორესა ჯიმშედ. ყოველთა კელმწიფეთაგან სანატრელნი და
უკლებნი კარგითა ზნითა შეიქმნეს. ხეარის ქუეყანა ხორშედს უბო-
ძეს მშობელთა მისთა და ბახთორისა ქუეყანა—ჯიმშედს. ერთსა ხორა-
სანი და ხეარაზმი გაუსაკუთრეს, და მეორესა შამის ქუეყანა, ეგუიპ-
ტისა და ყიროანი მისცეს. არანი, სომხითი და სრული აღრაბადა-
განი თავისთუის დაიჭირა.

რამინ დიდხან მორკმულობასა შიგან კელმწიფობდა და ყო-
ველნი საწადელ-სათხოელნი აუსრულდეს ღმრთისაგან. ესრე გრძლად
ცოცხალ იყვნეს, რომელ შვილის-შვილნიცა მოესწრნეს.

რა ვისმან რამინის გუერდით ოთხმოცდაერთი წელიწადი
დაჰყო, სიბერიითა ძალი მოეღო, სიკუდილად მიეხარნეს, რომელ სხუი-
სა მომლოდეობა აღარაისა ჰქონდა. მისვე აუკდელისა საქმისაგან
კიდე მშუილდისაებრ მოდრკა და დაქნა და დაღუბჭირდა.

ვისცა მტერი არ ესუას, რა გაიცადოს, მტერად თუით საწუთ-
რო იყოფის. საწუთრო რაზომცა კაცისათუის კერძობდეს, ბოლოსა
ეგრეცა მას იქმს, რომელსა მტერი ვერ უზამს. რაზომცა საწუთ-
როსა კაცმან ზურგი მიაყუდოს და მიენდოს, ბოლოდ ეგრეცა უიმე-
ლობითა ზურგსა მოსტებს. თუცა ვისი საწუთროისაგან გულის-ნება
ჰოა, ბოლოსა ჟამსა ეგრეცა ესე წაეკიდა, დაიძაბუნა საწუთრომან,
რომელ შუილნი ასონი მისნი ბრძანებასა მისსა ველარ მორჩილობდეს
უსუსურობითა. ინატრა ღმრთისაგან, რომელ რამინის შიდეგად იგი
არ დარჩეს, რამინ უჭირველი დაადოს. ამისად შიდეგად გაღეული
მთუარე მოკუდა. რამინის გული მისისა სიკუდილისაგან ქირთა სად-
გომად შეიქმნა და თუალთა მიწყით შეუშრობლად ცრემლთა აღენ-
და. ტირიდა და ესრე მოსთქემიდა:

„ჰე საყუარელო მოყუარეო, სულთაგან უსარჩევსო! წახუედ. სრულად გამწირე და დამაგდე გულდადაღული, დამწუარი, საწუთრო გაარმებული! არვის ოდეს სმია შენებრი მოყუარე! აწ რად აბეზარ მექმენ, განალა მრავალჯერ შემოგიფიცა ჩემი გაუწირაობა! აწ რას შეცოდებისა მიზეზითა უწყალო შექმენ, რად გამიტეხე ფიცი შენი? ოდითგან სულ-შეერთებით მოყუარული რად გამკადე სავაგლახოდ? მაგრა მე ვითბრსა შენსა გულსა ვიცნობდი, ულონიოდ არ მეცრუებოდი. საწუთრომან თურე მიმუხთლა, თუცა მისგან არა საკუირველია. მუნით აქამდის კარგი ვის გაუსრულა! ქუეყანა სიხარულისაგან შენითა წასლვითა დააცარიელე, ყოველი სიკეთე თან წაიტანე. მე სიბერისა ქირი და უსუსურობისა, კულა უშენობისა დაღრეჯა ვით შემიძლია, ანუ ცოცხალმან ამისა გონებასა ვით გაუძლო? ქირი ქირსა მმატებია! მე ტახტსა ზედა მწოლი და შენ მიწასა შიგან მყოფი ჩემგან ვერ იგონები!

განალა მიბრძანებდი: სულთა შენთუის გაესწირაო! შენ ულონიოდ გაგისრულებია შენი სიტყუა, მაგრა მე ჩემი თავი უშენოდ არმად მიჩს სიცოცხლისათუის. ნეტარძი ჩემთუის, თუმცა ჩემსა სამარესა ზედა შენ იყავ ტირილად და ჩემად საურავად! მე უბედური ვით ვიგონებდე წმინდასა ტანსა შენსა მიწათა ქუეშე მყოფსა? რომელსაცა მიწასა შენისა პირისა სინათლე და ტანისა უშენება დაუფარავს, მას მიწასა ზედა ფერკი ვითლ დავდგა? მე კელმწიფობა შენითა მეამებოდა, მე სიხარულიანი შენგან ვიყავ, მე დიდებიანი თავი შენით მინდოდა, არ საქურჭლისა და ლაშქართა სიდიდისაგან.

აწ უშენოდ არცა დიდება მინდა, არცა კელმწიფობა, არცა საქურჭლენი და არცა ლაშქარნი. ჰარამ ჩემზედა სიხარული! აწ ვირემდინცა ცოცხალ ვარ, თავსა მიწასა ვისხამ და საყელო-გარდახეული ვზი. აწვე სრულად თავსა ამითა არ მოვიკლავ, რომელ ვირემდინცალა ვიყო, სიკუდილისაგან უძნელესსა ყოფნასა ვიყო. არცა ბერისაგან შეფრფენით ავისა ქმნა კამს. გული ჩემი ქირთაგან საესეა და თულანი ჩემნი სისხლთაგან. დათმობა ბერისაგან ქებაა. და მეტად ასრე მიქირვებულსა ჟამსა მოთმინებისა მიჰხუდა იგი დიდება. ყოველნი ქირნი მოთმინებითვე გაკეთდებიან, თუცა მე აღარაის ლხინისა მომლოდებობა მაქუს. შენი სევდა საყელოთა მაგრად დამიქირავს და სიყუარულსა ვერ მოვიტმენ, შენსა გონებასა ვერ მიგრიდებ და კელთა შენისა სამსახურისაგან არ დავიწყნარებ; არცა თუალითა ჩემითა უშენოდ ლხინისა გაცდელი ვეგები. ვირე ცოცხალ ვარ, ვიწუი შენითა გონებითა. რალა ვთქუა შენი სამართალი ქება, თუ გონება აღარა მაქუს და ენა დამბმია? მწორობა შენი არცა აწ შემიძლიაო“.

მოსთქმედიდის საბრალოდ და ტიროდის დაუცხრომელად ვისსა ზედა. სამარხავი ააგო მისადვე შესაფერად კარგი ოქროისა და ლაჭვარდისა და თავისათუისცა. ეგრე თქუა მისად შედეგად დარჩომისათუის: „მკუდარიცა ვიგლოვ ამა დღესაო“. მისსავე სიახლესა საცეცხლე სახლი ააგო სალოცავად, რომელ თავი მისი ღრუბელთამდის მიუწუდებოდა და მაგარი, უკუნისამდინ არ დასარლუეველი. დღე და ღამ მუნ შიგან ღალიასა და სურნელსა აკუამლოდის.

თავისა უხუცესი შვილი ხორშედ უკმო, დიდებულნი და ლაშქარნი და ხორშედ საკელმწიფოსა ტახტსა ზედა დასუა, თავისა გურიგუინი დაჯარქუა, წელთა კრმალი შეარტყა, მეფედ დალოცა და სახელად ხუასროვ უკმო. ეგრე უთხრა:

„ოთხმოცდასამი წელიწადია, რომელ სუიანი კელმწიფე ვარ. აწ შენთუის ამით მომიცემიან ჩემნი საყოფნი და ტახტი, რომელ კელმწიფობა გშუენისცა და გმართებსცა. სუიან გყოს ღმერთმან ყმა კაცი ხარ და ბედიცა შენი ყმა არის! ნუ არცხუენ ვისსა, დედასა შენსა, და ნუცა მე. რაცა ჩემგან მოგინახავს, მას იქმოდნი, რომელ მე შენა არა გკითხო, რაცა მას საუკუნესა ღმერთმა მე მკითხოს. გაუფრთხილდი საღმრთოსა, მოსამართლეობისათუის იჭირეოლიო“.

შეჰვედრა თავისა გურიგუინი, ტახტი, სამეფო, ლაშქარნი და საქუტუკლენი. იგი ვისის შედეგად სიკუდილისა მისისა სამარხავისაგან არ გამოვიდა და არცალა კარი გაალო, არცა ვინ ნახა.

ვაწიანტები

გვ. 3

4. მოვლენილი $abs\ CDK$.
6. ასპარანს CDK ; ასპანს A, B .
12. ფი(ვედის) ესეიდეს KC [C -ში შემდეგი დროის ზელითაა].
- 12 ვკადრებთ] გკადრებთ CDK .
15. რომელმცა] რომელიცა (ხელნაწერებში).
16. მბრჯანებლობასა] მბობასა CD .
20. მეფემან უკმო $abs\ CDK$.
- 20-21. გავყოთ... გავგზავნოთ CDK .
21. ზუსლის] მუსულს KL .
21. აჭვახს] ჰავახს (ხელნაწერებში).
26. მეფიჲა $abs\ C$.

გვ. 4

2. მუსულმანმან] შუსაიულმან K .
7. ყოლისა პირისა მიწისასა ACD .
9. სიმენისა] სიბრძინსა L [მდრ. A].
12. „თანა“ არის (ხოლოდ L -ში).
17. დაუწყო] დაიწყო AD B .
22. სეფისპირობა] სეპისფირობა CD , ერთპირობა K .
29. ბუნებად] ბუნებით K .
29. მონდომია] ნდომი არს C , ნნდომია D , ნდონია K .

5

- 8-9. სვიანი A ; შეუფრობელი A , აკლია: და შეუფრობელი GHL , და შეუფორებელი K .
9. მას ეამად GHL .
10. კელმწიფე C , ყოველი (ყოველი) საკელმწიფო მისი GHL .
11. „მოსლვასა“ აკლია K -ს.

11. სახელი C , და სახელად ხარდი ეწოდა GHL .
14. „დიდი“ აკლია KL -ს; სპარსთა ვახრობისა L , სპარსთა ვახირობა GHL .
15. ნაფრუბი C , ნაფრობა K .
- 15-16. მიიწოთობის K ; ხოვს რასამე ვასენებთ მათისა ზაირამ-ნაფრობობისასა K .
17. მბობასა ABC , ბრძანებასა K , ყმობასა $GLHI$.
19. ასპანღლი $BCCGHL$, იპანღლი K .
20. გელნით AC , გილანით KL .
20. შაჟფურ A , აშაჟფურ C , შაჟფურ H .
- 21-22. დიდებულნი წათისა ბანოვანგბითა L .
22. მავრის ქალქა K , მარვას ქალქსა GI .
- 23-24. დადგომა $ABCG$, დადგა K .
25. მიუძხვდარე C .

6

4. ქვეშე დსხდენ C ; როზენლიმე იყუნეს A .
7. იმლერდენ C .
- 10-11. ერთი პირისა ლინისა C .
12. ეკზომი კვალი C .
13. ზედენეს თავისა კელისა მქონებელნი ACD (B დეფექტურია).
16. აღის ძალისაგანცა B .
18. მონაოშ C , მონაოშ] [...ურგანელი C , მანოშ ასფბურგანელი A , მანოშ ასფურაგანელი B , ბანოშ ასფაგურ გურგანელი L .
19. ხარანდიგეს B , ხარინგეს C .
20. აბანოზნი აბანოედ ABC .
21. ჯუღაბი] ჯალაბი (ხელნაწერებში).

22. ერაყელ AC .
23. საბლა + და (ხელნაწერებში).
25. ხვარზმი ვიყავი C , ხუარაზმი ვიყავ A .
26. უკვლუტესი A .
34. მიჯლიში A , მაჯლიში B , მიჯლისი C .
35. პირმოზან BC .
- 37-38. შაქროსაგან ფრე არქვა C .

7

13. თუ ღმერთი C .
- 14 გარნა] განა ABC .
- 18-19. არვის მიხე C .
29. ნახულა C .
31. ჰაქიმათი-შეკონება აკლია B -ს, აპა. ქიმათი A .
33. შეჭკრავს აკლია C -ს.
36. შეგონება აკლია B -ს.

8

- 3-4. საკურველებასა ზედა საკურველისა A .
11. ერთი ასული C .
13. სახელი $> C$.
13. უცი გვარიანსა C .
- 15-16. ჟამთა შინა C .
17. სეისტანსე A , სისტანსე B , სუხის-ტანსავე C .
22. ვინ მოისმენდს ABC .
25. სხივითა გაიცინებს AC .
26. ვის-რამიანს ABC .
27. გან. ებისა სიბრძნითა ABC .

9

2. ქუება გააგონა A , ქება გააკონა BC .
3. უკლებობითა (ხელნაწერებში).
9. სწადდის ძალისა AC .
18. რამინის ესეთი B .
20. საბატონი ABC .

10

4. მოგიცემით AB .
5. გიბოძებია] გიბოძია A .
8. დაიწყო CK , დაიწყო $B (A)$.
- 9-10. ღირსა AB .
- 11-12. ვაი თუ ასე ამაღლდეს E .
13. სიმარტე BC .
15. სმა და კამალი CE .

326

- 15-16. ყუელას თანა AB , ყუელასთან C .
21. E -ში ჩამატებულია სხვა ხელით: და მწვანესა ჯავრიანთასა.
24. ხელნაწერებშია: ემანავსა ტარსა/ტაროსა.
25. ჯამ და ბაკითა A .

11

9. საკმარობა C .
12. წიგნი ფარანდასა $ABCHI$ წიგნი ფაიქსა EL , წიგნი ფარსადასა K .
17. ხელნაწერებში: მარავს.

12

6. მისთანავე შეულოცა E .
13. მანეჩინელისა სახე AB .
17. დაჭარბებული C .
- 19-20. შენი კელმწიფე და ხუასროვი და კელმწიფე შენი დედა დედოფალი AB , C დეფექტიანია.
23. ჩემგან უფროსა ABC .
24. შენ[ისა] ძმისა C .

13

6. უბრძანეს სხუათა დედათა AB . C დეფექტიანია.
23. და მან მარტომან ABC .

14

23. ხარდი ვრქუა C .
25. [ცხ] ენიდამე C .

15

1. ოქროს ბეჯდითა C .
12. უბბს A , უბოძებს B .
- 13-14. ხელნაწერებში: არა დაგვამცნო.
32. ყმანი AB .
- 34-35. ღმერთმან თუ ABC .
35. მაგისი პირი ABC .

16

2. ამოსა კაცისა ენა/ენითა AB , ამოსა კაცის ენა C .
5. შმაგი და მტერნი A .
8. მოღმართე C .
10. მოვიყუანო ABC .

12. გამომიგზავნე AC .
 14-15. ურცხვენებურად A , ერცახე ნები-
 ვრად C .
 19. დაგიკირე AB .

17

6. მისითა ლაშქრითა A .
 12-13. პაექანსა C .
 14. ყოვლისა დიდებულნი ABC .
 17. და სძლისა სიძე შვილი F .
 21. და ქალაღითა F .
 30. ყმასა AB .
 31. სიბერითა BC ; არა ყმისა ცოლსა BF .
 A დეფექტიანი.
 33. შავრი მოაბადი C .

18

2. გაუმართავს მორკმული $ABCF$.
 11. ანაზღა A .
 16-17. მასვე წამსა მიწასა აყოცა C .

19

23. და კეტის მოურაობდე ABC .
 37. მ'ბობისა A , მბობისა(უქარაგმოდ) BC .

20

3. „მას წინაშე“ გამოვრებულია AB -ში.
 4. კბილთა BC .
 18. იყილოს C .
 25. მწიგნობარსა B .
 31. ხორასანით აკლია C -ს.
 32. სინით ABC .
 35. და ხარითა გვართა F .

21

8. ასტარაბათელნი F .

23

4. და საჯდომი დილისა ABF , დასა-
 ჯდომი დილასა C .
 7-8. ბუკთა დაცემა C .

24

3. და ზოგას ორბი დეორბი AB , ორბი CF .
 4. ცად გასრული AB .
 4. ხელნაწერებში ყმა.
 5. გაპარმაკებული ყუის A ; ჯაბანი და
 გულოვანი კაცი C .
 11. არყისა ისარები C .

16. თვალთ დანიანზე F .
 20. ომისა ქარისა $ABC...$, ომისა ქოსისა L .
 23. ზოგისა თავსა AB .
 23. შეუიდის ტვინი ABF .
 24. კრამლმან იცოდა | მხიარულმან იცოდა
 (ბელნაწერებში).

25

- 1-2. დუბქურობა და აუგი A .
 19. შეუტრია B ; კნნა AB , კნნა C .
 21. აღართა A , აღართ B .
 23 24. და ძმა მამისაგან AB ; ვინცა ვინ
 ვის B .
 24-25. კულად არ შეეწყალის C .
 27. კაცი ვეგების C .
 28. საწნ-ხელსა ABF .
 32. გარდაუწყვიდა C .
 37. გაეხსნებოდა C ; აღარა AB .

26

- 3-4. გელანი ABC ; ქიამანი AB , ქიამნი
 C , ქამანი F , ქირმანი G , იამანელნი L .
 4. „თმა“ აკლია C -ს.
 5. გარეჯანი A ; ვინმე B , ვინცა C .
 7. რომელნი იგი; საკურველად A .
 7-8. მათი პატრონი ABC .
 12. გონიერთაგან C .
 16. ხელნაწერებში: ცოტათა.
 16, 18. დელემთა C .
 20-21. ტუერსა A ; გურაბსა C .

27

10. ვეძებო C .
 13. ვისნე C .
 15 არ მოკუდები მამისა ზემისა წინათ.
 16. მამშორდა AB .
 21. რა წამეკიდების B .

28

20. დაისხა B .
 23. ტკბილთა A .

29

10. გლოიარობისაგან AB .
 16. მამაგონდების AB .
 24. მომიხელეპ B .

30

6. შანშას AB , შანშა F .
 34. უამბა A .

32

- 14. ხელი F , დანარჩენებში—სული.
- 38. ყუალასთანა A .

33

- 8. შილი მოგვედრებინ B , ლოგენმარე-ბის F .

34

- 2. ნათხორისა AB .
- 5. შემნახავია] შემნახავთაცა ABK ,
- 14. საკმსო A .
- 21. ხელნაწერებში: მისი ქუეყანა.

35

- 7. თუხარიკი B .

36

- 10. თუალით წინა AB .
- 11. უებრო და მოსაწონელი B .

37

- 6. ფერამით ABC (თერამით F).

37

- 12. გარდარეულიყო AB (გარდასრულიყო F).
- 19. მუხტლობა AB .

39

- 24. სმა ABF , სმევა G (სმა L).

40

- 3. რონელ+მპარავი ABK .
- 13. და ვითარ მე B .
- 15. ჭაშნიკი B .
- 22-23. დასაბამით აქამდის L ; მხისათუინ AB (მხესა თანა L).
- 34. ხანდისხან B .

41

- 2. არცაეინ გააკვირვებს. ჰე, ცნობილო... AB , არცა ვინ მიეა და არც არავინ იკითხავს. ჰე, ცნობილო... GL .

- 13. ოდესღა დარჩომილყო ABC .
- 18. სიმშენიერითა BC .

43

- 1. ზრუნედა დღე და დამე CF .
- 8. „შოგან“ აკლია BCF
- 9. გამწულდა B , გაწულილდა C , გაწერილდა .
- 11. იქნებოდიან A .
- 14-15. საყელოსა დახვედის ნაცულად... A . საყელოთა ნაცულად C .

44

- 10. კელმწიფეო B .
- 13. დამწიფებული ხარ F .
- 15. შენ ცოტა ხარ CF .
- 15. თხა ხარ CF .
- 21. ჯამი C , ჯორი F ; ფიცხლა მრავალი C .
- 22. ჰკიდა A .

45

- 4. დაუქანგებელი სარკე ABC (F დაუქანგებული).
- 13. ნუ ებრძვი ბარე ნუქსრე AB , ნუ ებრძვი ესრედ K .
- 19. შორკმითა B .
- 28. ეგეთი ტირი C .
- 28-29. ლნრთისაგან თუ ნადლობა AB

46

- 6. უკეთაცა BC , უკეთაცა F .
- 9. რასაც ეძებ C .
- 15-16. განა ABC .
- 20-21. ფალასია AB .
- 29. რა კამს თუ C .
- 32-33. მოყვარენი C .
- 37-38. და არა მუნით AB .

47

- 2. დასცა F .
- 6. თმა და იბანე აკლია C ს; ნუშკის ფერი საკუტკლითა A .
- 7. შეიმოსე C .
- 15. სახლისა AB .
- 15-16. ნოხითა შეეკაზმის CF .
- 21-22. იტყვიან, რომელ იგი ვინ არის, რომელ გეაკვირვებდნენ;

იკვეიან, რომელი თვით იგი ვინ არი, რომელ გავაკვირებდეთო *F*.

24-25. რომელნიცა დიდისა ზეოლითა იკვეიან, რახომცა *L*; დიდისა გეშა *ABF*, დედისა გეშა *C*.

33. და პირსა შეჭახმა *CF*.

36. შეჭახრა პირსა *CF*.

48

2. მოწმობდენ *AB*.

7. მიწისაგან აკლია *CF*-ს.

10. გამოსცას *CF*.

10. დასაყარელნი და საქებარნი იყენიან *C*. საქებარნი იყენიან *F*.

13. ოქსიოსა შიგან *A*, ოქროსა შიგან *L*.

20. პირ-მოუარენი] ხალხურით *AB*, ხალხურით *C*, ხალი ხურით *F*; ხარ ხურით *K*, ბალხურით *L*.

21. სიქუსითა *AB*.

21-22. და მისა შეწიერებისა მკახმეურ ბედნიერობისა *CF*.

49

8. თავის მოკვეთისა კიდე *C*.

18. გაწირულ ვარ *C*.

22. მისი საქმე და მამაცობა და შეჭკარ *CF*.

23. გუნება მომეკცეს *C*.

24. გული დარევედა *C*, დარევიდა *F*.

50

6-7. სიმართლისა *B*, სიმართლისაო *CF*.

10. თავისა ცნობა *CF*.

17. ჩახიბი *AB*.

24. შენი ბრძანება *CF*.

26. და ესრეთ უსწორო *CF*.

30. დაეხსნი *CF*.

31. იგ ამაშინ *C*, იგო მაშვიან *F*.

35. ხელნაწერებში: ვითა ვისის.

51

3-4 ბალი, ვენაკი და ნაშენები *CF*.

7-8. მდინარისა დრაკვანი *C*.

12. სატრფიალო საწოლი *L*.

18. სხელი მისი *L*.

19. დავსებული *AB*, გავსილი *C*.

20. არა წაეკიდა *A*, არ წაეკიდა *B*.

22. ამბაკი გაიკონოს *CF*.
დაავლება, 155,²²; 157,²². [დ. აელი-ფერფლი] დაფერფლება, ფერფლად ქცევა.
 დაახლება, 214,⁸. დაახლება, დაკარება. სიახლოვეს გაკარება.
 დაბლაგუება, 252,²⁰. დაჩლუნგება.
 დაბნედა, 130,¹⁴; 243,²; 244,². გულის წასვლა. გულწასულობა. გარდაქცევა
 უცნობოდ, ან უგონოდ გახდომა (ან შექმნა) ნ. ეტლ.
 დაბრძობა, 95,²⁰; 159,¹⁸. დაბრძაება.
 დაბრუტებული, 237,²¹. დაბრძაებული, გზაგაუგნებელი.
 დაგება, 196,⁸. გამართვა, დაგეშვა. გაწყობა.
 დაგზება, 108,²⁰. დანთება.
 დაგრუზება, 158,²⁸. დახუტულება (თმის). ნ. გრუზი.
 დადასტურება, 13,¹¹. 300,¹⁷. დარწმუნება, შეჯერება; სინამდვილის დასკვნა.
 დადუსტირება 322,²⁷. დაუწონება.
 დავლა, 57,³¹. არაბ. დავლათ, დავლა. ბედნიერება, სვე-სვიანობა, სიკეთე.
 დავსება, გაქრობა.
 დაზაბუნება, 103,²². ნ. ზაბუნი. დალაჩრება, დამონება, დაჯაბნება.
 დაზავება, 251,¹⁸. შერიგება.
 დაზმა, 102,²²; 156,²⁰. დაყოვნება, მოთევა (ხანისა), მოცდა. დასაზმე-
 მელად, — მოსაცდელად, ხანის დასაყოფად. დიდსა ხანსა არ
 დაზამს — დიდ ხანს არ დაჰყოფს, არ მოათევეს.
 დათიკება, 196,¹⁷. თიხად ქცევა. დასეველება, დატალახება, დაღობა. საზელად
 ქცევა.
 დაკუამლება, 108,²⁰. დაბოლება, დაბურება. დაკმევა.
 დალებება, 114,²⁵. დალურჯება. ნ. და შეად. დალიბრება.
 დალიბრება, 280,¹¹. დალურჯება, დალებება. ნ. ლიბრი.
 დამამიშებელი, 175,¹⁷. დამაღონებელი, შემაწუხებელი, შემაქირებელი.
 დამართება, 159,¹⁷. წაკიდება, წაყრა, შეყრა, შემთხვევა.

დამაშუნება, 177,10 [ნ. მაშუნე] — წადგომა, რგება. მოხდნა.
 დამხნედელი, 258,23. ცნობის მიმხდელი, ანუ ცნობის წამართმევი. ბნელის და-
 მართველი.
 დამესისხლება, 222,16; 276,8. მოსისხლე მტრად ქცევა, დაუძინებელ მტრად
 გადაკიდება. მესისხლედ გახდომა.
 დამეჭირა, 101,17. დამჭირდა.
 დამზრალი, 295,2. გაყინული, გაშეშებული.
 დამცრობა, 223,10; 317,18. დამცირება.
 დამძიმება, 297,17. საწყენელი, სამწუხარო რამ. შიშვე დაბრკოლება.
 დამძიმებული, 69,33. შეწუხებული, დაღონებული.
 დამძიმებულობა, 238,23, 250,11. დაწუხებულობა, განაწყენობა. განაცადი, უსი-
 ამოვნება.
 დამძრალი, 291,28. ნაწყენი, დაზიანებული, შეად. 295,2: დამზრალი, —
 იგივეა.
 დამწულარი, 225,2. ნ. დაწლობილი. დაწერილებული, გაღეული, გამხდარი.
 დამქლობა, 45,15. — დამქლევება; გაღევა, გახდომა.
 დანა, 307,38. საომარი იარაღი, როგორც ხანჯალი და სხვა. ნ. ვტლ. იგ. მნიშვნ.:
 დანა, საზოგადოდ.
 დანაგზები, 112,14. დანანთები, ანთებული; გახურებული.
 დანაკადები, 104,18. დამქრება, წყრომა-მუქარა.
 დანგი, 105,20. 228,35. ირან. ნ. ძ, 4ა და 0, 191,12ა და დანგი — ერთი
 დანგი. დანგი უღრის ირანული დირემის (დირემ — ქართ. დრამა) $\frac{1}{16}$ -ედს,
 საბათი კი — 4 ქროლის წონაა.
 დანქრეული, 220,22. დაცვივნილი, ჩამოყრილი.
 დაონავრებული, 148,21. მ, 189,10; ქაშაქთა — საკ. გამქრალი, ჭაფანტული,
 აქ კი — დარბეული, აოხრებულ-აწიოკებული; აკლებული საკ. მეკობრე-
 ებისაგან გამარცხული და აკლებული (ონავარი — მეკობრე, მტაცებელი).
 დარაკა, 315,8. არაბ. დარკ — მრგვალი ფარი ხარის ტყავისაგან. საზოგადოდ,
 ფარი.
 დარაჯა, 214,7. (არ. დარაჯა — საკ. ზარისხი, ღირსება, ფუნქცია. დანიშნულება
 სამსახურში) დარაჯი, მცველი, გუშაგი; ყარაული.
 დარბაზი, 62,18; 321,27. ირან. დარბაზა, ან დარვაზა — მეფის სადგომი, სა-
 სახლე, კარი (სასახლის). სრაპალატი. აუდიენცხალა.
 დარბაზოანი, 63,8. სასახლე ყველა მისი ნაგებობით.
 დარბაზობა, 4,2. 117,4; 321,28. მეფესთან, ან ღიღ ვინმესთან მისვლა სანახავედ;
 აუდიენცია. საზეიმო, ან სათათბირო კრება. დიდი კრება. მეჯლისი.
 დარესწყნარდა, 62,18. უფრო დაწყნარდა. შეად. აქვე: 62,8: მო რ ე — ს უ ბ უ-
 ქ ე — ცოტად მოსიუბუქე, ან ცოტათი უფრო შეიმსუბუქე (შეწუხებას
 ტვირთი).
 დარი, 91,2. სწორი, ბარი-ბარი; თანასწორი. აქედან ნ. დარნი-დარნი.
 დარნი-დარნი, 91,2. თანასწორ-თანასწორად; სწორ-სწორად; ბარი-ბარ.
 დარქუმა, 325,8. დახურვა (თაგზე).
 დარუუნა, 97,18. ბევრის ერთად გარყვნა.
 დასაბამი, 56,30 — 31. დასაწყისი, საფუძველი.
 დასაწყევარი, 108,7 — 8. დასაწყველი. შესაჩვენებელი, წყველა-კრულების ღირსი.
 დასახვა, 9,7. დახატვა.
 დასტურ, 283,27. ნამდვილად, სწორედ, მართლად.

დასტური, 19,17. ნებადართული, ნამდვილი, სწორი. მართალი, შემოწმებული ძირი ირან. დასტ — ხელი.

დასწავლებული, 52,16. დახელოვნებული, გამოცდილი.

დასწყია, 37,17. დაწყველა, შეაჩვენა. დასწყია საწყუთრო და მისი მეთხლობა.

დაუბუნებელი, 316,17. [ძ. ირან. ბუნ — ძირი, ფუძე, დასამყარი, საიურკველი, ძრო, აქედან სომხ.-ქართ. ბუნ — ძირითადი ხასიათი, ზნე. ძირითადი ნიშან-დობლივი თვისება] დაუდგარი, უხასიათო, თავ-შეუთქავებელი, მოუსვენარი, ცქაფი, არქარებელი.

დაუდგომელობა, 291,6. მოუსვენებლობა.

დაუკარავი, 217,8. მიუკარებელი.

დაულევრობა, 182,2. დაულევრობა, დაუსრულებლობა. ბოლომოუღებლობა.

დაურევა, 1) ზრუნვა, მოგვარება. მოწყობა; 2) ანაზღაურება. დაზღვევა.

დაფუშუნება, 322,14. დაფშენა.

დაღება სულისა, 280,2. ხმის გაკმედა, სულის განაბვა, დაღუმება. გაჩუმება.

დაღი, 53,20; 261,4. ირან. დაღ—შანთი. ტავრო, გახურებული რკინის შანთი. იგ. მნიშ. გულ და დაღული, — გულდამწვარი, საკ. დაღდაკრული, დაშანთული.

დაღრეჯა, 129,24; 264,20 მწუხარება, მოწყენა. დარდი. კმუნვა

დაღრეჯილი, 16,5; 117,28; 259, 1. დაღონებული, მწუხარე. სედიანი. მკმუნვაკე.

დაღრეჯილობა, 1104,20; 193,10. დაღონებულობა; კმოწყენილობა. დაძმარებულობა.

დაყენება, 53,11. დანიშვნა.

დაყოვნება, 157,1—7. დახანება. ხანის მოთევა, დაყოფა. დაგვიანება.

დაყოვნითრე, 69,2. კიდევ უფრო დაგვიანებით, დახანებით.

დაშნა, 229,20. ირან. დაშნა—მოკლე, ვიწრო და სწორი ხანჯალი. აგრეთვე დიდი დანა. სწორი და მოკლე სატევარი. ძველებური წელზე ჩამოსაკიდი მახვილი.

დაშრტომა, 153,28. დავსება, დაქრობა.

დაშურომა, 5,26; 11,20. დაღლა.

დაძაბუნება, 322, 22. დაჯაბნება, დამორჩილება.

დაწინდული, დაწინდრებული, დაგირაეებული.

დაწლობა, 45,6. დაწვრილება. ტანი მისი თმისაებრ დასწლობობა და. ნ. და შეად. ვტლ.: სიტყვა გაწლობილი.

დაწლობილი, 56,14; 306,17 — 18. დაწვრილებული, გაღეული. ნ. ვტლ. II.

დაწულივა, 134,8. დაწვრილება. დაწულიდა — დაწვრილდა.

დაწყევა, 70,20. დაწყველა, შეჩვენება, გადაცემა, დაკრულვა. დასწყევა — დასწყველა.

დაწყეული, 70,20. დაწყველილი; კრული: შეჩვენებულ. ძ, 93,5: წყევა-კრულით სავსე; ვრ, 70,20. ღმერთისაგან დაწყეულ.

დაქირვა, 164,14. — შენახვა, მოვლა, დაცვა. მოპყრობა, პყრობა; დაცვა, პატრონობა, 16,15; უპატრიოდ დამიქირავ, 165,27: უპატრიოდ შემინახე, ან მომეპყრობი.

დაქირვებული, 133,21; 223,10. დაწუხებული; გაწვალებული. დატანჯული.

დაქნობა, 322,28. დაქცნობა.

დახამება, 45,27 — 30; 97,18. დაქსუება, ხამად ქცევა, დაონება, დახუება (ბე-
რის ერთად).

დახლართული, 36,1. mala lectio, უნდა იყოს დახლართული. არეული, დაქუწუ-
ლი; დანაკუელი, დახვანჯული.

დახოკილი, 149,34. დაპოტნილი, დახოკილი, დაკაწრული (ფრჩხილებით).

დაქსნა, 257,27. გადარჩენა, თავის ხსნა.

დაჯვა, 129,85; 146,30. დაკეტვა, დახურვა, დაგდება.

დედაწული, 5,16. მთელი სახლობა, ჯალაბობა.

დედული, 116,8. დედის სამშობლო; დედის კუთხე, ანუ მხარე.

დევი, 164,13; 195,2. ირან. დეე (დეე), სომხ. დეე იგ. მნიშ, ქაჯი, მაენე. ბუმბე-
რაზი. მძლავრი არსება.

დია, 67,20 და 20; 111,23; 146,10 და 11; 147,23 და 20; 259,19. დიალატ, ქეშმარი-
ტად; მართლა რომ, ოღონდატ. ბევრი, დიდი, ძალიან; ძლიერ.

დიადი, 117,19; 312,24. უამრავი, ურიცხვი. ხშირი. დიდი. მრავალი. ბევრი. დიდუ-
ბული. დიდძალი.

დიაცი, 13,8; 821,30. დედაკაცი, ქალი ძვე. მამაცი. *

დიდებული, 821,15. წარჩინებული. დარბაისელი. არისტოკრატი.

დიდის-გემო, 217,1-3. ამაყი. ამპარტეანი. თავმომწონე, ყიფი. ზვიდა. სულშინიე.
ნ. და შეად. 47,24.

დიდის-გემოება, 218,10. დიდობა; ნებიერობა; ამაყობა; მედიდურობა.

დილაჯი, ნ. დიჯლასთან.

დილეგი, 153,10. = ა, 196,8 ბ (კა) საკანი, საპურობილე.

დიჯლა, 186,3; 217,11; 144,27. არ. დიჯლა — მდ. ტიგროსი; საზოგადოდ, დიდი
მდინარე. პარალელურად ხმარებულა ხელნაწერებში აგრეთვე ფორმა
დილაჯი, რომელიც წარმოშობილი უნდა იყოს ცუდი წაკითხვის ნიშანდგენე.

დოლაზი, 181,4. ირან. დოლაზ-ბ, 235,17. — წისქვილის თვალი (ქვა)-ი.

დოსტაქანი, 48,12 — 13. ირან. დოსტაქან — ლეინის ფილა, ან თასი; ფილა
ლეინო, ან დიდი სასმისი ლეინო, ან სხვა რამ მაგარი სასმელი, რომელსაც
სადღეგრძელოდ სმენ მეჯლისში. ნ. ეტლ II.

დრამა, 3,33. სომხ. დრამ, ბერძ. დრაქმისაგან, — ძველი ვერცხლის ფული, რომე-
ლიც ძველად ღირდა 20 ან 25 კაპიკი და იწონიდა ლიტრის 1/4-ედზე ცუ-
ტა მეტს. შდრ. დირემ.

დრაჰკანი, 258,2. ძვ. ოქროს ფული, ანუ ოქრო: 24 კვარტის, ანუ 96 ქროთლის
მარცვლის წონა.

დუმბული, 145,23-24; 276,1-5. ირან. ნალარა; ყვიროსტეირი. სამურიკო საყვირი.
(სამხედრო) შეად. — ირან. დუმბულაჟ — მცირე პარაბანი, ან ნალარა. ან
ორივე ერთად. ;

დუხკირება, 262,20. უშნობა, ნასება. ნ. დუხკირი.

დუხკირი, 55,23; 107,18. უშნო. გონჯი. ნასი.

დლეისთგან 176,8. დლეიდან.

დლესისი. 143,27. დლეის, დლეანდელი დლის. სადლეისო. მოედ, რომელ თავისა
კერძი სახარულისა ავილოთ დლეს, ხვალე დ ლ ე ს ი ს ს ა ვერ მივეწვიოთ.

ეგდენ, 146,2. ესოდენი, ამდენი.

ეგვების, 41,33; 165, 22. იქნებ, იქნება, შეიძლება; შეიძლება იქმნას. მოსალოდნე-
ლია; ხამს.

ეგვეუარობა, 117,38-37-ეგ ზნე, ეგ ხასიათი, ბუნება. ძირითადი თვისება. ნ. გუ-
ართან.

ეგეთი, 4,7. ამნაირი, ასეთი.

ეგზომ, 5,12; 146,17. ისეთი, იმდენად, ასეთი, ამდენად, ასე.

ეგზომი, 24,33 და 28; 52,18; 53,18. ამდენი, ამოდენი, ესოდენი.

ედემი, 93,21. — სომხ. ედემ, ბერძ. ედემ-ისაგან სამოთხის ბაღი. იგ. მნიშ.

ეკალი, 248,8. იგივე ნარი, ან ნარ-ეკალი.

ეკალი და ბირკი, 248,8. ნ. ეკალთან და ბირკთან.

ეკლიან-ბირკიანი, 123,24. ნ. ეკალი და ბირკი.

ეკლდა, 56,18. ცალფენის გასაყრელი ბორკილი ტყვეთათვის.

ენა-მაგალითად-საუბარი, 272,10. მლიქვნელობით, ან მოხერხებულად, საარ-
კოდ შეკაზმული, საუბარი. მოკვარახინებულად საუბარი.

ენა-მელურობა, 80,12. ენა-ცბიერობა, ენა-მლიქვნელობა.

ენოვანი, 185,1. ენა-შევერი, ენა-წყლიანი; კარგი მოლაპარაკე. ნ. ენოვნობა.

ენოვნობა, 203,18. მშვერმეტყველობა. ენა-წყლიანობა.

ერთგან, 114,10 — 10. ერთად.

ერთსახე, 58,14; 114,37; 175,20; 185,8. 321,32. ერთნაირად, ან ერთნაირი, ერთ-
გვარი. საქ. ერთის სახის.

ერთობ, ან ერთობით, 118,8; 145,8. სრულად, მთლად. ერთიანად.

ესეგუარი, 53,26. ამგვარი, ამნაირი. ასეთი.

ესერა, 296,2. ავა; აი ავერ.

ესრე, 4,4; 185,36; 274,7. ასე, ამგვარად, ამნაირად 214,7; ისე.

ესრეობა, 310,1. ასეთი მდგომარეობა, შეად. ესრონი: mala lectio.

ესრონი, 111,14. ნ. ესრეობა.

ეთიკი, 20,10. გზის მცოდნე, ყულაოზი.

ეტლი, 35,4; 36,7 და 8; 67,14; 93,7; 146,26; 174,35; 175,12. ზოდიქო. ცთომილი
ვარსკვლავი. ბედის ვარსკვლავი. არაბ. ნ. ეტლ. II. და შეად. არაბ.

ეტლა'ა — ამოვიდა (ვარსკვლავი), ის იყურებოდა (ვარსკვლავი) ზევიდან.
ეშმა, 91,13; 159,17. ეშმაკი, მავნე სული. აწ იხარებენ ეშმანი და
ქაჯნი:

ეშმაური, 147,1. ეშმაკური.

ეშუი, 318,11. 1) ველური. ტანის კბილი (მაგარი და მოქნილი); 2) ველურა
ტახი; აქ კი პირველი მნიშვნელობით არის.

ეჯი, 181,38; 218,32. სომხ. ეჯ., H. M., T P, XII. ერთი დღის სავალი გზა
ცხენით. ბერძ. ფარსანგი; საზოგადოდ, გზა გრძელი და ვიწრო (ჩუბ).

ეჯიბი, 224,5. არ. ჰაჯიბ—მეფის შინა ყმა. მექარე. შუამავალი, ნ. კარის გარ-
გება, 60,34 — და ეტი, 95,1 წმინდა არაბული გამოთქმით ჰაჯიბ, ქართ.

ეჯიბი, ან აჯიბი.

3

ვამანი, 20,20 = კ, 36,6 ხ: არ. ფულან — ესადაგს.

ვავლაზი, 103,25. „ვა საწყალის“, ან „ვა უბედურის“ ძახილი. ვალაღება. ოხვრა,
კენესა. გოდება.

ვაგლახში, 80,17; 128,30. — ვაი მე საწყაალს, ან — უბედურს.

ვაზირება, 137,21; რჩევა, რიგება, შეგონება.

ვაზირი, 4,10; 5,10; 6,22; 23,1. მინისტრი. მეფის შინა-ყმა. სახელმწიფო საბჭოს წევრი.

ვაზირობა, 5,12; 137,21. თათბირობა. მეჯლისი. შეკრებილება. ბქობა.

ვალსამო, 154,17. ბალსამი, ანუ ბალსანი; ირან. ბალსან, ან ბალსა; ბალზამი, ანუ ბალსამი; ბალსამის ხე.

ვარდი, 52,10 — 11; 187,2; 194,12. არ. ვარდ, სომხ.-ქართ. ვარდ-ი, დედანში კი — ყველგან ირან. გულ (გოლ): პ, 258,8. მენ გოლ ქაშთემ ო გოლ ფერ-ვერიდემ — მე ვარდი დავთესე და ვარდი მოვიყვანე; ეს და ამისი ჯუფთო ლექსი ო-ში არ არის; ძ-ში, ქაშთემ-ის ნაცვლად, გეშთემ mala lcc-tio არის.

ვარდრეული, 77,8. ვარდნარევი.

ვაშა, 146,27. კეთილად.

ვედრება, 137,28. მიცემა; მიბარება, ან ჩაბარება. მუდარება, აჯება; თხოვნა ღმრთის წინაშე.

ვენაკი, 43,10; 139,2. ყურძნის ბალი. ბალი — ვენაკი.

ვერძი, 35,22. ეტლია.

ვეფხი, 9,8; 135,8. ვეფხვი.

ვეშაპი, 95,8; 149,18—17. ნ. გუელ-ვეშაპი. ეტლია (ზოდიაქო).

ვინათგან, 3,8; რადგანაც. რაკი; რარომ.

ვირე, 5,12; 108,21; 117,9 და 22; 118,7; 149,14; 182,2; 187,2. 323,22. სანამ, სანამ-დის. ვიდრე, ვინემ.

ვირემდის, 146,10. ვინემ, ვინემდის, ვიდრემდის, სანამ, სანამდის.

ვისრამიანი, 8,28. ვისისა და რამინის ამბავი.

ვ

ვაბუნნი, 103,22. არაბ. ვაბუნ — მხდალი, მშინაა, ლაჩარი.

ვალი, 232,12. (არ. ვიად — მეტი, ზედმეტი) ხიჩი, მეტი ნაწილი სახეზე, ან ტანზე. ნაკლი, ან ზედმეტი რამ, როგორც ნაკლი. ხელი (ღვინის). ხელ-ნაკრობა.

ვაჯი, 242,2. მეომარი მხარეების შერიგება და ბრძოლის შეწყვეტა. მშვიდობიანობის დამყარება.

ვაშორეული, 52,17. ვაშორის.

ვანგი, 185,22; 247,22; 248,20. ირან. ვანგ — ნეგრი, ვანგუბრელი მონა; ეთიოპი; შავი რასის წარმომადგენელი, საზოგადოდ.

ვანდუკი, 35,10; 48,15. არ. სანდუკ იგ. მნიშვნ.

ვარი, 20,26; 174,8. შიშის ვარი. დიდი ყოფა, ერთი ამბავი; დიდი და საკვირველი, ან საზარელი ამბავი. საოცარი, ან საშინელი ამბავი.

ვარი, 2 143,4; 228,14; 274,2. ირან. ვაპრ — შხამი, გესლი.

ვარიანი, 236,18. ოქროსი, ოქროს ფერი.

ვაფრა, 200,6. თურქ. ვაფრა, წითური ნალექი; ვაფრის ქარი.

ვაფრანა, 19,10; 172,27; 200,18. ირან. ვააფარან. სომხ.-ქართ. ვაფრან. ლამაზი ყვითელყვავილიანი სულუნლოვანი მწვანელი.

ვახილი, 193,2 — ძახილი. ხმა-მალლა ყვირილი, ან კივილი ხმის მისაწვდენად.

ვაპრანი, 237,8. d. ირან. ვაპრ-გესლი [ნ. ვარი.] გესლიანი, შხამიანი.

ზეანდანი, 185,³¹. ირან. სეკე ანდამ — სწორტანოვანი (ტანსარო), ან და: სიკ
 ანდამ — თეთრტანოვანი (საკ. ვერცხლის ტანა) შუად. თ. 322,^{ახ}: ბუთ — ე
 ხორშედნაპრ მაკ სიმა — ბუთო პირად შხეო, ნაკეთად მთეარეო.
 ზედადალმა, '124,³⁷. ზევიდან, ზემოდან.
 ზევიში, 145,⁸. [ირან. სამ — საშინელება] საშინელი ყოფა, ერთი ამბავი, დიდ
 ყოფა: ერთობ ცასა გ'ს წუ უდ ე. ბო და მისი ზ ა ჩ ი
 და 'ზევიში, შუად. ვტ., 73,³: ზ ე ი ' შ ი და ზ არ ი ი ყო;
 313,³: მაქვის ზევიში და ზარები; აწ ქართულში — დიდი ამბის გადახდა;
 დიდი ამბავი. საარაკო ამბავი. 'დღესასწაული.
 ზეინკალი, 82,⁵ = ძ, 106,¹⁰: ზემანე, (= ქ. ტ. ს ა წ უ თ რ ო ს ა ზ ე ი ნ
 კ ა ლ მ ა ნ) ზეინკალი. ჩილინგდარი.
 ზემდგომი, 93,²⁰. ფეხზე მდგომი, თავზე დამდგომი (ყმა).
 ზენაარი, 16,²⁰; 37,⁷. ირან. ზენპარ — ფიცი. პირობა.
 ზენარი, 194,²⁸. ნ. ზენაარი.
 ზენარიანი, 206,¹¹. ფიცის შემნახველი, ერთგული, არგამწირავი. პირიანი, პირ-
 მტკიცე.
 ზენარობა, 158,³⁷. ფიცი, შეფიცება. დაფიცება.
 ზიანი, 30,²⁹; 190,¹². ირან. ზიან — ენება; წყენა; ზარალი.
 ზითევი, 16,¹³ და 14. რძლის მინაყოლი ნივთები და ბარგი.
 ზილფი, 248,⁸. ირან. ზოლფ — იგ. მნიშ.
 ზირაქი, 213,³⁷. ირან. ზირაქ — ერთგვარი დიდი და ფრთხილი (გონიერ)
 ფრინველი.
 ზმა, 6,³⁸. გადაკვრით თქმა რამის, სიტყვების გადახმით მოცემული საუბრის
 ფორმით.
 ზნე, 107,⁸. ბუნება, ხასიათის თვისება. ჩვეულება, ხასიათი.
 ზრახვა, 146,⁷ — 8; 193,¹⁸. საყვედურით თქმა, ზრახვა, საყვედურება.
 ზური, 118,¹⁸. მცველი, გამამაგრებელი, მსასობელი.
 ზურმუხტი, 167,⁸. სომხ. ზმრუხტ — მწვანე ფერის ძვირფასი თვალი. აქედან
 ზურმუხტის ფერი, მწვანე.
 ზლუდე, 147,¹⁰ — 11. დიდი კედელი. ციხის გალავანი.

თ

თავადი, 154,⁸. თავი, უფროსი; თ ა ვ ა დ ო ბ ა, 177,¹². უფროსობა.
 თავაღებულობა, 184,⁵ — 8. ამაყობა, ქედმაღლობა, ლაღობა, ყიფობა, თავხედობა
 თავის-თავის, 312,²⁸. თავ-თავისთვის, ცალკე-ცალკე.
 თავსაბურავი, 243,²⁰. ან აქვე 25: თ ა ვ ი ს ს ა ბ უ რ ა ვ ი — თავსაფარი, თავ-
 ზე მოსახვევი.
 თავჩაღმართი, 47,¹¹. თავდაყირა დაქანებული, по наклонной плоскости
 вниз.
 თათბირი, 111,¹⁴; 171,²³ და 24. არაბ. თადბირ — ბეობა, რჩევა.
 თათბირიანი, 258,⁸. (d. ნ. თათბირი) კეციანი; გონება-მახვილი, საქმის გამოპრ-
 ჩევი. დაკვირვებული; გამოცდილი.
 თაჯი, 11,¹⁴ = ძ, 23,³⁷. თაჯ-ე-ზერ. ოქროს გვირგვინი; გვირგვინი, ან ჯიღ
 იგ. მნიშ.
 თევზი, 36,⁸. ეტლია.

თეში, 3,23. ბერძ. თემონ — საკ. გროვა, ხროვა. ჯარი. საზოგადოება, მოსახ-
 ლეობა. ბიზანტ. თემა.
 თერამი, 37,1. ირან. თარუმ — სარაფარდა. ნობათი-კარაეი, კარაეი (მელის).
 თერიაყი, 160,33; 312,111. ბერძ.-არაბ. ტარიაყ, ირან. თერიაქი — თერიაქი, ან
 ოპიუმეი, ანტიდოტია, ნ. შველ. II.
 თმა-გრუჭი, 307,117. თმა-ხუქუქი. ნ. გრუჭი.
 თმა-მუჭი, 56,28. თმა-შაეი.
 თმობა, 52,24; 194,116. არაბ. საბირი — თმენა, მოთმინება.
 თმობისა წყალი, 274,8. აბი საბირი — წყალი მოთმინებისა. ნ. თმობა, ძ,
 250,12. ნ. ამის შესახებ ჩვენ მიერ აღდგენილი ადგილი, ტფ. უურნ. საბ-
 კოთა ხელოვნება, 1936 წ. № № 1 და 2. „ვისრამიანის შესახებ“,
 გვ. 284,8.
 თობა, 138,14. არ. თოება — უარობა, ხელის აღება.
 თორანე, 69,27. არაბ.-ირან. თანურ, თანდურ, ან თანორ — ლუმელი, სახმილი.
 პურის საცობად, შეად, ძ — 91,115: ჩუ თ ა ნ უ რ ი, როგორც თორნე.
 თრევა, 28,10; 116,28. ლანძღვა, ყბად აღება. გათრევა.
 თრვა, 210,22. თრობა.
 თუალთ-მქცეველი, 278,30. თვალთმაქცი. მხიბლავი. მაცთური. ნ. თუალთ-მაქ-
 ციერი.
 თუალთ-მაქციერი, 317,116. თვალთმაქცი, ცბიერი. მომჯადღეები, მტრელი, კუ-
 დიანი, მატყუარა. ფლიდი. ნ. თუალთ-მქცეველი.
 თუალისა-მგებელი, 308,8. თვალყურის მქერი; მხვერაეი.
 თუალთ-მქცეველი, 278,30. თვალთმაქცი. მხიბლავი. მაცთური.
 თუმბუთური, 160,34; 246,22. არაბ. თუმბათ — ტიბეტი. აქედან თუმბუთური —
 ტიბეტური.
 თურე, 175,4 და 20; 259,25. თურმე; ჰგავს. ეტყობა. ხომ.
 თურინჯი, 45,23 = ძ, 61,20: „ძალაქ ბასითად ზითუ იაქ სიბ-ე-სიმინ“ ბა ჯაი
 ან თურინჯი დად ზარინ — თუ საწუთრომან ერთი ვერცხლის ვაშლი
 წაგილო (წაგართვა), ნაცელად ოქროსა თურინჯი მოცა“ — სიტყვა-სიტ-
 ყვითი თარგმანია. არ. თურინჯ — იგ. მნიშვნ.; ლიმონი.
 თუზარიგი, 35,7; 194,11. ცხენის ლამაზი ცორვა. შეად. არაბ. თაპარიქ.
 თხა, 36,3. ეტლია.
 თხოილი, 294,17, ან თხოვილი. ნასურებები, ნანდომები, ნანებები. ნათხოვი.

O

და, 52,12; 187,2. ნაზი და ტურფა ცისფერი ყვავილი. იცის ყველა ყვავილზე
 აღრე მოსელა და ითვლება გაზაფხულის მახარობლად.
 იაგუნდი, 3,28; 140,23; 194,1. ბერძ.-არაბ. იაკუტ ან ირან. იაქანდ — ძვირ-
 ფასი თვალი.
 იადგარი, 109,8. (გრ. I) ირან. იადგარ — სახსოვარი; ძვირფასი საჩუქარი სახ-
 სოერად.
 იადონი, 52,19; 53,14; 56,13; 215,32; 298,7. ბერძ. აიდონ, გურ. გაიდონა. იგ. მწ.
 კანარის კუნძულის ბუღბული. რუს. канарейка.
 იავარი, 75,16; 142, 22. (გრ. I) სომხ. ავარ, — ნადავლი, ნაშოვარი, ნაძარკეი,
 იხ. ნ. მარრი, T. P. IV, რნგ.
 იავარქმნა, 103,1. ქვემოდან: აფორიაქება, აწიოკება, აოხრება. ნ. იავარი.

იალმაგი, 69¹⁷. საბაჯრო სამოსელი ჯაეშანზე. საომარი ზედსამოსელი; იგივე
ალმაგი. ნ. სულხან საბას ლექსიკ.
იალქანი, 159²⁵; 163¹⁴; 164¹⁴. ჩვეულებრივ ხომალდის, ან ნაეის აფრა. ჩენს
ძეგლში აგრეთვე ქალების თავსახურავი მაღალი თავსაკრავივით. ქლის
თაჯი, ანუ გვირგვინი.
იასპი, 143⁸. ძვირფასი თვალი, კრელო და მოწითლო ფერისა.
იღუმალი, 207²⁵. მაღული, ფართული. ჩუმი.
ილათი, 128²² — 22; 164¹⁰. არაბ. მიზეზი, საბაბი; ხერხი, მოხერხება. მანქანება,
ხიბლი.
ისფერი, 14²⁰. იისფერი.
ისარ-მშუილდი, 183⁹. საერთოდ ნადირთათვის სასროლი იარაღი; მსხვილი მზე-
ცისათვის და ლომ-ვეფხვისათვის კი — ხმალს ხმარობდნენ ხოლმე. ნ. აქვე.

ჟ

კაბა, 136²¹. არ. კაბა—გრძელი სამოსელი მამაკაცისათვის; იცვამდნენ ზედა-
სამოსელს, ანუ ჯუბას ქვეშ, აქედან კაბა-ჯუბა იხმარება ისე, როგორც
ჩოხა-ახალოხი.
კაბა-ლაფანჩა, 179⁴—5. ქორწილში თავზე გადასაგდები ტანსაცმელი. მეფე-
დღოფლისათვის. ქორწილ-შესაწევარი, ან თავზე გადასაგდები საზოგა-
დოდ; სანიჰარი.
კაბიწი, 195²⁷. სომხ. კაპიჟ — ერთი ხარგარი, ირან. ხარგარ, — ერთი ვირის
საპალნე ასაკიდი, — უდრის 100 თავრიზულ მენს (დაახლოებით 18 ფუ-
თი და 30 გირვანქა) — ჩვენში — სამკოლიანი საწყაო.
კადრება, 65³⁰; 172²⁰; 245²³. [ძ. არაბ. კადრ (აწ ყადრ) პატივი, ღირსება,
ფასი] შეებდება, შემართება; მოხსენება.
კაკაბი, 66³; 149⁴; 193²⁷; 213¹⁵. — პ, 275⁹: კაბქ — კაკაბი, იგ. მნიშვნ. ქათ-
მის გეარის ფრინველი—ტყის ქათამივით.
კამათელი, 80¹⁸ — პ, 104¹⁵: არაბ. კა'ბათაინ — ორი სათამაშო ქვა ნარდის
თამაშში. აქ ნაჩვენები ადგილი ჩვენი ძეგლიდან სიზუსტით იმეორებს
ძ-ას წაკითხვას, ოღონდ ძ-აში, ამ წყვილადი ლექსის პირველი ნახევარის
ნ ა გ ა რ დ ი-ს ნაცვლად, უნდა იყოს ბაგარდი. აი თვით ეს ადგილიც:
ბაგარდად რუზეგარ ო თუ ბაგარდი, ბასან-ე-კაბათაინ ო ტახტ-ე —
ნარდი. ბრუნავს საწყუთრო, და შენც კბრუნავ, მსგავსად კამათლებისა
ნარდის ფიტარზე. ნ. ჩ. ძეგლის: „საწყუთრო და შენ კბრუნავ... და სხვ.
კანჯარი, 52⁵; 103¹⁰. ირან. კანჯარ — გარეული ვირი, — ქურციკის მსგავსია.
კაპარკი, 218¹. სომხ. კაპარქ — ისართ ქარქაში (ბუდე). ნ. ვტლ I და II.
კაპოეტი, 196¹⁰. წელიწად-გამოვლილი მიმინო, ქორი, ან სხვა ფრინველი.
კაპოეტობა, 196¹⁰. ნ. კაპოეტი.
კაჩა, 159³⁶. მუხლის ძირის სადრეკი (სალუნი).
კაცთა ტომი, 160²⁰. კაცისშვილი, ადამიანი. ადამის ტომი.
კეთება, 294¹⁰. მოწონება.
კეკლუცი, 5³. კობტა, ლამაზი, კეკელა, თვალთმაქცი. ტურფა.
კეპი, 46²⁷. სომხ. იგ. მნიშ.
კერძება, 321²⁰. სარჩლება, (მო-) ხმარება. ნ. კერძობა.
კერძობა, 322²⁰. ხელის მართვა. მფარველობის ჩენა. პრიანება. მოსარჩლედ
ყოფნა. სარჩლობა. ნ. კერძება.

კიდე, 201,16; 216,22; 219,11; 260,2; 312,10. გარდა, გარეშე; კიდე; ცვლა; სი-
კუდილისაგან კიდე (გარდა, გარეშე) რამინ კიდე
(ცვლა) სხუა მოყუარე გაშორჩია.

კიდეგან, 30,21; 58,17. ცალკე, განცალკევებით, განშორებულ. განზე, ცალკე-
კიდეგან - ჰქმნა, განიშორა, მოიშორა, მოცილო, ნ. კიდეგან-ქმნა.

კიდეგანი, 186,35. გაშორებული, მოცილებული; ფეხგამდგარი. განზე წასული
ვინმესგან. გაქცეული და გაკიდეგანებული (განშორებული).

კიდეგანობა, 307,14; 308,6. გაცილება, გაშორება, ცალკე წასვლა.
კიდეგან ქმნა, 7,6. მოშორება, დაშორება, მოცილება. ჩამოცილება.

კიდე-ქმნილი, 53,6 — 6. გაშორებული, მოცილებული.

კიდე-კიდე, 48,17. ცალ-ცალკე. შეად. ვტლ: კიდის-კილობა. 233,22: ერთი
მეორისაგან.

კილო, 140,22. ისართა მშვილდის საბელთა ჩასაგდებელი (საბა).

კირჩხიბი, 35,37. ეტლია, იგივე სარატანი. ჩვეულებრივ კიბო, კიბორჩხალი.

კისკასი, 142,2. მარდი; სწრაფი; შალი. უკისკასედ — უმაღესად, უსწრა-
ფესად.

კიტხევა, 192,25—26; 259,11 და 25. კილეა, გმობა, აუგება. ზრახვა, ანუ ძრახვა.
კლიტე, 102,14 და 17; 156,34. ბერძ. კლეის-კლეიდოს. — ბ, 202,5: ქილდი
რუმი — ბერძული კლიტე. (ბერძულითა კლიტითა) გასაღები.

კოლაუზობა, 162,10. ნ. კულაოზი.

კონა, 85,3 — 4 = 110,3: ბარამინ დადიანქ დასტა ბანაქ შა —
ერთი იისა კონა მისცა კელთა რამინს; დასტა, ერთი შეკერა, ანუ
იგივე კონა. ბუკეთი. თაიგული (საქ. ვარდის კონა). ნ. აგრეთვე:
232,10 და 20.

კოშკი, 13,20, ირან. ქოშქ — მაღალი ციხე-დარბაზი; პავილიონი, ბელვედერი;
იგ. მნიშ.; ნ. და შეად. ბ, 25,18: ბე აივანი ქიანი — ქიანურსა (მე-
ფურსა) დარბაზსა; თ, 44,48: იგივე.

კოჭობი, 241,30. ქოთანნი.

კრძალვა, 321,32. რიდება. მორიდებით ქცევა.

კრძალი, 174,10. კრძალულება, კრძალვა. მოკრძალულობა. რიდი. მორიდება.

კუბო, 14,20; 38,4 და 7; 119,32. ლათ. [cubo — ვწევარ] ტახტრეიანი, კილა-
ბანი. ქალის, ან კაცის, ჩასაჯდომი, ან დასაწოლი კილობანი მგზავრობას
დროს, გინა სახლში აქლემის ასაკიდებელი, ან ხელით სატარებელი ტახ-
ტრეიანი.

კუიპაროზი, 152,26. ბერძ. კიპარისოს. სარო.

კულა, 274,12; 283,6. კიდევე, ისევ, ხელახლად.

კულაოზ, 161,13, ან კოლაუზი, 162,10. თ, კულაოზ (აწ ყულაოზ) — გზის მა-
ჩვენებელი, ბადრაგა; გამძლოლი. ნ. კოლაუზობა.

კურა, 102,32; 195,18. ბულა მოზვერი. მეტ. ბოზი დიაცის ადვენებული ვაე-
კაცი. მემრუშე ქალისაგან გაჩენილი საყვარელი.

კუტალი, 281,0 = თ, 453,10: აგარ ჯენგ ავერი, ქეიძერ ბერი თო, ვა გერ
ქოსე ზენი. ქოზე ხური თო. „თუ იომო, ნაცვალი მიიღო შენ. და თუ ჯამი
(თასი) შესტყორცო, კოკა (კუტალი) გაგიტყდეს შენ“. ამნაირად აქ კუ-
ტალის შესატყვისია ირან. ქოზე — კოკა, დოქი, ხელადა. ან წურწუმა, —
სარწყული ჭურჭელი.

კუშტი, 60,12; 107,28; 217,4. პირქუში, მწყრალი, გულმოსული.
კუშტობა, 67,24; 217,10; 273,8. ნ. კუშტი. მწყრალობა, გულმოსულობა.

ლ

ლაგამი, 263,21. ირან. ლაგამ — აღვირი, ცხენის პირში ამოსადები. იგ. მნიშ., საზოგადოდ, ცხენის სადავე, ნ. ვტლქ I და II.

ლალი, 53,25. ირან. ლალ—ლალი, ან იაგუნდი. მეტ. წითელი ბაგეები (ტუჩები): ბ ა გ ე ნ ო ლ ა ლ ს ა უ გ ვ ა ნ დ ი ს და კ ბ ი ლ ნ ი მ ა რ გ ა ლ ი ტ ს ა.

ლალობა, 305,28. ლალის-ფერობა, სიწითლე (ლალისებრი). ბაგეთა ჩემთა ლალობა გაფეროზებულია, = ძ, 375,82: ა ყ ი ყ ი ნ ლ ე ბ ე მ ფ ი რ უ ზ გა შ თ ა — აყიყისა ბაგე ჩემი ფეროზად ქცეულა (გ ა ფ ე რ ო ზ ე ბ უ ლ ა).

ლამა, 128,28. ცდილობა, სწრაფვა, პირება; შურება. ჰ ლ ა მ ი ს, — ცდილობს, აპირებს, ეშურება; 291,16: ა ჰ ა, ჰ ლ ა მ ი წ ა ს ვ ლ ა ს ა — აჰა, შენ ეშურები წასასვლელად.

ლამაზობა, 65,21; 81,10. [არ. ლამაზ — მაყინებელი, ყბად ამღები, მათრეველი] თვალთმაქცობა, მხიბლობა, სიმატოურე: დ ა ა გ დ ე ს ი კ რ ე ლ ე შე ნ ი და ლ ა მ ა ზ ო ბ ა, ე. ი. დააგდე შენი სიკრუე და ცბიერება (თვალთმაქცობა, მომაყინებელი, გამლანძღველი საქციელი) ან და 65,21: მ ე ლ ა მ ა ზ ო ბ ა ს ა და უ ს ი რ ც ხ ე ლ ო ბ ა ს ა ნ უ მ ა ს წ ა ე ლ ი აქ ყველგან შეხარხუხებულია ლამაზ-ის არაბული ნუანსი.

ლამი, 172,27. ლაფი, ტალახი, ტლაპო.

ლამიანი, 126,8. ლაფიანი, ტლაპოიანი, ტალახიანი; სველი მიწა. ძ. ნ. ლამი.

ლამის, 126,25. აპირებს; ჰლამი — აპირებ, ჰლამობ. ნ. ზ. ლამა.

ლაფეარდი, 323,16. ირან. ლაფეარდ. არაბიზ. ლაჯეარდ—ჯოჯოხეთის ქვა lapis lazuli.

ლარი, 6,13; 40,3; 145,0 და 10. ქონება, სიმდიდრე, საქონელი, ძვირფასი განძეულობა. ძვირფასი ქსოვილი; აბრეშუმეული, ფარჩეული. კუმაში.

ლარ-კიდებული, 35,8. ლარით დატვირთული. ნ. ლარი.

ლალი, 270,7. ირან. ლალ. 1) ცელქი; 2) მხიარული; 3) უკადრი.

ლალობა, 172,16; 177,12. ცელქობა. ნ. ლალი. აგრეთვე 267,22: მასხრობა; ხუმრობა.

ლაშქარი, 3,14; 321,28 — 28. ახალ-ირან. ლაშქარ — ჯარი, იგ. მნიშვნ. ნ. ვტლ I და II.

ლაშქარმრავალი, 3,4 — 6; შეად. ვტ, 1, 2. დიდძალი ლაშქრის პატრონი. ირან. ლაშქარ, ნ. ვტლ და შელ. I და II გამ.

ლახტი, 23,21. ირან. ლახტი—გრძელი უტარო მათრახი საცემად, ნ. ვტლ I და II. ლეზა, 194,3. ან ლეზება. დაღურჯება.

ლიბრი, ჭილურჯე, ლურჯი ფერი. აქედან ნ. დალიბრება.

ლილა, 28,2. ირან. ლილა—ლურჯი საღებავი ფხენილის სახით თეთრეულთათვის მოლაუეარდო ფერის მისაცემად.

ლიმო, 272,8. ლიმონი.

ლიტრა, 288,11 და 12. ბერძ. ლიტრა. ძველებური წონის ერთეული, — უდრიდა გირვანქას აწუკი 9 გირვანქას უდრის.

ლმობიარი, 119,22. ლმობიერი; გულშემატკივარი; შემეპირნე. მოწყალე. ნ. ლმობიერი.
ლმობიერი, 217,18; 322,3. გულშემატკივარი, სათნო. მოწყალე. ნ. ლმობიარი.
ლმობიერობა, 273,8. გულშემატკივრობა. გულთბილობა; ტკბილად მოპყრობა.
ლამი, 35,34,35 და 37. ეტლია.
ლული, 190,5; 293,14. (ერ I) რული, მირულება, თვლემა, თვალის მოტყუება-
ლურსმნი, 56,6. ნ. ლუსმარი. ლურსმანი.
ლუსმარი, 185,2a = ბ, 242,1b; მისმარ-ო-ზანჯირ-ტოილო და ლუსმარი, 307,3 —
ლურსმანი.

მ

მაგალითი, 17,11. უცნაური, საარაკო, თითოთ საჩვენებელი.
მაგალითობა, 97,24; 98,7. ეშმაკობა, სიმატლურე, თვალთმაქცობა, ოსტატობა, ხერხი. მატყუარობა.
მაგრა, 201,11; 202,7. მაგრამ.
მაემანი, 17,12; 312,6. [ირან. მიჰმან]. მასპინძლობა, წვეულება, პურობა.
მაზარაკი, 315,30. მაზარაკი, ძ. არაბ. მაზაკა—მან გახია იგი. აქედან მაზაკ—გაჰ-
ხევი. მაზარაკი, ანუ შუბი.
მათრაკი, 18,7; 151,11 და 14; 198,38. შეად. სომხ. მტრაკ — იგ. მნიშვნ. 1) ტა-
რიანი იარაღი ლაბტივით—საცემად ომის დროს. 2) ცხენის საცემი; ჩვენს
ძეგლშიაც ორივე დანიშნულებას ასრულებს.
მალამა, 302,28; 303,17 და 18. არაბ. მარჰამ—წყლულის მამებელი და მკურნებ-
საცხი. მალამო. იგივე მალამი, ნ. შელ. I, გვ. 812. საცხები წაშალი, ან
პლასტირი.
მალამება, ან მალამება, 54,18. ძ. მალამა—სალბუნება, კურნება. ნ. მალამა —
წინასიტყვისთან.
მამაცი, 69,5; 133,26; 321,30. მამაკაცი, კაცი. იყრ. დიაცი.
მამბარი, 315,8. არ. მინბარ, ირანიზ. მანბარ, ან მამბარ — კათედრა (მეჩითში).
მამქლობელი, 184,3. დამამქლევებელი, გამლევი. დამქლევრქებელი.
მანავი, 10,22. — გვარი, ნაირი.
მანდა, 15,31. — მაგ ალაგას; მაქ.
მანაშური, 177,22. სწორია მანშური. [არ. მანშურ—საკ. გამოქვეყნებული, საყ-
ველთაოდ გაერკელებული]. ბრძანება, რესკრიპტი; ბრძანება სიგლით.
მანი-ჩინელი, 12,11. ნ. საკუთარ სახელგზნი.
მარგალიტი, 53,35. ბერძ. მარგარიტის—მარგალიტის თვალი, გოარი, ან გუარი.
ძვირფასი თვალი.
მართ, 214,8. ქეშმარიტად.
მართალი, 9,18; ქეშმარიტი, ნამდვილი, დასტური; 29,2: სწორი (ტანის შესახებ):
ნ ა ძ უ ი მ ა რ თ ა ლ ი: ამ 2 სიტყვით მახვილგონიერად არის გადმო-
ცემული ირან. სარვ-სარო, ანუ კვიპაროზი. აქვე: 9,18. ხ აგრეთვე ზუს-
ტად არის ირან. ბიდ სიტყვით ტირიფი, ნ. 29,2—
მართლად, 140,11. სწორად, პირდაპირ.
მართლის-მეტყუელება, 297,3 — 4. ბ, 366,11. ხ. ნომული რ ა ს ე თ ი ო შირ-ე-
მარდი—გამოგირჩევია მ ა რ თ ლ ი ს-მ ე ტ ყ უ ე ლ ე ბ ა და კაბუკობა შეხ-
გამოგირენია.
მართუე, 10,9; 94,26; 196,10. ბარტყი, საზოგადოდ, მაგრამ 94,26: გ უ ე ლ ი ს ა

- მართუე, ან და 89, აა: ლომის ლეკვი.
- მარო, 118, 4. მარონინა, მატარა.
- მარტორქა, 184, 8. ერთგვარი ზღვის ცხოველია,—ერთრქიანი. ნ. ვტლ I. ზღვის ირემი. ზღაპრული ზღვის ცხოველი.
- მასკულავი, 111, 28. ვარსკვლავი.
- მარლუელი, 103, 24. ნ. საკუთ. სახელებში.
- მასახელოვნებელი, 249, 26. მასახელებელი.
- მატყუებლობა, 70, 33. [ძ. მატყუე.—მატყუარა, ცბიერი, მაქაქალი] თვალთმაქცობა, მატყუარობა, ცბიერება. მატყუებლობასა უკანა მდგომი, — მაქაქლობა-მატყუარობის ჩამდენი, ან მიმდევარი (ბოზი). ბოზური საქციელის ჩამდენი.
- მაღალი, 3, 8 — 8; იგ. რაც არაბ. აალი—მაღალი, ზენა, უზენაესი, შეად. როსტევანის ეპითეტი მაღალი, უხვი, მღაბალი, ვტ. 32, 1.
- მაღნიტი, 74, 31 = ძ, 100, 11 ხ: მაყნატის, 01, 147, 13 ხ მაღნატის 296, 11 = ქ, 364, 18 ხ: დემავენდ = 01, 470, 3 ხ იგივე. აქ ძეგლის „მაგნიტისა“ mala lectio უნდა იყოს „დემავენდისა“-ს წარყენის შედეგი. იგ. მნიშვნ.
- მაღორებელი, 60, 13. მაცოუნებელი, თვალის-ამხვევი, მატყუებელი.
- მაშა, 229, 38. მაშ; თუ აგრეა...
- მაშუნე, 266, 4. მოსახდენი, შესარგი, წასადგომი.
- მაშურალი, 161, 20. დალილი, დამაშურალი.
- მაშხალა, 163, 18. არ. მაშ'ალა. სანათი. უინელი. ფაკელი. იგ. მნიშ.
- მაყყენი, 256, 3 [ძ, 327, 18: ზიან ქარ—საზიანო საქმე შეად. ვარიანტი მუნი, ვრ I, 355, 8.] მაზიანებელი.
- მაქაკალი, 70, 32; 189, 32—33. ქალსა და კაცს შუა საქმის მქმნელი. შეად. სომხ. მაქაკალ.
- მახული, 137, 14. ხმალი, ან მახულიზრმალი, 28, 28 (ვრ. II)—მჭრელი ხმალი; მსწრაფლ-მკვეთი; ნალესი ხმალი.
- მახმური, 221, 8. ღვინო-სმული. მთვრალი. ზარხოში.
- მახმურობა, 221, 7. ღვინის-სმა. მთვრალობა, სიმთვრალე.
- მაჯანი, 46, 26. უფასური, მუქთი, უსასყიდლრ. ნ. მაჯნად.
- მაჯნად, 195, 30. მუქთად, უფასოდ.
- მბრუნავი, 53, 27. უგზოუკელოდ მოხეტიალე; რეტიანი. მთვრალივით ბრუნდასხმული.
- მბრძანებლობა, 3, 17—18; მეუფება. ბატონობა. 114, 32 და 33; 118, 10, 28 და 28: ბრძანება, ფარმანი.
- მგამა, 165, 34—მენაღვლება, ენაღვლობ.
- მგბარი, 117, 8. მოხარული.
- მგლოვიარე, 99, 12. მგლოვიარე.
- მგოსანი, 18, 28. ირან. კოსან, სომხ. გუსან—მექოსე, მესალამურე, მომღერალი, მუტრიბი. ნას, ჩანგის, ან სალაშურის დამკვრელი. მემუსიკე და მომღერალი, საზოგადოდ.
- მდელი, 298, 18. მწვანე ველი, ან კორდი მომწვანებული.
- მდეჭუი, 128, 32—ეჭვიანი; ეჭვით შეპყრობილი, შეად. ძ, 118, 8: მე რა შაპ-ეჯაპან სალარო-შუისტ, ელაქან ბედსეგალ ო ქინაჯუისტ და ჩენი ძეგლის 92, 1 — ა: კელმწიფე ჩემი უხუტესი და ქმარი არის, მაგრა მდეჭვი, სარიდო და აცნობა არის. როგორც ჩანს, „ბედსეგალ და ქინაჯუი“—

„ბოროტმზრახველი და შურის მიძიებელი“ — გადმოცემულია. სიტყვებით.
 „მეკუთვი, სარიღო და აცნობა. ნ. და შეად. აცნობასთან“. ნ. აგრეთვე 195,14.
 მეზურე, 110,1 და ა. მეზერე, მევენახე.
 მეკარე, 224,5. პირადი მდივანი, ეჯიბი; შვეიცარი.
 მელი, 103,22; 266,28. 272,17. მელა.
 მერცხლის ბოლო, 9,6. მეტაფ. შავი წვერები, შეად. ეტ.: ყორნის ბოლო.
 მესაყამხების, 345,18. ნ. საყამსო. შემეფერების, მფერობს. მმართებს.
 მესისხლე, 104,20; 276,12. დაუძინებელი მტერი. სისხლის მტებნელი. უ მ ე ც ა -
 რ ი მ ო ა ყ უ რ ა მ ე ნ ს ი ს ხ ლ ე ს ა უ რ ე ა ო — შტერი (სულელი)
 მეგობარი მოსისხარ მტერზე უარესია.
 მეტყუბარი, 35,35—36. ტყუბნი, ანუ მარჩბივი,—ზოდიქალური ნიშანია. ეტლია.
 მეუნებლე, 322,12. მეურჩე, ურჩი, უმორჩილო; უნებური. ნებასურვილის მოწი-
 ნალმდეგე.
 მელმრთე, 321,31; 452,7. ღმრთიანი, ღმრთის მოსავი. ღვთისნიერი. ღმრთისა-
 მოყვარე.
 მეცნიერი, 91,35; 101,32; 104,34; 321,31 და 32. კვიანი, გონიერი, ბრძენი. მცოდ-
 ნე. მცოდინარე.
 მეცხოვრე, 223,10; 241,2. მეცხვარე.
 მეწალკოტე, 129,12 (გრ. II) ნ. წალკოტი. მებაღე.
 მეჭურჭლე, 132,12 (გრ. II); 249,25 (გრ. II). მოლარე, ან ხაზინადარი; ქონებათა
 ზედამდგე.
 მეჯლიში, 298,13. არ. მაჯლის—შეკრებილება, ნადიმობა. ლხინი, სმა-ქამა ლა-
 პურობა. ქეიფი შეკრებილობაში.
 მეჭარი, 184,37. არაბ. შაპრ, ან შაპრა მეპრი, ან მეპრკ, ურვათი,—ფულის თან-
 ხა, რომელსაც საქმრო უნიშნავს საცოლოს ქორწინებით შეუღლების
 დროს. ქებინი, ცოლის მიზდი ანუ მეპრა მამალიანებში.
 მეჭმანი, 269,20, ან მექმანი. ნ. მექმანთან.
 მზახალი, 3,28. შეუღლებული ქალეაის მშობლები და სხვა ნათესავები. მძა-
 ხალი. დამოყვრებული.
 მზახობა, 8,3. ან მზახება, 16,21. მძახლობა; მზახლად გახდომა; დამოყვრება.
 ცოლქმრის ოჯახთა წვერების დამოყვრება.
 მზე, 3,12. 1) იგ. მნიშ. საზოგადოდ. 2) მეტ. პირისახე, ძვირფასი სიცოცხლე-
 ძვირფასი პიროვნება.
 მზე-გრძელობა, 9,17. დღეგრძელობა.
 მზითურე, 123,21. ე. ი. მზეთუნახავითურთ (ვისით), შეად. ძ, 156,36: ბე შადი-
 დარ შაბისთან რაძთ ბა შაპ—სიხარულით მთვარითურთ შევიდა საწოლს,
 სადაც ყურადღებას იქცევს ქართული ძეგლის „მზითურთ“ ნაცვლად სიტყ-
 ვისა მთვარითურთ, ანუ მთვარესთან ერთად.
 მზრახი, 108,18. მკიცხავი, მალეგებელი. მკილავი, ძვირის მთქმელი.
 მთიები, 184,7; 251,2. საკ. ცისკრის ვარსკვლავი. მნათობი. მ თ ი ე ბ ო ც ი ს -
 კ რ ი ს ა ო — განთიადის ვარსკვლავო, ცისკრის მნათობი.
 მთრავს, 210,22. [ზმნისაგან თრვა, აწ თრობა]. მთრობს.
 მთრვალი, 110,10 და 10. მთვრალი. ნ. თრვა. შეად. ეტლ. II, ი. ა.
 მთულავი, 227,21. მთვლელი.
 მთხელი, 53,24 და 29. მათხოვარი, გლახაკი.
 მთხუევა, 53,8. შეხუეღრა, შეყრა; 174,8. ამბორება, კოცნა.

მიგებვა, 119,37.—გამოთქმა.

მიღამო, 9,10; 161,20; 139,6; 221,3. აქეთ-იქით; მიღამო სიარულისაგან—ხეტიალისაგან. ან და—გარემო.

მითქს, 293,10; მაქვს; მიღვას, მახლავს.

მიმზუღარი, 54,14. მიწეული. მიღწეული. მიმხუდარი-იყო, მიეღწია.

მირიღება, 133,6—7. მოსვენება.

მიხიინი, 181,28; 305,13. არ. მიხიინ—ლარიბი, ლატაკი, საწყალი, საბრალისი. უკონელი, ალქათა, ბეჩარა, ბეჩავი.

მიუმცდარი, 4,6. შეუცთომელი, უცთომელი; სიტყვა-მიუმცდარი, — სიტყვა-სწორი.

მიუმზულმარე, 5,23. მიულწეველი, მიულწელომი. შეუგებელი.

მიფრება, 167,20. მიგებანება, დადარება, მიმსგავსება.

მიღმა, 288,22. თავის-თავისათვის. გულის; მიღმა სააჯო გულის სათხოვარი; სანატრელი.

მიღმართ-მოღმართი, 217,22. მიხეველ-მოხეველი. წაღმა-უკუღმა მატარებელი. დაკლავილი, დახლართული.

მიწა, 19,23. ფეხის მტვერი. ძ, 35,13; ძე თუ ძერძან-დეძი, მენ ბენდეი ძერძან—შენ მბრძანებელი ხარ, მე მონა მბრძანებლობისა—ჩვენს ძეგლში კი ასეა: „ჩუენ მონანი და მიწანი ვართ, მბრძანებლობისა თქუენისა მომსმენელნი და მიმყოლნი“, დედანში კი—„მიწანი ვართ“ არ არის.

მიწოთმა, 312,10 ანდა: მიწოთმა, 5,13; 6,20. მიწვლომა; მიღწევა.

მიწის სხმა, 323,28. მიწის ყრა. აქ კი ირანული სტილია დაცული: ძ, 16,13; ბერიზემ ხაქ ბერ სერ—თავსა მიწასა ვისხამ, შეად. ო, 508,13 იგივეა. შეად. ეტლ, 518,2; ის ხ მიდეს მისთვის ოტასა—მისთვის საცარ-ტუტას იყრიდენ—აგრეთვე წმინდა ირანიზმია.

მიწყვი, ნ. მიწყით.

მიწყით, 52,2; 54,25; 55,3; 322,13. მუღმივ, ნიდავ, უწყვეტლად. გაუწყვეტლად. მუღამ, სულ მუღამ. ნ. მიწყვი—იგ. მნიშ.

მიწყითი, 300,33. მუღმივი.

მიქირვება, 144,21. გასაქირი, სიძნელე ან და—821,3; წვალება; შეწუხება. შევიწროება. შეიწროება.

მიქირვებული, 323,21. შეწუხებული. ნ. მიქირვება.

მიხუღომა, 51,11. მიღწევა, წაყრა. ნ. აგრეთვე = 27,21; ხელში ჩავარდნა. წოდლად ხელომა.

მიჯნური, 32,2 და შემდეგი; 52,15; 108,2; 110,17; 111,28. არ. მაჯნუნ—საკ. ხელა, —შმაგი სიყვარულისაგან. კისის ეპითეტია. არაბ. მაჯნუნ დამსგავსებულია (სიმბოლოებულია) სემასიოლოგიურად. ქართულ მიჯნასთან, ასე რომ მიჯნური ჰნიშნავს, ქართ. ნუანსის მიხედვით, მიჯნას, ანუ საზღვარს გადაცილებულს. ცნობამიხილს, ხელს, შმაგს.

მიჯნურობა, 32,14 და შემდეგი; 175,25. ნ. მიჯნური; მიჯნურის ყოფა, ან მდგომარეობა. შმაგობა, ან ხელობა სიყვარულისაგან.

მკელი, 175,10. ძალიან სხვილი და მაგარი ძაფი.

მკერდლადებული, 255,21. გულმკერდ-გაღებული. გულღია.

მკუეთი, 252,20. მკრელი, მახვილი.

მნასებელი, 305,3. მაცუდებელი, მაარმებელი, მათშნობელი, გამამწარებელი. დანასებელი.

მოარება, 53,20—27. სეირნობა. მოარებად,—სასეირნოდ, სეირნობისათვის.

მოარული, 70,22 (ერ. II) მოსიარულე.
 მოახლეობა, 232,14 და 18. ახლოს ყოფნა, ან ხლება; სიახლოვე, ან და მოახ-
 ლედ ყოფნა.
 მოგუი, 147,22. ჩეკმა. ყელმაღალი ფეხსაცმელი ტყავისაგან.
 მოღრეკილი, 307,2. მოღუნული, მოხრილი. ზ. მოღრეკა, ან მოღრკომა. ნ.
 მოღრკომა.
 მოღრკომა (მოღრეკა), 322,27. მოღუნვა, მოკაცვა. მოხრა.
 მოედანი, 67,10; 172,16 და 18. სპარ. - არაბ. მეიდან—ასპარეზი, ველი, ბრძოლის
 ველი, სარბიელი. საბურთალო, ან საასპარეზო ადგილი.
 მოვლენა, 3,10. ძლევამოსილება, შეება, დიდება, ბრძანება. მოვლენით,—
 ბრძანებით, დიდებით, ძლევამოსილად.
 მოვლენილი, 3,5; 29,22. მოვლინებული, გაძლიერებული, გამოჩინებული, ძლევა-
 მოსილი; საწადელ-გასრულებული, შეად. ბ, 46,8.
 მოვსცეთ, 156,2 და 252,20: მოვცეთ — მოვცდი, შევცდი.
 მოზიდვა, 14,7.—მოკიშვა.
 მოზუერი, 35,24. ირან. სოურ, შეად. თორა, ზუარაკი, იგ. მნიშ. ეტლია (ზოდი-
 აქოს ნიშანი).
 მოთვლა, 258,13. მოწერა, მოკუთნება.
 მოკერება, 186,21. შეფერება, შეთვისება. ზამსება. მოგეკერების—გეხამ-
 სების, გეფერების.
 მოკერძება, 28,7.—მოხმარება, შევლა, რგება.
 მოკირთული, 172,27. დატვირთული.
 მოკრძალვა, 228,2 (ერ. II)—მორიდება.
 მომლოდებობა, 322,26; 323,22. იმედი, სასოება. სასო.
 მომლოდნო, 125,6. მომლოდე.
 მომორჩილება, 60,2. დამორჩილება. ცოტათი დამორჩილება. გულის მონადი-
 რება.
 მომცდარი, 36,5. მოცთომილი. ბედი თ-მო მ ც დ არ —ბედისაგან მოცთუ-
 ნებული. ნ. და შეად. ერ. II. ვარიანტი: ბედი თ ა დ მო მ ც დ ა რ ა.
 ცუდად გამცდარი; გზადმნული.
 მომძიმარი, 258,6.—მოწუხარი, მონალვლე.
 მონა, 4,6. მორჩილი, ყურმოკრილი ყმა. მონამორჩილი. ხელკვეთი მსახური.
 უფროსის უხმოდ მორჩილი და მსახური. პირის ფარეში. დარბაზის მცვე-
 ლი. მეკარე.
 მონახული, 13,9. გამოცდილი, ბეერის მნახველი.
 მორბედი, 229,7.—, მორბენალი. მ ა ლ ე მ ო რ ბ ე დ ი, — სწრაფად-მრბენი,
 ფეხ-მალი. სწრაფად მაჯალი.
 მორიული, 145,7. მძლეველი, მჯობნელი.
 მორეწუნარდა, 48,3. (ოტათი უფრო დაწუნარდა. (დამშეილდა).
 მორთომა, 11,5. მორთმევა.
 მორჩინალი, 241,15. მოკიდავე. შემბმელი.
 მორქმა, 66,2. ხარება, ამება, გულის წადილის ასრულება, საწადლის მიღწევა.
 დაკმაყოფილება.
 მორქმით; 322,11. ლაღად, მხიარულად.
 მორქმული, 1,7; 3,3; 5,6; 103,22; 147,1.—. მხიარული, შეიებული: ავლადიღებთ
 მხრით უზროვნელოფილი. განლაღებული. მოცინარი. ლაღი.
 მორქმულობა, 322,21. სიხარული; განცხრომა, შეება. მხიარულება. სიმხიარუ-

ლევ. ნ. მორკმული, მორკმით.

მოსაკერებელი, 134,21. მოსათვისებელი, შემოსაერთებელი.

მოსამართლეობა, 821,5, 11 და 26. სამართლით ქცევა.

მოსაყიენებელი, 17,11. სამარცხენო.

მოსწრაფე, 146,4. გაშურებული.

მოსწრაფება, 15,4; 308,11. სასწრაფოდ წამოსვლა, გამოშურება; მაგრამ აქვე,
სტრ. მე-2: მოსწრება.

მოუბრობა, 222,11. ლაპარაკი, მუსაიფი, საუბრობა; შე ნ ი ს ა ვ ო უ ბ რ ო -
ბ ი ს ა თ უ ი ს — შენთან სასაუბროდ.

მოურავი, 222,4. მზრუნველი, მზრუნავი (ზ. ურავ).

მოუცთომელი, 252,28—29. შეუცთომელი.

მოუწყუედლობა, 143,2. სიცოცხლე, არსებობა, მოუღლელობა, ჯანმრთელობა.
შეად. მოწყუედა — მოკვლა ან სიკვდილი (ბევრის ერთად) დახოცვა.

მოქენე, 283,21. მომუდარე, მთხოვნელი, მოაჯე, მთხოვნელი.

მოქცეული, 145,7.—გამარჯვებული.

მოღაფლებული, 103,24. მოღუენებული. ყუათ დაკარგული.

მოღება, 322,2. წართმა. ძ ა ლ ი მ ო ე ლ ო, — ღონე წაერთვა; დაუძლურდა
შეად. ბ ო ლ ო მ ო ე ლ ო.

მოღმრთე, 16,8. ღვთისნიერი. ღმრთის მოშიში.

მოღორება, 261,8. მოტყუება. თუ მოღორვება:

მოყიენება, 65,30; 66,10—20; 112,10; 128,25. შერცხენა, გაბასრება, სახელის
გატეხა.

მოყიენებული, 67,6. შერცხენილი. სახელგატეხილი. აუგიანი.

მოყუმე, 183,24; 188,15. რაინდი, კაბუცი, ვაჟაკი. გმირი.

მოყუარე, 137,4. გულის მეგობარი, ამხანაგი, შეად. ძ, 175,22: რაძიყა = ჰე მო-
ყუარეოი ო, = 241,22: ქერემ ქონ—მიყავ წყალობა, «ჰე მოყუარეოა—ს
შესატყვისი „რაძიყა“ — გულის ამხანაგოი ო—ში არ არის, და ეს კი ძ-ის
სასარგებლოდ ლაპარაკობს.

მოყუასი, 257,8. მოკეთე, მოყვარე.

მოშიათი, 159,27. არ. მოშაბიდ — თოკზე მოსიარულე, ჯამბაზი. აჯაბთა მქმენ-
ლი აკრობატი და სხვა.

მოშიარე, 188,15. მეღეჟე, ლეჟსთა გამომოქმელი. საქებაართა და სალოცვათ
შიართა მოქმელი. ნ. შიარი.

მოშურნე, 46,2. მეტოქე, მოჯიბრე. შურის თვალით მყურებელი.

მოჩიბება, 185,18. მოჩიბლეა, მოჯადოება. ჩიბლის, ჩიბის, ან ჯადოს ქნა.

მოჩიბულობა, 200,6. [ნ. ჩიბი.] ჯადოობა. ხრიკების, ან ხლათების მოწყობა.
მჩიბაობა.

მოცდომა, 51,11. მოწყვეტა, გადაცდენა.

მოწყენადი, 46,11. მოსაყალი; წერა. განგება; მომავალი.

მოწყენარი, 104,12 — 13. წერილის შიმტან-მომტანი, ან დამტარებელი, იგივე
ფარანდა.

მოწიფება, 9,11. მომწიფება, დასრულება. წამოზრდა. დაჯუკაცება.

მოწყუედა, 116,15; 144,1. მოწყვეტა, მოცილება, მოშორება. ნ. მოუწყუედლა-
ბასთან და შეად. იქვე მოწყუედა-ს განმარტება.

მოჰადრაკე, 9,8. ჰადრაკის მოთამაშე.

მოჰირვება, 146,21. შეწყუება, მოთმენა, ატანა (სიძნელის).

მოკელება, 82,22. დაუფლება.

მოკუნება, 7,18; 232,22. შორთმევა, მოცემა. შირთმევა, ბოძება.
 მპარავი, 40,3; 90,27 = ძ, 56,11;4: დოზდი, ან და: ძ, 116,7; ხ: იგივე დოზდ —
 ქურდი, მპარავი. წმინდა ქართ. სიტყვა მპარავი სრულიად განიდევნა
 ქართული ენიდან ქურდთა ელემენტის გაძლიერების შემდეგ XIII სა-
 უკუნის მე-2-ე ნახევრიდან და მისი ადგილი დაიკავა ტერმინმა ქურდი.
 მრჩვალი, 132,8. 221,6; 300,22. დამრჩვალი.
 მრწემი, 65,21. უმცროსი. აქედან ნ. უმრწემესი.
 მსახურთ-უხუცესობა, 320,13. მინისტრის ერთი პოსტთავანი, რომელიც რამინმა
 უბოძა თავის ცოლის-ძმას შეკროს.
 მსახური, 4,8; 11,18. შინაყმა, მოსამსახურე. პირის ფარეში. მხლებელი.
 მსუფელი, 9,10. ღვინის მსმელი და მოქეიფე (მომლხენი).
 მტრიანი, 16,3; 39,27. შმაგი, გახელეუბლი, ეშმაკეული, შეად. ვტლ. მტერა-
 ცემული — ეშმაკისაგან შეპყრობილი და გადარეული. გივი.
 მტკაველი, 53,8; 255,14 — გაშლილი ხელის მტკენის ნების აქეთ-იქით წვერ-
 წარზიდულ ნეკსა და ცერს შუა ადგილის სიგრძის ზომა; სიკრას საზო-
 მის ერთეული ძველად.
 მტკუარი, 44,3 (= ძ, 60,8; ჯეიპონ); 58,23 (= ძ, 77,1 იგივე ჯეიპუნ. 191,11.
 მდ. მტკუარი, მაგრამ, თითქო დიდი მდინარის მნიშვნელობა ისე, რო-
 გორც ჯეონი, რომლის ნაკვალადაც მას მთარგმნელი ხპარობს 4 შემოხვე-
 ვაში, H. Mapp. XCMHIIp. 3a 1896 r., ctp. 223 — 237.
 მულარა, 172,28; 253,14. [არ. მულარა, ან მულარათ, საკ. ალერსი, ფერება, თავის
 —კატუნი, ან მოკატუნება, მლიქვნელობა]. ქართულში—ფერებით, თავის მო-
 ქონვით,—ან თავის შებრალებით,—დაეინებული თხოვნა-ვედრება. დაეინე-
 ბით ხეფნა. ნ. და შეად. ძ, 234,21 a და 264,11; ნ. აქვე ძ, 334,26; მულა-
 რათ — იგივე მნიშვნ.
 მულარება, 94,4. ნ. მულარა.
 მულარადი, 146,8. არ.-ირან. მულარად, საკ. თმის დასაფარავი. ჩაფხუტი, ფე ჩა-
 ბალახი, — საპურველი ომის დროს. თავის სარქმელი სპილენძისაგან.
 მუნაური, 177,12. იქაური (მუნ — იქ).
 მუნებური, 19,3; 183,3. იქაური.
 მუნეტიკი, 20,18. ძ, 36,8; მუნადი. მუნ ეტიკან — mala lectio, უნდა იყოს შე-
 ნეტიკი, არაბ. მუნადი — გზირი, ქადაგი. ნ. ეტიკი.
 მუნეჯიმი, 13,12. არ. მუნეჯიმ — ვარსკვლავთმრიცხველი.
 მურავაყიანი, 184,23; 195,14 — 15 = ძ, 240,21: როვან ო ხომ — ანკარა და აპო;
 მურავაყი იგივეა, რაც არაბ. მურავაყ = დაწმენდილი; მურავაყიანი ღვინო
 ე. ი. წმინდა და ანკარა ლ., შეად. ძ, 254,18: ქესი ქეზბადა-ი — ხომ ღურ
 ბაზედ აგერ ღორდი ხორედ, მა'აზურ ბაშედ — ეინცა აპო ღვინისაგან
 შორს იქმნას, თხლევ რომ დალიოს, მადლობელი. იყოს. შეად. ვრ. 195,11—15:
 ვისცა მურავაყიანი ღვინო არ მიჰხუდებოდეს, თხლის სუმა არ ებრაღე-
 ბის!.. მურავაყიანი ღვინო, — ანკარა და აპო ღვინო.
 მურაკი, 314,8. დუღილით შესქელებული მუავე.
 მურტიბი, 6,8 — 8; 17,18; 18,28; 139,16 — 17; 194,26; 273,13 (= ძ, 341,18; მურ-
 ტიბ). არ. მურტიბ. მოსკარავე, ან მომღერალი. კარგი დამკვრელი და
 მომღერალი. შეად. ჩ ა ნ გ ი ს ა მ უ ტ რ ი ბ ი, 230,11. ნ. ვტლ II,
 შელ I და II.
 მუქასარი, 160,1. ნიუხვის უბე.

მუქაფა, 112,2. არ. მუქაფათ — სამაგიერო, ნაცვალი, მიზლი, საწყაული, სა-
ლაური.

მუქფობა, 81,18. [ნ. მუქაფა] სამაგიეროს გადახდა, ანაზღაურება, შეზღვა.

მუშა-ვაზი, 53,23. ძველი ვაზი. შავი ვაზი.

მუშაითი, 163,10. ნ. მოშაითი.

მუშთარი, 126,28. არ. მუშთარ. მუშთარი—ეტლის სახელია. ზევისი, ანუ იუპი-
ტერი.

მუშკი, 7,2; 143,7 და 8; 149,24; 160,21, 25 და 28; 189,10; 194,1; 262,1. არ. მუშკ,
ბერძ. მოსხოს — სასურნებელი, ან მოსაკმევე ნივთიერება,—შავი ფერისაა;
მუშკის ფერი, — შავი.

მუშკის ფერი, 194,1. (ნ. მუშკი) შავი.

მუხაერი, 100,22. არ. მუხაერ — ნება-პოვნელი, აქედან არ.-ირან, მუხაერი —
ნებაპოვნლობა, ნებიერობა (ნებიერობა), განცხრობა.

მუხთალი, 318,27. არ. მუხთალ-მოლაღატე, ცბიერი, მატყუარა, მზაკვარი, ევ-
რაგი. გამწირავი, არგამტანი.

მუხთლობა, 8,23; 97,9; 114,28; 177,4. ლალატი. გამწირაობა. ნ. მუხთალთან.

მღერა, 172,10. 1) თამაშობა, თამაში: წავიდა შენგან მღერისა
და ლალოზისა უამი, — წავიდა შენგან თამაშობისა და ცელ-
ქობის უამი. 2) მღერა (იგ. მნიშ.), ან მღერა-თამაში, ან 17,12: გალობა.

მყინვარი, 253,7 და 8. ყინული, ყინვა.

მყუარი, 125,14. ბაყაყი, გოგო.

მშუილდოსანი, 36,2 —; 148,18 = ტირანდაზ-ისრის მტყორცნელი. ნ. 36,2 —:
ეტლია (ზოღიაქო).

მჩხიბავი, (ძ. ნ. ჩხიბთან) — ჯადოს მკეთებელი; გრძნებით შემკრავი. გრძნე-
ულების მცოდნე. კუდიანი, ეშმაკი, ცბიერების და კუდიანობის (ჯადოს)
მცოდნე. აქედან მჩხიბაობა.

მჩხიბობა, 151,18. ჯადოს გაცეთება; ჯადოობა. გრძნეულობის ცოდნა; კუდი-
ანობა. ნ. მჩხიბავი.

მცნება, 164,12. დარიგება.

მცრება, 128,1. ლევა; გული უმცრდება და; — გული ელეოდა; ბნდე-
ბოდა; გული მისდიოდა. საკ. უმცირდებოდა, უპატარაედებოდა. უწერილ-
დებოდა. შეად. აქვე: გული უმცირდება და 177,20—განახლებული
ფორმა.

მძივთი, 313,5. — კუბრი.

მძოვრი, 261,10. ლეში. მძორი.

მწდე, 143,21. მერიქიფე. ღვინის ჩამომტარებელი და დამსხმელი მსმელთათვის
ნადიმობის დროს.

მწვანელიანი, 261,10. მწვანით დაფარული. მულღაზაროვანი.

მჭირნე, 213,12 = ძ, 275,6b: ქოპ-ენდუქ—მთა მწუხარებისა. აქ კი — მჭირნე
კლდე. მჭირნე, ე. ი. სიძნელის, გასაპირის ამტანი. მომპირებელი, მომ-
თმენი.

მჭიწნე, 273,23. დართული, ან დასთული (ძაფი); დაგრებილი. საწყუთრო
თვალთა, ვითა ალყა, მჭიწნედ მიჩნს — ეს ქვეყანა
აბრეშუმის სიმიეთი დაგრებილად მიჩანს, შეად. ძ, 342,11b: ჯაჰან ბერ მენ
ჩუ ზულაფათ ჰალყა გამთასტ — ქვეყანა ჩემს თვალში, ვითა შენი ზილ-
ფი, სიმაღ ქვეულა.

მეველა, 143,4; 176,4. მოახლე. გოგო.
მენე, 4,9. — გულადი, მარჯვე; სიმნე, — გულაღბა, სიმარჯვე.
მეილი, 159,20; 194,3. ან მეილი, 294,28. მეშტი, მეჯღუგუნე, მეშტუკუნა.

6.

ნასალი, 48,3; 223,37 — 38. მეასელი.
ნაბადი, 138,17; ძ, 175,118: ნ ა მ ა დ ბ ა შ ა დ ღ ე რ ა ბ ე ქ გ ე ნ ღ ე ნ ა ს ა ნ — ა დ ე ა —
ლია ნ ა ბ დ ი ს წ ყ ა ლ ს ა შ ი გ ა ნ ჩ ა გ დ ე ბ ა — ს ი ტ ყ ვ ა - ს ი ტ ყ ვ ი თ ა რ ი ს გ ა ღ მ ო -
ცემული. ირან. ნამად — იგივეა, რაც ნაბადი.
ნადიმი, 52,14; 57,7. არ. ნადიმ — მოსაუბრე, ამხანაგი, ტოლი, სწორი, საინტე-
რესო მოსაუბრე; არიფი.
ნაეროზი, 5,13. ირან. ნაეროზ — სკ. ახალი დღე. ირანელთა ახალი წელიწადი;
გაზაფხულის დასაწყისი.
ნაექი, 315,31 ან ნაუქი (ნაეაქი) — ისარი; ჩალხის ისარი; დიდი თეითმტყორ-
ცნელით, ანუ ისრის სატყორცი მანქანით სასროლო ისარი; [ძ, 385,18:
ნაუქ-ანდაზ, აქვე მ ა; შეად. ო], 494,8, 11 და 12: ისრის მტყორცნელი].
ნაველი, 28,23; 258,23. ნადველი.
ნაზი, 126,8 = ძ, 160,35: ქ ე თ უ ნ ა ზ უ ქ ღ ი ლ ი, ღ ა მ ბ ა რ ნ ე თ ა ბ ი — ვ ი ნ ა ო -
დან შენ გ უ ლ ნ ა ზ ი ხ ა რ, ქ ი რ ს ა ვ ე რ გ ა ს ს ლ ე ბ; 179,37; 263,28 = ძ,
334,4: ნ ა ზ - ა თ — შენისა ნ ა ზ ო ბ ი ს ა გ ა ნ, ანუ ა ლ ე რ ს ი ს ა გ ა ნ, ფ ე რ ე ბ ი ს ა გ ა ნ, ი გ .
მნიშვნ.
ნაზობა, 263,28; 264,15. ძ, 334,4: ნ ა ზ - ე თ — შენისა... ნ ა ზ ო ბ ი ს ა გ ა ნ. ფ ე რ ე ბ ა,
ა ლ ე რ ს ი.
ნაზუქი, 257,23; 280,20. ირან. = ნაზუქ — ნაზი, ტურფა, სუსტი და დელიკატი.
ლბილი, ქორფა, კოხტა.
ნაკრტენი, 196,10. ფრინველის ბუმბულია.
ნაკუთი, 52,8; 53,23; 153,21; 223,23. ტანი, ანაგები. ტანის მოყვანილობა. ფიგურ-
რა, საერთოდ. ნ ა კ უ თ - ს ა რ ო — ი გ ი ე ე ტ ა ნ - ს ა რ ო, ტ ა ნ ა დ ს ა რ ო.
ნამი, 193,28. ირან. = ნამ ი გ ი ე ე ნ ა მ ი, ც ვ ა რ ი. ც ვ ა რ ნ ა მ ი. ა გ რ ე თ ე ე: ს ე ე ლ ი, ნ ე ს -
ტიანი.
ნანვა, 30,15; 194,23. ნანობა, სინანული. შოუფიქრებლად საზიანო რაპის ჩადენა
და უკანის ფიქრი და წუხვა (ჯავრობა).
ნაკარი, 94,10. მიტოვებული და დაკალიერებული ნამოსახლი და ნაშენები
ადგილი. პარტახი.
ნარგისი, 65,1; 194,1. ირან. ნარგის, არაბიზ. ნარჯის, ლათ. Narcissus ხახვის.
ან ნივრის გვარი ბოლქვიანი მცენარე ლამაზი, სურნელოვანი ყვავილაჲ
და წითელი გვირგვინით. მისი სამშობლოა ინდოეთი და ირანი. მეტაფ.
თვალი.
ნარდი, 80,18 = ძ, 104,15: ნარდი. ირან. ნარდ — აღმოსავლეთში საყოველ-
თაოდ გავრცელებული სათამაზო.
ნარი, 277,10. ნარ-ეკალი.
ნასი, 73,18. უშნო, გონჯი, ღუბჭირი, ულამაზო.
ნასკუი, 7,24; 149,38. გადანაფსკენი, ფსკენილი. ძ, 19,15: ბანდჰა. ბანდები: სა-
წუთრომ (ასეთი) ბანდების დაგება იცის, რომე ქკუღ-გონებას არ ძალუტ
მათი გახსნა. შეად. ვრ.

- ნანებავი, 241,8. საკ. ნანებარი; სნება-გადანატანი, ან სნება-ანატანი და დას-
ნეულებული.
- ნასრანი, 8,20. სპარ. ნასრან — ასკილი. თეთრი და წერილი ვარდი, — ველურ
მდგომარეობაშია; საძკურხალოა.
- ნატაშალი, 12,22; 80,3. მონადგამი; შვილი და ნაშიერი. მოდგმა. შტო ჩამო-
მაელობა.
- ნატიფი, 4,10; 194,35 არ. ლატიჭ — საამო, საყვარელი, ნახი, კობტა ან შეად.
H Mapp, TP, № IV, 1902 r. გამოხარვ, ვახოტხ. ძა. რნთ, ნატიფი: სუფ-
თა, ფაქიზი, თლილი (არ. ნატიჭ).
- ნაძუი, 52,6; 53,30. წიწვოვანი ჯიშის სურნელი ხე. ფრიად ლამაზი, საამო და გუ-
ლის მარგებელი. შეად. კ, 44,18ს და აქვე 22ა სარგ-სარო (ნაძუი მართალი).
- ნახვა, 108,21 შენახვა. ფარვა. მალვა. შეად. უნახაობა.
- ნახირი, 146,37. საქონლის ჯოგი. მისი სინონიმა ძველ-ქართ. ხვასტაგი, —ნასეს-
ხები სან. ირანულიდან (ხვასტაჯ — სიმლიდრე, საქონელი, სამკვიდრებელი,
სიკეთე).
- ნახუთევი, 94,8. ნალუთევი, საღმრთოდ შეწირული, ნ. და შეად. კ, 120,17—8 არ
არის.
- ნაჯოშარდი, 171,27. ჯოშარდად ნამყოფი.
- ნება, 283,16 გულის წადილი.
- ნება-ნებასა, 125,17. ნელა-ნელა, შეად. სომხ. კამაც-კამაც.
- ნებიერი, 151,9. სათუთი; ლალი, თავისნება; 283,113: ირან. ხ ი შ ქ ა მ. შვებული,
მორკმული; დასვენებული, ლალი, ჯიუტი. ნ. და შეად. კ, 353,5a: ბე ქოჩის-
ტან ნიშასთა ხ უ რ რ ა მ-ო-შად — ქოჩისტანს ვჯედ გამოსუნებული, ნ ე ბ ი ე რ ი
და მხიარული. ნ ე ბ ი ე რ ა დ, 11,21, — სათუთად, ლალად, მხიარულად. შეად.
კ, 133,13 ხ ი შ ქ ა მ ა — ნებიერო!
- ნების-ყოფელი, 173,21. მასიამოვნებელი, მორჩილი. წადილის, ნება-სურვილის
მიმყოფი.
- ნების-ყოფლობა, 191,37, — თანხმობა. ერთმანეთის თანხმობით და სიამტკბილობით
ყოფნა.
- ნელადრე, 218,1. ცოტა უფრო ნელა.
- ნეტარძი, 78,2; 83,22; 84,113, 18 და შემდეგი. ნეტავი, ან ახ ნეტავი... ნეტარება
(მას)...
- ნიადაგ, 165,38; 177,6. — მუდამ, მიწყით, მუდამგამ.
- ნიგოზი, 137,33. კ, 175,2ს: გოზ შეად. სომხ. ინგოიზ — იგ. მნიშვნ.
- ნივთი, 72,117. სომხ. ნიუთ, იგივე მნიშვნ. ხორციელი საკმე. ხორცი, სხეული.
ხორციელი სიტკბობა. მამათა სქესი.
- ნივთიანობა, 28,31. მამაკაცის სქესობრივი უნარიანობა. მამაკაცობა.
- ნიკაპი, 53,21 პირისახის, ყბების შესაყარი ქვედა ნაწილი, ქვეითკენ წარხიდული.
საწვერე.
- ნიორი, 262,2. მეტისმეტად სასარგებლო სურნელი, როგორც საკამადის სა-
კახმავად, ისე საკურნებლად სახმარი. ძლიერი სუნი აქვს.
- ნიშანი, 95,8. ირან. ნიშან და სომხ. ნ'შან. — იგივე მნიშვნ.; ნიშანდობლივი თვი-
სება. მიზანი (სასაგნო). კვალი.
- ნიშატი, 143,22; 191,11 და 18. ირან. ნიშატი — სიხარული, განცხროვა, მხიარულება.
ნ. და შეად. კ, 250,9 და ვრ II, 11 და 10: ჩუ დასტ-ე-ეშყ ათეშ დერ დილემ
